



ქართული
ბიბლიოთეკა

ISSN 0182-599 X

მეცნიერება



4

1990

ენათობი

წელიწადი 66-0

№ 4

აპრილი, 1990 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

ახალი აღთქმა — სახარება იოანესი. თარგმანი ძველბერძნულიდან 3

პროზა, პოეზია

გივი ბაგვაძორი — ლექსები	36
სტეფანე კასრაძე — თარი-არაღი. რომანი. გაგრძელება	42
ალან გოგლიაშვილი — ლექსები	74
გიორგი ქადაგიძე — ლექსები	77
არჩილ კიტოშვილი — ლექსები	79
შოთა ჩანტლაძე — პროზორ!!! (ლირიულ-დრამატული პოემა)	80
თედო ბაქიშვილი — ლექსები	95
ლერი ალიშონაძი — ლექსები	99
ელა გოჩიაშვილი — მერა... ლექსი	102
თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა — თავბადასავალი ლევიან გოთუასი. გაგრძელება	105

მწერლის არქივიდან

ოთია პავლოვია — სხვადასხვა დროის ჩანაწერები 120

კრიტიკა, კულტურისტიკა

აბაგი ბაქრაძე — მწერლობის მოთვინიერება	126
თენგიზ ჩხიძე — ჩაუკლავი სული	140
გიორგი მერაბილაძე — რეკვიემი მიხეილ ჯავახიშვილისა. დასასრული	153
კოლა ხარაძე — ისტორიულ წყაროებს მიბრუნებული შინაგონი მონათხრობი	167
ქეთევან თაყაიშვილი — თაყაიშვილი ურთიერთობისა და ლიტერატურული მეთოდის საკითხები ი. შავჭავჭავაძის კულტურისტიკაში	173

საქართველოს ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე, მ. ბერძენიშვილი, ბ. გვარდ-
შითელი, ალ. გომიანიშვილი, ბ. დოჩანაშვილი, ბ. ქალანდია, მ. ლე-
ბანიძე, ე. მალრაძე, ლ. მკალაშვილი, ბ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე
(მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეის-
პირი, ო. შილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ახალი ალტემა

სახარება იოანესი

თავი პირველი

1. დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა.

2. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან.

3. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა.

4. მასში იყო სიცოცხლე, და სიცოცხლე იყო ნათელი კაცთა.

5. და ნათელი ბნელში ნათობს, და ბნელმა იგი ვერ მოიცვა.

6. იყო კაცი, მოვლინებული ღმერთის მიერ, და სახელი მისი იოანე.

7. ის მოვიდა სამოწმებლად, რათა ემოწმებინა ნათლისათვის, და, ამრიგად, ყველას ერწმუნა მისგან.

8. არ იყო ის ნათელი, არამედ რათა ემოწმებინა ნათლისათვის.

9. იყო ნათელი ქეშმარიტი, რომელიც გაანათლებს ყველა კაცს, მომავალს ქვეყნად.

10. ამ ქვეყნად იყო, და ქვეყანა მის მიერ შეიქმნა, და ქვეყანამ იგი ვერ იცნო.

11. თავისიანებთან მოვიდა, და თავისიანებმა იგი არ შეიწყნარეს.

12. ხოლო ყველას, ვინც შეიწყნარა იგი, მისცა ხელმწიფება ღმრთის შვილებად წოდებულიყვენენ; ყველას, ვისაც სწამს მისი სახელი,

13. და ვინც არა სისხლისაგან, არა ხორცის ნებისაგან, არა მამაკაცის ნებისაგან, არამედ ღმრთისაგან იშვნენ.

14. და სიტყვა ხორცად იქცა, და დაემკვიდრა ჩვენს შორის, მადლითა და ქეშმარიტებით სავსე. და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება როგორც მხოლოდ-შობილისა მამის მიერ.

15. იოანე მოწმობს მისთვის და ლაღით ამბობს: ეს არის იგი, ვისთვისაც ვთქვი: ჩემს შემდეგ მომავალი ჩემი წინამორბედი, ვინაიდან ჩემზე უწინარეს იყო.

16. და მისი სავსებისაგან ყველამ მივიღეთ მადლი მადლისა წილ.

17. რადგან რჯული მოსეს მიერ მოგვეცა, ხოლო მადლი და ქეშმარიტება იესო ქრისტეს მიერ იქმნა.

18. ღმერთი არავის არასოდეს უხილავს; მხოლოდშობილმა ძემ, რომელიც იყო მამის წიაღში, მან გაგვიცხადა.

19. და ეს არის, მოწმობა იოანესი, როცა იუდეველებმა წარგზავნეს იერუსალემიდან მღვდლები და ლევიტაენი, რათა ეკითხათ მისთვის: ვინა ხარ შენ?

20. და აღიარა, როდი უარყო; დიახ, აღიარა: მე არა ვარ ქრისტე.

21. და ჰკითხეს მას: მაშ ვინ? ელია ხარ? და თქვა: არა ვარ. წინასწარმეტყველი ხარ? და მიუგო: არა.

22. და უთბრეს მას: მაინც ვინა ხარ? რათა პასუხი გავცეთ ჩვენს წარმომგზავნელთ: რას იტყვი შენზე?

23. და თქვა: მე ვარ ხმა უდაბნოში მლაღადებლისა: გაამზადეთ გზა უფლისა, როგორც თქვა ესაია წინასწარმეტყველმა.

24. ხოლო წარმოგზავნილნი ფარისეველთაგანნი იყვნენ.

25. და ჰკითხეს მას და უთბრეს: მაშ, რატომ სცემ ნათელს, თუკი არც ქრისტე ხარ, არც ელია და არც წინასწარმეტყველი?

26. მიუგო იოანემ და უთბრა მათ: მე ნათელს ვცემ წყლით; მაგრამ

თავი მორა

1. და მესამე დღეს ქორწილი იყო გალილეას კანაში; და იყო იქ იესოს დედა.

2. ქორწილში მიწვეულნი იყვნენ იესოც და მისი მოწაფეებიც.

3. და რაკი ღვინო შემოაკლდათ, იესოს დედამ უთხრა მას: ღვინო არა აქვთ.

4. და უთხრა მას იესომ: მერედა, რა ჩემი და შენი საქმეა, დედაო? ჯერ კიდევ არ დამდგარა ჩემი საათი.

5. და უთხრა დედამისმა მსახურს: რასაც გეტყვით, ადასრულეთ.

6. იყო იქ ექვსი ქვის კასრი, იუდეველთა განწმენდის ჩვეულებისამებრ დადგმული, რომლებშიაც ჩადიოდა ორი თუ სამი საწყაო.

7. უთხრა მათ იესომ: გაავსეთ კასრები წყლით. და გაავსეს ისინი პირთამდე.

8. და უთხრა მათ: ახლა კი ამოიღეთ და მიართვით თამადას. და მიართვეს.

9. და როცა თამადამ გემო გაუსინჯა წყალს, რომელიც ღვინოდ ქცეულიყო (თუმცა მან არ იცოდა, როგორ მოხდა ეს; იცოდნენ მხოლოდ მსახურებმა, რომლებმაც ამოიღეს წყალი), მოუხმო სიძეს,

10. და უთხრა მას: ყველა კაცი ჯერ უკეთეს ღვინოს ჩამოდგამს, ხოლო როცა დათვრებიან, უარესს: შენ კი უკეთესი ღვინო აქამდე შემოგინახავს.

11. ასე დაუდო დასაბამი იესომ სასწაულებს გალილეის კანაში, და გამოავლინა დიდება თვისი. და იწამეს იგი მისმა მოწაფეებმა.

12. ამის შემდეგ ჩავიდა იესო კაპერნაუმს, და მასთან ერთად დედა მისი, და ძმები მისი, და მოწაფეები მისი; და რამდენიმე დღეს დარჩნენ იქ.

13. ახლოვდებოდა იუდეველთა პასეჭი, და ავიდა იესო იერუსალემს.

14. და ნანა ტაძარში ხარებით, ცხვრებითა და მტრედებით მოვაჭრენი, და მსხლომარე მეკერმენი.

15. და დაწნა თოკებისაგან ტაძარი და გამოყარა ტაძრიდან ყველა ჯიშის თევზი და ცხვრები, და მიმოფანტა მეკერმეთა ფული და ააყირავა მათი დახლები.

16. და მტრედებით მოვაჭრეებს უთხრა: გაიყვანეთ ვეგნი აქედან, და ნუ აქცევთ მამის ჩემის სახლს სავაჭრო სახლად.

17. და გაახსენდათ მის მოწაფეებს, რომ დაწერილია: შენი სახლის შურმა შემჭამა მე.

18. მიუგეს იუდეველებმა და უთხრეს მას: რა სასწაულით გვიჩვენებ, რომ შეგიძლია ამისი ქმნა?

19. ხოლო იესომ პასუხად თქვა: დაანგრეთ ეს ტაძარი, და სამ დღეში აღვადგენ მას.

20. და თქვეს იუდეველებმა: ეს ტაძარი ორმოცდაექვს წელს შენდებოდა, და შენ სამ დღეში აღადგენ მას?

21. მაგრამ ის გულისხმობდა თავისი სხეულის ტაძარს.

22. ხოლო როდესაც მკვდრეთით აღდგა, გაახსენდათ მის მოწაფეებს, რომ ამას ეუბნებოდა მათ; და ირწმუნეს წერილიც და იესოს სიტყვაც.

23. და როდესაც იერუსალემში იყო, პასეჭის დღესასწაულზე, მრავალმა ირწმუნა მისი სახელი, ვინაიდან ხედავდნენ სასწაულებს, რომლებსაც ახდენდა იგი.

24. მაგრამ თავად იესოს არ სწამდა მათი, ვინაიდან იცნობდა ყველას.

25. და არ სჭირდებოდა ვინმეს ემოწმებინა კაცისათვის, ვინაიდან თავად იცოდა, რაც იყო კაცში.

თავი მესამე

1. ფარისეველთა შორის იყო ერთი კაცი, სახელად ნიკოდემე, იუდეველთა მთავარი.

2. მივიდა იგი იესოსთან ღამით, და უთხრა მას: რაბი, ვიცით, რომ ღმრთისაგან მოსულხარ მოძღვრად, ვინაიდან არავის შეუძლია შენს მიერ მოხდენილ

სასწაულთა ქმნა, თუკი მასთან არ არის ღმერთი.

3. მიუგო იესომ და უთხრა მას: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც არ დაიბადება ხელახლა, ვერ იხილავს ღმრთის სასუფეველს.

4. უთხრა მას ნიკოდემემ: როგორ შეიძლება დაიბადოს მოხუცი კაცი? ხომ არ შეუძლია ხელმეორად შევიდეს დედის საშოში და კვლავ დაიბადოს?

5. მიუგო იესომ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა ღმრთის სასუფეველში.

6. ხორცის მიერ შობილი ხორცია; და სულის მიერ შობილი სულია.

7. ნუ გიკვირს, რომ გითხარი შენ, ხელახლა უნდა დაიბადოს-მეთქი.

8. ქარი, სადაც სურს, ქრის, და გესმის მისი ხმა, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და საით მიდის; ასევეა სულის მიერ ყველა შობილიც.

9. მიუგო ნიკოდემემ და უთხრა მას: როგორ შეიძლება ეს მოხდეს?

10. მიუგო იესომ და უთხრა მას: ისრაელის მოძღვარი ხარ და არ იცი ეს?

11. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ჩვენ ვამბობთ იმას, რაც ვიცი, და ვმოწმობთ იმას, რაც ვიხილეთ; მაგრამ ჩვენს მოწმობას არ იღებთ.

12. თუ მიწისა გითხარით თქვენ, და არ ირწმუნეთ, როგორღა ირწმუნებთ, რომ გითხრათ, ცისას?

13. არავინ ასულა ზეცად, გარდა ზეცით ჩამოსული კაცის ძისა, რომელიც არის ცაში.

14. და როგორც მოსემ აღმართა გველი უდაბნოში, ასევე უნდა აღმართოს ძეც კაცისა.

15. რათა ყველა, ვისაც სწამს იგი, კი არ წარწყმდეს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.

16. ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა თვისი ძე მხოლოდშობილი, რათა ყველა, ვისაც სწამს იგი, კი არ წარწყმდეს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.

17. რადგანაც ღმერთმა იმისთვის როდი მოავლინა თავისი ძე ქვეყნად, რათა განესაჯა მისი ხალხი; რათა ეხსნა ქვეყანა მის მიერ.

18. და ვისაც სწამს იგი, არ განიხლება, ხოლო ურწმუნო ახლავ განსჯილია, ვინაიდან არ იწამა სახელი ღმერთის მხოლოდშობილი ძისა.

19. ხოლო სასჯელი ისაა, რომ ნათელი მოვიდა ქვეყნად, მაგრამ ხალხმა უფრო მეტად შეიყვარა ბნელი, ვიდრე ნათელი, ვინაიდან ბოროტნი იყვნენ მათი საქმენი.

20. რადგანაც ყველა ბოროტმოქმედს სძულს ნათელი, და არ მიდის ნათლისაკენ, რათა არ გამჟღავნდეს მისი საქმენი.

21. ხოლო სიმართლის მოქმედი მიდის ნათლისაკენ, რათა გაცხადდეს მისი საქმენი, რადგანაც ღმერთში არიან ქმნილნი.

22. ამის შემდეგ მოვიდა იესო და მისი მოწაფეები იუდეის მხარეში; და იყო იქ და ნათელს სცემდა მათ.

23. იყო იოანეც და ნათელს სცემდა ენონში, სალემის მახლობლად, ვინაიდან ბევრი წყალი იყო იქ; და მიდიოდნენ და ნათელს იღებდნენ მისგან.

24. რადგანაც იოანე ჯერ კიდევ არ ჩაეგდოთ საპყრობილეში.

25. და იოანეს მოწაფეებს იუდეველებთან მოუხდათ დავა განწმენდისათვის.

26. და მივიდნენ იოანესთან და უთხრეს მას: რაბი, ვინც შენთან იყო იორდანეს პირას, და ვისთვისაც იმოწმე, აჰა, ნათელს სცემს იგი, და ყველახი მიდიან მასთან.

27. მიუგო იოანემ და თქვა: ვერაფერს მიიღებს კაცი, თუკი ზეცით არ მისცემია.

28. თქვენ თვითონვე დამემოწმებით, რომ ვთქვი: არა ვარ მე ქრისტე, არამედ მის წინაშე ვარ მოვლინებული.

29. ვისაც სასძლო ჰყავს, სიძვა; ხოლო სიძის მეგობარი, ვინც დგას და ესმის მისი, და სიხარულით ხარობს სი-

ძის ხმის ვაგონებისას; სწორედ ეს სიხარული აღსრულდა ჩემი.

30. ის უნდა იზარდოს, მე კი დავკნინდე.

31. მაღლით მომავალი ყველაფერზე უმაღლესია; მიწისმიერი მიწიერია და მიწისას იტყვის, ხოლო ზეციით მომავალი ყველაზე უზენაესია;

32. და რაც უზილავს და სმენია, იმასვე მოწმობს, მაგრამ მის მოწმობას არავინ იღებს.

33. ვინც მიიღო მისი მოწმობა, ამით დაბეჭდა, რომ ჭეშმარიტია ღმერთი.

34. რადგან ვინც ღმერთმა მოავლინა, ღმრთის სიტყვებს ამბობს, ვინაიდან ღმერთი ზომით როდი იძლევა სულს.

35. მამას უყვარს ძე და ყველაფერი მისცა მას ხელთ.

36. ვისაც სწამს ძე, აქვს საუკუნო სიცოცხლე; და ვისაც არა სწამს ძე, ვერ იზილავს სიცოცხლეს, და რისხვა ღმრთისა არ დაუტევებს მას.

თავი მეოთხე

1. ხოლო როცა უფალმა გაიგო, ფარისევლებმა შეიტყვეს, რომ იესო უფრო მეტ მოწაფეებს იძენს და ნათელს სცემს, ვიდრე იოანე.

2. (თუმცა თვით იესო როდი სცემდა ნათელს, არამედ მისი მოწაფეები),

3. მიატოვა იუდეა და კვლავ გალილეას წავიდა.

4. ხოლო გზად სამარეაზე უნდა გაველო.

5. და მივიდა სამარეის ქალაქში, რომელსაც ჰქვია სიქარი, იმ მინდვრის მახლობლად, რომელიც უბოძა იაკობმა იოსებს, თავის ძეს.

6. და იყო იქ წყარო იაკობისა. გზით დამაშვრალი იესო წყაროსთან ჩამოჯდა. იქნებოდა ასე ექვსი საათი.

7. მოვიდა სამარიელი ქალი წყლის ამოსაღებად. და უთხრა მას იესომ: წყალი დამალევინე.

8. ვინაიდან მისი მოწაფეები ქალაქს წასულიყვნენ საკმლის საყიდლად.

9. და უთხრა მას სამარიელმა ქალმა: როგორ, შენ, იუდეველი, წყლისს ამბობ მე, სამარიელ ქალს? იუდეველებს საერთო არაფერი აქვთ სამარიელებთან.

10. მიუგო იესომ და უთხრა მას: რომ იცოდე ღმრთის საბოძვარი, ან ვინ არის იგი, ვინც გეუბნება, წყალი დამალევინეო, თვითონვე სთხოვდი, და მოგცემდა შენ ცოცხალ წყალს.

11. უთხრა მას ქალმა: ბატონო, ამოსაღებიც არაფერი გაქვს, ხოლო ჭაღრმაა; მაშ, საიდან გაქვს ცოცხალი წყალი?

12. ნუთუ შენ მამაჩვენ იაკობზე უმეტესი ხარ, რომელმაც მოგცა ეს ჭა და სვამდა აქედან თვითონაც, და მისი ძენიც, და მისი საქონელიც?

13. მიუგო იესომ და უთხრა მას: ყველას, ვინც ამ წყალს დაღევს, კვლავ მოსწყურდება.

14. მაგრამ ვინც დაღევს წყალს, რომელსაც მე მივცემ, აღარასოდეს მოსწყურდება უკუნისამდე; არამედ წყალი, რომელსაც მე მივცემ, საუკუნო სიცოცხლისაკენ მიმდინარე წყლის წყაროდ იქცევა მასში.

15. უთხრა მას ქალმა: ბატონო, მომეცი ეგ წყალი, რათა აღარ მომწყურდეს და აღარასოდეს მოვიდე აქ ამოსაღებად.

16. უთხრა მას იესომ: წადი, დაუდახე შენს ქმარს და მოდი აქ.

17. მიუგო ქალმა და თქვა: ქმარი არა მყავს. უთხრა მას იესომ: კარგად სთქვი, რომ ქმარი არა გყავს.

18. ვინაიდან ხუთი ქმარი გყავდა, და ვინც ახლა გყავს, არ არის შენი ქმარი; ეს მართალი სთქვი.

19. უთხრა მას ქალმა: უფალო, ვხედავ, რომ წინასწარმეტყველი ხარ.

20. ჩვენი მამები ამ მთაზე სცემდნენ თავყვანს. თქვენ კი ამბობთ, რომ იერუსალემში არის ადგილი, სადაც გვმართებს თავყვანისცემა.

21. უთხრა მას იესომ: მეწმუნე, ქალო, რომ მოვა დრო, როცა არც ამ მთა-

ზე და არც იერუსალემში აღარ სცემთ თაყვანს მამას.

22. თქვენ არ იცით, რას ეთაყვანებოთ, ხოლო ჩვენ ვიცით, რასაც ვცემთ თაყვანს, ვინაიდან ხსნა იუდეველთაგან არის.

23. მაგრამ მოვა დრო, და მოვიდა კიდევ, როცა ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი თაყვანს სცემენ მამას სულითა და ჭეშმარიტებით, რადგანაც მამა სწორედ ამნაირ თაყვანისმცემლებს ეძებს.

24. ღმერთი სულია და მისი თაყვანისმცემელიც სულითა და ჭეშმარიტებით უნდა სცემდნენ თაყვანს.

25. უთხრა მას ქალმა: ვიცი, რომ მოვა მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე; და როცა მოვა, გვაუწყებს ჩვენ ყოველს.

26. მიუგო მას იესომ: მე ვარ, შენთან მოლაპარაკე.

27. ამასობაში მოვიდნენ მისი მოწაფეები, და გაუკვირდათ, რომ ქალს ელაპარაკებოდა. მაგრამ არცერთს არ უთქვამს: რას ეძებს? ანდა: რას ელაპარაკები მას?

28. ქალმა კი დატოვა თავისი სარწყული, წავიდა ქალაქში და უთხრა ხალხს:

29. მიდით და იხილეთ კაცი, რომელმაც მიტხრა ყველაფერი, რაც მიქნია: ქრისტე ხომ არ არის იგი?

30. გამოვიდნენ ქალაქიდან და მივიდნენ მასთან;

31. ხოლო ამასობაში მოწაფეებმა სთხოვეს მას: რაბი, ჭამე!

32. იესომ კი მიუგო მათ: მე მაქვს საჭმელი, რომელიც თქვენ არ იცით.

33. მოწაფეები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ნუთუ ვინმემ მოართვა საჭმელი?

34. უთხრა მათ იესომ: ჩემი საჭმელი ის არის, რომ ვყო ჩემი მომავლინებლის ნება და აღვასრულო მისი საჭმე.

35. განა თქვენ არ ამბობთ, რომ ოთხი თვეც კიდევ, და მოიწევა მკა? აჰა, მე გეუბნებით თქვენ: აღაპყრეთ თვალ-

ნი და იხილეთ ყანები, როგორ გადარდნენ თეთრებულან სამკალად;

36. მომკალი საზღაურს იღებს და საუკუნო სიცოცხლისთვის იწვევს მოსავალს, რათა ერთად ხარობდნენ მთესაივცა და მომკალიც.

37. ვინაიდან ამით მართლდება სიტყვა: ერთი თესავს და მეორე მკის.

38. მე გგზავნი თქვენ იმის სამკალად, რაზედაც არ გიშრომიოთ; სხვებმა იშრომეს, და თქვენ ჩაეზიარეთ მათს ნაშრომში.

39. და იმ ქალაქის მკვიდრმა მრავალმა სამარიელმა ირწმუნა მისი ქალის სიტყვებით, რომელიც მოწმობდა: ყველაფერი მიტხრა, რაც მიქნიაო.

40. და როცა მივიდნენ მასთან სამარიელი, შეევედრნენ, მათთან დარჩენილიყო, და დარჩა იქ ორ დღეს.

41. და უფრო მეტმა ირწმუნა მისი სიტყვების გამო.

42. ხოლო ქალს ეუბნებოდნენ: შენი სიტყვებით როდილა გვწამს, ვინაიდან თავად ვისმინეთ და ვიცით, რომ ეს არის ჭეშმარიტი და მაცხოვარი ქვეყნისა, ქრისტე.

43. ხოლო ორი დღის შემდეგ გამოვიდა იქიდან და გალილეას გაემართა.

44. რადგანაც თავად იესო მოწმობდა, რომ წინასწარმეტყველს პატივი არა აქვს თავის მამულში.

45. და როცა გალილეას მივიდა, გალილეველებმა მიიღეს იგი, რადგანაც ყველაფერი ეხილათ, რაც დღესასწაულზე მოიმოქმედა იერუსალემში, ვინაიდან თვითონაც ესწრებოდნენ დღესასწაულს.

46. და კვლავ მივიდა გალილეს კანაში, სადაც ღვინოდ აქცია წყალი. და იყო იქ ერთი კარისკაცი, ვისაც ძე ავად ვახლომონდა კაპერნაუმში.

47. გაეგონა, იესო მოსულა იუდეიდან გალილეაში, და მივიდა და ევედრებოდა მას, რათა ჩასულიყო და განეკურნა მისი ძე, რომელიც სიკვდილის პირას იყო.

48. უთხრა მას იესომ: თუკი არ იხი-

ლავთ სასწაულებსა და ნიშებს, არ ირწმუნებთ.

49. კარისკაცმა მიუგო მას: უფალო, მოდი, სანამ არ მომკვდარა ჩემი ძე.

50. უთხრა მას იესომ: წადი, შენი ძე ცოცხალია. და ერწმუნა კაცი სიტყვას, რომელიც უთხრა იესომ, და წავიდა.

51. და როცა შინ ბრუნდებოდა, მსახურები შეეგებნენ და უთხრეს: შენი ძე ცოცხალიაო.

52. გამოიკითხა მათგან, რომელ საათზე მოიკეთაო, და უთხრეს მას: გუშინ შეიდ საათზე გაუარა ცხელებამ.

53. მიხვდა მამა, რომ ეს იყო სწორედ ის საათი, როცა იესომ უთხრა: შენი ძე ცოცხალიაო.

54. ეს მეორე სასწაული ქმნა იესომ, როცა იუდეიდან დაბრუნდა გალილეაში.

თავი მხუთე

1. შემდგომ ამისა იყო იუდეველთა დღესასწაული, და ავიდა იესო იერუსალემს.

2. ხოლო იერუსალემში, ცხვრის კარიბჭის მახლობლად, არის აუზი, რომელსაც ებრაულად ჰქვია ბეთეზდა, და რომელსაც ხუთი შესასვლელი აქვს.

3. და იწვა იქ სნეულთა, ბრმათა, კოჭლთა და დაგრდომილთა დიდი სიმრავლე, რომლებიც მოელოდნენ წყლის ძვრას.

4. ვინაიდან ანგელოზი დროდადრო ჩადიოდა აუზში და ამღვრევდა წყალს; და ვინც წყლის ძვრისას პირველი ჩავიდოდა შიგ, რომელი სენითაც უნდა ყოფილიყო სნეული, იკურნებოდა.

5. იყო იქ კაცი, რომელიც ოცდათვრამეტ წელიწადს იტანჯებოდა თავისი სენით.

6. იხილა იგი იესომ მწოლარე, და მიხვდა, რომ დიდხანია იყო ასე, და უთხრა მას: გინდა განიკურნო?

7. მიუგო მას სნეულმა: უფალო, კაცი არა მყავს, რომ წყლის ძვრისას ჩა-

მაგდოს აუზში; ვიდრე მე მივალ, სხვა მასწრებს ჩასვლას.

8. და უთხრა მას იესომ: აღდეგ, აიღე შენი საწოლი და წადი.

9. და მყისვე განიკურნა იგი, და აიღო თავისი საწოლი და წავიდა. ხოლო ის დღე შაბათი იყო.

10. ამიტომ ეუბნებოდნენ იუდეველები განკურნებულს: დღეს შაბათია, არ უნდა აგელო შენი საწოლი.

11. მიუგო მათ: ვინც განმკურნა, მანვე მითხრა: აიღე შენი საწოლი და წადი.

12. და ჰკითხეს მას: ვინ არის ის კაცი, რომელმაც ვითხრა: აიღე შენი საწოლი და წადი?

13. მაგრამ განკურნებულმა არ იცოდა, ვინ იყო; რადგან იესო იქვე მდგომ ხალხში გაუჩინარდა.

14. შემდგომ ამისა, ტაძარში დაინახა იგი იესომ, და უთხრა: აჰა, განიკურნე; ნუღარა სცოდავ, რათა უარესი არ დაგემართოს.

15. წავიდა ეს კაცი, და აცნობა იუდეველებს, რომ იესოა, ვინც განკურნა იგი.

16. ამიტომ იუდეველები დევნიდნენ იესოს, და ცდილობდნენ მოეკლათ იგი, ვინაიდან ამას იქმოდა შაბათს.

17. ხოლო იესო პასუხად ეუბნებოდა მათ: მამა ჩემი აქამდე იღვწის, და მეც ვიღვწი.

18. მით უფრო ცდილობდნენ იუდეველები მოეკლათ იესო, ვინაიდან არა მართო არღვევდა შაბათს, არამედ თავის მამად იტყოდა ღმერთს, და ღმერთს უტოლებდა თავს.

19. ხოლო იესო პასუხად ეუბნებოდა მათ: ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად ეუბნებით თქვენ: ძეს არაფერი ხელეწიფება თავისთავად, თუ არ იხილავს მამის საქმეს, ვინაიდან რასაც მამა იქმს, ძეც მის მსგავსადვე იქმს.

20. რადგანაც მამას უყვარს ძე, და ყველაფერს უჩვენებს მას, რასაც იგი იქმს; და ამაზე უმეტეს საქმეთაც უჩვენებს მას, რათა გიკვირდეთ თქვენ.

21. ვინაიდან როგორც მამა აღად-

გენს და აცოცხლებს მეკდართ, ასევე ძეც. ეოსაც ნებაეს, აცოცხლებს.

22. რადგან მამა არც ვანსჯის არავის არამედ მთელი მსჯავრი მისცა ძეს.

23. რათა ყველანი პატიეს სცემდნენ ძეს, როგორც პატიეს სცემენ მამას; რადგან ვინც პატიეს არ სცემს ძეს, პატიეს არა სცემს მამასაც. მის მომავლინებელს.

24. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ისმენს ჩემს სიტყვას, და სწამს ჩემი მომავლინებელი, აქვს საუკუნო სიცოცხლე, და არ მივა სამსჯავროდ, არამედ გადავიდა სიკვდილიდან სიცოცხლეში.

25. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მოვა დრო, და მოვიდა კიდევ, როცა მეკდრები მოისმენენ ღმერთის ძის სიტყვას, და ვინც მოისმენს, იცოცხლებს.

26. ვინაიდან როგორც მამას აქვს სიცოცხლე თავის თავში, ასევე მისცა ძესაც, რათა ჭეშმადეს სიცოცხლე თავის თავში.

27. და მისცა მას ხელმწიფებაც მსჯავრის ქმნისა, რადგანაც ძე კაცისა არის.

28. ნუ გიკვირთ ეს, ვინაიდან მოაწვეს დრო, როცა ყველა, ვინც წვეს საფლავში, მოისმენს მის ხმას:

29. და ამოვლენ კეთილის მოქმედნი სიცოცხლის აღდგომად, ხოლო ბოროტის მოქმედნი განკითხვის აღდგომად.

30. მე არაფერი შემიძლია ჩემდა თავად; როგორც მესმის, ისე განვსჯი, და ჩემი მსჯავრი არის მართალი, ვინაიდან ჩემს ნებას კი არ ვეძებ, არამედ ჩემი მომავლინებელი მამის ნებას.

31. თუ მე ჩემთვის თვითონვე ვმოწმობ, ჩემი მოწმობა არ არის ჭეშმარიტი.

32. სხვა არის, ვინც მოწმობს ჩემთვის, და ვიცი, რომ ჭეშმარიტია მოწმობა, რომლითაც მოწმობს ჩემთვის.

33. თქვენ წარგზავნეთ ხალხი იოახესთან, და ემოწმა ჭეშმარიტს.

34. თუმცა მე კაცისაგან როდი ვიღებ მოწმობას, არამედ ვამბობ ამას, რათა თქვენ ცხოვნდეთ.

35. ის იყო სანთელი, რომელიც იწვოდა და ახათებდა, თქვენ კი ისურვეთ ცოტა ხანს გეხარათ მისი ნათლით.

36. ხოლო მე უკეთესი მოწმობა ნაქვს, ვიდრე იოანესი: რადგან საქმენი, რომელნიც მომცა მე მამამ, რათა აღვასრულო ისინი, თვით საქმენი, რომელთაც ვიქმ, მოწმობენ ჩემთვის, რომ მამისგან ვარ მოვლინებული.

37. და მამამ, ჩემმა მომავლინებელმა, თვითონვე იმოწმა ჩემთვის, თქვენ არც მისი ხმა ვსმენიათ ოდესმე, არც ხატება გიხილავთ მისი.

38. და მისი სიტყვა ვერ დაემკვიდრა თქვენში, ვინაიდან არა გწამთ მის მიერ მოვლინებული.

39. გამოიკვლიეთ წერილნი, რადგანაც გგონიათ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე; და ისინი არიან, რომლებიც მოწმობენ ჩემთვის.

40. და არა გასურთ მოხვიდეთ ჩემთან, რათა სიცოცხლე გქონდეთ.

41. დიდებას არ ვიღებ კაცთაგან.

42. არამედ გიცნობთ თქვენ; ღმერთის სიყვარული არ არის თქვენში.

43. მე მოვედი მამის ჩემის სახელით, და არ შემიწყნარებთ; სხვა თუ მოვა თავისივე სახელით, მას შეიწყნარებთ.

44. როგორ შეგიძლიათ ირწმუნოთ, თუკი ერთმანეთისაგან იღებთ დიდებას, ხოლო დიდებას, რომელიც ერთი ღმერთისაგან არის, არ ეძებთ?

45. ნუ გგონიათ, რომ ბრალს დაგდებთ მამის წინაშე; თქვენი ბრალმდებელი არის მოსე, ვისი იმედიც გაქვთ.

46. ვინაიდან მოსე რომ გწამდეთ, მეც მიწამებდით, რადგანაც მან ჩემთვის დაწერა.

47. ხოლო თუ მისი წერილის არა გწამთ, როგორღა იწამებთ ჩემს სიტყვებს?

თავი მეთექვსე

1. შემდგომ ამისა, გავიდა იესო გალილევას, ანუ ტიბერიადეს ზღვის გაღმა.

2. მისდევდა მას დიდძალი ხალხი, ვინაიდან ხედავდნენ სასწაულებს, რომლებსაც ახდენდა სნეულთა განკურნებისას.

3. და ავიდა მთაზე იესო, და დაჯდა იქ თავის მოწაფეებთან ერთად.

4. ახლოვდებოდა პასექი, იუდეველთა დღესასწაული.

5. აღაპყრო თვალნი იესომ, და დაინახა, რომ დიდძალი ხალხი მოდიოდა მისკენ, და უთხრა ფილიპეს: სად ვიყიდლოთ პური, რომ ვაქამოთ მათ?

6. ხოლო ამ სიტყვებით მას სცდიდა; თვითონ კი იცოდა, რაც უნდა ექნა.

7. მიუგო მას ფილიპემ: ყველას რომ ცოტ-ცოტა ერგოს, ორასი დინარის პურიც არ ეყოფა ამათ.

8. უთხრა მას ერთმა მისმა მოწაფეთაგანმა, ანდრეამ, სიმონ პეტრეს ძმამ:

9. არის აქ ერთი ყმაწვილი, რომელსაც ხუთი ქერის პური და ორი თევზი აქვს, მაგრამ რა არის ეს ამდენი ხალხისთვის?

10. იესომ თქვა: დასხით ხალხი. ხოლო იმ ადგილას ზმირი ბალახი იყო, და დასხდა რიცხვით ასე ხუთი ათასამდე კაცი.

11. აიღო პურები იესომ, მადლი შესწირა და მისცა მოწაფეებს, ხოლო მოწაფეებმა ჩამოურიგეს მსხდომარეთ; ასევე თევზიც, ვისაც რამდენი სურდა.

12. და როცა გაძღნენ, თავის მოწაფეებს უთხრა: აკრიფეთ ნარჩენები, რომ არაფერი დაიკარგოს.

13. მათაც აკრიფეს და გაავსეს თორმეტი კალათი ქერის პურის ნატეხებით, რაც ჭამის შემდეგ დარჩა.

14. ხოლო ხალხმა, რომელმაც იხილა იესოს მიერ ქმნილი სასწაული, თქვა: ჭეშმარიტად ეს არის წინასწარმეტყველი, რომელიც უნდა მოსულიყო ჭვეყნად:

15. ხოლო იესომ გაიგო, რომ აპირებენ მოსვლას და მის მოტაცებას, რათა გაამეფონ იგი, და ზელანლა განმარტოვდა მთაზე.

16. და როცა შებინდა, ზღვაზე ჩადიდნენ მისი მოწაფეები,

17. ჩასხდნენ ნავში და ზღვის გაღმა, კაპერნაუმისაკენ გასწიეს. ჩამობნელდა. იესო კი ჯერაც არ მისულიყო მათთან.

18. ძლიერი ქარი ქროდა და ზღვა ბობოქრობდა.

19. ოცდახუთი თუ ოცდაათი უტევანი რომ გაცურეს, დაინახეს ზღვაზე მიმავალი იესო, რომელიც უაზლოვდებოდა ნავს, და შეშინდნენ.

20. ხოლო იესომ უთხრა მათ: მე ვარ, ნუ გეშინიათ.

21. და უნდოდათ ნავზე აეყვახათ, მაგრამ მაშინვე მიადგნენ ნაპირს, საითაც მიცურავდნენ.

22. მეორე დღეს ზღვის გაღმა ნაპირას მდგომმა ხალხმა დაინახა, რომ არ იყო იქ სხვა ნავი. გარდა იმ ერთისა, რომელშიაც ისხდნენ მისი მოწაფეები, და რომ იესო არ ჩამჯდარიყო ნავში თავის მოწაფეებთან ერთად, არამედ მხოლოდ მოწაფეებს გაეცურათ.

23. ხოლო ტიბერიადედან სხვა ნაგებიც მოვიდნენ იმ ადგილის მახლობლად, სადაც ჭამეს პური, მას შემდეგ, რაც უფალმა მადლი შესწირა.

24. და როცა ხალხმა იხილა, რომ იქ არც იესოა და არც მისი მოწაფეები, თავადაც ნავებში ჩასხდნენ და კაპერნაუმისაკენ გასწიეს იესოს საძებნად.

25. და როცა ზღვის გაღმა მიაგნეს, უთხრეს მას: რაბი, როდის მოხვედი აქ?

26. მიუგო მათ იესომ და თქვა: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: იმიტომ კი არ მეძებთ, რომ სასწაული იხილეთ, არამედ იმიტომ, რომ პური ჭამეთ და გაძებთ.

27. ხრწნადი საზრდოსთვის ნუკი ზრუნავთ, არამედ იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ, და რომელსაც მოგცემთ ძე კაცისა; ვინაიდან მამა ღმერთმა აღბეჭდა იგი.

28. და უთხრეს მას: რა უნდა ექნათ, რომ აღვასრულოთ ღმერთის საქმენი?

29. მიუგო იესომ და უთხრა მათ:

ღმერთის საქმე ისაა, რომ იწამოთ მის მიერ მოვლინებული.

30. და უთხრეს მას: რა სასწაულს მოახდენ, რომ ვიხილოთ და გიწამოთ შენ? რას მოიმოქმედებ?

31. ჩვენი მამები მანანასა ჰქაძნენ უდაბნოში, როგორც დაწერილა: ზეცით მისცა მათ საჭმელად პური.

32. უთხრა მათ იესომ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მოსემ კი არ მოგცათ პური, არამედ მამა ჩემი გაძლევთ ზეცით ჭეშმარიტ პურს.

33. ვინაიდან პური ღმერთისა ის არის, რომელიც ჩამოდის ზეცით, და სიცოცხლეს აძლევს ქვეყანას.

34. და უთხრეს მას: უფალო, ხუ მოგვიწი ამ პურს.

35. და უთხრა მათ იესომ: მე ვარ პური სიცოცხლისა; ვინც ჩემთან მოვა, არ მოშივდება, და ვინც მიწამებს, არ მოსწყურდება არასდროს.

36. მაგრამ მე გითხარით თქვენ, რომ მიხილეთ და არ მიწამეთ.

37. ყველაფერი, რაც მომცა მამამ, ჩემთან მოვა; და ვინც ჩემთან მოვა, არ გავაძევებ.

38. ვინაიდან იმისთვის როდი ჩამოველ ზეცით, რომ აღვასრულო ჩემი ნება, არამედ ნება ჩემი მომავლინებლისა.

39. ხოლო ჩემი მომავლინებლის ნება ისაა, რომ რაც მომცა, არაფერი დავტოვებო, არამედ ყველაფერი აღვადგინო უკანასკნელ დღეს.

40. ჩემი მომავლინებლის ნება ისაა, რომ ყველას, ვინც ხედავს ძეს და სწამს იგი, ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე, და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს.

41. ხოლო იუდეველები დრტვინავდნენ მის გამო, რადგანაც თქვა: მე ვარ პური, რომელიც ჩამოველ ზეცით.

42. და ამბობდნენ: განა ეს არ არის იესო, იოსების ძე, ვის დედ-მამასაც ჩვენ ვიცნობთ? როგორღა ამბობს, ზეცით ჩამოვედიო?

43. მიუგო იესომ და უთხრა მათ: ხუ დრტვინავთ ერთმანეთს შორის.

44. ვერაინ მოვა ჩემთან თუ არა, მა, ჩემი მომავლინებელი, არ მოიყვანს მას ჩემთან. და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს.

45. წინასწარმეტყველთა მიერ დაწერილია: ყველა ღმერთისაგან განისწავლება. ყველა, ვინც უსმენს მამას და სწავლობს, ჩემთან მოვა.

46. არა იმიტომ, რომ ვინმეს უხილავს ღმერთი, გარდა იმისა, ვინც ღმერთისაგან არის; მან იხილა მამა.

47. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვისაც სწამს ჩემი, აქვს საუკუნო სიცოცხლე.

48. მე ვარ პური სიცოცხლისა.

49. თქვენმა მამებმა მანანა ჰქაძნენ უდაბნოში და მოკვდნენ.

50. ესაა პური, რომელიც ჩამოდის ზეცით, რათა ვინც შეჭამს მას, არ მოკვდეს.

51. მე ვარ პური ციცხალი, რომელიც ჩამოველ ზეცით. ვინც შეჭამს ამ პურს, სიცოცხლეს უკუნისამდე; პური, რომელსაც მე მოგცემთ, ჩემი ხორცია, რომელსაც მე მივცემ ქვეყნის სიცოცხლისათვის.

52. იუდეველები ერთმანეთს ედაგებოდნენ და ამბობდნენ: როგორ შეუძლია მას საჭმელად მოგვცეს თავისი ხორცი?


53. უთხრა მათ იესომ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუკი არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს, და არ შესვამთ მის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში.

54. ხოლო ვინც ჰჭამს ჩემს ხორცს, და სვამს ჩემს სისხლს, ექნება საუკუნო სიცოცხლე, და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს.

55. რადგანაც ჩემი ხორცი არის ჭეშმარიტი საჭმელი, და ჩემი სისხლი არის ჭეშმარიტი სასმელი.

56. ვინც ჰჭამს ჩემს ხორცს, და სვამს ჩემს სისხლს, ის ჩემშია, და მე მასში.

57. და როგორც მომავლინა მე ცოცხალმა მამამ, და ვცოცხლობ მაშით,



ასევე ჩემი მკამელიც იცოცხლებს ჩემით.

58. ეს არის პური, რომელიც ჩამოვიდა ზეციით. არა ისე, როგორც თქვენმა მამებმა ქამეს მანანა და მოკვდნენ; ამ პურის მკამელი იცოცხლებს უკუხისამდე.

59. ესა თქვა სინაგოგაში, როცა ასწავლიდა კაპერნაუმს.

60. ამის გაგონებისას ბევრმა მისმა მოწაფემ თქვა; მკაცრია ეს სიტყვა; ვის შეუძლია მისი მოსმენა?

61. ხოლო იესომ იცოდა თავისთავად, რომ მისი მოწაფეები დრტვინავდნენ ამის გამო, და უთხრა მათ: ნუთუ ეს გაცდუნებთ თქვენ?

62. მაგრამ თუ იხილავთ ძეს კაციასს, აღმაეაღს იქ, სადაც იყო პირველად?

63. სული ცხოველმყოფელია, ზოროცი კი ყოვლად ურგები; სიტყვები, რომლებსაც თქვენ გეუბნებით, სული არის და სიცოცხლე.

64. მაგრამ ზოგიერთ თქვენგანს არა სწამს. ვინაიდან იესომ იმთავითვე იცოდა, ვინ არიან ურწმუნონი, და ვინ არის მისი გამცემი.

65. და თქვა: ამიტომაც გითხარით თქვენ, რომ ვერავინ მოვა ჩემთან, თუკი არ მიეცემა მას მამის ჩემის მიერ.

66. ამის შემდეგ ბევრი მოწაფე ჩამოშორდა, და აღარ მისდევდნენ მას.

67. უთხრა იესომ თორმეტს: თქვენც ხომ არ გინდათ წასვლა?

68. მიუგო მას სიმონ პეტრემ: უფალო, ვისთან მივიდეთ? საუკუნო სიცოცხლის სიტყვები შენა გაქვს;

69. და ჩვენ ვიწამეთ და შევიცხეთ, რომ შენა ხარ ქრისტი, ძე ცოცხალი ღმერთისა.

70. მიუგო მათ იესომ: განა მე თორმეტნი არ გამოგარჩიეთ? მაგრამ ერთი თქვენგანში ეშმაკია.

71. ხოლო იგი იუდაზე, სიმონ ისკარიოტელის ძეზე ამბობდა ამას. ვინაიდან მას, ერთ თორმეტთაგანს, უნდა გაეტყობა იგი.

1. შემდგომ ამისა, დადიოდა იესო გალილეაში, ვინაიდან არ უნდოდა იუდეაში ევლო, რადგანაც იუდეველები მოსაკლავად ეძებდნენ მას.

2. მოახლოებული იყო იუდეველთა ღლესასწაული, რომელსაც ჰქვია კარვობა.

3. და მისმა ძმებმა უთხრეს მას: გავეცალე აქაურობას და იუდეაში წადი, რათა შენმა მოწაფეებმაც იხილონ შენი ნაკეთები საქმენი.

4. ვინაიდან არავინ აკეთებს რასმე ფარულად, არამედ თავის გამოჩენას ცდილობს. თუ ყოველივე ამას აკეთებ, გამოუცხადე ქვეყანას შენი თავი.

5. ვინაიდან არც მის ძმებს სწამდათ მისი.

6. და უთხრა მათ იესომ: ჩემი დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა, თქვენი დრო კი ყოველთვის მზად არის.

7. თქვენ ვერ მოგიძულებთ ქვეყანა, ხოლო მე ვძულვარ, ვინაიდან ვმოწმობ იმისთვის, რომ ბოროტნი არიან მისი საქმენი.

8. თქვენ ადით ამ ღლესასწაულზე, მე კი ამ ღლესასწაულზე არ ავალ, ვინაიდან ჯერ კიდევ არ გასრულებულა ჩემი დრო.

9. ეს უთხრა მათ და გალილეაში დარჩა.

10. ხოლო როცა ავიდნენ მისი ძმები, თვითონაც ავიდა ღლესასწაულზე, არა გაცხადებულად, არამედ ფარულად.

11. ხოლო იუდეველები ეძებდნენ მას ღლესასწაულზე და ამბობდნენ: სად არის იგი?

12. და იყო მასზე დიდი მითქმა-მოთქმა ხალხში. ერთნი ამბობდნენ, რომ ის კეთილია; მეორენი კი ამბობდნენ: არა, არამედ ხალხს აცდუნებსო.

13. თუმცა აშკარად ვერავინ ლაპარაკობდა მასზე, იუდეველების შიშით.

14. მაგრამ შუა ღლესასწაულზე ავიდა იესო ტაძრად და ასწავლიდა.

15. და უკვირდით იუდეველებს და ამბობდნენ: ნუთუ მან უსწავლელად იცის წერილი?

16. მიუგო იესომ და თქვა: ჩემი მოძღვრება ჩემი კი არ არის, არამედ ჩემი მომავლინებლისა.

17. თუ ვინმეს მისი ნების აღსრულება სურს, შეიცნობს ვისია ეს მოძღვრება: ღმრთისაგან არის. თუ ჩემით ვლაპარაკობ?

18. ვინც თავისით ლაპარაკობს, თავის დიდებას ეძებს: ხოლო ვინც თავისი მომავლინებლის დიდებას ეძებს, ჭეშმარიტია, და უმართლობა არ არის მასში.

19. განა მოსემ არ მოგცათ რჯული? მაგრამ არცერთი თქვენგანი არ ასრულებს რჯულს. რად მეძებთ მე მოსაკლავად?

20. მიუგო ხალხმა და თქვა: ეშმაკეული ხარ; ვინ გეძებს მოსაკლავად?

21. მიუგო იესომ და უთხრა მათ: ერთი საქმე გქმენ, და ყველას გიკვირთ.

22. მოსემ მოგცათ თქვენ წინადაცვეთა (თუმცა მოსემ კი არა, მამებმა მოგცეს), და შაბათს წინადაცვეთავთ კაცს.

23. თუ კაცი წინადაცვეთას იღებს შაბათს, რათა არ დაირღვეს მოსეს რჯული, რალა ჩემზე მრისხანებთ იმის გამო, რომ მთლიანად განვკურნე კაცი შაბათს?

24. იმის მიხედვით ნუკი სჯით, რაც გეჩვენებათ, არამედ მართალი მსჯავრით განსაჯეთ.

25. ხოლო ზოგიერთი იერუსალემელი ამბობდა: ეს ხომ არ არის ის, ვისაც მოსაკლავად ეძებენ?

26. აჰა, აშკარად ლაპარაკობს, და ცარაფერს ეუბნებიან. ნუთუ მართლაც ენეს მთავრებმა, რომ ეს არის ჭეშმარიტი ქრისტი?

27. მაგრამ ეს ვიცით, სადაური; ხოლო ქრისტი როდესაც მოვა, არავის ეცოდინება საიდან არის.

28. მაშინ იესომ შელალა ტაძარში, ასწავლიდა და ამბობდა: მეც მიცნობთ და ისიც იცით, სადაური ვარ; და მოვედი არა ჩემდა თავად, არამედ ჭეშმარიტია ჩემი მომავლინებელი, რომელსაც თქვენ არ იცნობთ.

29. ხოლო მე ვიცნობ მას, ვინაიდან მისგან ვარ, და მან მომავლინა.

30. ამიტომ ეძებდნენ მას შესაპყრობად. მაგრამ არავინ დაადო ხელი, ვინაიდან ჯერ კიდევ არ მოსულიყო მისი საათი.

31. და ხალხში მრავალმა იწამა იგი, და ამბობდნენ: როდესაც ქრისტი მოვა, ნუთუ უფრო მეტ სასწაულს მოახდენს, ვიდრე ამან მოახდინა?

32. გაიგონეს ფარისევლებმა ეს მიტქმა-მოტქმა ხალხში; და გაგზავნეს ფარისევლებმა და მღვდელმთავრებმა მსახურნი მის შესაპყრობად.

33. ხოლო იესომ უთხრა მათ: ცოტა ხანსაც დაგყოფ თქვენთან, და ჩემს მომავლინებელს მივუბრუნდები.

34. ძებნას დამიწყებთ, და ვერ მიპოვით; და სადაც მე ვიქნები, ვერ მოხვალთ იქ.

35. ხოლო იუდეველები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: სად უნდა წავიდეს, რომ ვერ ვიპოვოთ? იქნებ ბერძენთა შორის განთესილებში აპირებს წასვლას, რათა ასწავლოს ბერძენს?

36. რას ნიშნავს ეს სიტყვა, რომელიც თქვა: ძებნას დამიწყებთ და ვერ მიპოვით; და სადაც მე ვიქნები, ვერ მოხვალთ იქ?

37. ხოლო დღესასწაულის უკანასკნელ — დიდ დღეს დადგა იესო, შელალა და თქვა: ვისაც სწყურია, მოვიდეს ჩემთან და სვას.

38. და ვისაც სწამს ჩემი, როგორც ამბობს წერილი, მისი მუცლიდან წარმოინდებიან ცოცხალი წყლის მდინარენი.

39. ესა თქვა სულისათვის, რომელიც უნდა მიეღოთ მის მორწმუნეთ; ვინაიდან ჯერ კიდევ არ იყო მათზე სული წმიდა, რადგანაც ჯერ კიდევ არ განდიდებულყო იესო.

40. ეს რომ გაიგონეს, ბევრმა თქვა ხალხში: ეს არის ჭეშმარიტად წინასწარმეტყველი.

41. მეორენი ამბობდნენ: ეს ქრისტია; ხოლო სხვები ამბობდნენ: განა ქრისტი გალილიდან მოვა?

42. წერილი ხომ ამბობს, რომ დავითის თესლისგან და ბეთლემიდან. იმ ადგილიდან საიდანაც იყო დავითი, მოვა ქრისტე?

43. და ატყდა ერთი ცილობა მის გამო ხალხში.

44. ზოგიერთს მისი შეპყრობა სურდა, მაგრამ არავინ დაადო ხელი.

45. მაშინ მივიდნენ მსახურნი მღვდელმთავრებსა და ფარისევლებთან. ხოლო მათ უთხრეს: რატომ არ მოიყვანეთ იგი?

46. მსახურებმა მიუგეს: არასოდეს კაცს არ ულაპარაკია ისე, როგორც ლაპარაკობს ეს კაცი.

47. ფარისევლებმა უთხრეს მათ: ნუთუ თქვენც შესცდით?

48. ნუთუ მთავართაგან ვინმემ იწამა მისი. ან ფარისევლთაგან?

49. მაგრამ ეს ხალხი. რომელმაც არ იცის რჯული, დაწყევლილია.

50. ნიკოდემემ, რომელიც ღამით მივიდა მასთან, თვითონაც ერთმა მათგანმა, უთხრა მათ:

51. განა ჩვენი რჯული განსჯის კაცს, თუ წინასწარ არ მოუხმენს და არ გაიგებს. რას აკეთებს იგი?

52. მიუგეს და უთხრეს მას: იქნებ შენც გალილეელი ხარ? გამოიძიე და იხილე, რომ გალილეიდან არასოდეს აღმდგარა წინასწარმეტყველი.

53. და ყველანი თავიანთ სახლებში წავიდნენ.

თავი მერვე

1. ხოლო იესო ავიდა ზეთისხილის მთაზე.

2. დილით კი კვლავ შევიდა ტაძარში, მთელი ხალხი მივიდა მასთან, და დაჯდა და ასწავლიდა მათ.

3. ხოლო მწიგნობრებმა და ფარისევლებმა მოიყვანეს ქალი, რომელიც მრუშობისას შეეპყროთ, შუაში დააყენეს,

4. და უთხრეს იესოს: მოძღვარო, ეს ქალი მრუშობისას შევიპყარი;

5. მოსემ კი რჯულში გვამცხადებს ირების ჩაქოლვა; შენ რაღას იტყვი?

6. ხოლო ამას საცდუნებლად ეუბნებოდნენ. რათა ბრალი დაედოთ მისთვის. მაგრამ იესო, დაბლა დახრილი, თითოთ რაღაცას წერდა მიწაზე.

7. და რაკი დაჟინებით ეკითხებოდნენ. წამოიმართა და უთხრა მათ: ვინც უცოდველია თქვენს შორის, პირველად იმან ესროლოს ქვა.

8. და კვლავ დაიხარა, და წერდა მიწაზე.

9. ხოლო ისინი ამ სიტყვების გაგონებისას. უხუცესთაგან დაწყებულნი, სათითაოდ გაიკრიფნენ; და დარჩა მარტო იესო, და კიდევ ქალი. შუაში მდგომი.

10. წამოიმართა იესო, და რაკი ქალის გარდა ვერავის მოჰკრა თვალი, უთხრა მას: ქალო, სად არიან შენი ბრალმდებელნი? არავინ განგსაჯა შენ?

11. ხოლო მან თქვა: არავინ, უფალო. და უთხრა იესომ მას: არც მე განგსჯი. წადი და ამიერიდან ნულარ სკოდავ.

12. და კვლავ სამბობდა იესო, და უთხრა მათ: მე ვარ ნათელი ქვეყნისა; ვინც გამომყვება, არ ივლის ბნელში, არამედ ექნება სიცოცხლის ნათელი.

13. უთხრეს მას ფარისევლებმა: შენ თვითონ მოწმობ შენთვის, და შენი მოწმობა არ არის ქეშმარიტი.

14. მიუგო იესომ და უთხრა მათ: ჩემი თავისთავისაც რომ ვმოწმობდე, ქეშმარიტია ჩემი მოწმობა, რადგანაც ვიცი, საიდან მოვსულვარ და საით მივდივარ; თქვენ კი არ იცით, საიდან მოვედი და საით მივდივარ.

15. თქვენ ხორცისამებრ სჯით, ხოლო მე არავის ვსჯი.

16. მაგრამ კიდევ რომ ვსჯიდე, ქეშმარიტია ჩემი მსჯავრი, ვინაიდან მარტო კი არა ვარ, არამედ მე და მამა, ჩემი მომავლინებელი.

17. რადგან თქვენს რჯულშიც დაწერილია, რომ ორი კაცის მოწმობა არის ქეშმარიტი.

18. მე ვარ, ვინც ჩემთვისვე ვმოწ-

მობ, და მოწმობს ჩემთვის მამა, ჩემი მომავლინებელი.

19. უთხრეს მას: სად არის მამა შენი? მიუგო იესომ: არც მე მიცნობთ, და არც მამას ჩემსას. მე რომ მიცნობდეთ, მამასაც იცნობდით ჩემსას.

20. ამ სიტყვებს ამბობდა იესო საგანძურთან, და ასწავლიდა ტაძარში. და არავინ შეიპყრო იგი, ვინაიდან ჭერ კიდევ არ მოსულიყო მისი საათი.

21. კვლავ უთხრა მათ იესომ: მე მივიღივარ, და ძებნას დამიწყებთ და თქვენსავე ცოდვაში მოკვდებით; სადაც მე მივალ, თქვენ ვერ მოხვალთ იქ.

22. და თქვეს იუდეველებმა: თავის მოკვლას ხომ არ აპირებს, რაკილა ამბობს: სადაც მე მივალ, თქვენ ვერ მოხვალთ იქ?

23. და უთხრა მათ: თქვენ ქვენათაგანი ხართ, ხოლო მე ზენათაგანი; თქვენ ამქვეყნიურნი ხართ, ხოლო მე იმქვეყნიური.

24. ამიტომაც გითხარით, თქვენს ცოდვებში მოკვდებით-მეთქი. რადგან თუ არ იწამებთ, რომ მე ვარ, თქვენს ცოდვებში მოკვდებით.

25. უთხრეს მას: ვინა ხარ შენი? და უთხრა მათ იესომ: დასაბამად რას გეუბნებით?

26. ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი და განსასჯელი; მაგრამ ჩემი მომავლინებელი ჭეშმარიტია, და რაც მსმენია მისგან, ქვეყანასაც იმასვე ვეტყვი.

27. ვერ გაიგეს, რომ მამაზე ელაპარაკებოდა მათ.

28. და უთხრა მათ იესომ: როდესაც ამაღლებთ ძეს კაცისას, მაშინ გაიგებთ, რომ მე ვარ, და ჩემდა თავად არაფერს ვიქმ, არამედ რაც მასწავლა მამამ, იმას ვამბობ.

29. და ჩემი მომავლინებელი ჩემთანაა; მარტო არ დამტოვა მამამ, ვინაიდან მე ყოველთვის იმას ვაკეთებ, რაც ეამება მას.

30. ამას რომ ამბობდა, ბევრმა ირწმუნა იგი.

31. და უთხრა იესომ ბრძანებას: მორწმუნე იუდეველებს: თუ ჩემს სიტყვაში დამკვიდრდებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ.

32. და შეიცნობთ ჭეშმარიტებას, და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ.

33. მიუგეს მას: აბრაამის თესლი ვართ და, არასოდეს დავმონებივართ ვინმეს; ამას რას ამბობ: განთავისუფლებითო?

34. მიუგო მათ იესომ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ყველა, ვინც სცოდავს, ცოდვის მონაა.

35. მაგრამ მონა საუკუნოდ როდი მკვიდრდება სახლში, ძე კი მკვიდრობს უკუნისამდე.

36. ამრიგად, თუ ძე გაგათავისუფლებთ, ჭეშმარიტად თავისუფალნი იქნებით.

37. ვიცო, რომ აბრაამის თესლი ხართ, მაგრამ მოსაკლავად კი მეძებთ, იმიტომ, რომ ჩემი სიტყვა ვერ ეტევა თქვენში.

38. მე ვამბობ იმას, რაც მამაჩემთან მიხილავს; თქვენ კი რაც მამათქვენთან გიხილავთ, იმას აკეთებთ.

39. მიუგეს და უთხრეს მას: ჩვენ მამა აბრაამია. უთხრა მათ იესომ: აბრაამის შვილები რომ იყოთ, საქმეთაც აბრაამისას გააკეთებდით.


40. ახლა კი მოსაკლავად მეძებთ მე, კაცს, რომელმაც გითხრათ ჭეშმარიტება, რაც ღმერთისაგან ვისმინე. აბრაამს ეს არ უქნია.

41. თქვენ თქვენი მამის საქმეს აკეთებთ. უთხეს მას: ჩვენ სიძვისაგან არ ვართ შობილნი; ერთი მამა გვყავს, ღმერთი.

42. უთხრა მათ იესომ: ღმერთი რომ თქვენი მამა იყოს, გეყვარებოდით, ვინაიდან ღმერთისაგან გამოვედი და შოვედი, რადგანაც ჩემდა თავად კი არ მოვსულვარ, არამედ მან მომავლინა.

43. რატომ არ გესმით ჩემი ნათქვამი? იმიტომ, რომ არ შეგიძლიათ ჩემი სიტყვის მოსმენა.

44. თქვენ მამათქვენის — ეშმაკისაგან ხართ, და მამათქვენის და სურ-



ქვეყნული
ბიბლიოთეკა

ვილთა აღსრულება გსურთ. დასაბამით-
ვე კაცის მკვლელი იყო იგი, და ჭეშ-
მარიტებაში ვერ დაემკვიდრა, ვინაი-
დან ჭეშმარიტება არ არის მასში, და
როცა სიცრუეს ამბობს, თავისას ამ-
ბობს, ვინაიდან ცრუ არის და სიცრუ-
ის მამა.

45. ხოლო მე სიმართლეს გეუბნე-
ბით. და არა გწამთ ჩემი.

46. რომელი თქვენგანი მამხილებს
მე ცოდვაში? ხოლო თუ ჭეშმარიტე-
ბას ვამბობ, რატომ არა გწამთ ჩემი?

47. ვინც ღმერთისაგან არის, ღმერ-
თის სიტყვებს ისმენს. თქვენ კი იძიტომ
არ ისმენთ, რომ ღმერთისაგან არა
ხართ.

48. მიუგეს იუდეველებმა და უთ-
ხრეს მას: განა კარგად არ ვამბობთ,
რომ სამარული ხარ და ეშმაკეული?

49. მიუგო იესომ: ეშმაკეული კი
არა ვარ, არამედ ბატვის ვცემ მამას
ჩემსას, და თქვენ მაგინებთ მე.

50. ხოლო მე ჩემს დიდებას როდი
ვეძებ; არის მძებნელი და განმკითხვე-
ლი.

51. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუ-
ბნებით თქვენ: ვინც დაიმარბავს ჩემს
სიტყვას, უკუნისამდე არ იხილავს სი-
კვდილს.

52. უთხრეს მას იუდეველებმა: ახ-
ლა კი მივხვდით, რომ ეშმაკეული ხარ.
აბრაამი მოკვდა და წინასწარმეტყვე-
ლნიც, შენ კი ამბობ: თუ ვინმე დაიმა-
რბავს ჩემს სიტყვას, არ იგემებს სიკ-
ვდილს უკუნისამდე.

53. ნუთუ შენ უფრო მეტი ხარ, ვი-
დრე მამა ჩვენი აბრაამი, რომელიც
მოკვდა? წინასწარმეტყველნიც მოკვდ-
ნენ. ვის აღრი შენს თავს?

54. მიუგო იესომ: თუ მე ჩემსავ
თავს ვადიდებ, ჩემი დიდება არაფერია.
მე მამა ჩემი მადიდებს, ვისთვისაც
თქვენ ამბობთ: ის არის ჩვენი ღმერთი.

55. და ვერ იცანით იგი, ხოლო მე
ვიცნობ მას. და თუ ვიტყვი, რომ არ
ვიცნობ მას, თქვენსავით ცრუ ვიქნე-
ბი; მაგრამ მე ვიცნობ მას და ვიმარ-
ხავ მის სიტყვას.

2. „მნათობი“, № 4.

56. აბრაამს, მამას თქვენსას, ვინაი-
თ რებოდა ეხილა ჩემი დღე, და იხილა
და გაიხარა.

57. იუდეველებმა უთხრეს მას: ორ-
მოცდაათი წლისაც არა ხარ, და აბრა-
ამი გინახავს?

58. უთხრა მათ იესომ: ჭეშმარიტად,
ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: აბრა-
ამზე უწინარეს მე ვარ.

59. მაშინ იუდეველებმა ქვებს დას-
ტაცეს ხელი მის ჩასაქოლად. მაგრამ
იესო უჩინო იქმნა და ტაძრიდან გამო-
ვიდა; მათ შორის განვლო და წავიდა
ასე.

თავი მაცხრა

1. იქიდან წამოსულმა დაინახა კა-
ცი, რომელიც ბრმა იყო დაბადებიდან.

2. და ჰკითხეს მისმა მოწაფეებმა:
რაბი, ვინ სცოდა? ამან თუ ამისმა
მშობლებმა, ბრმა რომ დაიბადა?

3. მიუგო იესომ: არც ამან სცოდა,
და არც ამისმა მშობლებმა, არამედ
რათა გაცხადდნენ ღმერთის საქმენი
მასზე.

4. მე მმართვეს, სანამდის დღეა, ვა-
კეთო ჩემი მომავლინებლის საქმე; მო-
დის ღამე, როცა ვერვინ შესძლებს კე-
თებას.

5. სანამდის ამ ქვეყნად ვარ, ქვეყნის
ნათელი ვარ.

6. ეს რომ თქვა, მიწაზე დააფურთ-
ხა, ტალახი მოზილა ფურთხით, თვა-
ლებზე წაუსვა ბრმას

7. და უთხრა წადი და მოიბანე სი-
ლოამის (რაც თარგმანით ნიშნავს წარ-
გზავნილს) აუზში. ისიც წავიდა და მო-
იბანა და მოვიდა თვალახელილი.

8. ხოლო მეზობლები და ისინი, ვი-
საც აღრე ბრმა ეხილა იგი, ამბობდნენ:
ეს ხომ არ არის ვინც იჯდა და მათხო-
ვრობდა?

9. სხვები ამბობდნენ: ეს არის; და
სხვები: მას ჰგავს; თვითონ კი ამბობ-
და: მე ვარო.

ბიბლიოთეკის
სახ. სახ. რესურსები
ბიბლიოთეკა

10. ეკითხებოდნენ მას: როგორ აგე-
ხილა თვალი?
11. პასუხად ამბობდა: კაცმა, რომე-
ლსაც ჰქვია იესო, ტალახი მოზილა.
თვალეებზე მცხო და მითხრა: წადი სი-
ლოამის აუზში და მოიბანე; მეც წავე-
დი. მოვიბანე და თვალი ამეხილა.
12. ეკითხებოდნენ მას: სად არის
იგი? ხოლო ის ამბობდა: არ ვიცი.
13. მიიყვანეს ყოფილი ბრმა ფარი-
სეველებთან.
14. იყო შაბათი, როცა ტალახი მო-
ზილა იესომ, და თვალი აუხილა მას.
15. ფარისეველებმაც კვლავ ჰკითხეს
მას, როგორ აეხილა თვალი. და უთხრა
მათ: ტალახი დამადო თვალეებზე, მო-
ვიბანე და ვხედავ.
16. ზოგიერთი ფარისეველი ამბობ-
და: ეს კაცი ღმრთისაგან არ არის, იმი-
ტომ, რომ არ ინახავს შაბათს. სხვები
კი ამბობდნენ: როგორ შეუძლია ცოდ-
ვილ კაცს ამნაირ სასწაულთა ქმნა? და
იყო ცილობა მათ შორის.
17. კვლავ ჰკითხეს ბრმას: რას იტ-
ყვი მასზე, რაკილა თვალი აგიხილა?
ხოლო მან თქვა: წინასწარმეტყველია.
18. არ დაუჯერეს იუდეველებმა, რომ
ბრმა იყო და შემდეგ აეხილა თვალი,
სანამ არ მოუხმეს თვალახელილის მშო-
ბლებს.
19. და ჰკითხეს მათ და უთხრეს: ეს
არის თქვენი ძე, რომელზედაც ამბობთ,
ბრმა დაიბადო? ახლა როგორღა ხე-
დავს?
20. მიუგეს მისმა მშობლებმა, და
უთხრეს მათ: ჩვენ ვიცი, რომ ეს ჩვე-
ნი ძეა. და ბრმა დაიბადა;
21. მაგრამ ახლა როგორღა ხედავს,
არ ვიცი, და ვინ აუხილა თვალი, არც
ეს ვიცი. თავად ჰკითხეთ, სრულწლო-
ვანია; თავისას თვითონ იტყვის.
22. ასე თქვეს მშობლებმა, იმიტომ,
რომ იუდეველებისა ეშინოდათ. ვინაი-
დან იუდეველებმა პირი შეკრეს: თუ
ვინმე აღიარებს მას ქრისტედ, სინაგო-
გისაგან მოგკეთთო.

22. ამიტომაც თქვეს მისმა მშობლე-
ბმა: სრულწლოვანია, თავად ჰკითხეთო.

24. მეორედაც მოუხმეს მას მელიც
ბრმა იყო, და უთხრეს მას: მია-
გე დიდება ღმერთს; ჩვენ ვიცი, რომ
ეს კაცი ცოდვილია.
25. ხოლო მან მიუგო და თქვა: ცოდ-
ვილია თუ არა, არ ვიცი; ერთი ეს ვი-
ცი, რომ ბრმა ვიყავი და აწ ვხედავ.
26. კვლავ უთხრეს მას: რა გიყო
შენ? როგორ აგიხილა თვალი?
27. მიუგო მათ: აკი გითხარით, და არ
მისმინეთ; კიდევ რისი მოსმენა გსურთ?
ან იქნებ გსურთ დაემოწაფოთ?
28. აგინეს მას და უთხრეს: მისი მო-
წაფე შენა ხარ, ხოლო ჩვენ მოსეს მო-
წაფეები ვართ.
29. ჩვენ ვიცი, რომ მოსეს ელაპა-
რაკა ღმერთი; ეს კი არ ვიცი, საიდან
არის.
30. მიუგო კაცმა და უთხრა მათ: სა-
კვირველი ის არის, რომ არ იცი, სა-
იდან არის, მაგრამ მე კი ამიხილა თვა-
ლი.
31. ვიცი, რომ ღმერთი არ უსმენს
ცოდვილთ; არამედ ვინც ღვთისმოსავია
და ასრულებს მის ნებას, მას უსმენს.
32. არასოდეს გაგონილა, რომ ვინ-
მეს თვალი აეხილოს ბრმადშობილის-
თვის.
33. ღმერთისაგან რომ არ იყოს, ვე-
რაფერსაც ვერ იზამდა.
34. მიუგეს და უთხრეს მას: მთლიან-
ად ცოდვებში შობილი ხარ, და ჩვენ
გვასწავლი? და გამოაგდეს იგი.
35. იესომ რომ გაიგო, გამოაგდესო,
მონახა იგი და უთხრა: შენ გწამს ძე
ღმრთისა?
36. მიუგო მან და თქვა: ვინ არის,
უფალო, რომ ვიწამო იგი?
37. უთხრა მას იესომ: შენ გიხილავს
იგი, და ვინც გელაპარაკება, ის არის.
38. ხოლო მან თქვა: მწამს, უფალო;
და თაყვანი სცა მას.
39. და თქვა იესომ: განსაცხელად მო-
ველ ამ ქვეყნად, რათა ბრმებმა იხი-
ლონ, მხედველნი კი ბრმებად იქცნენ.
40. ეს რომ გაიგონეს, მასთან მყოფ-
მა ფარისეველებმა უთხრეს მას: ნუთუ
ჩვენც ბრმები ვართ?



41. უთხრა მათ იესომ: ბრძები რომ იყოთ, ცოდვაც არ გექნებოდით; ახლა კი ამბობთ, ვხედავთო, და ცოდვაც თანა გაქვთ.

თავი მათე

1. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც კარით არ შედის ფარეზში, არამედ სხვა გზით მიძვრება, ქურდია იგი და ყაჩაღი.

2. ხოლო კარით შემავალი ცხვრების მწყემსია.

3. ამას მეკარეც უღებს, და ცხვრებსაც ესმით მისი ხმა; და სახელით უბმობს თავის ცხვრებს, და გამოჰყავს ისინი.

4. და როცა გამოიყვანს თავის ცხვრებს, წინ მიუძღვის მათ, ხოლო ისინი მისდევენ, ვინაიდან სცნობენ მის ხმას.

5. უცხოს კი არ მისდევენ, არამედ გაუბრძანდებიან, ვინაიდან ვერ სცნობენ უცხო ხმას.

6. ეს იგავი უთხრა მათ იესომ. მაგრამ ისინი ვერ მიხვდნენ, რას ეუბნებოდა მათ.

7. კვლავ უთხრა მათ იესომ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მე ვარ კარი ცხვართა.

8. ყველა, ვინც ჩემზე წინ მოვიდა, ქურდია და ყაჩაღი; და არ უსმინეს მათ ცხვრებმა;

9. მე ვარ კარი: ვინც ჩემით შევა, ცხონდება; და შევა და გამოვა, და ჰპოვებს საძოვარს.

10. ქურდი მხოლოდ იმისთვის მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს. ხოლო მე მოვედი, რათა ჰქონდეთ სიცოცხლე, და მომეტებულად ჰქონდეთ.

11. მე ვარ მწყემსი კეთილი: კეთილი მწყემსი თავის სულს დადებს ცხვრებისთვის.

12. ხოლო მოჭირავე, ვინც არ არის მწყემსი, და ვისიც არ არიან ცხვრები, ხედავს მომავალ მგელს, მიატოვებს

ცხვრებს და გარბის, ხოლო მგელი რიტაცებს და გაფანტავს ცხვრებს.

13. მოჭირავე კი იმიტომ გარბის, რომ მოჭირავეა და არ ედარდება ცხვრები.

14. მე ვარ მწყემსი კეთილი, და ვიცნობ ჩემებს, და ჩემები მიცნობენ მე.

15. როგორც მიცნობს მე მამა, ასევე ვიცნობ მეც მამას, და დავდებ ჩემს სულს ცხვრებისთვის.

16. სხვა ცხვრებიც მყვანან, რომლებიც არ არიან ამ ფარეზისა; მათი მოყვანაც მმართვეს, და ისმენენ ჩემს ხმას, და იქნება ერთი სამწყსო, და ერთი მწყემსი.

17. იმისთვის ვუყვარვარ მამას, რომ დავდებ ჩემს სულს, რათა კვლავ დავიბრუნო იგი.

18. ვერავინ წაიღებს მას ჩემგან, არამედ დავდებ მას ჩემით. ხელმეწიფება მისი დადება, და ხელმეწიფება კვლავ დაბრუნება მისი. ეს მცნება მიმიღია მამის ჩემისგან.

19. კვლავ ჩამოვარდა განხეთქილება იუდეველებს შორის ამ სიტყვების გამო.

20. ბევრი მათგანი ამბობდა: ეშმაკეულია და შმაგობს; რად უსმენთ მას?

21. სხვები ამბობდნენ: ეს ეშმაკეულის სიტყვები არ არის; არ შეუძლია ეშმაკს თვალი აუხილოს ბრძებს.

22. ხოლო იერუსალემში დადგა განაზღვრების ღღესასწაული; ზამთარი იყო.

23. და დადიოდა იესო ტაძარში, სოლომონის ბუქსთან.

24. გარს შემოერტყნენ იუდეველები და უთხრეს მას: სანამდის გაგვიმწარებ სულს? თუ შენ ხარ ქრისტე, გვითხარი ნათლად.

25. მიუგო მათ იესომ: გითხარით და არ მერწმუნეთ; საქმენი, რომელთაც ვიქმ მამის ჩემის სახელით, თავად მოწმობენ ჩემთვის.

26. მაგრამ თქვენ არა გწამთ ჩემი, ვინაიდან არა ხართ ჩემი ცხვართაგანი, როგორც გითხარით თქვენ.

27. ჩემს ცხვრებს ჩემი ხმა ესმით, და ვიცნობ მათ, და მომდევნებ მე.

28. და ვაძლევ მათ საუკუნო სიცოცხლეს, და არ წარწყმდებიან უკუნისამდე; და ვერავინ წარმტაცებს ხელიდან მათ.

29. მამა ჩემი, რომელმაც მომცა ისინი, ყველაზე უმეტესია; და ვერავინ წარიტაცებს მამის ჩემის ხელიდან მათ.

30. მე და მამა ერთი ვართ.

31. მაშინ იუდეველებმა კვლავ ქვებს დასტაცეს ხელი მის ჩასაქოლად.

32. მიუგო მათ იესომ: მრავალი კეთილი საქმე გიჩვენეთ თქვენ მამის ჩემის მიერ; რომელი მათგანისათვის მიპირებთ ჩაქოლვას?

33. მიუგეს იუდეველებმა და თქვეს: კეთილი საქმისათვის კი არ ჩაგქოლავთ, არამედ ღმრთის გმობისათვის, ვინაიდან კაცი ხარ და ღმერთად კი მოგაქვს თავი.

34. მიუგო მათ იესომ: განა თქვენს რგულში არ გიწერიათ: მე ვთქვი: ღმერთები ხართ?

35. და თუ ღმერთები უწოდა მათ, ვის მიმართაც იყო უფლის სიტყვა (ხოლო წერილი დაურღვეველია),

36. მას, ვინც წმინდა-ყო მამამ და მოავლინა ამ ქვეყნად, ეუბნებით: ღმერთსა გმობო, რაკილა ვთქვი: მე ვარ ძე ღმრთისა?

37. თუ არ ვაკეთებ მამის ჩემის საქმეს, ნუ მერწმუნებით.

38. და თუ ვაკეთებ, მე რომ არ მერწმუნოთ, საქმეებს მაინც ერწმუნეთ, რათა სცნოთ და ირწმუნოთ, რომ მამა ჩემშია, და მე ვარ მასში.

39. მაშინ კვლავ დააპირეს მისი შეპყრობა, მაგრამ ხელიდან დაუსხლტა მათ.

40. და გავიდა იორდანეს გაღმა, იმ ადგილას, სადაც უწინ ნათელს სცემდა იოანე, და დარჩა იქ.

41. და მრავალნი მიდიოდნენ მასთან და ეუბნებოდნენ, რომ იოანეს არ მოუხდენია არავითარი სასწაული, მაგრამ ყველაფერი, რაც თქვა მისთვის, მართალი იყო.

42. და მრავალმა ირწმუნა იქ მისი.

1. იყო ავად ვინმე ლაზარე, ბეთანიელი, მარიამისა და მართას, მისი დის სოფლელი.

2. ხოლო მარიამი იყო ის, ვინც ნელსაცხებელი სცხო უფალს და თავისი თმებით შეუმშრალა ფეხები, და ვისი ძმა ლაზარეც ავად იყო.

3. დებმა კაცი გაუგზავნეს იესოს და შეუთვალეს: უფალო, აჰა, ვინც შენ გიყვარს, ავად არის.

4. ეს რომ გაიგო, იესომ თქვა: ეს სნეულება სასიკვდილო კი არ არის, არამედ რათა იდიდოს ღმერთის ძე მისგან.

5. უყვარდა იესოს მართა, მისი და და ლაზარე.

6. და როცა გაიგო, ავად არისო, ორი დღე კიდევ დარჩა იმ ადგილას, სადაც იყო.

7. ხოლო ამის შემდეგ თავის მოწაფეებს უთხრა: ავდგეთ და კვლავ წავიდეთ იუდეაში.

8. უთხრეს მას მოწაფეებმა: რაბი, იუდეველები ახლახან გეძებდნენ ჩასაქოლად და კვლავ იქ მიდიხარ?

9. მიუგო იესომ: განა თორმეტი საათი არ არის დღეში? ვინც დღისით დადის, არაფერს წამოჰკრავს ფეხს, ვინაიდან ხელავს ამ ქვეყნის ნათელს.

10. ხოლო თუ ღამით დადის, წაიბოროძიკებს, ვინაიდან ნათელი არ არის მასში.

11. ეს თქვა და ამის შემდეგ უთხრა მათ: ლაზარემ, ჩემმა მეგობარმა მიიძინა; მაგრამ მივალ და გავაღვიძებ მას.

12. ხოლო მისმა მოწაფეებმა თქვეს: უფალო, თუ მიიძინა, განიკურნება.

13. მაგრამ იესო მის სიკვდილს გულისხმობდა, მათ კი ეგონათ, რომ ძილით მიძინებისათვის იტყოდა ამას.

14. მაშინ იესომ გარკვევით უთხრა მათ: ლაზარე მოკვდა.

15. და მიხარია თქვენს გამო, რომ იქ არ ვიყავი, რათა ირწმუნოთ; მაგრამ მივიდეთ მასთან.

16. უთხრა თომამ, ტყულისცალად

წოდებულმა, თანამოწაფეთ: ჩვენც მივიდეთ, რათა მასთან ერთად მოვკვდეთ.

17. და როდესაც მივიდა იესო, ნახა, რომ ის უკვე ოთხი დღეა საფლავში იწვა.

18. ხოლო ბეთანია იერუსალემის ახლოს იყო, თხუთმეტიოდე უტევანის მანძილზე.

19. და მრავალი იუდეველი მისულიყო მართასა და მარიამთან, რათა ენუგეშებინათ ძმაზე მგლოვარნი.

20. მართამ რომ გაიგო, იესო მოდისო, გამოეგება მას, მარიამი კი სახლში იჯდა.

21. და უთხრა მართამ იესოს: უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა.

22. მაგრამ ახლაც ვიცი: რაც უნდა სთხოვო ღმერთს, მოგცემს შენ ღმერთო.

23. უთხრა მას იესომ: აღდგება შენი ძმა.

24. უთხრა მას მართამ: ვიცი რომ აღდგება აღდგომისას, უკანასკნელ დღეს.

25. უთხრა მას იესომ: მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ვისაც სწამს ჩემი, კიდევ რომ მოკვდეს, იცოცხლებს.

26. და ყველა, ვინც ცოცხლობს ჩემში და ვისაც სწამს ჩემი, არ მოკვდება უკუნისამდე. გწამს ეს?

27. უთხრა მას: დიახ, უფალო, მწამს, რომ შენა ხარ ქრისტი, ძე ღმრთისა, მომავალი ქვეყნად.

28. ეს რომ თქვა, წავიდა და მოუხმომ მარიამს, თავის დას, და საიდუმლოდ უთხრა მას: მოძღვარი მოვიდა და გიხმობს.

29. ხოლო ის, ამის გაგონებისთანავე, ადგა და გასწია მისკენ.

30. ვინაიდან იესო ჯერ კიდევ არ მისულიყო სოფელში, არამედ იმ ადგილას იყო, სადაც მიეგება მას მართა.

31. ხოლო იუდეველებმა, რომლებიც მასთან იყვნენ სახლში და ანუგეშებდნენ, დაინახეს, რომ მარიამი საჩქაროდ ადგა და გარეთ გავიდა, და გაჰყვნენ

უკან, ვინაიდან ეგონათ საფლავში მისი ძმის სატირლადო.

32. მარიამი კი მივიდა იმ ადგილას, სადაც იყო იესო, და როგორც კი დაინახა იგი, ფეხებში ჩაუვარდა და უთხრა: უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა.

33. როცა იესომ დაინახა, როგორ ტიროდა ის, და ტიროდნენ მასთან ერთად მოსული იუდეველნიც, შეიძრა სულით და შეკრთა თავადაც,

34. და თქვა: სად დაკრძალეთ იგი? უთხრეს მას: უფალო, მოდი და იხილე.

35. და აცრემლდა იესო.

36. ხოლო იუდეველები ამბობდნენ: უყურე, როგორ ჰყვარებია იგი.

37. ზოგი მათგანი კი ამბობდა: ნუთუ არ შეეძლო მას, ბრმისათვის თვალის ამხელს, რაიმე ელონა, რათა ესეც არ მომკვდარიყო?

38. ხოლო იესო, თავადაც კვლავ შეძრული, მივიდა საფლავთან; ეს იყო მღვიმე, და ზედ ლოდი ელო მას.

39. და თქვა იესომ: მოაშორეთ ლოდი; უთხრა მას მართამ, მიცვალე ბულის დამ: უფალო, უკვე ყარს, ვინაიდან ოთხი დღის წინ დაეასაფლავეთ.

40. უთხრა მას იესომ: ხომ გითხარი, თუ იწამებ, ღმრთის დიდებას იხილავ-მეთქი?

41. მოაშორეს ლოდი მღვიმეს, სადაც ესვენა მკვდარი. ხოლო იესომ ზეცად აღაპყრო თვალნი და თქვა: მამაო, გმადლობ, რომ ისმინე ჩემი.

42. მე კი ვიცოდი, რომ ყოველთვის ისმენ ჩემსას, მაგრამ ეს ირგვლივ მდგომი ხალხისთვის ვთქვი, რათა ირწმუნონ, რომ შენ მომავლინე.

43. ეს რომ თქვა, ხმამაღლა დაიძახა: ლაზარე, გამოდი გარეთ!

44. და გამოვიდა მკვდარი, სახევეით ხელ-ფეხ შეკრული და სახეშესუდრული. უთხრა მათ იესომ: გახსენით იგი, და გაუშვით, წავიდეს.

45. მაშინ მრავალმა იუდეველმა, რომლებიც მოვიდნენ მარიამთან და

თავი მათორწმე

იზილეს, რაც მოახდინა იესომ, ირწმუნა იგი.

46. ხოლო ზოგიერთი მათგანი წავიდა და უთხრა ფარისევლებს, რა მოახდინა იესომ.

47. მაშინ შეკრიბეს მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა სინედრიონი და თქვეს: რა ვქნათ? ეს კაცი მრავალსასწაულს ახდენს.

48. თუ თავის ნებაზე მივუშვებთ, ყველა იწამებს, და მოვლენ რომაელები და წაგვართმევენ ჩვენს ადგილ-მამულსაც და ხალხსაც.

49. ერთმა მათგანმა, ვინმე კაიაფამ, რომელიც იმ წელიწადს მღვდელმთავარი იყო, უთხრა მათ: არაფერი თქვენ არ იცით,

50. და არ ფიქრობთ, რომ უმჯობესია ერთი კაცი მოკვდეს ხალხისათვის, ვიდრე მთელი ხალხი დაიღუპოს.

51. ეს თავისით კი არა თქვა, არამედ, იმ წელიწადს მღვდელმთავრად მყოფმა, იწინასწარმეტყველა, რომ იესო უნდა მომკვდარიყო ხალხისათვის.

52. და არა მარტო ხალხისათვის, არამედ რათა ღმრთის გაბნეული შვილიც შეეკრიბა ერთად.

53. იმ დღიდან შეითქვენენ, რათა მოეკლათ იგი.

54. ამიტომ იესო აშკარად ველარ დადიოდა იუდეველთა შორის, არამედ წავიდა უდაბნოს მახლობელ მხარეს, ქალაქში, რომელსაც ჰქვია ეფრაიმი და იყო იქ თავის მოწაფეებთან ერთად.

55. მრახლოებული იყო იუდეველთა პასეჟი. და იმ მხრიდან მრავალნი ავიდნენ იერუსალემს პასეჟის წინ, გასაწმენდად.

56. ეძებდნენ იესოს და, ტაძარში მღგომწი, ერთმანეთს ეუბნებოდნენ: როგორ გგონიათ, მოვა თუ არა დღესასწაულზე?

57. ვინაიდან მღვდელმთავრებსა და ფარისევლებს ბრძანება გაეცათ, რომ თუ ვინმე გაიგებდა, სად იყო, ეცხობებინა მათთვის, რათა შეეპყროთ იგი,

1. ხოლო იესო პასეჟამდე ექვსი დღით ადრე მივიდა ბეთანიაში, სადაც იყო ლაზარე. რომელიც აღადგინა მკვდრეთით.

2. იქ მოუშადეს მას ვახშამი, და ემსახურებოდა მართა, ლაზარე კი მისი ერთ-ერთი თანამეინახე იყო.

3. ხოლო მარიამმა აიღო ერთი ლიტრა წმინდა ნარდის ძვირფასი ნელსაცხებელი, ფეხებზე სცხო იესოს და თავისი თმებით შეუმშრალა ფეხები; და სახლი აივსო ნელსაცხებლის სურნელებით.

4. მაშინ ერთმა მისმა მოწაფეთაგანმა, სიმონის იუდამ, ისკარიოტელმა, რომელსაც უნდა გაეცა იგი, თქვა:

5. რატომ არ გაიყიდა ეს ნელსაცხებელი სამას დინარად, და არ მიეცა ფული გლახაკთ?

6. ხოლო ეს თქვა არა იმიტომ, რომ გლახაკათთვის ზრუნავდა, არამედ იმიტომ, რომ ქურდი იყო; მას ჰქონდა ყულაბა, და რასაც შიგ ყრიდნენ, იპარავდა.

7. და თქვა იესომ: მოეშვი მას; ეგ ჩემი დამარხვის დღისათვის შემოინახა.

8. ვინაიდან გლახაკნი ყოველთვის გვერდითა გყავთ, მე კი ყოველთვის როდი გეყოლებით.

9. იუდეველთაგან ძალიან ბევრმა გაიგო, აქ არისო, და მოვიდნენ არა მარტო იესოს, არამედ ლაზარეს სანახავდაც, რომელიც აღადგინა მკვდრეთით.

10. ხოლო მღვდელმთავრებმა განიზრახეს ლაზარეს მოკვლაც.

11. ვინაიდან მის გამო მრავალი იუდეველი მოდიოდა და აღიარებდა იესოს.

12. მეორე დღეს დღესასწაულზე მოსულმა დიდძალმა ხალხმა, რაკი გაიგო, იესო იერუსალემს მიდისო,

13. აიღო პალმის რტოები და მისაგებებლად გამოეფინა; ლაღადებდნენ და ამბობდნენ: ოსანა! კურთხეულია

მომავალი უფლის სახელით. მეუფე ისრაელისა!

14. ხოლო იესომ იპოვა ჩოჩორი, და ზედ შეჯდა. როგორც დაწერილია:

15. ნუ გეშინია. ასულო სიონისაო! აჰა, მოდის შენი მეუფე. ჩოჩორზე მჯდარი!

16. მისი მოწაფეები კი პირველად ვერ მიხვდნენ ამას, მაგრამ როცა განდიდებულ იქნა იესო, მაშინღა გაიხსენეს. რომ ასე იყო დაწერილი მისთვის, და ასე მოექცნენ მას.

17. და მასთან მყოფი ხალხი უძოწმებდა, რომ საფლავით გამოიხმო ლაზარე და აღადგინა იგი მკვდრეთით.

18. ამიტომაც გამოეგება ხალხი, ვინაიდან გაეგო, რომ მან მოახდინა ეს სასწაული.

19. ხოლო ფარისევლებმა ერთმანეთს უთხრეს: ხომ ხედავთ, რომ ვერაფერს ვხდებით? აჰა, ქვეყნის ხალხი თან გაჰყვა მას.

20. დღესასწაულზე თაყვანისცემად ამოსულთა შორის ბერძნებიც იყვნენ.

21. მიადგნენ ფილიპეს, გალილეის ბეთსაიდელს, და უთხრეს მას: ბატონო, იესოს ნახვა გესურს.

22. მივიდა ფილიპე და უთხრა ეს ანდრიას; ხოლო ფილიპემ და ანდრიამ იესოს უთხრეს.

23. იესომ პასუხად მიუგო მათ: მოაწია კაცის ძის განდიდების ქამმა.

24. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუკი მიწაზე დავარდნილი პურის მარცვალი არ მოკვდა, ცალად დარჩება, ხოლო თუ მოკვდა, მრავალ ნაყოფს გამოიღებს.

25. ვისაც თავისი სული უყვარს, დალუპავს მას; და ვისაც თავისი სული სძულს ამ ქვეყნად, საუკუნო სიცოცხლისთვის შეინახავს მას.

26. ვინც მე შემსახურება, მევე გამოყვეს; და სადაც მე ვიქნები, იქვე იყოს ჩემი მსახურიც. ვინც შემსახურება მე, პატივს სცემს მას მამა.

27. აწ შეძრწუნდა სული ჩემი; და რა უნდა ვთქვა? მამაო, მიხსენ ამ სა-

ათისაგან; მაგრამ სწორედ ამისათვის მოვედი ამ საათს.

28. მამაო, განადიდე შენი სახელი! და გაისმა ზმა ზეცით; განვადიდე და კვლავ განვადიდე.

29. იქ მდგომმა ხალხმა, ამის გაგონებაზე თქვა: ქუხილი იყო; ხოლო სხვები ამბობდნენ: ანგელოზი ელაპარაკა მას.

30. მიუგო იესომ და თქვა: ჩემთვის კი არ იყო ეს ზმა, არამედ თქვენთვის.

31. აწ განისჯება ეს ქვეყანა; აწ განდევნიან ამ ქვეყნის მთავარს.

32. და როდესაც ავმალდები ქვეყნით, ყველას ავიტაცებ ჩემთან.

33. ხოლო ამას ამბობდა, რათა ეხიშნებინა, როგორი სიკვდილით უხდა მომკვდარიყო.

34. მიუგო მას ხალხმა: რჯულისაგან გავვიგონია, რომ ქრისტე უკუნისამდე უნდა ეგოს; და შენ როგორღა ამბობ, ძე კაცისა ამაღლდებო? ვინ არის ეს ძე კაცისა?

35. უთხრა მათ იესომ: ცოტა ხანს კიდევ იქნება ნათელი თქვენთან, იარეთ, სანამ გინათებთ, რათა არ მოგიცვათ ბნელმა; ვინაიდან ბნელში მოარულმა არ იცის, საით მიდის.

36. სანამ გინათებთ, გწამდეთ ნათელი, რათა გახდეთ ძენი ნათლისა. ეს რომ თქვა იესომ, წავიდა და გაუჩინარდა მათგან.

37. ამდენი სასწაული მოახდინა მათ წინაშე, მაგრამ არ იწამეს იგი.

38. რათა აღსრულდეს სიტყვა ესაია წინასწარმეტყველისა, რომელმაც თქვა: უფალო, ვინ იწამა ჩვენი ნათქვამი? ან ვის გამოეცხადა მკლავი უფლისა?

39. იმიტომაც ვერ იწამეს, რომ ესეც თქვა ესაიამ:

40. დაუვსო მათ თვალი და გაუქვავა გული; რათა არ იხილონ თვალით, და არ იგრძნონ გულით, და არ მოიქცნენ, რომ განვეკურნო ისინი.

41. ესა თქვა ესაიამ, როცა იხილა მისი დიდება და იუბნა მისთვის.

42. ასევე მთავართაგანაც მრავალმა იწამა იგი, მაგრამ ფარისევლთა გამო

ვერ აღიარეს, რათა სინაგოგისაგან არ მოეკვეთათ ისინი.

43. რადგანაც კაცთა დიდება უფრო მეტად შეიყვარეს, ვიდრე დიდება ღმრთისა.

44. ხოლო იესომ შელაღა და თქვა: ვისაც მე ვწამვარ, მე კი არ ვწამვარ, არამედ ჩემი მომავლინებელი.

45. და ვინც მე მხედავს, ჩემს მომავლინებელს ხედავს.

46. მე, ნათელი, მოვედი ქვეყნად, რათა არცერთი ჩემი მორწმუნე არ დარჩეს ბნელში.

47. თუ ვინმე მოისმენს ჩემს სიტყვებს და არ იწამებს, არ განვსჯი მას, ვინაიდან ქვეყნის განსასჯელად კი არ მოვედი. არამედ ქვეყნის სახსნელად.

48. ხოლო მას, ვინც უარმყოფს და არ შეიწყნარებს ჩემს სიტყვებს, თავისი მსაჯული ჰყავს: სიტყვა, რომელიც მე ვთქვი; ის განსჯის მას უკანასკნელ დღეს.

49. ვინაიდან ჩემდა თავად არაფერი მითქვამს, არამედ მამამ, ჩემმა მომავლინებელმა, მომცა მე მცნება, რა ვთქვა, ან რა ვილაპარაკო.

50. და მე ვიცი, რომ მისი მცნება არის სიცოცხლე საუკუნო. და რასაც მე ვიტყვი, როგორც მაუწყა მამამ, ისე ვიტყვი.

თავი მეცამეტი

1. პასექის დღესასწაულის წინ იცოდა იესომ, რომ მოაწია მისმა საათმა, რათა გასულიყო ამ ქვეყნიდან და მისულიყო მამასთან, ვინაიდან შეიყვარა თავისიანი, რომელნიც იყვნენ ამ ქვეყნად, და შეიყვარა ისინი აღსასრულამდე.

2. და სერობის უამს, როცა ეშმაკს უკვე ჩაენერგა სიმონის იუდას, ისკარიოტელის გულში მისი გაცემა,

3. იესო, რომელმაც იცოდა, რომ მამამ ყველაფერი ხელთ მისცა მას, და რომ ღმერთისაგან გამოვიდა და ღმერთისკენ მიდის,

4. ადგა სერობიდან, მოიძრო მოსას-

ხამი, აიღო პირსახოცი და წელზე მოირტყა.

5. მერე წყალი ჩაასხა საბანელში, და დაიწყო მოწაფეებისათვის ფეხების ბანა და პირსახოცით შემშრალება, რომელიც წელზე ერტყა.

6. და მივიდა სიმონ პეტრესთან, და უთხრა მას პეტრემ: უფალო, შენა მბან ფეხებს?

7. მიუგო იესომ და უთხრა მას: რასაც მე ვიქმ, შენ ჯერ არ იცი, მხოლოდ ამის შემდეგ გაიგებ.

8. უთხრა მას პეტრემ: არ დაძბან ფეხებს უკუნისამდე. მიუგო მას იესომ: თუკი არ დაგბან, ჩემთან არ გექნება წილი.

9. უთხრა მას სიმონ პეტრემ: უფალო, არა მარტო ფეხებს, არამედ ხელებსაც და თავსაც.

10. უთხრა მას იესომ: განბანილს არაფერი არ სჭირდება, ფეხების დაბანის გარდა, ვინაიდან სულ მთლად სუფთაა; და თქვენც სუფთანი ხართ, მაგრამ არა ყველა.

11. ვინაიდან იცნობდა თავის გამცემს, ამიტომაც თქვა: მაგრამ ყველა როდი ხართ სუფთა.

12. და როცა ფეხები დაბანა მათ, აიღო თავისი მოსასხამი, კვლავ ინახად დაჯდა და უთხრა მათ: იცით, რა გიყავით თქვენ?

13. თქვენ მე მიწოდებთ მოძღვარს და უფალს, და კარგად ამბობთ, რადგანაც ვარ.

14. ხოლო თუ მე, მოძღვარმა და უფალმა, დაგბანეთ ფეხები, თქვენც ასევე უნდა ჰბანდეთ ერთმანეთს ფეხებს.

15. ვინაიდან მაგალითი მოგეცით, რათა როგორც მე მოგექეცით თქვენც ისევე მოიქცეთ.

16. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ არის მონა, თავის მბრძანებელზე უმეტესი, და არც მოციქული, თავის მომავლინებელზე უპირატესი.

17. თუ ეს იცით, ნეტარნი ხართ, თუკი ასრულებთ ამას.

18. ყოველი თქვენგანისათვის როდი ვამბობ; მე ვიცი, ვინც ავირჩიე; არამედ რათა აღსრულდეს წერილი: ჩემთან ერთად პურის მჭამელმა აღმართა ჩემზე თავისი ქუსლი.

19. აწ გუთბნებით თქვენ, სანამ მოხდება; რათა, როცა მოხდება, იწამოთ, რომ მე ვარ.

20. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გუთბნებით თქვენ: ვინც შეიწყნარებს ჩემს მიერ მოვლინებულს, მე შემიწყნარებს; ხოლო ვინც მე შემიწყნარებს, შეიწყნარებს ჩემს მომავლინებულს.

21. ეს რომ თქვა, შეძრწუნდა იესო სულით, და იმოწმა და თქვა: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გუთბნებით თქვენ, რომ ერთი თქვენგანი გამცემს მე.

22. მოწაფეები ერთმანეთს უყურებდნენ, და არ იცოდნენ, ვისზე თქვა.

23. ხოლო ერთი მოწაფეთაგანი, რომელიც უყვარდა იესოს, მკერდზე მიყრდნობოდა მას.

24. ანიშნა მას სიმონ პეტრემ, რათა ეკათბა მისთვის, ვინ არის იგი, ვისზეც ამბობსო?

25. ხოლო ის მკერდზე მიეკრა იესოს, და უთხრა მას: უფალო, ვიხ არის?

26. მიუგო იესომ: ის არის, ვისაც ჩაწებულ ლუკმას მივცემ, და ჩააწო ლუკმა და მისცა იუდას, სიმონის ძეს, ისკარიოტელს.

27. და ამ ლუკმის შემდეგ შევიდა მასში სატანა, და უთხრა მას იესომ: რასაც აკეთებ, მალე გააკეთე.

28. მაგრამ ინახად მსხდომთაგან ვერაინ მიხვდა, რად უთხრა ეს.

29. ვინაიდან ზოგიერთს ეგონა, რაკი ყულაბა იუდას ებარა, იესო ეუბნება მას: იყიდე, რაც სადღესასწაულოდ გკვირდება, ან კიდევ გლახაკთა გასაკითხადო.

30. ხოლო ის ლუკმის მიღებისთანავე გავიდა, და იყო ღამე.

31. და როცა გავიდა, იესომ თქვა: აწ იდიდა ძე კაცისა, და ღმერთი იდიდა მის მიერ.

32. და თუ ღმერთი იდიდა მის მიერ,

ღმერთიც ადიდებს მას თავის მტრისადმი ადიდებს მას მალე.

33. შეილებო, ცოტა ხანსღა ვარ თქვენთან, ძებნას დამიწყებთ, და, როგორც ვუთხარი იუდეველებს: სადაც მივალ, თქვენ ვერ მოხვალთ-მეთქი, იმასვე გუთბნებით ახლა თქვენც.

34. გაძლევთ თქვენ ახალ მცნებას, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი; და როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე გიყვარდეთ თქვენც ერთმანეთი.

35. იმით გიცნობთ ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუკი გექნებათ ერთმანეთის სიყვარული.

36. უთხრა მას სიმონ პეტრემ: უფალო, სად მიხვალ? მიუგო მას იესომ: სადაც მე მივალ, შენ ვერ გამომყვები ამჟამად, არამედ შემდეგ გამომყვები.

37. უთხრა მას პეტრემ: უფალო, რატომ ვერ გამოგყვები ამჟამად? სულს დავდებ შენთვის.

38. მიუგო მას იესომ: სულს დადებ ჩემთვის? ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გუთბნები შენ: მამლის ყვილამდე სამჯერ უარმყოფ მე.

თავი მეთოთხმეტი

1. ნუ შეძრწუნდება თქვენი გული; გწამდეთ ღმერთი, და მოწამეთ მე.

2. მამის ჩემის სახლში ბევრი სავანია. ასე რომ არა, განა გეტყოდით თქვენ: მივდივარ, რათა ადგილი გაგიმზადოთ-მეთქი?

3. და როცა წავალ და ადგილს გაგიმზადებთ, კვლავ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ; რათა, სადაც მე ვიქნები, თქვენც იქვე იყოთ.

4. ხოლო სადაც მე მივალ, თქვენ იცით, და გზაც იცით.

5. უთხრა მას თომამ: უფალო, არ ვიცით, სად მიხვალ; როგორღა უნდა ვიცოდეთ გზა?

6. უთხრა მას იესომ: მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე; ვერავინ მივა მამასთან, თუ არა ჩემს მიერ.

7. თუკი მე მიცნობთ, მამასაც ჩემ-



სას იცნობთ; ხოლო ამიერიდან იცნობთ მას და ვიხილავთ იგი.

8. უთხრა მას ფილიპემ: უფალო, გვიჩვენე მამა, და საკმარისია ჩვენთვის.

9. უთხრა მათ იესომ: ამდენი ხანია თქვენთანა ვარ, და არ მიცნობ მე, ფილიპე? ვინც მე მიხილა, მამა იხილა; როგორღა ამბობ: მამა გვიჩვენეო?

10. ნუთუ არა გწამს, რომ მე მამაში ვარ, და მამა ჩემში? სიტყვებს, რომლებსაც გუთბნებით, ჩემით როდი გუთბნებით; მამა, რომელიც ჩემშია, იგი იქმს საქმეს.

11. მერწმუნეთ, რომ მე მამაში ვარ, და მამა ჩემშია; თუ არა და, საქმისამებრ მაინც მერწმუნეთ.

12. კეშმარიტად. კეშმარიტად გუთბნებით თქვენ: ვისაც მე ვწამვარ, საქმეს, რომელსაც ვიქმ, თავადაც იქმს, და უმეტესსაც იქმს, ვინაიდან მე მამასთან მივალ.

13. და რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, შეგისრულებთ, რათა იღიდოს მამა ძის მიერ.

14. და რაც უნდა ითხოვოთ ჩემი სახელით, შეგისრულებთ.

15. თუ გიყვარვართ, დაიცავით ჩემი მცნებანი.

16. და ვთხოვ მამას, და მოგივლებთ სხვა ნუგეშისმცემელს, რათა იყოს თქვენთან უკუნისამდე.

17. კეშმარიტების სულს, რომლის მიღებაც არ შეუძლია ქვეყანას, ვინაიდან ვერ ხედავს და არ იცნობს მას; ხოლო თქვენ იცნობთ, ვინაიდან თქვენთანაა და თქვენში იქნება.

18. არ დაგტოვებთ ობლად; მოვალ თქვენთან.

19. ცოტაც და ქვეყანა ვეღარ მიხილავს, ხოლო თქვენ მიხილავთ; ვინაიდან ვცოცხლობ, და თქვენც იცოცხლებთ.

20. იმ დღეს შეიცნობთ, რომ მე მამაში ვარ, და თქვენ ჩემში ხართ, ხოლო მე თქვენში.

21. ვისაც აქვს ჩემი მცნებანი და იცავს მათ, მას ვუყვარვარ მე, ხოლო

ვისაც ვუყვარვარ მე, შეჩვენებ მას მამა ჩემი; და მეც შეჩვენებ მას თავს გამოვუცხადებ მას.

22. უთხრა მას იუდამ, არა ისკარიოტელმა: უფალო, რა არის, რომ აპირებ ჩვენ გამოგვიცხადო თავი და არა ქვეყანას?

23. მიუვო იესომ და უთხრა მას: ვისაც ვუყვარვარ მე, დაიცავს ჩემს სიტყვას, და მამა ჩემი შეიყვარებს მას, და მივალთ და მასთან დავივანებთ.

24. ვისაც არ ვუყვარვარ, არ იცავს ჩემს სიტყვებს; ხოლო სიტყვა, რომელსაც ისმენთ, ჩემი კი არ არის, არამედ ჩემი მომავლინებელი მამისა.

25. თქვენთან მყოფმა გითხარით ეს.

26. ხოლო ნუგეშისმცემელი, სული წმიდა, რომელსაც მამა მოავლენს ჩემი სახელით, გასწავლით და მოგაგონებთ ყველაფერს, რაც მე გითხარით.

27. მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, მშვიდობას ჩემსას გაძლევთ თქვენ: არა ისე, როგორც ქვეყანა იძლევა, მე გაძლევთ თქვენ. ნუ შეკრთება თქვენი გული, ნურც შეშინდება.

28. ხომ გაიგონეთ, რაც გითხარით: მე მივდივარ და კვლავ მოვალ თქვენთან. რომ გიყვარდეთ, გაიხარებდით, რადგანაც ვთქვი: მამასთან მივდივარ-მეთქი, ვინაიდან მამა ჩემზე უმეტესია.

29. აწ გითხარით თქვენ, სანამ მოხდება, რათა, როცა მოხდება, ირწმუნოთ.

30. ბევრს ველარაფერს გეტყვით, რადგანაც მოდის ამ ქვეყნის მთავარი, და არაფერი აქვს ჩემში.

31. მაგრამ რათა გაიგოს ქვეყანამ, რომ მიყვარს მამა, და როგორც მამამ მამცნო, ისე ვაკეთებ, ადექით, წავიდეთ აქედან.

თავი მეთხუთმეტი

1. მე ვარ ვაზი კეშმარიტი, და მამა ჩემი მევენახეა.

2. და ყველა ლერწმს ჩემსას, რომელსაც არ გამოაქვს ნაყოფი, მოჭრის, და

ყველას, რომელსაც გამოაქვს ნაყოფი, გაწმენდს, რათა უფრო მეტი ნაყოფი გამოიღოს.

3. ხოლო თქვენ უკვე გაწმენდილნი ხართ სიტყვით, რომელიც გითხარით თქვენ.

4. დარჩით ჩემში, და მე დავრჩები თქვენში. როგორც ლერწი თავისთავად ვერ გამოიღებს ნაყოფს, თუკი არ შერჩება ვაზს, ასევე თქვენც, თუკი არ დარჩებით ჩემში.

5. მე ვარ ვაზი, ხოლო თქვენ ლერწები ხართ. ვინც ჩემში რჩება, ხოლო მე მასში, დიდძალი ნაყოფი გამოაქვს; ვინაიდან უჩემოდ არაფრის ქმნა არ შეგიძლიათ.

6. ვინც არ დარჩება ჩემში, ლერწივით გადაიგდება და გახმება; ხოლო შემდეგ ავროვებენ და ცეცხლში აგდებენ, და იწვის.

7. თუ დარჩებით ჩემში, და ჩემი სიტყვები დარჩება თქვენში, ყველაფერი, რაც გსურთ, ითხოვეთ და გექმებათ.

8. ამით იდიდება მამა ჩემი, თუ გამოიღებთ უხვ ნაყოფს, და იქნებით ჩემი მოწაფენი.

9. როგორც შემიყვარა მე მამამ, მეც ასევე შეგიყვარეთ თქვენ; დარჩით ჩემს სიყვარულში.

10. თუ დაიცავთ ჩემს მცნებებს, დარჩებით ჩემს სიყვარულში; როგორც მე დავიცავი მამის ჩემის მცნებანი, და ვრჩები მის სიყვარულში.

11. ეს გითხარით თქვენ, რათა ჩემი სიხარული თქვენში დარჩეს. და სრულ იყოს თქვენი სიხარული.

12. ეს არის ჩემი მცნება, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ.

13. არავისა აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრებისთვის.

14. თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ ასრულებთ იმას, რაც გამცნეთ თქვენ.

15. უკვე აღარ გიწოდებთ მონებს, ვინაიდან მონამ არ იცის, რას აკეთებს

მისი ბატონი; არამედ მეგობრებს ვიწოდებთ თქვენ, ვინაიდან, ვითხარით ყველაფერი, რაც მსმენია მამის ჩემისგან.

16. თქვენ კი არ ამირჩიეთ მე, არამედ მე ავირჩიეთ თქვენ, და დაგადგინეთ, რათა წახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ, და დარჩეს თქვენი ნაყოფი; რათა, რასაც სთხოვთ მამას ჩემი სახელით, მოგცეთ თქვენ.

17. ამას გამცნებთ თქვენ, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი.

18. თუ ქვეყანას სძულხართ, იცოდეთ, რომ მე მომიძულა უწინ.

19. ამ ქვეყნისანი რომ იყოთ, ქვეყანას ეყვარებოდა თავისი; მაგრამ რაკი ამ ქვეყნისანი არა ხართ, არამედ მე გამოგარჩიეთ ქვეყნისაგან, ამიტომაც სძულხართ ქვეყანას.

20. გაიხსენეთ სიტყვა, რომელიც გითხარით თქვენ: არ არის მონა, თავის ბატონზე უმეტესი. თუკი მე მდევნეს, თქვენც დაგიწყებენ დევნას; თუ დაიცვეს ჩემი სიტყვა, თქვენსასაც დაიცავენ.

21. ხოლო ყოველივე ამას შეგამთხვევენ ჩემი სახელის გამო, ვინაიდან არ იცნობენ ჩემს მომავლინებელს.

22. რომ არ მოგსულიყავი და არ შეთქვა მათთვის, არ ექნებოდათ ცოდვა, ახლა კი არა აქვთ მიტევება თავიანთი ცოდვისათვის.

23. ჩემს მოძულეს მამაც სძულს ჩემი.

24. რომ არ მექმნა მათ შორის საქმენი, რომელნიც სხვას არავის უქნია, არ ექნებოდათ ცოდვა; ახლა კი მიხილეს და მომიძულეს მეცა და მამაც ჩემი.

25. არამედ რათა აღსრულდეს სიტყვა დაწერილი მათს რჯულში; მომიძულეს მე უმიზეზოდ.

26. ხოლო როდესაც მოვა ნუგეშისმცემელი, რომელსაც მოგივლენთ მამის მიერ, კეშმართების სული, რომელიც გამოდის მამისაგან, ის იმოწმებს ჩემთვის.

27. და თქვენც მოწმენი იქნებით, ვინაიდან დასაბამითვე ჩემთან ხართ.

თავი მეთექვსმეტი

1. ეს გითხარით, რათა არ შეცდეთ.
2. გამოგყრიან სინავოგებიდან; აჰა, მოდის დრო, როცა ყველა თქვენს მკვლელს ეგონება, რომ ამით ემსახურება ღმერთს.
3. და ასე იზამენ იმიტომ, რომ ვერც მამა იცნეს და ვერც მე.
4. მაგრამ გითხარით ეს, რათა თქვენ, როცა მოვა დრო, გაიხსენოთ, რომ ეს გითხარით; თავიდანვე კი არ მითქვამს, ვინაიდან თქვენთან ვიყავი.
5. ახლა კი ჩემს მომავლინებელთან მივდივარ, და არცერთი თქვენგანი არ შეკითხება: სად მიხვალ?
6. თუმცა ეს რომ გითხარით, მწუხარებით აღივსო თქვენი გული.
7. არამედ ჭეშმარიტებას გეუბნებით: გიჯობთ, რომ მე წავიდე; რადგან თუ არ წავალ, არ მოვა თქვენთან ნუგეშისმცემელი; ხოლო თუ წავალ, მოგივლენთ მას.
8. და როცა მოვა, ამხილებს ქვეყანას ცოდვის, სიმართლისა და განკითხვისათვის:
9. ცოდვისათვის, რადგანაც არ ვწამვარ მე;
10. სიმართლისათვის, რადგანაც მამა ჩემთან მივდივარ და ველარ მიხილავთ მე.
11. განკითხვისათვის, რადგანაც ამ ქვეყნის მთავარი უკვე განკითხულია.
12. კვლავ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ამჟამად ველარ იტვირთავთ.
13. ხოლო როდესაც მოვა იგი, ჭეშმარიტების სული, წაგიძღვებათ თქვენ ყოველი ჭეშმარიტებისაკენ; ვინაიდან თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ რასაც მოისმენს, იტყვის, და მომავალს გაუწყებთ თქვენ.
14. ის მადიდებს მე, ვინაიდან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ.
15. ყველაფერი, რაც აქვს მამას, ჩემია; ამიტომაც ვთქვი, რომ ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ.
16. ცოტაც და ველარ მიხილავთ მე.

- და კიდევ ცოტაც და მიხილავთ მე, ვინაიდან მამასთან მივალ.
17. ხოლო მისმა მოწაფეებმა ერთმანეთს უთხრეს: ამას რას გვეუბნება: ცოტაც და ველარ მიხილავთ მე, და კიდევ ცოტაც და მიხილავთ მე; და: ვინაიდან მამასთან მივალ?
18. ასე ამბობდნენ: ამას რას ამბობს: ცოტაც? არ ვიცით, რას ამბობს.
19. იესო მიხვდა, რომ შეკითხვა სურდათ, და უთხრა მათ: იმისთვის ეკითხებით ერთმანეთს, რომ ვთქვი: ცოტაც და ველარ მიხილავთ მე, და კიდევ ცოტაც და მიხილავთ მე?
20. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ იტვირებთ და ივაგლახებთ, ხოლო ქვეყანა იხარებს; თქვენ მწუხარენი იქნებით, მაგრამ წუხილი სიხარულად გექცევათ.
21. ქალი, როცა შობს, წუხს, ვინაიდან მოიწია იმისი ჟამი; მაგრამ როცა შობს ყრმას, სიხარულისაგან აღარ ახსოვს ტანჯვა, ვინაიდან აღამიანი დაიბადა ქვეყნად.
22. ასევე თქვენც მწუხარენი ხართ ახლა; მაგრამ კვლავ გიხილავთ და გაიხარებთ თქვენი გული, და ველარავინ წაგართმევთ სიხარულს თქვენსას.
23. და იმ დღეს ნურაფერს მკითხავთ; ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც უნდა სთხოვოთ მამას ჩემი სახელით, მოგცემთ თქვენ.
24. აქამდე არაფერი გითხოვიათ ჩემი სახელით; ითხოვეთ და მიიღებთ, რათა სრულ იყოს თქვენი სიხარული.
25. აქამდე იგავებით გელაპარაკებოდით, მაგრამ მოდის დრო, როცა იგავებით კი აღარ გელაპარაკებით, არამედ მამის ჩემისათვის გაცხადებულად გაუწყებთ თქვენ.
26. იმ დღეს სთხოვთ ჩემი სახელით, და არ გეუბნებით, რომ მე ვთხოვ მამას თქვენთვის,
27. რადგან თვით მამას უყვარხართ, ვინაიდან მე შემეყვარეთ და ირწმუნეთ, რომ ღმერთისგან გამოვედი.
28. მამისაგან გამოვედი და ქვეყნად

მოვედი; და კვლავ ვტოვებ ქვეყანას და მამასთან მივალ.

29. მისმა მოწაფეებმა უთხრეს: აჰა, ახლა კი ცხადად ამბობ, და აღარ იტყვი არავითარ იგავს.

30. ახლა კი ვიცით, რომ ყველაფერი იცი, და არ გჭირდება, რომ ვინმემ გაითხოვს; ამიტომაც გვწამს, რომ ღმერთისაგან გამოზნული.

31. მიუგო მათ იესომ: ახლა კი გწამთ?

32. აჰა, მოდის ქამი, და მოვიდა კიდევ, როცა სათითაოდ გაიფანტებით და მარტო დამტოვებთ; მაგრამ არა ვარ მარტო, ვინაიდან მამა ჩემთანაა.

33. ეს გითხარით, რათა მშვიდობა გქონდეთ ჩემში. ჰირო გაქნებათ ქვეყნად; მაგრამ გამზნედი: მე ვძლიე ქვეყანა.

თავი მეჩვიდმეტი

1. ასე იუბნა იესომ, და ზეცად აღაპყრო თვალნი, და თქვა: მამაო, მოვიდა ქამი; განადიდე შენი ძე, რათა შენმა ძემაც განგადიდოს შენ.

2. რაკი მიეცი ზელმწიფება ყველა ზორციელზე, რათა ყველაფერს, რაც მიეცი, მისცეს საუკუნო სიცოცხლე.

3. ხოლო ეს არის საუკუნო სიცოცხლე, რათა გიცნობდნენ შენ ერთს, ჰეშმარიტ ღმერთს, და ვინც შენ მოავლინე, იესო ქრისტეს.

4. მე განგადიდე შენ დედამიწაზე; აღვასრულე საქმე, რომელიც მომეცი აღსასრულებლად.

5. ახლა კი შენ განმადიდე, მამაო, იმავ დიდებით, რომელიც შენთან მქონდა ქვეყნის შექმნამდე.

6. გამოვუტხადე შენი სახელი ადამიანებს, რომლებიც მომეცი მე ქვეყნისაგან; შენი იყვნენ და მე მომეცი ისინი და დაიციეს შენი სიტყვა.

7. ახლა შეიციენს, რომ ყველაფერი, რაც მე მომეცი, შენგან არის.

8. რადგან სიტყვები, რომლებიც მომეცი, მათ მივეცი, ხოლო მათ მიიღეს

და სცნეს ჰეშმარიტად, რომ შენ მიმართული მოვედი, და ირწმუნეს, რომ შენ მიმართული ვლანე.

9. მათთვის გვედრები: ქვეყნისთვის კი არ გვედრები. არამედ მათთვის, ვინაიდან შენნი არიან.

10. და ყველაფერი ჩემი შენია, შენი კი ჩემია, და მე ვიდიდე მათში.

11. და მე უკვე აღარა ვარ ქვეყნად, მაგრამ ისინი არიან ქვეყნად, ხოლო მე შენთან მოვდივარ, წმიდა მამაო; დაცავი ისინი შენი სახელით, რომელნიც მომეცი მე, რათა იყვნენ ერთი, როგორც ჩვენ.

12. როცა მათთან ვიყავი ქვეყნად, ვიცავდი მათ შენი სახელით, ისინი ვინც მომეცი, მე დავიფარე და არცერთი მათგანი არ დამილუპავს, გარდა დალუპვის ძისა, რათა აღსრულდეს წერილი.

13. ახლა კი შენთან მოვდივარ, და ამას ვამბობ ქვეყნად, რათა მქონდეთ მათ ჩემი სიბარული სრულად.

14. მე მივეცი მათ შენი სიტყვები, და ქვეყანამ მოიძულა ისინი, ვინაიდან ამ ქვეყნისაგან არ არიან, როგორც მე არა ვარ ამქვეყნიერი.

15. არ გვედრები, რომ აიტაცო ისინი ამ ქვეყნისაგან, არამედ რათა ბოროტისაგან დაიფარო ისინი.

16. ამ ქვეყნისაგან არ არიან, როგორც მე არა ვარ ამქვეყნიერი.

17. წმიდა-ყავ ისინი ჰეშმარიტებით, ვინაიდან ჰეშმარიტია შენი სიტყვა.

18. როგორც შენ მომავლინე ამ ქვეყნად, ისე მე მივავლინე ისინი ქვეყნად.

19. და მე მათთვის, წმიდა-ყავ ჩემს თავს, რათა ისინიც წმიდა იყვნენ ჰეშმარიტებით.

20. არა მარტო მათთვის გვედრები, არამედ ყველასათვის, ვისაც ვწამვარ მათივე სიტყვით.

21. რათა ყველანი ერთი იყვნენ, როგორც შენ, მამაო, ჩემში, და მე შენში; რათა ისინიც ერთი იყვნენ ჩვენში; და ირწმუნოს ქვეყანამ, რომ შენ მომავლინე.

22. და დიდება, რომელიც შენ მომცე. მე მივეცი მათ, რათა ერთი იყვნენ, როგორც ჩვენა ვართ ერთი.

23. მე მათში, და შენ ჩემში, რათა სრულნი იყვნენ ერთობით, და შეიცხოს ქვეყანამ, რომ შენ მომავლინე, და შეიყვარე ისინი, როგორც შემეყვარე მე.

24. მაშაო, მსურს, რომ სადაც მე ვიქნები, იქვე იყვნენ ისინიც, რომელნიც მომცე მე, რათა ხედავდნენ ჩემს დიდებას, რომელიც მომცე მე, ვინაიდან შემეყვარე ქვეყნის შექმნამდე.

25. მაშაო მართალო! ქვეყანამ ვერ გიცნო შენ, ხოლო მე გიცანი შენ, და მათაც სცნეს, რომ შენ მომავლინე.

26. და მე ვაუწყე მათ შენი სახელი, და კვლავაც ვაუწყებ, რათა სიყვარული, რომლითაც შემეყვარე, მათში იყოს, და ვიყო მე მათში.

თავი მეთვრამეტე

1. ეს რომ თქვა, იესო თავისი მოწაფეებითურთ გავიდა კედრონის ხევს გაღმა, სადაც იყო ბაღი, რომელშიაც შევიდა თვითონ და მისი მოწაფეები.

2. იცოდა იუდამაც, მისმა გამცემმა, ეს ადგილი, ვინაიდან იესო და მისი მოწაფეები ხშირად იკრიბებოდნენ იქ.

3. მაშინ წაიყვანა იუდამ რაზმი და მღვდელმთავართა და ფარისევლთა მსახურნი, და მივიდა იქ ლამპრებით, ჩირაღდნებითა და საჭურვლით.

4. ხოლო იესომ იცოდა ყველაფერი, რაც მოელოდა, გამოვიდა და უთხრა მათ: ვის ეძებთ?

5. მიუგეს მას: იესო ნაზარეველს. უთხრა მათ იესომ: მე ვარ. ხოლო იუდაც, მისი გამცემი, მათთან იდგა.

6. და როცა უთხრა მათ: მე ვარო, უკუიქცნენ და მიწაზე დაემხნენ.

7. კვლავ ჰკითხა მათ: ვის ეძებთ? ხოლო მათ თქვეს: იესო ნაზარეველს.

8. მიუგო იესომ: აკი გითხარით, მე ვარ-მეთქი. თუ მე მეძებთ, გაუშვით ესენი, წავიდნენ.

9. რათა აღსრულდეს სიტყვა, რომე-

ლიც თქვა: მათგან, რომელნიც მომცე მე, არ დამიღუპავს.

10. ხოლო სიმონ პეტრეს ჰქონდა მახვილი, იშვილა, და დაჰკრა მღვდელმთავრის მონას, და მარჯვენა ყური ჩამოათალა. ხოლო სახელი მონისა იყო მალქოსი.

11. მაგრამ იესომ უთხრა პეტრეს: ჩააგე მახვილი ქარქაშში! ნუთუ არ უნდა შევესვა სასმისი, რომელიც მომცა მე მაშამ?

12. მაშინ მეომრებმა და ათასისთავმა და იუდეველთა მსახურებმა შეიპყრეს იესო და შეკრეს იგი.

13. და მიიყვანეს ჯერ ანასთან, ვინაიდან ის იყო სიმამრი კაიაფასი, რომელიც იყო მღვდელმთავარი იმ წელიწადს.

14. ხოლო ეს კაიაფა იყო ის, ვინც ურჩია იუდეველებს, რომ უმჯობესია ერთი კაცი მოკვდეს ხალხისთვის.

15. მისდევდა იესოს სიმონ პეტრე, და სხვა მოწაფე. ხოლო ეს მოწაფე მღვდელმთავრის ნაცნობი იყო, და იესოსთან ერთად შევიდა მღვდელმთავრის ეზოში.

16. პეტრე კი გარეთ იდგა, კიშკართან. გამოვიდა მეორე მოწაფე, რომელიც მღვდელმთავრის ნაცნობი იყო, რაღაც უთხრა მეკარე ქალს, და შეიყვანა პეტრე.

17. ხოლო მეკარე ქალმა უთხრა პეტრეს: განა შენც ამ კაცის მოწაფეთაგანი არა ხარ? მან თქვა: არა ვარ.

18. მღვდელმთავართა მონები და მსახურნი იდგნენ, და, რაკი ციოდა, ცეცხლი დაენთოთ და თბებოდნენ. პეტრეც მათთან იყო და თბებოდა.

19. ხოლო მღვდელმთავარმა ჰკითხა იესოს მისი მოწაფეებისა და მისი მოძღვრებისათვის.

20. მიუგო მას იესომ: მე აშკარად ველაპარაკებოდი ქვეყანას; მარადყამ ვასწავლიდი სინაგოგასა და ტაძარში, სადაც ყოველი მხრიდან იკრიბებიან იუდეველნი, და ფარულად არა მითქვამს რა.

21. მე რას მეკითხები? მსმენელებს

ჰკითხე, რას ვეუბნებოდი მათ. აჰა, ამით იციან, რასაც ვამბობდი.

22. ეს რომ თქვა, ერთმა იქვე მდგომმა მსახურმა სილა გააწნა იესოს და უთხრა: ასე მიუგებ მღვდელმთავარს?

23. უთხრა მას იესომ: თუ ცუდად ვთქვი, მიჩვენე ცუდი, და თუ კარგად, რატომ მცემ მე?

24. მაშინ ანნამ შეკრული გაუგზავნა იგი კაიფა მღვდელმთავარს.

25. ხოლო სიმონ-პეტრე იდგა და თბებოდა. და უთხრეს მას: განა შენც მისი მოწაფეთაგანი არა ხარ? მაგრამ მან უარყო და თქვა: არა ვარ.

26. მღვდელმთავრის ერთმა მონამ, იმისმა ნათესავმა, ვისაც ყური ჩამოათალა პეტრემ, უთხრა მას: განა მასთან ერთად არ დაგინახე ბაღში?

27. და კვლავ უარყო პეტრემ, და მყისვე იყივლა მამალმა.

28. ხოლო კაიფასაგან პრეტორიუმში წაიყვანეს იესო. განთიადი იყო; და თვითონ არ შესულან პრეტორიუმში, რათა არ შებილწულიყვნენ, რომ შესძლებოდათ პასექის ჭამა.

29. გამოვიდა მათთან პილატე და თქვა: რასა სდებთ ბრალად ამ კაცს?

30. მიუგეს და უთხრეს მას: ეს რომ ბოროტმოქმედი არ იყოს, შენ როდი გადმოგცემდი.

31. უთხრა მათ პილატემ: წაიყვანეთ და თქვენ რჯულისამებრ განსაჯეთ; იუდეველებმა მიუგეს მას: ჩვენ უფლება არა გვაქვს ვინმეს მოკვლისა.

32. რათა აღსრულდეს იესოს სიტყვა, რომელიც თქვა იმის მისანიშნებლად, თუ როგორი სიკვდილით უნდა მომკვდარყო.

33. კვლავ შევიდა პილატე პრეტორიუმში, მოუხმო იესოს და უთხრა მას: შენა ხარ იუდეველთა მეფე?

34. მიუგო მას იესომ: შენ თვითონ ამბობ მაგას, თუ სხვებმა გითხრეს ჩემზე?

35. მიუგო პილატემ: განა მე იუდეველი ვარ? შენმა ხალხმა და მღვდელმთავრებმა გადმომცეს შენი თავი. რა ჩაიღინე?

36. მიუგო იესომ: ჩემი მეფე არის ამქვეყნიური. ამქვეყნიურად არა იყოს ჩემი მეუფება, ჩემი მსახურნი იბრძობებდნენ, რომ ხელში არ ჩავვარდნოდი იუდეველებს. მაგრამ აწ ჩემი მეუფება არ არის ამქვეყნიური.

37. უთხრა მას პილატემ: მაშ, შენ მეფე ხარ? მიუგო იესომ: შენ ამბობ, რომ მეფე ვარ. იმიტომ დაგიბადე და იმიტომ მოვივლინე ქვეყნად, რომ ჭეშმარიტება ვიმოწმო. ყველა, ვინც ჭეშმარიტებისაგან არის, ისმენს ჩემს ხმას.

38. უთხრა მას პილატემ: რა არის ჭეშმარიტება? ეს რომ თქვა, კვლავ გამოვიდა იუდეველებთან და უთხრა მათ: მე ვერავითარ ბრალს ვერ ვპოულობ მასში.

39. ხომ გაქვთ ჩვეულება, რომ ერთი კაცი გაგითავისუფლოთ პასექის დროს? თუ გინდათ, გაგითავისუფლებთ იუდეველთა მეფეს.

40. მაგრამ ყველანი აყვირდნენ და თქვეს: ეგ კი არა, არამედ ბარაბა; ხოლო ბარაბა ყაჩაღი იყო.

თავი მეცხრამეტი

1. მაშინ პილატემ წაიყვანა იესო და გააშოლტვინა.

2. ხოლო ჯარისკაცებმა ეკლის გვირგვინი დაწნეს, თავზე დაადგეს, და ძოწეულით შემოსეს იგი.

3. და ეუბნებოდნენ: გიხაროდეს, იუდეველთა მეფევ! და სახეში ურტყამდნენ მას.

4. კვლავ გამოვიდა გარეთ პილატე, და უთხრა მათ: აჰა, გამოგიყვანთ მას, რათა იცოდეთ, რომ ვერავითარ ბრალს ვერ ვპოულობ მასში.

5. და გამოვიდა იესო გარეთ, ეკლის გვირგვინითა და ძოწის მოსასხამით. და უთხრა მათ პილატემ: აჰა, კაცო!

6. ხოლო როდესაც დაინახეს იგი მღვდელმთავრებმა და მსახურებმა, აყვირდნენ: ჭვარს აცვი, ჭვარს აცვი! უთხრა მათ პილატემ: თქვენ თვითონ წა-

იყვანეთ იგი და ჭვარს აცვიოთ; ვინაიდან მე ვერ ვბოულობ მასში ბრალს.

7. იუდეველებმა მიუტეეს მას: ჩვენა გვაქვს რჯული, და ჩვენი რჯულის მიხედვით, სიკვდილის ღირსია, ვინაიდან ღმერთის ძედ დასახა თავისი თავი.

8. ეს სიტყვა რომ გაიგონა პილატემ, უფრო შეშინდა.

9. და კვლავ შევიდა პრეტორიუმში და უთხრა იესოს: სადაური ხარ შენ? ხოლო იესომ არაფერი მიუგო მას.

10. უთხრა მას პილატემ: მე არ მცემ ხმას? ნუთუ არ იცი, რომ ხელმეწიფება ჭვარს გაცვა შენ და ხელმეწიფება შენი გაშვება?

11. მიუგო იესომ: არ გექნებოდა არავითარი ხელმეწიფება ჩემზე, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა. ამიტომ უფრო დიდი ცოდვა აქვს მას, ვინც ჩემი თავი გადმოგცა შენ.

12. ამის შემდეგ ცდილობდა პილატე გაეშვა იგი. მაგრამ იუდეველები აყვირდნენ და თქვეს: თუ მას გაუშვებ, კენისრის მეგობარი არა ხარ. რადგან, ვისაც მეფედ მოაქვს თავი, კენისარს ეუბრჩება.

13. ეს სიტყვა რომ გაიგონა პილატემ, გარეთ გამოიყვანა იესო, და დაჯდა სამსჯავრო სკამზე, იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია ლითოსტროტოს, ხოლო ებრაულად გაბათა.

14. იყო პასეჟის პარასკევი, ასე, მეექვსე საათი. და უთხრა იუდეველებს: აჰა, თქვენი მეფე!

15. ხოლო ისინი აყვირდნენ: წაიყვანა, წაიყვანა, ჭვარს აცვიო იგი! უთხრა მათ პილატემ: თქვენი მეფე ჭვარს ვაცვა? მღვდელმთავრებმა მიუტეეს: არა გვყავს მეფე, კენისრის გარდა.

16. მაშინ მისცა მათ ჭვარზე საცმელად. ხოლო მათ წაიყვანეს იესო.

17. და მიჰქონდა თავისი ჭვარი, და მივიდა იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია თბემისა, ხოლო ებრაულად გოლგოთა.

18. და იქ ჭვარს აცვეს იგი, და მასთან ერთად ორი სხვაც, აქეთ და იქით, ხოლო შუაში იესო.

19. და დაწერა წარწერა პილატემ და

დააკრა ჭვარს; ხოლო წარწერა ასეთი იყო: იესო ნაზარეტელი, რომელიც მეფე.

20. ეს წარწერა ბევრმა წაიკითხა იუდეველთაგან, ვინაიდან ადგილი, სადაც ჭვარს აცვეს იესო, აწლო იყო ქალაქთან; და დაწერილი იყო ებრაულად, ლათინურად და ბერძნულად.

21. ხოლო იუდეველთა მღვდელმთავრებმა უთხრეს პილატეს: ნუ დაწერ: მეფე იუდეველთა, არამედ როგორც მან თქვა: მე ვარ იუდეველთა მეფე.

22. მიუგო პილატემ: რაც დავწერე, დავწერე.

23. ხოლო მეომრებმა, რომლებმაც ჭვარს აცვეს იესო, აიღეს მისი სამოსი და ოთხ ნაწილად გაყვეს, თვითულ შემომარს ხვდა თავისი წილი, და აგრეთვე კვართი. ხოლო კვართი ნაკერი კი არ იყო, არამედ თავიდან ბოლომდე ნაქსოვი.

24. და უთხრეს ერთმანეთს: ნუ დავხვეთ ამას, არამედ წილი ვიყაროთ მასზე, ვნახოთ ვის შეხვდება; რათა აღსრულდეს წერილი, რომელიც ამბობს: გაიყვეს ჩემი სამოსი ერთმანეთს შორის, და ჩემს კვართზე იყარეს წილი. ასე მოიქცნენ მეომრები.

25. ხოლო იესოს ჭვართან იდგნენ დედა მისი და დედის და მისი, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალელი.

26. ხოლო იესომ, როცა დაინახა დედა და იქვე მდგომი მოწაფე, რომელიც უყვარდა, უთხრა დედას: დედაო, აჰა, შენი ძე!

27. მერე კი მოწაფეს უთხრა: აჰა, დედა შენი! და იმ საათიდან მოწაფემ თავისას წაიყვანა იგი.

28. შემდგომ ამისა, რაკი მიხვდა, რომ უკვე აღსრულდა ყველაფერი, რათა აღსრულდეს წერილი, იესომ თქვა: მწყურია.

29. იქვე იდგა ძმრით სავსე ჭურჭელი. ხოლო მათ გაყლინთეს ღრუბელი ძმრით, უსუპს წამოაცვეს და პირთან მიუტანეს მას.

30. და როცა იგემა ძმარი, იესომ

თქვა: აღსრულდა! და მოიდრიკა თავი და სული განუტევა.

31. მაგრამ რაკი პარასკევი იყო, გვაგებო რომ ჯვარზე არ დარჩენილიყვნენ შაბათს (ვინაიდან ეს შაბათი დიდი დღე იყო). იუდეველებმა სთხოვეს პილატეს, წვივები გადაემსხვრიათ მათთვის, და ჩამოეხსნათ.

32. მაშინ მივიდნენ მეომრები და წვივები გადაუმსხვრიეს ერთსაც და მეორესაც, მასთან ჯვარცმულთ.

33. ზოლო როდესაც იესოსთან მივიდნენ, დაინახეს, რომ უკვე მომკვდარიყო, და აღარ გადაუმსხვრიეს წვივები.

34. მაგრამ ერთმა მეომარმა შუბი ამგერა ფერდში, და მყისვე გადმოსჩქეფა სისხლმა და წყალმა.

35. და ვინც იხილა, იმოწმა, და კეშმარიტია მისი მოწმობა, და მან იცის, რომ კეშმარიტს ამბობს, რათა ირწმუნოთ თქვენც.

36. რადგან ეს მოხდა, რათა აღსრულდეს წერილი: ძვალი მისი არ შეიმუსროს.

37. ზოლო სხვაგან კვლავ ამბობს წერილი: იხილავენ მას, ვინც განგმირეს.

38. ამის შემდეგ იოსებ არიმათიელმა (რომელიც იესოს მოწაფე იყო, მაგრამ ფარულად, ვინაიდან იუდეველებისა ეშინოდა) სთხოვა პილატეს, რათა ჩამოეხსნა იესოს სხეული, და ნება დართო პილატემ, და მივიდა და ჩამოხსნა მისი სხეული.

39. და მოვიდა ნიკოდემეც (რომელიც წინათ ლამით მივიდა იესოსთან), და მოიტანა მურისა და ალოეს ნახაჟი, ასიოდ ლიტრა.

40. და აიღეს იესოს სხეული, და განვიდნენ ტილოებში, ნელსაცხებელთან ერთად, როგორც ჩვეულებისამებრ მარხავენ იუდეველნი.

41. იმ ადგილას, სადაც ჯვარს აცვეს, იყო ბაღი, ზოლო ბაღში — ახალი სამარხი, რომელშიაც მანამდე არავინ დაესვენებინათ.

42. იქ დაასვენეს იესო, იუდეველთა

პარასკევის გამო, ვინაიდან აღსრულდა სამარხი.

თავი მეოცე

1. ზოლო კვირის პირველ დღეს დილაუთენია მოვიდა მარიამ მაგდალელი სამარხთან, როცა ჯერ ისევ ბნელოდა, და დაინახა, რომ სამარხიდან აეღოთ ლოდი.

2. გაიქცა და მივიდა სიმონ-პეტრესა და მეორე მოწაფესთან, რომელიც უყვარდა იესოს, და უთხრა მათ: სამარხიდან წაუღიათ უფალი, და არ ვიცი, სად დადევს იგი.

3. გამოვიდნენ პეტრე და მეორე მოწაფე, და სამარხისკენ გაემართნენ.

4. ორივენი ერთად მიბოდნენ; მაგრამ მეორე მოწაფემ გაუსწრო პეტრეს, და პირველი მივიდა სამარხთან.

5. და დაინახა და დაინახა დაყრილი ტილოები, მაგრამ არ შევიდა შიგ.

6. მის კვალდაკვალ მოვიდა სიმონ-პეტრეც და შევიდა სამარხში, და დაინახა დაყრილი ტილოები;

7. ზოლო სუდარა, რომელიც თავზე ეფინა, ტილოებთან კი არ იდო, არამედ ცალკე დაკეცილი დაედოთ სხვაგან.

8. მაშინ შევიდა მეორე მოწაფეც, რომელიც პირველად მივიდა სამარხთან, და იხილა და იწამა.

9. რადგან ჯერ კიდევ არ იცოდნენ წერილი, რომ მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო.

10. და მოწაფეები კვლავ სახლში დაბრუნდნენ.

11. ზოლო მარიამი სამარხთან იდგა და ტიროდა, და მტირალი დაინახა სამარხისაკენ.

12. და იხილა თეთრი სამოსით მოსილი ორი ანგელოზი, ერთი თავით, ზოლო მეორე ფეხით იჯდა იმ ადგილას, სადაც ესვენა იესოს სხეული.

13. და უთხრეს მას: ქალო, რად სტირი? უთხრა მათ: წაუღიათ ჩემი უფალი, და არ ვიცი, სად დადევს იგი.

14. ეს რომ თქვა, უკან შემობრუნ-

და და დაინახა, იქვე მდგარი იესო, მაგრამ ვერ იცნო, რომ იესო იყო.

15. უთხრა მას იესომ: ქალო, რად სტირი? ვის ეძებ? მას ეგონა მებაღეაო, და უთხრა მას: ბატონო, თუ შენ წაილე იგი, მითხარი, სად დადე, და მე ავიღებ მას.

16. უთხრა მას იესომ: მარიამ! ის შებრუნდა და უთხრა მას: რაბუნი! რაც ნიშნავს მოძღვარს.

17. უთხრა მას იესომ: ნუ შემეხებები, ვინაიდან ჯერ კიდევ არ აესულვარ მამასთან; წადი ჩემს ძმებთან და უთხარი: ავდივარ მამა ჩემთან და მამა თქვენთან და ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან.

18. მარიამი მივიდა და აღუყა მოწაფეებს, რომ იხილა უფალი, რომელმაც ასე უთხრა მას.

19. ხოლო კვირის ამავე პირველ დღეს, საღამოხანს, როცა სახლის კარი, სადაც იყვნენ მოწაფეები, იუდეველთა შიშით დაბნული იყო, მივიდა იესო. შუაში დადგა და უთხრა მათ: მშვილობა თქვენდა!

20. ეს რომ თქვა, თავისი ხელები და ფერდი უჩვენა მათ. ხოლო მოწაფეებმა გაიხარეს უფლის ხილვით.

21. კვლავ უთხრა მათ იესომ: მშვილობა თქვენდა! როგორც მე მომავლენა მამამ, ისე მე წარგავლენთ თქვენ.

22. ეს რომ თქვა, შეუბერა და უთხრა მათ: მიიღეთ სული წმიდა.

23. ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიუტევებთ მათ; და ვისაც დაუტოვებთ, დარჩება მათ.

24. ხოლო თომა, ერთი თორმეტაგანი, რომელსაც ერქვა ტყუპი, იესოს მოსვლისას არ იყო მათთან.

25. სხვა მოწაფეებმა უთხრეს: ვიხილეთ უფალი. ხოლო მან თქვა: თუ არ ვიხილავ მის ხელებზე ლურსმნების ნაკვდევს და არ ჩავყოფ ნაჭდევი თითს, ხოლო მის ფერდში არ ჩავდებ ხელს, არ ვირწმუნებ.

26. რვა დღის შემდეგ კვლავ სახლში იყვნენ მისი მოწაფეები, და თომაც მათთან ერთად. და შევიდა იესო, თუმცა

დაბნული იყო კარი. მან, მოტის დადგა და თქვა: მშვილობა თქვენდა!

27. მერე კი თომას უთხრა: მოიტა შენი თითი, და იხილე ჩემი ხელები; და მოიტა შენი ხელი და ჩადე ჩემს ფერდში; და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ გწამდეს.

28. მიუგო თომამ და უთხრა მას: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!

29. უთხრა მას იესომ: რაკი მიხილე, თომა, მიტომ მიწამე; ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუხილავარ და მაინც მიწამეს.

30. ბევრი სხვა სასწაულიც ქმნა იესომ თავისი მოწაფეების წინაშე, რომლებიც არ დაწერილა ამ წიგნში.

31. ესენი კი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღმერთისა, და რათა მორწმუნეთ გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით.

თავი ოცდამეერთე

1. შემდგომ ამისა, კვლავ გამოეცხადა იესო მოწაფეებს ტიბერიადის ზღვაზე, და გამოეცხადა ასე:

2. იყვნენ ერთად სიმონ-პეტრე, და თომა, ტყუპისკალად წოდებული, და ნათანაელი, გალიელის კანელი, და ზებედეს ძენი, და ორი სხვა მისი მოწაფე.

3. უთხრა მათ სიმონ-პეტრემ: სათევზაოდ მივდივარ. მიუგეს: ჩვენც წამოგყვებით. წავიდნენ და მაშინვე ჩასბდნენ ნავში; მაგრამ იმ ღამეს ვერაფერი დაიჭირეს.

4. ხოლო როცა ინათა, ნაპირზე იდგა იესო; მოწაფეები კი ვერ მიხვდნენ, რომ იესოა.

5. უთხრა მათ იესომ: შვილებო, საკმელი თუ გაქვთ რამე? მიუგეს: არა.

6. ხოლო მან უთხრა მათ: ნავის მარჯვენა კიდიდან ისროლეთ ბადე და პპოვებთ; ისროლეს და ველარ ამოზიდეს, თევზის სიმრავლის გამო.

7. ხოლო მოწაფემ, რომელიც უყვარდა იესოს, უთხრა პეტრეს: უფალია!

სიმონ-პეტრემ კი, როცა გაიგონა, უფა-
ლიაო, სამოსი შემოიხვია, ვინაიდან ში-
შველი იყო, და ზღვაში გადახტა.

8. ზოლო სხვა მოწაფეები ნავით გა-
მოვიდნენ (ვინაიდან შორს არ იყვნენ
ნაპირიდან, ასე, ორასი წყრთის მანძი-
ლზე) და გამოათრიეს თევზით სავსე
ბადე.

9. და როცა გამოვიდნენ ნაპირზე,
დაინახეს მიწაზე მდებარე ნაკვერცხა-
ლი, ზოლო ზედ თევზი, და პური.

10. უთხრა მათ იესომ: მოიტანეთ
თევზი, წელან რომ დაიჭირეთ.

11. წავიდა სიმონ პეტრე და ნაპი-
რზე გამოათრია ბადე, დიდრონი თევ-
ზებით სავსე (ას ორმოცდაცამეტი ცა-
ლი); და თუშცა ამდენი იყო, მაინც არ
გაიხა ბადე.

12. უთხრა მათ იესომ: მოდიოთ, ისა-
უზმეთ. ზოლო მოწაფეთაგან ვერავინ
გაბედა ეკითხა მისთვის: ვინა ხარ შენ?
ვინაიდან იცოდნენ, რომ უფალაა.

13. მოვიდა იესო, აიღო პური და
მისცა მათ. და აგრეთვე თევზი.

14. ეს უკვე მესამედ გამოეცადა
იესო თავის მოწაფეებს, მკვდრეთით
აღდგომის შემდეგ.

15. ზოლო როდესაც ისაუზმეს, უთ-
ხრა სიმონ პეტრეს იესომ: სიმონ, იო-
ნას ძეო, ამათზე მეტად გიყვარვარ მე?
უთხრა მას პეტრემ: დიახ, უფალო;
შენ იცი, რომ მიყვარხარ. უთხრა მას
იესომ: აძოვე ჩემი კრავები.

16. მეორედაც უთხრა მას: სიმონ,
იონას ძეო, გიყვარვარ მე? უთხრა მას
პეტრემ: დიახ, უფალო; შენ იცი, რომ
მიყვარხარ. უთხრა მას იესომ: მწყემსე
ჩემი ცხვრები.

17. მესამედაც უთხრა მას: სიმონ,

იონას ძეო, გიყვარვარ მე? უთხრა
პეტრე, ვინაიდან მესამედ მიყვარ-
ვარვარ მეო? და უთხრა მას: უფალო,
შენ ყველაფერი იცი; იცი, რომ მიყვარ-
ხარ. უთხრა მას იესომ: აძოვე ჩემი
ცხვრები.

18. კეშმარიტად, კეშმარიტად გეუბ-
ნები შენ: სანამ იყავ ახალგაზრდა, სა-
რტყელს შემოირტყამდი და მიდიოდი,
სადაც გინდოდა; ზოლო როდესაც და-
ბერდები, ხელებს გაიწვდი, და სხვა
შემოგარტყამს სარტყელს და წაგიყვანს,
სადაც არ გინდა.

19. ზოლო ეს თქვა, რათა ენიშნები-
ნა, როგორი სიკვდილით განადიდებდა
პეტრე ღმერთს. და ეს რომ თქვა, უთ-
ხრა: გამომყევი მე.

20. შემობრუნდა პეტრე და დაიხა-
ხა, რომ უკან მოსდევდა მოწაფე, რო-
მელიც უყვარდა იესოს, და რომელმაც
სერობისას მის მკერდზე მიყრდნობი-
ლმა უთხრა: უფალო, ვინ გაგცემს შენ?

21. ეს რომ დაინახა, პეტრემ უთხრა
იესოს: უფალო, კი მაგრამ, ეს რა?

22. უთხრა მას იესომ: თუკი მნებაეს,
რომ ეგ იყოს, ვიდრე მოვალ, შენ რა?
შენ მე გამომყევი.

23. და გავრცელდა ეს სიტყვა ძმებს
შორის, რომ ეს მოწაფე არ მოკვდება,
მაგრამ იესომ ის კი არ თქვა, რომ არ
მოკვდება, არამედ: თუკი მნებაეს, რომ
ეგ იყოს, ვიდრე მოვალ, მერე შენ რაო?

24. ეს არის მოწაფე, რომელიც მო-
წმობს ამას, და დაწერა ეს. და ვიცით,
რომ კეშმარიტია მოწმობა მისი.

25. ბევრი სხვა რამეც მოიმოქმედა
იესომ; მაგრამ ყველაფერი სათითაოდ
რომ დაწერილიყო, ვგონებ, ქვეყანაც
ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს. ამინ.

თარგმანი ძველბერძნულიდან



გივი გავაჭკორი

აპრილის ელავია

როგორ მინდა, ამ ლექსში
მზემ რომ გამოიხედოს,
თვალცრემლიან ქართველს
სიტყვამ სული შთაბეროს,
თვალზე ცრემლი შეუშროს,
აზიაროს ნათელს...

მაგრამ ამდენს ვერ იზამს,
სიხარულის ფრინველი
ალარ ხტის და გოგავს
და მე ვერ ვუმკლავდები
უცებ ყელში გაჩენილ
უმწეობის გორგალს.

ჩემო კარგო ქვეყანავ,
როგორ მოგიწყენია,
დარდი როგორ გჯაბნის,
ვაი, როგორ მეგონა,
რომ მე ვეღარ ვიცნობდი
საქართველოს აპრილს!

არა-მეთქი, არ არის
ჩემი ერი ობოლი,
ვერ დავარქმევ ობოლს,
მარიამის წილხვედრი
ვერ იქნება ობოლი
და მან უნდა შობოს

მომავალი ნათელი,
მხნე და თავისუფალი,
დაემგვანოს ჭაბუკს
და გულგრილად გახედოს
ზოგჯერ თავზე გადავლილ
ქილყვაეების თაბუნს.



ისევ გული მოიცეს,
 ისევ ჰრელი ჩაიცვას,
 ძაძა გაიზადოს,
 მაშინ აღარ იქნები
 ასე თვალცრემლიანი,
 ღვთისმშობელის ხატო!

როგორ მინდა, ამ ლექსში
 მზემ რომ გამოიხედოს.
 თვალცრემლიან ქართველს
 თვალზე ცრემლი შეუშროს...
 ლექსი ამას თუ იზამს,
 კვლავ ვატარებ ცხრა თვეს

და მე დავემგვანები
 მღალადებლად დაცემულ,
 დუემორეულ სალოსს,
 ალბათ საქართველოსთვის
 ერთხელ მაინც უფალმა
 უნდა მოიცალოს!..

უზურპატორი

უზურპატორმა გარდმოავლო თვალი ფრანციას
 და თქვა, როდესაც ნაომარი დაეყრდნო მახვილს:
 „ვისაც შეუქმენ იმპერია, რომ შეგაქცია
 იმ ხალხმა ზურგი, ახი არის, ნამდვილად ახი!..“

რომ ყოფილიყავ შენ პატრონი შენი ერისა,
 სიკვდილის შემდგომ ველარაფერს ვერ დაგაკლებდნენ
 და აგცდებოდა შენ უთუოდ მაშინ შერისხვა,
 არ დაამსხვრევდნენ მოედნებზე შენს ქანდაკებებს.

რომ იყოს-მეთქი მბრძანებელი თუნდაც იროდი,
 როდესაც ყამი იბობოქრებს და ყამი წარვალს,
 თავის ერს თუკი ემსახურა, როცა სჭიროდა,
 მაშინ ის ერი მტარვალობას შეუნდობს მტარვალს.

და მისი ერის განმტკიცებას თუ დაივალეbs,
 შეუნდობს სისხლის ოკეანეს და შვილის სისხლსაც
 და თავის მეფეს, თუნდ მრისხანე ერქვას ივანე,
 არ დაუჯარგავს გარჯისა და ნაღვაწის მისხალს...

შენ კი სხვის დროშას ემსახურე... შენი ერისთვის
 რაი ჰქმენ?... ხალხის ბედობალი გიჩნდა თამაშად...

უზურპატორო! შენ ღირსი ხარ მხოლოდ შერისხვის,
შენ ეგ გარგუნა ისტორიამ სხვისთვის დამაშვრალს.

ვისაც შეუქმენ იმპერია, რომ შეგაქცია
ზურგი იმ ხალხმა, ახი არის, ნამდვილად ახი!...“
უზურპატორმა გარდმოავლო თვალი ფრანციას,
აი, ეს თქვა და ნაომარი დაეყრდნო მახვილს...

მონუსი

ვინ არის-მეთქი, ვინ არის,
რომ შემოგყურებს სარკეში,
აქამდე ნუთუ ვერ მიხვდი,
ნუთუ იმისთვის იცოცხლე,
რომ ეს მოხუცი გენახა,
ეს ნაღვლიანი რელიქტი.

ეს უღიმღამო მელოტი,
რომ უთიმთიმებს მუცელი
და დადის თავმოდრეკილი,
ქუჩაში გზას რომ მიიკვლევს
და ხელში ჩანთა უჭირავს
ატატებული ლეკვივით.

რომ მომკვდარიყავ აქამდე,
ამ მოხუცს ვეღარ ნახავდი,
რომ სცივა შალის წინდებში
და ბანდეროლზე გამდნარი
ლუქით რომ ხელი ესვრება
და აღარ ახსოვს ინდექსი.

ვერ იცხოვრებდი ამ კაცის
ფუსფუსით, ტკბილში ცხოვრება
ნაღველს ვერ აგიღესავდა,
დღეს, როცა დაქსაქსულია
დელტა და ბოლოს მდინარე
უახლოვდება შესართავს.

ვინ არის-მეთქი, ვინა არის,
რომ შემოგყურებს სარკიდან,
ნუთუ აქამდე ვერ მიხვდი,
ნუთუ იმიტომ იცოცხლე,
რომ ეს მოხუცი გენახა,
ეს ნაღვლიანი რელიქტი.

ცხოვრების აურზაურში
შელამება და სიბერე
მოულოდნელად მოვიდა,
სიტყვის ბაფანგში გაბმულმა
დასვენა ვერ გამოიტანე
წყვიდიადის სიახლოვიდან.

ცხოვრება მაინც ტკბილია,
მიმზიდველია ცხოვრების
გაშიშვლებული დეკოლტი,
მაინც ტკბილია უთოთი
აორთქლებული ზეწარი,
ნაღველს რომც დაუმეგობრდე.

მაინც ტკბილია, უმძიმეს
ტვირთად რომც გექცეს სხეული
ჭრიალი იატაკისა,
რა ვუყოთ, თუკი გაბუნდი
და ჭიქას ხელს თუ აფარებ,
სასმელი რომ არ დაგისხან...

ნუ იტყვი სოფლის სამღურავს,
თუ ერთხელ მაინც სინათლემ
თვალეში შემოგაშუქა,
ნაჩუქარია სიცოცხლე,
არ ესინჯება კბილები
ცხენს ნაბოძებს და ნაჩუქარს!...

მობონება

მე ალბათ კარი როცა შეეცრად გამოვიხურე,
თქვენ აკისკისდით!...
მე მზად ვიყავი, რომ დავხვედროდი
და რომ გამეძლო შენი რისხვისთვის,
ოღონდ მენახე უკანასკნელად
და ერთხელ კიდევ შემოგეხედა
და დაგენახა,
თუ ბოლოს როგორ დავემზობოდი კვლავ შენს ფეხებთან.
მე აღარ მახსოვს,
თუ იმ ოთახში მაშინ ვინ იყო,
მე მახსოვს დამსვენს
შემოხვეულმა ირგვლივ ბავშვებმა
ბრიგინით უკან გაწეულ სკამზე.
აღელვებული და დაბნეული მე ჩამოვჯექი
და სახეს ქუდით
ვინაივებდი და ვლულლულებდი,
რომ შემოვედი სულ ერთი წუთით...

მათხოვარს ვგავდი,
 თითქოს ველოდი,
 როდის გახსნიდი ღიმილის ქისას,
 შენ შემომხედე და მერე უთხარ მეგობარს:
 „ჩაი მოართვი, ლიზა...“
 მე ვერ გავბედე, რომ მეტყვა:
 „მაღლობთ, ნუ შეწუხდებით ჩემთვის ნურაფრით...
 და როცა მკითხე:
 „რით დალევ, შაქრით?“
 მე გიპასუხე:
 „არა, მურაბით...“
 სხვა არაფერი გითქვამს და ჩუმად შემომყურებდი,
 როდესაც მოვსვი
 ჩაი და მერე ალუბლის კურკებს
 რომ ვაგროვებდი ლამბაქზე კოვზით.
 ღიმილს ველოდი, მაგრამ ღიმილი
 ვერ გაიმეტე ჩემთვის მტარვალმა
 და როცა ვნახე:
 თავის ლანდს როგორ ეჯახებოდა ჭერში ფარვანა,
 მე მომეჩვენა,
 რომ ის ფარვანა მე ვიყავე,
 ჩემი მზერა ამაო
 ეჯახებოდა კედელს...
 წამოვდექი,
 თითქოს ვილაცამ ხელი წამავლო
 და გამოვიქეცი...
 იქ, იმ ოთახში შენი თვალების დარჩა გიზგიზი...
 მე ალბათ კარი როცა უეცრად გამოვიხურე,
 თქვენ აკისკისდით!..

ზამთარში დაბადებულის ლექსი

ოთარ მამფორიას

რა უქკუოდ მოვიქეცი,
 როგორ დავთმე სანუკვარი
 დედის თბილი სამყოფელი
 ოქროს ჩარდახიანი,
 ასე წინდაუხედავად
 თავი როგორ დავუკარი
 ამ ცივ ზამთარს და ვიხილე
 ეს ქვეყანა იანვრის.
 ვთქვათ და გარეთ ყოფილიყო
 ან ივლისი ან აგვისტო,

სული შემეხუთებოდა,
 ვიქნებოდი თანახმა,
 გარეთ გამოვსულიყავი
 და ზაფხულის მწუხრში ხის ტოტს
 ქარი ააშრიალეებდა
 გადმოღმა და გადაღმა.
 მაგრამ თოვლში და ყინვაში?..
 ალბათ არის ილუზია,
 ზამთარია თუ ზაფხული...
 მაგრამ უფრო ნალველი

ვერ მერვეა, თუ ქვეყანა
ლაქვარდი და ფირუზია,
არ ყმუიან მგლის ყმუილით
ზამთრის იალადები.

მაგრამ რახან დავიბადე,
ახლა სხვა გზა აღარ არის,
დაე, ფებქვეშ ზამთრის თოვლმა
იჭრიალოს კარტივით,
და ვიარო იანვარში
ისევ შუბლის დამლარავი
ფანტაზიის ცხენებით და
სულის ტახიკარდიით...

მე რა მომყვა დღევანდლამდე?
მხოლოდ სტროფის ნაფლეტები,
სანუგეშოდ ცხელი ჩაი
მხოლოდ ერთი ფინჯანი
და ჩემსავით დაძველებულ,
დანგრეულ და დაფერდებულ
ტაძარს როცა დაეინახავ,
გადვიწერო პირგვარი...

ზამთარში რომ დავიბადე,
სულ იმიტომ ვკანკალებდი
და იმიტომ მცივა ახლაც,
ხელს ჩაგლეჯილ ჭიბეებს
გასათბობად ვუფათურებ,
რადგან მცივა მე კალენდრით

და არაფერ შუაშია
ასაკი და სიბერე.

ზამთრის გამოტყუებულმა
ეს ქვეყანა მოვიარე,
როცა უნდა მებრიალა,
იქნებ მხოლოდ ებოლავდი...
მზეზე დნება და წკრიალებს
თოვლის თეთრი როიალი
და აპრილით იფატრება
ცაში ღრუბლის ფოლადი.

არა! არ მსურს და არ მინდა,
რომ ზამთარში სული გამძვრეს,
ცხედარს დღე რომ დამყურებდეს
ღრუბლიანი იანვრის,
მსურს სიკვდილში თავი მაინც
დავადწიო დროს უმკაცრესს,
საიქიოს მაცილებდეს
გაზაფხულის ნიავი...

გაზაფხული აბრუებდეს
გაზაფხულზე სალოცავად
გარეთ გამოხმობილებს და
გარეთ გამოხმობელებს
და რჩებოდეს წუთისოფლის
ამოუხსნელ გამოცანად,
თუ ვინ ზატავს გაზაფხულის
მოშრიალე გობელენს...

სტაჟანე კასრაძე

თარი-არალე

XVII

ამ დროს, პატარა ოსე ჯავაშვილმა, რომელიც მგლური ძუნძულით მიდიოდა, თვისი სოფლის შარა-გზა გაპლია და ოჯახში მოექცა.

ეს იყო ერთი იმ მრავალ სოფელთაგანი, რომელნიც ტფილისს ახლავან და დღემუდამ აწვდიან ნახშირს, მაწონსა და მწვანილს.

პატარა იოსების მოსვლაზე ოჯახი ფეხზე დადგა.

მყის აყეფდნენ ძაღლები, მოვიდნენ მეზობლები. იოსების მამას, ბერო ჯავაშვილს, თავის სიყრმეში მაწონი ეტარებია ტფილისში. მას ტფილისი უყვარდა; ამიტომ ჩიბუხს აბოლებდა და ძუნწ სინათლეზე სჩანდა, რომ დაღვრემილი იყო. მოსული მეზობლები ჰბორგავდნენ:

— ავძრათ სოფელი, ეს ამბავი შევატყობინოთ და ვნაზოთ რას იტყვიანო! ბერო სდუმდა.

— გარდა იოსებისა მას ჰყავდა სამი, იოსების მომდევნო ბიჭი, რომელნიც ამ ქვეყნად იკვებებოდნენ როგორმე; სკამდნენ რასაც მოახლებდნენ, უმეტესად მწვანილსა და ხეხილს. იყვნენ ჯანმრთელად და ეზლა ეკვროდნენ მამასა და დედას.

ბერომ იცოდა, რომ რუსეთი საძაგე-

ლია; მაგრამ რუსეთში იყო შაქარი და პური, აგრეთვე ნარმა და ჩითი: ყოველივე ეს კარგი იქნებოდა ბაღლებისათვის.

ბეროს არაფერი უთქვამს.

მალე სოფელში ფეხოსანმა ჯარმა ჩამოიარა. რამდენიმე სოფლელი კაცი ჯარს გაჰყვა.

ბეროს ოჯახში სინათლე ჩააქრეს. ბეროს მთელი დამე არ სძინებია, ჩიბუხს აბოლებდა, რომ იქნებ ფიქრები გაედევნა.

— აი, მიამა რომ შეგხვდი! აბა წავიდეთ ბიძია! შორიდანვე უთხრა გივი ნადირაძემ და შორიდანვე ხელი გამოუწოდა.

ხუმრობის დრო არ იყო, მაგრამ ლევანმა მაინც მოგონილი ხუმრობით იკითხა: რას ამბობ, სად უნდა წავიდეთ!

გივი ნადირაძე მიუხედავად თავისი სიზორბავისა 20 წლის თუ იქნებოდა. მას მაზარის კალთები აეკრიფა, ზურგზე ჩანთა ეკიდა და მხარზე ხიშტ-წამოგებული შაშხანა თოფი.

— რა გესუმრება შე ოჯახ-ქორო, წამოდი წამოიძახა გივიმ და ხმაზე შეეტყო რომ შეშინებულია.

ლევანი გაჰყვა. გივი მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით და ლევანს არ იშორებდა; არც იმისი ნება დართო, საწყობში ასულიყო და ვაზნები წამოეღო. უთხრა:

— ვაზნები იმდენი მაქვს, ორივეს



გვეყოფა! ჩანთიდან ვაზნები ამოიღო და ლევანს აწვდიდა, თან ურჩევდა: ვინ იცის გზაზე რა შეგვემთხვევა, თოფი მზად იქონიე. როდესაც ლევანმა ერთი წუთით სახლში ასვლა მოინდომა, რათა გოევებისათვის ტფილისის დატოვება ეცნობებია, თან ორიოდ საყვარელი წიგნიც წამოეღო, გივი მართლა განრისხდა:

— წადი ბიძია, მომშორდი! და რადგან ლევანი ილიმოდა და არ შორდებოდა, გივიმ დაუმატა:

— ჩვენ ხომ ეხლა სადგურზე მივდივართ, აი, მე არ მინდოდა მეთქვა, ბიძია, და, შესაძლებელია, იქ ჩვენ ეხლა ბოლშევიკები დაგვხვდნენ, აბა! ამის შემდეგ ორივე უხმოდ მიდიოდა.

„სულ ბავშვია ეს უბედური, გივიზე ფიქრობდა ლევანი, როგორ ცხარობს? ან რა გაემტყუნება, ისეთივე მხედარია როგორც მე“. შემდეგ გაიღიმა, რადგან ძია ვალოდია გოევს იგი თითქმის იმნაირადვე გაეპარა, როგორც მას ოსე ჯავაშვილი.

გივიც თავისას ჰფიქრობდა გუშინ. მან დიდი სისულელე ჩაიდინა, რომ ტყვიანობის ნაწილს თავი დაანება და სანგრებში, ფეხოსნებს შეუერთდა, შეტევაშიაც მონაწილეობა მიიღო და შეტევის დროს მისკენ მორბოდა, სრულიად ბავშვი, ქერა რუსი, რომელიც ჰყვიროდა: ურააა!

როცა გივიმ იმ უბედურს ხიშტი გულში აძგერა, ქერა ბავშვმა რუსულად დაიძახა:

— „მამა!“ ე. ი. დედა! და თოფი ხელიდან გაჰვარდა.

ის საბრალო ბავშვი იყო მეტად დაუბანელი და ყოველივე ეს ისე ნათლად აზსოვდა გივის, რომ, უდავოა ქვეყანამ ეს იცოდა და, რომ ბოლშევიკებს გივი ზელთ ჩავარდნოდან, განა არ დასჯიდნენ!?

გივი გარბოდა. უეცრად, მის გვერდით მიმავალმა ლევანმა წამოიძახა: — ანიკო! და გივი შესდგა.

ისეთი სიზარულით და განკვირებით დაიძახა ლევანმა ეს სახელი და

ისე თავდავიწყებით გაეშურა, რომ კლასიკოსებიც კენ, რომ გივიმ ლტოლვა შესწყვიტა. მრავალ სართულიან სახლის წინ, სადაც სახელდახელოდ გაწყობილი საავადმყოფო თავსდებოდა, გამზირის ფართე, სველ ფილაქანზე იწვა ორი დაჭრილი ჯარისკაცი და მათ თავს დასდგომოდა ანიკო ბადრიძის ქალი. ქალს ზემოდან ეცვა სახელოებ გადაკეცილი ჯარისკაცული ქეჩის მაზარა. მაზარა მასზე დიდი იყო და მუდამ. როდესაც ქალი დაჭრილებისაკენ დაიხრებოდა, იძულებული იყო მაზარის უბეები ზელით სკეროდა, რადგან სიცივისაგან ჰკანკალებდა.

სჩანდა, რომ ფილაქანზე მწოლნი მძიმე დაჭრილები იყვნენ, ისმოდა მათი კბილთა-ხრჩიალი და სიღრმიდან აღმომხდარი კვნესა. ასეთ დროს დაჭრილები უმწეო და ნაგვემი თვალებით იცქირებოდნენ, თითქოს ითხოვდნენ პატიებას სულმოკლეობისათვის და ანიკო მათკენ იხრებოდა, თავის პაწია ხელს შუბლზე შეახებდა და ამბობდა:

— ნუ გეშინიათ, ძმებო!

ლევანის წამოძახილზე ანიკო შეკრთა: ლევანმა თავისში ანიკოს ორივე ხელი დაიჭირა და ქალს გული აუჩუყდა; და, როდესაც ლევანი ალერსით წარმოსთქვამდა: „დამშვიდდი ანიკო, შენ ხომ ყოჩალი ქალი ხარ“, ანიკოს თვალები ცრემლით ავესო და ლევანს უღიმოდა: — რა რიგ დავიტანჯე ამ უბედურების საცოდაობით, მწუხარებით ამბობდა იგი, ასე უპატრონოდ ქუჩაში ხომ ვერ დავტოვებ!

ანიკო თავისი ორი დაჭრილით ველიდან წითელი ჯვრის ავტოს ჩამოეყვანა. აქ ჩამოესვა, სოლო თვითონ ავტო, ისევე უკან ველზე დაბრუნებულ იყო. ვინ წარმოიდგენდა, თუ ასეთ მძიმე დაჭრილებს საავადმყოფო ვერ მიიღებდა ან არ მიიღებდა?

გამგეს დაჭრილები არ მიეღო. ლევანი გაჯავრდა გამგეზე, იძახდა:

— ერთი ვნახო ვინ არის ის მხეცი!

ეროვნული
სტუდენტთა კავშირი

ანიკო ამშვიდებდა. ანიკოს გვიცი მი-
ეშველა:

— საავადმყოფოში ადგილები არის!
როგორ არა! მხოლოდ გამგეს ეშინია,
რომ შესაძლებელია ბოლშევიკებმა და-
პირილებს იძულება მიაყენონ! ეს სთქვა
ხმა დაბლა, რათა დაპირილებს არ გაე-
გონათ. გივი არ იცნობდა ანიკოს, თვი-
თონვე წარუდგა: — გივი ნადირაძე!

ამის შემდეგ გივი წასვლას არ ჩქა-
რობდა; ის იყო მშვიდად, როგორც შე-
პფერის რაინდს, რომელიც ახალგაზრ-
და ქალს ახლავს და მფარველობს დაპ-
რილებს.

ახალგაზრდებში (ანიკო, ლევანი, გი-
ვი) შეიქნა რაღაც მხიარული, მეგობ-
რული განწყობილება. ისინი კიდევ
იცილობდნენ. და სიცილის საგანი ანიკოს
ფართე მაზარა იყო.

გამზირზე გამოჩნდა დახურული კა-
მიონი.

კამიონი მოდიოდა გრილით ძალიან
ჩქარა, ნისლს ჰფანტავდა.

კამიონის გამოჩენაზე ლევანი უსიტ-
ყვოდ ქუჩაში გადახტა და მაღლა ამ-
ვერილი ხელებით თოფი ეჭირა კონ-
დახითა და ლულით.

სრულებით არ შეუხელებია შოფერს
სვლა და ანიკოს სული ეხუთებოდა,
როდესაც ყვირილის მაგივრად შოფერს
თეთრი ცხვირსახოცი დაუქნია. მანქა-
ნა ერთბაშად დადგა და ლევანს გულ-
ზე მიებჯინა. მანქანას ახალგაზრდები
შემოეხვეინ. შოფერი ლევანს ლან-
ძლავდა:

— ყარყუმით რომ ქუჩაში დამდ-
გარხარ, შე ვერანა, კინალამ გაგიტახე;
აი, რუსი მეგონე!

ლევანმა მიუგო:

— მერე რა, შე კაი კაცო, ამით ხომ
ქვეყანა არ დაინგრეოდა.

კამიონი დაპირილებით სავსე იყო. კა-
მიონმა ანიკოს მეომრები მიიღო, თვით
ანიკო შოფერის გვერდით დასვეს და
კამიონი ისევ გრილით წავიდა. ეს მო-
ხდა სწრაფად, რადგან კამიონს ცხობა
ჰქონდა, რომ სადგურიდან ოციოდე
წუთში უკანასკნელი სანიტარული მა-

ტარებელი გავიდოდა... ლევანი და გი-
ვიც დაიძრნენ.

ისინი სადგურზე მიდიოდნენ. შემ-
თხვევით თუ რაიმე მატარებელს წაა-
წყდებოდნენ ხომ კარგი, თუ არა, მცხე-
თამდე ისევ ფეხით უნდა ევლოთ.

უხმოდ მიდიოდნენ ახალგაზრდები.
ლევანის გულში მთელი სამყარო ჰგა-
ლობდა და უცნაური იყო, ეს რომ
არ ესმოდა გივის, რომელიც დრო გა-
მოშვებით ღუმელს არღვევდა, რათა
ასეთი რამ ეთქვა:

— მშვიდობით, ჩემო მოხუცო ტფი-
ლისო! მე პირველად ვხედავ შენს
მშვენებას და ეს მაშინ, როდესაც
დამარცხებული ხარ და სხვებთან ერ-
თად უნდა დაგტოვო!

ლევანმა ყური სცქვიტა: იგი გაძოე-
ყო წარმოდგენებს, რომელშიაც ტრი-
ალებდა: ეს იყო ანიკო; ანიკომ მას ნე-
ბა დართო მაზარის უბეები ქინძისთა-
ვით შეებოჭა და როდესაც გივი, მათ-
თვის რომ თვალი აერიდებია, დაპირ-
ილებს დასცქეროდა, ლევანმა ანიკოს
ოდნავ აკოცა. ამის შემდეგ სული მისი
ჰგალობდა და იგი გადაელობა ქუჩაში
კამიონს.

გივიმ ლევანი გამოაფხიზლა.

— რა ნაღვლიანად ლაბარაკობ, ბი-
ჭო! ისევ მალე დავბრუნდებით!

ორივე უბრალო და გულწრფელი
იყო.

სადგურზე მოლოდინის წინააღმდეგ
ხალხი ნაკლები იყო. მოქალაქენი სხვა
და სხვა გზით გასცლობდნენ ქალაქს.
ბაქანზე, რომელსაც გვარდიელები
იცავდნენ, ახალგაზრდები ადვილად გა-
ვიდნენ, რადგან ლევანმა პაწია, ბეჭედ
დასმული ბარათი ამოიღო (ეს იყო ნე-
ბართვა დამფუძნებელი კრების დასწ-
რებისა) და კარებში მდგომ გვარდი-
ელებს უჩვენა.

ახალგაზრდები იმავე სანიტარულ მა-
ტარებელში მოექცნენ, რომელშიაც
ანიკო იმყოფებოდა. მატარებელი ხე-
ლათვე დაიძრა.

ამრიგად. დასტოვეს ტფილისი ქართულმა ლაშქარმა და ჩვენმა გმირებმა.

ჯერ კიდევ ბნელოდა, როდესაც სანიტარული მატარებელი მცხეთაში მოვიდა. მას მოაცილებდა ჯავშნოსანი, რომელმაც გზაზე, ავკალაში, რამდენიმე ყუმბარა გასტყორცნა. სროლის დროს სანიტარული მატარებელი დადგა და ხალხი ამბობდა: ადგილობრივი კომუნისტური ბანდებია, სახლებიდან გვესვრიანო.

მცხეთის ლიანდაგი, სანამ თვალი მიწვდებოდა, მატარებლებით და ხალხით სავსე იყო.

ხალხს, უმეტესად ესენი იყვნენ ჯარები, ირგვლივ ცეცხლი ენთო: ხორცს სწვავდნენ, წყალს ადუღებდნენ.

ხალხი იყო დაღვრემილი, ეფინებოდათ ცეცხლის ბოლი, მაგრამ ისინი ცდილობდნენ ირგვლივ არ ეცქირათ, რადგან უბედურება თვალწინაც საკმაოდ ედგათ.

ერთ ჯარისკაცს ორთქლმავალმა ფეხი მოაჭრა. უბედური ითხოვდა, მაგრამ იგი არავინ მოჰკლა. მის შორი-ახლო იდგა დამნაშავე ორთქლმავალი; იგი, შავი და უზარმაზარი, ხანდაზმით ამოუშვებდა ქშენას და ეს ქშენა მისი ლითონის მკერდიდან ისმოდა ვით ღრმა ოხვრა.

ლევანი და გივი ანიკოს დაემშვიდობნენ.

სანიტარული მატარებელი, სადაც ანიკო, როგორც მოწყალეების და, უკვე ზედმეტი არ იყო, ბათუმისაკენ დაიძრა; ხოლო ახალგაზრდები ფეხოსან ჯარის ერთ გუნდს შეუერთდნენ. ამის შემდეგ ჯარები იბრძოდნენ და იხევდნენ უკან და დღითი დღე ჯარი კლებულობდა, რადგან გზა და გზა ხალხი ოჯახებში ბრუნდებოდა.

მართალია, ჯარსა და ერს გამოეცხადა. რომ ომი გრძელდებოდა, მაგრამ როგორც ჯარმა, ისე ერმა, დედაქალაქის დატოვება განიცადა ვით საბოლოო დამარცხება.

დედაქალაქის დატოვების სიმწვავე იგრძნეს და განიცადეს არა იმათ, ვინც ლაშქართან ერთად ქალაქს გაშორდა, არამედ იგრძნეს მათ, ვინც დარჩა მიტოვებულ ქალაქში.

თითქმის მთელი ღამე სვამდა ვიკტორ რაზმაძე; ის იყო მეტად აღელვებული, მაგრამ რა ექნა, ღვინომ ვერ სძლია, რომ გრძნობები მიეხადა და ფიქრები დაეხშო. მიუხედავად ამისა, შესმული ღვინო მოკმედებდა და ყოველ საგანსა თუ მოვლენას, გონებას ალმაცერად გაზვიადებულად წარმოუდგენდა, სრულებით არ გაუფიქრია ვიკტორს ტფილისისათვის.

ფიქრი ტფილისზე, სადაც გონებისა თუ სულის სიღრმეს აუტანელ სიმძიმედ დასწოლოდა, რისი ხელის შეხებაც კი არ შეიძლებოდა. სამაგიეროდ ტფილისზე წუხილი იწვევდა მეზობელ გრძნობებს; ესეც აუტანელი იყო.

გარინდებული ვიკტორ რაზმაძე სავარძელში ღრმად ჩამჯდარი, ნახევრად ბნელოში, დრო გამოშვებით კბილს კბილზედ აკერდა, რათა არ ამოეოხრა; ეს მიტომ რომ ძველად ნაცადი ხერხი ღღეს არ სჭირდა.

ძველად ის ახერხებდა: თავის თავისათვის მალლიდან დაეხედა; ეს იწვევდა დაცინვას და მუდამ ამშვიდებდა.

ღღეს ეს იქნა ჩათვლილი ცბიერებად; ეს იყო ღღეს სირცხვილი წინაშე ტფილისის უბედურებისა, ამიტომ საჭირო იყო თამაში სუფთა და პატიოსანი.

მუდამ, სიმთვრალის დროს და შემდეგ ვიკტორ რაზმაძე განიცდიდა ნალევლს.

მას აგონდებოდა განვლილი და ყოველივე, რაც მას აგონდებოდა, მიაჩნდა შეცდომათ. ხოლო, რადგან შეცდომათა გასწორება არ შეიძლებოდა, ვიკტორი იტანჯებოდა. დრო გამოშვებით მას გაუბრუნდა ფიქრი, თუმცა ვერ აჭერებდა თავს, რომ, შესაძლებელია, ეს ყოფილიყო დაღლილობის შედეგი! მა-

შინ ის უფრო მეტი ხალისით იწყებდა თავისი თავის ლანძღვას.

„მართალია“, ამბობდა იგი, კაცი რომელიც არასოდეს არა სცდებია, საძაგელია, მაგრამ მუდამ რომ სცდებია, ისეთ კაცს ეწოდება სულელი. ასეთი კაცი ღირსია დაცინვის. ასეთი კაცი ღირსია სიბრალულის. ასეთი კაცი არ უნდა არსებობდეს, ასეთი კაცი ხარ შენ, ვიკტორ რაზმაძე!“

სრულიად უმნიშვნელო რამ მოგონება აღშფოთებდა მას და იგი იწყებდა ბორგვას, ედავებოდა თავის თავს, ედავებოდა ვიღაც უზილავ თავდამსხმელს, თავის თავსაც იცავდა.

„ქალბატონი სალომე თელია ჩინებული ადამიანია, კაცი უნდა ცდილობდე მას ასიამოვნო; ვიკტორ რაზმაძემ კი მწუხარება მიაყენა. განა არა? საძაგელ თუთიყუშოვით მოჰყვა და დიწყო საზამთრო ყვავილების ლანძღვა. ჰო, უგუნურო! სალომემ სთქვა: თქვენ იცინით, ხოლო ჩემს მდგომარეობას არავინ ჰკითხულობთ“.

ამის მოგონებაზე ვიკტორი სწრაფად წამოდგა. ნახევრად ბნელ ოთახში მიმოდოდა ბეჭებში ოდნავ მოხრილი, სანამ ფანჯარას მიადგებოდა.

„ამაოება ამოებათა. არა ჰღირს წვალებად!“ ოდნავ დამშვიდდა.

„ამაოება ამოებათა და ყოველივე ჰამაო არს“ — რამდენჯერმე გაიმეორა; ბოლოს გაიღიმა: რაზედ ჰცდილა ბრძენი, რომ ასე მშვენივრად გამოეთქვა თავისი აზრი? ვიტყვი: სისულელეაო! ან რატომ ეცადა ჩვენთვისაც გაეგებინებია ეგა? ვერ დადუმდა? ვერ მოითმინა? ამაოებათა ამაოებას ერთი ამაოებაც თან დაურთო“.

ოდნავ მოდუნებული ვიკტორი, ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი, იდგა ფანჯარის წინ; მან არ იცოდა არც ფანჯარა, არც ღამე ფანჯრის იქით, მხოლოდ მის გარინდებულ გონებას ჰსწვდებოდა ნაცნობი სევდა, რომელიც ოდესღაც ვილაცას განეცადა:

„ყოველსა დღესა გეძებდი შენ და

ვერა გპოვენი; გპოვენი და მიმწუხარი არს ყოველად“.

„დვირფასო რაზმაძე! უგუნურო რაზმაძე! რატომ იღიმი და არა ჰყვირი. ხომ ხედავ კაცი, რომელსაც ეს უთქვამს, უკვე არ არსებობს; არც შენ იარსებებ, და, საზოგადოდ, გრცხვენოდეს, რომ ქვეყნის განსაცდელის ყამს, შენ ჰფიქრობ ასეთ წვრილმან საგნებზე!“

ვიკტორი თავზე ხელებს იჭერდა, ღვიწხს სვამდა და აგრძელებდა ფიქრს ისეთ საგნებზე, რაზედაც ფიქრი, თუმცა წყარო იყო სიტკბობებისა, გარნა დღეს მიტოვებულ ტფილისში იყო სიტყვილი.

შარშან ზაფხულში მან, ვიკტორ რაზმაძემ, ყაზბეგში დაიხსნა ახალგაზრდა ქალი.

ყოველივე იყო ერთად:

მეინგარი თვისი ყინულითა და ღვთაებრივი დუმილით; თერგი, რომელიც ჰგავდა დაფეთებულ ჩაჩნურ ცხენების ჯოგს, იქვე ქართული სანაპირო გუნდი და მეზობელ სახელმწიფოდან დაძრული ლტოლვილი.

ესენი იყვნენ ყოველი ხნის რუსები, რომელნიც გამორბოდნენ ბოლშევიკებისაგან.

საქართველოში შემოსასვლელად საჭირო იყო რაღაც საბუთები. ნატალია შე-ს ქალს არაფერი თან არა ჰქონდა. ეს ართულებდა საქმეს, თუმცა ნატალია შე-ს უთუოდ შემოაუშვებდნენ, რადგან მას, ისე ვით ყველა მის თანამემამულეს, ზედ ემჩნეოდა უზომო ტანჯვა და მწუხარება.

ქართველი ლეიტენანტი დიდათ თავზიანი იყო მასთან, მაგრამ ნატალია შე-ს ქალი მაინც ატირდა.

მაშინ ვიკტორ რაზმაძემ, რომელიც ავტოთი ტფილისიდან იყო წასული, სთხოვა ლეიტენანტს, რათა ქალები ფორმალობისაგან გაენთავისუფლებია. შემდეგ, რამდენიმე ქალი ძუძუ-მწოვარათი, ერთი მოხუცი უძღური მხედარი და თვით შე-ს ქალი, რომელიც სრულიად მარტო აღმოჩნდა, ავტოში ჩაისვა და ტფილისში დაბრუნდა.

— არა პირს მადლობად! დაღონებული ეუბნებოდა ნატალია შე-ს ქალს ვიქტორ რაზმაძე. მე ვიქნები კმაყოფილი, თუ ოდნავ რამეთი გაამებთ!

ავტო მიჰქროდა დაღმართში უბსკარულის პირად; უბსკარულიდან ამოდინოდა ნისლი. ალაგ-ალაგ იდვა თოვლი, ზოგი წუხანდელი, ზოგი ძველი. და ოდეს ბარად იდგა პაპანაქება სიცხეებში, აქ სციოდა. შე-ს ქალი იქნებოდა 22 წლისა; დრო, როდესაც ადამიანი ადვილად ენდობა და კიდევ ჰპოულობს ადამიანს.

ის ჯერ ნაღვლიანი იჯდა ვიქტორის გვერდით. თვალეები ეცრემლებოდა. შემდეგ სიჭაბუქემ სძლია და ნატალია შე... გაოცებული თვალეებით შეჰყურებდა გარემოს.

— სირცხვილი მამაკაცს, რომელმაც ქალს იძულება მიაყენოს! ასე უთხრა ვიქტორ რაზმაძემ ჰაბუკ რუს მხედარს, რომელიც ექვსი თვის შემდეგ ვიქტორის წინაშე გამოცხადდა.

რუსი მხედარი იყო ნატალიას ქმარი. იგი დღემდე ბოლშევიკებს ებრძოდა; ეხლა, დამარცხებული მიდიოდა ევროპაში და ითხოვდა თვის ცოლს ნატალია შე-ს.

— ო, შე მიამბეს თქვენს შესახებ, ამაზედ ღმერთი დაგაჯილდოვებსთ თქვენ, მე ვერ გეტყვით მადლობას; მხოლოდ გესმით, ბატონო რაზმაძე, ის არის ჩემი მეუღლე, უკანასკნელი, რაც მე ამ ქვეყნად დამრჩა...

ვიქტორი თავზარდაცემული შეჰყურებდა ახალგაზრდა კაცს, შთამომავალს ბრწყინვალე გვარეულობისა, ოდესღაც გრაფ შე-ს, ამ ჟამად გაძარცულსა და პატივ აყრილს, რომელიც ნერვიულად თრთოდა. ვიქტორი, ეს იყო ალიოხზე, უხმოდ შებრუნდა თავის საწოლ ოთახში. ნატალია შე-ს ქალს გამოღვიძებოდა და წინაგრძობით აშფოთებულ კეთილებოდა რაზმაძეს:

— რა არის, ვიკი?

ასეთ დროს, ვიქტორი ჩვეულებრივ თვალეებში ჩაჰხედავდა ქალსა და იწ-

ყებდა კოცნას: ტუჩები, მკედი, ზედაწველები...

ქალი იძახდა: გადარეული ვიკი!

მაგრამ ეხლა ეს არ შეიძლებოდა; სასტუმროში იცდიდა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც უბრიყვლოდ სთქვა: — „ბატონო რაზმაძე, თქვენი სიკეთისათვის თქვენ დაგაჯილდოვებსთ ღმერთი! ამ ჟამად ქალის შეხება იქნებოდა გაძარცვა ჰაბუკ შე-სი და ერთობ ადამიანის.

ზშირად ვიქტორი, შე-ს ქალს თვით ეძახდა: ვიკი!

ამაში იყო უდიდესი სიამოვნება. ეხლაც დაუძახა ქალს: ვიკი! შემდეგ თავდახრილი ამბობდა:

— შენ უნდა წახვიდე!

შე-ს ქალს თითები ჰქონდა ლიბრედი, როდესაც ქალი გაისტუმრა, ვიქტორმა მხოლოდ ხელზე აკოცა. ქალი წავიდა: ნატალია შე-ს ქალი ქმართან ერთად წავიდა ევროპაში, როგორც ლტოლვილი, და თან წაიღო ვიქტორის გრძნობები და გული!

ქალს კი არაფრის წაღება არ ჰსურდა, ქალს უნდოდა მხოლოდ ვიქტორთან დარჩენა.

„უგნურო ვიქტორ რაზმაძე! განა კარგია, საყვარელი ადამიანი, ხატალია შე-ე..., მისი სურვილის წინააღმდეგ მოიშორო და შორს გასტყორცნო? ამაზე საზოგადოება ამბობდა (საზოგადოებამ ვიქტორისა და შე-ს ქალის დამოკიდებულება იცოდა. შე-ს ქალი ოჯახებში მიღებულ იქნა, ვით საცოლე რაზმაძესი): ვიქტორი მოიქცა, ვით შეჭფერის დიდი გულისა და დიდი სულის კაცს.

და ყოველივე ჩაიდინე იმისათვის, რომ ყოფილიყავი კარგი და რომ ეს დაენახათ, რადგან ამის შემდეგ ღიძილი გაჰქრა და ყოველივე ღვინომ შესცვალა.

განა არ შეიძლებოდა, სულისა და გულის ამდენ სიმდიდრეს ბედნიერება შეექმნა ერთი ქალისათვის?

ეხლა აღარა დარჩა რა! არა დარჩა რა სხვისთვის, ხოლო შე-ს ქალი შო-

რსაა და უნდა ილაპარაკო ბიბლიის ნაღვლიანი ენით: „მიმწუხრიაო ყოვლად“.

და უკადო დროს, როდესაც თვით შენ, ვიქტორი, აღარ იქნები ამ ქვეყნად ისე, ვით მთქმელი ამისა.

რა კარგი იყო ცხოვრება და სიყვარული ერთად!

ძვირფასო „ვიკი“, თქვენ, რომელსაც არ გასურდათ ჩემთან დაშორება, ნეტავ სადა ხართ ამ უამად?

— მე კი, შემეძლო მოვქცეულიყავი სხვა გვარად, ამაში თქვენც ხელათვე დამეთანხმებით, რადგან ჩემს წინაშე იდგა არა მარტო თქვენი მეუღლე, არამედ მთელი ადამიანობა და ითხოვდა პასუხს; ადამიანობა, რომელიც გაება წინააღმდეგობაში, ადამიანობა, რომელიც მაყენებს ასეთს მდგომარეობაში.

ეხლა ტფილისიც აღდეს...

ვიქტორი ბეჭებში მოხრილი, ფახარასთან იდგა და, რათა არ ეყვირა, მუდამ, როდესაც კბილს კბილზე აჭერდა, მიწყვიტ თვალებსაც ჰხუჭავდა. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ იქნებ ეცნო თავდამსხმელი, რომელიც მის გონებაში იჭდა, საყვედურებით იკლებდა მას და, შესაძლებელია, ისეთი ყოფილიყო, როგორიცაა ლევან ფერეული, სანდრო თელია ან სხვა ვინმე სუფთა პირი.

— ვიქტორ რაზმაძე! სამშობლოს მტერს, იონა თავაძეს თქვენ მიეცით თავშესაფარი, რითაც დედა-ქალაქის დაცემას ხელი შეუწყვეთ!

„მართალია, მართალია!“

მაგრამ ეს იყო სიყვარული, ეს არ იყო სიძულვილი! ეს არ იყო შიში, არ იყო ლაჩრობა! პირიქით, იონა თავაძემ, როდესაც იგი ოთახში შემოვიდა, თან შემოიტანა რაღაც სუნი ჭუჭყისა. რაიც შესაძლებელია, ახლდეს კაცს დენილსა და განაწამებს.

ასეთი კაცის შიში არ შეიძლებოდა.

ვიქტორ რაზმაძეს იგი შეებრალა, როდესაც დამწეული საჭმელს სჭამდა

და მაშინაც, როდესაც **სწავლანი მასწავლებლისათვის** დაღებულს ეძინა. **სწავლანი მასწავლებლისათვის**

— ჰო, მაგრამ დედა-ქალაქი დაეცა. დედა-ქალაქში შემოვიდა მტერი; თქვენ კი, ვიქტორ რაზმაძე, შეგიძლიათ რაინდივით იძახოთ: ზიზლი მამა-კაცს, რომელიც მანდილოსანზედ ავრცელებს ძალას!

ასეთი ფიქრების გამო ვიქტორის სახეზედ გამოიხატა ტკივილი. დახრქენილი კბილებით ვიქტორი გაეშართა მეორე ოთახში.

იგი მიდიოდა თვალეზ დახუჭული და ისე ნელა, თითქოს უფრთხილდებოდა არაფერი დაჰღვროდა იმ წვალეზისა, რითაც აღსავსე იყო მთელი მისი არსება. ამ წუთში ვიქტორის საფიქრალი გამოითქმოდა ამ ნაირად:

„რა მშვენიერი ხარ ვიქტორ რაზმაძე! მშვენიერი სხვათათვის, ხოლო შენთვის წყარო ტანჯვისა და წამების; რადგან შენ ცხოვრობ ისე, როგორც დაუდგენიათ ძველთაგან, და რაიც კარგია სხვათათვის და არა თანახმად შენი სურვილისა.

ამაში დაილია შენი ძალა, ცოტაოდენი და დარჩა და ის იკმარებს იმისათვის, რომ თავის თავს გაუსწორდე და ეს იქნება უკანასკნელი შენი მოვალეობა, რადგან არ არის საჭირო, კაცი იყო მარტოდენ სხვათა სიამოვნება!

XIX

მართლაც, მეორე ოთახში ვიქტორს ჰქონდა რევოლვერი. ვიქტორი მიდიოდა რევოლვერისათვის, მხოლოდ ამ დროს მოხდა ისეთი რამ, თუმცა უმნიშვნელო, რამაც ვიქტორი შეაყენა და გამოაფხიზლა. ვიქტორს მოესმა ბავშვის ტირილი. უთუოდ დერეფანში იყო ეს; ბავშვი გულამოსკენილი სტიროდა. ვიქტორი ბავშვს იცნობდა. ტირილის ხმაზე ვიქტორის არსებაში ვილაცამ გაილიმა. უთუოდ კარგი იყო ბავშვის მიშველება, რადგან, რაკი ბავშვი გახთა-

ვისუფლდებოდა, შესაძლებელია, გაკლიმებოდა.

ვიკტორი სწრაფად გავიდა დერეფანში. გათენებულყო. ფართე და მიხვეულ დერეფანში, სადაც შუშები ჩამტვრეული იყო, იდგა ზამთრის დილის ღვრიე სინათლე. გარედ წვიმდა; დროგამოშვებით ჰქროდა ქარი.

მეზობლის კარებთან საპატიო ჭურჭელზედ იჯდა ერთობ პაწია ვანო და ცხარედ სტიროდა.

ვანო იყო შავ-ტუხა. ტანთ ძალიან შეებურდათ, მაგრამ სიცივისაგან გაღურჯებულყო.

ამ სახლში უმთავრესად ასოთ-ამწყობნი სცხოვრობდნენ და ვანოს მშობლებს ერთი ოთახი გააჩნდათ.

ვიკტორის გამოჩენაზე ვანო შეკრთა და ტირილს უმატა. ამავე დროს ოთახიდან ვანოს დედა, შნოიანი, ახალგაზრდა ქალი, გამოვიდა.

— ჰაი, ჰაი, — ლაპარაკობდა ამ დროს ვიკტორი ისეთი კილოთი, რაიც ღიმილს უდრიდა: — შენ ისე სტირი, თითქო შენს საქმეს არა ეშველებოდეს რა; უთუოდ ასეთ მდგომარეობაში ჩვენც ხშირად ვვარდებით, შემდეგ კი ვტყობილობთ, რომ სატირალი თურმე სრულებით არაფერი ყოფილა.

ვანოს დედამ, დამფრთხალი თვალეზით შეჰხედა ვიკტორს და ბავშვი სწრაფად შეიყვანა ოთახში.

ვიკტორი ნელი ბუტბუტით დაბრუნდა თავის ოთახში.

განვლილ მღელვარებათა შემდეგ დასვენების წილ მას სურდა გავლა; თანაც თავის თავის წინაშე გაურკვეველ სირცხვილსა ჰგრძობდა. აგრეთვე რაღაც მსგავსს შიშისა, რომ განვლილი ისევ არ დაბრუნებულყო.

მან საჩქაროდ ჩაიცივა პალტო. დაიხურა მოკლე ბუხრის ქუდი და დაეშვა დაბლა.

დილის ცხრა იქნებოდა. ქალაქი სდუმდა და ამ დადუმებულ ქალაქში, თითქო დრო უშოვნია და გაკადნიერებულაო, წვიმდა და ქარი ქროდა.

ვიკტორი ისე დაეშვა პ-ს გამზირზე,

რომ არავინ შეხვედრია. გამზირზე დაინახა ოთხიოდე შეიარაღებული ვიკტორი და ერთმა მათგანმა, ალბად უფროსმა, ვიკტორს დაუყვირა: დაძღვარიყო!

ვიკტორი მიდიოდა. უფროსი თავამოდებით უძახოდა:

— სტოი, ტავარიში!

არა იმიტომ ჯიუტობდა ვიკტორი. თითქოს რუსული არ ესმოდა ან უნდოდა ყოფილიყო დატუსაღებული, არამედ ეს უცხო ჩაცმულობის კაცები, რომელნიც უცხო გულისანი, უცხო სისხლისანი, ჯერ კიდევ შემკრთალნი მითი, რომ ქალაქი სდუმდა და მათთვის საიდუმლოებით იყო მოცული, მაინც რაღაცას ბრძანებდნენ.

დამორჩილებას სჯობდა ტყვია გულში.

ამავე დროს, შორიდან გამოჩნდა მათეენ მომავალი ფეხოსანი ჯარი. ჯარი სწრაფად მოდიოდა და ივიც უცხო იყო ჩაცმული. რადგან ვიკტორი არ შესდგა, გუშავთ თოფები მოიშხადეს;

— სად მიდიხარ, ამხანაგო! მკაცრად ჰკითხა უფროსმა ვიკტორს.

— ვსეირნობ! პასუხი იყო მოულოდნელი.

უფროსი ოდნავ განცვიფრდა; მით უმეტეს, რომ ვიკტორი სრულებით არ იცინოდა; ან ვის ეცალა სიცილისათვის?

— ეს არ შეიძლება! სთქვა უფროსმა, მხოლოდ კილოში ოდნავ დაეტყო თითქოს ბოდიში თუ თანაგრძობა, რადგან მის წინაშე მდგომი კაცი, ვიკტორ რაზმაძე, აღსავსე იყო მწუხარებით და ჰგავდა შეშლილს.

უფროსმა ბეჭედ დასმული პატარა ქალაღი გადასცა ვიკტორს და უთხრა:

— მიბრძანდით, ამხანაგო, უნივერსიტეტის მიმართულებით! და თუძკა ვიკტორი სხვა გზით წავიდა, უფროს არა უთქვამს რა. რაზმი გაშორდა იქაურობას. ქალაქში ყველა ფანჯარაზე რიდეები იყო ჩამოფარებული.

არავინ სჩანდა. არავითარი ხმა არ ისმოდა.

ქალაქი იყო მკვდარი და, რა თქმა უნდა, სინდისი თუ არ დაუშლიდა, ამ გარემოებით ყველაფერს შეეძლო ესარგებლა: წვიმას, ქარს და შეეძლო რაც კსურდა ჩაედინა.

თვით ეს ჩარიც უთუოდ მდგომარეობით სარგებლობდა; ამის გამო ჩარი მიდიოდა თუმცა სწრაფად, მაინც რაღაც ქურდულად, ფეხ-აქრეფილი;

ჩარი იყო მეტად დაძაბული, ყველაფრის მომლოდინე.

ვიკტორი ვერის დაღმართს შეუდგა.

ამის შემდეგ საყურადღებო არაფერი მომხდარა. სამიოდე ნაცნობი ახალგაზრდა კაცი წამოეწია ვიკტორს; ესენი იყვნენ ჟურნალისტები; ერთმა უთხრა ვიკტორს: „თქვენც უთუოდ მცხეთაში მობრძანდებით, ბატონო. ცოტა ვიჩქაროთ, მგონი წითლებს გავასწროთ და ადვილად შეუერთდეთ ჩვენებს“. ვიკტორმა უარი მოახსენა და ახალგაზრდები გაშორდნენ.

გარდა ამისა ვიკტორი დაესწრო მიტინგს;

ეს იყო თავისუფლების მოედანზე. ასიოდე კაცი იქნებოდა აქ თავმოყრილი. ამ ასიოდე კაცში იყვნენ აგრეთვე ქურთები და სხვანი, არა ქართველნი, რომელნიც იმ ხანად, როგორც ლტოლვილნი დიდი ომისანი, ტფილისში სცხოვრობდნენ. უცხოელობა მათ იმითი ეტყობოდათ, რომ ერთგული ადამიანის გამომეტყველებით ტრიბუნასთან ახლოს იდგნენ;

ლაპარაკობდა ახალი ხელისუფლება. ამ წვიმის ქვეშ ეს მიტინგი იყო ნაღვლის აღმძვრელი სანახაობა.

ნაშუადღევის 2 საათზე ვიკტორი სახლში დაბრუნდა.

იგი გაუზღველად დაეცა ლოგინზე და ხელათვე დაეძინა.

X X

ჩვენ პატარა სანაპირო ქალაქს, რომელსაც სანაპიროს იმიტომ ვეძახით, რომ წავი ზღვის პირად დევს, თან ახ-

ლავს დიდი ტბა. ტბის ნაპირებზე კლდეებიანია და უდაბური. ტბას ერთი სურათი მდენიმე ლეღე და ერთი მდინარე.

მდინარის შესართავი ქალაქიდან დაშორებულია ექვსიოდე კილომეტრით. მდინარის განი ირმის ხუთიოდე სახტომს უდრის. მდინარე მიდის ნელა, ღრმაა და და სახელად ჰქვიან ფიჩორი.

ფიჩორის ნაპირებიც ჰაობიანია; ნაპირებზე ჰხარობს ლაქაში და მოსდევს ღრმა ტყე.

ტბის შესართავთან თომა ფერეულს ედგა ფიცრული კარავი და სცხოვრობდა შიგ.

ტფილისის დატოვების მეორე დილას, საათის ექვსზე, როდესაც კარგად გათენებული არ იყო, თომა ფერეული იჯდა თავის ნაგში, რასაც იქ ბაიდას უწოდებენ, და ნიჩბების ნელი ძოსმით, მდინარის წინააღმდეგ მისცურავდა.

ქალაქმა ჯერ არ იცოდა ტფილისის დატოვების ხმავი. არ იცოდა არც თომამ.

თომა იყო თბილად ჩაცმული. მის წინ ბაიდაში იდგა და პატრონს შეპყურებდა ჯოგის ძალლი, რომელიც დროგამოშვებით დაბარბაცდებოდა, რადგან თომა გაბუმრებით ბაიდას უეცრად მდგომარეობას უცვლიდა; ამაზე ძალლი იწყებდა ნელ ღრენას, რაიც ისმოდა ქუხილივით, მხოლოდ ასეთ ქუხილში ჰკრთოდა პატრონისადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება.

— რა გინდა, მურა. შე სულელი!...

ამბობდა თომა. თომას ხმაშიაც უსაზღვრო სიყვარული ჩსმოდა. ძალლი დაჯდა. იგი შემდეგ არ განძრეულა და, საზოგადოდ, ქცევა ამ კეთილშობილ პირუტყვისა იყო მეტად დარბაისელი და ისეთი, რაიც, ეტყობა, მის ბუნებიდან გამოდიოდა, შეადგენდა მის სურვილს და პატრონის ნებასაც ეთანხმებოდა. წინააღმდეგ რომ ყოფილიყო, ვინ იცის ვინ დასთმობდა: მურა, რომელიც მართლა ამაყი სჩანდა, თუ მისი პატრონი.

თომა ნაპირს მიადგა, ნიჩბები ბაი-



დაში ჩაალაგა; ხელთ აიღო გრძელ-ტარიანი ჭვილთი, რაიც ბაიდაში გააჩნდა, და დაიწყო მითი თევზაობა. თომა ჭვილთს წყალში სძირავდა, ნაპირებს ღრუები ჰქონიათ (ეს ღრუები თომამ იცოდა) და იქ ეძებდა თევზს.

არ გაეგლო ნახევარ საათს, რომ თომამ იგრძნო. თუ ჭვილთი როგორ შეეხო თევზს და თევზი, ზამთრისაგან ღონე მიხდილი, როგორ ოდნავ გაპყურდა.

თომამ თევზს მიაგნო.

ამის შემდეგ მას ჭვილთით ამოჰყავდა თევზები, რომელნიც ოდნავ ფრთხილებდნენ. მურას თათებზე თავი დაედო და თევზებს ყურადღებას არ აქცევდა; უთუოდ ყოველივე ეს მისთვის ნაცნობი სანახაობა იყო.

თომამ ხუთი დიდი კობრი დაიჭირა. ეს კმაროდა. მან, როგორც ჩვეულება ჰქონდა, გულში ღმერთს მადლობა შესწირა და შინისაკენ გასწია. ნელა მისცურავდა თომა, დრო გამოშვებით გარემოს მიმოჰხედავდა; ამ დროს იგი გრძნობდა სიამოვნებას, რის გამო მკერდი ევსებოდა გაურკვეველ აღტაცებით, ხოლო გონებას მოიცავდა სათნოება და სიმშვიდე.

ნისლი გადაიკრიფა და ინათლა. აღმოსავლეთით ცამ იწყო აგზნება და მალე წითელი ფერი, თუმცა ცივი, მოედო ტყეებს და მთლად ქვეყანას.

უთუოდ მზე ამოვიდა, მაგრამ იგი არა სჩანდა.

იხვებმა, რომელნიც ტბაზე იმდენი ისხდნენ, რომ ტბა გაეშავებიათ, ასტეხეს დაუსრულებელი ყიყინი, მათ ხანდაზმით პასუხს აძლეოდნენ ველურივე იხვები, რომელნიც ჰაობებიდან ამდგარნი, გუნდ-გუნდად ტბისკენ მიფრინავდნენ.

ის იყო თომა მიადგა თავის კარავს და მურა ნელა ადგა და ნაპირზე ავიდა, რომ ქალაქიდან მოისმა ზარის ხმა.

რეკდნენ კათედრალის დიდ ზარს. რაღაც ამბავი იყო. იქნებ მტერი კიდევ გადარეკეს? ისეთი ამბები მოდიოდა იმ დღეებში. მიუხედავად ამი-

სა ზარის ხმაზე თომას გაუგებრობა აღფრთოვანება.

ისედაც უნდა წასულიყო თომა ქალაქში. კიდევ ამიტომ ითევზავა. მას უნდოდა ბიცოლა მატასათვის თევზი მიერთმია. მაგრამ ის აპირებდა ნაშუადღევს. ზარის შემდეგ შუადღემდე ვერ მოიცილიდა.

— აბა, წავიდეთ, ჩემო მურა! რამდენჯერმე სთქვა თომამ. იგი მიმოდინდა კარავში, მას ღინჯად დაჰყვებოდა მურა და ყოველთვის, ახსენებდა თუ არა პატრონი მის სახელს, მურა კუდს ნელა აქნევდა.

კარავი იყო საკმაოდ დიდი და ღარიბი. სარკმელი ჰქონდა პაწია, ბნელოდა, მხოლოდ შუა გულში ერთი ცეცხლი, რომელიც თავისებურად ანათებდა იქაურობას. წითელი, მწვანე, ლურჯი) და ბინადართ აჩვევდა ასე თავისებურად დანახვას არა თუ მარტო იქაურობისა, არამედ ქვეყნიერებისა საზოგადოდ.

ცეცხლისაგან ამდგარი ბოლი ხშირად ატირებდა სულიერით, შემდეგ კარვის სახურავში (ისლში) გადიოდა.

ღარიბი საწოლი, ქვეშ დაფენილი ლაქაშით, ოდნავ ამალღებული იყო მიწიდან. სასთუმალთან რამდენიმე წიგნი ეწყო; იქვე იდგა ჩონგური და კედელზე ორღულიანი სანადირო თოფი ეკიდა. ყოველი საგანი აქ იყო ფერადი მუქი და გაუღნთილი ჰვარტლისა და კომლის სუნით. თომამ ცეცხლი დაშალა.

ნადგერდალს ფერფლი მოედო და მათ იწყეს ჩუმი გზნება.

თომა ფერეული, ორმოციოდე წლის კაცი, შავგვრემანი იყო ისე, ვით ყველა ფერეული. მხოლოდ ცხვირი ჰქონდა მას სწორი და არა მოხრილი, ვით დანარჩენ ფერეულებს. გარდა ამისა, ამ კაცის თვალებში იმდენი სიღრმე და სითბო გამოსჰვიოდა, რომ შემხედვარეს ძალა-უნებურად იზიდავდა და შინსადამი სამეგობროდ განაწყობდა. უთუოდ ამ კაცის ბუნება იყო აღსავსე სი-

ყვარულით, რადგან არა თუ გაჯავრება მისი, არამედ გამომეტყველების შეცვლაც ძნელი წარმოსადგენი იყო.

მას ჰქონდა ტკბილი ხმა, მომფერებელი, და მოკლე უღვაშები, თითქოს ოდნავ სოველი, ისე ჩამოსდიოდა ბაგეებზე, როგორც შეიძლება ჩამოსდიოდეს ოდნავ შეზარხოშებულ ადაშიანს, რომელიც თავისი თავით უზომოდ ნასიამოვნებია და გულის სიკეთის გამო ჰსურს ყოველ სულიერს ასიამოვნოს.

ეს კაცი რამდენიმე წელიწადია ადამიანთაგან განმარტოებით სცხოვრობდა და ეს იყო უცნაური.

— მაშ, წავიდეთ, მურა, წავიდეთ, ჩემო ბიძია!

თომამ კარვის კარები მოიხურა, თევზები კალათაში ჩასდო და მალე თომა და მურა ბაიდაში ისხდნენ და ტბით ქალაქისაკენ მისცურავდნენ. ტბა ოდნავ ჰღელავდა.

X XI

ტბის უდაბური ნაპირები მიტომ იყო უდაბური, რომ მოცული იყო ტყეებით. ტყეს ამუშავებდნენ. ტყე ტივებად გაჰქონდათ ქალაქში, სადაც ტბის ნაპირადვე რამდენიმე სახერხი ქარხანა იყო გამართული. ამრიგად იქმნებოდა. თუმცა მცირედენი, მაგრამ მაინც ერთი სახე წარმოებისა. აგრეთვე ტბაში თევზაობდნენ.

აქ ამოყვანილი თევზი ქალაქს მუდამ ჰყოფნიდა, ხოლო ხშირად მახლობელ ქალაქშიაც გაჰქონდათ.

გარდა ყოველივე ამისა, აქ მოდიოდნენ სანადიროდ, განსაკუთრებით ზამთრობით, რადგან მრავლად მოიპოვებოდა ველური იხვი, ხოლო უფრო ხაკლებ ღორი და შველი.

ყოველივე ამ მიზეზთა გამო ტბაზე მიმოსცურავდნენ.

ქალაქში არ იყო მოსული თომა, ტფილისის დაცემის ამბავი რომ შემხვდურმა მენავემ გააგებინა.

ეს იყო მეტად მოთხოვნილი — რას მეუბნები, კაცო! ერთი კი წამოიძახა თომამ და რაც ძალა ჰქონდა მოუსვა ნიჩბებს.

თომა მიადგა ქალაქის ნაპირს, სადაც გამართული იყო სახერხი ქარხნები. ამ ადგილას ტბა მოცული იყო ტივებით, ხოლო ნაპირები ქარხნიდან გამოზიდული ნახერხით, რომელიც მრავალ ადგილას გორებივით ამართულიყო.

ნაპირზე ჯერ მურა ამოვიდა, შემდეგ მისი პატრონი. ქარხნებში არ მუშაობდნენ; არც ნაპირზე იდგა ტივების ამოტანის ჩვეულებრივი ფუსფუსი, როდესაც მეკამეჩეები უწყალოდ სცემდნენ თავიანთ კამეჩებს, რომელთაც უთუოდ ესმით საშინელი ყოყინა. მაგრამ მაინც ნელა ეცოხნიან და ნელა მოძრაობენ.

მუდამ მხიარული ნაპირი დღეს იყო მდუმარე და ნაღვლიანი.

ქალაქიც ასევე ნაღვლით მოცული დღეს სდუმდა.

თომამ ჩქარი ნაბიჯით გაპლია ქუჩები, სადაც ნაცნობები მას შორიდანვე ძახილით ესალმებოდნენ, ძალსაც ღიმილით შეჰყურებდნენ და იშვიათად, ალერსით რომ არ დაეძახათ: მურა, მურაო. დღეს ასეთ დაძახებაზე ვაყკაცი ძალღი, სხეულში ერთობ იკუმშებოდა და პატრონს ეკვროდა; იგი გაარჩევდა მთქმელთა კილოს, რომელიც დიდი ხალხის გამო დღეს იყო მეტად სათუთი, გინა ნაზი. რა თქმა უნდა, ტფილისის დატოვების სიმწვავე იგრძობა და განიცადა აგრეთვე პროვინციამ.

მოედანზე დიდი ტაძრის გვერდით შეიარაღებულ ყუბანელ ყაზახთა ასეული მიდიოდა. ესენი იყვნენ დარჩეული ბიჭები, რომელნიც იმ დროს გავლით აქ იყვნენ, ევროპაში იხიზნებოდნენ; მხოლოდ ვერ მოეთმინათ და ომი ეთხოვათ.

— გვეხმარებიან? ნაცნობ მოხუცს ჰკითხა თომამ.

— ჰო, თომა, გვეხმარებიან! უპასუხა მოხუცმა და ამოიხრა.

მოხუცის ასეთი ამოოხვრა და სხვა სანახაობანი, რომელნიც ამოოხვრას



შედრებოდნენ, გულს სჩაგრავდნენ; ამიტომ თომამ ქუჩები საჩქაროდ გაი-
 არა და თავისი ბიძის სახლს მიაღდა.

XXII

ქვეყნად უთუოდ ყოველივე ისეა,
 როგორც ვართ ჩვენ.

თომა იყო ნაღვლიანი; ამის გამო ბი-
 ძა მისის, სოლომონ ფერეულის სახ-
 ლი გარედანვე მას დამწუხრებულად მო-
 ეჩვენა.

დიდი, ერთ სართულიანი სახლის აი-
 ვანი ქუჩას გადმოჰყურებდა. ფართე
 ფანჯრებთან, რომელთა თეთრი რიდე-
 ები მზიარულებას ვერა ჰქმნიდნენ. იდ-
 გნენ კვიპაროსები; კვიპაროსებს მისდ-
 გომოდა თეთრი მზის შუქი, ოდნავ ქა-
 რი ჰქროდა და ნელა კვნესით ირხეო-
 დნენ, თითქო სნეული ასულებია და
 თეთრი აცვიათო.

შემდეგ მოსჩანდა ფართე ეზო და
 სიღრმეში ხეხილი. ეზოს ერთკუა ხის და-
 ბალი ლობე, რომელსაც ოდესღაც მწვა-
 ნედ შეღებულს ეღვარება გასძარცოდა.

თომა თავისი ძალით მუდამ აიენი-
 დან ცხადდებოდა ბიძისას, ეხლაც აივ-
 ნის კარებს მიაღდა და როდესაც ზარს
 რეკავდა, მასთან ერთად შესასვლელად
 გამზადებული იცდიდა მურა.

კარები გაიღო; გამოჩნდნენ სახლი-
 დან მომავალი მატას მკურნალი ბიძია
 ალექსი, სოლომონ ფერეული და მახა-
 ნა, რომელნიც მკურნალს მოაცილებ-
 დნენ.

— თომა, მობრძანდი! სთქვა სოლო-
 მონმა.

თომას მიესალმენ მკურნალი და მა-
 ნანა, ერთი მეორე კიდევ მოიკითხეს,
 მხოლოდ ისე, რომ სოლომონსა და მკუ-
 რნალს შორის საუბარი არ შეწყვეტი-
 ლა. ჰალარა მკურნალი ისეთი კილოთი
 ლაპარაკობდა, რომ უთუოდ ავადმყო-
 ფის შესახებ მეტი რამ იცოდა, მეტის
 თქმა შეეძლო, რისი გაგებასაც სოლო-
 მონი ამაოდ ჰცდილობდა.

— მაშ ეხლა როგორ, ჩემო ალექსი?

დაბნეული ეკითხებოდა სოლომონს
 მკურნალს. მკურნალმა პალტოს საყე-
 ლოები აიწია.

— ახმარეთ წამლები. შემდეგ ვნა-
 ხოთ! — სთქვა მან და წავიდა.

სოლომონი ერთი მყისი გაშეშებუ-
 ლი იღვა, შემდეგ თომას ხელი შეახო
 და ჯერ ისევ ბურანში მყოფმა, რამდენ-
 ჯერმე სთქვა:

— მაშ კარგად ბრძანდები, ჩემო თო-
 მა? შემოდი, შემოდი, სწორედ კარგი
 ხარ რომ გვინახულე.

ბიცოლა მატა ბუხრის წინ სავარძე-
 ლში იჯდა.

მის დანახვაზე თომას კინაღამ ცრე-
 მლები მოერია. მატა დასუსტებული-
 ყო; ის ილიმოდა რაღაც დინჯი ღიმი-
 ლით, მხოლოდ ბაგეებით, მაშინ რო-
 დესაც მთელი მისი შინაგანი არსება
 იყო დაძაბული, მაგრამ მშვიდი, თით-
 ქოს დიდი რამ საშინელება თუ საიდუ-
 მლოება ეხილოს და კიდევ შეჰრიგე-
 ბოდეს მას, საიდუმლოებასა თუ საში-
 ნელებას. სუსტი ხმით ლაპარაკობდა
 მატა და ხშირად, ცხვირსახოცს ტუჩე-
 ბთან მიიტანდა, რადგან ეჩვენებოდა
 რომ უნდა დაეხველებია:

— ხედავ, თომა, ჩვენს ბედისწერას?
 არ დაგვაყენეს რუსებმა. ვიტირეთ შვი-
 ლო, ვიტირეთ! ბიძა შენი ბავშვივით
 სტიროდა.

მატას ისევ ცრემლები მოერია და
 სოლომონმა დაყვავებით სთხოვა:

— რა არის, ჩემო ხელმწიფვე, უნდა
 მერწმუნო, რომ ტფილისი მტერს არ
 დარჩება.

თომა დაიხარა და ბიცოლა მატას ხე-
 ლზე აკოცა, თომას შეენიშნა შინაგანი
 სიღინჯე ბიცოლა მატასი; ეს მას აკრ-
 თობდა და, რადგან ეშინოდა ხმის
 თრთოლა არ დასჩენოდა, ხმას არ იღე-
 ბდა.

მანდილოსანთა ხელზე ამბორისათვის
 თომას აკლდა ან დაჰკარგოდა მიმოხვ-
 რის მოქნილობა; გარდა ამისა, მას მე-
 ტად შავი ხელები ჰქონდა; ყოველივე
 ამას თომა თავიდანვე ამჩნევდა: იგი
 გულში ამის გამო ილიმოდა. ამის გა-

მოვე მას ტყიურს ეძახდნენ; ესეც სასიამოვნო იყო. რადგან, როდესაც ჩიბუნი მოუნდებოდა, მხოლოდ ბიცოლას გაუღიმიებდა: ეს ნიშნავდა ბოდიშს (ველურს მეტი არა მოეთხოვებოდა!) შემდეგ თუთუნის კომლი რომ ოთახში არ გამოსულიყო, სულ ახლოს მიუჯდებოდა ბუხარს და აბოლებდა.

— ჰო, შე ტყის კაცო, შე ველური თომა! — გაიღიმა ბიცოლამ და თოძას, რომლისგანაც ჭვარტლის სუნი შეიყნოსა, თმაში ხელი ჩაავლო.

— ჰო, მართლა... — ნელა წამოიძახა თომამ, რა იგრძნო რომ პირველმა მღელვარებამ გაუარა — მურა იცდის ბიცოლა გარედ. სთქვა ესა თომამ, კარები გააღო და ოთახში იატაკზე ჭვანგების მსუბუქი ბაკუნით მურა შემოვიდა. ძალი ავადმყოფთან მივიდა და თავისი ვეება თავი კალთაში ჩაუღო.

ძალსაც ჭვარტლის სუნი ასდიოდა, მაგრამ ეს სუნი ისე, ვით ძალის მთელი სხეული, რომელიც ასეთი ნდობით მუხლებზე ეკვროდა ავადმყოფს, იყო ჯანმრთელობით აღსავსე და მითი საამური.

ისე დაღამდა, რომ სოლომონ ფერეულის ოჯახში ომზე ლაპარაკი არ შეწყვეტილა.

გულდასმით ისმენდა თომა ყოველივეს. მან გაიგო, რომ ონისიმე წინა ხაზზე იყო და ამ ამბავს მის ცოლს კატოს არ ეუბნებოდნენ.

გარდა ამისა, სოფლიდან ბიცოლა ნინო ჩამოსულიყო. ბიცოლა ნინო კატოსთან სცხოვრობდა და ეს ძალიან კარგი იყო, რადგან ბიცოლა ნინოს მშვენიერი გული ჰქონდა, თუმცა მამაკაცივით იცოდა ყვირილი, თითქოს მუდამ გაჯავრებული ყოფილიყო და, რა თქმა უნდა, კატოს არ მოაწყენდა.

ვინ არ ახსენეს სოლომონ ფერეულის ოჯახში; და ვისაც ახსენებდნენ, იყვნენ დაჭრილები ან განსაცდელში მყოფნი. უმეტესად სოლომონი ლაპარაკობდა, მხოლოდ გაუბრუნდა თავისი ვაჟების, ლევანისა და კოტეს ხსენებას.

რათა ავადმყოფი არ გაეღიმიებოდა, ნანა დედასთან იჯდა. იგი ჩაფიქრებული სჩანდა. რამდენჯერ შეცდა მამა მოვლენათა გადმოცემაში, მაგრამ მანანას ხმა არ ამოუღია.

XXIII

ბუხარი ფერადი შუქით ანათებდა ოთახს და სოლომონ ფერეულის ოჯახში არ ისურვეს ელექტრონი აენთოთ.

ბუხარი ჰქმნიდა აგრეთვე ხმაურს, რაიც იქ მყოფთ აღუძრავდა ნაღველს და განაწყობდა მოგონებათათვის.

საუბარი მიწელდა.

იყო გამოუთქმელი სიამოვნება ასეთ დღემილში, როდესაც ბუხრის შუქი ხან და ხან მათ ერთმანეთს უჩვეულოდ განათებულს წარმოუდგენდა, თითქოს ვმირებიაო ზღაპრულ თავგადასავალითა.

მათი ლანდები ბარბაცობდნენ კედელზე.

მანანა ნელა ადგა და დედას ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. დედამ თანხმობით თავი დაუქნია. ისევე ჩუმად მანანა მეორე ოთახში გავიდა, ჩონგური შემოიტანა და უსიტყვოდ თომას გადასცა. თომამ ჩონგური ჩამოართვა და გაისმა თუ არა ნელი ხმები სიმებისა, იქ მყოფთ ბაგეებზე აღებუქდათ ღიმილი.

ვინ არ იცის ჩონგური. იგი აბრეშუმის ხისაგან კეთდება და სიმებიც აბრეშუმისა აქვს. ხმა გააჩნია დაბალი, სათუთი და ნაზი. მაზედ ამღერებენ და ამისათვის საჭიროა დაბალი და ტბილი ხმა.

რამდენიმე ხანს უხმოდ უკრავდა თომა; მას თავი მალლა აეღო და გარინდებული თვით უსმენდა ჩონგურს, რომელიც ამ წუთში მოსთქვამდა რაღაც ნაღვლიანს ისე, როგორც შეიძლება წარმოიდგინო ადამიანმა ქართველი მოხუცი გლეხი, ალალი ბერი კაცი, რომელსაც ალა-მამად-ხანის დროს უცხოვრია, უნახავს დედა-ქალაქის აოხრება და ამის გამო დამგლოვიარებული

სამდურავს უცხადებს მთელ საწუთროს.

იშვიათი დამკვრელი იყო თომა. მისი ჩონგური ეხებოდა სულსა და გულს და ატყვევებდა მათ.

თომამ შეუმჩნევლად ჩონგურის კილო შესცვალა, შემდეგ დაამღერა და თვის სიმღერას თან ამოაყოლა თვისივე გრძნობები, რომელნიც სჩანდნენ მომხიბლავნი და რითაც იგი უთუოდ მდიდარი იყო.

თომა მღეროდა ერთ იმ პოემათაგანს („თამარიანს“), რომელიც ზეპირად იციან მთელს საქართველოში და რომელიც ეხება სიყვარულს.

კარგია სიყვარული, მხოლოდ არ არის კარგი სიყვარულზე ლაპარაკი. თომა ამგვარად ჰფიქრობდა და პოემის იმ ადგილებს, სადაც ლექსთა მთქმელთ ქება უბრძანებიათ, თომა გამოსთქვამდა უბრალო ზმებით: ა.ა.ა. და რადგან ასეთი წესით თომა არ ხუმრობდა, არამედ აღსავსე იყო კდემამოსილებით, მას აფასებდნენ. ან რა საჭირო იყო სიტყვები?

პატარა მანანამ, რომელიც ჯერ თუთხმეტი წლისა იყო, ჩონგურის ხმაზე იცნო სულის წუხილი: გუშინ ველიდან საავადმყოფოში დაჭრილები მოეყვანათ; მათში ერია ვანო უთნელიძე, რომელმაც ონისიმესაგან მანანას ნაჩუქარი ხელთათმანები მიიღო. მანანამ ვანო მაშინ დაინახა, როდესაც იგი საკაცურით კარებში შეჰქონდათ. ვანომ ფერწასული ბაგეებით მანანას გაუღიმა და მანანას მოეჩვენა, თითქო ვანოს ჰსურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ შესძლო და დაიკვნესა.

ეს მოხდა გუშინ და მას შემდეგ მანანას გულში ილიმიან ვანოს თვალები, ისმის ვანოს კვნესა და ისმის აგრეთვე, რასაც ამბობდნენ მაშინ იქ მყოფნი, ერთმა მანდილოსანმა სთქვა:

— საბრალო, ძალიან მძიმედ არის დაჭრილი; ქრილობა ისეთ ადგილას აქვს, რომ უეჭველია ფილტვებიც ექნება დაშავებული.

ეს მანდილოსანი უსათუოდ ბოროტი

იყო, ხოლო მეორე მანდილოსანი კეთილი. კეთილმა სთქვა:

— რას ბრძანებთ, ბატონო, მართალია, ფერწასული სჩანდა, მხოლოდ თვალები ისეთი მკვირცხლი და სიცოცხლით აღსავსე ჰქონდა...

ამ დროს, ერთმა მამაკაცმა მოსაუბრეთ სთხოვა გაჩუმებულიყვნენ, რადგან მოდიოდა ვანო უთნელიძის დედა.

საბრალო ქალი, დედა უთნელიძისა, მოდიოდა თითქოს მუხლებ მოკვეთილი; ხანდახან რამდენიმე ნაბიჯს გამოიბრუნდა და იგი ვერაფერს ვერა ჰხედავდა.

ვანოს დედის დანახვაზე მანანა აცრემლდა და, რომ ტირილი არ დაეწყო, იქაურობას გამოორდა.

თომა დაჰმღეროდა ჩონგურს ისეთი კილოთი, რომ საიდუმლოება მისი ცხოვრებისა სიმღერით მეღვანდებოდა.

თომას ეს არ ახსოვდა; მან იცოდა მხოლოდ, რომ არასოდეს არ ჰქონია უნარი ცხოვრების ალღოს აღებისა და იქ, სადაც გონიერება მოითხოვდა გული და გრძნობები შეებორკა, იგი სადავე მიშვეებული მიჰყვებოდა გულსაც და გრძნობებსაც.

ეს ამბავი მოხდა კავკასიში, დიდი ომის დროს. თომა იქ იყო როგორც სათადარიგო ჯარისკაცი.

ერთხელ ზაფხულში, როდესაც ირგვლივ ნაძვის ხეების სუნნელები იდგა, თომამ ერთ ფართე, შეულობავ ეზოში დაინახა შეკრებილი ხალხი. ბოშებს დათვი ჩამოეყვანათ და ათამაშებდნენ.

თომა მივიდა.

პატარა სახლიდან, სადაც ფანჯრები რიდებით მეტად დაბურული იყო, დროგამოშვებით სეირის სანახავად იცქიარებოდნენ ქალები და კაცები. უბრალო სანახაობა იყო ეს დათვი; ერთი ბოში დოლსა სცემდა, ხოლო მეორე დაატარებდა დათვს, რომელსაც დრუნჩი ლითონის ბადით ჰქონდა აკრული.

დათვს, უკანა თათებზე შემდგარს, წინა თათები მკერდთან უმწეოდ ეჭირა. იგი სტოვებდა შთაბეჭდილებას პატიოსანი და საწყალო კაცისა. დათვი და-

ეროვნული გენერაციები

ბაჭბაჯობდა და ამ ბაჭბაჯში დრო გამოშვებით გამოსცემდა ძლიერ ხმას, აღსავსეს სევდითა და მწუხარებით; ეს ხმა უფრო შეჭფეროდა ველურ ტყეს, სადაც შესაძლებელია, რომელიმე ჯიშის ხეს კიდევ ესმის ასეთი ენა.

მიუხედავად ამისა, დათვი მაინც ალალ კაცსა ჰგავდა.

თომა ახლო მივიდა დათვთან; თომა უღიმოდა და არ ახსოვს ხელი შეახო თუ არა დათვს, თუმცა ამისი სურვილი ჰქონდა.

დათვი არ ყოფილა პატიოსანი და საწყალი კაცი. დათვმა თომას სწრაფად თათი მოუჭნია, ჰვანგებით ზურგზე ხალათი შეაბდღვნა, ბოშს გაუსხლტა და მოშორებით ხეზე ავიარდა.

დათვს დაედევნენ. სახლიდან გამოცვივდნენ და ისინიც დათვისაკენ გაიქცნენ. თომა მარტო დარჩა. დათვის საქციელით თომა ნასიამოვნები იყო; იგი იღიმოდა და, როდესაც ხელით ზურგი გაისინჯა და მიხვდა, რომ სისხლი სდიოდა, მასთან მოვიდა სახლის ერთი ბინადართავანი, ახალგაზრდა ქალი. ქალი იყო მეტად შემკრთალი. ქალმა თომას ხელი მოჰკიდა და ისევ შემკრთალმა სახლში შეიყვანა.

თომამ რალაც უსიამოვნება იგრძნო ამ სახლში შემოსვლით. აქ, ჰაერის მხურვალეობას (კაცს ეჩვენებოდა) თითქოს ერია ადამიანთა სხეულის სითბოც, და, თუმცა სიჩუმე იდგა, იგულისხმებოდა აყალ-მაყალი ან სხვა რამ ასეთი.

მაგრამ მთავარია, რომ ქალი იყო შემკრთალი; ქალი ნაბძვილს ჰბანდა:

— მე ვშიშობ არ გატკინოთ!

ქალი იქნებოდა ცხრამეტი-ოცი წლისა.

— ჰო, ძალიან დიდი ჭრილობებია!

ქალი იყო შავგვრემანი. მას ჰქონდა თეთრი, პაწია და მთლიანი კბილები, ხოლო თვალები შავი და ელვარე.

— მე მქვიან... გამოიცანით... თუმცა მე არაფერი არ მქვიან.

ეს პატარა ქალი იმნაირი გამყივანი ხმებით ლაპარაკობდა, როგორც ლაპა-

რაკობენ მთებში, ხოლო ლაპარაკის დროს ხმაში უკრთოდა სევდა და შიშობა. თომამ სთქვა: — ნეტავ ჯერ არ მორჩებოდეთ ჩემს ჭრილობებს — თომას ხმა უთრთოდა.

— მართლა? ქალი წრფელად გამოსთქვამდა თვის გაოცებას, რაშიაც ჰკრთოდა აგრეთვე კმაყოფილება. მაშინ თომამ სახე მოიბრუნა და პაწია ლეილას (ამ ქალს ერქვა ლეილა) ხანგრძლივად ტუჩებში აკოცა. და როდესაც ამის შემდეგ ქალი ატირდა (პაწია ქალის ცრემლები იყო ცხელი) თომას გული მოიკვა აღფრთოვანებამ და ეს აღფრთოვანება იყო ის, რაზედაც თომა ეხლა მღეროდა.

— ა-ა-ა-ა-ა-ა-ა...

გაუმარჯოს ომს!

რადგან სახლი, სადაც სხვა ქალებთან ერთად სცხოვრობდა ლეილა, ღია იყო მამაკაცთათვის. აქ უკრავდნენ არღანს და სვამდნენ მაგარ სასმელებს. ეს იყო ფარული საროსკიპო და ლეილა იყო როსკიპი; თუმცა სული მისი, ვით სული ბავშვისა (თომა დაიფიცებეს!) იყო შეურყვნელი, თითქოს ერთი მამაკაცი არ მიჰკარებოდეს პაწია ლეილას.

ლეილა იცქირებოდა ისე, თითქოს მას ერჩია ტირილი, მაგრამ ტირილი თითქოს აკრძალული ჰქონდა. ეს ემჩნეოდა, როდესაც უცხო მამაკაცთა შორის იმყოფებოდა. ცხადია, ლეილა არ იყო მადლიერი თავისი ბედის. ამან თომა დასტანჯა!

ომს გაუმარჯოს! რადგან თომა იქაურობას მოაშორეს და ველზე გაისტუმრეს. თორემ ვინ იცის იგი რას ჩაიდენდა; იქნებ კიდევ შეერთო ნაროსკიპალი ქალი. თუმცა რა, თურმე ჩინელი იტყვის: დეე, ერთმა სიცოცხლემ როგორმე ასე გაიაროს!

უეცრად თომამ ჩონგურის კილო შესცვალა და გაისმა გამხუდავი და ძლიერი ხმები, რომელიც შესაძლებელია ყოფილიყო ენა ველური სულისა:

— ივრი ალალი-ვალალო, თარი არა-ლე!

ეს იყო სახსენებელი უძველესი ღმერთთა, რომელთაც წარმართი ადამიანი შევებას შესთხოვდა.

სოლომონ ფერეული აღელვებული წამოდგა. მან სთქვა: ბარაქალა, თომა! ვერავის შეენიშნა, თუ მატას ჩათვლიმა ერთი იმგვარი თვლემით, როგორც სჩვევიათ მეტად დასუსტებულთ, როდესაც გარეშეთა ლაპარაკიც ესმით, სიზმარსა ჰხედავენ და ყოველივე ერთი მეორეში არეულია.

ჩონგურის უკანასკნელ ხმაზე მატას მოესმა თვისი პირველი ვაყის, ჯერ კიდევ ჩვილის ტირილი. ჩვილს გამოჰღვიძებოდა აკვანში და, რადგან არტახებიდან ვერ განთავისუფლებულიყო სტიროდა, მატა, ნეტარებით საესე, გაიქცა ჩვილთან. ეს ჩვილი იყო კოტე; ხოლო მამა მისი ამბობდა:

— ბარაქალა, ბარაქალა!

მატამ დაიკვნესა, გამოეღვიძა და ნელა ამოიოხრა. — ბიცოლა, დიდი დამნაშავე ვარ, რომ დაგქანცე. ამგვარად იღიმებოდა თომა. ბიცოლა მატამ თომა დალოცა:

— ღმერთმა დაგლოცოს, შვილო!

რადგან თომა მიდიოდა, წავიდნენ სოლომონი და მანანა და გაანათეს ელექტრონი.

მურა, რომელიც აივანზე დაეტოვებინათ, ნელა წამოდგა, დაამთქნარა და პატრონს თათებით მკერდზე მიებჯინა.

XXIV

ტფილისის დაცემის შემდეგ ქართულმა ლაშქარმა იწყო უკან დახევა.

მას მოსდევდა მტერი, რომელსაც ჩვენები უმართავდნენ ბრძოლას. ასეთი წესით ორივე ლაშქარი წიფის გვირაბს მიაღდა, სადაც თავდება აღმოსავლეთ საქართველო და იწყება დასავლეთი.

მთელი დღე თოვდა.

თოვლი მოდიოდა სოველი, რომელიც ისედაც წყლით გაქლენთილ ნიადაგზე

დნებოდა და ჰქმნიდა წუმბეჭები.

კლაკნილი ბილიკით ასეთ ამინდში ლეიტენანტი კოტე ფერეული თავისი მზვერავი რაზმით უკან იხევდა. რაზმი შესდგებოდა 27-30 კაცისაგან და მოდიოდა არეული ნაბიჯით, რადგან ტალახი ფეხსაცემელს ეკვროდა და დაღლილ ხალხს, კიდევ უფრო ჰქანცავდა და სვლას უძნელებდა.

რაზმი იყო უძინარი და მთელი დღე უძმელი.

დღე ილეოდა.

თოვაში (ასე სჩანდა) მოძრაობდნენ ბილიკის ირგვლივ ბუჩქები, ეს კაცს აოცებდა, ხოლო უფრო საოცარი ის იყო, რომ არ იხმოდა სროლა, არამედ იდგა მყუდროება.

ლეიტენანტი კოტე ფერეული თავს საძაგელ მდგომარეობაში ჰგრძობდა; ბრძოლის ველი მან თავისი ნებით მიატოვა. ამოცანის მიხედვით ლეიტენანტს თავისი რაზმით სოფელ N-ის გადაღმა მალლობი ეჭირა. წინა ხაზიდან იგი 2-3 კილომეტრით წინ იყო წაწეული, ხოლო შტაბისაგან ექვსიოდე კილომეტრით დაშორებული.

ლეიტენანტს ნაბრძანები ჰქონდა: მალლობზე გამაგრებულიყო და მტრის მოძრაობისათვის ბრძოლაში ჩაურევლად, თუ ამას შესძლებდა, თვალ-ყური ედევნებია. იგი მიიღებდა ბრძანებებს.

ლეიტენანტს ბრძანებები არ მოსვლია, ხოლო შენიშნა მტრის დიდი ძალა, რომელიც დასავლეთ-ჩრდილოეთით მიემართებოდა. ამ გარემოებაზე, ლეიტენანტ ფერეულმა დასწერა პატაკი და შიკრიკის ხელით შტაბს გაუგზავნა. შიკრიკი პატაკითვე დაბრუნდა: შტაბი წასულიყო, რადგან, გლეხების თქმით, შეენიშნათ მტერი, რომელიც შემოვლას ანხორციელებდა.

თუმცა ამ ცნობაში დაუჯერებელი არაფერი იყო, (შიკრიკი, მკვირცხლი და ყოჩალი ბიჭი, ასეთ მნიშვნელოვან საქმეში არ მოტყუვდებოდა, ველზედაც შემომრები არ სჩანდნენ), მაგრამ მაინც რჩებოდა გრძნობა უკმაყოფილებისა,

ბრძანების გარეშე მოხსნის გამო, თანაც იგულისხმებოდა, რომ გზები მოკრილია და ამოდენა ხალხის მტრის ხაზზე შეუმჩნევლად გატარება არ იქნებოდა ადვილი.

მიუხედავად ამისა, ლეიტენანტს დალონება ეკრძალებოდა. მას განუზრახა რაც შეიძლება ჩქარა ევლო, მისდგომოდა გვირაბს (იქნებ მტრისათვის მიესწრო) და თუმცა ეს ვერ ჩაითვლებოდა კარგ საშუალებად, მაინც გვირაბით გასულიყო. თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, იგი ჩრდილოეთით დაიხვედა ან მოიქცეოდა ისე, როგორც საჭიროდ დაინახავდა.

— ნაბიჯი ჩქარი!

ასეთ დაძახებაზე ლეიტენანტი ფერეული ხშირად განზე გადგებოდა და ათიოდე კაცს თავის წინ გაატარებდა, რათა რაზმისათვის თვალი მოევლო.

რაზმი შესდგებოდა ჭაბუკებისაგან; ესენი იყვნენ 21-22 წლისანი, შავები, გაუპარსავნი, დადლილნი. ასეთივე იყო კოტე ფერეულიც: აგურისფერი, ქეჩის, მოკლე მაზარა, მხოლოდ თოფი არ ეკიდდა.

ლეიტენანტის შეხედვაზე, ჯარისკაცები იწყებდნენ ყოჩაღად სვლას; მათ ახსოვდათ ლეიტენანტის სიტყვები: „როდესაც შენს მაგივრად სხვას სცხვენია, ამაზე უარესი არაფერია. ბერიკაცს კიდევ ებატება ლაჩრობა; თქვენ კი განსოვდეთ, რომ ჭაბუკები ხართ! ამიტომ, ბიჭებო, არ დამანახოთ სიმხდალე!“

ამ სიტყვების გაგონებაზე ბიჭები მკერდს წინ იშვერდნენ და ძალა-უნებურად ჰპოულობდნენ ამაყ გამომეტყველებას, თითქოს ქართული ჩვეულების თანახმად იძახდნენ: „როგორ გეკადრებათ, ბატონო!“.

ლეიტენანტი ფერეული ახერხებდა; მკაცრ კილოსთან ერთად გადმოეცა რაღაც ამხანაგური.

თოვა შესწყდა.

რაზმი რკინის გზის ლიანდაგზე გამოვიდა და იწყო სვლა უფრო ფართე და მყარ ბილიკზე, რომელიც ლიანდაგს

დაბლა და ლიანდაგის, თანაბრად მიემართებოდა.

ასე იარა რაზმმა ათიოდე წუთი.

უეცრად უკნიდან, გორაკის მხრივ, მოისმა მატარებლის ქშენა და ხელოთვე შესახვევში აიშართა ჯავშნოსანი. ლეიტენანტი ჯავშნოსანს აქ არ ელოდა. ეს იყო ჩვენი ჯავშნოსანი ნომერი ოთხი. ლეიტენანტმა მატარებელი იცნო, რადგან წარწერა დაინახა; გარდა ამისა დაინახა, რომ მესამე საბრძოლო რონდაში შუაკარები გაელო და შიგ იდგა მაღალი ტანის მხედარი, უთუოდ მატარებლის უფროსი, რომელიც რაღაცას გაპყვიროდა; უფროსი ჯერ რაზმს უყვიროდა, შემდეგ რაზმის წინ ჭაბუკი შენიშნა, ლეიტენანტი ფერეული, და მოსდგა მას.

მატარებელი აღმართის გამო ან იქნებ უფროსის განკარგულებითაც მიდიოდა ნელა. მატარებელმა მთელი ცისკიდური დაიკავა; ამის გამო და აგრეთვე იმიტომაც, რომ ერთყა ნაცრისფერი ჯავშანი, სჩანდა დიდი.

მატარებლის უფროსი, თუმცა მისი სიტყვები კიდევ არ ისმოდნენ, უთუოდ განრისხებული იყო. მალე მატარებელი რაზმს გაუთანასწორდა და სწორედ ამ დროს ლეიტენანტმა ისეთი საყვედური გაიგონა, რაც შესაძლებელი იყო მატარებლის უფროსს ამდენ ხანს ეთქვა და არავის გაეგონა. მატარებლის უფროსი სახეზე გაწითლებული იყო.

— გაიქეცი, გაიქეცი! — ჰყვიროდა იგი და უმთავრესად მიმართავდა ფერეულს — დაგექცა ოჯახი, შენ ოფიცერი კი არა, ჩემო ძმაო, შენ ხარ დედა-კაცი!...

ასე შეეძლო მთავარსარდალს ეყვირა, შეეძლო ფერეულის მამასაც, სოლომონ ფერეულის, და საზოგადოდ ყოველ ქართველს, რომელიც ჯარის დახვეით გულმოკლულია.

მატარებლის უფროსის სიტყვები ჯარმა გაიგონა. ჯარი და ლეიტენანტი ჰგრძობდნენ, რომ მატარებელი მათზე მაღალი იყო, ამ სიმაღლიდან ჰყვი-

— კტო იღოტ, სტოი, ტავარიში! იყვირა ჩრდილმა.

ეს იყო მტრის საგუშაგო რაზმი; იგი ამოძრავდა, გვერდიდანაც მოისმა ხმაური. გვიანდა იყო დახვევა, ხოლო საზარალო ბრძოლის გამართვა.

— და სვაი, ნე ვი-იშ შტოლი? გაგულისებით დაიძახა ფერეულმა.

ხერხმა არ გასჭრა, ლეიტენანტ ფერეულის მზვერავ რაზმს ირგვლივ შემოერტყნენ და დაატყვევეს.

მტრის საველე კარავში (კარავი განათებული იყო ძუნწად, სადაც მაგიდისდაგვარ რაღაცაზე გაეშალათ რუქა და თავს დასდგომოდა სამი მხედარი) კოტე ფერეულმა ცნობის მიცემაზე უარი განაცხადა. მან სთქვა: მე ვარ კონსტანტინე ფერეული, სამხედრო ტყვე! თავი მალა აიღო და ამის შემდეგ, იქ მყოფი გასწვრივ, უმოძრაოდ მისჩერებოდა ერთ წერტილს.

მტერს ჰსურდა ცოტაოდენი რამ სცოდნოდა: მაგალითად, რამდენად დიდია, დაახლოებით რიცხვი ჯარისა, როგორია ჯარის განწყობილება, კვება, შეიარაღება და სხვა ასეთი.

რუსი მხედარი, რომელიც, როგორც კოტე ფერეულს მოეჩვენა, ჰცდილობდა ხმა ჰქონოდა პატიოსანი და პირდაპირი კაცისა და რომელიც აგრეთვე, მართალია მტერია, მაგრამ მტერსაც, ქართულ ტყვე ლეიტენანტსაც, პატივსაც სცემდა. რუსი მხედარი თავისი თავდაპირვით აღძრავდა ცნობისმოყვარეობას, მხოლოდ ეს არ შეიძლებოდა.

მხედარმა, რა მიხვდა, ტყვე არ ილაპარაკებდა, იქ მყოფთ რაღაც უთხრა და ლეიტენანტი გაიყვანეს.

— ვ შტაბ დუხონინა ტეზია! — ლეიტენანტს უთხრა რუსმა ჯარისკაცმა.

კოტეს გაგებული ჰქონდა, რომ ჯარისკაცულ-ბოლშევიკურ ჟარგონით, „დუხონინის შტაბი“ დახვრეტას ჰგულისხმობდა. კოტე გაჯავრდა, კინაღამ უთხრა ჯარისკაცს:

— და შენ, უგნურტყ ჩემს მკვამრად სტირი?! **ბიზ-ნი-ი-ო-ს-ი-ს-ი**

ლეიტენანტი მოაქციეს პატარა ხის შენობაში, რომელიც უთუოდ პირუტყვის სამყოფი იყო: ბნელოდა. კოტემ ფრთხილად გასინჯა თვისი სატუსალო კედლები, ჰკერი (იატაკი თხისა იყო) მაგრამ, არა თუ სადმე გამტვრეული, არამედ სუსტი ადგილიც ვერსად აღმოაჩინა; კოტე კუთხეში მიწვა.

სასურველი იყო ძალ-ღონის მოსაკრეფად ცოტაოდენი დაძინება, ხოლო შემდეგ დასვენებულ კაცს რაიმე უნდა მოეფიქრებია. კოტეს ყურადღება არ უნდა მიექცია, იატაკის სისველისათვის, რომელსაც იგი თვისი ქეჩის მაზარით ჰგრძნობდა.

ლეიტენანტს არ ჰქონდა დარდი თავისი რაზმის. დარწმუნებული იყო: ჯარისკაცებს არ დაატუსაღებდნენ, არამედ გაისტუმრებდნენ სახლში, რადგან მტერი უკვე ჰგრძნობდა თვის გამარჯვებას.

ომის პირველ დღეებში, ჩვენი ერთი დიდი მხედარიც ასე მოქცეულიყო: მას (დიდ მხედარს), რა ენახა უმწეო რუსი ტყვეები, რამდენიმე მათგანი შეემოსა, გაეძლო და უკანვე გაეგზავნა, რადგან რუსის სარდლობა თურმე ჯარს ეუბნებოდა: თქვენ უნდა იხსნათ ქართველი მშრომელი, რომელიც შეძლებულთა მიერ გაძარცვულია და ჰგმინავსო.

კოტეს არ ეძინებოდა.

არც დიდად ჰვლავდა იგი, რადგან თავს მიტოვებულად სრულებით არ ჰგრძნობდა: ერთი რომ მას იმედი ჰქონდა, თუმცა თვითონ ვერ იტყოდა ვისი ან რისი, რომ ტყვეობას როგორმე თავს დააღწევდა, და თუ მაინც და მაინც დახვრეტდნენ, სიკვდილის წინაშე მას ღირსეულად უნდა სჭეროდა თავი და სულმოკლეობა არ გამოეჩინა.

სიკვდილი დიდი მოვლენაა!

სიკვდილის ეშინოდათ და ეშინიათ! ძველადვე ასკეტური ცხოვრების მიზანი, ადამიანის სულისკვეთების მომზადება იყო; მას შემდეგ ყოველ დიდ ერს ჰქონდა თავისებური შეხედულება

შექმნილი სიკვდილზე და ყოველი დიდი ერის შვილი, უმეტესად, ჰკვდებოდა ერთნაირად, თავისი შეხედულების მიხედვით. დღეს ცდილობენ სიკვდილზე არ იფიქრონ!

ჯარისკაცმა, რომელმაც კოტე სატუს-სალოში მოიყვანა და რომელიც ეხლა კოტეს სდარაჯობდა, სთქვა:

— ვ შტაბ დუხონინა ტებია!

ჯარისკაცმა ეს მაშინ სთქვა, როდესაც კოტემ გზაზედ ფეხი რაღაცას მოსდო და წაიბორძიკა. უთუოდ მან იფიქრა, რომ ტყვე უმწეო ვინმეა. ამ აზრმა კოტეს საფიქრალს ახალი მიმართულება მისცა და თუ ამდენ ხანს იგი მხიარულად იღიმოდა, ეხლა ღიმილი გაუქრთა და ლეიტენანტი სწრაფად შე-წამოდგა, მან მთელი სხეული და განსაკუთრებით მკლავები რამდენჯერმე დაძაბა, როგორც ყოველ დილას ვარჯიშის დროს შვრებოდა და კარებთან მივიდა.

სიკვდილის წინ ადამიანს თურმე თვალწინ გაუბრუნს განვლილი ცხოვრება; და კოტე იმიტომ იცინოდა ამდენ ხანს, რომ თვითონვე გაითვალისწინა თუ რას ნახავდა იგი. ეს ბევრი არაფერი იყო. პოლკის უფროსის მეუღლის და, უთუოდ შესანიშნავი ქალწული ბრძანდებოდა. მეტად ჭაბუკი, ის მშვენიერად თამაშობდა პიანინოზე, მსუბუქად ცეკვავდა. მხოლოდ ლეიტენანტმა ფერეულმა შენიშნა, რომ დასაბყრობი არაფერი იყო და ასული თვით მკლავებზედა სურვილს ბ-ნი ლეიტენანტისაგან მომხიბლავ სიტყვათა მოსმენისა. მართალია ასული ჰგავდა მაისის დილას, რომელიც მკვრივია, და რომელსაც გინდა ხელი შეახო, მაგრამ მას აქლდა სიჭიუტე და არ განუზრახავს ლეიტენანტის დამორჩილება.

ამის გამო ლეიტენანტს მომხიბლავი სიტყვები არ უთქვამს, აგრეთვე იმიტომ, რომ ქვეყანა სავსე იყო დაბრკოლებებითა და აღფრთოვანებით. ხოლო ცხოვრება იყო საამუერი, ვით სვლანორჩ ბალახში, სადაც ჰხარობენ ვე-

ლური ყვავილები თვისი მშვენიერების სუნნელებით.

საზღვარი არ ჰქონდა კოტეს განცვიფრებას, როდესაც მან კარებთან კედელში ხერელი აღმოაჩინა, შიგ ხელი გაპყო, კარის საკეტი მოჰსინჯა და საკეტი მას მოჰყვა.

ლეიტენანტი კოტე ფერეული გარედ გამოვიდა.

გუშაგი თოფით მხარზე მიმოდოდა.

ლეიტენანტი ორ ვაჟაკს გაუმკლავდებოდა. სიბრალულის დრო არ იყო. ლეიტენანტმა ისკუპა; გუშაგს, სანამ იგი დაიყვირებდა, ხელები ყიამი ჩაავლო. გაჰკუდა და უხმოდ დაბლა დასცა.

ფერეულმა მას ააცალა ვაზნები, თოფი ხელთ აიღო და ფართე ნახტომით იქაურობას გაშორდა, რათა, რაც შეიძლება შორს წასულიყო, სანამ გონება მიხდილი გუშაგი მოსულიერდებოდა და განგაშს ასტენდა.

XXVI

მარტის პირველ რიცხვებში ჩვენმა სანაპირო ქალაქმა თავი ძლეულად სცნო და იარალი დაჰყარა.

ქალაქს არც უბრძოლია; მისმა ლაშქარმა შავი ზღვის ნაპირებზე მანამდე შეაჩერა მტერი, სანამ რესპუბლიკის ძალა ბათუმისაკენ დაიძრებოდა.

მას შემდეგ სანაპირო ჯარმაც იწყო უკან დახევა, ხოლო მარტის პირველ რიცხვებში, ქალაქში შემოვიდა უკან დახეული ჩვენი ლაშქრის პირველი ნაწილი.

ლაშქარი იყო დაქანცული და მშვიერი.

არსებითად ომი წაგებული იყო; ცოტაოდენი-ლა შერჩენოდა საქართველოს თავისუფალი მიწა-წყალი; ეს თავისუფალი მიწა-წყალი იყო გურია და აჭარა ბათუმითურთ.

მაგრამ რადგან ქართველი ერი ევროპიდან მოელოდა დახმარებას, ამიტომ მოქალაქეთა უმრავლესობა იხიზნებო-

და ქალაქ ბათუმში, დაჯერება ევროპის დაზმარების არავის უძნელდებოდა, რადგან ადამიანს ეს კმატებდა სიმზნევს, აგრეთვე იმიტომ, რომ საქართველოს რესპუბლიკა იყო ადამიანობა, იყო ადამიანის პატივისცემა და უთუოდ, სადღაც ვიღაცანი, რომელნიც განაგებდნენ მსოფლიოს ბედს, არ ისურვებდნენ, რომ ასეთი კარგი მოვლენა ყოფილიყო დათრგუნველი.

შველა დაგვიანდა.

და როდესაც ლაშქრის ნაწილი დაბრუნდა სანაპირო ქალაქში უკვე დაბეჯითებით ლაპარაკობდნენ, რომ ბოლშევიკების ელჩი, ბატონი აბელ ენუქიძე ტომით ქართველი, რომელსაც ჩვენშიაც სინდისიერი ადამიანის სახელი ჰქონდა, საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს ომის გათავებისა და მორიგების შესახებო.

დაბრუნებულ მოლაშქრეთ შეეძლოთ ოჯახში დარჩენილიყვნენ, ხოლო, თუ ჰსურდათ, შეეძლოთ თავიანთ სარდლებს ბათუმში გაჰყოლოდნენ. სანაპირო ქალაქმა კიდევ ერთჯერ დარეკა კათედრალის დიდი ზარი, რათა ხალხისათვის ემცნოთ, რომ ყოველ წუთში იყო მოსალოდნელი მტრის შემოსვლა. მაშინ მოქალაქეთა უმრავლესობა ოჯახებით გაეშურა ბათუმისაკენ; მიდიოდნენ გზატკეცილით, მიდიოდნენ ზღვითაც. გემების საყვირი განუწყვეტილად ისმოდა ქალაქში. პირუტყვთაც გადასცემოდათ ადამიანთა შფოთვა და ისინიც ძრწოდნენ.

ქალაქი ძრწოდა.

მატა ფერეულს სასტუმრო ოთახში, ისე ვით უწინ, ბუხარში ენთო ცეცხლი და ბუხარს უსხდნენ სოლომონი და თომა.

მანანა რიდევბ ჩამოშვებულ ფანჯარას მისდგომოდა და ქუჩას სკვრეტდა. ელოდნენ მტერს.

მართალია, სასტუმროში სდუმდნენ, მაგრამ მათი დუმილი იყო მღელვარებისა და არა სიმშვიდის.

ოთახში თბილოდა; ფანჯარასთან

მდგომ მანანას შეცივეტა მისი მხრები და ოდნავ თბილობდა. იგი, თითქოს ქუჩაში რაიმე დაენახოს ან მოჰყურებოდეს, სულს შეიკმევდა, რათა შეშინებულს არ დაეყვირა; მაშინ რომელიმე, ან სოლომონი ან თომა, რომელთაც გულისყური მანანასკენ ჰქონდათ და მისი არაფერი გამოეპარებოდათ, ნელა დგებოდა, მიდიოდა ფანჯარასთან, ათვალიერებდა ქუჩას და უხმოდვე ბრუნდებოდა თავის ალაგას.

ქუჩაში არავინ სჩანდა.

ყველა, ვისაც სურვილი ჰქონდა, ქალაქს გასცლოდა; ეხლა იდგა სიჩუმე. ჩასასვლელად გადახრილი მზისა — წითელი ფერი მისდგომოდა ქუჩის წუმბეებსა და თეთრ ქვებს; ილეოდა ერთი თბილი და ნათელი დღე. ადამიანურ ქმლევარებათა შორის იგი ილეოდა მშვიდად და თავისთვის. სოლომონი ადგა; ოთახებში გავიდა. იგი მალე დაბრუნდა. რომ არ ეხმაურა, სოლომონი ცერებზე მოდიოდა და თომას, რომელიც უსიტყვოდ ეკითხებოდა, ჩუმად და ნაღვლიანად უპასუხა:

— სძინავს!

ეს შეეხებოდა მატას. მატა იწვა.

მეტად დასუსტებული იგი ხან პთვლემდა ხან იღვიძებდა და ეძლეოდა მშფოთვარე ფიქრებს, რათა მეორე წუთში, ფიქრთაგან დაქანცულს კვლავ ჩაეთვლიმა. მას არ ჰქონდა შიში, რომ მის შვილებს რაიმე შეემთხვეოდათ, მხოლოდ ჰსურდა მათი ხილვა. ისინი იყვნენ მისი ზორცი და სისხლი, ჭაბუკები, რომელთაც ჰქონდათ შავი თმა. მატა თავის ბიჭებს თმაზე ხელს გადაუსობდა და მათ ხელს ეამბორებოდა. ამისი სურვილი იმდენად დიდი იყო და იმდენად მტანჯველი, რომ მატა ეძლეოდა საგონებელს და ყოველივე, რასაც იგი ჰფიქრობდა იყო არა გონებისა, არც ამპარტავანი ძლიერების, არამედ მართლოდენ დედობრივი გრძნობის.

მატა ჰფიქრობდა:

— ნეტავ, რა უნდა ჰპოვოს მტერმა ჩვენს ქვეყანაში ისეთი, რაიც თავისი

ვნიშვნელობით შეედრებოდეს ჩვენს ტანჯვასა და წუხილს? ისინიც ხომ ისეთივე ადამიანებია ვით მე? მათ ხომ ადამიანური ესმით? მე ხომ ამას ვერ ჩავიდენდი? მე ხომ არ ვისურვებდი სხვისთვის მწუხარება შემექმნა?

თავის ასეთ მღელვარებას მატა არავის უზიარებდა. იქნებ ამის გამო მას ებადებოდა სურვილი რაღაც მოძრაობისა, მაგრამ დაუძლურებულ სხეულს, მხოლოდ ტკივილთა წარმოშობის უნარი შერჩენოდა. ეს იწვევდა სასოწარკვეთილებას და მღელვარებით დაქანცული ავადმყოფი იწყებდა თვლემას.

შინაურები, ბატონი სოლომონი, თომა და მანანა ჰკდილობდნენ ავადმყოფთან ისეთ საგანზე ელაპარაკნათ, რაიც მათი შეხედულებით არ გამოიწვევდა „ბიჭების“ მოგონებას.

და როდესაც მკურნალმა, ძია ალექსიმ, რეცეპტის წერის დროს (ეს მოხდა გუშინწინ) ახალ ამბავად გამოაცხადა გოჩიძის სიკვდილი, მანანა ექიმთან სწრაფად დაიხარა და ასეთი სიტყვები უთხრა:

— ძია, თუ შეიძლებოდა მწარე წამალი არ გამოწერო, გარდა ამისა სუნიანიც არ იყოს, დედას შეაწუხებს.

რა თქმა უნდა, ასეთი ხერხი ვერ გასკრიდა, რადგან გოჩაძე, საშა გოჩაძე, ახალგაზრდა ოფიცერი მძიმედ იყო დაქრილი და მისი უბედობით მთელი ქალაქი სწუხდა; საშა გოჩაძე ტოლი იყო კოტე ფერეულისა.

მანანას სიტყვებზე მკურნალმა სათვალეები გაისწორა, ოდნავ იღიმოდა, რაც უნდა დაეწერა ჩაილაპარაკა: „უნგუენტუმ კრეოზოტი ფაგი“, და, საზოგადოდ, მას აქ მოსვლა უმძიმდა, რადგან მოგეხსენებათ, ბატონებო, ძველთა ძველი მეგობრის ოჯახი, მრავალი პურმარილი, მეტად პატივცემული ქალბატონი მატა, მაგრამ მას, მკურნალს, ბატონებო, არაფერი შეუძლია; ეს უნდა გაიგოთ, ბატონებო, რადგან ბუნებას, ბატონებო, ავია თუ კარგია, აქვს თავისი კანონები“.

ასე ედავებოდა გონებაში თავის თავს

ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ მკურნალი. მკურნალმა თავის თავთან საუბარი შესწყვიტა და მანანას უწყობა დაეწყო. შემდეგ იკითხა:

— მაშ, არც იყოს სუნიანი, არც იყოს მწარე? და გაიცინა: ჰა-ჰა-ჰა...

საშა გოჩიძის ხსენებაზე მატა ოდნავ შეთრთოლდა; ეს შენიშნეს სოლომონმა და თომამ, რომელთაც უნებურის შეკრთომით მოჰხედეს მას. მატამ ამოიოხრა და თვალები მილულა.

გარეგნულად, შინაურთა შესახედად მატა იყო ღინჯი, მაგრამ ამ სიღინჯეში იყო რაღაც განსაკუთრებული, თითქოს უხილავი ძაფები, რაც აერთებდა შინაურებთან, აგრეთვე მთლად ადამიანთან, დაწყვეტილიყო და ასე დაშორებული, ჰსუნთქავდა იგი თავისთვის, მას უთრთოდა კისრის ძარღვი.

ოთახში მოესხურებიათ ნაძვის ესენცია და იღვა მისი სუნელები.

XXVII

დალამდა. მტერი ჯერ არსად სჩანდა. შესაძლებელია იგი უკვე ქალაქში იყო, მაგრამ ასე უხმაუროდ მოსვლა მტრისა, რომლის ხსენებაზედაც მანანას აგონდებოდა სიტყვები: მრისხანება, ზარბაზანი, ცხენოსნები, წარმოუდგენელი იყო. მართალია მტრის ჯარი გაივლიდა მთავარი ქუჩით, რაიც ფერეულის სახლიდან არ სჩანდა, მაგრამ რაიმე ხმაური ხომ უნდა შექმნილიყო?

ასეთ ლოდინში იყო მანანა, როდესაც ქუჩაზე ორი ბავშვი, გოგო და ბიჭი გამოჩნდა. გოგოს, როგორც ემჩნეოდა უფროსს (ის იქნებოდა ცხრა წლისა), ცალ ხელში რაღაც ქალაქში შეხვეული ეჭირა, ხოლო მეორეთი თვისი პატარა ძმა მოჰყავდა.

ძმა სტიროდა; ძმა ჰკდილობდა აგრეთვე ჩქარა ევლო. რათა მისწოდოდა თავის დას, ამისათვის იგი ჰხტოდა წუმპეებზე თავისი პაწია და უხერხული ნახტომებით, მაგრამ ეს მას ვერ შეელოდა; ის იყო მუდამ უკან, იყო დას-

ველებული და სიცივისაგან ხელები და ცხვირი გაპლურჯებოდა. დროგამოშვებით ბავშვები ირგვლივ შიშით იხედებოდნენ და დაა ეუბნებოდა ძმას:

— შენ კაი ხარ, კოტიკო! მე? მითხარი კოტიკო, ჰა? პატარა დას მეტად შეშინებული ხმა ჰქონდა; უთუოდ მას უნდოდა ძმის ყურადღება გაერთო, რათა თვითონაც არ ატირებულიყო.

ძმამ ტირილითვე უპასუხა:

— დოდიკო, შენც კაი ხარ!

ამ დროს შესახვევიდან, რომელიც ერთვოდა მთავარ ქუჩას, მოისმა ყვირილი და თოფის სროლა.

— სტოი, სტოი! ჰყვიროდნენ რუსულად და ვილაცას დაღვენებულნი მობობდნენ.

თოფის ხმაზე კოტიკომ გაქცევა სცადა და წუმბეში ჩაეპარდა. დაა ატირდა.

— კოტიკო, კოტიკო! თავზარდაცემული ჰქოდა იგი და ამოდ ცდილობდა ძმის აყენებას.

ამ სურათს ფერეულები (მათი სახლის წინ ზდებოდა ყოველივე) ფანჯრიდან ჰხედავდნენ.

სოლომონსა და თომას ქუჩაში გასვლა ვერ გაეხდათ, რადგან მოახლოებულ ყვირილზე ეტყობოდა, რომ მალე გამოჩნდებოდნენ ისინი ვინც აქეთ მობობდნენ. მეორეს მხრივ, არც ბავშვები დაიტოვებოდა ქუჩაში.

უცბად მანანამ კარები გააღო და სირბილით ქუჩაში გავიდა.

სოლომონმა ჯერ მანანას დაუყვირა:

— მანანა! შემდეგ ხელები მაგრად ჩასჭიდა თომას და გაფითრებული ბუტბუტებდა:

— ღმერთო ჩემო... თომა!

ბავშვებთან მისული არ იყო მანანა, შესახვევიდან რომ ვილაც თოფიანი კაცი სირბილით გამოვარდა; იგი ჰგავდა ონისიმე ფერეულს, მობობდა სწრაფად და მსუბუქად და რადგან უთუოდ იცოდა რა უნდა ექნა, თანაც თოფი ხელთ ეჭირა, მას დაბნეულობა არ ეტყობოდა, მხოლოდ ბავშვების დანახვაზე იგი დაიბნა.

მან მიმოიხედა და დააპირა თოფის

მხარზე გადაკიდება, ^{ჩვენს მტრისა} ბავშვები აეტაცებია, ^{მეტი} არა მანანა, თოფიანმა კაცმა ბავშვებს თავი ანება, ქუჩა ხტომით გასჭრა და გაპქრა.

იმ წუთშივე, ქართველი ჯარისკაცის კვალ და კვალ ხუთიოდე შეიარაღებული რუსი ჯარისკაცი გამოჩნდა. თოფები მათ სასროლად ჰქონდათ გამზადებული.

რუსების გამოჩენაზე, სოლომონ ფერეულმა თავში ხელები შემოირტყა; მან უთხრა თომას:

— წავიდეთ, ჩემო ბიძია!

თომას თავიდანვე უნდოდა დასდევნებოდა მანანას; მურაც აბურძგვნილი ბეწვებით იქვე იღვა და დროგამოშვებით ქუხილივით ჰღრენდა; მაგრამ სოლომონ ფერეულს რაღაც ალღო აიძულებდა თომა გარედ არ გაეშვა. ეხლა კი სოლომონმა თვით სთქვა: წავიდეთ!

სოლომონმა, ქუჩას რომ თვალს არ ამორებდა, კარები გააღო და ისევე შესდგა.

რუსებმა, რა დაინახეს მანანა და ორი მტარალი ბავშვი, შესდგნენ შეყოყმანდნენ; მართალია, ისინი განრისხებული იყვნენ, მაგრამ არა ბავშვებზე და ქალებზე. გარდა ამისა მანანაც განრისხებული იყო.

რუსებმა ლტოლვილი იკითხეს. ისინი ჰკითხულობდნენ მკაცრად. მანანამ თავი გაუქნია: არ ვიციო.

შემდეგ იკითხეს, თუ ქუჩაში მანანა და ეს ბავშვები რას მოასწავებდნენ და მკაცრადვე მოსთხოვეს მანანას ამ წუთშივე ბავშვები წაეყვანა და სახლში შესულიყო.

რუსები (ეს იყო მზვერავი რაზმი) უკანვე. მთავარ ქუჩისაკენ გაბრუნდნენ.

სოლომონმა და თომამ მანანას ბავშვები ჩამოართვეს, სოლომონი გაფითრებული იყო; მან ამოიგმინა: მანანა! და თავისი გოგო გულში ჩაიკრა.

— მომკალი, შვილო, შიშით, საყვედურით ამბობდა სოლომონი, მანანა



ატირდა. იგი სტიროდა ჩუმად და, რათა დედას არ გაეგონა, კიდევ უფრო ცდილობდა დაეხშო ტირილი.

მამამ იგი ბუხრის წინ დასვა. აქვე დაესვა თომას ბავშვები, რომელნიც ნამტირალევი თვალებით შეჰყურებდნენ ფერეულებს.

სოლომონ ფერეულს ათასი მიზეზი ჰქონდა დაღვრემილი ყოფილიყო; იგი სდუმდა. სხვებიც ჩუმად იყვნენ.

თომამ და მანანამ კოტიკოს ტანთ გაჰხადეს და სოველი სხეული შეუმშრალეს. კოტიკო იყო მსუქანი და ვარდისფერი; მას სოლომონის ძველი ფიჯაკი მოახურეს და ბავშვი დაიძალა. იგი სოლომონის ფიჯაკიდან განცვიფრებულად შეჰყურებდა ბუხრის წინ გასაშრობად გაფენილ მისსავე ტანისამოსს, რომელსაც ორთქლი ასდიოდა; აგრეთვე შეჰყურებდა მურას, რომელიც იქვე კუთხეში იწვა და რომელიც უთუოდ ხისაგან გაკეთებული ჰქონდა იყო, რადგან არ ირბეოდა.

— ეს რა ჩემი ცოდვაა!

ბავშვებისაკენ ხელი გაიშვირა დაბოლოს სოლომონმა. — სად გაგონილა ასეთ დროს ბავშვების გარედ გაშვება! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! გმინვით ამბობდა სოლომონი. მის ასეთ გმინვაში სჩანდა განვლილი შიში, აგრეთვე მწუხარება რომ ქალაქში შემოვიდა მტერი. სოლომონი ბავშვებს თავს დაადგა და დოდიკოს მიმართა: ვისი ხარ, ბიძია, შენ?

დოდიკო ალაპარაკდა; მისი სიტყვებიდან ირკვეოდა, რომ მათი მამა (დოდიკომ სთქვა ჩემი და კოტიკოს მამა) იყო მძიმედ დაჭრილი. დაჭრილი ეხლა მოეყვანათ სახლში და ხელათვე თეძოდან ტყვია ამოეღოთ. დედა დაჭრილთან დარჩენილიყო, ხოლო მკურნალს, რომელსაც ოპერაცია გაეკეთებია, ბავშვები აფთიაქში წაეყვანა, ყოველი საჭირო ეყიდა, ქუჩა ესწავლებია და თვითონ სხვა დაჭრილთან გაქცეულიყო. ფერეულები იცნობდნენ ბავშვის დედ-მამას, ისინი იყვნენ ლარიბნი და სცხოვრობდნენ ვანო უთნე-

ლიძის მეზობლად. კოტიკომ სდუმდა; მამა ძალიან ბევრი იტირა. დოდიკო გაუსწორა: კი არ უტირია, კოტიკო, ყვიროდა.

დოდიკოს ისეთი სუსტი და ანკარა ხმა ჰქონდა, როგორც აქვს ნიბლიას; დოდიკო ნიბლიას ჰგავდა; დოდიკო ჰგავდა აგრეთვე ონისიმე ფერეულის პატარა გოგოებს.

XXVIII

ონისიმე ფერეული დაბრუნებულ ლაშქარს თან არ ჩამოჰყოლია და ეს გარემოება აგრეთვე ჰქმნიდა წუხილს.

მანანას ფიქრით, სწორედ ონისიმე იყო ის ჯარისკაცი, რომელიც რუსებისაგან ილტოდა. სოლომონი და თომა კი, პირიქით, ამბობდნენ რომ ის არ იყო ონისიმე, არამედ ვიღაც ერთი კაცი, რომელიც ონისიმეს აგებულობისა და რომელსაც მანანა არ იცნობდა. ონისიმე რომ ყოფილიყო, ბავშვებსა და მანანას ქუჩაში არ დასტოვებდა.

ლაპარაკის დროს, ავადმყოფის რიღით, უფროსები ერთმანეთს აჩუმებდნენ. თავისი გმირული საქციელის და აგრეთვე ბავშვების წინაშე მანანაც უფროსი იყო. თომამ მანანას ალერსით დაუძახა:

— ჟან დარკ!

მანანას იამა, გაწითლდა. მანანამ იცოდა ჟან დარკ; მისი ფიქრით ჟან დარკ იყო ძლიერი ხელმწიფის ქალიშვილი, რომელმაც გალები იხსნა ფრანგების შემოსევისაგან. შესაძლებელია, ისტორიაში სხვაგვარად იყო ეს ამბავი, მაგრამ ეხლა მანანას არ ეცალა და მეტი არ შეეძლო.

რაკი ქალაქში მტერი შემოვიდა, სოლომონი მოიცვა სევდამ და შიშმა. მან არ იცოდა აენთო სინათლე ოთახებში თუ არ აენთო იგი. არ იცოდა რა ექნა ბავშვებისათვის, არ იცოდა რა ან როგორ ეთქვა ავადმყოფისათვის. ყოველივე ამასზე სოლომონი უიმედოდ იძახოდა: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

სოლომონ ფერეული, დარწმუნებული მასში, რომ ავადმყოფ მეუღლეს სძინავდა და მაშასადამე ვერაფერს გაიგონებდა, ტანჯვით ანგარიშობდა, თუ როგორ უნდა ეთქვა მისთვის, ქალბატონ მატასათვის, ქალაქში მტრის შემოსვლის ამბავი.

ავადმყოფს ეს ააშფოთებდა. მას მოავონდებოდა შვილები, მოავონდებოდა ონისიმე.

ონისიმეზე ყველა სწუხდა.

სოლომონს მზად უნდა ჰქონოდა რაიმე დამაჯერებელი მოსაზრებები: აი, ჩემო ხელმწიფე!... დაახლოებით ასე უნდა დაეწყო მას და მეტი დამაჯერებლობისათვის უნდა ელაპარაკა ცოტა დაუდევრად:

— ონისიმე ბათუმში წავიდოდა ახ შესაძლებელია, უკანასკნელ ლაშქართან ერთად კიდევ დაბრუნდა, იმ შემთხვევაში, თქვენს სანახავად ხვალ გეახლება ჩემო ხელმწიფე...

ლამდებოდა.

ოთახში იდგა ცოტაოდენი სინათლე ბუხრისა და ფანჯრის თეთრი რიდები.

პატარა კოტიკო, რომელიც ბ-ნ სოლომონის ფიჯაკიდან თვალს არ აშორებდა ხის ძაღლს, უეცრად წამოხტა და თომას გულზე მიეკრა:

— ბიძია, ძაღლი!

ლულულულებდა პატარა; ის იყო თავზარდაცემული, რადგან ძაღლი ყოფილა არა ხის, არამედ ნამდვილი და ყოფილა იგი საშინელი. იქ მყოფთაც მურას მიჰხედეს და როდესაც კოტიკოს ამშვიდებდნენ და მისი მნახველნი სევდით იღიმოდნენ, რადგან ბაღს ძაღლისაკენ გახედვა არ უნდოდა, ძაღლი კარებისაკენ პირმიქცეული ვიდაცას შესახვედრად მომზადებული ჰღრენდა.

არავინ იცოდა რა იგრძნო ძაღლმა.

მალე მეზობელ ოთახიდან, რომელიც უკანა შემოსავალს თან ახლდა, მოისმა ოტიკო ნაბიჯები.

ქართველი ჯარისკაცი, რომელიც რუსებს ელტოდა, სწორედ ონისიმე ფერეული იყო. ამ ჟამად მას, დამარცხებულს, სდევნიდა მტერი და იგი გარბოდა. რამდენიმე დღეა ყველამ გაიგო, რომ ომი წაგებულა.

მხოლოდ ონისიმე ფერეული და ორი, მასავით ჯიუტი კაცი, ლაშქარს უკან ჩამორჩნენ. ისინი, სამნი, გამარჯვებულ მტერს მოხერხებულ ადგილას უსაფრდებოდნენ და უწყობდნენ სროლას.

არავითარი მიზანი ასეთ საქციელს არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ აჯანყებული გული ვერ შერიგებოდა დამარცხებას და ითხოვდა შურისძიებას.

— ვაი სირცხვილო! ბოლმით იძახდა ონისიმე ფერეული.

— აბა, აბა! უდასტურებდნენ ამხანაგები.

ეს ეხებოდა მტერს და ნიშნავდა: ამათ როგორ უნდა გვძლიოთ.

ამ სამმა კაცმა ბევრჯერ მტერს არეულობა შეუქმნა; ბევრიც იმსხვერპლა. დაბოლოს, როდესაც ერთი მათგანი დაიჭრა და მეორემ იგი იქვე სოფელში წაიყვანა, ონისიმემ თავდასხმები შესწყვიტა და სანაპირო ქალაქში შემოვიდა.

იმდენად გაგულისებული იყო ონისიმე, რომ ყოველგვარ თადარიგსა და სიფრთხილეს თაკილობდა; ამის გამო, მოულოდნელად, ონისიმე წააწყდა მტრის მზვერავ რაზმს, რომელიც მასთან ერთად, მხოლოდ სხვა გზით ქალაქში შემოსულიყო.

რაზმის ძახილზე: დამდგარიყო, ონისიმე დუქნის დარაბას ამოეფარა და რაზმს სროლა აუტეხა.

ქუჩა ცარიელი იყო და დუქნები დაკეტილი.

რაზმმა სროლით უპასუხა.

შემდეგ რაზმი ონისიმეს დაედევნა, რადგან ონისიმე გაიქცა. ონისიმემ აქ ყოველი შესახვევი იცოდა: ამით ონი-



სიმემ დრო მოიგო. აგრეთვე რაზმსაც არ ჰქონდა დიდი დევნის სურვილი.

როდესაც ონისიმე ბიძა მისის სახლის წინ სირბილით გამოვიდა და იქ მტირალი ბაღლები დაინახა, კაცს გული შეუქანდა. საზოგადოდ ონისიმე არ ჰღელავდა, მაგრამ ეხლა ბავშვები თავისი ეგონა და კინალამ დაიბნა.

მან გადასწყვიტა პატარების ატაცება, მაგრამ მომავალი მანანა დაინახა, ამავე დროს ბავშვებიც გამოიცივნო, მიხვდა სხვისანი იყვნენ, და საკმაოდ დამშვიდებული ონისიმე, თვისი ბიძის მეზობლად ეზოში გადაბტა, ხეებს ამოეფარა ისე, რომ ქუჩისას ყველაფერს ჰხედავდა, თოფი მოიმზადა და დაიწყო ლოდინი.

მას ჰქონდა უბრალო ანგარიში: თუ მტერი ჭირვეულობას დაიწყებდა, ძალისათვის მიემართა.

საბედნიეროდ, ყოველივე კარგად მოგვარდა.

იწყობ დაღამება და ონისიმე ფერეული, თავის ბიძის ეზოში გადავიდა და უკანა კარებიდან შევიდა სახლში. მურა ამაზედ ჰღელავდა.

X X X

სასტუმროში შესვლისას ონისიმემ სთქვა:

— გამარჯობათ!

ამის თქმაც უჭირდა მას, რადგან იგი იყო დამარცხებული, დაღლილი, და ამის გამო დაღვრემილი. მანანამ წამოიძახა:

— აი, მამა, ონისიმე!

ოთახში ბნელოდა. ონისიმემ ელექტრონი. აანთო. სინათლე იყო ყვითელი, ცუდი. ონისიმეს გამოჩენაზე სოლომონმა შეგება იგრძნო; მისთვის ეხლა ყოველივე გაადვილდა: აი, შეხედეთ, ონისიმემ სინათლე აანთო, მაშასადამე საშიში არაფერია! სოლომონი ონისიმესთან მივიდა და მღუმარედ ხელი ჩამოართვა. ონისიმეს შემოეხვიენ, ესალმებოდნენ, ესაუბრებოდნენ კიდევ, მაგრამ, გარდა იმისა, რომ მასთან ურთი-

ერთობაში იქ მყოფ ფერეულეს, ეჭნოდნათ ერთგვარი მორიდებუ, მათი საუბარი იყო მხოლოდ მოკლე სიტყვები, აღსავსე მღელვარებით, როგორსაც მდგომარეობა ჰქმნიდა.

— ცოცხალი ჰყოფილხარ! ძალიან ვეიშობდით!

— კარგად არიან ბავშვები?

— ბიცილა ძალიან ავადაა?

— ქალაქი დაიცალა! ბათუმში გაიხიზნენ!

ონისიმე შუაგულ ოთახში იდგა; შემოსვლისას თოფი მან კუთხეში მიაყუდა და მღუმარედ ისმენდა რასაც ეუბნებოდნენ და მღუმარედვე იხდიდა დასვრილ ქეჩის მაზარას.

მღუმარება ანუ ნაკლებ მეტყველებაც იყო თვისება ონისიმე ფერეულისა, თუმცა იგი ჰხედავდა და ჰგრძნობდა ისე, ვით ყველა ადამიანი.

საუბრის დროს ონისიმესთან მივიდა მურა. ძალს თავი მორჩილად დაეხარა. ონისიმემ უყურადღებოდ დაჰხედა ძალს.

შემდეგ რამდენიმე მყისი ონისიმე მანანას წინაშე იდგა და სიყვარულით შესცქეროდა; ეს იყო ალერსი იმის გამო, რომ მანანამ ქუჩაში ბავშვები იხსნა.

— ვისია? ბავშვებზე იკითხა ონისიმემ. ბავშვები ერთი-მეორეს ეკვროდნენ.

ონისიმე მანანას თანხლებით ხელპირის დასაბანად გავიდა, ხოლო სოლომონი და თომა მატასთან შევიდნენ.

— გძინავს? ფრთხილად იკითხა სოლომონმა.

ავადმყოფს არ ეძინა. მას გაეგონა სროლა, ყვირილი და მიმხედარიყო: მტერი შემოვიდა.

ეს სოლომონმაც სთქვა და რათა ავადმყოფისათვის ცოტათი შინც ეამებია, ხელათვე დაუმატა:

— ონისიმე გეახლა, ბატონო, ხელპირს დაიბანს და მოვა. მატას ეს ეამა და სთქვა: მაღლობა ღმერთს!

მხოლოდ ხმა ჰქონდა მას თუმცა მე-

ტად სუსტი, მაგრამ სწორი და არა მღელვარე, თითქოს უკვე დაეტოვებინოს ამქვეყნიური შვება თუ მწუხარებანი.

ონისიმე არ მოელოდა ასეთ მძიმე ავადმყოფის ნახვას.

ონისიმე შეწუხდა. მან სქელი წარბები შეიკრა.

ბიცოლა მატამ თვისი გამხდარი ხელები გაიშვირა, მითი ონისიმეს თავი დაიჭირა, თითქოს უნდოდა შუბლზე ეამბორა, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ სუსტი ხმით და გარკვევით წარმოსთქვა:

— ვმადლობ ღმერთს, მშვიდობით რომ გხედავ!

ასე ესალმებოდნენ ფერეულები ერთი მეორეს შემდეგ დიდი ხნის უნახველობისა და მას შემდეგ რაც განსაცდელი გაივლიდა.

ონისიმეს ძალიან უყვარდა ბიცოლა მატა და რა იხილა იგი ასეთ მდგომარეობაში, ონისიმე დაიბნა და დაბნეულმა იკითხა:

— როგორ ბრძანდები! და იმ წამშივე მიხვდა, რომ აჯობებდა ეს არ ეთქვა.

ონისიმემ ბიცოლას ხელები ტუჩებთან მიიტანა და ეამბორა. ონისიმე გაუპარსავი იყო; შავ წვერ-ულვაშში იგი ფერმკრთალი სჩანდა, მაგრამ ამ კაცში ყურადღებას ის იქცევდა, რომ დაღვრემილი და თავის დაღვრემილობაში დარბაისელი, ხოლო ლაპარაკობდა საამური ხმით.

მატა რამდენიმე წუთი ონისიმეს შესცქეროდა, შემდეგ ავადმყოფმა იგი დაითხოვა:

— წადი, შვილო, ოჯახს მიხედე!

მატას ოთახიდან გაიკრიფნენ და ავადმყოფი კვლავ თვლებმას მიეცა.

XXXI

ავადმყოფ ბიცოლას ნახვამ ისედაც დაღვრემილ ონისიმეს გონება მთლად აურიცა.

ყველა ამაში ბრალიც მატამს უნდა რომელმაც მართალია გაიმარჯვა, მაგრამ ონისიმეს ფიქრით, გაიმარჯვა შემთხვევით და სრულებით არ იყო ღირსი გამარჯვებისა. ამიტომ ონისიმეს არ შეეძლო და არც ჰსურდა დამორჩილება.

— მე ვარ ჩემს ქვეყანაში! წამოდი კაცო!

ოდნავ გაბრაზებით დაუძახა ონისიმემ თომას, როდესაც საქმე ბავშვებზე მიდგა.

ონისიმემ, ჩაცმულ-შეიარაღებულმა, დოდოკო ხელთ აიყვანა, ხოლო კოტიკო თომას მისცა. ონისიმეს უნდოდა ამ საღამოსვე მიეგვარა პატრონისათვის ბავშვები და წამლები.

დანარჩენი ფერეულები გრძნობდნენ, რომ ეს სახიფათო იყო, მაგრამ ონისიმეს ბევრი ვერაფერი შეჰკადრეს.


ახლად დაღამებული იყო.

მიუხედავად მტრის შემოსვლისა ქუჩაში, თუმცა ძალიან მკრთალი, მაგრამ მაინც ენთო ელექტრონი; ელექტრონი ვერაფერს ვერ ანათებდა, მხოლოდ სჩანდა, რომ ვიღაც კიდევ ზრუნავდა მოქალაქეთათვის ან შესაძლებელია, ეს იყო გაგრძელება ჩვეულ მზრუნველობისა.

ჰქროდა ზღვის ნესტიანი ქარი. ცივოდა.

ონისიმე და თომა მიდიოდნენ სწრაფად. ბავშვებს, მათ უბებში თავი ჩაერგოთ და შეშინებულთ სული გაეკშიდათ. დროგამოშვებით, ნელი ძუნძულით გამოჩნდებოდა მათკენ მიმავალი მურა, მაგრამ ის მათთან არ მოდიოდა, ისევ პირს იბრუნებდა და მტრის დასაზვერავად ძუნძულითვე გარბოდა წინ.

მიმავალნი არ საუბრობდნენ. შეთანხმებულნი იყვნენ: თუ მტრის ძალას წააწყდებოდნენ, ამას წინდაწინვე გაიგებდნენ, რადგან უეჭველია, მურა ყუფას ასტეხდა იმ შემთხვევაში თომას ბავშვები უნდა წაეყვანა და პირველსავე ეზოში შესულიყო. ონისიმე ისე



მოიქცეოდა, როგორც საპიროდ სცნობდა.

ონისიმეს კმაყოფილებას ჰგვრიდა შეგნება, რომ მათი საქციელი ნება იყო მათი და არა მტრის.

ხიდს მიუახლოვდნენ. გუშაგები არ იდგნენ; მტერმა ან ვერ მოასწრო ან ვერ გაითვალისწინა ან, რადგან ომს მოგებულად სთვლიდა, საპიროდ არა სცნო გუშაგების დაყენება.

უხიფათოდ მიადწიეს ბავშვების სახლს.

ეზოში შევიდნენ, სახლს უკანიდან მოუარეს და კარებს დაუკაკუნეს. სახლიდან ქალის ხმამ იკითხა:

— რომელი ბრძანდები! ბავშვებმა დედის ხმა იცნეს, დოდიკომ დაუძახა:

— დედილო, ჩვენ ვართ და ჩვენთან ბიძიებია!

დოდიკოს ხმაში უდიდესი ნეტარება კრთოდა. კარები გააღო ახალგაზრდა ქალმა. ოთახებში სინათლე ენთო, მხოლოდ დიასახლისის ფანჯრებზე საბნის-დაგვარი რაღაც სქელი და შავი აეფარებოდა, რათა სინათლე გარედ არ გასულიყო.

დიასახლისი იყო მეტად მწუხარე და მწუხარებისაგან გონება დაბნეული. მან, თუმცა ბავშვები ხელთ აიყვანა, მაგრამ ოდნავი სიხარულიც არ აღბეჭდია სახეზე, მხოლოდ ონისიმესა და თომას შესცქეროდა და მუდარით ამბობდა:

— არ ვიცი სძინავს თუ კვდება, არ ვიცი რა ამბავია ჩემს თავზე, მიშველეთ!

ბავშვები ატირდნენ: მამილო! უხმობდნენ ისინი.

საბრალო მათი დედა, ბავშვების მოთქმას ბუნებრივად სთვლიდა და მათ არ აჩერებდა. მხოლოდ ონისიმემ მონიერი მრისხანებით დაუყვირა ბავშვებს: ჩუმად! და ბავშვებმა ტირილი შესწყვიტეს.

მეორე ოთახში იწვა დაპრილი; მას ბევრი სისხლი დაეკარგა; ის იყო გაყვიოთლებული; სულს ძნელად ითქვამდა.

ხშირად კვნესოდა და ამ დროს სახის კუნთები გამოხატავდნენ ტკივილს.

მართალია, საშიში სანახავი იყო გალურჯებული ქუთუთოები და დაიარავებული, სიმწრით დაკბენილი ბაგეები, მაგრამ გამოცდილი თვალი შენიშნავდა, რომ დაპრილს სძინავს და რომ მომაკვდავი ის არ არის.

თომას ტკბილი ხმა ჰქონდა და როცა გაიღიმა, ასე ამბობდა:

— ჩემი სიხარული მისი გახლავთ, ჩემო დაო, რომ თქვენს ქმარს სძინავს და ხვალ მშვენივრად იქნება.

— მართალია! დარბაისლად მოსჭრა ონისიმემ და ამის შემდეგ ქალი აცრემლდა და იგი ჰკოცნიდა ბავშვებს.

იმ ღამეს თომა თავისი განუყრელი მურათი, ისევ სოლომონ ფერეულისას დაბრუნდა, ხოლო ონისიმე წავიდა სახლში.

XXXII

ონისიმე ფერეულს შენიშნული ჰქონდა, რომ მისდამი ურთიერთობაში ხალხი იჩენდა ერთგვარ მორიდებას; მხოლოდ ოჯახის წევრები მისდამი მორიდებას სრულებით არ იჩენდნენ.

გათენებული არ იყო, რომ კატოს, ონისიმეს ქალბატონს, ბავშვები თავიანთ ლოგინიდან ამოეყარა, ონისიმესათვის ლოგინზე დაესვა, ხოლო თვითონ ვინ იცის სად წასულიყო.

ონისიმე ბავშვებმა გამოალევიეს; ლალოს მამის ულვაშები ხელთ ჩაეგდო; ულვაშები თინასაც ერჩია, მაგრამ დადგან დაკავებული იყო, ჯერ ცხვირს წაავლო ხელი, შემდეგ თითები თმაში შეჰყო და ბოლოს მამის ყურებს დაუწყო თამაში.

ბავშვები ჰგავდნენ პაწია ცხოველებს; ლალო იყო შავი, თინა ქერა; ერთი ექვსი წლის, მეორე ოთხის.

ონისიმემ, თვალგაუხილველად, ძალივით დაიწყო ყეფა: ამ-ამ-ამ...

ბავშვები აღტაცებაში მოვიდნენ. რა თქმა უნდა, გაჯავრებას ეს სჯობდა.

და, მით უმეტეს, რომ ბავშვებს თითები და მთელი სხეული ჰქონდათ ისეთი ცხელი და ისე იციინოდნენ, რომ ონისიმემ ნაღვლიანად გაიფიქრა: თუ რაოდენ ბედნიერი იქნებოდა იგი, გამარჯვებული რომ დაბრუნებულიყო.

დამარცხების მოგონებამ ონისიმეს გუნება ოღნავ შეუცვალა. მან დაიწყო ძაბილი:

— ჰეი, არავინა ხართ ქრისტიანი? ძაბილზე ჯერ კატო გამოჩნდა, მას მოჰყვა ბიცოლა ნინო.

— რა ამბავია, ვაჟბატონო!? ისეთი კილოთი იკითხა კატომ, რომ აშკარა იყო, ონისიმე ფერეულისა არა თუ მრისხანება, არამედ სიდინჯეც აქ არავის სჯეროდა.

ონისიმემ განაცხადა, რომ ბავშვებმა იგი დასტანჯეს, რომ მას სრულებით არ უძინია და რადგან იგი არავის ებრალება, ამიტომ ისევ ბიცოლა ნინოს უნდა სთხოვოს შველა.

კატო, კარგად აგებული, საშუალო ტანის ქერა ქალი, დარცხვენილი იცინოდა და მის წითელ ბაგეებს ძალიან ჰშვენოდათ თეთრი და პაწია, ქალური კბილები.

კატო წითლდებოდა და ამბობდა:

— სტყუით ბიცოლა ნინო, ღმერთმანი სტყუით!

ბიცოლა ნინომ ეს კარგად იცოდა; ბიცოლა ნინომ ონისიმეს ბავშვები ააცალა:

— მ-ო-ო-დი, ჩემო სულის მშვენიება! ეალერსებოდა ბიცოლა ნინო ბავშვებს; შემდეგ ონისიმეს უთხრა:

— ადექი, გაიპარსე, კაცს დაემსგავსე!

მიუხედავად თავისი სამოცი წლისა ბიცოლა ნინოს არც სიყოჩაღე აქლდა, არც სიმხნევე. ის იყო შავგვრემანი, მამაკაცური ქალი, უყვარდა „დავითნისა“ და „დაბადების“ კითხვა და ნათესავებთან საუბარში ეხერხებოდა ყვირილი და იცოდა საგინებელ სიტყვათა ხმარება: ვირო, ძროხა!

უცნაურია, როგორ მოხდა, რომ ონისიმეს ერთჯერ მაინც „ვირი“ არ

დაუძახა; უთუოდ, რაიმე საჭიროება შემოვიდა, ბიცოლა იყო მგლოვიარედ. სწორედ!

თავის ოთახში ბიცოლა ნინო სათვალეებით განთიადამდე ჰკითხულობდა დავითნს...

ბიცოლა ნინო მთელი ღამე სტიროდა. მხოლოდ ეს ხდებოდა ასე: ბიცოლა ნინო ჰკითხულობდა დავითნს, ხოლო ცრემლები მოდიოდნენ თავისთავად.

XXXIII

დილის ცხრაზე ონისიმე სახლიდან გამოვიდა.

მას თოფი და ვაზნები საიმედო ადგალას შეენახა, გაპარსულიყო, ესაუზნა.

ბიცოლა მატას სანახავად მიდიოდა.

გზა და გზა ონისიმე ნაცნობ ეზოებში იცქირებოდა, რომ იქნებ ვინმე დაენახა, გამოეკითხა, რაიმე გაეგო და, თუ საჭირო იყო, მიშველებოდა.

ლოდიკოს დედა ონისიმემ ეზოშივე დაინახა: ქალი ბედნიერად იღიმოდა: — ღმერთმა დალოცოს მკურნალი, სთქვა მან, განთიადზე იყო და დიდი იმედი მომცა.

ონისიმე იქვე მახლობელ ეზოში შევიდა, სადაც სცხოვრობდნენ უთნელიძენი, ვანო და მისი დედ-მამა.

ეზოში ონისიმეს თავგამოდებული ყევით აედევნა პატარა ძაღლი, რომელიც მხოლოდ მაშინ დასცხრა, როდესაც აივნის კარი გაიღო; კარებში ვანო უთნელიძის დედა იდგა. ქ-მა უთნელიძემ, რა ონისიმე ფერეული იცნო, აღელდა, თვალთ ცრემლი მოადგა.

— მობრძანდით! გთხოვთ!... ამბობდა იგი.

სტუმრის შესახვედრად მან რამდენიმე საფეხური ჩამოირბინა. ონისიმეს თუმცა გაგებული ჰქონდა, რომ ვანო კარგად იყო (კატომ მოახსენა წუხელის) მაინც იკითხა: ვანო როგორ არის?

— თქვენი წყალობით შვილო, თქვე-



ერეკენული
მეცნიერება

ნი წყალობით — ამბობდა მანდილო-
სანი, რომელიც ამოდ იმშრალეზდა
თვალეზს. შვილის ოთახის კარებზე მან
ფრთხილად დააკაკუნა.

ვანო უთნელიძე იჯდა რბილ სავარ-
ძელში გაჩაღებულ ბუზრის წინ. ის
იყო დასუსტებული, მაგრამ მაინც
შავგვრემანი და ეტყობოდა, რომ სი-
ჭაბუქეს (ცხრამეტი წლის იქნებოდა)
ხელი შეეწყო, თორემ უფრო დასუს-
ტებული უნდა ყოფილიყო.

მის წინ მოშორებით იდგა გაზეთ
ჩამოფარებული მოლბერტი, ხოლო ირ-
გვლივ კედლებზე, ბუზარზე, მაგიდაზე,
ეწყო და ეკიდა მრავალი ტილო და ქა-
ღალდი ნაწერი ფანქრით, ნახშირით,
ფერადებით.

ამ ნამუშევართა შორის ეს შავგვრე-
მანი ჭაბუქი, რომელსაც ხალი ჰქონდა
ლოყაზე, გამოიყურებოდა როგორც
უფლება მოსილი ვინმე, ვთქვათ, რო-
გორც მამა.

სტუმრის გამოჩენაზე ვანომ გაიღი-
მა. იგი ერთობ გაწითლდა და ეს იყო
სიჭაბუქე და მან არ იცოდა თუ გაი-
ღიმა და გაწითლდა.

ვანომ სცადა წამოდგომა. ონისიმემ,
რათა ვანო არ ამდგარიყო, ცალი ხელი
მხარზე დაადო, მეორე გაუწოდა და
თვალეზში ალერსით ჩაჰხედა.

ეს ბიჭი ონისიმემ იხსნა: ერთად
ამობდნენ.

ონისიმე ფერეული, როგორც გამო-
ცილილი მეომარი, თავის თავს ვალდე-
ბულად რაცხდა ყველასათვის მზრუნვე-
ლობა გაეწია, თვალ-ყური ედევნებია
და გასაკირში მიჰშველებოდა; ხოლო
ვანო უთნელიძემ იმდენი დამოუკიდე-
ბლობისა და გამბედაობის გამოჩენა
იწყო თანდათან ომში, რომ ონისიმე
(გარდა იმისა რომ ვანო შეუყვარდა)
იძულებული იყო მუდამ მასთან ყოფი-
ლიყო, რათა ბავშვი ხიფათს არ გადა-
ჰყროდა: პირველად ვანო ონისი-
მეს „ბატონოს“ ეძახდა: ბ-ნო ონი-
სიმე! შემდეგ „ბიძიას ონისიმე“ს
და ბოლოს, როდესაც ბავშვმა
იგრძნო ონისიმეს, ამ გულადი და

მუდამ დაღვრემილი კაცის, ონისიმეს
სადმი განწყობილება, უბრალოდ მიმ-
ართავდა: — ონისიმე!

ვანოს ოდნავ ენა ებმებოდა და გა-
მოსტეჯამდა: ო-ო-ონისიმე, ონისიმეს
ეამა ბავშვის დამეგობრება. სხვა არა-
ფერი, მხოლოდ ერთ შეტევის დროს
ონისიმე, როდესაც იგი საქმეში გარ-
თული გაჰყვიროდა და თვალეზით ვა-
ნოს დაეძებდა, დაინახა რომ ბავშვი
წაიქცა, დაჭრილი ვანო ონისიმემ ხელთ
აიყვანა.

— შენი ჭირიმე, ონისიმე!
შეშინებული ამბობდა ვანო; მას პი-
რიდან სისხლი გადმოსდიოდა და ონი-
სიმეს კისერზე ხელებს ჰხვევდა. ონი-
სიმემ იგი ველიდან გაიყვანა, ამის გა-
მო იყო ბიცილა მატამ წუხელის ონი-
სიმეს თავზე ხელები მოჰხვია, ვერ ეა-
მბორა, მხოლოდ დალოცა:

— ღმერთმა დაგლოცოს იმ ბავშვის
გადარჩენისათვის!

ვანო უთნელიძეც ამის გამო ჰღელა-
ვდა; მან არ იცოდა, ასეთ დროს, რო-
დესაც ქვეყანა მტერს წაელეკა, ეთქვა
თუ არა ონისიმესათვის მადლობა და
თუ ეთქვა, როგორ? ბოლოს, ვანომ
ენისაბმიტ დაიწყო:

— ონისიმე...
ონისიმე მიხვდა; ვანოს ოდნავ გაუ-
ღიმა და, რადგან უნდოდა საუბარი სხვა
საგანზე გადაეტანა, ვანოს ნამუშევრებს
თვალი მოავლო. ეს იყო უმთავრესად
ადამიანის სხეულის ნაწილები, აგრეთ-
ვე ტბის რამდენიმე ხელი, შესრულებუ-
ლი ფერადებით.

ყველაფერი სავარჯიშო, არაფერი და-
სრულებული. მიუხედავად ამისა, რამ-
დენი დრო, რამდენი გატაცება დაეხა-
რჯა ამ ნივთების წერაში ამ ბავშვს. მა-
რთალია, ვანო უთნელიძე აქ სჩანდა
ვით მბრძანებელი, რომელიც აქაურო-
ბას განაგებდა, მაგრამ ეს იყო უთუ-
ოდ ჭაბუკური გამბედაობა და დაუდე-
ვრობაც ერთ და იმავე დროს, რადგან ამ
ბავშვს ემჩნეოდა, რომ ის იყო შეწირუ-
ლი შემოქმედებისათვის; ეს იყო მაჩვენე-
ბელი აგრეთვე, თუ როგორ უნდა წასუ-

ლიყო ამ კაცის ცხოვრება; და უთუ-
ოდ ოდესმე, როდესაც ვგეგვ ნივთები
მოპოვებდნენ მასზე ძალას (აღმოჩნ-
დებოდნენ უფრო ძლიერნი!), დასჯა-
ნიდნენ მას და მისგან წაიღებდნენ
მთელ ნოყიერებას, მაშინ ის ჩადგე-
ბოდა ამავე ნაწარმოებთა შორის ვით
კაცი, რომელსაც ცხოვრებისა თუ სი-
ცოცხლის მაგივრად ხელთ შერჩა ხე-
ლოვნება, რომელიც მართალია შემოქ-
მედებაა, მაგრამ ხელით ვერ შეეხები,
ვერ დაიკმაყოფილებ სურვილებს ვერც
ვნებებს და რადგან სხვა არაფერი და-
რჩა, და რადგან სხვა ყოველგვარი ნო-
ყიერება დახარჯულია, იგი სდგას აღ-
სავსე ყოყმანითა და გაუბედაობით და
არ მცოდნე იმისი: მადლიერი იყოს
თვისი ბედისა თუ სამღურავი სთქვას.
ყოველივე ეს, ვით ბეჭედი განწირუ-
ლებისა, ბავშვს ემჩნეოდა შავსა და ელ-
ვარე თვალეზზე, სადაც სიდინჯის იქით,
სიღრმეში იგულისხმებოდა რალაც ფი-
ქრი თუ ძიება და ამ ფიქრისა და ძიე-
ბისაგან დაღლილობა, რომელი დაღ-
ლილობაც ვინ იცის რამდენი საუკუნისა
იყო და რომელიც წინაპართაგან უთუ-
ოდ გადმოცემული იყო სისხლით. ეს
ემჩნეოდა აგრეთვე ვარდისფერ შუბლ-
ზე, სადაც ასე იოლად იქმნებოდნენ
ნაოჭები, თითქოს იქ დათქმული ად-
გილი ყოფილიყო მათი.

შესაძლებელია, სხვა დროს არაფერი
ამგვარი არ ეგრძნო ონისიმეს; მაგრამ
დღეს, როდესაც მან მთელი ერის წა-
დილთა გაწბილება იხილა, ონისიმემ
ვანო უთნელიძისადმი იგრძნო სიბრა-
ლული; მხოლოდ, რათა ვანოსათვის შე-
ურაცხყოფა არ მიეყენებია, არ შეიძ-
ლებოდა სიბრალულის გრძნობის გამო-
ჩენა.

ონისიმე წარბებ შეკრული ამბობდა:
იგი (ონისიმე) მხატვრობის მცოდნე არ
არის და თუ მაინც ლაპარაკობს, ლა-
პარაკობს შინაურულად; მისი აზრით,
აქ რასაც ვხედავს მართლა გაბედულია
და რაც მთავარია, არ ჩანს საზღვარი
შესაძლებლობაშია...

ვანომ წამოიძახა:

— კმარა!

ვანო უთნელიძე იყო ჭაბუკი; იგი
ონისიმეს დიდ პატივს სცემდა, მაგრამ
ონისიმეს სიტყვების შემდეგ აღმოჩნ-
და, რომ ეს კაცი, ე. ი. ონისიმე, არა
თუ მარტო კარგი მეომარი ყოფილა,
არამედ სულით პოეტი და არა „ფილი-
სტერი“ და ამიტომ ღირსი კიდევ მეტი
პატივისცემისა. („ფილისტერს“ იმ ხა-
ნებში ისეთ კაცს ეძახდნენ, რომელსაც
არ ჰქონდა ვაგება და, მასასადამე, სი-
ყვარული ხელოვნებისა).

ვანო იქ მყოფთა შეუქმნევლად აღ-
გა და ონისიმესთან მივიდა. ვანო ჰლე-
ლავდა.

ონისიმემ იკითხა: შეიძლება? და
სანამ პასუხს მიიღებდა, „მოლბერტს“
გაზეთი აჰხადა. ვანო იძახდა:

— ონისიმე... ბატონო გთხოვთ! და
როგორც სჩანს ჰსურდა მისი მოლბე-
რტი არ ენახათ. მაგრამ რადგან ნახეს,
იგი, ისევე გაწითლებული და სახეზე
არეული იღვა ონისიმეს წინაშე.

„მოლბერტი“ დაუმთავრებელი იყო.
ეს იყო ქალწულის სურათი, რომელიც
ზეთის ფერადებით იწერებოდა და რო-
მელიც ზედმიწევნით ჰგავდა მანანა სო-
ლომონ ფერეულის ასულს.

ონისიმე ჯერ გაოცდა; შემდეგ მის
მეხსიერებაში ერთბაშად აღსდგა სუ-
რათი მანანას ხელთათმანისა, რომელ-
საც ვანო უბით ატარებდა მაშინაც-კი,
როცა ვანო დაჭრილი იყო; ამ მოვლე-
ნამ ამ უამად სულ სხვა სახე მიიღო.
ონისიმეს იამა: „აი, თურმე რაში ყო-
ფილა საქმე...“ შემდეგ კიდევ გაიფიქრა:
არა, ეს ბავშვი ცხოვრების გარეშე არ
დარჩება და უთუოდ შევცდიო რაც ვი-
ფიქრე მისი განწირულების შესახებ.

ღმერთმა უშველოს ვანო უთნელი-
ძის დედას, რადგან იგი, რასაც ლაპა-
რაკობდა, ყველაფერი აღსავსე იყო
დედობრივი სიყვარულით, თორემ მისი
მოსმენა გაძნელებოდა. ვანოს დედა
ყველაფერზე სწუხდა:

— ქვეყანა მტერმა წალეკა და მისი
მეუღლე მან არ იცის სად არის. სხვა

რა გზა აქვს, ამბობენ და უნდა დაი-
ჯეროს: იგიო (მისი მეუღლე) რამდე-
ნიმე სანდლით, უკვე ბათუმშიაო; მო-
გეხსენებათ, შავი ზღვის ნაპირებზე სი-
მინდს აგროვებდა და მთავრობას აწე-
დიდა; ბათუმში არისო! ღმერთმა ჰქნას.
ღმერთმა ჰქნას!


ეხლა ვანოს შეხედეთ! არაფერს
სკამს, აი, საუზმეს არ მიჰკარებია! გა-

ვიგეთ და ძლიერ შევწუხდით მატას
ავადმყოფობით, ნეტავი როგორ მრბო-
ნდება?

—ონისიმე სწორედ მატასთან მიდი-
ოდა.

ვანომაც ქალაქში გავლა დააპირა; იგი
ჰლელავდა და იჩენდა დიდ სურვილს
ონისიმესთან ერთად წასვლისა. ვანო
სავარძელში ჩასვეს.

□ გაგრძელება იქნება □



აღამ გოგლიაშვილი

ივანე ჯავახიშვილს

დაიბადა ს. ზემო ალვანში. საშუალო სკოლა დაამთავრა თელავში. 1931-35 წლებში სწავლობდა ერევნის საკავშირო ვეტერინარულ ინსტიტუტში. მუშაობდა ბეითლად სვანეთსა და კახეთში. 1938 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. სახელმწიფო გამოცდები არ ჩაუბარებია.

დაიღუპა 1943 წლის 18 მარტს.

როცა ლაყვარდი ქარვის ათასებს
დაკენკავს გველის მოხრილი კბილით,
როცა მთაწმინდის გაშლილ კალთაზე
მიეძინება დაქანცულ თბილისს,
მე, შენს წიგნებთან მჯდომარე, მაშინ
ღია თვალებით ვხვდები განთიადს,
სტრიქონებიდან ჭიხვინებს რაში
და სტრიქონებში ცეცხლი ანთია.
ხმალდაკრულივით იხსნება ბწყარი,
ყველა სიტყვიდან წარსული დგება,
ნარიყალასთან გუგუნებს ჯარი,
ნარიყალასთან ვაჟკაცი კვდება.
თემურლენგები თარეშით მოვლენ,
მოაქვთ წკრიალი ოქროს ნალისა
და გრიგალივით შეარყევს ზოლმე
მიწას ფარ-შუბი გორგასალისა.
იწვის არაგვზე ჩალური ქოხი,
ყანის მაგიერ სისინებს ნამჯა,
და კრწანისიდან ამდგარი ჩონჩხი
მკერდზე იხუტებს სისხლიან ხანჯალს.
მეტეხი ქუხს და ემზობა პირქვე,
მეტეხს ბუზივით მტერი არტყია
და სააკაძე დაჭრილი, იქვე
ჩოხის ნაგლეჯით იფენს ნატყვიარს.
მოუჩანს სისხლი ხშირ კალარაზე.
ქრება თვალები, ქრება სანთელი,
გაედევნება სოფლის შარაზე

გაქცეულ მხედრებს კორიანტელი.
გულთან ქუხილით ჩამდგარა წყევა,
გადანამულა წამწამი ხშირი, —
ხელხანჯლიანი ბელტს ჩაეხვევა
მთიდან მოსული ასპინძის გმირი.
ქართულ ლეჩაქებს ნამუსსა ზდიან,
წითლად შეღებეს ანკარა მტკვარი,
ტიალ მიწაზე ტიალად გღია
ვაყის ჯურხაის ნალეწი ფარი...
მეფეს ლაშქარი ყიყინით ხვდება,
მაგრამ ნუგეშად ვერაფერს ეტყვის,
წითელ ლაქებად კრწანისზე რჩება
ნატოტარები დაჭრილი ვეფხვის.
თითქო ატორილ ქურანის გავას
შემოელეწა საძუე თითბრის
და ნახტომებზე გაკრული შავად
არაგვისაკენ მხედარი მიჰქრის.
მიჰქრის მხედარი, იხსნება ბწყარი,
ნალს ბილიკებზე ცეცხლი ეღება...
დავზურავ წიგნს და ჯურხაის ფარი
ისევ სტრიქონში ჩაიჭედება...
დავზურავ, მაგრამ კარგა ხანს მესმის
მუზარადებზე ბექთარის ცემა,
ამ ლეგენდებში გაიდგა ფესვი
შენი ცხოვრების გადასულ დღემა.
და შემიყვარდა იგი ლეგენდა
ქართლოსიანთა ძველი სიგელი

ყოველ ტყიდან და ყოველ ღელედან
შავი ნანგრევი სტუმრად მიგელის
შემოგვივლია — მშობლიურ არემ
გმირთა აკვანი სადაც არწია,
მოგიგონებენ ყოველ ცისმარე
შენი არმაზი, შენი ვარძია.
წიგნით გასდევდი მლოცავთა ურემს
მაძიებლო გარდასულ ღღეთა.
შენ მოგიტანა საჩუქრად თურმე
თამარ ღედოფლის ბეჭედი მცნეთამ.
და ეგ ვარდები, უბეს რომ ივსებ,
მოგიტანია სამშობლოს დროშით,
ცაზე ცისკარი ანთია ისე,

როგორც უზანგში თამარის ქრწი
თუ გრიგალების იყავ მნახველი
ახლა გაზაფხულს შეჰხარი — ვიცი,
მზის მონათალი შენი სახელი
სიამაყეა ქართული მიწის.
დაგიბერტყია წარსულის კალთა,
შუბლზე არქივის მტვერი გდებია,
დამიდასტურებ, ერეკლეს კართან
თუშის აჩრდილიც მოგლანდებია.
მე, იმ აჩრდილის ნარჩენი ღერი,
ვერ გიმასპინძლებ თამარისთანად, —
აჰა, მიიღე მთიდან ნამღერი
არწივმა კლანჭით გადმოგიტანა.

1939 წ.

ზ ე ზ ვ ა ს

ჩრდილი მოესხა ცხოვრებას მაშინ,
ჟამიც უმზეოდ თურმე დიოდა,
როცა შენი ხმა მთებიდან მთაში
გოლიათურად გადაჰკიოდა.
როცა ვაჟკაცად შობილის ბარგი
იყო ხმალი და ორბის მხნეობა, —
„ყალჩალიანი“, გატეხილ წარბით
ბახტრიონისკენ დაჰყევ ხეობას.
ქუჩზე მძივებად ეყარა ნამი,
კლდეზე ნიაგი ფრთას იკეცავდა;
უშრეტი მაჯა, კუპრიან ღამით
მოიერიშე ჩაჩქანს ლეწავდა.
ღამეს ფაფარით გლეჯდა ქურანი,
ლეკის მარჯვენას — შენი ფრანგული
და წითლდებოდა მთები უღრანი,
საკუთარ ფიქრით გადაყანგული.
იპოზებოდა სისხლით ქარქაში,
მთა სუქდებოდა დახრულ ძეალებით;
წყევლას გიხვევდნენ ჩოხის კალთაში,
შავად მოსილი ქისტის ქალები.
ღღეს მოგონებაც მისი მახელებს,
რომ აკლდამური სულის სიმშვიდით —
დავლად მოტანილ სისხლიან ხელებს
შუა კერასთან ხარბად ითელიდი.

გული გიძლოდა იმედით საგსე,
გულდაგულ მტერი აგიკაფია,
ამბობენ წესად მოსდევსო ასე;
თურმე ვაჟკაცი დროის ქაფია.
შენც ქაფად გშობა უმზეოდ დრომა,
ღუბჭირ ბედს როგორ გაექცეოდი...
ღღეს რომ შეგეძლოს კვლავ წამოდგომა,
ჯოყოლას ძმურად გადებგეოდი.
შენი ნაგზური თითქოს გადიწვა,
ამ ცხოვრებიდან ჩრდილად წახვედი —
და უანდერძე ჭალარა მიწას
შეუბოვარი გმირის სახელი.
ვინც უკვდავების ბაძავს მაგალითს,
ამქვეყნიური ელის დიდება,
ოკეანეში ნაშობ მარგალიტს —
ობი აროდეს მოეკიდება.
შენ ჭიუხებმა გშობეს სხვაგვარი,
სხვაგვარი გქონდა სულისკვეთება —
და შენი სახე ნაქირმაგარი,
საუკუნეებს გადაენტება.
თუშური მოდგმის ხარ წინაპარი,
მზეზე მანდილად ჩამოფენილი;
დარჩები ჩემთან, როგორც ზღაპარი
გარდასულ დროდან შემორჩენილი,

1937 წ.

გულის სამარე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღარ მახარებს განთიადის ასხივოსნება,
 არც ქართლის ცაზე მოწოლილი ნამგალა მთვარე,
 გრიგალს მივეცი ფოთოლივით ნაზი ოცნება,
 მწვანე ოცნება უნდო გულში დავასამარე.
 უღრან ბილიკებს შევრჩი, როგორც მგზავრი გვიანი,
 ბევრი ცრემლები დავადინე მშობლიურ მხარეს,
 ჩემში ცხოვრობდა შმაგი სული ადამიანის,
 და ახლა ისიც უნდო გულში დავასამარე.
 ზეზე ჩამოვდნი, ჩავიფერფლე, როგორც სანთელი,
 ასე გადიან ეს დღეები — ნალველზე მწარე,
 არავინ იცის, უტკბილესი განცდა რამდენი
 გულში ჩავიკალ და გულშივე დავასამარე.
 რისთვის მოვედი სამზეოზე? ახლაც არ ვიცი,
 ან შავი მიწა კალთას როდის გადამაფარებს,
 ფიქრთა კოცონზე საკუთარი თავი დავიწვი
 და ფერფლი ისევ უნდო გულში დავასამარე.
 დაღამდეს ნეტავ, სამუდამოდ დაღამდეს, კმარა!
 დროა, დუმილით მივეახლო საფლავის კარებს,
 ვინც კი ამ ქვეყნად შემიძულა, ან შემეყვარა, —
 გულში ვაცოცხლე და გულშივე დავასამარე.
 გაპქრა ნუგეში, ხვალინდელი დღეც გამიმწარდა,
 სულის მშვიდობა გაეატანე მოხეტეილ ღვარებს,
 რაღა მაქვს მეტი გამოფიტულ სხეულის გარდა,
 სხვა დანარჩენი უნდო გულში დავასამარე!...
 როდემდის დავალ ქუჩა-ქუჩა სულით ობოლი,
 ღმერთო ციურო, ეგოდენი ტანჯვა მაკმარე!...
 ქნება სიცოცხლე, უდღეურად, როგორც ფოთოლი
 და ყველაფერი უნდო გულში დავასამარე!...

1943 წ.

სამშობლოზე

დაიბადა ს. ზემო ალვანში. საშუალო სკოლა დაამთავრა თელავში, 1930 წლის ნოემბრიდან 1932 წლამდე მასწავლებლობდა ხევისურეთისა და ქისტების სოფლებში.

1932 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ზემო ალვანში ქართული ლიტერატურის მასწავლებლად და ღირეპტორად.

1940 წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში. მისი ხელმძღვანელი იყო პროფ. მიხეილ ზანდუკელი.

დაიღუპა 1943 წლის ოქტომბერში.

ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
ველზე დაღვრილო ნიაგო,
წყაროვ, ნასხლეტო კლდიდანა,
ტყეში მოსულო იაო.

სამშობლოს შუქით გამთბარო,
ქვეყანავ, გულმკერდ ღიაო,
მინდა, სულ მუდამ გიმღერო,
სულ მუდამ გილოლიავო.

1

როცა კი შამგლისფერდება,
სხიენი ჰქრებიან მზისანი,
უფსკრულში იძირებიან
მუზარადები მთისანი,
დაბინდლებიან თვალები
მაგ ნაროანას კლდისანი,
ლამე დაიწყებს ხადილსა,
თრთიან მცხოვრებნი დღისანი.

2

გაივლის ცოტა ზანიცა,
ვაკეს ერჩევა კლდიანი,
ცის ტატნად მთები დაჩნდება,

სპეროზა ქანჩახიანი,
მთვარეც ამოვა, პირსავსე,
წალურჯო ხალეზიანი,
ძირს მიწა გდია, მალა — ცა
ორივე ვარსკვლავიანი.

3

ეხლა ხომ ცისკრის ზანია,
ლამე უფსკრულში ვარდება,
მალე დახვევენ ღრუბლებსა
ცაზე დაკიდულს ფარდებად.
აყვავდებიან ტიალნი
დარცხვენილ ია-ვარდებად,
საცაა მიწის გულიდან
დილის მზეც ამოვარდება.

ვდგაეარ გავყურებ ცის კედეს,
ნისლებს დარცხვენილს, შორეულს,
პირზე ნათელი მადგება
გულზე სიამე მორეულს.
რა შეაჩერებს დილის მზეს?!
აღტაცებული ვყვირი მე,
რა შეაჩერებს შენს საქმეს,
მამულო, შენი ჰირიმე!

1937 წ.

კიდევ აღსდგება ბუნება ბიზანტიურად

კიდევ აღსდგება ბუნება
 ზამთრისგან გაწვალებული,
 ტყის პირში ია ამოვა —
 ფეშტამალ აფარებული.
 მთისკენ გაიწევეს ხარლალი

მზის ეშხით გალადებული.
 მალლით მოსკდება მდინარე,
 მრისხანე, გაავებული,
 ღრეობას იწყებს სიცოცხლე
 სიკვდილზე გამარჯვებული.

1936 წ.

• • •

გინდა წყალს მიმცა, გინდ ცეცხლსა,
 გინდა ზღვას წამალებინა,
 უცხოს, უმზეო ქვეყანას
 მათენებ-მალამებინა.

თვისტომს მომწყვიტა, ლოგინად
 სამარე დამაგებინა,
 შენ გათხოვება, ლამაზო.
 ოლონდ არ გამაგებინა.

1932 წ.

• • •

განა იმისთვის დავჯექი,
 იმედზე ლექსი მეწერა,
 მეკრიფა ნატვრის მარცვალი,
 ოცნების ბადე მეკერა.

მე ხომ მინდოდა მეკენესა,
 ტირილით გული მეჭერა,
 ხელში ამელო ფანდური,
 დარდიან გულზე მემღერა.

1937 წ.

არჩილ კიტოშვილი

• • •

დაიბადა ს. ზემო ალვანში. საშუალო სკოლა დაამთავრა თავის
სოფელშივე, იგი დანიშნეს მთათუშეთში მასწავლებლად.
დაიღუპა 1943 წლის ოქტომბერში.

ეს ჩემი გული რა არი?
გრძნობით მქუხარე ზღვა არი.
ნაპირზე მთები დრკებიან,
იმის იქით კი სხვა არი!
გონება, გრძნობის სადავე,
ქუჩის სასინჯი ქვა არი,
ის, რაც ჩანს, არის სათავე,
ბოლოში კიდევ სხვა არი!
წალკოტის გრძნობის მპარავი, —
ეგ ჩემი გულის თქმა არი,

ნაპირს დგას ოქროს კარავი,
შუაში კიდევ სხვა არი!
ბუნდად რომ მოსჩანს ნისლებში, —
ჩემი დიდების მთა არი,
რასაც შენ ხედავ ძირია,
მწვერვალი კიდევ სხვა არი!
ეს ჩემი გული რა არი?
ეხ, შენი ტრფობის ზღვა არი!
ნაპირზე ედემს გიშენებ,
იმის იქით კი სხვა არი!

27. VII. 1941 წ.

ჩემი ეპიტაფია

ცხოვრობდა სულში აგრიგალებით,
გაჰქრა კი ნისლის დარად აშლილი,
უყვარდა ღვინო, ლხინი, სწორები,
შოთა, ვაჟა და ბარათაშვილი.

— — —

შოთა ჩანტლაძე

პ რ ო ხ ო რ!!!

(ლირიულ-დრამატული პოემა)

მოქალაქენო! შეიძინეთ ობლიგაციები, თქვენ შეიძლება მოიგოთ 100.000 მანეთი!

ბედნიერი მზერა მიუპყრო ამ რეკლამას მოხუცმა პროზორმა. რეკლამაზე ეხატა ახალგაზრდა კაცი ხვეული, შავი თმებით. ხელში მოგებული ფული ეჭირა და სახეზე ბედნიერი, კეთილი გამომეტყველება ჰქონდა. ეს რეკლამა პროზორის ქარხნის კედელზე იყო გაკრული და იგი მას პირველად არ კითხულობდა. მისი წაკითხვა პროზორის მოვალეობას შეადგენდა ქარხნიდან გამოსვლისა და ქარხანაში შესვლის დროს. იგი ამ რეკლამას ხუმრობად არ სთვლიდა და არც აგიტაციად. იგი მისი აზრით მეტად საჭირო იყო და პროზორიც მუდამ სერიოზულად და იმედით შესცქეროდა მას. დღეს კი რაღაც განსაკუთრებული კმაყოფილებით ჩაიკითხა ეს რეკლამა და პირველად თავის სიცოცხლეში დაფიქრდა ამ რეკლამის, როგორც ხელოვნების ნიმუშის ღირსებებზე. ოსტატურად დახატულია, საჭიროა მისი შექმნა და სახლში დაკიდება. ნეტა თუ იშოვება სადმე? ფიქრობდა პროზორი და უკვირდა, რომ აქამდე ვერ შეამჩნია ამ გენიალური რეკლამის ბრწყინვალე მხატვრული ღირსება. პროზორს დრო აღარ ჰქონდა, იგი დღეს განსაკუთრებულ სიხარულს განიცდიდა და ამ სიხარულის საკუთარ სახლში მიტანა სწყუროდა. სასწრაფოდ მოსცილდა რეკლამას და ტრანზის მიაშურა. ტრამვაიში ხალხი ცოტა იყო და პროზორმა დასაჯდომი ადგილი ადვილად გამოიწია. მას დაჯდომა ძალიან ესაჭიროებოდა, რადგან მისი ხელები დატვირთული იყო რამდენიმე მოზრდილი პარკით. იგი დაჯდა, დალილობა იგრძნო. ტრამვაიც დაიძრა. პროზორს მოუნდა, ძალიან მოუნდა პაპიროსის მონევა. ჯიბიდან ამოიღო „ბელამორის“ კოლოფი, მაგრამ გაახსენდა „ნუ მოსწევთ“ და

პაპიროსი სასწრაფოდ ჯიბეში ჩაიდო. იგი რეკლამების მონა იყო და რეკლამას უყურებდა არა როგორც უბრალო წარწერას, არამედ როგორც მილიციელს, რომელსაც ხელი აუღია და ეუბნება: — მოქალაქე თქვენ დაჯარიმებული ხართ!

ტრამვაი იმ ქუჩამდე მისვლას, სადაც პროზორი ცხოვრობდა, 20 წუთს უნდებოდა და სანამ პროზორი სახლში მივა, ჩვენ რამოდენიმე სიტყვას ვიტყვი თქვენ შესახებ;

იგი ცხოვრობდა თბილისის ერთერთ ქუჩაზე, სადაც, უმეტესად, სარდაფში ქურთები, პირველ სართულზე რუსები, მეორეზე სომხები, მესამეზე კი ქართველები ცხოვრობენ. ასეთი ეზოს პირველ სართულზე ცხოვრობდა რუსი პროზორი. მან რუსეთში სამი რევოლუცია მოახდინა. ბოლოს ბებერმა ძვლებმა სიცივე იგრძნო და პროზორმაც თბილ ქვეყანას მოაშურა, როგორც მერცხალმა. მაგრამ იგი მერცხლის მსგავსად ზამთარში უკან აღარ დაბრუნებულა და სამუდამოდ აქვე დასახლდა. მას სამშობლოდან მოშორებულს აქ „კუკიაზე“ ელოდა საუკუნო განსასვენებელი. იგი ამას არ დარდობდა, რადგან ამაზე არ ფიქრობდა. იგი იყო მაღალი, ხმელი, მაგრამ წელში გამართული მოხუცი. როგორც იმ რუსების უმეტესობა, რომლებიც რევოლუციამდე დაიბადნენ და კლასიკური განათლება არ მიუღიათ, უღვაშებს ატარებდა. უღვაშები ცხვირის ნესტოებთან ყვითელი იყო. ცხვირის ნესტოებიდან სხვადასხვა მხარეს გამუდმებით მიიპარებოდა პაპიროსის თეთრი ბოლი და პროზორი ფიქრობდა, რომ ადამიანი ორთქლმავლის პრინციპზეა აგებული. პროზორი სათვალეებს ატარებდა. და აქან თვალეებზე ზრუნვა გადაავინცა და სათვალეებზე ზრუნვა დააწყებინა. ზამთარში იცვამდა „ვალინკებს“, ზაფხულში ტილოსპირიან ყა-

ვისეფერ ფესხაცმელებს, პროხორი ცხოვრობდა ერთ პატარა ოთახში; ოთახი 15 კვ. მ. იყო. შიგ იდგა ერთი ბუფეტი, ერთი მაგიდა. მაგიდაზე უბრალო, ყვავილებით მოხატული გრაფინი და ჭიქა, ოთახში იყო რკინის ორი სანოლი, ორივე მორთული მოქარგული ყურთბალიშებით. კედელზე ეკიდა რამდენიმე პოლიტიური მოღვაწის სურათი და რეპეტნიკოვის „Спать двойка“, ოთახი ეკუთვნოდა ორ ადამიანს — პროხორს და მის შვილიშვილს ნატაშას. პროხორმა ჯერ კიდევ ათი წლის წინათ შეიტანა განცხადება ოთახის ფართობის გადიდების შესახებ შესაბამის ორგანოებში. განცხადებაში იგი აღნიშნავდა, რომ სამი რეკოლუცია მოახდინა; და რომ ორმა მათგანმა გაიმარჯვა და რომ ერთმა მათგანმა, რომელიც რიგით მესამე იყო, გამარჯვა და ივარგა კიდევ. მართალია ოთახის ფართობი არ დიდდებოდა, მაგრამ პროხორი იმედს მაინც არ კარგავდა და მუდამ სჯეროდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს იგი გადასახლდებოდა ახალ ბინაში, ფართო და ნათელ ოთახებში. ეზო, რომელშიც პროხორი ცხოვრობდა, მშვიდობიანი ბინადრებისაგან შედგებოდა და მათთვის რომ გეკითხათ პროხორის შესახებ, ისინი გიპასუხებდნენ, რომ პროხორი კეთილი და მშვიდობიანი ბინადარიაო.

როგორც ზემოდ უკვე ვთქვით, პროხორი თავის შვილიშვილ ნატაშასთან ერთად ცხოვრობდა. პროხორის ქალიშვილმა, რომელიც ნატაშას მამას გაეყარა და სხვაზე გათხოვდა, ნატაშა პროხორთან დატოვა, რადგან მეორე ქმარმა არ ინდომა მამინაცვალი გამხდარიყო. ნატაშაზე აღარც მისი ნამდვილი მამა ზრუნავდა, რადგან მისმა მეორე ცოლმა არ ინდომა დედინაცვალი გამხდარიყო. არც ნატაშა და არც პროხორი მათზე აღარ ფიქრობდნენ. ბაბუსა და შვილიშვილს ერთმანეთი უყვარდათ და ეს მათთვის საკმარისი იყო. პროხორისთვის, მისი მეუღლის მარია ფეოდოროვნას გარდაცვალების შემდეგ, ნატაშა ერთადერთი გამომლაპარაკებელი იყო და პროხორს მისი მოცილება არ შეეძლო.

ნატაშა 16-17 წლის ქალიშვილი იყო. მალალი, მსუქანი, თეძოების ოდენა მკერდით და ქალის ოდენა თეძოებით, ცისფერი თვალებით, აპრეხილი უდარდელი ცხვირით, მოსაფერებელი ლაბაბით, მოშვებული ტუჩებით, თითქოს გადაფურთხებას აპირებო. იგი მე-7 კლასის მოსწავლე იყო. მას სამი მომდევნო თაობა ნამოენია. მას უხაროდა, რომ კლასში ყველაზე დიდი იყო. იგი დიდი ხალისით თამაშობდა მასთან შედარებით პატარა ბიჭებთან და ჯერ კიდევ 12 წლის ნატაშას, თუ მიეცემოდა შემთხვევა რომელიმე პატარა ბიჭის ხელში ჩაგდებას, იგი მას გულმოდგინედ უწუნნიდა ტუჩებს და კბენდა მკერდზე. მო-

რცხვი ბავშვი ნითლდებოდა და ცდილობდა აბეზარს ხელიდან გასხლტომოდა, მაგრამ არც ისე იოლი საქმე იყო; ნატაშას ნატაშა კის“ კუნთები ჰქონდა. როდესაც ნატაშა საბოლოოდ დაქალდა, იგი უკვე ასეთ თამაშს აღარ ჯერდებოდა და რასაკვირველია, აღარც ბავშვებს ჯერდებოდა. ამავე ეზოში, მეორე სართულზე, ცხოვრობდა ერთი მონტიორი სახელად არტაშა. იგი იყო შავი, უფრო იმის გამო, რომ საქმე კვამლთან ჰქონდა და პირის ბანა კი საშინლად ეზარებოდა. სამაგიეროდ ჯამრთელი იყო და ლოპკრიანი ტუჩები ჰქონდა. ნატაშა და არტაშა ერთმანეთს დაუახლოვდნენ და როდესაც პროხორი შინ არ „ეზდო“, ნატაშას ოთახიდან ისმოდა კვენსა. იყო შემთხვევა, როდესაც პროხორი მოუსწრებდა ამ პროცესს, მაგრამ იგი მათ ხელს არ უშლიდა, არც წყინდა და ღიმილით ფიქრობდა: კარგია, ღონიერია, ჯანსაღია ახალგაზრდობა. მას ასხენდებოდა, რომ ახალგაზრდობაში შესწევდა უნარი ესამოვნებინა არა მარტო მისი, ან განსვენებული მეუღლის, მარია ფეოდოროვნასათვის, არამედ სხვისი ცოლებისთვისაც. მაგრამ პროხორს ისიც კარგად ახსოვდა, რომ არც მარია ფეოდოროვნა გახლდათ უძღური დედაკაცი და იგიც მისი ქმრის გარდა თავისუფლად ანიჭებდა სიამეს სხვის ქმრებსაც. პროხორს არ წყინდა ეს არც მაშინ და არც შემდეგ.

— კეთილი და სათნო მეუღლე იყო მარია ფეოდოროვნა — ფიქრობდა იგი.

პროხორი წერა-კითხვის მცოდნე იყო ოდესღაც წერდა, ეხლა კი მარტო კითხულობდა. ოდესღაც წერდა ლექსებს. ლექსებს რედაქციებში აგზავნიდა და მუდამ უარს ღებულობდა რედაქციებისაგან. ბოლოს პროხორმა დაკარგა იმედი და ლექსების წერასაც თავი მიანება. მაგრამ მას ლექსები არ დაუხევიდა და სათუთად ინახავდა მათ. მას ძლიერ უყვარდა ერთი სტროფი, რომელსაც მან მისმიერვე მოგონილი მელოდიაც მიუწყო და რომელსაც ხშირად ღლინებდა კმაყოფილებით, აი, ეს სტროფიც:

Мы brave, смелые ребята

Сбросили царя!

Мы новую жизнь построили

Короче говоря!

პროხორი ღარიბად ცხოვრობდა. თბილისის ერთ-ერთ ქარხანაში მუშაობდა ზენკლად. თვეში 800 მანეთს იღებდა. მიუხედავად ამისა, არ უჩიოდა თავის მდგომარეობას. მაინც კმაყოფილი იყო და სხეული მუდამ ჩუმში სიამით ჰქონდა სავსე. რაც უნდა გაჭირვებული ყოფილიყო, უჩაიოდ არ დანებორებდა და თუ დანებობდა, ვერ დაიძინებდა. ასე განსაჯეთ, მეორე სამამულო ომის დროს. უპურობისა და უშაქრობისას, პროხორი ჩაიძინა მარილს ყრიდა, რომ რაიმე გემო მიე-

ცა და სიამოვნებით სვამდა. ომი დამთავრდა თუ არა, მთავრობამ პროხორზე დიდად იზრუნა. მიანოდა პურიც, შაქარიც და პროხორიც კმაყოფილი იყო მთავრობით. პროხორს გაზეთების კითხვის მოყვარული იყო. გაზეთი გახლდათ ერთადერთი ორგანო, რომლისაც მას ღრმად სჯეროდა. 19... წელი. გაზეთები გაიძახიან: გაუმარჯოს A-ს, გაუმარჯოს A-ს იმეორებს პროხორიც. 19... წელი. გაზეთები გაიძახიან: ძირს A, გაუმარჯოს B-ს, ძირს A გაუმარჯოს B-ს იმეორებს პროხორიც, პროხორისათვის გაზეთი ერთადერთი წყაროა ჭეშმარიტებისა.

აი ტრამვაი უკვე უახლოვდებოდა პროხორის ქუჩას. მაგრამ უძერად დენი გამოთიშეს და ტრამვაიც გაჩერდა. მგზავრების ნაწილს ტრამვიდან ჩამოვიდა და ფეხით გასწია; პროხორი ადგილიდან არ დაძრულა, ელოდა დენს. სანამ დენი მოვა, ჩვენ მოგიხრობთ ერთ ეპიზოდს პროხორის ცხოვრებიდან.

თბილისში ხმა დაირხა, რომ მტკვარს უამრავი თევზი მოაწყდა და იმდენად ბრიყვები არიან. ანკესზედაც კი ეგებიანო. ამ ხმებზე მონტიორ არტაშას საშუალებით პროხორის ყურამდეც მიიღწია. კვირა დღეს პროხორი მოეზადა სათევზაოდ; შეიძინა ერთი საიმედო ანკესი, წაიღო ერთი კილო შვეიცარული ყველი, რადგან მალაილი ხარისხის თევზები, ანუ როგორც პროხორი იტყვოდა, კეთილშობილი თევზები უფრო ყველის ნაჭერს ეტანებიან, ვიდრე საზიზღარ, ლორწოვან ჭიაცყელას. პროხორი გაემართა სათევზაოდ და წასვლის წინ ნატაშას დაუბარა შეეძინა ცოტაოდენი ზეთი, იმ კეთილშობილი თევზების შესანავად, რომელსაც იგი უსათუოდ დაიჭერდა. პროხორი მიდიოდა მტკვრისაკენ და თან გზაში აგონდებოდა დღეები, როდესაც იგი, ჯერ კიდევ სუსულიად ახალგაზრდა, ვრცელ და უნაპირო ვოლგაზე თევზაობდა. ღამეებს ათენებდა თევზაობაში და თუშცა ვერაფერს იჭერდა, სამაგიეროდ გულმოდგინედ ცივდებოდა და შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ლოგინად იწვა. მართალია ის დღეები არ იყო ტკბილი, მაგრამ მათ პროხორი მაინც სიამოვნებით იგონებდა.

— Э, матушка, Волига — ჩაილაპარაკა პროხორმა. მერე ფიზილად მოავლო ირგვლივ თვალები, მაგრამ ვერაფერი საინტერესო ვერ დაინახა და ისევ ფიქრი არჩია...

აი, პროხორმა მიიღწია მტკვარს, გახედა, მტკვრის ნაპირი საესე იყო მეთევზეებით, უმეტესი მათგანი ბავშვები იყვნენ. ისინი ნაპირთან ისხდნენ ანკესით ხელში. ისხდნენ და დუმდნენ. საოცარი სანახავი იყვნენ მდუმარე ბავშვები. ისინი ისხდნენ და დუმდნენ, თითქოს ბავშვები არც იყვნენ. გაზაფხულის წვიმებს მტკვარი აედიდებინა, ადიდებას აელღევებინა მტკვარი და ალღევებას აემღვრია ისე-

დაც მღვრიე. იგი მოდიოდა მტკვარს და დუმებელი და ირგვლივ დუმდა ყოველი ხელიდან მდუმარედ გადმოყურებდნენ მოქალაქენი მტკვარს. მტკვრის ნაპირზე ისხდნენ ბავშვები. ისინი ისხდნენ და დუმდნენ. პროხორმა გამოძებნა ხელსაყრელი ადგილი სათევზაოდ. ჩაჯდა ნაპირზე. გვერდით დაიდო ერთი კილო შვეიცარული ყველი. ანკესი გამართა და წყალში ჩაუშვა.

სანამ ამ ეპიზოდს ვყვებით, ტრამვაიში დენი უკვე მოვიდა და ტრამვაიც დაიძრა. აი, ტრამვაი გაჩერდა იქ, სადაც პროხორი უნდა ჩამოვიდეს, აი, ჩამოვიდა კიდევ და სასწრაფოდ გასწია. მაგრამ ეს ვინ არის? — აა, ეს პროხორის ერთადერთი ნათესავია საქართველოში, რომელსაც იგი იცნობს, პროხორის ბიძაშვილი მარფუშა, რომელიც რუსეთიდან შარშან ჩამოვიდა და რომელსაც პროხორმა დამლაგებლის ადგილი უშოვა ერთ-ერთ სკოლაში. პროხორის ბიძაშვილი უყვარდა და ჩვეულებად ჰქონდა, როდესაც კი შეხედებოდა გააჩერებდა და დიდხანს ესაუბრებოდა. ეხლაც, იმედია, ისაუბრებენ და სანამ ისინი საუბარს მორჩებიან, ჩვენც მოვასწრებთ ჩვენი ეპიზოდის დამთავრებას.

...პროხორმა ანკესი წყალში ჩაუშვა და გაირინდა. იგი გულმოდგინედ დაჰყურებდა წყალზე მოტივტივე საცობს. პროხორის გვერდით პატარა ბიჭი ჩატკუტყულიყო. თვალები საცობისათვის მიეშტერებინა, თითქოს აპიზონობდა თევზებს და წარამარა ამოჰყავდა ისინი წყლიდან. ეს ბავშვი ჭინკას წააგავდა. პროხორს არ ესიამოვნა მისი დანახვა, იგი თარსად მიიჩნია. იჯდა პროხორი მტკვრის ნაპირას, იჯდა და ელოდა. უსაზღვრო იყო მისი ლოდინი. მაგრამ, აი, შეირხა საცობი და შეირხა პროხორიც. მან ამოჰკრა ანკესი წყლიდან და... თევზები არც ისე ბრიყვები აღმოჩნდნენ, როგორც ამას ხალხი ამბობდა. მათ გულმოდგინედ შეეჭამათ შვეიცარული ყველის გემრიელი ნაჭერი და შემდეგ გაურკვეველი მიმართულებით მიმალულიყვნენ. პროხორმა გადააფურთხა, მაგრამ არ შეიგინა და ანკესს ყველის უფრო დიდი ნაჭერი გაუკეთა და წყალში ჩაუშვა. იჯდა პროხორი წყლის ნაპირას მდუმარედ, იჯდა და ელოდა, უსაზღვრო იყო მისი ლოდინი. იგი იჯდა და ცდილობდა არაფერზე არ ეფიქრა, რომ არ გამოპარვოდა საცობის საეჭყო მოძრაობა. აი, შეირხა საცობი, საეჭვოდ შეირხა. პროხორმა გაიფიქრა: — მოვიციდი ცოტას, ჯერ კიდევ არ წამოგებულა ვაჟბატონი ანკესზე საფუძვლიანად. — მიდი, დრო არის პროხორი — ვილაცის ხმა მოესმა პროხორს. პროხორმა ამოჰკრა ანკესი და საოცრება... ანკესზე იკლაკნებოდა ნაფოტა, როგორც ჭიაცყელა, არის! ეს ერთი და სხვა ათასი! — ნაპოიძახა პროხორმა. შემდეგ ნაფოტა წყალს

განარიდა და საიმედო ალაგას მოათავსა. ისევ გამართა ანკესი პროზორმა და ისევ ჩაუშვა წყალში. ეხლა პროზორი მეტი იმედით შეუდგა ლოდინს. იჯდა და ელოდა და უსახლვრო იყო მისი ლოდინი. მის გვერდით ჩაცუტულს ბიჭი, როგორც ჭინკა და დაბარებულ ივით ამოპყავდა წყლიდან თევზები. ეს პროზორზე გამაღიზიანებლად მოქმედებდა. „კუდიანი“ ბუტბუტებდა თავისთვის. იჯდა პროზორი და ელოდა, მაგრამ ლოდინი აღარ მართლდებოდა. იზრდებოდა უიმედობა და მცირდებოდა შვეიცარული ყველის ნაჭერი, მტკვრის ნაპირებზე ბინდი ეშვებოდა. აცივდა კიდეც. ქარმა დაუბერა და მტკვარმა უმატა დღევას. ზვირთებად იწყო დენა მტკვარმა. — მტკვარი ბობოქრობს — ჩაილაპარაკა პროზორმა. ამ დროს საცობი შერჩა და... პროზორმა მეორე ნაფოტა პირვლთან დასდო. პროზორი ბრაზმა შეიპყრო. გულმოსულად დააშტერდა თევზს, თითქოს ამ საცოდავს ოდესმე ეწყენინებინოს მისთვის. მერე პატარა ბიჭს გადახედა ნიშნისგებით, მაგრამ როდესაც ბიჭის გვერდით თევზების მთელი გროვა შენიშნა, განითლდა, ისევ გამართა ანკესი და წყალში ჩაუშვა. ისევ იჯდა და ელოდა; და ისევ უსახლვრო იყო მისი ლოდინი. მაგრამ ამაოდ. დაკარგა იმედი პროზორმა. ლამდობოდა. მოშივდა კიდეც გადახედა დარჩენილ ყველის ნაჭერს და გაიფიქრა: — რაღა ამ ოხრებს შევაჭამო, მე თვითონ შევჭამ. ბრაზისგან თვალები გაუფართოვდა და ყველის ნაჭერი თვალეში მოთავსდა. ყველის ნაჭერი თვალეში თანდათან პატარავდებოდა და ბოლოს სულ გაქრა. პროზორმა გულმოსულად დაავლო ანკესს ხელი, მხარზე გაიდო და მტკვრის ნაპირს გაპყვა. ერთ ადგილას ბავშვებს მოეყარათ თავი და გაისმოდა მათი ერთობლივი ყვირინა. ერთ მათგანს ორაგული ამოეთრია წყლიდან. პროზორი მიდიოდა შინსკენ. მიდიოდა დაღონებული და გულში ფიქრობდა: — გაფუჭდა ქვეყანა. თევზებიც კი გაეშმაკდნენ. ეს არის რომ იძახდნენ მტკვარს ბრიყვი თევზები შემოესივნენო? ფუი, — გადააფურთხა პროზორმა და ამჯერად ნამდვილად შეიგინა და დიდი იყო გინება იგი.

პროზორი მივიდა სახლში. სახლიდან მონტიორმა არტაშამ გამოალაჯა, პროზორს მოკრა თვალი, გაუღმა და სტვენით გაემართა თავისი ოთახისაკენ. პროზორი ოთახში შევიდა და ნატაშას დამცხრალი თვალეები მიეგება. თვალეები მონმენდილი იყო — მტრედისფერი ცა. პროზორმა ორი ნაფოტა მაგიდაზე დააგდო და ამაყი კილოთი უბრძანა ნატაშას მათი შენვა. ნატაშამ გაკვირვებით შეხედა თევზთა სიმცირეს და კითხა: რა უყავრ შვეიცარული ყველი? პროზორმა ამ სიტყვებზე ნატაშას შეუბღვირა და უთხრა, რომ

თევზით გასკდომა არსად გაგონილს და რომ თევზი ხილია ხილთა და არა კვების საშუალები ბორში. ნატაშამ არაფერი არ უპასუხა. მდუმარედ გამოიტანა ზეთი, რომელიც დღეს პროზორის ბრძანებით კეთილშობილი თევზების შესანავად შეიძინა. დაასხა ტაფაზე და თევზებიც ტაფაზე მოათავსა. პროზორი და ნატაშა ლარიბულ ვახშამს შეექცნენ და ბოლოს კეთილშობილი თევზები დააყოლეს, როგორც ხილი და არა როგორც კუჭის საძლომი რომელიმე მდაბიური საქმელი, თუნდაც ბორში. უნდა გენახათ რა საიმედოებით მიერთმევდა პროზორი თავის ნაოფლარს. სრული შეგნებით, რომ იგი მას ეკუთვნოდა. ჭამის დროს მაინც გაუელვა ფიქრმა თავში უკეთესი იყო ის ყველი შემენახა, ერთ კვირას მეყოფოდა. მართალია თევზები კეთილშობილი არიან, მაგრამ არც ყველი იყო მდაბიური წარმოშობის. პროზორს გააფრთხლა და უეცრად გარდაიქმნა მისი სხეული. თავი სითბომ მოიცვა, თითქოს თბილი უთო გაავლესო შუბლზე. პროზორი დანვა. იგრძნო რომ სიცხე ქონდა და ჩასთვლია...

დღილი პროზორს სიცხე ჰქონდა. 38° ამბობდა თერმომეტრი. პროზორმა ნატაშას დაავალა, ქარხანაში მისულიყო და დირექციისთვის გადაეცა, რომ იგი ავადმყოფობის გამო სამუშაოზე ვერ გამოცხადდებოდა. ნატაშამ შეასრულა პროზორის თხოვნა. ნატაშამ იმ დღეს სკოლაში არ წასულა ბინაზე ექიმი გამოიძახა სასწრაფოდ. ექიმმა პროზორი გასინჯა და დაასკვნა: გაცივებულია! და შემდეგ წამლები გამოუწერა. საღამოს პროზორს სიცხემ აუნია. 39° — ამბობდა თერმომეტრი. 40° — დაიძახა თერმომეტრმა და პროზორი ბურანში გაეხვია. მას ეჩვენებოდა, რომ კვდებოდა და მხოლოდ ის დარდი მიყვებოდა, რომ ვერ მოასწრო გეგმის შესრულება 120 პროცენტით, დადებული პირობის თანახმად. ნატაშა წამლების მოსატანად წავიდა აფთიაქში და პროზორი მარტო დარჩა. მარტობამ პროზორი დააღონა. სიცხემ უმატა, ოფლი დაასხა. ოფლი უბენვო სხეულზე თავს ვერ იკავებდა და მოგორავდა და უსრულებლად. პროზორს ეჩვენებოდა, რომ თითქოს მის სხეულზე „ტარაკანები“ დარბობდნენ. პროზორს საშინლად დასცხა. საბნები გადაყარა, ბოძვა დაიწყო: — ალბათ ეხლა უკვე 41°-ია.

$41^{\circ} + 41^{\circ} = 82^{\circ} = 164 + 1640 = 328^{\circ} - 656$ მანენეთი. შვებულემა ობლიგაცია № 000176 იგებს კარგია.

Мы brave, смелые ребята
Сбросили царя — лилинებს პროზორი
Мы новую жизнь — ლილინებს პროზორი
Построили

— ეს სიტყვა პროზორმა გულში ჩაიღიღინა და მერე ხმამალა და მოკლედ აღმოსთქვა

მოქალაქენო შეიძინეთ ობლიგაციები. თქვენ შეიძლება მოიგოთ 100.000 მანეთი!

რამდენიმე დღის შემდეგ პროზორი გამო-
ჯანმრთელდა და ეპიზოდურ ამით დამთავრ-
და.

პროზორი ობლიგაციების იმედით ცხოვ-
რობდა. მართალია, მას არ ახსოვდა, რომ
ოდესმე მოეგო, მაგრამ იმედს მაინც არ კა-
რგავდა და ფიქრობდა: — ხომ იგებენ ზოგი-
ერთები? ხომ შეიძლება ამ ზოგიერთებში მეც
მოვხვედ? განა ისინი ჩემსავით ქარხნის მუ-
შები არ არიან? თუნდაც ვასილი, ფედკა, ლი-
და, გეურქა. დიახ, შეიძლება მეც მოვიგო.
მართალია ხელფასი არ არის ცოტა, საკმა-
რისია, მაგრამ რადგანაც სახელმწიფომ ობ-
ლიგაციები შემოიღო, ე. ი. სახელმწიფო თვლის,
რომ დასაშვებია ხელფასს გარდა სხვა შემო-
სავალიც, ეს ხომ სპეკულაცია არ არის და
მითუმეტეს არც ქურდობა. იგი პატიოსანი
საქმეა და სწორედ იმიტომ არის სახელმწი-
ფოსაგან ნებადართული. უსათუოდ დიდებული
გამოგონებაა ობლიგაციები, უსათუოდ. ზო-
გიერთი ბრიყვი კი ბუზღუნებს და ჩივის, რომ
ობლიგაციებზე ძალით აწერიდებენ ხელს. თუ-
ნდაც ასე იყოს. მთავრობა ამ სულელებს აი-
ძულებს, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ. ხომ
შეიძლება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ასეთმა
უმაღურმა ადამიანმა დახედოს ობლიგაციას
და გაზეთს და დაინახოს... რა დაინახოს?
დაინახოს რომ 1000 მანეთი მოუგია, მაშინ
ის სულელი ხომ შესძლებს, ხომ შესძლებს
უხელფასო შვებულებაში გასვლას, მაშინ
იმ სულელს ხომ შერცხვება. მაგრამ ამდენი
სად გაეგებათ ამ ბრიყვებს. უბრალოდ შეუ-
გნებელი ხალხია.

სწორედ პროზორის ასეთი რწმენის შედეგი
იყო ის, რომ იგი სიმკაცრემდე სერიოზული
სახით აწერდა ხელს ობლიგაციებზე, რომე-
ლსაც მისი ისედაც უმნიშვნელო ხელფასის
საკმაო ნაწილი მიჰქონდა. სწორედ პროზო-
რის ასეთი რწმენის ბრალი იყო ის, რაც პრო-
ზორს მოუვიდა. პროზორი, როგორც აღვნიშ-
ნეთ, ვერასდროს ვერ იგებდა, მაგრამ იგი
ყოველთვის დაიმედებული იყო მოგებაში და
სწორედ ამიტომ არ ნერვიულობდა მშვიდ
ცხოვრებას ენოდა. მაგრამ ერთხელ...

ეს მოხდა ასე. ქარხანაში ობლიგაციებს და
ხელფასებს არიგებდნენ. პროზორი იდგა რი-
გში და ელოდა თავის ჯერს. როდესაც იგი
სალაროსთან უკვე საკმაოდ ახლოს იყო, შა-
რდმა შეაჩუხა. პროზორმა სასწრაფოდ მია-
ტოვა რიგი და საპირფარეოში შევიდა. სა-
პირფარეოში პროზორს მოთხოვნილება გაე-
ზარდა. ბოლოს მოისაქმა და რიგს დაუბრუნ-
და. ახალგაზრდა მლაჩავი ლიდა, რომელიც
პროზორის უკან იდგა რიგში, სალაროსთან
მისულიყო და ობლიგაციებს იღებდა. პრო-
ზორი იძულებული გახდა ლიდას უკან და-
ე-
დგარიყო. პროზორმა აიღო ობლიგაციები
და ხელფასი. ცოტა ხნის შემდეგ გაზეთში
გამოქვეყნდა ობლიგაციების ცხრილი. პრო-
ზორმა დახედა ცხრილს და დაიბადა მისი
ტრალედიაც. ერთი ნომერი, მხოლოდ ერთი
ნომერი ასცდენოდა და რომ არ ასცდენოდა,
პროზორი 1000 მანეთს იგებდა. პროზორი ამ
შემთხვევამ საფუძვლიანად შეარხია. იგი ფი-
ქრობდა: — ეს რა დამემართა, ეს რა უბე-
დურება დამატყდა თავზე, ერთი ნომერი,
მხოლოდ ერთი ნომერი ასცდა და მერე რო-
დის? მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად მჭირ-
დება ფული, მაშინ როდესაც ჭაჭები საშინ-
ლად მტკივა და უხელფასო შვებულებაში ვა-
პირებდი გასვლას. — პროზორმა მეორე დღეს
ქარხანაში გაიგო, რომ ის 1000 მანეთი მლა-
რავ ლიდას მოეგო. პროზორის ტრალედიამ
აქ უკვე უმაღლეს ნერტილს მიაღწია. ამ ნე-
რტილის იქით სიგიჟე იწყებოდა. — მეორე
ოთახში რომ არ გავესულიყავი და ჩემი რიგი
რომ არ დამეკარგა, ხომ მე მომიწევდა ის
ობლიგაცია, ხომ მოვიგებდი მაშინ? — ფი-
ქრობდა პროზორი.

მას შემდეგ გავიდა ხანი და იყო ასეთი
შემთხვევა. ობლიგაციების რიგში ლიდა ამ-
ჯერად პროზორზე წინ იდგა. ლიდა რაღაცაზე
რიგიდან გავიდა და მისი კუთვნილი ობლი-
გაციები პროზორს ერგო. პროზორმა გაიფი-
ქრა: — ბედი სამაგიეროს უხდის, ეხლა მის
მაგიერ მე მოვიგებ. ასე იფიქრა პროზორმა.
მაგრამ გათამაშების დროს ისევე ლიდამ მო-
იგო. ამჯერად 100 მან. ამ შემთხვევამ პრო-
ზორის ნერვები საფუძვლიანად შეარხია და
პროზორის ხასიათში დაიბუდა ჩუმმა მოუს-
ვენრობამ და ნერვიულმა წერილმა. მართა-
ლია პროზორს ობლიგაციების იმედი მაინც
არ დაუკარგავს და ფიქრობდა, რომ დღეს
თუ არა ხვალ, ხვალ თუ არა ზეგ მაინცო,
მაგრამ ლიდა კი სამუდამოდ შესძულდა.
Дьяволого покаяние — ჩაილაპარაკებდა
ხორი, როდესაც ლიდას მოჰქრავდა თვალს.

ამ ორმა შემთხვევამ პროზორი საფუძვ-
ლიანად ჩააფიქრა ობლიგაციებზე. მის ფიქ-
რებში უფრო სული იღებდა მონაწილეობას,
ვიდრე გონება დ სწორედ ამის შედეგი იყო
პროზორის ასეთი ფიქრები: — თუ კი არსე-
ობის ყველაფერს ღმერთი, რატომ არ შეი-
ძლება არსებობდეს ობლიგაციების ღმერთი?
და თუ ობლიგაციების ღმერთი არ არსებობს,
მაშინ ობლიგაციების საკითხს ვინა აწესრი-
გებს? შეიძლება იგი რომელიმე ღმერთის
ფუნქციებში შედის? შეიძლება! მაგრამ მე
მაინც ვფიქრობ, რომ არსებობს ობლიგაცი-
ების ღმერთიც. საჭიროა ვიარო ეკლესიაში
და ვვედრო ობლიგაციების ღმერთს, რომ
მომაგებიანოს დიდი თანხა. კი მაგრამ, რო-
გორი უნდა იყოს ობლიგაციების ღმერთი?
— იგი ალბათ არის მაღალი, ჩასხმული, ხნი-



და მანამ ობლიგაციებს აიღებდა, ქშინავდა, ფერი დაკარგვოდა, წარბები უთამაშებდა და თავისთვის ბუტბუტებდა: — აქ არის, დიდა, აქ არის ჩემი რიგი. პროხორომა ობლიგაციები აიღო და...

გავიდა ხანი. დადგა ის დღეც. იმ დღეს არაფერი მომხდარა არაჩვეულებრივი. ხალხი მიდიოდა და მოდიოდა. რადიო გამცნობდა ჩვეულებრივ ამინდს, ხოლო დღის მეორე ნახევარში გვირდებოდა მცირეოდენ ნალექს, პროხოროს ქარხანაშიც არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა. მხოლოდ ეს იყო, რომ დღის მეორე ნახევარში ახალი გაზეთები მოიტანეს, რომელშიც ობლიგაციების ცხრილი იყო გამოქვეყნული. პროხორომ ჯიბით თან დაატარებდა ქალაქში ამონერილ ობლიგაციების ნომრებს. ეხლა მან სასწრაფოდ აშოილო ჯიბიდან ეს ქალაქი თვალებით ჩაირბინა მაგიური რიცხვები. იგი თრთოდა ფერი დაჰკარგვოდა, წარბები უთამაშებდა, თვალეში ჩასდგომოდა მანია — „ვიი თუ“. აი, მისი თვალეში შეჩერდა, შედგა. იგი დაეძვინა ერთ რიცხვს, მაგიურ რიცხვს. ნუთუ?! — გაუელვა თავში პროხოროს. მაგრამ „ნუთუ“ მალე გაქრა. არის ეს ერთი და სხვა ათასი! — წამოიძახა პროხორომა, მაგრამ ნომერი? — გაუელვა ისევ პროხოროს. თვალეები ისევ მიანყდა მაგიურ რიცხვს, მაგრამ ნომერი ასცილდა, პროხოროს აღტაცება, სიხარულად შეიცვალა — მაინც კარგია! მაინც კი არა, ძალიან კარგია! 100 მანეთიც ფულია. ეს პირველი შემთხვევაა. ეს შემთხვევა მოწმობს, რომ უკვე ობლიგაციების ღმერთის საიში წერიხარ. ეს კი ბევრს ნიშნავს. მას შეუძლია ერთ მშვენიერ დღეს ისე გფერთხოს 100.000 მანეთი, როგორც ცოლმა ახალგაზრციხილი პერანგის ამხანაგი — გაიფიქრა პროხორომა და ეს შედარება მოიწონა. ღმერთო დიდებულო! გმადლობო, გმადლობო, რომ შეისმინე ჩემი ვედრება — ცრემლიანი ხმით წაილულულა პროხორომა. შემდეგ შერცხვა. ხომ არაეინ მიყურებსო და დამშვიდდა. იგი წამოდგა და ამაყად განაცხადა: მე მოვიგე 100 მანეთი. პროხოროს ყველამ წარფელი გულით მიულოცა მოგება, მათ შორის ლიდაც, რომელიც მუდამ იგებდა და რომელმაც ამაჯერად ვერაფერი მოიგო. — ბაბუა პროხორო, დღეს ჩემი წილი შენ გარგუნა ღმერთმა — ღიმილით უთხრა ლიდამ — ხო, შენ ნუ მომიკვდები, კარგი სამართალია, სწორედ ჩემ 1000 მანეთებს შენ გაძღვეს და შენს 100 მანეთს მე, — წყენითა და თან ღიმილით უპასუხა პროხორომა. პროხოროი გაბრუებული იდგა დიდხანს. იგი არაფერს არ ფიქრობდა. იდგა და ილიმებოდა უცნაური ღიმილით. უცებ ზარის ხმა გაისმა და პროხოროს გაახსენდა, რომ ქარხანაში იმყოფებოდა. შესვენება და-

მთაერებულოცო და მუშები დახვდნენ. პროხორომაც დაზგას და მუშაობას შეუდგა. იგი მუშაობდა გაბრუებული. ვერ ხედავდა დაზგას და არ ფიქრობდა დაზგაზე. მაგრამ საქმე მაინც შეუცდომლად მიდიოდა, იგი ხომ 40 წელი იდგა ამ დაზგასთან.

სამუშაო დღე დამთავრდა. პროხოროს უკვე მზად ჰქონდა შემდგომი მოქმედების გეგმა. იგი სასწრაფოდ გამოვიდა ქარხნიდან და გაეშურა დიდი გასტრონომისაკენ, რომელიც ქარხნის გვერდით მდებარეობდა. შევიდა გასტრონომში. იქ სითბო იყო და ხალხი. ვიტრინები გატენილი იყო სანოვავით. მსუქანი ძეხვები, სველი და გამაღიზიანებელი კუპატები, დაკონსერვებული თევზები ათასნაირი. თითონ თევზები მადის აღმძვრელი და კეთილშობილნი. ალკოჰოლიანი სასმელების სხვადასხვა სახეობანი. სხვადასხვანი მოყვანილ ბოთლებში ჩასხმულნი, სხვადასხვა ფერით შეფერილნი და სხვადასხვა ხარისხის. შემწვარი და მოხარშული იხვები, ბატები, ქათმები და ინდოურიები, „ხალადეცი“. აგერ „სილიოტკა“, აი თვით „ხამსა“ და აგერ პურის არაყიც. პროხოროს უკვე დაახლოებით მოფიქრებული ჰქონდა, თუ რა უნდა შეეძინა. ადრე თუ იგი ძვირფას საქმელებს ცოტა არ იყოს მორიდებით უცქეროდა, ეხლა დამცინავად გადახედა, — სად წამიხვალთ თქვე მსუნაგებო, ფული აქა მაცქს, — გაიფიქრა პროხორომა. შემდეგ გაახსენდა, რომ კომუნისმის დროს ყველა ეს ძვირფასი სანოვავე უფასოდ იქნებოდა და გაიფიქრა: — საჭიროა უფრო ენერგიულად მუშაობა, გეგმის ორმაგად და სამმაგად შესრულება. პროხოროი უცქეროდა „კეთილშობილ“ თევზებს და ფიქრობდა: — ვინ იცის მათ შორის შეიძლება ის თევზიც იყოს, რომელმაც ჩემი შევიცარული ყველის ჭამაში მიიღო მონაწილეობა და შემდეგ გაურკვეველი მიმართულებით მიიშალა. პროხორომა ერთერთი თევზთაგანი იმ თევზად შეიცნო, ღიმილით მიაჩერდა და წასჩურჩულა: — ააა, შენ ხარ განა, ვაყბატონო? შენ არ შესანსლე ჩემი შევიცარული ყველი? ჩემი ყველით გასუქებული ეხლა მე გამასუქებ. შემდეგ პროხოროი მიაჩერდა ღიმიორების წყებას; — რა სასიამოვნო ფერი აქვთ, რა ლამაზ ბოთლებში ჩაუსხამთ. მარტო ფერი და ბოთლი დაათრობს კაცს. მაინც როგორი გემო უნდა ჰქონდეს? — ალბათ მაგარია და თანაც კარგი არომატი აქვს — ფიქრობდა პროხოროი. მას საიდანლაც ახსოვდა ეს. არ იცოდა, თითონ დაეღია თუ სხვამ გადმოსცა; — ვიყიდი! — გაიფიქრა პროხორომა, მერე გადაიფიქრა: — იგი ჩემი ჯიბისათვის ძალიან ძვირია. საბოლოოდ გამოვკევა ფიქრებისაგან და შეუდგა მოქმედებას. მან შეიძინა ერთი კილო „ქე-



თილშობილი" თევზი, ერთი კილო „სილიოდ-კა“, ნახევარი კილო ხაშა, ერთი კილო ხოლადეცი და ნახევარი კილო ძეხვი „მოყვარულთათვის“, ერთიც გაყინული ბატი, და ბოლოს ყველაზე უფრო მთავარი — პურის არაყი. პროზორი ტკბილეულობის განყოფილებასაც ეწვია. იქ, ნატაშასთვის იყიდა შოკოლადი „საორტი“, კამფეტები „კის-კის“ და „ჩიო-ჩიოსან“ და სხვა. გამოვიდა პროზორი გასატრონომიდან და ტრამვაის გაჩერებისაკენ გასწავა. ჩვენ უკვე ვთქვით, თუ პროზორმა როგორ შეხედა რეკლამას, როგორ ჩაჯდა ტრამვაიში, როგორ გამოთიშეს დენი და ტრამვაიდან ჩამოსვლის შემდეგ როგორ შეხვდა მას ქუჩაში მისი ბიძაშვილი მარფუშა. აი, პროზორი მარფუშასაც დასცილდა და თავისი ეზოსაკენ გასწავა. შევიდა ეზოში, გაეშურა ოთახისაკენ. ეზოში საღამო იდგა, ჩუმი და თბილი. ნახევრადგანათებულ სარდაფში იეზიდი ხუდო ბაიას მღეროდა გულამომჯდარი. პირველი სართულის ერთ განათებულ ფანჯარაში ახალდაქორწინებული ცოლ-ქმარი კოცნიდნენ ერთმანეთს. კოცნას ჯერ კიდევ გემო არ დაჰკარგვოდა. სომხის დედაკაცი აღუნიკა ეზოში ონკანთან იდგა და ძველმანებს რეცხავდა ნელში მოხრილი.

პროზორი ოთახში შევიდა. ოთახში ნატაშა იჯდა და გაკვეთილს იზეპირებდა — არის! — შეჰყვირა პროზორმა შესვლისთანავე — რა არის? — შეეკითხა ნატაშა — რა არის და ობლიგაციები მოვიგე 100 მანეთი — მიუგო პროზორმა. შემდეგ პროზორმა ნავაჭრი მაგიდაზე დაალაგა. ნატაშა გახარებული ხსნიდა პარკებს და სინჯავდა სანოვაგეს. — ოი, ბაბუა, რა კარგი ხარი — წამოიძახა ნატაშამ და ბაბუას გადაეხვია, როდესაც შოკოლადს და კამფეტებს მოკრა თვალი. ნატაშამ სამზარეულოს მოწყობილობა გამოიტანა. დანა დანაზე ალესა და... ინვოდა ზეთში გაყინული თევზი, იხარშებოდა მარჩუნალი გაყინული ბატი და იჭრებოდა მსუსქარი ძეხვები ფართოდ და თხლად. პატარა ქვაბში თევზები ვერ მოთავსებულყვენენ, მოლუნულიყვენენ და პირი საოცრად დაეღრიჯათ. ხაშები უყურებდნენ მათ გაჭირვებას და უხაროდათ, რომ ისინი უკვე დამზადებულნი იყვნენ. ხალადეცი მათლაფაზე გაბატონებულიყო და მდუმარედ ელოდა დანას. სილოტკა მლამე სასიათზე იყო და მთლად გაუფუჭდა გუნება, როდესაც ქმარი დაასხეს. ოთახში სითბო და საამო ოხშივარი იდგა. უცერად კარადაში თავგმა გაიფხაჭუნა. — იყნოსა! — გაიფიქრა პროზორმა. ნატაშა სახეგაბადრული ამზადებდა სადილს. პროზორი ფიქრებში იყო წასული. პროზორი ფიქრობდა: — რა საამო შესახედავია დაკლული ფრინველი, რა წარმტაცია მისი ოხშივარი. ოხშივარი გათრობს და მადას გიღვიძებს, მაგრამ ხაშის სურნელს

ვერაფერი შეედრება მაინც. მტკიცე სურნელის სურნელს ჯობია. როდესაც ხაშის იყნოსავ, მყის არაყი მოგინდება. დაილოცა ხაშა და არაყი. სილოდკაც დაილოცა. ამ დროს ნატაშამ ქვაბს სახურავი ახადა. პროზორს ბატის ოხშივარი ეცა ცხვირში და დაუმატა: — ბატიც დაილოცა. მერე დაფიქრდა, თითქოს შეეცოდა სხვა საჭმელები და თქვა: — თქვენც დაილოცეთ, მსუნაგებო, თქვენც. ყველამ გაიხარეთ და გაგახარეთ! — როდესაც პროზორი საჭმლით კმაყოფილი იყო, საჭმელს „მსუნაგს“ ეძახდა. პროზორი იჯდა და ფიქრობდა გაბრუებული, ბედნიერი. ნატაშამ დაამთავრა საქმიანობა და მაგიდის გაშლას შეუდგა. პროზორმა პაპიროსი დააგლისა საფერფლებზე და ნატაშას უთხრა; — ეხლა კი დროა დავიწყოთ სადილობა. მერე გაახსენდა რომ უკვე ვახშობის დრო იყო და გაიფიქრა: — განა უკეთესი არ იქნება საუზმეზე, სადილზე და ვახშამზეც სადილი ჭამოს კაცმა, თანაც ამ სადილზე საუზმე და ვახშამიც დააყოლოს? კარგი იქნება, უთუოდ კარგი იქნება. პროზორმა გადახედა სავესუფრას, რომელზედაც შემწვარი და მოხარული ბატი, შემწვარი და მოხარული თევზი, სილიოდკა, ძეხვი, ხაშა და ხალადეცი იდო და გაიფიქრა: კარგია დოვლათი, საჭიროა ოჯახი დოვლათით იყოს სავსე — მაგიდა უკვე გაშლილი იყო და ბაბუა და შვილიშვილი გარს მოუსხდნენ მაგიდას და ჭამას შეუდგნენ დინჯად. არ ჩქარობდნენ. ანდა რა ქონდათ საჩქარო? საჭმელი ბლომად იყო და ძილის დრომდე ჯერ კიდევ მთელი 2 საათი იყო დარჩენილი. არაყი — ბრძანა პროზორმა და მოვიდა არაყი. პროზორმა ამოჰკრა ხელი ქვევიდან ბოთლს და საცობი შექანდა, კიდევ ამოჰკრა პროზორმა და საცობი მაგიდაზე გაგორდა. ჭიქა ბრძანა პროზორმა და მოვიდა ჭიქა. პროზორმა მოხდენილად აავსო ჭიქა, დაილოცა, ეს ერთი და სხვა ათასიო და გადააჰკრა. პროზორი ეხლა თვალეში იყო მხოლოდ. თვალეშია წინ წამოიწია, ბუდეებიდან გადმოცვენას აპირებდა თითქოს, თითქოს არაყი ანებოდა თვალებს, თვალის უპეებში სისველე ჩადგა, თითქოს არაყმა გამოყოხა თვალეში. ჰუუუ, ამოუშვა პროზორმა და თავი გააქანა-გამოაქანა, მერე დამშვიდდა და უღვაშებზე გადაისვა ხელი. ასე იცოდა პროზორმა, როდესაც არაყზე გაიმარჯვებდა. სასწრაფოდ დააყოლა ერთი ლუკმა ხაშა და განაგრძო სადილობა. ნატაშა უყურებდა პროზორისა და არყის სასტუიკ ბრძოლას და ელიმებოდა. იყო ჭამა მგლური და ღორული. ბატი იგლიჯებოდა, ძვლები იმსხვრეოდა. სახიდან ქრებოდა შიმშილის ნაკვთები. ჯერ კიდევ შუა ჭამაში იყვნენ, რომ ნატაშამ ინატრა: — ნეტა დიდი თანხა მოგვეგო ბაბუა, თუნდაც 1000 მანეთი, ამ ფულით შენ ახალ

„ვალინკებს“ და „პოლუშუპკას“ იყიდდი და მე კი საზაფხულო კაბას შევიკერავდი.—კარგი იქნებოდა, შვილო, კარგი, მაგრამ კაცს რასაც ბედი მისცემს, მას უნდა დასჯერდეს და მეტი არ უნდა ინატროს, თორემ ღმერთი გაჯავრდება და დასჯის გაუმაძღარს. შენ ხომ კარგად გახსოვს ზღაპარი „ოქროს თევზი და მებადური“, ხომ გახსოვს, როგორ დასაჯა ოქროს თევზმა უმადური და გაუმაძღარი დედაბერი? მე მთელი თვეების განმავლობაში ვევედრებოდი ობლიგაციების ღმერთს, რომ ჩემთვის მოეცა მოგება და მე მოვიგე. მე მადლობელი ვარ მისი და მეტს არ მოვიბოხო მისგან, თუ რაიმეს გამოიმეტებს, ეს თვითონ მან იცის, მისი უზენაესი ნებაა. ნატაშა გაოცებული უსმენდა პროხოროს ამ სიტყვებს. მან არაფერი იცოდა პროხოროს ეკლესიაში სიარულის შესახებ. პროხორი ამ ამბავს ნატაშას უმალავდა, რადგან ნატაშა კომკავშირელი იყო და ღმერთი არ სწამდა. ეხლა კი გაუმხილა პროხორომ ვეველაფერი, მოუყვა ობლიგაციების ღმერთის აღთქმა, გამოცხადება და აღთქმის აღსრულება. პროხოროს სჯეროდა, რომ რადგან ილოცა, მოიგო კიდევ; ნატაშა შეეკითხა:

— კი მაგრამ, ჩვენ რომ გვეუბნებიან ღმერთი არ არსებობსო?

პროხოროს აქ ირონიულად გაეღიმა და ავტორიტეტულად განაცხადა: — ღმერთი ჭეშმარიტად არსებობს. იგი ნეტარი და მარადიულია.

— მე რომ ეკლესიაში ვიარო და ვილოცო, ღმერთი თუ შეისმენს ჩემს ლოცვას, ბაბუა პროხორო? — შეეკითხა პროხოროს ნაამბობისაგან გაოცებული ნატაშა.

— რასაკვირველია, შვილო, მხოლოდ საჭიროა გნამდეს, და გიყვარდეს მთელი გულით და იგი შეისმენს შენს მხურვალე თხოვნას.

— მაშ, მეც ვივლი ეკლესიაში და შევევედრები ღმერთს, მომცეს... აქ ნატაშა შეჩერდა, განითლდა, პროხორი მიხვდა რის, თქმა უნდოდა ნატაშას. გაუღიმა, თითი დაუქნია და უთხრა: — რა მოგცეს შე ეშმაკო, შენა, რატომ არ იტყვი, რატომ განითლდი, ქმარი გინდა თხოვო, არა?! ნუ გეშინია, შვილო, იცოდე, როგორც ცოლებს, ისე ქმრებსაც ღმერთი არიგებს. ნეტარსხენებული მარია ფეოდოროვნაც მისი ნებით მოველინა ჩემს სახლს. მოველინა და გაფრინდა სანყალი უდროოდ. კურთხეულ იყოს მისი ხსოვნა. აქ პროხორომა ჭიქა არყით აავსო, პურზე დაანვეთა და გადაჰკრა სულმოუთქმელად. გადაჰკრა და თვალებიდან ცრემლები წასცვივდა. რა იყო ამის მიზეზი, არაყი, გარდაცვლილი შუაღლის გახსენება თუ ორივე ერთად, არაგრან იცის, თვით პროხორომაც კი. სადილობა

დასასრულს უახლოვდებოდა. პროხორომა არ-

ყის ნარჩენით აავსო ჭიქა და გადაჰკრა. პროხორი ეხლა უკვე დათვრა. ნატაშა ნეტარად გაიშალა. სხეულის მთელი სახსრები სკამზე დაუშვა და წაიღიინა.

Мы, бравые, смелые ребята

Сбросили царя,

Мы новую жизнь построили,

Короче говоря!

მერე ლილინი შეწყვიტა. ჩაფიქრდა, 10 წუთის დუმილის შემდეგ ისევ ახმაურდა მისი შთაგონება. მას თვალწინ დაუდგა ობლიგაციების ღმერთი მთელი თავისი დიდებულებით, მთელი თავისი სამოსელით და ღიმილით. პროხორი უყურებდა ამ ღიმილს და იგი დაცინვად ეჩვენებოდა. — ნუთუ ირონიაა მის ტურჩებზე? — ფიქრობდა პროხორი. — არა, ეს ის ღიმილია, უფროსი რომ იღიპის საყვარელი ბავშვის დანახვის დროს. ამ ღიმილში ყველაფერი არის, თვით ირონიაც კი..

ბოლოს პროხორომა ტანთ გაიხადა, დაწვა და, რასაკვირველია, დაეძინა. ნატაშამ მაგიდა ააღგა, ისიც დაწვა და დაეძინა.

გათენდა. პროხორი დინჯად წამოდგა ლოგინიდან. ტანზე ჩაიცვა. ეზოში გავიდა და პირი დაიბანა. შემდეგ თერმოსს საცემი მოხადა და ჩაი შეამზადა. საგანგებოდ დაშაქრა დღეს ჩაი. ძეხვი, ხამსა და სილიოდეკა გამოიტანა. კარგა მადიანად დანაყრდა. ნატაშა უკვე სკოლაში წასულიყო. პროხორი გამოვიდა სახლიდან და ქუჩას გაჰყვა. დღეს იგი მეორე ცვლაში მუშაობდა. მიდიოდა შემწახველ საღაროში, რომ მოგება გაენადლებინა. პროხორომა ტრამვაიაში ჩაჯდომა არ ისურვა. ამინდი მშვენიერი იყო. გაზაფხულის მზე ანათებდა ქალაქს. ადამიანები მიდიოდნენ ჩუმადა. პროხორი დინჯად მიჰყვებოდა ქუჩას. პროხორი აბოლებდა „ბელომორს“, „ბელომორის“ ბოლი არ ჩანდა. პროხორი არ ფიქრობდა, რომ პაპიროსი მავნებელია. პროხოროს ჩაუქრა „ბელომორი“. მოუკიდა ასანთით. ასანთის ალი არ ჩანდა. ხეებზე კვირტები დამსხდარიყვნენ. ჩიტები ჟიჟიყვებდნენ. პროხოროს გაუკვირდა. გაიფიქრა: გაზაფხულია...

ქუჩაში ავტომანქანები დასრიალებდნენ. პროხორომა გაიფიქრა „რამდენი ტაქსია“. მალე ტაქსები შეცვლიან ტრამვაის და ტროლეიბუსს, ნინ მიდის ცხოვრება. პროხორომა გახვდა ნარიყალას. ნარიყალა ნისლებს დაებურა. თითქოს ციხე აეფეთქებინათ და ყუშბარის ბოლით დაბურულიყო ჩამონგრეული ციხე. ციხეზე მტრედებმა გადაიფრინეს და დაიკარგნენ ნისლებში; პროხოროს ბავშვივით გაუხარდა მათი დანახვა.

პროხორი მიდიოდა და ფიქრობდა: — საჭიროა მივიდე ეკლესიაში და ღმერთს სათელი დაუვითო მადლობის ნიშნად, თორემ ღმერთი განწყობა, განრისხდება და შემიტყობს არაფერს მომავლებინებს. როდესაც

პროზორმა სიტყვა „განრიხდება“ გაიფიქრა, ღმერთმა მის ფიქრებში ქარხნის დირექტორის სახე მიიღო. პროზორი შეიჭმუნა და განდევნა საზოხლარი სახე. მან ღმერთს ისევ სასურველი სახე მისცა და გაუღიმა. აი, პროზორმა ერთ შენობაზე შენიშნა იგივე რეკლამა. ახლა მან თავის სიცოცხლეში პირველად ეს რეკლამა ხმამაღლა წაიკითხა. შეხედა მხატვრობას და სთქვა: ჭეშმარიტად ხელოვნების დიდებული ნიმუშია. გამვლელებმა, რომლებმაც ყური მოკრეს პროზორის საუბარს საკუთარ თავთან, შეხედეს და ერთმანეთს რაღაცა გადაუჭრჩულეს.

პროზორი შედგა შემნახველ სალაროსთან. სალაროში ხალხი ბლომად იყო. პროზორი რიგის ბოლოში ჩადგა. იდგა პროზორი და ელოდა თავის ჯერს. ცოტა არ იყოს ნერვიულობდა, წრიალებდა. უნდოდა ჯერი მალე დამდგარიყო. აქ არ იყო არცერთი ადამიანი, რომელიც არ ნერვიულობდა. ყველას უნდოდა, რომ მალე დამდგარიყო სასიხარულო ნამი; თუმცა იცოდნენ, ეს ნამი უსათუოდ დადგებოდა და თანაც აუცილებლად მალე. მათი თვალსაჩინო ნერვიულობა თანდათან ქრებოდა, რაც უფრო უახლოვდებოდნენ მოლარეს. მაგრამ აქ ნერვიულობას გაოგნება და გამაძაფრება სცვლიდა. ეს გაოგნება და გამაძაფრება თავშეკავებული იყო. ეს თავშეკავება მათ სახეს სასტიკ გამომეტყველებას აძლევდა. ისინი იღებდნენ ფულს და მათი სახიდან სისასტიკე თანდათან ქრებოდა. პროზორი იდგა რიგში. ელოდა და უსაზღვრო იყო მისი ლოდინი; კედელზე გაკრული რეკლამები რამდენჯერმე გადაიკითხა. მათ შორის ის გენიალური რეკლამაც. პროზორი ფიქრობდა: — მაინც რამდენი რეკლამა ყოფილა ამ ქვეყანაზე და მაინც ყველა მათგანი უკიდურესად საჭიროა. იგი უფრო ამშვიდებს და ამაღლებს ადამიანის სულს, ვიდრე ზოგიერთი ვითომ ბრძნული ნიგნი.

პროზორი ნელნელა უახლოვდებოდა მოლარეს. 6-5-4-3-2 და ბოლოს ერთი კაცი დარჩა პროზორის წინ. აი, ისიც გათავისუფლდა და პროზორმა 50 მანეთიანი ობლიგაცია მიანოდა მოლარეს და უთხრა: — მომეცით 100 მანეთი. მოლარემ ცხრილს ჩახედა. იგი ცოტა ხანს ჩაპყურებდა ცხრილს. მერე პროზორს ახედა ეჭვით. პროზორი შეკრთა ამ შემოხედვაზე. გაფითრდა და დაიბნა. ამან მოლარის ეჭვი კიდევ უფრო გააძლიერა. მან ისევ ჩახედა ცხრილს, მერე ასწია თავი, მანიკურებიანი თითები პროზორისაკენ გაიშვირა და ნერვიულად დაიყვირა: — გაათრიეთ აქედან ეს თაღლითი! ამ ძახილმა ხალხი გამოაფხიზლა და ყველამ ხედვა პროზორისაკენ მიმართა. ხალხი გარს შემოეხვია პროზორს და ეკითხებოდა მოლარეს, თუ რა მოხდა. საიდანღაც მილიციონერიც გაჩნდა.

— ამ ობლიგაციას არაფერი მოუტყვის ვაჭბატონი კი ფულს თხოულრს. თაღლითი აფერისტი — განმარტა გაკაპასებულმა მოლარემ. პროზორი გაოცებისაგან და შიშისაგან ხმას ვერ იღებდა. ბოლოს წაილულულა: — ჩემს გაზეთში იგებდა, ამხანაგებო. ამ სიტყვებზე ხალხს სიცილი შესცადა და ვილაცამ წამოიძახა: — ამ კაცს ნუ ეხუმრებით, მას საკუთარი გაზეთი ჰქონია. ამ სიტყვებმა სიცილი კიდევ უფრო გაამძაფრა. ბოლოს ხალხი გამოექომაგა პროზორს, როგორც მოხუცს და როგორც იმ ადამიანს, რომლის სისულელემ ბევრი აცინა; — გაუშვიტ, მოხუცია, ვერ ხედავთ, სათვალეებით დადის, ესეც არ იყოს და, იქნებ უბრალოდ შეცდა კაცი.

პროზორი გაოგნებული გამოვიდა შემნახველ სალაროდან და სახლისაკენ გასწია. ხელები „პოლუსუბების“ ჯიბეში ჩაწყდა, ბეჭებში მოხრილიყო, თითქოს ხელი უბიძგეს და ეს ესაა წაიქცევო. თვალები გაშტერებოდა, სახე შეშინებოდა. იგი არაფერს არ ფიქრობდა, მიდიოდა და სუნთქავდა მხოლოდ. ის ვალი მაინც არ ამელო, ვაი, შენს თავს, უბედურო პროზორ, — გაიფიქრა პროზორმა.

მიდიოდა გაოგნებული და ქუჩაში ველარავის ამჩნევდა. რამდენიმე ადამიანს დაეჯახა. ბოლოშიც არ მოუხდია, არც უგრძენია. — გიჟია ეს ოხერი! — წამოიძახა ვილაც მსუქანმა, სანოვავით დატვირთულმა შუახნის ქალმა. — რას დაეხეტებიან მაინც ეს ნაძირალები ყველგან, სამშობლო არა აქვთ თურა, — გაიზიარა ქალის წყენა შუახნის კაცმა. — რა ვიცი, ჭირი მაგათ თავს. — უპასუხა ქალმა. შუახნის კაცმა შნოიანად შემართა ტანი, მიუახლოვდა ქალს და სთხოვა: — თქვენ, ქალბატონო! თუ შეიძლება სანოვავის წამოღებაში მოგეხმარებით... და ეს ორი უცნობი მოქალაქე საუბრით გაყვა ქუჩას. პროზორს, რასაკვირველია, მათი საუბარი არ გაუგონია და გზა განაგრძო ისევ. პროზორი არაფერს არ ფიქრობდა, იგი მიდიოდა გაოგნებული და სუნთქავდა მხოლოდ.

ჰოი, უვიცო ადამიანებო! როგორ არა აქვს პროზორს სამშობლო. მისი სამშობლო ვრცელია და უნაპირო. მისი ხალხი ძლიერია და ურიცხვი. მაგრამ, ეს არის, რომ პროზორი ეხლა მარტოა; უსამშობლოო, უდედამამო, უნათესავო, უმეგობრო. იგი მარტოსულია, იგი უბედურია უკიდურესად. სამშობლო? ჰმ, მისი სამშობლოა ყველგან, სადაც კი რუსული ჩექმა დადგმულა. იქ, სადაც რუსული ჩექმა დადგმულა, რუსს უპოვია სამშობლო და სხვას დაუკარგავს იგი. ჰოი, უვიცო ადამიანებო, როგორ არა აქვს პროზორს სამშობლო. მაგრამ ესაა, რომ იგი ეხლა მარტოა, უსამშობლოო, უდედამამო, უნათესავო, უმეგობრო. იგი მარტოსულია, იგი უბედურია უკიდურესად. მიდის პროზორი გაოგნებული. იგი არა-

ფერზე არ ფიქრობს. იგი სუნთქავს მხოლოდ. პროზორმა უცებ ყურებში რაღაც წივილი იგრძნო, თვალთ დაუბნელდა, ტვინში რაღაცამ შეუღლიტინა, სხეულში რაღაც სითბო ჩაეღვარა. მის პიროვნებაში რაღაც გარდატეხა ხდებოდა, რაღაც გარდახალისება. თანდათან ყურებში წივილი წყდებოდა, თვალები ეხილებოდა, ტვინში ღიტიანი ქრებოდა. ბოლოს შეწყდა, აეხილა და გაქრა. სხეული დალაგდა, ჩადგა კალაპოტში, თითქოს გარდატეხა, გარდახალისება დამთავრდა და თითქოს პროზორი ხელახლა დაიბადა. ეს რა მოგივიდა პროზორ? ეს რა ამბავია შენს თავზე, უბედურო პროზორ? მაგრამ პროზორი ესლა თავს კარგად გრძნობს. თითქოს მძიმე ტვინით მოეხსნა. წელში გასწორდა. სახიდან შიში გაქრა, თვალები ამოძრავდნენ. გაოგნება გაბრუნება შეცვალა და პროზორის სახეზეც მხიარული ღიმილი აღიბეჭდა. იგი უკვე სახლს უახლოვდებოდა. ბოლოს შევიდა სახლშიც. ნატაშა სადილს შეექცეოდა მადიანად პროზორმა სადილი არ იწება. ნავთქურიდან ქვაბი ჩამოდგა და ანთებულ ნავთქურაზე დაჯდა: ნატაშა მაგიდიდან წამოვარდა და პროზორის აყენება მოინდომა. გაუჭირდა. პროზორი დღეს გაცილებით ღონიერი აღმოჩნდა. ბოლოს ნატაშამ ნავთქურა გამოაცალა პროზორს და პროზორმა იატაკზე მოადინა ზღართან. — გაიღეშე, შე ბებერო ლოთო, თანაც სამუშაოზე არ წახვედი, — მიახალა ნატაშამ უკმეხად. თან გაიფიქრა: — ასე უგონოდ მთვრალი ჯერ არ მინახავს, მოხუცდა საცოდავი და ერევა არაყი.

პროზორი წამოდგა იატაკიდან. ერთადერთი შარვალი შეტრუსული იყო. პროზორმა ტანზე გაიხადა და დაწვა. უმალ ჩაიძინა დალილს, ნატაშაც დაწვა და დაიძინა.

მეორე დღეს პროზორს სამსახურში დაავიანდა. იგი დირექტორმა დაიბარა და დატუქსა. პროზორი იდგა, დუმდა და ილიმებოდა. დირექტორმა დუმილი დანაშაულის აღიარებად მიიჩნია და ღიმილი პატიების თხოვნად. აპატია მოწინავე მუშას ეს დანაშაული და დაზგასთან დააბრუნა. პროზორი იდგა დაზგასთან და არ მუშაობდა. იგი იდგა და ილიმებოდა. საქმეში გართულმა მუშებმა ვერც კი შეამჩნიეს პროზორის უმოკმედობა. უცებ დირექტორმა ჩამოიარა მუშაობის შესამოწმებლად. როდესაც დირექტორმა გაჩერებული დაზგა დაინახა, მივარდა პროზორს. გუშინ სამუშაოზე არ გამოცხადდი, დღეს კი დაავიანე, თანაც არ მუშაობ! — ყვიროდა დირექტორი. პროზორი იდგა და ილიმებოდა. დირექტორი მთლად გააცეცხლა პროზორის ღიმილმა. ადრე თუ ეს ღიმილი პატიების თხოვნად მიიჩნია, ესლა, დაცინვად მოეჩვენება. მე შენ გიჩვენებ, სულელო, თუ როგორ უნდა დაცინვა. ხვალღიდან შენი ფეხი

ალარ იყოს აქ. — ცოფმორეული ყვიროდა დირექტორი. ყვირილის დრამაში ვაფიქსირებოდა. ილია ირხეოდა. ის ადგილი, სადაც კანონით წარბები უნდა პქონოდა, იკუნთებოდა და თრთოდა. პირიდან დორბლი იფრქვეოდა. ხოლო პროზორი იდგა და ილიმებოდა. გაგვიდა საცოდავი წამოიძახა შემდულელებმა გურქამ. სხვებსაც დაუჯდა ეს აზრი ჭკუაში. — ნუთუ? ფიქრობდნენ ისინი. გაოცებითა და სიბრალულით შესცქეროდნენ უბედურ პროზორს. დირექტორი დამშვიდდა, შეეცოდა მოხუცი და შერცხვა კიდევ თავისი უკმეხობის. პროზორს მცდელი ხედვა მიაპყრო და მერე მზრუნველობით წარმოსთქვა: გააგზავნეთ საავადმყოფოში ეს უბედური! — სასწრაფოდ დახმარებას გამოუძახეს და პროზორი საავადმყოფოსკენ გააქანეს ვასილისა და რამდენიმე მუშის თანხლებით.


საავადმყოფოში პროზორს ექიმები ინტერესით შეხვდნენ. აკვირდებოდნენ და მომყვან მუშებს ეკითხებოდნენ მისი დაავადების მიზეზს. მუშებმა არაფერი საგულისხმო არ იცოდნენ, მაგრამ დანვრილებით მოყვნენ ობლიგაციების ამბავი. ცხადია ისინი არ მოყვნენ შემსალაროში მომხდარ შემთხვევას.

— თუ ჰყავს ვინმე ამ უბედურს? — შეეკითხნენ ექიმები მომყვანთ.

— ერთი შვილიშვილი.

— მოიყვანეთ! ბრძანეს ექიმებმა. ზეინკალი ვასილი სასწრაფოდ გაემართა პროზორის სახლისაკენ. ეზოში შევიდა. ოთახი იკითხა. არტაშამ უზრდელად მიასწავლა ოთახი და თან ეჭვით შეუბღვირა. ვასილმა კარებზე დააკაკუნა. ნატაშამ სიხარულით გამოალოკარი, მაგრამ არტაშას ნაცვლად უცნობი რომ დაინახა, სიხარული გაქრა. ვასილი შევიდა ოთახში. ოთახი შეათვალეირა ზერელედ, ნატაშა კი გულდაგულად და გაიფიქრა: — რა სავესე ქალი ჰყოლია უბედურ პროზორსო, და ამცნო...

საავადმყოფოში ნატაშამ პროზორი ინახუხულა. შეეცოდა უბედური ბაბუა, კინალამ იტირა. ექიმებმა ნატაშა დაამშვიდეს და გამოკითხეს პროზორის ისტორია. ისინი ავადმყოფობის მიზეზს დაეძებდნენ. ნატაშამაც ყველაფერი დანვრილებით მოუყვა, მაგრამ შემსალაროში მომხდარი შემთხვევა მანაც არ იცოდა. ექიმები იჯდნენ და ფიქრობდნენ, თუ რა უნდა ყოფილიყო პროზორის ავადმყოფობის მიზეზი. მისი ნაცნობების მონაყოლში მხოლოდ ობლიგაციების ამბავი იყო. — ალბად სიხარულმა გააგიჟა! — დაასკვნა ერთმა. — არა, არ შეიძლება, 100 მანეთის მოგება არ გააგიჟებდა სრულიად ჯანმრთელ ადამიანს, რომელიც ყოველ თვე 800 მანეთ ხელფასს იღებდა. — გაუბათილა მეორემ. პროზორის გაგიჟების მიზეზის დადგენა მით უფრო ძნელი იყო, რომ იგი დუმდა. ელიმე-



ბოდა და ექიმების შეკითხვებზე არაფერს არ
 პასუხობდა. პროზორი იჯდა, იღიმებოდა და
 ფიქრობდა. იგი ხედავდა მთელ თავის წარ-
 სულს და მომავალს ნანწყევტნანწყევტად, აბნე-
 ულად, ყოველგვარი ქრონოლოგიური თანმი-
 მდევრობის გარეშე. ფიქრებში პროზორი ჯერ
 კვდებოდა, მერე იბადებოდა. იბადებოდა ულ-
 ვაშებით, სთვალეებით, „პოლუშუბიკით“ და
 „ვალინკებით“, ხოლო ტანით პროზორი ახალ-
 დაბადებული ბავშვის ოდენა იყო. აი, მან
 დაინახა: — ხის საცობი შეირხა, ბავშვები
 დუმან, თევზი იწვის, მღვდელი კარაქს მი-
 ირთმევს მადიანად. აი, მის თვალწინ აღიმა-
 რთა ლიდას სახე აქ, პროზორს ღიმილი ჩა-
 მოსცილდა, მოიღრუბლა და ჩაილაპარაკა:
 — Дьяволого поколение!

— ავადმყოფმა დაილაპარაკა — აჩურჩუ-
 ლდნენ ექიმები. — შეიძლება ეს სიტყვები
 იყოს მისი ავადმყოფობის მიზეზის გასაღები.
 — კი მაგრამ რა სთქვა?

Дьяволого поколение, — ამცნო ერთმა
 სმენამახვილმა ექიმმა სხვებს.

— რას ნიშნავს ეს სიტყვები? — ფიქრობ-
 დნენ ექიმები. იგი ცხადია მიმართულია ასა-
 კით მასზე უმცროსი ადამიანისადმი.

— შეიძლება ასე მიმართავდა იგი თავის
 შვილიშვილ ნატაშას? გაშიფრა ერთმა.

— არა, არ შეიძლება, ნატაშა ხომ მისი
 შთამომავალია და მაშინ იგი „Дьяволн“-ი
 გამოდის, — ღიმილით გააბათილა მეორემ;

— მისი ეზო ალბათ სავსეა ბავშვებით,
 რომლებიც ყვირიან და მოსვენებას არ აძლევენ
 მოხუცს და ეს სიტყვებიც ალბათ მათ მიმართ
 არის ნათქვამი. — შეასწორა მესამემ.

— შეიძლება გაგიფიქროს მიზეზიც ეს იყოს!?

დაასკვნეს სხვებმა.
 — ჩვენს ეზოში ბავშვები ცოტანი არიან
 და ისინი არ ყვირიან. — გააბათილა მათი
 დასკვნა ნატაშამ.

ბოლოს ექიმებმა ნატაშა სახლში გაუშ-
 ვეს. პროზორი ცალკე ოთახში მოათავსეს,
 რათა უკეთ დაკვირვებოდნენ. ერთმა ექიმმა
 ქალმა გამოსთქვა აზრი, რომ შეიძლება მო-
 ხუცს მესამე სართულზე მოუწიოს გადაყვა-
 ნაო.

პროზორი იჯდა ცალკე ოთახში და ფიქ-
 რობდა: — ესეც შენი ახალი ბინა. არ გადა-
 მაყოლეს თან ამ ოთახს?! თუმცა უნდა ით-
 ქვას, რომ ურიგო ოთახი არაა. ძველთან შე-
 დარებით 10 კვ. მ. მეტი იქნება. მართალია,
 ესეც პირველ სართულზეა, როგორც ძველი
 ბინა, მაგრამ იმ ქალმა ხომ თქვა, ამ მო-
 ხუცს მგონი მესამე სართულზე მოუწევს
 გადაყვანაო? ეზოც რა მშვენიერი აქვს. ეზო-
 ში სკამები დაუდგამთ. ეზოში საოცრად მშვი-
 დი ბინადრები გადმოგმოდოდნენ. ხმას არ
 იღებდნენ ჩუმიად არიან მუდამ და სახეზე
 კეთილი ღიმილი დასთამაშებთ. ყველა მათ-

განს „პიჟამო“ აცვია. ამ შენობაში
 სულ მინისტრები ცხოვრობენ. ამ ფიქრებში იყო
 გართული, რომ უეცრად
 მესამე სართულიდან საშინელი ბრახუნი და
 ყვირილი მოესმა. ფუ, დაწყველოს ღმერთმა,
 რა ცუდი ბინადრები ყოფილან მესამე სარ-
 თულზე, არა, მე იქ არ ვიცხოვრებ. ამხანაგო
 კომენდატო, არ მინდა, არა, მომეშვით, დაი-
 ღლია პროზორმა. პროზორი დაიღალა და
 წამოწვა. ძილის წინ გაიფიქრა: რა ჩქარა
 ვიღლები ამ ბოლო დროს. რას იზამ, სიბე-
 რეა.

გათენდა. პროზორი წამოხტა ლოგინიდან და
 კარები გამოაღო. იგი სამსახურში მიიჩქა-
 როდა, — არ შეიძლება, შედი ოთახში! ამ
 სიტყვებით შეაჩერა იგი ექთანმა ქალმა. —
 — მე სამსახურში მაგვიანდება, გამიშვით!
 მიუგო პროზორმა. ექთანს გაეღიმა და ხერხს
 მიმართა: — თქვენ შევბუღება მოგცეს ორი
 თვითი უთხრა მან... პროზორი დამშვიდა და
 ოთახში შებრუნდა. იგი ფიქრობდა: — ახა-
 ლი ბინა და თანაც ორი თვით შევბუღება!
 კარგია კარგია! კარგია კარგია!!! პროზორ-
 მა უკანასკნელად ეს სიტყვა წამოიყვირა. მე-
 რე გაშტერდა და ჩაფიქრდა. დაიწყო ყნოს-
 ვა და საამოდ ღიმილი. იგი იყნოსებოდა და-
 ყინებით და გაღიმებული დაბორილობდა
 ოთახში.

პროზორის ყვირილზე ექთანი ქალი შე-
 მოვიდა ოთახში.

— რა არის კარგი, მოხუცო, — ჰკითხა მან.

— რა არის და ხამსაა კარგი, — მიუგო
 პროზორმა. ექთანმა დაინახა, რომ პროზორი
 დაფინებით ყნოსავდა რალაცას და ჰკითხა:

— რას ყნოსავ, მოხუცო?

— რას და ხამსას, — მიუგო პროზორმა.

კი, მაგრამ სად არის ხამსა? — შეეკი-
 თხა ქალი.

— სად არის და თავში მაქვს ხამსა, თავ-
 ში, იქ, პატარა არყის ბოთლიც არის და არ
 ეტევა შიგ, თავი მაღლა აქვს ამოყოფილი.
 ამ სიტყვებზე პროზორმა ხელი თავზე წაიფ-
 ლო, მაგრამ ვერაფერი ვერ მოიხელთა და
 თქვა: — ვაი, ჩამძვრალა თავში.

პროზორი ეხლა მარტო არ ცხოვრობდა. მის
 ოთახში ათამდე კაცი შემოასახლეს. უმეტე-
 სობა პროზორის თანამემამულეები იყვნენ.
 არა მარტო ამ ოთახში, ავადმყოფების უმე-
 ტეს ნაწილს ისინი შეადგენდნენ. პროზორს ეს
 ძალიან სიამოვნებდა. მათ შორის იგი თავს
 ისე გრძნობდა, როგორც სამშობლოში. ექი-
 მებმა კიდევ რამდენჯერმე დაჰკითხეს პრო-
 ზორი. პროზორი გააფთრებით მალავდა მათ-
 გან შემსალაროში მომხდარ ამბავს. მას ეგო-
 ნა, რომ თუ ამ ამბავს გაიგებდნენ, ეს ხალხი
 მილიციებს გამოუძახებდა და მილიციელი
 ეტყოდა: — მოქალაქე თქვენ დაპატიმრებუ-
 ლი ხართ! ექიმებმა დაასკვნეს, რომ იგი სი-

ხარულსაგან იყო გაგიჟებული. ალბათ არც ადრე იყო დიდი ჭკუის პატრონი და შემთხვევამ სულ დააკარგვინა ჭკუაო, — ფიქრობდნენ ექიმები. ექიმებმა მისი ავადმყოფობა მონათლეს და მოასვენეს სანყალი მოხუცი, პროზორი საავადმყოფოში ნელნელა გამოკეთდა. დაწყნარდა და დაშვიდდა. მაგრამ მუდამ სევდიანი იყო. იგი თითქოს მიხვდა, რომ შვებულებაში არ იყო და არც ახალ ბინაში არ ცხოვრობდა. მაგრამ პროზორი ამ მდგომარეობას შეურიგდა. იგი აქ ხელოვნებას მიეძალა საოცრად. მაგრამ მან ესლა ხელოვნების სხვა დარგში დაიწყო მოღვაწეობა. მან მხატვრობას მიჰყო ხელი და დაუსრულებლად ხატავდა ობლიგაციებს და რეკლამებს. პროზორმა მხატვრობაში დიდი ნიჭი გამოიჩინა და, როგორც ექიმები ამბობდნენ, ხატვის ასეთ ნიჭს თვით სულით ჯანმრთელი ადამიანებიც ვერ იჩენდნენ. ამ საქმიანობამ პროზორი დაამშვიდა და დააწყნარა. მაგრამ ერთხელ...

ეს მოხდა ასე. ერთი ახალდანიშნული ექიმში, რომელიც დაწინაურების მიზნით ძალიან აქტიურობდა, პროზორის ავადმყოფობის ისტორიას გაეცნო და წინადადება შეიტანა, პროზორზე ცდა ჩაეტარებინათ.

წინადადება მიღებულ იქნა. პროზორს მიუტანეს ნამდვილი ობლიგაციები, რომლებმაც მოიგეს, და გაზეთი. პროზორს უთხრეს, რომ ეს ობლიგაციები მას ქარხნიდან მოუტანეს და რომ გაესინჯა და ეგებ მოეგო რაიმე. პროზორმაც გულმოდგინედ გასინჯა ობლიგაციები და მოიგო. ახალგაზრდა ექიმი, რომელიც დარწმუნებული იყო თავის გაპარჯებაში, პროზორთან შევიდა, რათა მოელოცნა გამოჯანმრთელება და დამტკბარიყო თავისი პროფესიული გამარჯვების ნაყოფით. შევიდა თუ არა ექიმი პროზორთან, პროზორმა შეჰყვირა აღფრთოვანებულმა: — არის, ეს ერთი და სხვა ათასი. მერე გახარებულმა ხელი დაავლო ექიმს და როგორც პატარა ბავშვი, პაერში შესროლა, მაგრამ პროზორს შემდეგ მისი ხელში დაჭერისათვის აღარ უზრუნია და ექიმმა იატაკზე მოადინა ზღართანი. პროზორს უცერად რალაც გაახსენდა. წამით ჩაფიქრდა, გაშტერდა, თვალწინ გაუჩინა სურათებმა: — ლიქორები, კუპატები, შემენახველი სალარო, მილიციელი. პროზორმა მრისხანედ მიიხედ-მოიხედა და როდესაც იატაკზე გაშლართული ექიმი დაინახა, ეცა და ცემა დაუწყო. ექიმი აყვირდა: — მიშველეთ! პროზორმა როდესაც გული იჯერა მისი ცემით, მერე წამების სხვა მეთოდზე გადავიდა. მან ექიმს თითები ყანყრატოში დააჭირა და... ოთახში ექიმის ყვირილზე შემოკვივდნენ საავადმყოფოს თანამშრომლები. პროზორს ექიმი ხელიდან გამოგლიჯეს. სასწრაფოდ გადააცივეს პროზორს

„პერანგი“ და მესამე სართულზე გადაასახლეს. — ხომ ხედავთ რა შედეგია ჩინება, ეგდოს თავისთვის ეგ უბედური ეგა! — დასკვნა ერთმა ექიმმა. პროზორზე შემდეგ აღარავის არ უფიქრია, იგი „ეგდო თავისთვის“.

პროზორი იჯდა ფანჯარასთან და გადაჰყურებდა ქალაქს. საავადმყოფო მტკვრის ნაპირას იყო. მტკვარზე ხიდი იყო. ხიდზე ხალხი დადიოდა და ტრანსპორტი მოძრაობდა. პროზორიც გადაჰყურებდა მტკვარს, გახედავდა ხიდს და თვალს აყოლებდა ადამიანების სიარულს და ტრანსპორტის მოძრაობას. პროზორი აღვსილი იყო სევდით და სევდა გადაჰყენონდა მთელ ქალაქსა... მტკვარი მიედინებოდა ნელა და მდორედ, ხალხი მიდიოდა მობეზრებული ნაბიჯით, ტრანსპორტი მოძრაობდა იძულებით და მორჩილებით. მილიციელი ხელმძღვანელობდა ტრანსპორტის მოძრაობას. იგიც ტრანსპორტი იყო თითქოს, მაგრამ მოძრაობდა და არ იწვედა წინ. პროზორი იჯდა ფანჯარასთან და სევდით აღვსილი ფიქრობდა: — კარგია გარეთ, იქ, ქალაქში, სახლში, ქუჩაში, მოსახვევში, ჩიხში, პროსპექტზე, მოედანზე, სასაუზმეში, ქარხანაშიც არაუშავს. იქ ქუჩაში ტრამვაი დადის, კეთილი, თავშემალი ტრანსპორტი, შაურად მთელ ქვეყანას მოგატარებს. იქ, მოსახვევში „ბელომორს“ ყიდის ერთი თავზიანი მოქალაქე, იქ, ჩიხში ერთი მოხუცებული ქალი ცხოვრობს 5 №-ში. იგი წინათ ახალგაზრდა იყო. პროზორიც ახალგაზრდა იყო მაშინ. იქ, პროსპექტზე და მოედანზე ხალხია ბლომად. იმ ხალხში ზოგიერთს კეთილი გული აქვს. იქ, სასაუზმეში ძეხვია და არაყი სანუკვარი. იქ, ქარხანაში თვეში ორჯერ ხელფასს არიგებენ და წელიწადში ერთხელ ობლიგაციებს. ობლიგაციები კარგი გამოგონებაა, თუმცა ხანდახან განყენინებს ხოლმე. იქ, სახლში სითბოა და ნატაშა. მაგრამ ვინ არის ნატაშა? ააა, ის მეზობლის გოგონაა, კეთილი და მხიარული თუ? არა იგი ხომ ჩემი შვილია. არა, იგი შვილიშვილია ჩემი. ნამდვილად! კი მაგრამ რატომ არ მიშვებენ სახლში? თუ სახლში არ მიშვებენ, მაშინ ქარხანაში მაინც გამიშვან, რატომ არ მიშვებენ? რატომ? აეაა ხარო! რა მჭირს მე? თავს სრულადე ჯანსაღად ვგრძნობ. ჭაჭების ტკივილმაც კი გამიარა. რატომ არ მეუბნებიან რითა ვარ ავად. აქ, პროზორი განითლდა. მერე სინითლებ გაუარა, ფიქრები-საგან გამოერკვა. და მტკვარს გადახედა. მტკვარი მოედინებოდა ნელა და მდორედ. მას რალაც გაახსენდა და ისევ ფიქრებში ნავიდა. იგი ფიქრობდა: — აი, მტკვარი. აი, ის ადგილი. იქ, ოდესღაც პროზორი იჯდა და... რას შვებოდა იქ პროზორი? იქ, პროზორი იჯდა და... რას შვებოდა იქ პროზორი? იქ, პროზორი ყველს ჭამდა. არა, პრო-

ხორი იქ ყველს არ ჭამდა. ყველს იგი თევზებს აჭმევდა. თუ თევზებსაც აჭმევდა და თითონაც ჭამდა? ა? პროზორი იქ თევზაობდა და როდესაც დაიღალა თევზაობით, ყველი შეჭამა. ის ყველი ხომ აღარ არსებობს. მაგრამ ის ვინ არის ესლა, რომ დამჯდარა მტკვრის ნაპირზე და რაღაცას დაპყურებს გულმოდგინედ? ნუთუ ის პროზორია? ნუთუ პროზორი იქ არის და არა აქ? არა, პროზორი იქ არის, იქ, ნამდვილად იქ არის და არა აქ. — მიდი, დრო არის პროზორი! — ჩაილაპარაკა პროზორმა. — „პროზორმა“ ამოჰკრა ანკესი წყლიდან და ანკესზე იკლავნებოდა ნაფოტა, როგორც ჭიკაყელა. — ყოჩაღ, პროზორი — ფიქრობდა პროზორი. — შენ ჩემსავით არ მოგივა. შენ თევზებით დაბრუნდები სახლში. შენ ყველსაც შინ მიიტან. თუ, იქნებ შენ ყველით არც კი თევზაობ? იქნებ ჭიკაყელით? ჯობია ნამდვილად. როცა მოგშვივდება, ჭიკაყელას ვერ შეჭამ და ყველს კი მაძლარიც რომ იყო მაინც შეჭამ, მითუმეტეს თუ შევიცარულია. — ამ დროს „პროზორი“ ნამოდგა მტკვრის ნაპირიდან და ნავიდა. — საით პროზორი! — ნამოიძახა პროზორმა, და ხელები გაიშვირა „პროზორისაკენ“. ხელები ფანჯარას მიანყდა და პროზორი გამოერკვა. ხიდისაკენ გაიხედა, ხიდზე დადიოდა ხალხი და მოძრაობდა ტრანსპორტი. ხალხი მიდიოდა მობეზრებული ნაბიჯით. ტრანსპორტი მოძრაობდა იძულებით და მორჩილებით. მილიციელი ხელმძღვანელობდა ტრანსპორტის მოძრაობას. მილიციელიც ტრანსპორტი იყო თითქოს, მაგრამ იგი მოძრაობდა და არ იწვედა წინ. ხიდს სევდა გადაჰფენოდა ამქვეყნიური. პროზორი გაპყურებდა ხიდს და თვალს ადევნებდა ადამიანების სიარულს და ტრანსპორტის მოძრაობას. აი, პროზორი ხედავს ტროლეიბუსს, ტროლეიბუსს უკან პატარა ბიჭები ჩამოჰკიდებიან. ტროლეიბუსი ადის აღმართზე. უჭირს ასვლა, თითქოს პატარა ბიჭები ამძიმებენ. პროზორს ეცოდა ტროლეიბუსი. — ჩამოდი თირს, თქვე არამზადებო! — იძახის პროზორი. პროზორი ფიქრობს, შეიძლება იმ ტროლეიბუსში ნატაშა ზის და სახლში მიეჩქარება. მაგრამ ეს ვინ არის, აღმართზე ფეხით ადის? ნუთუ ნატაშაა? — ნატაშაა! იბღავლა პროზორმა, მაგრამ ამ დროს კეფაში საშინელი დარტყმა იგრძნო. მოიხედა უკან. ოთახის ახალი „მდგმური“ დაინახა. იგი კბილებს აღრჭიალებდა და აბრიალებდა თვალებს. პროზორმა შეუბღვირა მდგმურს და მუცელში ისეთი ნიხლი ჩასცხო, რომ იატაკზე გაგორებული „მდგმური“ ძლივს მოასულიერეს და გაათრიეს გარეთ. პროზორი გულმოსული იდგა და ქშინავდა ბრაზისაგან. მერე თანდათან დაწყნარდა, რაღაც გაახსენდა და ისევ ფანჯარას მიაშურა. ფანჯარაში ნატაშა აღარსად

ჩანდა. — ოხ! — ამოიხორა პროზორმა და ფანჯარას მოსცილდა.

ნატაშამ სკოლაში სიარულს თავი დაანება და რადგან მარჩენალი აღარავინ ჰყავდა, გადწყვიტა მუშაობა დაენყო. იგი მივიდა პროზორის ქარხანაში და სამუშაო ითხოვა. ქარხნის დირექციას შეეცოდა უბედური პროზორის შვილიშვილი და შუამდგომლობა აღუძრა ქარხნის დირექტორთან. ქარხნის დირექტორმა საფუძვლიანად დაათვალიერა ნატაშა, შემდეგ სიამოვნებით გაიღიმა და განაცხადა, რომ უსათუოდ დაეხმარებოდა ქარხნის მონინავე მუშის ობლად დარჩენილი შვილიშვილს. ნატაშა „ტაბელშიცად“ დანიშნა და დაავალა ხშირად შეეარა მის კაბინეტში, რადგან საქმე ასე მოითხოვდა. ნატაშამ დაიწყო მუშაობა და პროზორისათვის უკვე აღარც კი ეცალა და იშვიათად თუ გაახსენდებოდა უბედური ბაბუა. იგი აქ, ქარხანაში, დაუახლოვდა ზეინკალ ვასილს. ეს ის ზეინკალი იყო, პროზორმა რომ რიგი წაართვა. ვასილიც ობოლი იყო, რადგან მშობლები მეორე სამამულო ომში დაელუპვნენ ბომბარდირების დროს, ობლად დარჩენილი 13 წლის ვასილი მატარებელს დააჯდა და მატარებელიც დაიძრა. ვასილმა არ იცოდა სად ჩამოსულიყო, ანდა რატომ. ირგვლივ ველები იყო ცივი და უკაცრიელი. ვასილმა ისევ მატარებელში ყოფნა არჩია, რადგან იქ უფრო თბილად. ერთხელ ვასილი ვილაცის მუჯღუგუნმა გამოაღვიძა. გაიხედა ვასილმა და რას ხედავს; დიდი ქალაქი, ირგვლივ სანეტარო სითბო და ხალისი. — აქ ჩამოვალ, აქ შეიძლება იცხოვროს შიშველმა ბიჭმა. ვასია ჩამოხტა ვაგონიდან და ქალაქში გავიდა. ვასიამ შენიშნა, რომ ქვაფენილზე მანდარინი ეგდო, იქვე ეყარა ძეხვის ნამუსრევი. მან გაიფიქრა: ალბათ ეს ის ზღაპარ-ქვეყანაა, მშობლები რომ უყვებოდნენ. სადაც ყოველ ეზოში და ქუჩაზე მანდარინების ბღენბია გაშენებულია. სადაც მზე ზამთარშიც არ ჩადის. — ვასიამ სასწრაფოდ აიღო მანდარინი და ძეხვის ნამუსრევი და გაიფიქრა: — აქ ქუჩაში უფრო მეტი საქმელია, ვიდრე ჩვენთან მაღაზიებში. ვასილი ჩაჯდა ერთ მოხერხებულ ადგილას, გაიშვირა ხელი და ხელი ფულით აევსო. ვასია დიდხანს არ ყოფილა ქუჩაში. ერთ მშვენიერ დღეს ჩამოუარა მილიციამ მანქანით და იგი სადღაც მიიყვანეს. ეს იყო უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი. აქ ვასილი დაეუფლა ზეინკლის პროფესიას და მერე ზეინკლობდა გულმოდგინედ. ვასილი ცხოვრობდა მუშათა საერთო საცხოვრებელში. ვასილსა და ნატაშას ერთმანეთი „მუუყვარდათ“ და ისინი დაქორწინდნენ. ვასილმა მიატოვა მუშათა საერთო საცხოვრებელი და პროზორის ბინაში გადასახლდა. თავის მხრივ არც მონტიორი არტაშა დარჩენილა უცო-

ლოდ. მანაც შეირთო მეზობელი აღუნიკას ქალიშვილი ვართანუშა და განაგრძო ცხოვრება. მიუხედავად ნატაშას გათხოვებისა და არტაშას ცოლის შერთვისა, ისინი მაინც არ წყვეტდნენ მეგობრობას ერთმანეთში და როდესაც ვასილი შინ არ „ეგდო“, ნატაშას ოთახიდან მოისმოდა ნატაშას წკმუტუნის და არტაშას ლმუილი. იყო შემთხვევა, როდესაც ვასილი მოუსწრებდა ამ პროცესს, მაგრამ იგი მათ ხელს არ უშლიდა. ოდნავ წყინდა და ფიქრობდა: ასევე იქცევიან ჩემი მეგობრების ცოლებიც ჩემთან. — ვასილი არტაშას თავის

მეგობრად თვლიდა, უცნობად კი არ უნდა გამო. ვასილმაც შეიტანა ფართობის გადიდების შესახებ შესაბამის ორგანოებში, სადაც აღნიშნავდა, რომ მეორე სამამულო ომში დაჰკარგა მშობლები და ამ ომში იმ ქვეყანამ გაიმარჯვა, ვის მხარეზედაც მისი მშობლები იბრძოდნენ. მაგრამ ოთახის ფართობი არ იზრდებოდა და ვასილი კი მაინც არ კარგავდა იმედს და მუდამ სჯეროდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს გადავიდოდა ახალ ბინაში, დიდ და ნათელ ოთახებში.

თადო გაძიშვილი

• • •

არაფერია ქვეყნად
კრემლებზე უფრო მძიმე!
კრემლი ულტობდა სიმებს
აკაკისა თუ ვაჟას...
წუთისოფელი — მღვიმე,
არ უტოვებდათ იმედს,
მაინც ეტრფოდნენ იმ ერთს —
არ იშურებდნენ გარჯას.

ფრთხილად ეხება ხელი
კრემლით განბანილ ლარებს,
გადაჩვეულო აღერსს,
რისი წყურვილი გტანჯავს?
ჩემო სამშობლო მხარევ,

ხმა ამოიღე ბარემ,
როდის დასწვდება მახვილს
შენი მფეთქავი მაჯა?!

მოჩანს აჩრდილი შორით,
ისმის გუგუნი თერგის,
გაცოცხლებულა ნერგი
თავისუფლების ძირზე...
უფსკრულზე გასდებ ხიდებს,
წინ დიდი გზები გიღვეს...
მშვიდობით გეველოს!..
ფრთხილად,
ბოროტის თვალი გიმზერს!..

დედის დღე

ხვალე შენი დღე თენდება,
დედი, ხვალე შაბათია,
ვხვდები, უცებ მახსენდება,
ეს დღე შენთვის შარბათია.

გამოჰყურებ კარებს შიშით,
დაგებდა გზის გაცქერა.
ნეტავ შენი ბედის წიგნში
სულ ლოდინი ვინ ჩაწერა?

უძლებ, დრო-ჟამს ედავები,
რომ არ ჩაქრეს ჩემი კერა.
ორნივ ვწუხვართ. მწუხარებამ
ჯვარი ჩვენზე დაიწერა...

ჰოდა, შაბათ-კვირის გარდა
შენთვის სხვა რა მაბადია.
ეს დღე მეც კი შემიყვარდა,
დედი, ხვალე შაბათია!..

ადამიანმა მერამდენედ დაამტკიცა
რომ ღირსია ყველა სასჯელის.
რაც ამ ქვეყნად ცრემლი იღვრება,
რაც ბოროტების ზეიმია —
მისით არ ხდება?

ულმერთო საქმეს ჩაიდენს და
ღმერთსა სთხოვს შველას.
რადგანაც ღმერთი დიდია და
ყოვლის შემნდობი.

ადამიანმა მერამდენედ დაამტკიცა,
რომ არ არის ადამიანი.
რომ ის მგელია
კრავის ტყავში გამოხვეული.
რომ გულმოწყალე
ხდება მხოლოდ შეჭირვებისას
და ეხერხება
სინანულის ცრემლის ღვარღვარი,

რომ ეს მეთოდი
აქვს მშვენივრად „დამხეცებულ“...

ამ ღვთისგან შექმნილ,
თავისუფალ ამ სამყაროში
მოხსნილი აქვს ყველა რეკორდი
სისასტიკის, უღმობებლობის...
ჩამოვთვალო?
ალბათ არა ღირს!
ის კრონოსივით ლამობს შთანთქმას
მთელი სამყარო
და თავისთავიც...
უბედურიც ამიტომაც
და საცოდავიც...

აქ შევჩერდები,
თორემ გული ამიჩუყდება
და შევეცდები გავამართლო...
აქ შევჩერდები...

მობიბინე გამოხუნდა ველი.
სიხარულის დაიხურა წიგნი.
შემოდგომას ნუგეშით ველი.
გულს ტკივილი გამუღმებით წიწკნის.

წუთისოფლის გამოცანა მწარე
ვერ ამოვხსენ. კი ვეცადე მაგრამ
სიყვარულიც, ვატყობ, დამეჩაგრა,
თან გადაჰყვა აკივლებულ ქარებს...

თვალს ვადევნებ მარადიულ სრბოლას
და თან ღროის მღვრიე ტალღებს
მივდევ,

აქეთ ბევრი ჩამოივლის კიდეც,
ხეობებში ცივი ნისლი ბოლავს.

უკვე რთვილი ეპარება მინდვრებს,
ტყეებს ცრემლი ეყინება ჭირხლად...
არვინ მოსთქვამს, „დარჩი, საით
მიხვალ?“
მხარზე ძმურად ხელს არავინ მკიდებს.

ხომ ატარე უნდო წუთისოფლად
ეს სიცოცხლე შუშასავით მყიდევ...
ვარდის ნაცვლად თუმცა ჭინჭარი კრიფევ,
ფიქრობ, ალბათ, მაინც ღირდა ყოფნა...

სულ მარტოდმარტომ,
დარჩენილმა საკუთარ თავთან,
უნდა გალიო ცხოვრების დღენი,
მაგრამ ისე, რომ

ვერავინ შეძლოს
შენს მარტოობას შეასწროს თვალი.
არა იმიტომ,
თითქოს რაღაც ისეთს მალავდე,



რის გამოჩენაც გაგაწითლებს,
 არა. პირიქით...
 მარტოობის ეგ მონასტერი
 ისე წმინდაა,
 როგორც თოვლი ახალმოსული,
 რომელიც ყოველ უცხო ნაბიჯს
 გარკვევით იმჩნევს...

აქ მხოლოდ შენ ხარ
 მეუფე და სიმართლის მნათე,
 დამდგინებელი
 ღვთაებრივი იმ წესრიგისა,
 ურომლისოდაც

დაინგრეოდა ეს ცოდვილი სამყარო
 და ჩვენს წინაშე
 წამოიჭრა მარტოობა

ნეტავ რაზე დგას ეს ქვეყანა?
 ნულარ იკითხავ,
 მისი საყრდენი უთვალავთა
 მარტოობაა —

შეკონილი ერთ თაიგულად,
 უხილავის ღვთაებრივ ზელით...
 ერთადმყოფნი
 და ერთმანეთით გაბეზრებულნი
 მივისწრაფვით
 ჩვენს სასურველ მარტოობაში...

ილაპარაკეს, ილაპარაკეს

მართალი გამოდგა
 ძველისძველი შეგონება:
 ენას ძვალი არა აქვსო.
 ეტყობა. ყველა ჭეშმარიტება
 თავიდან უნდა აღმოაჩინო.

მართალი
 მხოლოდ დედამიწაა,
 რომელზეც ფეხით დადგვიარს
 და არა ის შორეული ვარსკვლავი,
 რომლის ციმციმიც
 ძლივს აღწევს ჩვენამდე...
 მართალი აღმოჩნდა
 ძველისძველი შეგონება —
 უძველო ენით იმდენი წელი
 ილაპარაკეს, ილაპარაკეს
 ილაპარაკეს...

და რომ გვეგონა, დაიღალნენო,
 სწორედ მაშინ უფრო გაცხარდნენ...
 რაკი ყველანი ჩუმად ვიყავით.
 რაკი ჩვენი უმთავრესი მოვალეობა
 მხოლოდ ის იყო, რომ გვესმინა —
 ილაპარაკეს, ილაპარაკეს,
 ილაპარაკეს...
 და დაამტკიცეს
 ძველისძველი ჭეშმარიტება,
 რომ ენას ძვალი არა აქვს-

მთავარი კი ალბათ ისაა,
 რომ ყველა დროში,
 ყველა თაობას
 ისევ თავიდან
 დასჭირდება ამ გზის გამოვლა
 და დამტკიცება
 რომ მთავარი საქმე კი არა —
 ამ საქმეზე ლაპარაკია...

ოდა ჩაის

ტრადიციის საპირისპიროდ
 მინდა მივუძღვნა ოდა ჩაის.
 რითმაც კი მოვუძებნე: ჩაი — კაი,
 მე მგონი არაა ურიგო.

ღვინო გაციებულ გულს
 სიყვარულისთვის ახელებს.
 ჩაი — პირიქით, ჩაი მშვიდია...

უნდა სვა ჩაი.
 უნდა ჩაი ბეჭდო გონებაში
 რომ ჩაილურის წყალი დალია
 ბედნიერებამ,
 რომ ჩაიდაღმართა წლებმა,
 რომ დროა ჩაიქნით ხელი
 და ჩაიტანო საფლავში
 ჩამოღამებულნი ზრახვები.

ო, სიყვარულო
უნუგეშოდ უარყოფილო!
ბრალი ჩვენ თორემ,
მზეს როდესაც ვარს მივუხურავთ.

მაინც იქვეა კარის ზღურბლზე,
მაინც ერთგულად
ელამუნება ჩვენი სახლის
მიხურულ კარებს...

ბინა — დილეგი

დაბალი ჭერი —
თავი მაღლა რომ ვერ აიღო,
რომ მუდამ მხრებზე
გაწვებოდეს სახლი ლოდევით,
იყოს გასრესა მარტოდენ —
სივრცე არ იყოს,
იყოს დილეგი
საიმედოდ შემოღობილი!

არ მოუსჯიათ,
საკუთარი ნებით შეხველი,
ნებით კი არა,
შემოგიშვეს შენივ მუდარით

აქ, სადაც კედლებს
განწირული ისე ეხლები,
რომ გენატრება
სამუდამო ნავთსაყუდარი...

თითქოს სამარეს ეჩვეოდე,
თითქოს ედემი
გადაგიტიხრეს
გამქვირვალე ფანჯრის მინებით,
რომელთა მიღმაც
კაციშვილი არ იხედება —
შეფარებულან
ნიჟარებში ლოკოკინები...

ღამის მგალოგელი

მღერის რაღაც ფრინველი,
მღერის შუალამისას,
თუმც არვინ აყურადებს
იმის გვიან გალობას,
ისე მშობლიურია,
ღამის გულში ჩამისვას,
ვხვდები, ეს სასწაული
უფალმა მიწყალობა...

ჩიტო, შენ რად არ გძინავს,
ალბათ შენ პოეტი ხარ,
დანარჩენი ჩიტები
ბუმბულში შეყუყულებან.
შენ ფრინველი არა ხარ,
რაღაც უფრო მეტი ხარ,
შენ მღერიხარ, რომ ღამე
არ გადიქცეს ურჩხულად.

სტვენ და ჰანგებს უნაზეს-
სხივებივით მიგზავნი,
რომ ვეება ღამესთან
არ დამტოვო ეულად,
თითქოს უკუნს მიაპობს
ორადორი ბიზანი,
ჩვენი გულის ცემა
ცად რომ მიმობნეულა.

გატრუნულა მიდამო,
გატრუნულა ტყე-ველი,
გალობ, თითქოს მპირდები
სამოთხეში შეყვანას...
ჩიტო არ დაიძინო,
შენ ხარ ღამის მთეველი,
ახლა შენს იმედზეა
ეს მძინარე ქვეყანა.

ღერი აღიგონაჲი

თოვლი მოვიდა, თოვს, სინათლეა,
ტალლის ზმაური აწყდება მინებს.
კრთის ქარში სადღაც შორს კრიზანტემა
და სინანული თვალებს გარიდებს.

შენ მწუხარება გქონდა უღევი,
მაინც სიზარულს დაჰყავდი ქარში.
არ წყდება ტანჯვა გულდაუმცხრალი,
თოვს. თოვლი ძერწავს სიცოცხლის
მანძილს.

ზარ მეზღვაური გამორიყული
და მარტო უსმენ ტალღების მსხვერვეს.
ქარდალეწილი დგას ცხრაკლიტული,
მის მეცხრე კართან თოლია კვდება.

და აჰა, ისევ მოვიდა თოვლი
და სინანული მინებს ადნება.
ღუმელი იპყრობს ზღვას, როგორც
მოგვი.
ქარში კი სადღაც კრთის კრიზანტემა.

ს ი ზ მ ა რ ი

წუხელი გნახე: ხელში გეპყრა წმინდა
სამება,
მყინვარწვერიდან გადმოღვარულ
ნათელს იფრქვევდი.
ლანდად იდექი საქართველოს ღია
კარებთან,
ცრემლს იმშრალეზდი, მიღიმოდი და
ხელს მიქნევდი:

„ამ ერთ გაზაფხულს მეც
მოგსწრებოდი,
ერთხელ მეც მეგრძნო თერგის ღრიალი.
ზოლო თუ მერე მეც მოვკვდებოდი,
ხომ დარჩებოდა ეს დარიალი.“

მეც დავდგებოდი ამ ძველ ბუეებთან,
წავრეკდი ღრუბელს და დავარბევდი.
თუ ვერ შევძლებდი შებმას დევებთან,
ყაყაჩოს მაინც გადავარჩენდი“.

შენ მშორდებოდი, სინანულის
წყდებოდა ფიცი,
სად მიდიოდი არ ვიცოდი,
ვიცრემლებოდი.

მიწა ქრებოდა, ყრუ კიზინი ისმოდა
კვიცის,
ცად მიგაფრენდა დარიალის ცისფერი
ლოდი,

ქველი ფუნდუკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრო დაიღალა, დრო ჩუმად ფეთქავს,
ნაწიბურები მოუჩანს უფსკრულს.
მოწვეთავს სისხლი. სატანა ცეკვავს
და აზმოვანებს სასახლის ჩურჩულს

კარიდან კარზე დაძრწის ჩურჩული
და გაოცება დასჯილ თვალების.
დგას სადღაც ველზე ქველი ფუნდუკი,
ნაშთი ჟამთაცვლის და გრიგალების.

მას ესიზმრება რაინდთა თრობა,
ბილწი ხითხითი მესაჭურჭლეა.
ნაშუალამევს — ფარული ოხვრა,
ნელი ბარბაცი ცხენთა თუ ეტლთა.

მას ესიზმრება მზეების ქროლვა,
გამთენიისას — აფრის ფრიალი.
წმინდა სენაკში ბერების ლოცვა,
გამოღწეული დაშნის ტრიალში.

მას ელანდება ეული მგზავრი,
იღუმალ მზერით, ფლასისამარა.
ქარში დაღუპვა ბელურის ბარტყის
და საცოდავი ტაკიმასხარა.

ზოლო სასახლე როკავს, მის მედგარ
თვალსისხლა რისხვას დუმილი ზიბლავს.
ვინ დაიფარავს შემცივნულ ედგარს,
თუმცა უსმენენ ქორალს და წირვას.

დგას შერისხული. დროის ქარტეხილს
გადარჩენილი ურჩი ვედრებით.
ხმელი ფიკვივით რტოებდატეხილს,
უხმობს სხვა ქვეყნის უცხო ბგერები.

და მიდის მარტო. სატანის კიბეს
შორდება. სისხლი მოწვეთავს
უფსკრულს.
ედგარი ათრობს ფუნდუკის სიზმრებს,
რომ გადაურჩეს სასახლის ჩურჩულს.

მფარველი ღამე

შუალამეა და ძინავს ყველას
 და გიხარია, რომ არ ახსოვხართ.
 იფნის რტოები მინებს ეხლება,
 სატანა ღრეობს, შენ კი მარტო ხარ.

და ჰა, თენდება და კედლებს ზვერაგ
 და გიმორჩილებს მზერა საგნების.
 ნასიზმარევი ხსოვნა ზელდება,
 დნება ლოცვებში ღამე მფარველი.

სულ-ხორცს ამძიმებს მელანქოლია,
 მზე იცრიცება სუსხიან მარტში.
 რალა აზრი აქვს, ვის რა ჰგონია,
 მთვარეულივით გადიხარ ქარში.

მიდიხარ მარტო. გაფორიაქებს
 ირიბი მზერის სულში ფათური.
 ალბათ ვილაცა გლანძღავს ან გაქებს,
 ღიმილით უმზერს ცას იანუსი.

ისევ იწყება ჩუმი ტკივილი,
 სული ილევა დღის სინათლეში.
 სადღაც გაისმის ქალის კივილი
 და ილანდება ცივ მდინარეში.

ჩაუვლი საყდარს და უთანაგრნოს
 შეგეგებება ღიმილი მხეველის.
 სხვა სატანჯველი რა უნდა ნახო,
 რომ მოგეფინოს წყალობა მრეველის.

დღე იწურება, თანდათანობით
 სულიც ნახულობს ზორცის საყუდარს,
 ეშმაკს არ ძინავს და ათასობით
 სხვენში ინახავს ჭორს და ნაქურდალს.

ისევ ღამდება და ძილი გიპყრობს.
 ქრება ნისლებში მზე გვიანდელი.
 პირქუშ სიზმრებშიც არავინ გინდობს,
 მაინც ღამეა შენი მფარველი.



ელა გოჩიაშვილი

მ ე რ ა ...

ვინ დაგეკარგა,
ვის გზას გასცქერი,
ვის მონატრებას უკონი კალთებს,
ცისფერ თვალებს გატირებულო...
ვერ მოგახედე,
არ დაიკვნესებ ჩემთვის: „ოი, რად...“
მაგრამ როცა ჩემი სიცოცხლე —
ეფემერიდი,
არყოფნიდან ამომსკდარი
მხოლოდ ერთი სიყვარულისთვის.
იმ ერთ სიყვარულს მიეძღვნება
და უფლის ხელით,
ან ჩემი ნებით მოწყვეტილი
დაეცემა ფსკერზე შრიალით,
როდესაც სხვებს უჩემობა დაუძველდებათ,
შენ მაშინ მიგრძნობ.
როცა ნოემბერს — სნეულს,
მუხლი მოეკვეთება
და ბაღში პირქვე ჩაემხობა
ხმელი, ყვითელი,
შენ უეჭველად გაგახსენდება.
რომ ნოემბერი ჩემი იყო
და ის ყველასთვის დაგენანება.
შენ მაშინ მიგრძნობ,
როცა ყვავილებს
სხვები სხვასთან წაიღებენ
და შენს კარებს უნუგეშოდ მონატრება
ჩემი ვარდები და საიდუმლო...
შენ მაშინ მიგრძნობ,
ქარებისგან შეშლილი ღამე
შენს ფანჯარას რომ მოაწყდება
და ოთახში გადმოშლის სხეულს.

შეუქს კი არ ჩართავ,
 კი არ დააფრთხოვ,
 სინათლით კი არ დაუთუთქავ
 ნოტიო შიგანს,
 გაუყუჩდები-
 მკლავზე დაუწვები,
 ღია ქუთუთოებს დაახვედრებ,
 რომ თვალებიდან იდინოს შენში;
 და როცა ბინდით ამოივსები,
 როცა სულზე შეგაცოცდება
 სისბლით და ცრემლით
 და წყვილით ჩამოქნილი
 ჩვილი სტრიქონი,
 გაგახსენდება,
 ღამე მარტო შენი კი არა,
 ჩემიც რომ იყო,
 და ის შენთვისაც დაგენანება,
 როდესაც სხვებს უჩემობა დაუძველდებათ,
 შენ მაშინ მიგრძნობ,
 იტყვი: „ვეუყვარდი“,
 „მთვარის სონატას“ მიუსჯი შენს თავს,
 მუსიკა კი — დაუნდობელი,
 ყველაფერს მკაცრად გაგახსენებს,
 გულიდან ძარღვებს ამოგითვლის,
 ქარში გაჰკიდებს
 და სევდისაგან ძალაგამოცლილს
 ყველასათვის დაგენანება სიმშვიდე,
 რაც მე არ მღირსებია,
 რადგან მუდამ მჩაგრავდნენ ხოლმე
 სულიერი აშლილობანი —
 ფესვებიდან ამოყოლილი
 შხამიანი სარეველები,
 ღონიერად სვეგატანილნი.
 შენ მაშინ მიგრძნობ,
 როცა ის ქალი მოგადგება კარზე
 მზესავით.
 მონატრებულს თაფლად ექცევი,
 სიტყვებითაც დააბურებ, სიყვარულითაც,
 მაგრამ მაინც მე გამიხსენებ
 და შენი თავი სატრფოსთვისაც
 დაგენანება,
 რადგან ყველაზე სასურველი
 ჩემთვის იყავი.
 არ მღირსება შენი: „ოი, რად...“
 ასე მხოლოდ შეგიძლია
 სხვას გაეტიროს;
 მაგრამ მერე, მერე, ოდესმე,
 როდესაც სხვებს უჩემობა დაუძველდებათ,

დამწყვედელი ფრინველივით მიგახლის
 სარკმელს,
 გულს აგიხელს
 და გიჟივით მოგანატრებს
 ჩემს პატარა, მეწამულ სახელს —
 სიჩუმეში გადაკარგულს,
 ის — მესამე,
 ვისაც მუდამ ვისწრებდით ხოლმე:
 ან ნოემბერი,
 ან ყვავილი,
 ან ლამეები,
 ან სასტიკი და მშვენიერი
 სონატა მთვარისადმი.

თავარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა

თავგადასავალი ლევან გოთუასი

მიღებულმა წერილმა ისევ მღელვარება და გულის ტკივილი გააღვივა. მამამ მაინც დაანყნარა დედა, ტიფი და მძიმე მდგომარეობა ლევანს უკვე გადატანილი აქვს, ახლა კარგად არის და მალე მუშაობასაც დაიწყებსო. მთავარია, დატოვონ ტაშკენტში, ეს ქალაქი მაინც ახლოა თბილისთან. შორეული ციმბირი კი დაკარგულშია. რატომ არ სჩანს იქიდან განთავისუფლებული პატიმარი, რომელზედაც ლევანი გვერს? ის ყველა ცნობას ლევანზე დანერვილებით მოგვანოადებს.

დედამ ვერ მოითმინა და ბანაკის უფროსის სახელზე სასწრაფო დეპეშა გაგზავნა, იქედან პასუხისათვისაც ფული გადაიხადა. პასუხიც კი დღეში მოვიდა, თქვენი შვილი სრულიად ჯანმრთელად არისო. ციხის უფროსის პასუხს ცოტახანში ტაშკენტიდან ლევანის გამოგზავნილი წერილიც მოჰყვა.

საყვარელო დედა და მამა!

თქვენი გამოგზავნილი დეპეშა მაჩვენეს. ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ, ესლა მე კარგად ვგრძნობ თავს, ჯანმრთელად და მხნედაც ვარ. მიკვირს მართო, დროება რომ იდორბლება და ისე მიპქრის გულში ეჭვია ჭოპოსანი და აბლაბუდა.

ამბობენ, ღამე ბრმავდება ყველა და ბრმაც მეტყველებს. თქვენგან ჩამოქროლილ ნიავს ცოცნებობს, რომელიც მეტყვეის მშობლიურ ამბებს და მე როგორც ბრმა მეოცნებე ფრთა შენაყარი თვალებს ამიხელს. მე მხოლოდ სითბო მინდა, მშობლიური სითბო, ომბარი და კეთილდღეობა საქართველოსი. ცხოვრებაში არაფერი არ არის უძიროდ და უწარსულოდ.

ჯერ არ ვმუშაობ და არა იმიტომ, რომ ჯანმრთელობა მალაატობს, არამედ კანცელარიაში სადაც მე გამანუსეს ჯერ არ გან-

თავისუფლდა დროებითი ადგილი. ჩემ წინამორბედს გაასახლებენ, მე იქ რამოდენიმე ხანს დამტოვებენ, მერე წინ ისევ ახალი წამება მელის, მეც აქედან გამასახლებენ და ასე შემდეგ. ეს ერთერთი აქაური წესია წვალეებისა, როგორც კი ცოტას მიეჩვევი ჭირვარამს, წინ ისევ ახალი წამება გელის, აქ იძულებით გაცილებით ბევრად უფრო მეტი შრომა გვინევს, ვიდრე იქ სათავისუფლოში. საერთოდ კი აქაური პატიმრული ცხოვრება ტრაგედიის მძიმე ხლართი და ჯადო რკალია.

ჩამაცვეს, მომკაზმეს როგორც ჯამბაზი ციხის ფორმით და ნომრით. ამრიგად დანომრილი ვარ როგორც ნივთი, მაგრამ არც ზედმეტ ბარგად ვგრძნობ ჩემს თავს ჩვენ ქვეყანაზე, როგორც მანდ უნდათ. სამუშაო კი მდორე, უინტერესოა და არის სიტყვა სევედა-ღიმილით, თქვენგან მიღებული მაქვს მეორე ამანათი. ამანათებს სასტიკად ჩხრეკავენ და ლალასაც იქვე გვახდევინებენ. მიუხედავად ამისა, ამანათების მიღება ბანაკში ნამდვილი დღეობაა. თითქოს მავთულხლართებში შინაურმა თვალმა შემოიჭვრიტა, ოჯახის სითბო შემოიტანა.

აქ საკმარისად კარგი დარებია, აღარც კი ცივა. ასე, რომ ვფიქრობ ეს ზამთარიც გადავთრხო. „სათნობის“ ქანაძე დამიდეგა. გავაფხულიც მენვია. ბუნებამ ამაფორიქაქა, მაგრამ ვაი, ვაი, რომ სამშობლოს მთა და ბარში არა ვარ და არ ვტკბები გავაფხულის სხივთა და ფერთა მრავალსახოვანი პარმონით. მწარე ხვედრი მარგუნა განგებამ და დიდსულოვნად ავზიდო ბარემ, ეს ხვედრი მწარე. — ვაი თუ მომავალმაც მილალატოს? მაშინ! მაშინ გადაწყდება ჩემი ბედი.

ვკოცნი ბავშვებს. დიდი მოკითხვა სანდროს, თინას, ნათესავ-მეგობრებს. თუ იყო თქვენთან ქორიძე, შემატყობინეთ.

ქართული

აბა, კარგად, ჯანმრთელად იყავით, გკონით თქვენი ლევანი. მისამართი ჯერჯერობით იგივეა.

15/11-32 წელი.
ტაშკენტი.

ჩემო თინა! მივიღე შენი გამოგზავნილი წერილები და წიგნები, მამა მეტად.

მამ ასე, იმედია მომავალშიც ჩემთვის ასეთ სულიერ საზრდოს უფრო ხშირად მომანდის. აქ მარტო ამით ვცოცხლობ. ვნერ ხან ლექსებს, ხან პროზას — ვნერ და ვხევ, გულს ვაყოლებ. სანდროს გადაეცი დიდი მოკითხვა, მისი წერილიც მივიღე და პასუხიც მივწერე. მომწეროს მისი რუსეთში მოგზაურობის შთაბეჭდილება. თან წიგნებს ველი მისგან. გულითადი მოკითხვა დედას და მამას. მათი გამოგზავნილი ამანათიც მივიღე. მართალია ყინვა ყველაფერს თავის დაღს ასვამს, მაგრამ „ქართული შოკოლადი“ — ჩურჩხელა და ჩირი კარგად უძლებს ყველაფერს და აქ დიდ მონონებას იმსახურებს. ჩვენებური სურნელი კი გულს საამოდ ეფინება და იმედს ასულდგმულებს. როგორც ჩანს, ყნოსვა ყველაზე უფრო ამახვილებს ნატვრას. რა საკვირველია, ცხოვრების ამ მიჯნაზე აქ ჩემი მინის შვილი მცირერიცხოვანია. საზომიც დაგვეკარგა და ურთიერთრწმენა. ოჯნება და სინამდვილე ვეღარ გვერჩევა. ვადა კი ჩაქჩაქით, მაგრამ მაინც გადის და უკან გვიტოვებს ტკივილის ხნულს. ერთსაც გატყვი ჩვენ ქართველთა გვაგანია ზედმეტი თავმოყვარეობა შესაძლებელია მკვდრებზე თუ თავისუფლებზე მეტიც.

თამარიკო და მზია, თქვენც რომ მომწეროთ, მეტად მიაშება, თუ არა, ვგონებ სულ დაგავიწყდათ თქვენი „დაკარგული ძმა“.

მე კარგად ვარ, ჯანმრთელად. ყოველ უცნაურობას ისე მივეჩვიე, რომ არაფერი აღარ მოქმედებს ჩემს ჯანზე და ხასიათზე.

ვმუშაობ ძველ ადგილას. არ შემოძლია ყოველივე მოგწეროთ, სავსე ვარ ოცნებათა ფიქრით, თითქოს ველი ვიღაცას ან რაღაცას, ეინმე მოვა და ეინმე სამშვიდობოს გამიყვანს.

ველი იმიტომ. რომ მარტო ვარ, ვერ ვმოქმედობ, ყოველმხრივ შეზოჭილი ვარ, მარტო ისლა შეგვრჩა უდანაშაულო პატიმრებს — ნამება.

ჩემ მეგობრებს და ამხანაგებს სრულიად დაგავიწყდი.

მოკითხვა ყველას
გკონით თქვენი ლევანი.

6/V-33 წელი.

ლამის წყვდიადი იყო, ყველას გვეძინა.

მხოლოდ მამა იჯდა სწორ მდგომარეობაში მუშაობდა. მოულოდნელად ვიღაცამ კარებზე რამდენჯერმე დააკაკუნა. ყველას გაგვეღვიძა.

ლაშე ასეთი მოულოდნელი კაკუნი ჩვენ ოჯახს ცუდად ჰქონდა დაცდილი, ყველა მე ვშინდით, წამოვხტით კიდეც.

მამა შემფოთებული ნავიდა კარების გასაღებად.

ჩვენ გატრუნული გულის ფანქალებით შევტყუროდით კარებს. დედამ სწრაფად კაბა გადაიცვა და მამასთან მივიდა. კარები გაიღო, კარებში იდგა უცნობი. სასიამოვნო შეხედულების შუა ხნის კაცი, გამხდარი, დასუსტებული. ძველ, გახუნებულ ტანსაცმელში და ზომაზე დიდ ფეხსაცმელებში, რომელიც უშლიდა სიარულს. მამას მის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა. თითქოს ძალა შემოემატა, არც კი ჰკითხა ვინაობა, სახელში შემოიყვანა და იმ წუთშივე მიხვდა ყველაფერს. მერე ჩუმიად სანდრო გარეთ გაგზავნა, დაეხვერა, ვინმე ხომ არა სდევდა მას.

— მე ის კაცი ვარ, — ხმა ამოიღო უცნობმა, — თუ მოგწერათ ლევანმა, რომ თქვენთან უნდა მოვსულიყავი.

დღე ვერ გავბედე. შიშს დიდი თვალები აქვს, თორემ დილას ჩამოვედი და სადგურიდან ფეხი არ დამიძრავს. რახან იმ დაწყველილი ციხიდან თავი დავალწიე. იქ აღარავინ მომძებნის, ყველაზე უფრო ძალიან აქ ჩემი სამშობლოს „ჩეკასი“ მეშინიან, ისინი დაუბედობელი, ნამდვილი ჯალათებია. მე და ლევანი ერთ ბედქვეშ ვიყავით იქ. ტაშკენტში

დედამ ვეღარ მოითმინა, გადაეხვია, მოეფერა და აკოცა, ჩვენ ყველა შემოვხვიეთ და მივეფერეთ. თითქოს ლევანს ვეხვეოდით და ვკოცნიდით, ისე გამოვიდა. მასაც გულ აუჩუყდა, თვალებზე ცრემლი მოადგა, შეტორტმანდა.

— მე მშობლიური სითბო და სიყვარული დავინწყებული მაქვს, ესლა გული ამიძგერდა, — ნამოიძახა მან ალღევებით, — ასე მეგონა ჩემები ხართო. მამამ უპასუხა — ნამდვილად შენი ახლობლები ვართო. მერე ტასო შემოვიდა, ლოცავდა და ჰკოცნიდა — შენ ლევანის სუნი აგდისო — სადაური ხარ და ვინა ხარო, ასეთი ბედნიერი.

— ნუ მკითხავთ, სადაური ვარ და ვინა ვარ, — შეწუხებულმა ნამოიძახა მან. — პატრონი ვიყავი საქართველოსი. თავისუფალი საქართველო მინდოდა, რისთვისაც 12 წელი შემაყოლებს. მარტო წისქვილის ბორბლის ქვეშ არ ვიყავი რეალურად, ისე კი ჩემს თავზე რამ არ გადაიარა, ნ-ჯერ სიკვდილის პირას ვიყავი მისული. მაგრამ თვითონ მიკვირს, როგორ გადავჩრი, ნამდვილად სახსნაულია. ესლა, არ ვიცი, როგორ წარიმართება



ჩემი ცხოვრება, აქედან მინდა შორს გადავიკარგო, ეს ჯალათები სამშობლოში საშველს არ მომცემენ. მერე შეჩერდა, ნერწყვი გადაყვალა და წამოიძახა — მე რა, სულ ჩემზე გიყვებით, ისე ავლელი, რომ უცებ ჩემს სახლში წარმოვიდგინე თავი.

ლევანი პირველ ხანებში საავადმყოფოში იწვა, მერე „ადინოჩკაში“, შემდეგ კი სამუშაოზე რომ გაამწყესეს, ჩვენ ბანაკში გადმოიყვანეს. ლევანი ჯანმრთელი, ბრგე, ნასწავლი კაცია, ამიტომ მას ყველა მონივნებით ექცევა, გინდა პატიმარი და გინდა ზედამხედველი, იგი, როგორც ყოველთვის, სამშობლოს ერთგულია. ციხე შიანც ციხეა, მით უფრო აზიური ციხე თავისი სპეციფიური კონტიგენტით, თავისი საშინელებებით, გამოკვტილი ყოველ მხრივ და დაჩლუნგებული, გამწარებული ყოფით. იქ ბედნიერებაა მუშაობა, ეს არის ერთად ერთი ნათელი ადგილი. მაგრამ ტაშკენტი გამანაწილებელი პუნქტია, იქ მას დიდხანს არ დატოვებენ.

ამ ციხეს კიდევ არა უშავს, იქით უარესია. ერთ საკანში საშუალოდ ორსართულიან თახჩა-ნარებზე მიყრილია ორასზე მეტი პატიმარი, სასუნთქი ჰაერის უკმარისობაა, ჟინგბადი არ მყოფნის ხალხს. აბოლილი მახორკით, აყროლებული ოფლის, შარდის და ფეხის სუნით ყველა იშხამება. აბა ხმა ამოიღე! — უნდა იყურო, კვებაც მძიმეა. ისეთ ბალანდას გაჭმევენ, რომ გული აგერევა. სხვა რა გზა გაქვს, უნდა ისიც გემრიელად მიირთვა. ზედა ნარებზე მყოფი ძველი პატიმრები სულ ენას ილესავენ, იგინებიან. ახალბედები ქვევით არიან გატრუნულები. შიშით ხმას ვერ ამოიღებ. ვერ წარმოიდგენთ, რა ყოფაში არიან სანაყალი უდანაშაულოდ მოხვედრილი პოლიტიკური პატიმრები. გაშიშვლებული, დაბეჩავებული და დაკინებულნი, თანაც დობანდის სიგრძის აკიდული ვადებით. ჩემი არ იყოს, ყველა ერთნაირად ვიღერლებოდით.

ლევანი აბანოში გავიცანი. გადათვლის დროს ქართული გვარი შემთხვევით რომ გავიგონე, ტიტყველა დავიმახსოვრე, მერე ჩაცმული ველარ ვიცანი. მან თვითონ მიცნო საშრობელაში გამოძინებო, იქ მყუდრო კუთხე ვიპოვნეთ და ბევრი ვისაუბრეთ, საქართველოს გახსენებით და ქართული ლაპარაკით გული ვიჯერეთ, მე გავანდე ჩემი მალე განთავისუფლების ამბავი. ლევანმა გამანდო თქვენი მისამართი და ისიც დაუშატა, რომ უსათუოდ დაგეხმარებინათ.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გამოიკვია, რომ ორივე ერთ ბანაკში ვიყავით, მე ზევით, ნარებზე, ის კი ქვემოთ. შემდეგ უფრო ხშირად ერთმანეთს ქართულად ვესაუბრებოდით და სამშობლოს

სიყვარულით გულს ვიოხებდით. მერე დადგა ჩემი გამოშვების დღეც. სიხარულს მივლორად ძალიან შევწუხდი. ვერ წარმოვიდგინე სამშობლოში ამ საშინელი წყობისა და უბედურების დროს როგორ ვიქნებოდი. ლევანმა ძალიან იმედიანად მანუგეშა.

— შენ ბედნიერი კაცი ხარ სამშობლოში ბრუნდები. ვფიქრობ მომავალში ყველა ჩვენთაგანს იქ თავისი ადგილი გვექნება, მე ასე მნამს. არ შეიძლება იმ პოლიტიკურმა წყობამ დიდხანს იარსებოს, სადაც ასე უბრალოდ ადამიანს ანადგურებენ. ალბათ მოწესრიგდება ცხოვრება, აღდგება სამართალიცო.

— რომ ჩამოხვედი დიდი ბედნიერებაა, — წამოიძახა დედამ.

— ლევანიც ასე იქნება. იმ ციხეებიდან, ვადის დამთავრების შემდეგ, ყველას ანთავისუფლებენ და ლევანი, აი, ნახეთ, უსათუოდ ჩამოვა.

მშობლებმა იმ ღამეს სტუმარი არ გაუშვეს, კარგად დააპურეს. მამამ ღვინოც დააღვინა.

სანაყალს დიდი ხანია, ქართული ღვინო არ დაეღია. ცრემლი მოერია, შეთვრა კიდევ.

შუალამე დიდი ხნის გადაცილებული იყო. ჩვენ კი გაფაციცებით ვუსმენდით ყოფილ პატიმარს. ღვინომ მძიმე მოგონების „გუდა“ გაახსენებინა და მძიმედ გადატანილი ყველა საშინელების გულიდან ამონთხევა უნდოდა.


დიახ! ალბათ ცხოვრებით გაჭირებულ ადამიანს აქვს ისეთი მდგომარეობა, რომ სხვას აღარ ინდობს და თავის დარდს და განცდებს მსმენელს თავს ახვევს. სწორედ ასე მოუვიდა ჩვენს სტუმარსაც. მან არ დაინდო ჩვენი მშობლები და მთელი სისრულით ამოხეთქა გულში ნადებო.

— ტაშკენტის გამანაწილებელ პუნქტში პატიმრებს ახარისხებენ და ციმბირისკენ აგზავნიან სხვადასხვა ბანაკებში, — განაგრძო მან. — პოლიტიკური პატიმრები უფრო ხშირად წარმის კონცენტრაციულ ბანაკში ხვედებიან. ეს უმძიმესი, უსაშინელესი ბანაკია.

მთელი მოსახლეობა ქოხმახებში — „ხიბარკებში“ ცხოვრობს, აქ მხოლოდ 2 ქვის ნაგებობაა, ისიც ბანაკის ციხეა. დანარჩენი უამრავი ხის სარდაფი კი პატიმრების სამყოფელს წარმოადგენს.

წარმში თავისუფალი მინა არ არის. ტერიტორია დაფარულია უღრანი ტყით, სადაც პატიმრებს ამუშავებენ, და რამდენიმე ტბაა, უმთავრესი ტერიტორია კი ჭაობითაა დაფარული, უმოქმედოა.

კლიმატური პირობები უმძიმესია, ცუდი ზამთარი იცის გრძელი და მკაცრი. ყინვა ზოგჯერ 50-60 გრადუსს აღწევს, ბანაკში გათბობა თითქმის არ არის. პატიმრები ერთმანეთის ზურგით თბებიან.



გაზაფხული და შემოდგომა საერთოდ არ იცის, ზამთარი პირდაპირ გადადის ზაფხულში. ის კი ხანმოკლეა, ზამთარში მდინარეები იყინება — ზაფხულში კი ისეთი წყალსაგსობა და წყალდიდობაა, რომ მთელი ტერიტორია იტბორება. ბანაკიც მთლიანად წყალში დგას. დიდი სინესტე და ტენიანობაა. აქედან ავადმყოფობა და უძღურობა. რკინის ჯანმრთელობა უნდა გქონდეს, რომ იქიდან ცოცხალმა თავი დააღწიო.

იქიდან საერთოდ წამოუსვლელობა ალბათ ნინასნარ მთავრობაშია ვათვალისწინებული და განსაზღვრული, ზოგჯერ თითქოს „ამნისტიაც“ არის, არ ვიცი რასთან დაკავშირებული. იქიდან პატიმრები ციმბირში აქეთ-იქით გადაჰყავთ, უფრო სიცივეში, უფრო შიმშილში და მძიმე ცხოვრების პირობებში. ესეც, ალბათ, მათთვის ვინც უძღვლებს იქაურ რეჟიმს.

იქაური წვალბების ერთ-ერთი მძიმე მეთოდი და სახეა განუწყვეტელი ეტაპები, რომელიც ანადგურებს ადამიანს, უკარგავს ხასიათის სიმტკიცეს. მერე ჩეკისტებს თვითონაც უყვირთ რომ ზოგი ადამიანი არაადამიანურ პირობებს უძღვლებს, თავს არ იკლავს, არ გიყვება, არ კვდება, მაინც ცოცხლობს.

ბევრი ისეთიც გადაარჩა, რომ ადამიანური ღირსება დაკარგა. მე ქართველი კაცი ვარ, ჩემი მტკიცე ხასიათით ცდუნებას გავუძელი და გადავურჩი. ბანაკმა მაინც თავისი დაღი დამასვა: ფიქრი შემეკრა, ყველაფრის შიში დამჩემდა. უმიზეზოდ ვენერვიულობ და ზოგჯერ აზროვნებასაც ვკარგავ, ამდენმა განცდებმა დამაქინინა კაცი.

ბანაკში ერთი რჯულისა და ეროვნების ხალხს ერთად არ აჩერებენ, ქართველები რუსებს და სხვა ეროვნების პატიმრებს შორის კანტი-კუნტად ვიყავით — ესეც დასაძლევია სიძნელეა. ქართველები ყოველთვის ერთმანეთს ვეხმარებოდით.

სტუმარს ყველამ ვუთანაგრძნეთ. მას ზედმეტი ნერვიულობისაგან ცრემლი ღვარად სდიოდა. სახეზე ყველა კუნთი უთამაშებდა. მშობლებმა ანუგეშეს და მოეფერნენ. მერე შეწუხებული დედა აღშფოთებით მაინც შეეკითხა — იმ დაწყველილ ქალაქში მისადგომი საიდან არისო.

— ერთადერთი მისადგომი ორი კილომეტრის იქით, უდიდესი მდინარე ობოს სანაპიროა. იქ ნავსაყუდარია და გამგლელი გემები ჩერდებიან. ისე კი ისეთი დაწყველილი ადგილია, რომ არც რკინიგზა და არც მანქანის გზა წამლად რომ გინდოდეს, ახლოს ვერ მოინახება. ნარიმი მდინარის მარჯვენა სანაპიროზეა. ნაპირი ხრიოკი და უდაბნოა, ობი დასავლეთ ციმბირის უდიდესი მდინარეა ზღვასაკით დიდი, ძალიან ღრმა და გა-

ნიერი. მეორე ნაპირი მდინარის მუხლში დაწინა კი არ სჩანს, ასე 7-8 კილომეტრი იყნება სიგანე. მეორე დღეს გვიან დაღამებამდე სტუმარი ჩვენთან დარჩა. დღე არ უნდოდა ქალაქში გამოჩენა, უფრო სწორედ ეშინოდა. ისეთი დაშინებული იყო, ეგონა მას იმ წუთშივე იცნობდნენ და მიუხედავად იმისა, რომ იქიდან გამოუსვებს, აქ მაინც ტანჯვა შეხვდებოდა.

ჩვენ ჩუმად ვიყავით, არავინ არ იცოდა, რომ სახლში სტუმარი გვყავდა — ალბათ ამასაც დანაშაულად ჩავგითვლიდნენ.

— რა დღე დაგვიდგა. — წუხდა დედა, სტუმარიც კი დასამალია.

საწყალი ანდრო ლამით როგორც ჩუმად შემოვიდა, სახლიდან ასევე ჩუმად გაიპარა. მშობლებმა ბევრი საქმელი გადატანეს, მაშამ ფული მისცა. დედამ ანდრო საუკეთესო ტანისამოსში გამოაწყო და ახალი ფეხსაცმელებიც აჩუქა. მაშამ სანდრო გააყოლა მანქანით სადგურამდე, იქ სანდრო შორი-ახლოდან თვალს ადევნებდა, სწორედ ისე როგორც მან სთხოვა.

ცოტახანში სადგურში მოსკოვის მიმართულებით მიმავალი მატარებელი შემოვიდა. სანდრომ გააცილა ჩვენი საყვარელი სტუმარი მისი გზა-გეზი არავინ არ იცოდა მაშას მეტმა, იმდენად დაშინებული და განვალებული იყო, რომ საწყალს ყველაფრისა ეშინოდა.

ალბათ წარსულში უშიშარი, მტკიცე ნებისყოფის და ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი 12 წლის განმავლობაში, როგორც პოლიტიკური პატიმარი, იმდენი ტანჯეს, აწვალეს და აწამეს, რომ დააკნინეს. ვაი, ვაი, რომ ამ დროს ეს ბუნებრივი ამბავი იყო.

სტუმარი გავისტუმრეთ, მაგრამ ოჯახში საშინელი მწუხარება და ნალღელი დარჩა.

ლევანი ჯერ კიდევ ტაშკენტის ციხეში იყო. მაგრამ მშობლები ძალიან აფორიაქდნენ და უკვე ნარიმის სიძნელეებს განიცდიდნენ.

— რა ეშველება ლევანს, როგორ გაუძლებს იმ საშინელებას. ნარიმი ალბათ ბოლოს მოუღებს ლევანს, — სულ თავისთვის ბუტბუტებდა აღუღებელი დედა.

მაშა აწყნარებდა — ჩვენი შვილი მაგარია და მტკიცეა, მე მისი იმედი მაქვს, ყველაფერს გაუძლებს. სანამ ის ნარიმში მოხვდება, შეიძლება შეიცვალოს რამე. მერე რაღა იქ მოხვდება უსათუოდ, წინასწარ ამაზე გულს ნუ ვიტეხავთო. და, აი, საკვირველება მაშა-ჩვენი ეს ჩუმი კაცი ალაპარაკდა და გულის ბოღმის ამონთხევას აპირებდა.

— საწყალი კაცის მონაყოლმა ყველას გულის ტკივილი და მწუხარება რომ დაგვიტოვა. — ამბობდა შეწუხებული მაშა, — ეს



ხომ განწირული ქართველი კაცის 12 წლის არაადამიანური ცხოვრებაა, მისი წვალება და ვარამი, ეს რა ხდება ჩვენს დროში, საიდან შეიქმნა ასეთი რკინის რეჟიმი, საიდან წარმოიშვა მე-20 საუკუნეში ამდენი გესლი და უგულობა. სიკეთე აღარ არის. რას ერჩოდნენ ამ სანყალ კაცს, თუგინდ სხვებს, ჩვენ ხომ გულით გვიყვარს სანუკვარი საქართველო, ვართ ნამდვილი პატრიოტები და მისი კეთილის მსურველები, თურმე რა ძნელია და მიუწვდომელიც კი ოცნებაც და გულის თქმაც დამოუკიდებელი საქართველოსი.

დედა შეშინდა მამის ლაპარაკით, იმ წუთშივე შეანყვეტინა საუბარი.

შენ, ვკონებ დაგავინყდა, ჩვენ კედლებსაც ყური აქვსო, გინდა რომ მოლიანად ოჯახი დაიღუპოს? დაწყნარდი და დადუმდი. ეხლა მაგაზე ლაპარაკი კი არა, ფიქრიც საშიშია, ნუ დაგავინყდება, ბავშვები გისმენენო. ბიჭს შველა სჭირდება, ამაზე ვიფიქროთო. მამა ჩაჩუმდა, ლელვისაგან გაფთორდა, დედამ წვეთები დაალევინა. რამდენიმე ხნის შემდეგ მამამ მაინც იპოვნა ნარიმის შესახებ ჩანაწერები.

თურმე ნარიმს გადასახლების ქალაქი ეწოდებოდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან, მეფის მთავრობა იქ ასახლებდა მძიმე პოლიტიკურ პატიმრებს.

ბევრმა დეკაბრისტმა აქ პპოვეს ცხოვრების საბოლოო ნავსაყუდელი და უკვალოდ დაიკარგა მათი საფლავებიც. ძველ ლიტერატურულ წყაროებში ისიც აღნიშნულია, რომ ნარიმში გადასახლებაში ყოფილან სვერდლოვი, სტალინი, კუბიშევი და სხვები. იმდროინდელი პატიმრული და ციხის რეჟიმი მეფის დროს ბევრად უფრო პუშანური და ადამიანური ყოფილა, ვინაიდან სვერდლოვმა, სტალინმა და კუბიშევმა შესძლეს ნარიმის ბანაკიდან თავისუფლად გაქცევა და თავის დაღწევა. სწორედ იმიტომაც, გასაბჭოების შემდეგ მათ ნარიმისა და სხვა ქალაქების პოლიტიკური ბანაკების რეჟიმი იმდენად გააძლიერეს, შეუვალნი. მკაცრი და მძიმე გახადეს წამება, წვალების არაადამიანური მეთოდების გამოყენებით, რომ იქიდან თავის დაღწევაზე საერთოდ ოცნებაც კი აღარ შეიძლებოდა.

ყველასათვის გასაგები იყო, თუ საიდან წამოვიდა ეს ბაღლამი. ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, მშობლებზე და ჩვენზე მეტად იმოქმედა.

მთავრობაში დესპოტებია, მათ ადამიანთა მასიური განადგურება უნდათ, ამიტომ პოლიტიკურ პატიმრებს აგზავნიან ასეთ სასტიკ ბანაკებში, გულის ტკივილით იმეორებდა დედა.

სულ იმის ნატვრაში ვიყავით, რომ ლე-

ვანი დიდხანს გაეჩერებინათ ტაშკენტის ტყეში.

ლევანმა ტაშკენტში ერთი წელი მაინც დაჰყუპა, სრულიად მოულოდნელად ისევ ეტაპს გააყოლეს ნარიმისაკენ.

„ძალიან ვწუხვარ, — იწერებოდა ლევანი პატარა ბარათში, წინ ისევ მძიმე ეტაპია ნარიმისაკენ. საერთოდ ისეთ დაწყვეტილ რგოლში მოვხვდი, თავის დაღწევას ვეღარ ვახერხებ, მაგრამ ისე მივეჩვიე ყოველგვარ უცნაურობას, არაფერი აღარ მოქმედებს ჩემს ჯანზე და ხასიათზე“, ისე კი ვგრძნობ, რომ მე ბუნებრივ სიკვდილზე უფრო ადრე გათავებული კაცი ვარ, ვაგლახად, არც მკვდრეებში ვწერივარ და არც ცოცხლებშიო. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ შეწყდა საკმარისად დიდი ხნით ლევანისაგან წერილები, ამას კი თან სდევდა ჩვენი ყოველდღიური დიდი სევდა, დეღვა, მწუხარება და გაუთავებელი მოლოდინი.

რამდენიმე თვის შემდეგ მოვიდა ლევანისაგან წერილი ნარიმიდან.

საყვარელო დედა და მამა!


ვიმგზავრე გემით ნარიმამდე. მოვადექით ამ წალეკილ ადგილს. მიკვირს, საკმარისად ნორმალურად. ჩვენ წინ უშველებელი, პირქუში, უნაპირო მდინარე ობი მდორედ მოედინება. ჩემს გარშემო გასაცოდავებული პატიმრები და მთელი გროვა ზედამხედველთა სახეების ბინდი ლანდებია. თითქოს ნისლი შეირხა. ცივა, ქარბუქი ცივ ლორწოდ ხვდება სახეს, სუნთქვას აფერხებს. ჯერ-ჯერობით ყოველივე ასახანია. მე სულ უარესს მოველი. ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ, ამიტომ ჩემი ჯავრი ნუ გაქვთ. ხასიათის სიმტკიცესაც ვგრძნობ. შინაგანი განწყობა მიხმობს ყოველგვარი გაჭირვების გაძლებას, მეც ასე ვფიქრობ და ასე ვარ სულიერად მომზადებული.

დიდხანს ვიდექი სანაპიროზე შორს მჭვრეტელი და უბედური. ვხედავდი დიდი ყინვის მოლოდინში შავ-ლურჯ მდინარეს, თითქოს ფართოდ გაბერილს, ვერაგს, უნდობს, უცხოს და უგულოს. გული გამეფოხა, როგორც ჭირისუფალი.

გულის ტკივილით თვალს ვადევნებდი უკან მიმავალ გემს, ჩემთვის, ალბათ, ნაოსნობის დასასრულს, რომელმაც ჩამომიყვანა, უპატრონოდ დამტოვა. ვინლა იცის როდის გავყვები უკან.

მართალია ჩემდაუნებურად, მაგრამ, მაინც ჩემი გაჭირვება როგორ დაუსრულებლად მოგახვიეთ თავზე. ამაზე ძალიან ვწუხვარ, დაგლალეთ განცდით. გაგტყუეთ ხარჯით. აღარ ვიცი რა კენა, როგორ მოვიქცე.

თქვენი გამოგზავნილი 80 მანეთი გადმო-



ცეს. სწორედ დროზე მომისწრო. თუმცა აქ ფულით არაფერი იყიდება.

გემის საყვირზე მოსული ადგილობრივი მაცხოვრებლები, უცნაურ ტყავის ქურქებში გამოწყობილი, უცებ დაიშალნენ, არც ერთი სახე არ მახსოვს. ახალ ადგილზე ნივთი უფრო აღწევს მესხიერებას. აქ ნივთი მეტყველად სახეზე. ჯერ ობის ხრიოკ ნაპირს აცყევით, უფიქროთ, ზურგზე აკიდული მცირედი საკუთარი ბარგით. მერე შუა გზაზე სადაც ჭაობის გასწვრივ შეეუხვებით და უბოუპკლო ბილიკზე გადავედით, წინ ისევ სიცარიელე და ტკივილი ვიგრძენი. რამდენი ხნით, ვინ იცის.

ნამოსვლის წინ თინას გამოგზავნილი წერილი და წიგნები მივიღე, ძალიან მიამა, იმედი მაქვს აქ ხშირად მომწერს.

სანდროს გადაცემით მომწეროს თავისი შთაბეჭდილება რუსეთში მოგზაურობის შესახებ. თამრიკო და მზია თქვენც რომ მომწეროთ, ძალიან გამეხარდება.

გულითადი მოკითხვა ჩემ ტასოს.

ამრიგად უნდა მივეჩვიო ახალ გარემოს და აქაურ ბანაკურ ცხოვრებას.

ძალიან გთხოვთ, მშობლებო, თავს მოუარეთ, ჩემზე ასე მწარედ ნულარ განიცდით, ვფიქრობ საბოლოოდ მაინც ყველაფერი კარგად მოგვარდება.

იყავით სულ კარგათ, მოკითხვა ნათესავ-მეგობრებს.

გოცონით თქვენი
ლევანი

ნარიმი
18/XI-1932 წელი.

ცოტახანში მიმოსვლა ჩაიკეტება და ალბათ წერილების მიწერ-მონერა ცოტახნით შეფერხდება, არ შეგეშინდეთ.

ლევანი სულ ხასიათის სიმტკიცეზე ატყობინებდა მშობლებს. თითქოს გადასახლების ყველა წესს, რეჟიმს კარგად იტანდა და ეგუებოდა. აწყნარებდა და ანუგეშებდა მათ. საერთოდ კი საქმე სხვანაირად იყო. ლევანის კალამს ეკუთვნის ბევრი ლექსი, თუ პოემა, დაწერილი სწორედ 1931-1936 წლებში, ნარიმის და ბიისკის ბანაკებში ყოფნის დროს:

„ისევ აუგი“, „შუქი სარდაფში“, „ცეცხლიანი კუზი“, „ოქროსფერი აკვანი“, „გემში-დობები“, „გაქცეული ძველი“, „ნაჭვარტლავი“, „ჯანყი ადამიანის“, „ზღვის ბაღდადური (შორეული ხილვა“, „გზა წინამური“ „ურვათა ურვა“, „ნარიმი“, „არავი“, „ლამის საკირე“, „სევედა ღიმილი“, Alarmie „ნათელი — მუქი“, „მუმლი მეც“. „ქარბუ-

ქია“, „წერილი ქართველ ადვოკატს“ „ცეცხლის კივილი“, „შენ ისევ მონჯალ იზორლ სულლო“, „ორჯერ სრესილი“ და სხვა.

ქვევით რამდენიმე ლექსია, დაწერილი ნარიმში. ისინი ლევანის იმდროინდელი ბიოგრაფიაც არის, გამოხატავენ მის სულიერ მდგომარეობას, ცხოვრებაზე გულის აცრუების განცდას და უკიდურეს სევდას. სამშობლოს მიღმა ყოფნამ არაადამიანურ პირობებში. დაუკარგა მას ყოველგვარი იმედი, დარჩა მარტო თავის მწუხარებასთან და გადაებასთან:

ისევ აუგი
და ჩემ წინ ისევ გადასახლება
და ისევ...
და ისევ...
და ისევ...
გაღამაირევენ ისევ სხვა ხელები
და გული წურბელებს დაისევს.
იკივლებს ორთქლი ძუძუ მოხავერდი,
კივილი ჩამოვა, როგორც მოჩვენება,
ადგება აუგი გარემო ქარვიდან
და ისევ ჰენებით...
ჰენებში...
ჰენება...

სად წავა ძახილი, ო, საით, ო, საით?!
რით უნდა ვამხილო რისხვების სიათა?
ქარი — ახირებას მოიფენს ქართივე,
და დიხურება დაფშენილ ფანქარივით.
ეჭვი, ლიანდაგო! ფიფალის იცი წისია
ვინ არის იგი რომ იცინის?!
წადილებზეც უნდა თამაში.
კრინტი! აჰა, მაშ
თუნდ აღსრულდება ეს ქადილი იცი


ეხლავე
გულს ამოვითხრი და დავწიხლავ,
მერე ვემთხვევი.
ნამორ ვერხვივით
იფართხალებს და წალოდება
იქით ნაგეზი — სად მშობლიური ძუძუ
დაძახარის

ლემს წამოგივდება
და ძალღივით უნდა დახარო.

შუქი სარდაფში
შენ აიწევე ჩემ თაურში უსათაურო,
შუბლს რომ შეევი, გადახევი გადასახერხი
და ეს იაბა შენელებით მიფუჭეჩე —
და ჩამი-ჩუმით წამოიწყო რასაც ველოდი.
ჩემ დაბადებას აუხირა ძველი ძაბუნი
და აქაც ცაზე ისე ბნელოდა,
რომ სამარეში შუქს დაეძებდნენ...
შუქი სარდაფში.

გრძელი ლექსიდან პატარა ნაწილი.
ნარიმი!

ალბათ უგულოთ მოხვეტილია
ეს სივრცეებო, ანუ თუ ცა-ბადე



და ცივი ქარი მოხეტიალე!
უცხო ბარბაცი და უცაბედო
და ყინვის თვალიდან მზა კარაქინები.
არის მიღამო, როგორც სიტყვა
მრავალ აუგით აიას ვილოკავ
და დახალმული ეს სიტყვა „ნაიომ“
— დათვიკარას რომ გაილოკავს.
ზამთარში თოვლი და ნაშალი ყოვლანა,
და ყინვის თვალიდან მზა კარაქინები.
ზაფხულში — ლოპკრას ჰბარდინან კოლოხი
და უნაპირო ქაოების ქვენება.
ნავი და მაოხილო, საქე და სადავე
და ობი დარბეული სიიდან სადაო!
და ზედავ კალთას, წყალმა რომ დააბალთა
სიტყვა ლახვარია, ნაიომ.

უღრანი ტყე ტაიგა — ურმან!
დამპალი ზერგი: გუმი და ლია
თავს ვერ მიაგნო თუ სათაურმა
და ზავსი: ბავთი და გაბედული,
ობობას ქსელე და ბობოწვერა,
საუკუნეთა მწვანე ნივარა,
და ჭაობიდან წვენი ნაყური
მდორეთ, უნდილად და ბიწიერათ,
და კოლომ სულში დუქი ჩადვარა.
სად დაიფარვი?! ო, საით წახვალ?!
ესევა მუმლის ურდო კალო-მზეს
და თითქოს შორით ნაყაჩაღარი.
სისხლის წვეთებად ჰყრია ძახველა.
ხავსის ძუძუთა ოდრეკალები.

სხივთ ნიაორვე ძუნწი, ნარნარე
დღისით არევენ ზმანების ლამიანს,
სიტყვაც ბალამია — ნარომ!
გაყინული მივალთ, დაღეჭილი უფრო
და ზეცაც პირქუშია
პო და სევდის ქნარი სიტყვაც, ხომ
მწარეა — ნარომ.

არავი (გროძელი ლექსიდან ბოლო
სტრიქონები)

მძიმეა გულე გარინდული, მარტოხელა,
მაშინ ჭვალელები აღგებინა მახვილ ქალებათ
და ეს სტრიქონი უღელევით გადატეხილი,
მთეა უეცრად, ნამღერებში დაიჭაყლება.
აქ არის რაღაც — რასაც თავს ვუმაღავ
იარავ — იარე — არიე-არავი!
განა თუ უდაროდ არ ელი უმაღ ავს?!
არავინ გიშველის, არავინ, არავინ!
ო, ეს ტკივილი უნდა ჩავიხშო,
გადავყვე ეაშოა უპოვარ გზებს
და წავალ. ისევ თავს ჩამოვიბრჩობ
ქართული ურემის ავეურებზე.

ძმაო სანდრო! სალამი ყველას ციმბირი-
დან.

შენმა გულახდილმა წერილმა კიდევ ერთ-
ხელ შემახსენა ჩემი დუხტორი ბედის შესა-
ხებ.

ნარიმში მიღებული მაქვს თქვენგან გაწე-
ვზავნილი 3 ამანათი, რამაც ძალიან გაი-
ხარა. ამან გააუმჯობესა ცოტა ხნით მაინც
ჩემი კვება, ჯანმრთელობის მხრივ კარგად
ვარ.

როგორ არიან მშობლები და ბავშვები,
დიდი მოკითხვა მათ ჩემგან, სიყვარული და
ნუგეში.

სანდრო და თინა ძალიან გთხოვთ მშობ-
ლებს მოუაროთ კარგად, გაუხანგრძლივეთ
მათ სიცოცხლე, რომელიც ჩემს გამო ალბათ
შუემოკლდათ. ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ, კა-
რგად ვარ. აქ გამოკეტილი და ეული. შეე-
ცქერი შავი ღრუბელით მოჭედულ ჩრდილო-
ეთის ცას. შორს ღრმა ნისლის უკან ჩემი
სანუკვარი სამშობლოა, ვოცნებობ უეცრად
ნისლის საბურველი ჩაიცრციება და სამშობ-
ლოს ერთბაშად დავინახავ, როდის გამოიდა-
რებს არ ვიცი მაგრამ მაინც არის ლოდინი
სასწაულად და შემზარავად ერთადერთი რაც
შემჩინია და ბევრი მაქვს გულსასვე ტკი-
ვილი და სევდასული. ესეც მოლოდინის შუა
გზაა გადაწარბული.

მადლობა ღმერთს კიდევ ერთი მძიმე ზამ-
თარი გადავაგორე. ახალი წელის ასეთი უღი-
მლამობა ჯერ არ მახსოვს. თითქოს აქ არც
კი ახსოვთ ვინმეს ეს შესანიშნავი და საოც-
რებო დღე. ფიქრით და გრძნობით თქვენთან
ვიყავი ჩემს სამშობლოში. აბა შენ იცი მოსა-
ვალში დამეხმარე, ნიგნები, რვეულები და
ფურნალ-გაზეთები გამომიგზავნე, თორემ ქა-
რთულ კითხვას სულ გადავეჩვიე. მომწერე
შენი მუშაობის და მიღწევების შესახებ.

ვკოცნი თამარკოს და მზიკას.
დიდი მოკითხვა მშობლებს, წერილს ცალკე
მოგწერ

იყავით სულ კარგად, ჯანმრთელად, გკო-
ცნით.

მისამართი იგეგვა, თქვენი ლევანი.

17/IV-33 წ.

აგვისტოს ერთ დილას, ჯერ კიდევ კარგად
გათენებული არ იყო, ბანაკის ერთი ნაწილის
პატიმრები წამოგვეყარეს, გაგვაშქრივეს და
მდინარე ობის მიმართულებით წავკრევეს.
ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, თითქოს ჩვენი
ნაწილი ნარიმის ბანაკიდან აყარეს. — არ
ვიცრ სხვა პატიმრები როგორ ხასიათზე და-
დგნენ. მაგრამ მე ჩემ მცირედი ბარგის იქ
დატოვებას ძალიან ვნაღვლობდი. ეს ხომ
ქართული ნიგნები და ფურნალ-გაზეთები
იყო არის გარეშე ყოფნა მე უკვე აღარ შე-
მეძლო.

უნდა გამოგიტყდეთ, ბარგის დატოვება და
ჩემი უნიგურად დარჩენა ისევ მძიმე ცხოვ-
რების დაწყებას მიქანდა. ეს ჩემთვის მე-
ორე უბედურების დასაწყისად მესახებოდა.



თვითონ წარმოიდგინეთ, ბანაკში დროს რომ ვიხელთებდი, წიგნს, გაზეთს თუ ჟურნალს რამდენჯერმე გადავიკითხავდი ხოლმე, ამით თითქოს გულს ვიოხებდი და დიდ შვებას ვგრძნობდი. ოცნება და ნატვრა ფრთას გაშლიდა, თითქოს მეც იქ ვიყავი, ვერეოდი ჩემი სამშობლოს ცხოვრებისეულ მაჯის ცემაში, კეთილდღეობაში თუ ჭირ-ვარამში, თითქოს მეც საქართველოს კეთილსაქმობით აქ ვცხოვრობდი. ამ ფიქრებით გართული ზანტად მივაბიჯებდი მდინარე ობის ხრიოკ, ნამდვილად ობმოკიდებულ ჭაობიან სანაპიროზე. პატიმრები სდუმდნენ, ალბათ აუგის მოლოდინში.

გემსაყუდართან მიგვიყვანეს. რომელიც მთლიანად დანგრეული აღმოჩნდა, წყალდიდობას ნაულეკია. ესე იგი, ერთად ერთი დამაკავშირებელი წერტილი ცოცხალ ცხოვრებასა და ჩვენთან, განრიყულებთან, განწყვეტილიყო ბევრს გაგვეხარდა, რომ ახალ ეტაპს გადავურჩით. შიში, რომელიც გულში მქონდა დაგუბებული, ამ დაობებულ ბილიცზე გაგვექარწყლა.

ქვის ლოდები მოვაგროვეთ, ტყიდან უზარმაზარი მორები მოვხიდეთ და რამოდენიმე საათი კარგა მაგრაც ვიმუშავეთ. ნავსაყუდარი მთლიანად აღვადგინეთ და გავამაგრეთ. შუა დღე უკვე გადაცილებული იყო, ცხელოდა, როდესაც წყალში ბანაობის უფლება მოგვცეს. ყველა ავნრიალდით, ვინაიდან ასეთი შესაძლებლობა ჩემი იქ ყოფნის მთელ პერიოდში ერთხელ გვექონდა და ალბათ უკანასკნელად.

რახან ასეთი სასიკეთო ბრძანება იყო, პირუბანა ჭუჭყიან პატიმრების ტანიდან ოფლისა და ჭუჭყისაგან ფერშეცვლილი საცვლები და ტანისამოსი სწრაფად ყველამ გავიხადეთ და ასე უსანოდ რეცხვას შევუდექით, გაწვურეთ და ცხელ ქვიშაზე გასაშრობად დავაფინეთ.

ამდენმა ტიტველმა გასაცოდავებულმა, განამებულმა კაცმა წყალში შეტოპეს და უსაზღვრო შვება იგრძნეს. ერთ წუთში დაგვაინწყდა ჩვენი გაჭირვება, პატიმრობა, ურდულები და წყალში მოპოვებულმა თავისუფლებამ ფრთები გაგვაშლევინა.

და ობის მკერდში ვიკრებით ხმ.ურით, გულუ გალალდი, შეასკდი ტალღებს. დავკარგეთ სივრცე და დროის სახოში დღეს დამე ბევრის საკირეს ანთებს.

საცოდავი დაკნინებული ხალხი გავლადდით, ზოგმა გაცურა, ზოგმა ჩაყვინთა, ზოგი ნაპირთან წყუმპალაობდა.

მე შიშველ ტანზე წყლის სისველე საამოდ მომხვდა. ამალღევა და ამაფორიაქა. ცდუნებას ვეღარ გავუძელი, გული და მხარი მეჩრქოდა. ხან მხარულით და ხან მოგვერდუ-

ლით წინ სწრაფვა ვერ შევიტოვე. რამდენჯერმე ჩაყვინთე და ვიტყვი, დავისვენე. წყალმა გამალაღა, გამამხნევა. ლურჯ-ნაცრისფერა პირქუში ობი ისე მდორეთ მიედინებოდა, მოძრაობა სულ არ იგრძნობოდა. გარშემო თითქოს პაერის მოძრაობაც შეჩერებულიყო, სიოს ნატამალიც არ ჰქროდა. დრო ვერ განვსაზღვრე, წყალში რამდენხანს დავყავი, ვილაღე, ცურვით გული რომ მოვიჯერე, ნაპირს გავხედე, იქნებ ბანაკში დაბრუნების დროც მოვიდა მეოქი.

დახეთ უბედურებას, არც მარჯვნივ და არც მარცხნივ ნაპირი არ სჩანდა. ყურთა სმენა გავამახვილე, არსაიდან ძახილი, ან რაიმე ხმაური არ მოისმოდა — ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მე და ობი აღმოვჩნდით მარტო. საშინლად აველელი, შევერთი. მხარი შემეცვალა, საით გავცურო უკვე აღარ ვიცი, რომელია მარჯვენა ნაპირი, რაც ძალი და ღონე მქონდა ყვირილი და ძახილი დავიწყე. არსაიდან პასუხი, არსაიდან ჩამი-ჩუმო.

წინ გავცურე. მერე ისევ შემოვტრიალდი, უკან გამოვცურე. დიდ საგონებელში ჩავვარდი. მართალია ცურვა კარგი ვიცოდი, ობის სიგანეც (7-8 კილომეტრი). მახსოვდა, შესვენებით და ნელი ცურვით იმის დაძლევის იმედიც მქონდა, არ მეშინოდა. მაგრამ რამდენ ხანს მოვუნდებოდი ამ მანძილის დაფარვას ეს არ ვიცოდი. შესაძლებელია თავზე დამლამებოდა კიდეც ასე წყალში. ამასთან დაკავშირებით (ორჭოფული) ცუდი აზრებიც შემომეპარა. არ ვიცოდი მარცხენა ნაპირის ადგილმდებარეობა, ახლო-მახლო სოფლების არსებობა, ნაცხოვრებელი ხალხის ეროვნება და სხვა. ასე უყურადღებობას თავს ვერ ვაპატივე. იმ ნაპირზე ვინ დამიჯერებს, რომ ჩემი იქ გაჩენა, ასე შიშველისა, წმინდა შემთხვევითობა არის. უდაოდ ბანაკიდან გაქცევის მცდელობად ჩამითვლიდნენ. მიდი და უმტკიცე რამდენიც გინდა, ვინ დაგიჯერებს? ერთ წუთში თავში ბევრმა აზრმა გამიარა, იმაშიაც კი დავიჭირე თავი — იქნებ მართლა გავიქეე ბანაკიდან. ამისთანა შესაძლებლობა არასდროს აღარ მექნება. ცდუნება დიდია, მაგრამ გადაწყვეტა ძნელი აღმოჩნდა, იმ წუთშივე წარმოვიდგინე სამუდამოდ სამშობლოს დაკარგვა, მშობლების ღალატო, მუდმივად შიშის ქვეშ ყოფნა, არალეგალურად სადმე ღრმა რუსეთში სხვისი საბუთებით და სახელით ცხოვრება და არსებობა ბედის წყალობით.

იმ შემთხვევაში, თუ ვინაობა გაირკვეოდა, ცოცხალი თავით არ ჩავბარდებოდი „ჩეკას“ ასეთი გამანარებული ცხოვრების ისევ თავიდან დაწყებას უკვე ვეღარ ავიტანდი. თვალ-



ნინ წარმომიდგა ისევ მშობლების ანიოკე-
ბა, ოჯახის მთლიანი განადგურება.

ყველაფერი აირია და დაირია თავში, აი-
წონ-დაიწონა. — ეს რა მომივიდა, როგორ
მოვიტყე? — უკვე ხმაამალა სწუხდა ლევანი
და თავის თავს საყვედურობდა.

არა, მე მაინც მარჯვენა ნაპირი მიჩრე-
ვია. აქედან ეს ნაპირი ბევრად ახლოა. და
შესაძლებელია ჩემთვის ამჟამად უფრო მარ-
თებულად იყვეს".

ამრიგად ლევანი საშინელ საგონებელში
იყო ჩავარდნილი, როდესაც თავის სიცოც-
ხლეში, როგორც ის ხშირად ამბობდა, პირ-
ველად ბედმა გამოიღიმაო. მეგონა, მომეჩე-
ვნა, მაგრამ ეს სინამდვილე იყო. მშიერმა და
აღბათ დაკარგულმა კოლომ კარგად ლაზა-
თიანად მიკბინა ზურგზე.

— ეს უნდაა, რომ კოლო უფრო ახლო
მარჯვენა ნაპირიდან იქნებოდა, მით უფრო,
რომ ჩვენი ნაპირის ქაობებში ასეთი კოლო-
ები ბევრია და ეს კბენაც შინაურულად მე-
ნისშნა. იმ წუთშივე კოლომ ზურგი შემაც-
ლევინა. ბევრი ცურვის შემდეგ ნაპირს მი-
ვადექი ფეხი მინას რომ დავადგი, სიცოც-
ხლის ძალის მომატებმა ვიგრძენი. ჩემს მიერ
ნარიმში არაფრად დაფასებულ სიცოცხლეს
იმ წუთშივე დიდი ფასი დაედო. როგორი
ძლიერია სიცოცხლის ძალა. მიუხედავად იმი-
სა, რომ ამ სანაპიროზე შიშველი ვიყავი, ვე-
ლური კაცივით. სულ მარტოდ მარტო. მშიერ-
მწყურვალი, გულს ბუკი გაჰქონდა, ხარობდა.

წავსაყუდარის ძებნა დავიწყე. ისიც მოვი-
ფიქრე, რომ მდინარის შინაგანი დინება მა-
ინც ქვევით ჩამათრედა, ამიტომ ნაპირს ზე-
ვით ავყვი, ბევრი ვიარე, სანამ მივადექი
ნაცნობ ადგილებს. ტანსაცმელი, რა თქმა
უნდა, იქ არ დამიხვდა. მზე უკვე დიდი ხნის
გადასული იყო და დღეს ბინდი დაეტყო.
ტყეში შევიარე, ფოთლების შიშველი ადგი-
ლები დავიფარე და ბანაკისაკენ მიმავალ ბი-
ლიკს სწრაფად ვავლევი. აქ კი ისეთი უცხა-
ურობა შემხვდა, არასდროს არ მოველოდი.
თოფიანმა კაცმა, ბანაკის დარაჯმა, კარი არ
გამიღო და ციხეში არ შემიშვა.

— აქედან გამეცალე თორემ გესვრიო, და
თოფი დამიმიხნა.

— მე დალოცვილო. მე ციხეში შესვებას
გთხოვთ, თქვენი ტუსალი ვარ. იქედან გამო-
შვებას კი არაო.

— ჩემთვის სულ ერთია, ვინა ხარ. არ შე-
მოგიშვებო, ნადი, გამეცალეო. კარებთან ატე-
ხილ აურზაურზე მოვიდა უფროსი ზედამხე-
დელი. მე, რომ დამინახა, არ ესიაშოვნა.

შენ განა ობში არ დაიხრჩეო, ასე გვი-
თხრეს პატიმრებმა. ჩვენ ამ ბანაკიდან ჩა-
მოგწერეთ და ეხლა მკვდარი სული ხარ, შე-

ნი ტანსაცმელი სხვას ჩავაცვიო, რაღა გე-
ყოთ. ბანაკისათვის მკვდარი სული ხარო. ხა-
ერთოდ კი მივეკირს, იქედან როგორ გამო-
ცურეო. მერე ბანაკის უფროსის ბრძანებით
ბანაკში შემიშვეს და ვილაცის ჭუჭყიანი და
პატარა ზომის ტანსაცმელი ჩამაცვეს. ჩემი
ზომის ძველი ფეხსაცმელი ველარ მიშოვნეს,
ამიტომ დიდხანს ფეხშიშველა დავდიოდი.

ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ რო-
გორც უდისციპლინო და ურჩი პატიმარი
ერთი კვირით იზოლატორში ჩამავდეს. ჯერ
შემოშვება არ უნდოდათ, მერე კი დამსაჯეს.
ეს ნამდვილად დიდი ტრაგიკული კომედია
გათამაშდა.

ჩემს შესახებ ბანაკში დიდი მითქმა-მოთ-
ქმა დატრიალდა, ყველა გაკვირვებული და
გაოცებული გადასცემა ერთმანეთს, რომ მე
ობი გადავცურე, წარმოიდგინეთ აქედან არ
გავიქეცი და ისევ უკან წამოვიდი ბანაკში.
აქ კი აღარ მიშვებდნენ — მკვდარი სული
ხარო. მის ადგილას მე რომ ყყოფილიყავი,
ყოყლოჩინობდნენ ბევრნი, ყაჩაღად გავარდ-
ბოდი, გავმდიდრდებოდი და დიდ საქმეებს
დავატრიალებდი, იგი ამხელა მდინარეს შე-
ებრძოლა. „ჩეკას“ კი ვერაფერი მოუხერხაო,
ისე ეშინიანო. სადღაც ეს ნათქვამი მენიშნა
კიდეც. სიმართლესაც შეეფერებოდა, ვინა-
იდან „ჩეკა“ მე-20 საუკუნის რაღაც საშინელ
საოცრებას წარმოადგენდა, არ ნახულს და არ
გაგონილს.

საყვარელო დედა და მამა!

ვიმგზავრე გემით ნარიმიდან ახალ ციხბი-
რისაკენ. მძიმე და დიდი გზა გამოვიარეთ.
აქ, აღბათ, ყველაფერი შემსუბუქდება.

ახალ ადგილას წამოგვიყვანეს 10 კაცი. სა-
დაც არ უნდა იყვეს ჩემი სამყოფელი, რანა-
ირიც არ უნდა იყვეს იქ პირობები, მაინც
მოხარული ვარ და ბედნიერი, რომ საშინელ
ნარიმს თავი დავაღწიე და გამოვასწარი. წა-
რმოდგენა არ შეიძლება, თუ რა საშინელე-
ბა იქ თავიდან ბოლომდე. იქ ჩვენ ყველა
სასიკვდილოდ ვიყავით განწირული, ამიტომ
ყველაფერი სიკვდილისკენ იყო მიმართული.
ხვალ უკვე ახალ ციხბირში ვიქნები და უკვე
მეცოდინება სად ვიმუშაებ, ეს კი დიდი
შეღავათია. ჩემ ბანაკურ ცხოვრებაში, ხანგ-
რძლივი შრომის დიდი გზის დასაწყისია. მა-
ნამდე წამება და ნვალება იყო უმოქმედო.

თქვენი გამოგზავნილი ფული 80 მანეთი
მხოლოდ გამგზავრების წინ მომცეს, სწორედ
კარგ დროს. როგორ არიან ჩემი ტასო, სან-
დრო, თინა და ბავშვები, ყველას გულითადი
მოკითხვა. ყველა ძალიან, ძალიან მომენატ-
რა.

მოკითხვა ნათესავ-შეგობრებს.

მონყობისთანავე შეგატყობინებთ მისა-
მართს.

გაკონით თქვენი ლეკანი.
11/III-35 წელი.

საყვარელო დედა და მამა!
28/IX-35 წ.

აქეთ-იქით ეტაპით ბევრი გვატარეს —
გვათრიეს, დაგვალაეს, გვაშიშოილეს და და-
გვაუძღურეს, მაგრამ მაინც ცოცხალი გა-
დავრჩით. სად არ ვიყავით, მთელი ახალი
ციმბირის საშინელი ციხეები და ბანაკები
შემოგვატარეს. ვერ წარმოიდგენთ, აქ რა
ხდება. ყოველივე წარმოუდგენელი და არა-
ადამიანური. ბოლოს ქალაქ ბიისკში გამა-
ნაწილეს.

ბიისკი ზონალური ქალაქია, ალტაის მხა-
რის საკმარისად მოზრდილ მდინარე ბიას
სანაპიროზე მდებარეობს. ეს დასაწყისი პუ-
ნქტია ჩუისკის ავტონომიური ოლქის. სამუ-
შაოდ გამაშენეს მარცვლეულობის მეურნე-
ობაში ეკონომისტად. ამდენი ხნის მანძილზე
ეს პირველად არის ჩემი ადამიანად ჩათ-
ვლა და ისიც სპეციალისტად. ამან ისე გა-
მახარა, მგონია მეშველა კიდევ.

ამ მეურნეობაში გარდა პატიმრებისა თა-
ვისუფალი დაქირავებულებიც არიან, ზოგი
ყოფილი პატიმრებია თავისუფალი გადასა-
ხლებით, ზოგი კი, უბრალოდ აქაური მაცხო-
ვრებლებია. ხალხთან დავამყარე უკვე საქ-
მიანი ურთიერთობა. საერთოდ, ისე გადავე-
ჩვიე ყოველივეს, რომ მე თვითონ მიკვირს
ყველაფერი. ამ მეურნეობაში ბანაკური რე-
ჟიმი თითქმის არ არის და ყოველმხრივ
სრულიად მოულოდნელად დამაკმაყოფილე-
ბელ პირობებში ჩავვარდი. ამ ქალაქში ბევრ
ქართველებსაც შევხვდი.

ჩემს გარშემო ატმოსფეროც შეიცვალა.
კვებაც სასაბილოში ნორმალურია და ალ-
ბათ ჯამაგირიდანაც რაღაც კაპიკებს მაინც
მომცემენ, ამიტომ ცხოვრება შემომსუბუქდა
და შემომიბრუნდა. პირველ ხანებში ალბათ
ფული დამჭირდება, მაგრამ მერე კი ამაზე
ალბათ აღარ შეგანუხებთ. ყოველ შემთხვე-
ვაში მე ასე მგონია.

თუ ეს დროებითი ამბავია, ვადის დამთა-
ვრებამდე, და ასეთ ცხოვრებაში აქ დამტო-
ვეს, მე ვიტყვოდი, ბედმა გამილიმა, ღმერთმა
შეება მომცა. თუ ეს ჩემ მუდმივ სამყოფე-
ლად დარჩა, მაშინ ისევ წვალება და ბანაკი
მორჩენია, როდისმე მაინც განვთავისუფლ-
დებოდი.

აბა იყავით კარგად, გაკონით ყველას
თქვენი ლეკანი
ჩემი მისამართია гор. Бийск Зер
посовхоз имени 1-го мая.

გაზეთებიც ამ მისამართით გამომიგზავნეთ.

20/III-36 წელი, ქალაქი ბიისკი
საყვარელო დედა და მამა!
ნებში თქვენგან წერილები ნაკლებად მომ-
დის.

დედა, შენი ღია ბარათი მივიღე და გიპა-
სუხე კიდევ. ეს იყო და ეს. გმადლობთ
1/III-დან ვლებულობ გაზეთ „კომუნისტს“.
მე კარგად ვარ, ჯანმრთელად. იქვე ვმუშა-
ობ, ვიმალეებ ჩემს დახელოვნებას ეკონო-
მიკის დარგში და აქაური სპეციალისტები
კმაყოფილები არიან ჩემი მუშაობით. ამ ქა-
ლაქში და ამ ბანაკში ისე კარგადა ვგრძნობ
თავს და ისეთ გარემოცვაში მოხვდვი, არა
მგონია რომ აქ დიდხანს გამაჩერონ. მე ხომ
განგებოდან მისჯილი მაქვს მძიმე ცხოვრე-
ბა, წამება და გაჭირვება.

პატიმრობის პერიოდში ვადა კი არ მიდის,
არამედ ვადა მცირდება. დღეები კი პატიმრუ-
ლი ბუშლატებივითაა. ასე თუ ისე 10/IX-36
წელს ვადას ვათავებ, მაგრამ ეს, როგორც
სჩანს, ისევ არაფერს ნიშნავს. არც მინდა
ამაზე წინასწარ ვიფიქრო, ავფორიაქდე, გუ-
ლი გავიტებო. ფიქრი თვითონ წყდება. ასე
მგონია, მორჩა და გათავდა, ჩამოვწყდი სა-
მშობლოს საბოლოოდ და სამუდამოდ. დავ-
რჩი მარტო. მომავალი შეციებულ, ბნელ და
უკუნეთ ღამედ მესახება. ვიცი ჩემი ბედის
უკუღმართი წყალობა. ამიტომ არ მინდა ამა-
ზე ვინერვიულო, მაგრამ სანავიო დარდი სა-
ნავიო არის თვითონ.

თბილისში დაბრუნების არავითარი იმედი
არ მაქვს.

მოკითხვა ნათესავ-მეგობრებს. მივიღე ცა-
ფულას და კიკას წერილები, მათ ვუპასუხე-
როგორ არიან ბავშვები, კარგად წამოიზა-
რდნენ ალბათ, მე ვერც ვიცნობ მათ.

აქ ჯერ ზამთარია, თქვენთან კი გაზაფხუ-
ლია, ნაირფერებით შემკული და აბიბინებუ-
ლი.

მამა, მე ჩუმად იმასაც გეტყვი — ის ყმა-
წელი აღარ ვარ, სადაც ჯერ ჩემი ღალა არ
ამიღია. ეხლა აქ ბევრი რამ ახალი ჩემთვის
მოულოდნელი აღმოვაჩინე. ეს საოცრებაც
გავარკვიე, ნასაწილეს უფრო ესაჭიროება
ნაშლა, ვიდრე დასაწერს დაწერა. საქართვე-
ლოზე და თქვენზე უკვე ვერას ვიტყვი, ეს
ხომ ჩემი ოცნება და მოგონებებია მხოლოდ,
ტკივილზე უფრო მძიმეა სევდა, გულს რომ
მინურავს, ყინულივით მესხიერების ვებირს
რომ არღვევს.

რა ვქნა, როგორ მოვიქცე, ძალიან მინდა
იქ, თქვენთან ერთად ვიყო.

ჩემი პატიმრობის მთელ პერიოდში უზა-
დოთ ვიქცეოდი, რათა არაფერზე ბრალი ხელ-
მეორედ არ დამდებოდა, რა სიმძიმე და წვა-
ლება გადავიტანე. ვინ გაიგებს, მარტო გან-
გებამ იცის.

გხლა მინდა ვიყო თქვენთან ერთად უკლებლივ, ვზიდო სამშობლოს და ოჯახის სიმძიმე სამარის კარამდე.

ო, ო, ოცნება, ოცნება, ოცნება, რომელიც ხანდახან მაგიჟებს კიდევ.
ბაკონით თქვენი ლევანი.

ქალაქ ბისკიდან, ლევანის წერილებში, როგორც აღვნიშნეთ, ხასიათის გაუმჯობესება შეიმჩნეოდა და საერთო მდგომარეობაც უკეთესობისაკენ შეცვლილი ჰქონდა, მაგრამ ამ პერიოდში მის ლექსებში მაინც იგრძნობოდა ღრმა სევდა სამშობლოს მიღმა ყოფნის გამო.

ქვევით გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე ლექსი დანერილი ქალაქ ბისკიში.

წერილი ქართველ დედას
მინდა მოგწერო!
მგლოვიარე გულის ძაძები
მოგწერო მინდა!
და ვერ ვბოვებ ხმა ანატარი,
მინდა ვიტყვიო!
და ეს ცრემლი ვერ გამოვძებნე,
ვითვრო მინდა
და უბრალოდ გითხრა რაც არის —
ღიახ, ღიახ, გარდაიკვალა, მოკვდა,
განუტევა.
აღარ მყავს მეტი, აღარა,
მას ოფლიანი დარჩა საცვლი
და ბევრი სისხლიც ნახვევებში
გადანალვარი.

დედავ, იმცხადე.
იქნებ ცრემლმა გული მოაღბოს.
იმცხადე დედავ,
ბუბუთაგან დაიხშენ კვარში.
ამ უცხოეთმა
ასე ადრე გული მოაღბო,
ამ უცხოეთმა
შენი შვილი დაისაკუთრა,
ამ ჩრდილოეთში, ამ ველებში კპოვა
საენე.
სიკვდილში ყველა ობოლია,
მაგრამ სიკვდილი უსამშობლოდ
უფრო მწარეა, უფრო ბრალი, უფრო
სანანი.

სიტუვას გადავწვავ, სტრიქონს ვაცეცლებ
ამ სურვილებს რომ დავიოკებდე.
ღიახ, შენი შვილის სიცოცხლე მოკვდა.
ღიახ, შენი შვილის სიკვდილი ცოცხლობს.

ო! ო! იმას, ვგონებ, გახელილი დარჩა
თვალები!?

ო, რა ძნელია უცხოეთში გარდაცვალება.

სევდა, ღიმილი...

და სათნოების წამი მეწვია,
ავზიდო ბარემ ეს ზვედრი მძიმე.

ო, შუაგზიდან წამოვა წვიმა
და კინდა იცის. თუ გაიღიარებს,

და არის სიტყვა, სევდა, ღიმილი,
როგორც მის ძირში ღანდი ტვიფარი.
ო, მაცხოვარო, ისე დააღამე
წურავის მოქალაქე! ყველა დაიფარე.

„ALARME“

რა ცუდია ღამეში როცა აკაკუნებენ
და შემოვა კამეჩი თეთრი ხელთათმანებით,
თვალს ჩაგიკრავს, ისე თუ საცეკლოცოთ
მავალი,

უწნაურ გაღიმებით მეტყვის სიტყვა-
შაიბებს
და შენ კი უყვისმათო როგორც ბრმა
თავთაველა,

როგორც ფუჭი იმედი გულის ყურში
ჩაირეც
და აზრია წიწვერათ თუნდაც სახლი
დახურე,

გვიან მოვა ოცნება გზა მას გადაუარაზო.
ის ლოგინზე მიწევა ისე სახელდახელოდ,
როგორც ძველი ნაცნობი, როგორც გულის
მურაზი.

და ცუდია ღამეში როცა აკაკუნებენ,
როცა არვის მოელი და ვილაცა მოვიდა,
როცა გარეთ ღამეა, და სულში კი სამარე,
გული ისე მოგიკლეს, დაახვიეს მორგვივით.
იშოშმინე ძამიავ, შემოირტყი ქამარი,
ადექი და კარდაკარ გაიარე ისე, რომ
არას ხელი არ გაჰკრა, გული არ დაისერო.
რა ცუდია ღამეში როცა აკაკუნებენ.

გზა წინამური

არსაიდან ხმა, არსად ძახილი,
მშობელი შობილს არჩას ეტყოდა.
„ელეგია“, ილია.

სად ხარ, მშობელო, მითხარი რამე
სადა ხარ, სადა ხარ მარქვი?!
გულს შემოაწვა უტეხი ვარაზი
და ღამის გათავდეს აქვე.

მშობელო, მითხარ თუ არა დაიბნა ფიქრი,
მალა — ქარია, წინ — სიშავე, ხმა
დაბლობიდან,

ო, ეს ღროებაც იღორბლება და ისე
მიჰქრის,
გულშიც ნისლია ქალოსანი დააბლაბუდა.
ნაცადი ბუღე კული გორასი
ბლაქაშვილს მოელოდება,

სევდის ურემი კიდევ მოგორავს
და მეურმესთან მოვლენ ღანდები.
გზას დარდი კმოსავს იღვდება
ეს გულიც მეტყვის: წამო, იარე!

აღარც მთაწმინდა, აღარც დიდუბე,
ჩვენი გზაც ისევ წიწამურია,
და მიმიღია ტანჯვა ესოდენ,
აქ თითო კილო სხვა მიხვილია.

და ელეგია რისთვის ჰკენსოდა,
მარქვი ილიავ, მარქვი ილიავ?!
შუბლი იმ თავად მოვიეკალე,
ხვედრია — ვიცი მეც მეხედება,
ჩვენში მგოსანი არ უნდა მოჰქლან
ან მგოსანი ჰკლავს შემოქმედებას.
ამ უნდო ხელმა გზა გააჩალა,
ამ ხელებსავე თავში დავიშენ.
ო, შენი სისხლი, მე ვარ ყაჩაღი,
და მევე მომკლეს წიწაპურშივე.
და საქართველო შენს წინაშე დგას
ნამრუსევი,

მშობელი გულიც იქ მოითხარა.
მითხარი რამე, რამე მითხარი...

ლევანის ქალაქ ბიისკში მოხვედრამ და მუ-
შაობის დანებებამ მნიშვნელოვნად შემოაბ-
რუნა მისი მდგომარეობა. იქიდან მოსულმა
ნერილებმა მშობლები ძალიან გაახარა და
გაამხნევა. ოჯახში ძლივს გამოიდარა. ყვე-
ლას შეეცვალა ხასიათი.

რადგან ლევანს შეღავათიან ბანაკში ამუ-
შავებენ, შესაძლებელია, გამოუშვან კიდევ.
იქნებ მართალი გვიოხრა ქორიქემ. თუმცა
ლევანს ამის არა სჯერა.

— ლევანი იწერება, ფიქრი არ მინდა ვა-
დაზეო, მაგრამ ვადის დამთავრებასთან და-
კავშირებული ციებ-ცხელება, ეტყობა, უკვე
დაეწყოს. ეს ციებ-ცხელება ძალიან გადაძდები
სენია და მემონია ჩვენც არ დაგვემართოს,
— ამბობდა მამა.

— ლევანი სულ ბიჭი იყო, როდესაც შო-
რეთში გავისტუმრეთ, ეხლა კი 31 წლის კა-
ცია. ვერ წარმომიდგენია მისი ასე გამწა-
რებულ ცხოვრებაში დავაჟაკება. ძალიან
მაინტერესებს, როგორ ჩამოყალიბდა და რო-
გორი კაცი დადგა.

— ღმერთო, მის თბილისში, სახლში დაბ-
რუნებას მომასწარი და მერე თუ გინდა მო-
შკალი კიდევ. — ხშირად იმეორებდა მამა,
რომელსაც ნერვიულობა და ალელეება უკვე
მკაფიოდ ეტყობოდა და რასაც ვეღარ მალა-
ვდა.

— სიღინჯეა საჭირო, სიღინჯე და წყნარი
მოლოდინი ყველაფრის განსაზღვრით — ვინ
იცის, იქნებ კიდევ გვიმუხთლოს ბედმა. თუ-
მცა ამ ჯერად მე შინაგანი განწყობა კარგს
მეუბნება, — ხშირად იმეორებდა მამა.

— შენი მზრუნველობა და ხელი ნუ მოგ-
ვაკლოს ღმერთმა ამ სიკეთის მოლოდინში.
მაშინ კი, ჩვენ სუყველა, ნამდვილად, ეს შენ
იცოდე, დიდი უბედურები ვიქნებითო და
ამიტომ თავს მოუარე. და, რაც მთავარია,
შენ არ დაგემართოს ლევანის ვადის დამთავ-
რებასთან დაკავშირებული ციებ-ცხელება, —
ეუბნებოდა დედა, რაზეც მამა ჩუმად ილიმე-
ბოდა, მაგრამ ლევანის ვადასთან დაკავში-

რებულ ციებ-ცხელებას უკვე აყვანდნენ მკურნა-
ხელში სუყველა.

1936 წელია. ჩვენი მატერიალური მდგომარეობა მცირედად გამოკეთდა. სანდრო მუ-
შაობდა და მთელი ოჯახის სიმძიმე მის კი-
სერზე იყო. მამაც მუშაობდა. თინაც ამთავ-
რებდა სამედიცინო ინსტიტუტს და ექიმი
ხდებოდა. ჩვენ, ბავშვებიც, წამოვიზარდეთ.
უკვე სკოლის უფროსი კლასების მოსწავლე-
ები ვიყავით და ყველაფერში კარგად ვერკ-
ვეოდით.

გულის ფანჯრალთ ველოდით ლევანის ვა-
დის დამთავრებას. რატომღაც ყველა დარ-
წმუნებული ვიყავით, რომ დაბრუნდებოდა...
ამ განწყობით ვცხოვრობდით და ყველა გა-
დატანილ გაჭირვებას სიამოვნებით დავივი-
წყებდით.

თბილისში საერთო-პოლიტიკური მდგომარეობა მაინც დაძაბული რჩებოდა. რეპრესი-
ები და დაპატიმრება კი არ შენედა, პირი-
ქით, უფრო მძინვარებდა. მაშინ დააპატიმ-
რეს მამას თითქმის ყველა ამხანაგი და მე-
გობარი. დედა მამის გამო სულ შიშობდა.
მამაც შიშობდა, სულ იმას ამბობდა — ეს
რა დრო დადგა, რას მოვესწარი, საუკეთესო
ინტელიგენციას და მათ შვილებს ანადგურე-
ბენ, საქართველოში სწავლული და განათლე-
ბული ვინდა უნდა დარჩეს! სავალალო ისაა,
დაჭერების მიზეზები გაურკვეველია. ამდენი
ნამდვილი პატრიოტი სამშობლოს მოღალა-
ტეებათ გამოჰყავთო.

დღეები და თვეები სწრაფად გარბოდნენ.

შესანიშნავი, ფერად ყვავილოვანი და ხვა-
ვიანი გაზაფხულიც მოვიდა — მაისობის
დღეებიც კარზე მოგვადგა.

ლევანის მდგომარეობის გამოსწორებასთან
დაკავშირებით ოჯახში სიმშვიდე და სიხა-
ლისე იგრძნობოდა. მშობლებმა გადანწყვიტეს
მაისობა და თამარობა — ეს შესანიშნავი
თარიღი, პატარა ზემოთ აღენიშნათ. წლების
მანძილზე გადატანილი გაჭირვების, დაძაბუ-
ლი ცხოვრების შემდეგ ცოტაოდენი სიხარუ-
ლი უნდოდათ ჩვენ სახლში დატრიალებული-
ყო.

დღესასწაულისათვის მზადება ადრე და-
ვინწყეთ. მშობლებს უნდოდათ ყველაფერი
ყოფილიყო ტრადიციულად. პირველ მაისს
დათქმულ საათზე ყველა, როგორც ერთი,
ჩემი კლასელები მესტუმრა.

დაკვრა, სიმღერა, ცეკვა, სიცილი, მხიარუ-
ლება, ყვირილ-ხივილი მოედო სახლს და მთელ
არემარეს. მხიარულ განწყობილებას მოკლე-
ბული ჭერი გალალდა, როგორც უმცროსე-
ბმა, ასევე უფროსებმაც კარგად მოვილხი-
ნეთ. მამამ გამოიტანა ტკბილი ღვინო —
ხვანჭყარა და ჩემ ამხანაგ ბიჭებს ზომიერ-
რად დააღვინა. ეს მათთვის ღვინის პირვე-



ლი დაღევა იყო, ამიტომ ამ დღეს ჩემი ამხანაგები დიდხანს იგონებდნენ დაჯერაც მთავარია, ამბობდნენ, მამაშენმა ჩვენ დაგვა-ვაყვაცაო. სადღეგრძელოებიც ითქვა: სამშობლოს სიყვარულზე და მის კეთილდღეობაზე, მეგობრებაზე, ცოცხლებზე თუ გარდაცვლილთა ხსენებაზე და განსაკუთრებით კი უდანაშაულო რეპრესირებულ დაკარგულ ხალხზე.

მამამ მერე ისიც აღნიშნა თუ ჩვენ, ბავშვები, როგორ შეუმჩნევლად წამოვიზარდეთ და დავვაჟავადით, უფროსების მსგავსად მსჯელობაც შეგვიძლიან, აზრთა გამოთქმა და გარემოს სწორი გაანალიზება. — განგებამ ხელი მოგიმართოთ. შემდეგ გვისურვა დიდი წარმატება, — თქვენ ჩვენი იმედი ხართ და, აბა, თქვენ იცით როგორ სწორად წარმართეთ ცხოვრებას, მთავარია სამშობლოს სიყვარულით და სიმართლით კეთილი საქმე აკეთოთ, — დაგვმოძღვრა მამამ. პატარა ლხინი დიდ ზეიმში გადაიხარდა. კმაყოფილნი დავიშალენით. მამამ, როგორც ყოველთვის, წასვლის წინ ყველა გადაკიცხა და დედას უთხრა: — წავალ, ჩემს მეგობრებს მოვიჩახულებო. ვინ წარმოიდგენდა, რომ მამას ეს მოფერება უკანასკნელი იქნებოდა ჩვენთვის და სახლიდან გასვლაც საბედისწერო. მამა კატასტროფაში დაიღუპა. როგორ და რა პირობებში, ბევრი ვარიანტი იყო, ზუსტად კი არავინ იცოდა. ისიც კი იყო ნათქვამი, რომ შესაძლოა ეს კატასტროფა მონყობილიც ყოფილიყო. იმ დროს ბევრჯერ ხდებოდა ასეთებაც.

მამას სიკვდილი ოჯახს მეხივით დაეცა, ჯანმრთელი, 63 წლის ბრგე, ძალღონით სავსე კაცი, ოჯახის ბურჯი სახლიდან გავიდა და 3 საათის შემდეგ უკვე აღარ იყო ცოცხალი. სანაყლაბა სანდრომ საშინლად განიცადა მამის დაღუპვა, პირველად მას შეატყობინეს. ის დიდხანს ტრიალებდა ჩვენი სახლის გარშემო და ძალიან უმძიმდა ჩვენთვის ამ საშინელი ამბის შეტყობინება.

მამის ყველა საუკეთესო თვისებებისა, მისი სითბოსი, სიყვარულის, კეთილკაცობისა და ვაჟკაცობის გარდა ოჯახს ყოველდღიური მზრუნველობა და შემართება იმ წუთშივე დააკლდა. აუნერგლია ის საშინელება, რაც ჩვენ ოჯახში ტრიალებდა. ლევანს დეპეშა გაუშვხავნეთ იმ იმედით, რომ იქნებ რამდენიმე დღით მამის დასაფლავებაზე გამოეშვათ. ცოცხალს თუ ვერ მოუსწრო, რაზეც მამა ასე ოცნებობდა, მკვდარი მაინც ენახა და უკანასკნელი ვალი მის მიმართ მოეხადა. მით უფრო, რომ პატიმრობის ვადა რამდენიმე თვეში უთავდებოდა. ლევანი არ გამოუშვეს.

მამა ვაკის სასაფლაოზე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დავასაფლავეთ.

მამის მეგობრების უმრავლესობა დამატარებულ იყო. ამიტომ დასაფლავებაზე მისი თანამოაზრეები, თანატოლები და მეგობრები, ვინც ჩვენთან ხშირად დადიოდა, ბევრი აღარ იყო. დასაფლავებაზე უცხო და უცნობი ადამიანებიც შეიმჩნეოდნენ, რაც საზოგადოებაში შიშს იწვევდა. ამიტომაც მამას დასაფლავება უხმაუროდ, გამოსამშვიდებელი სიტყვების გარეშე მიდიოდა.

ყველასათვის გასაგები იყო იმ დროინდელი დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობა და სისხლიანი რეპრესიები. სულ უკანასკნელ მომენტში, როდესაც სამარის პირზე მამას გამოვეთხოვეთ, მისმა მეგობარმა ნიკო თავდგირიძემ ვეღარ მოითმინა და მეტად მგრძნობიარე გამოსამშვიდობებელი სიტყვა წარმოსთქვა. მან ბევრი აქო სანყალი მამა, განხენა მისი ყველა ღირსება და საზოგადოებრივი დამსახურებაც ახსენა, ხაზი გაუსვა მის წამდვილ ქართველობას, უზადო პატრიოტიზმს და უაღრესად დიდ განათლებას და ბოლოს ისიც მიაყოლა: ეს რა დროში ვცხოვრობთო, შენი ოქრო ვერ ბრწყინავდა, სხვისი სიყალბე კი ძლიერ აჩხრიკადაო.

ეს გამოთხოვება ბატონი ნიკოსთვის საბედისწერო გახდა, იგი დააპატიმრეს და უკვალოდ მოსპეს.

მამას ძლიეს მიეყარეთ მინა, რომ უცებ დაბნელდა, ცა ჩაშავდა. გაპირქუშდა და წამოვიდა არნახული და შემზარავი თავსხმა. ალბათ ბუნებამაც შეიგრძნო ასეთი ადამიანის უდროოდ დაკარგვაო. შინ დაბრუნებულებს საშინელი სიცარიელე დაგვხვდა.

— რა მამა დავკარგეთ, რა კეთილი და ღირსეული ადამიანი, — ტიროდა დედა. — ლევანი, ალბათ, ვეღარ ჩამოვა. მე უკვე აღარაფრის იმედი აღარ მაქვს. სანდრო და თინა მთელი ოჯახის სიმძიმე ახლა თქვენ დაგანვებათ, მართალია გაგვიჭირდება, მაგრამ გთხოვთ: ლევანს ძველებურად უნდა დავეხმაროთ და ბავშვები — თამარი და მზია ფეხზე დავაყენოთ.

მამას ნათელი ხსოვნა არასდროს არ დავივინყოთ. დადგება დრო, როდესაც თამამად და ახლილად ითქმება საქართველოს და მისი საზოგადოების წინაშე პართენ გომთუას დამსახურების შესახებ ყველაფერი.

წარიძის გარშემო მიმოვანტულ პატარ-პატარა სოფლებში: გოროდშივე, კოპააკოვი, ინკინო, ტორგუსი და სხვა განლაგებულია მრავალრიცხოვანი პოლიტიკური ბანაკები და თავმოყრილია სამუდამოდ დატოვებული ემერეთნოდებულ თავისუფალ გადასახლებაში მყოფი გასაცოდავებული ხალხი.

აქ მუშაობდა ორი ახალგაზრდა ქართველი ქალი, ექიმები ოლია მესხი და მაცყალა



რამიშვილი. ეს ახალგაზრდა ექიმები შორეულ ციმბირში სრულიად უდანაშაულოდ მოხვდნენ საექიმო ეთიკისა და ადამიანური გრძნობის გამოჩენის შედეგად. ორივემ ერთდროულად 1928 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და სამუშაოდ განაწილდნენ საგარეჯოს რაიონში.

იმ დროს საქართველოში მეტად მძიმედ და მტკივნეულად მიმდინარეობდა კოლექტივიზაცია. ბევრი პატოსანი მშრომელი ოჯახი უდანაშაულოდ გააკულაკეს. წართვეს ყველაფერი, დასტოვეს უსახლკაროდ, მშიერ-მწყურვალი — გასახლების მოლოდინში. სოფლის მოსახლეობა და ინტელიგენცია უთანაგრძნობდა ამ ოჯახებს და ბავშვები გზაში შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ მათ დახმარების ხელი გაუწოდა. ექიმებს შორის იყვნენ ოლია და მაცვალაც.

მეორე დღევე ეს ახალგაზრდა ექიმები დააპატიმრეს, ციხეში ბევრი აწვალეს. ყოველგვარი გასამართლებისა და დაკითხვის გარეშე „სამუღმა“ მათ გადასახლება მიუსაჯა შორეულ ციმბირში, როგორც პოლიტიკურ დამნაშავეებს გრძელი ვადა აჰკიდეს.

წარიმის ოლქში მოხვედრისთანავე მათ სწორედ ექიმობამ უშველა და ციხეს გადაარჩინა. ისინი თავისუფლად დასახლდნენ და მუშაობას შეუდგნენ სოფ. გოროდიშჩეში, სადაც მძვინვარებდა ინფექციური დაავადება და საჭირო იყო ექიმები.

ქართველმა ქალებმა ცოტახანში შესძლეს მათ გარშემო იქ მყოფი ქართველი პატიმრების შემოკრეფა, მეგობრობა და ურთიერთდახმარების განწევა.

მათი ვარაუდით ბანაკებში და თავისუფალ გადასახლებაში იმ პერიოდში იმყოფებოდა დაახლოებით 32-35 ქართველი.

ოლია მესხის ოჯახში შემოინახა იქ გადასახლებულთა არა სრული სია, რომელიც ჩვენ თინა იმნაიშვილმა გადმოგვცა და გვიწინდა ქვევით მოგიყვანოთ: ოლია მესხი და მაცვალა რამიშვილი, კოტე ძიმიტარაშვილი, აბრამ ბელალიშვილი, თედორე იმერლიშვილი, სოლომონ ინაკავაძე, ლუკიანე, დომენტი ნიკოლაიშვილი, სიმონ გოგოლიშვილი, ბიქტორ ჭანტურია, ნესტორ იმნაიშვილი, რაფიელ თავაძე, ამბროსი კალანდარაშვილი, გიორგი ინასარიძე, კაპიტონ თევზაძე, მიშა ჩაჩუა, გიორგი მიქაძე, გიორგი ჯინორია, გამეზარდაშვილი, გალიტო კვაჭანტირაძე, ვასო ჯაფარიძე, კვაჭაძე, იპოლიტე ქვირია, თენგიშვილი და ბევრი სხვა. ოლია მესხი და ნესტორ იმნაიშვილი შეუღლდნენ და იქ შორეულ ციმბირში შექმნეს კარგი ქართული ოჯახი, რომელიც შეძლებისდაგვარად აერთიანებდა ქართველებს და ეხმარებოდათ მათ

მძიმე დღეების გადატანაში. **ერმენუელი**
გიორგი იმნაიშვილი
 მაშინ ამ ოჯახმა ლევანს ცხელი დახმარება მიუხედავად იმისა, რომ ის სხვა ბანაკში იმყოფებოდა და ამ ქართველებს პირადად არ იცნობდა.

ესეც უნდა აღინიშნოს, რომ არც იქ შორეულ ციმბირში თავისუფალ გადასახლებაში ასვენებდნენ მოსახლეობას, მათ განმეორებით აპატიმრებდნენ და სპობდნენ. სწორედ ასეთი ბედი ეწია 1932 წელს ბევრ ქართველსაც, მათ შორის ნესტორ იმნაიშვილს, რომელიც 1928 წლიდან იქ იყო, იმ დაპატიმრების შემდეგ კი საერთოდ აღარ გაუნთავისუფლებიათ. შემთხვევით გადაურჩა განმეორებით დაპატიმრებას ოლია მესხი, რომელიც უკანასკნელ თვეში იყო, შვილს უცდიდა და მაცვალა რამიშვილი.

ლევანი ქალაქ ბიისკში მოხვედრის შემდეგ შეხვდა ოლია მესხს და მაცვალა რამიშვილს. გიორგი ჯინორიას, ლიზიკო ქავთარაძეს და პარმენ ზურციძეს. ქართველები ერთმანეთს საგრძნობლად ეხმარებოდნენ და ცხოვრობდნენ როგორც ერთი ოჯახი. ეს მეგობრობა იმდენად მყარი დარჩა, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგაც გრძელდებოდა. გახსაკუთრებული მეგობრობა დამყარდა ოლია მესხსა, ა. იმნაიშვილსა, მაცვალა რამიშვილსა და ლევანს შორის. პატარა თინიკო უმამოდ იზრდებოდა და იქ ყოველი ქართველი ვალდებულიად თვლიდა ბავშვისათვის მამური აღერსი, ყურდაღება და დახმარება არ მოეკლო. ასეთი ფაქტიც აღინიშნულია: თინიკოს ფეხი უნდა აედგა. ძალიან არ უნდოდათ ქართველებს, რომ ეს ციმბირის მიწაზე ყოფილიყო — არაფერი რომ არ გამოუვიდათ სასწრაფოდ საქართველოდან საქართველოს რუკა მოითხოვეს და გამოაგზავნინეს.

ამ რუკამ სწორედ სულზე მოუსწრო ბავშვს, ოთახში დააფინეს ხალიჩის მაგივრად საქართველოს რუკა და ბავშვს ამ რუკაზე ასწავლეს სიარული. ყველა ხარობდა, რომ თინიკომ სიმბოლურად მაინც საქართველოს მიწაზე აიდგა ფეხი.

ოლია მესხი პატარა შვილიკოთი — თინიკო იმნაიშვილით გაანთავისუფლეს რამოდენიმე თვით ლევანზე ადრე, ისინი წამოვიდნენ საქართველოში.

ქვევით გვინდა წარმოვადგინოთ ლევანის წერილი, რომელიც ოლია მესხს მიწერა.

36/V-36 წელი

ბიისკი

მადლობა თბილი წერილისათვის. თქვენი წერილი გზიდანაც — და საქართველოდანაც — ყველა მიღებული მაქვს.

კარგია — მეტად კარგი, რომ ასე კეთილად გიმგზავნიათ. ეხლა ისდა ეკლიათ,



რომ სრულიად განიკურნოთ — ამის სრული იმედი მაქვს — სამშობლო — ისიც ჩვენი ისეთი სამშობლო, რომელ სენს არ განკურნავს. მეტად მენატრება თინიკო და ამ მხრივ ვნანობ კიდევაც თქვენს წასვლას — (აღამიანი ეგოისტია მაინც!). წარმოდგენილი მყავს: ფეხშიშველა და მზენანავი შუხუთის ლეღეებში დასდევს პეპლებს და ზაყაყებს. თან გაჰკვივს, წარმშულ-გურულ კილოკაკით ვკოცნი თინიკოს.

ვავალბე (მე ხომ მის მასწავლებლად ვითვლები): ქართულის მცოდნე დამხვდეს — იქნებ მეც ჩამოვიდე ბოლოს და ბოლოს.

ნესტორის ამბავი ვიცი მის — თქვენდამი მონანერ წერილიდან (მაყვალას ნებართვით — მეც გადავიკითხე, იგი — ბოდიში თქვენს წინაშე — ვიცი არ გამიჯავრდებით).

აქაურ ამბებს გწერთ: აქ თითქმის არაფერი გამოცვლილა. გალიტომ მიიღო განთავისუფლების მოწმობა — პოლიკარპე საქმის გამორკვევას უცდის. გოგიტა — დაიკარგა სადღაც, ალბათ მაქვთ წამოვიდა. ...ყოყო და სხვები ელიან... ელიან... ამოდ ჯერ... მაყვალა კარგად და კეთილად არის. ქ-ნი თამარიც. მე და მაყვალა თანდათანობით დავმეგობრდით — მაგრამ ძალიან ვნანობ, რომ მას თინიკო არა ჰყავს (თავისი თინიკო რა თქმა უნდა). მეც არა მიშავს რა, ჯანის მხრივ. იცით ხომ: საშინელი ჯინიანი და ჯიუტი ვარ. გულქვაც ვყოფილვარ თურმე სჩანს მგრძნობელობა მომჩილუნვა ამდენმა ვაივავალაზე.

დასტურ — ყოველი ვაება სისტემაში გადასული ჰკარგავს თავის სიმძიმეს... უფრო სწორედ — აჩლუნგებს გრძნობას. სიკვდილშიც — ყველაზე უფრო საშინელი სიჩუმე და დაჩლუნგებაა... გლოვაში კი უცრემლობა... მე ჩემი კეთილი მამის ესოდენ უცნაურ და აუტ სიკვდილის ამბავს, რაღაც გაბოროტებით და უცრემლოდ ვზიდავ. ...ბოდიში, ცოტაოდენ მძიმე წერილი გამომივიდა... შევეცდები მომავალში უფრო ღია ფერებით მოგწერო და „კბილი ვაეკრა“ ჩვენ წარსულ უცნაურ... საერთო მოგონებებს ან მომავალ ნეტარ სურვილებს.

ნესტორს მოკითხვა მიანოდეთ — გულითადი.

ცოტა კიდე და იქნებ იგიც გესტუმროთ შუხუთში. მოკრძალებითი საღამო ნესტორის დედას.

საინტერესოა, როგორ მოგწონათ შუხუთი — და როგორ მიიღეს გურულებმა რაჭველი რძალი? ქალო ხომ არ დაგინუნეს?

დარწმუნებული ვარ — მისამართი მე რომ მოგეცით დავაგინწყდებოდათ, ამიტომ გწერთ გაბაშვილის 2.

ასე ჩემო დაო, აქეთაც გამოზაფხულდა — უკვე დათბა ბოლოს და ბოლოს.

მოკითხვა გულითადი აქედან. აბა თქვენსკენ (უკვე საქართველოშიც რა ამბავია?).

ფიქრებით მაქვთ ვარ სულ.

აბა კარგად იყავით. მოინწერეთ.

თქვენი ძმა ლევანი

26/7-76 წ.

□გაბაშვილია იმნივან□

ოტია პაჭკორია

სხვადასხვა დროის ჩანაწერები

პირველად ეტაპში გავიგონე სიტყვა — პანოპტიკუმი, — „ობოროტკაში“.

— პანოპტიკუმი! — თქვეს დაცინვით. ნარიდან თავი წამოვყავი და იმ კაცს შევხედე, ჩემთვის უცნობი სიტყვა რომ წარმოთქვა.

იგი ფუთაზე იჯდა. ზაკის ხალათი იდაყვებზე ბაიკის ნაჭრით ჰქონდა დაკრებული.

— რა თქვით?

— პანოპტიკუმი. — მან ხელები გაშალა, საკანი შემოხაზა.

ჩვენ ორასამდე ვიყავით.

ჩვენს შორის იყვნენ კაცები, ნახევრადკაცები და როგორც პირუმოვი (ასე ხაკისხალათიანს ერქვა) ამბობდა — პითეკანთროპები.

ცამეტი სამურაი საკნის შუაში, იატაკზე იჯდა და სდუმდა.

იაპონელები საათის ქანქარასავით ირწეოდნენ და ყოველი მათგანი ჰგავდა სათამაშო ბუდას.

ათოდე ფოლკს-დოიჩი ვოლგისპირა ახალშენებიდან, იაპონელების გვერდით ისხდნენ და მღეროდნენ „ჰაიმატლანდს“, სევილიან, მუქ-ლურჯ ჰიმნს.

„ჩეჩნების კომპანია“, ლიდერი „ყაზბეგი“ — ყმაწვილი ლენინისა და სტალინის პორტრეტები მკერდზე ოსტატურად რომ ჰქონდა ამოსვირინებული. მე ვერ დამხვრეტენ, — იცინოდა იგი და საოცრად თეთრ კბილებს საკნის ბინდში რაფინადივით აპნევდა.

სომხები — რაც დამამახსოვრდა — თავლში არეული კარაქი, ყოველ დღით თითო სუფრის კოვზს რიგრიგობით მიირთმევდნენ.

— ჩვენ ასე ბოლომდე გავძლებთ! — მათ ამ „ბოლოზე“ რაღაც თავისი, ძველთაძველი და ნაცადი წარმოდგენა ჰქონდათ.

„ყაზბეგმა“ ვერ აიტანა მათი წვრილბურჯუაზიული კეთილდღეობა და თავლ-კარაქიანი ქილა ღამით ძირამდე ამოლოკა. დილით გაოგნებულ სომხებს პატროსანი ღიმილით სახეგაბადრულმა განუცხადა — თქვენ ბოლომდე ასეც გაძლებთ, ზარის დარეკვიდან ზარის დარეკვამდე!

სომხებს ჩხუბი ეწადათ. პირუმოვი ჩაერია, დაამშვიდა თანამემამულენი.

— უხერხულია ჭამდე თავლსა და კარაქს, როცა ხალხს პურის ნატეხი ენატრება.

დააშოშმინა. ჩეჩნები იცინოდნენ. სომხებმა პროტესტის ნიშნად ქილა დაამსხვრიეს... მშვენიერი ქილა, წითელი საღებავით მოხატული.

„ყაზბეგი“ შესუქდა.

კიდევ ორი რაიხსდოიჩი. „აბვერის“ ოფიცრები. მაიორი ფონ შამისო, ატაშე კონსტანტინოპოლში. ეშმაკის ბეწვის კონსტუმში გამოწყობილი, ორმეტრიანი კონდოტიერი. სახელი ერქვა, ნიბელუნგების მთელი სიმღერა ისმოდა — ჰელმუტ-ზიგფრიდ-რაიმუნდ ფონ შამისო.

მეორე — პოლკოვნიკი ფონ ბარანოვი, ტექტონის, ემუდისა და უნგროფინელის ნარევი, ფილოლოგი — ორიენტალისტი, „ყვითელი ზაზის“ (საარმიო დაზვერვის) ოფიცერი. ისიც მალალი, ჩაღისფერთმიანი.

ორი „რაიზი“ ზიზლით დასცქერის კაზაკების „სტანიცებში“ გამოზრდილათიოდ ფოლკს, ფონ შამისო იმანკება, შამისო — ჩრდილდაკარგული იუნკერი.

ზედა ნარებზე გუტაფისის სათამაშოებივით ჩამორიგებული ყაზახები, უზბეკები, მერკიტები — შუშისთვალეზიანი, უაზრო ღიმილით, ილ-ალლაჰ! — მორცხვად იფარებენ მშვენიერნაკეთიან ზელებს სახეზე, ასრულებენ ნამაზს.

იაპონელები პატივისცემით შესცქერიან მაჰმადიან აზიელებს. იაპონელები „თოიზე“ მიიწვიეს. (წყალში გაზავებული შაქარი და ჩაფშხენილი პური).

იაპონელები სდუმან. მათი თვალეზიდან მიკადოს ზარაკირით მუცელგამოფატრული მხედრების სევდა მოჟონავს, როგორც ქანის ბზარში გამოზადენი ქარვა.

იაპონელები მგლის ბეწვის ქურქებს იცვამენ და ყაზახებთან მიძვრებიან. მევბედავ მათ მოღრეცილ ფეხებს, მესმის მათი რასობრივი ერთობის განცდა.

— პანოპტიკუმი! — იცინის პირუმივი. იგი თავს მოგზაურად თვლის, დაცინვით უთვალთვალეზს ბანქოს თამაშში ჩაფლულ როას ოფიცრებს, ასე მოზდენილად რომ ივინებთან და ოსტატურად ქრიან გაზეთიდან კლეისტერიტ გაზამებულ კარტს. ოფიცრები ექთნის ჩამოსვლისას სარკმელთან მწყრივდებიან და თხოვენ სტრეპტოციდს, ქინაქინას. მერე კლეისტერში ურევენ, ძერწავენ ავგაროზებს, ჭადრაკის ფიგურებს, ჭვარცმას...

— ოო! — აღფრთოვანებულია იტალიელი დიპლომატი, საკანში „გრაფი ჩიანო“ შეარქვეს. ღმერთმა იცის, როგორ მოხვდა იგი აქ. როელებს ევაქრება. თამბაქოში უცვლის ავგაროზებს, ახვევს ჩვარში და ტომრის ფსკერზე

ინახავს. „გრაფ ჩიანოს“ ჰგონებდა ბედი დიდი ელჩობაა და ამდენი უტანს ხარისთვალეზა თავის ნაშიერს ციმბირის ეროვნულ სიამაყეს, კლეისტერის სათამაშოებს.

მე თანდათანობით ვივიწყებ უძრავ იაპონელებს და რაიზის ოფიცრებს, ისე, როგორც ავანსცენაზე გაზერგილ სტატისტს. ვინმე სერ რადკლიფს, ოთხივე მოქმედება რომ დვას და ველარ ამჩნევ. იაპონელები ამჯერად სტატისტები გაზლავან. მთავარ როლს ჩვენს საკანში „ყაზბეგი“ და მეგობარი კახელი ბიჭები ასრულებენ.

კახელი ბიჭები ქიზიყიდან, დაბნეული და უცნაურად პლასტიური, მათი ულვაშები, გაშლილი მხრები, მრგვალი თვალეზი შიშის ზარს სცემს ჩვენი საკნის ობივატელებს — ებრაელებს, სელის სვითერებში გამოწყობილ „ლათიშების“ მთელ ახალშენს.

კახელი ბიჭები ჩემს გვერდით წვანან. მთელი კვირაა კამათობენ — რა ჯანდაბაა თურქეთი.

ქიზიყელ ბიჭებს მათივე კამეჩების ინტელექტი გამოჰყვათ. მათ ითამაშეს ომობანა: თუნუქის ქილის ყუმბარეზით, ლულაგადაქრილი კარაბინეზით და თავი ამოჰყვეს აქ — პანოპტიკუმიში.

კახელი ბიჭები ჩემი სიამაყეა. მე მეუფლება გრძნობა მონეზით ვაქრისა, მუშტარს თავის საქონელს რომ უქებს. ნახეთ კისრები, თვალეზი ნახეთ — შავი ნაღვერდლები, რომლებშიაც ამდენი ცეცხლია და პატრიარქალური უაზრობა. კახელებიც ამაცობენ ჩემით. ჩურჩულით უყვებიან სომხებს ჩემს „რომანტიკულ“ წარსულს.

სომხები მეფერებიან, „ახპერ, ო, ახპერ!“ მათ შორის ერთი ბეირუთელია და ჯაზ-ბანდის ტრფიალი, ელამი და წვივმაღალი. იგი მეუბნება — ღიბანის პრეზიდენტი ტომით ქართველია. მე მამლუქებზე ვუყვები. ბეირუთელს არ სჯერა, მაგრამ მაინც აღტაცებულია... პელელო! — ბეჭებზე ხელს ურტყამს იაპონელს (ბეირუთელი ევროპულად

თამამია და უზრდელი). იაპონელი გულის ჯიბიდან ქვეშევრდომულ დიმილს იღებს და სახეზე იფარებს. ემსგავსება ნაციონალური თეატრის ნილაბს. ხელის ოდნავი დაწოლით გამომეტყველებას რომ იცვლის.

ბეირუთელი კახელებთან მეგობრობს. თამაშობენ გრძელ ვირს, თავით გადასვლას. მერე უზბეკებს ეჩხუბებიან, ჩემი ქიზიყელები იერიშით იღებენ ხე მო ნარებს და შურისგებით ატანილნი საცალოებივით ყრიან თემურ-ლენგის ნაშიერებს ცემენტის იატაკზე. „ალაზნის პირას მოსულა წითელი სატაცუროო!“ — მღერაან ბიჭები.

ფონ შამისო ჩიბუხს წადის ლანჩაზე იფერთხავს და ეჭვით შესცქერის საკანის ჭერს, რომელსაც ქართული კონტრაბუნქტის ზეიმი აზანზარებს. ფონ შამისო კვლავ იმანჭება, მაგრამ ჩემს ვერაგ თვალებს აწყდება და მწყზარ უცოდველობას გამოხატავს.

— პანოპტიკუმი! — ხარხარებს პირუმოვი და იტალიელს ჯუბის კალთაზე ექაჩება.

— რა გინდა მისგან? — ვეკითხები პირუმოვს.

— მინდა მიაბნოს, რა დაუბარა ჩიანომ სიკვდილის წინ. ხედავ? — მიჩვენებს იდაყვზე გამოხეულ ხალათს. — იქნებ ველვეტის ჯუბაში გამოცვალოს.

— გაუკეთე კლეისტერის ავგაროზი, — ვურჩევ მე და პირუმოვი იმ დღეს მშიერი რჩება. ალბობს პურს, წურავს და ტილოს ნაჭერში ცრის. გამოწურულ სახამებელს შიშველ მკლავზე იცხებს, ხელების ქნევით აშრობს. მერე ჭუჭყიან გორგლებად იცლის, აჯუნდავებს და ქმნის სასწაულს — პოლინეზიელების ოცნებას — მძივებს, შივას, ვანკასტანკას, აცმევს ეყვნებად და იტალიელს ევაჭრება. ერთნაირი თვალეები აქვთ სომენ ინტელიგენტსა და იტალიელ დიპლომატს. „ბენვენუტო ჩელინის შთამომავალი ყოველთვის მამაკაცი უნდა იყოს“, — არწმუნებს პირუმოვი. ჩიანოს ეჭვი ეპარება, ვინ იცის, როდის დამთავრდება მისი დიდი ელჩობა აღ-

მოსავლეთში. ველვეტის ჯუბაზე ბატონო ჩემო, საკუთარი ღირსება ჩემ გჯერ ჯუბაზე ჰკილია.

მაშინ პირუმოვი ავგაროზს საკნის კუთხეში ისკრის და მშიერი თვალეებით შემომცქერის. მე ვიღებ ჩემს ულუფას, ვუწვდი ყუას.

— გმადლობთ! — მეუბნება პირუმოვი და გადადგმული ავგაროზის მოსაძებნად ისე მიდის, თითქოს სხვა ქვეყანაში მიემგზავრებოდეს.

მე მაშინ პირველად გავიგონე სიტყვა პანოპტიკუმი. ეს იგივეა, რაც ენციკლოპედია, მოლუსკების პლანტაცია...

საკანში ჯერ კიდევ ჰქონდათ სახე და ხასიათი, მაგრამ გაიღო კარი. შემოვიდა ზედამხედველი, გადაგვთვალა და ეზოში გავვიყვანა.

მავთულხლართი ყინვას წამწამებით მოერთო. დათოვლილი ეზო, ციხის შენობა, კოშკები გალავანზე თითქოს მიწისკენ იხრებოდნენ. ლურჯად ელავდა თოვლი და ყველაფერი რომელიღაც სურათს წააგავდა.

ბადრაგმა ჩავებიარა.

ჩვენ ვიდექით შარფებში ცხვირჩაფლულნი, ფუთებით ზურგზე მოკიდებულნი და პირველად მივხვდი — პანოპტიკუმი მწარე ირონიაა.

ჩვენ აღარ ვარსებობდით, ცალცალკე არავითარ ღირებულებას არ წარმოვადგენდით. ჩვენ აღარ გვქონდა არც ეროვნება. ჩვენ ჩვეულებრივი, ადაძიანური სურვილებიც კი აღარ გავვაჩნდა, არ გავვაჩნდა ხასიათი. ხასიათი ჰქონდა ბრბოს, რომლის ჩუმ გაბოროტებასაც ვეზიარე. და მე დავიკარგე ამ ყინვიან დღეში, რომელიც ასე ჰგავდა ნახატს. ვიგრძენი, საოცარი სიციხადით ვიგრძენი, რომ ვარ პირუმოვი, ბეირუთელი, მერკიტი... ვარ ვეება და საოცრად მცირე, რადგან ჩემი არსი გასცილდა ჩემს გარსს და ათასებში გაზავდა.

— ჩვენ ასე ვივლით დიდხანს, დიდხანს და ვიღაც ბოლომდე გავა. აი ის, ვინც გავა ბოლომდე, კვლავ დაიბრუნებს საკუთარ ჩრდილს. მაგრამ არსე-

ბობს გზები, რომელსაც ბოლო არ უჩანთ.

— პანოპტიკუმი! — აღარ იცინის

პირუმივი და ველვეტის ჯუბანები, რომლებიც ბობს ჩუმი, გაუმხელებელი, ბობს ნებით.

გურამ, შენ შენი ბოლო დებულე-ბით აცლი დრამატულ არსს კაცობრიობის დღევანდელ არსებობას... ჯერჯერობით არც არის სინქრონული და არც შეიძლება იყოს, იმიტომ, რომ თუ გავიმეორებთ 85 კილომეტრიანი მარათონის სქემას სულის განვითარების სფეროში (ანუ კულტურისა და ხელოვნების და არა ცივილიზაციის), მაშინ უკანასკნელი მეტრები ძალიან მცირედ განსხვავდებიან ორი ათასი წლის წინანდელისაგან, ანუ ბუნებისმეტყველთა უკანასკნელი მეტრების ინტენსიურობა არ ესატყვისება სულის ევოლუციას და ეს კმნის ტრაგიზმს. ასეთი სინქრონიზმის მოთხოვნა ასე ხელაღებით და იოლად, ცოტა ნაჩქარევია, რადგან ამისთვის არ კმარა ინფორმაცია, ამისთვის საჭიროა სულის ევოლუცია, შენ კი ცოტა არ იყოს მექანიკურად, მიღებული ინფორმაციის დამუშავებით კმაყოფილდები და რამდენადმე ასეთი ზერელობისაკენ მოუწოდებ სხვასაც, როცა თვითონ კარგად იცი და ვრძნობ, რომ ბუნებისმეტყველებისა და ხელოვნების სინქრონიული „განვითარება“ (თუ განვითარება პირობითი ტერმინი არ არის) დღეს შეუძლებელია. იცოდე ფარდობითობის ან ალბათობის თეორიის არსებობა ეს არის სადღეისოდ მხოლოდ მიღებული ინფორმაცია და სამწუხაროდ არ არის სულის გამოცდილება. სულის გამოცდილება დღეს ქრისტიანულ დოქტრინებს დიდად როდი სცილდება და თავისთავად, ნიშანდობლივია ისიც, რომ თვით ფიზიკის კორიფეები სულის (ფილოსოფიის, ზნეობრიობის, ეთიკის და ესთეტიკის) სფეროში იმავე დოქტრინებს უბრუნდებიან.

არსებობს „სულიერი შეცნობა“, ეს ტერმინი პირობითია, მაგრამ იგია სწორედ ის აუცილებელი, რაც ერთგვარ სინქრონიულობამდე მიიყვანს ბუნებისმეტყველებასა და ხელოვნებას. აქამდე კი ჯერჯერობით დიდი მანძილია. ჩვენი ფსიქიკა მხოლოდ თვითმფრინავით გაფრენას უძლებს...

კლასიკური მექანიკის თუ ფიზიკის ერთგვარი უწყუგდება, უსასრულოდ მცირეს წიაღში შეღწევა და მისი უსასრულობის შეცნობა, უმცირეს ნაწილაკთა წიაღში ჩამალული საშინელი ძალის გაცნობიერება და უმწეობა ამ მოვლენათა, პირობითად რომ ვთქვათ, ზნეობრივი არსის წინაშე — ეს ხომ პრინციპში კლასიკური დრამის მოდელია, რატომ არაფერს ამბობ ამის თაობაზე...

ისე ბუნებისმეტყველებისა და ლიტერატურის დაკავშირების (თეორიული დაკავშირების) ცდა არც ახალია (თუმცა არც ძველი). ბახტინს ლიტერატურაში შემოაქვს ცნება — ქრონოტოპი — დროსივრცე და ცდილობს ფარდობითობის თეორია ლიტერატურული მეტოდიით გარდაქმნას, მართალია, ბახტინი წერს, რომ ქრონოტოპი უფრო მეტაფორააო, მაგრამ მაინც მიიზიდა ეინშტეინის ფიზიკურ-ფილოსოფიურმა ნააზრევმა; დროსა და სივრცის, ენერჯისა და მასის ერთიანობამ, ანუ „ერთი და იგივე რეალობის განსხვავებულმა გამოვლინებამ...“ ერთი სიტყვით მას მოსწონს რელატიურის ბურუსში ხელის ფათური... მართალია ბახტინს შეგნებული აქვს ერთი აუცილებლობა — „ქეშმარიტი მეცნიერებისა“ და „ქეშმარიტი ხელოვნების“ სისტემების სინთეზის აუცილებლობა, მაგრამ ეს ხომ მხო-

ლოდ განყენებული, ხელოვნური მსჯელობაა.

რა თქმა უნდა, ყველაფერზე ძნელი აზრისთვის ფორმის მიგნებაა, აზრის სიტყვიერი სამოსელის პოვნა... ახალი აზრი ყოველთვის მოიცავს პარადოქსულს, ისევე როგორც ყოველი ახალი აღმოჩენა. რომელიც მოითხოვს ფორმულა-სიმბოლოს, სიმბოლო-ნიშანს, ჩვეულებრივ მათემატიკურ განტოლებას და ეს ისევეა მეცნიერების საქმე, როგორც ხელოვნებისა. შენ ეს იცი, მაგრამ არ გინდა ამის თაობაზე მსჯელობა. რატომ?

იმიტომ, რომ შენც კმაყოფილდები ინფორმაციის მიწოდებით და გამოსავალს მექანიკურად, იოლად სახავ — საჭიროა სინქრონულობა... ამ სინქრონულობისათვის კი გარდა „სულიერი შეცნობისა“, ანუ მოვლენათა კრისის სრული გაშინავანებისა, საჭიროა ახალი ტრადიციის შექმნა, იმ ახალი ტრადიციისა, რომელიც შეცვლის, მაქს ბორნის სიტყვებით რომ ვთქვათ, ძველს, „დარღვეულ ტრადიციებს“.

გურამ, შენი წერილის ყველაზე სუსტ ნაკლად დასკვნითი გვერდი მიმაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ერთიანად ვიზიარებ იმ სურვილს, რასაც იქ გამოთქვამ. იქნებ ის, რაც ზნეობრივ-რელიგიური აქტია (იქნებ ფიზიკაც და იქნებ პოეზიაც) ცოტა უფრო მეტ გულს, სისხლს მოითხოვს.

საქმე ისაა ჩემი აზრით, რომ მწერლებმა დაკარგეს მოძღვრის ფუნქცია და დაკარგეს ეს ფუნქცია იმის გამო, რომ ეთიკურ კატეგორიებსა და ახალ ინფორმაციათა შორის გაეხიზნენ...

ხელოვნებამ იცის, რომ „სამყარო შეცნობადია“ და საოცარი ისაა, რომ მეცნიერებს ამ საზღვრების დადგენა არ შეუძლიათ და ცოტა არ იყოს კრთებიან კიდევ მის წინაშე... ლიტერატურა „სამყაროს შეცნობადობის“ აღიარებით შეიძლება უსაქმოდაც კი დარჩეს, შენ კი ასე უბრალოდ გსურს ამ საკითხის მოგვარება დეკლარაციული მოწოდებით.

შეიძლება მე ცოტა არ იყოს ანტი-

დეტერმინისტიცა ვარ, მაგრამ ჩემი ანტიდეტერმინიზმის საფუძველი იმის შეგნებაა, რომ „აბსოლუტურად ზუსტ მონაცემებს“ არა აქვთ ლიტერატურული არსი (სხვათა შორის როგორც ფიზიკურიც). მე არ ვარ ინფორმაციის წინააღმდეგი) არც მხატვრულ ნაწარმოებში და არც საერთოდ). მე სწორედ ასეთი „აბსოლუტურად ზუსტი მონაცემების“ წინააღმდეგი ვარ, რადგან ისინი იმთავითვე განსაზღვრავენ და ავიწროებენ ემოციური და ესთეტიკური აღქმის სფეროს, თვით შემეცნების სფეროსაც კი. ამიტომ უნდა ცოტა სხვანაირი მიდგომა ე. წ. „თანამედროვეობის“ საკითხს ლიტერატურაში — ფიგურალურად რომ ვთქვა — თანამედროვე ადამიანები ასე ლაპარაკობენ, მაგრამ ასე გრძნობენ კი?... ნაჩქარევად ხომ არ ვაცხობთ ამ „თანამედროვე სულს“, თანამედროვე ფსიქიკას... თვითონ ჩვენ, რაოდენ ძალგვიძს ყოველივე ამის შეცნობა — სულიერიცა და გონისმიერიც... იქნებ ამის თაობაზეც დაწერო ოდესმე.

საერთოდ შენი სტატიის პათოსის მომხრე ვარ, ოღონდ ვერ აგყვები ასე თამამ, იმედიან განცხადებაში, მითუმეტეს ვიცი, რომ კარგად გაქვს გაცნობიერებული, თუ რას ნიშნავს პრობორციების დარღვევა თვით ცივილიზაციის ფარგლებში.

შენ ალბათ იცი, მაქს ბორნი წერს — „ყოფნა-არყოფნის პრობლემა მომდინარეობს იმ ფაქტის აღმოჩენიდან, რომ მატერია, რომლისგანაც ჩვენ შევდგებით და ყოველი საგანი ჩვენს ირგვლივ არ არის მყარი და ურღვევი, პირობით იგი მერყევია და ფეთქებადი“. ჩვენ ეს ვიცით. იქნებ მხოლოდ ვიცით, და ჭერ ვერ შეგვიგრძნია. იქნებ ჭერ კიდევ ყოფნა-არყოფნის კლასიკური ფორმულის ტყვეობაში ვართ და ჩვენი ჰამლეტიზმი კვანტური მექანიკის მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს. ჩვენი ჰამლეტიზმი ჩვენი რელიგიასავით უძრავი და მყარია, იგი 60

კილომეტრიან მარათონს იქნებ მთელ სიგრძეზე გასდევს, ვინ იცის, რალაც

რალაცეები არ ძველდება, უცებ ძველდება...

შენი ოტია.

* * *

ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი უდაბნომ შეიწირა.

მას აქეთ თექვსმეტი წელი გავიდა.

ამ ჩანაწერების გაჩენიდანაც განვლო თოთხმეტმა წელმა.

ეს ჩემი უკანასკნელი პროზაული ოპუსებია.

აბლა ჩემს სულში ნელა ქრებიან ზმანებები და ხილვები.

უდაბნო ცოცხლობდა ჩემში და მეც ხარკს ვუხდიდი მის მღვრიე სიჯიუტეს. ეს მძიმე დრო იყო და მეხსიერე-

ბის უღრმეს შრეებში ჩაიკარგა. უკვე ძნელია ამ სიღრმიდან ცოცხალი სახეების გამოწვევა.

მე გამოოცა ჩანაწერების ერთმა თვისებამ — ბავშვურმა რომანტიზმმა, სინამდვილიდან გაქცევის სურვილმა, მეტაფორული შელამაზებისკენ სწრაფვამ — და მაინც სიმართლემ. სწორედ ამ სიმართლის გამო აღარ შევეცადე მათთვის ეპიური სახე მიმეცა, შემეცვალა ხასიათი. თუნდაც იმიტომ, რომ მივლ: არსებით ვერ ვეგუები თხრობას.



აბაკი გაქრამე

მწერლობის მოთვინიერება

ავტორისაბან

ჩინი წლების მეორე ნახევარში, უნივერსიტეტში, ლექციებს ვკითხულობდი. 1988 წელს გადაწყვიტე ამ ლექციების საფუძველზე წიგნი დამწერა. კარგა მოზრდილი წიგნი გამოვიდა, რომელსაც „მწერლობის მოთვინიერება“ დვარქვი. მაშინ, რა თქმა უნდა, ამ წიგნის დაბეჭდვაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, მაგრამ ხელნაწერი მინც წაიკითხა ზოგიერთმა (ნინო ადამიამ, მიხეილ ანთაძემ, ამირან გომარეთელმა, ლილა ნანიტაშვილმა, ალექსანდრე პაპავამ, ნანული პაპავამ, ნოდარ წულუკიძემ და სხვებმა).

როცა „მწერლობის მოთვინიერებას“ ვწერდი, მიზნად არ მქონდა ვისიმე საყვედურ-დამუნათება. არ მქონია იმიტომ, რომ არ ვიცი, თავად როგორ მოვიქცეოდი იმთ მდგომარეობაში რომ ჩავვარდნილიყავი. წინასწარ არავინ უწყის, ვინ რას ჩაიდენს, როცა უურში ნემსს გაუყრიან, როცა ივისი მოგლეჯენ, როცა ფე-

ხებით თავდაუიარა დაკიდებენ, როცა რკინის კეტებით ძვლებს დაუმტვრევენ, როცა ბოთლზე დასვამენ და კიდევ, ვინ იცის, რა წამუნას მიაყენებენ... თუ ყველაფერი ეს გადაგიტანია და არ გატეხილხარ, მაშინ გაქვს უფლება შეხედო სხვას საყვედურიანი და მპატიებელი თვლებით. მაგრამ, როცა არაფერი გემუქრება და თბილ ლოგინში არხეინად ნებივრობ, მაშინ იოლია სხვათა განკითხვა და პატიოსნების თამაში. მე უბრალოდ მიხდოდა, საბუთების მოშველიებით, დროის სურათი დამეხატა და ამ დროში განწირული ადამიანი (განსაკუთრებით მწერალი).

„მწერლობის მოთვინიერების“ გამოცემა დღეს შესაძლებელია. მართალია, ზოგიერთ მკითხველს შეიძლება წიგნი მოძველებულად მოეჩვენოს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბევრი რამ სწორედ ესე მოხდა, როგორც ვვარავულობდი.

თავი პირველი

საბჭოური ლიტერატურის თეორია, სკაპს დაეინებული მოთხოვნით, ამტკიცებს, რომ სიტყვაჯამული მწერლობა და ხელოვნება არის პარტიული და კლასობრივი. ამას ლიტერატურისა და ხელოვნების ლენინურ პრინციპს ეძახიან, რადგან ეს საკითხი დასმულია ლენინის სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“.

ლიტერატურის და ხელოვნების პარტიულობის პრინციპის გაზიარება შეუძლებელია. ვეცდები დავასახულო — რატომ.

I ივი — სასქესო ორგანოები (საბა).

1

ეროვნული ტრადიცია და პარტიულობის პრინციპი

პარტიულობა ხალხმა სიტყვაჯამულ მწერლობას განსაკუთრებული მიხია დააკისრა. ივი ერის წინამძღოლად აღიარა. ეს განაპირობა ქართველი ხალხის ისტორიულმა ცხოვრებამ. ჩვენს ერს ზშირად და დიდხანს უხდებოდა ცხოვრება, ნაციონალური ხელისუფლების თვინიერ, დაპყრობლის უღელქვეშ. ასეთ პირობებში ორადერი ძალა იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას — ქრისტიანული რელიგია და მწერ-



ლობა. როცა რუსეთმა ქართული ეკლესია გა-
აუქმა, ჩვენი ერის ქომავის როლი მარტო მწე-
რლობას დაეცადა.

ეს ტრადიცია „აბოს წამებით“ იწყება. იო-
ანე საბანის ქემ დაწერა თხულებმა, რომელმაც,
ძნელბედობის ეამს. ქართველ ხალხს რწმენა,
ძალა, იმედი. ენერჯია ჩაუნერგა და მტკიცე
თავდაცვა ასწავლა. ასე მოდის და მოდის საუ-
კუნეების მანძილზე. სულხან-საბა ორბელიანი
მწერალიც არის და სახელმწიფო მოღვაწეც.
დავით გურამიშვილი პოეტიც არის და „ქართლის
ქირის“ მოაზრეც. ილია ჭავჭავაძემ კი პირდა-
პირ გამოაცხადა მწერალი ერის წინამძღოლად.

მე ეს მნიშვნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა.
(ხაზი ჩემია — ა. ბ.)
დიდი ღმერთის საკურთხეველის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ეოისა მომედ ვიყო
ქმუნვასა და სიხარულში;
ეოის წყალური მიჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სულა,
მის ზედით და უბედობით
დამედგოს მტკიცე გული...

მწერლობის ამოცანის ამგვარად დასმამ გან-
საზღვრა ქართველი ხალხის სიტყვაჯამული ლი-
ტერატურისადმი დამოკიდებულება, თორემ არ-
ცერთ ფრანგს არ უფიქრია, რომ ხალხაი სა-
ფრანგეთის ეროვნული წინამძღოლი უნდა იყო-
სო. არც რომელიმე ინგლისელს მიუჩნევია დი-
ენის ინგლისის ნაციონალურ თავკაცად. ერის
წინამძღოლის ფუნქციას თავისუფალ ქვეყანაში
ისინი ასრულებენ, ვისაც ეს უშუალოდ ევა-
ლება და არა მწერლები. გაჭირვებას რა ვუთ-
ხრათ. თორემ პოლიტიკოსის ფუნქცია მწერალ-
მა რატომ უნდა იკისროს? ვიკიძის და სხვა
გა, სხვა ხსნა არა გვაქვს.

საქართველოში მწერლის ეროვნულ წინამძ-
ღოლად წარმოდგენას იძინაც შეუწყო ხელი,
რომ ჩვენს მეფეთა შორის ბევრი პოეტობდა.

დავით აღმაშენებელი ავტორია ჰიმნისა „გა-
ლობანი სინანულისანი“. დემეტრე პირველი —
„შენ ხარ ვენახისა“. თამარს იამბიკოები დაუ-
წერია. პოეტები იყვნენ თეიმურაზ პირველი,
არჩილი, ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე.
ასე გადაეკატეა ჩვენში მწერალი და პოლიტი-
კოსი ერთმანეთს. მწარედ, მაგრამ სამართ-
ლიანად იხუმრა აკაკი წერეთელმა — „მეფე
რომ „პოპულ-პოპუს“ დაუკრავს, მაშინ მისი
სამეფო „ვაი-ვაის“ იმღერებსო. საქართველო-
საც ასე დაეშართა. თუმცა აკაკიმ ისიც დააყო-
ლა — „დავით აღმაშენებელიც მწერალი იყო,
მაგრამ სამეფოსათვის არა დაუკლია-რაო“ (ბა-

ში-აჩუკი“). აღბათ, მართალია ძველი წესები
— რაც იუპიტერს ხელეწიფება, იგივეა ჩვენი
შეუძლიაო.

ეს ისტორიული ტრადიცია შეიცვალა საქარ-
თველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების
შემდეგ. ერის ხელმძღვანელის როლი კომუნი-
სტურმა პარტიამ იკისრა და ეს ფუნქცია მწე-
რლობას ჩამოართვა. თითქოს ყველაფერი მო-
წესრიგდა და დალაგდა. მაგრამ ნამდვილად ასე
არ მოხდა. არ მოხდა იმიტომ, რომ საქართვე-
ლოს კ ა რ არის დამოუკიდებელი, თავისთავა-
დი პარტია. იგი სკკპ-ს ერთი პაწია ორგანიზა-
ციაა და ასრულებს მხოლოდ იმ მითითებებს,
რასაც მოსკოვი აძლევს.

სკკპ გამოხატავს მხოლოდ რუსეთის ეროვნულ
ინტერესს. იბრძვის რუსეთის იმპერიის
განმტკიცებისათვის. სკკპ იმდენად ითვლისწი-
ნებს სსრკ-ში შემავალი არარუსი ხალხების სუ-
რვილსა და მისწრაფებას, რამდენადაც ეს დაე-
მთხვევა რუსეთის გეგმებს. უბრალოდ რომ
ვთქვათ, რაც კარგი და მისაღებია რუსეთისა-
თვის, კარგი და მისაღებია საქართველოსთვისაც
(ყველა არარუსისათვის). რაც უარსაყოფი და
ცუდია რუსეთისათვის, უარსაყოფი და ცუდია
საქართველოსათვისაც. საქართველო გახდა რუ-
სეთის ისეთივე პროვინცია, როგორც არის,
მაგალითად, ტაშოვის ან კალუგის ოლქი.

იმ წითელ პარტიულ ბილეთში, რომელიც
ყველა ქართველ კომუნისტს ჯიბეში უდევს,
რუსულად და ქართულად მთავრულით მკაფიოდ
და გარკვეულად წერია — საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტია. ეს კი რეალურად იმას
ნიშნავს, რომ არავითარი საქართველოს კ არ
არსებობს. თუ ჩვენ ცნებას — საქართველოს
კ — მინც ვხმარობთ, ამას აქვს მნიშვნელობა
ერთ-ერთი, რიგითი პარტიული ორგანიზაციის
სახელითა და არა უფრო მეტი. ეს რომ ასეა,
ამას ცხადად მოწმობს ეს გარემოებაც. არის
სომხეთის კ, უკრაინის კ, ტაჯიკეთის კ და
ა. შ. მაგრამ არ არსებობს რუსეთის კ. რო-
გორ — ყველა მოკავშირე რესპუბლიკას საკუ-
თარი კომუნისტური პარტია ჰყავს და რუსეთს
არა? არ ჰყავს იმიტომ, რომ რუსეთის კ სა-
ხელად ეწოდება სკკპ. ხოლო ყველა დანარჩენი
კ რუსეთის კ, ანუ სკკპ, ცალკეულად ორგანი-
ზაციაა. ამიტომ არის სკკპ რუსეთის ეროვნულ-
სახელმწიფოებრივი ინტერესის გამოხატველი.
ამ ინტერესის განხორციელებისათვის მებრძოლი.
არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ბუ-
ნებრძვია ისიც, რომ საქართველოს კ მხოლოდ
იმ ღირებულებების განხორციელების უფლება
აქვს, რასაც მოსკოვი მისცემს. ნაწილი მოვალეა
ემორჩილებოდეს მთელს. ამდენად, ცხადია და
მკაფიო ისიც, რომ საქართველოს კ ვერ გამო-
ხატავს ქართველი ხალხის ეროვნულ ოცნებას,
მისწრაფებას და სურვილს. ის კი შეუძლებე-
ლია, რომ საქართველოს ეროვნული და ისტო-



რიული მისია ემთხვეოდა რუსეთის ეროვნულ და ისტორიულ მისიას, იმდენად უწარმაშარია მათ შორის განსხვავება.

რუსეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ხანელმწიფოა.

საქართველო კი პაწია ქვეყანაა, რომლის არსებობა თითო-ორი კაცმა თუ იცის ამ ქვეყნად.

რუსეთმა თავალუწვდენელი მსოფლიო იმპერია სექმნა, რომლის წინაშე კაცობრიობა შიშით ცახტახტება.

საქართველომ კი თავისთავსაც ვერ მოუარა და სამოწყალოდ სხვას შეეხიზნა.

რუსული ენა ერთ-ერთი უდიდესი ხაერთაშორისო კულტურული ენაა, რომლის ცოდნა არარუს ადამიანს ღირსებად მიაჩნია და ეამაყება.

ქართული ენის ცოდნას ბევრი ქართველიც კი არ თვლის სავალდებულოდ და, მით უმეტეს, არაქართველს რა პატივისცემა უნდა აქონდეს მის მიმართ.

რაც ზემოთ ვთქვი, იმის გამორწმუნებულად იფიქრებს, რომ საქართველოს ეროვნულ ენერჯიას ნიპილიტურად ვუუტრებდნენ. არა, ასე არ არის. უბრალოდ, მინდა, ძალთა განლაგებას ფხიზელი თვლით შევხედოთ და ცხადად დავინახოთ, რანი ვართ და რანი შეიძლება ვიყოთ. იმასაც კარგად უნდა მივხვდეთ, რუსეთი რა არის, თორემ საქართველოს მომავლის განჭვრეტა გავვიჭირებდებო.

როცა ყველაფერს ნათლად გავითვალისწინებთ, მკაფიოდ დავინახავთ, რომ რუსეთის ისტორიულ-ეროვნული მისია სხვაა და საქართველოსი — სრულიად სხვა.

რუსეთი მიისწრაფვის გახდეს მსოფლიოს იდეოლოგიური, კულტურული, პოლიტიკური და სამხედრო მეთაური, საქართველო კი ეროვნულ გადარჩენასა და არსებობის შენარჩუნებაზე ოცნებობს.

მიზნისა და ამოცანის ეს ძირეული განსხვავება, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ბედს უშვადებს რუსეთსა და საქართველოს. სხვადასხვა დავალებას აძლევს მოაზროვნე რუსს და მოაზროვნე ქართველს.

საქართველო ამჟამად ერთ ეკონომიკურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ-კულტურულ სისტემაში შედის, რომელსაც ოფიციალურად სსრკ ეწოდება. სსრკ ყველაგან, მთელ მსოფლიოში, რუსეთად აღიქმება. ეს მართალია არის სსრკ პირითადი მდინარე არის რუსეთი, ხოლო დანარჩენი ქვეყნები, ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკები, მისი შენაკადია. როცა დიდ მდინარეს პაწია რუბები უერთდება, სახელრც და სახრავიც იმ დიდ მდინარეს ეკუთვნის და ნაკადულები აღარავის ახსავს. ღიაზე თუ არაგვი მანამდღა ღიაზე და არაგვი, სანამ მტკვარს შეუერთდება, თორემ შეერთების მერე ორივე მტკვარია. ისიც კი აღარავის ახსავს, რომ

მტკვარს ღიაზე და არაგვი შეერთების შემდეგ მტკვარს ეწოდება; დიდი უღაპავს პატარას.

ცნებაში — „ერთიანი საბჭოთა ხალხი“ — სიტყვა „საბჭოთა“ განსაზღვრავს ამ ერთიანი ხალხის ცხოვრების სოციალ-პოლიტიკურ ხასიათს. ამიტომ ბუნებრივად იხმის კიოხვა: ეროვნულად ეს ერთიანი ხალხი ვინ არის?

რკგორც წესი, ხალხის ერთიანობა გულისხმობს ტერიტორიულ, იდეოლოგიურ, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ენობრივ ერთიანობას. ტერიტორიულად, იდეოლოგიურად, კულტურულად, ეკონომიკურად, პოლიტიკურად დღეს სსრკ მოსახლეობა მართლაც ერთიანია. მაგრამ ამ ერთიანი ხალხის ერთიანი ენა რომელია? არა მგონია, გონიერ კაცს ამ კითხვის პასუხი გაუჭირდეს — რუსული ენა.

მაშხადადამე, თუ მართლაც ჩამოყალიბდა ერთიანი საბჭოთა ხალხი, მაშინ იგი ეროვნულად რუსია.

რამდენიმე ერის შერწყმით რაღაც ახალი ეროვნული ერთეული არ მიიღება. ასეთი მაგალითი ისტორიამ არ იცის. შერწყმა-შეერთების დროს დიდი და ძლიერი ერი ნიქავს სუსტსა და პატარა ერებს, სსრკ-ის პრობებში ეს დიდი და ძლიერი ერი რუსი ხალხია და იგი უღაპავს სხვა სუსტსა და პატარა ერებს. ეს უტყუარი კანონზომიერებაა და თუ კაცი თვს ძალად არ იბრმავებს და იყრუებს, ამას ნათლად ხედავს და ესმის.

ამგვარ ვითარებაში ქართულ ენას რჩება პატუა-ენის (შინ სახმარი ენის) ფუნქცია. როგორც ყველა პატუა-ენა, ქართულიც თანდათანობით გადაგვარდება და დაკარგავს კულტურულ-მწიგნობრული ენის მნიშვნელობას. დღეს ეს პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. როგორც ეს ენ პროცესი დახრულდება, ქართველი ხალხის გარუსების პრობლემა გადაწყვეტილი იქნება. მაგრამ ჩრჭრობით პრობლემა პრობლემად რჩება და სანამ ასეა, გადარჩენის იმედი კიდევ შეიძლება ვიქონიოთ.

დღეს ქართველი ხალხის წინაშე სრულიად ნათელი ალტერნატივა დგას — ან გარუსდეს ან დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის იბრძალოს. შეხამე გუა არ არსებობს. თუ ვინმე საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით კმაყოფილია, იმას უნდა ვუთხრათ: ისტორია ერთ ადგილას არ დგას. იგი მუდმივად მოძრაობს და წინ მიდის. ამიტომ ვერც საქართველო გაჩერდება ერთ მდგომარეობაში. ისტორიის მსვლელობა მასაც აიძულებს, უნდა თუ არა, იმოძრაოს. ამ მოძრაობას კი, როგორც ითქვა, ორი მიმართულება აქვს — გარუსებისაკენ და ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ. ან ერთი უნდა აირჩიო ან მეორე. ამიტომ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით კმაყოფილებს, სურთ თუ არა ეს. მოუ



წვეთ გარუსება. თუმცა გამოირცხული არ არის, რომ მათი კმაყოფილება გარუსების მოლოდინითაც იყოს გამოწვეული. ბრყვი უკვლავ ერზე უთვალავი ჩაოდნობით არის.

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა საჭირო, ბრძოლას კი წინამძღოლი და მეთაური სჭირდება. ვინ იქნება იგი?

ქართველი კომუნისტები ამ ფუნქციას ვერ შესრულებენ, რამეთუ როგორც სკკ წევრები, მოვალენი არიან მოსკოვს ბრძალ ემორჩილებოდნენ და მის განკარგულებებს უყოყმანოდ ასრულებდნენ. თუ ვინმე გაბედვას სხვაგვარად მოიქცეს, მას მათინვე კატორღაში უკრავენ თავს. უკვლას კარგად მოეხსენება, რომ სკკ-ში მონური მორჩილება არსებობს და არავის აქვს უფლება, საკუთარი აზრი ჰქონდეს. ამიტომ ქართველი კომუნისტები არ გამოხატავენ ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესს, თუმცა წამდაუწუმ ჩაგვიჩიინებენ — სხვა მიზანი, საფიქრალი და დანიშნულება არ გაგვჩინია, თუ არა საქართველოს მოვლა-პატრონობაო. რა თქმა უნდა, მათ ევალეზათ საქართველოს, როგორც რუსეთის პროვინციის, მოვლა-პატრონობა და ამას შემღებინდაგვარად აკეთებენ კიდევ. მაგრამ მე ვლაპარაკობ საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობაზე და, ცხადია, რომ ამ ფუნქციის შესრულებლად ქართველი კომუნისტები არ გამოადგებიან. ეს ისტორიამაც დაამტკიცა და დღევანდლობამაც.

დღეს უოველი ხალხი იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობა-თავისუფლებისათვის და ქართველი ხალხიც ვერ გამოეთიშება ამ საერთაშორისო მოძრაობას, თუ მას საბოლოოდ არ დაუქარავს ნაციონალური ღირსება.

უნდა ითქვას ისიც, რომ სკკ არც სოციალური თვალსაზრისით გამოხატავს მშრომელი ხალხის გულისხმადებს, მის სურვილსა და მიწინააღმდეგებს. საბჭოთად მოუხმობენ ნარკვევს — „მთას დაუბრუნდა მთიელი“ (ავტორია კ. ლორთქიფანიძე).

მე-21 საუკუნის 40-50-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა მთიდან ბარში ჩამორეკა მოსახლეობა. მაშინ მთის დაცარიელება და ბარის ქარბად დასახლება ფრიად აქტუალურ. პროგრესულ და საჭირო საქმედ მიჩნდათ. საქართველოს მთიანეთის ერთი ნაწილი ძალითა და ცემა-ტუქებით ჩამოათრიეს ბარში. პრესა და თითქმის მთელი მწერლობა ბმაშეწულობილი გამაქრებლად კიოდა — ხალხის ბენდიერებისათვის კეთდებაო ეს.

არ გახულა 21-21 წელიც, რომ გამოირკვა — მთის დაცარიელება უდიდესი უბედურება უოფილა ქვეუნისათვის და ამიტომ ბარში დასახლებული ოჯახები, 70-იან წლებში, ისევ აშუარეს და უკან მთაში აახხეს.

ეს ამბავია აღწერილი კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნარკვევში და ვნახოთ — როგორ.

აყრილ, უხალხო, უპატრონო სოფელ ქერუში ერთადერთი ოჯახია დარჩენილი ნარკვევაში.

ერთბელ შუალამისას ჯავრისაგან გულგამობრულმა ნიკამ უური მიუგდო ნადირის უმუილს. მერე უეცრად თვითონაც აუშუვლდა, ხანი მისცა ტურუს...

— რა დაგემართა, ნიკავ, გაგიუდი, კაცო! — გამოსძახა ოთახიდან ქალმა.

— მგლებში ვცხოვრობ, ანეტა, და მგელივით უნდა ვიუშუვლო! — მიუგო ნიკამ¹.

მე-11 საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ ბევრნაირი უსამართლობა და უკანონობა დახატა — გლეხის უდელში შებმით დაწუებული და ეგზეკუციური ძარცვა-გლეჯით დამოთავრებული, მაგრამ ადამიანის მგლაქცივის ნატვრა არ აუწერია. გასულ ასწლეულში არ მომხდარა შემთხვევა, რომ გლეხს ეთქვას — მგლებში ვცხოვრობ და მგელივით უნდა ვიუშუვლოო.

ხალხის ასაყრელად ძალდატანების გაუგონარ და არნახულ ფორმებს მიმართავდნენ. როცა სოფელმა ქერემმა უარი თქვა გადასახლებაზე, მაშინ „გაჯიქება ეგრე არ უნდაო, გაჯავრდნენ ხელისუფალნი და ქერემს ჭერ ეღებქროსადგური მოუშალეს, სოფელი ბნელში დატოვეს. მერე წისქვილებს წყალი გადაუგდეს და, როცა ძალმომრეობამ სოფელი მიინც ვერ გატეხა, მაშინ უებრო წამალი მოიგონეს: სახლის სახურავზე მილიციელები ავიდნენ და კრამბით გადმოყარეს, აღარც ახლა წახვალთო? წავიდნენ“².

ჩვენს ლიტერატურაში გლეხის აწიოკების უკვლავ შემზარავი სურათი ეგ. ნინოშვილის „გოგია უიშვილშია“ აღწერილი. მაგრამ იქ უბედურება მხოლოდ ერთ ოჯახს ატულება თავს და არა მთელ სოფელს. ქერემში კი მთელი სოფელი (ვინ უწუის, საერთოდ რამდენი სოფელი!) გახდა ძალმომრეობის მსხვერპლი. ვერც ერთი ქვეუნისა და ხალხის ლიტერატურაში ვერ წაიკითხავთ, რომ მთელი სოფლისათვის ელსადგური მოეშალათ, წისქვილებისათვის წყალი გადაეგდათ და პოლიციას სახლებისათვის სახურავები აეხადოს. ამის მსგავსი სურათი წარსული საუკუნის არც ქართულ ლიტერატურაში დახატულა და, თუ არ ვცდები, არც რუსულში. საბჭოთა ხელისუფლებამ კი ეს ჩაიდინა და თან ურცხვად ამტკიცებდა, ხალხის კეთილდღეობისათვის ვაკეთებო ამას.

ისიც ფრიად საგულისხმობა, მშრომელი გლეხობის ამ არსმენილ უბედურებას აღწერს მწერალი, რომელმაც სულითა და გულით უმღერა

1 გაზეთ. „კომუნისტი“, 1980 წ., 13 სექტემბერი.

2 გაზ. „კომუნისტი“, 1980 წ., 13 სექტემბერი.



სოფლად სოციალიზმის „დამკვიდრებას“ (იხილეთ რომანი „კოლხეთის ცისკარი“).

მიუხედავად იხევ ჭერემელთა თავგადასავალს.

ჭერემიდან გადასახლებულ ნიკა ჩაჭვადეს გულმა ვერ გაუძლო და ერთ გაზაფხულს ისევ სოფელში დაბრუნდა.

„...სალამონხანს იგი უკვე სოფელ გადრეკილში იყო. მეგობარ კაცს ხარი და კავი გამოართვა და იმავე ღამეს ჭერემში ავიდა.

ბევრი არა, — ერთი ჩარქვა მიწა მოხნა და სიმინდი დათესა.

დათესა და ისევ გამარჯვებაში დაბრუნდა.

ჭერემში ხშირად ამოდიოდნენ მეთვალყურეები. ფხიზლობდნენ, თვალს ადევნებდნენ, რომ ჭერემში არავინ დაბრუნებულყო. ერთხელ დაინახეს ახლად მოხსულ-დაფარცხული მინდორი და ჰქვეყანა შეშვარეს, ვისია უნა, ვინ დათესა.

იცოდნენ, მაგრამ სდუმდნენ.

მეთვალყურეებმა გული არ გაიტეხეს, ვინც ამ მიწაში თესლი ჩაადგო, იგი უნანს უთხოვოდ არ დატოვებო.

მართლაც, სიმინდი დაორყურდა თუ არა, ნიკაც უნაში გამოჩნდა.

გამოჩნდნენ ისინიც, გახურებულ თხნის დროს თავზე წაადგნენ და... — ახლა კი გაგაბითო! — უთხრეს და იქვე დააპატიმრეს, მისი „საქმე“ კი სახალხო სასამართლოს გადასცეს.

გამოძიებამ ძველი „ცოდვები“ გაუხსენა ნიკა ჩაჭვადეს: მოსკოვი, გორკინის სახელზე დაწერილი საჩივარი, ხალხის წაქეზება. ჭერემიდან ფეხი არ მოიცივალათო. გაუხსენეს ერთი კაცის სოფელი, რამაც ჰქვეყანა ალაპარაკა.

მერე ბრალი დასდეს...

რა დანაშაულში?

სასამართლომ იმსჯელა და სახელმწიფო მიწის დატაცებისათვის ნიკა ჩაჭვადეს სამი წლის ციხე მიუსაჯა.

გაგეციენება, მკითხველო, — არა, გული გეტკინება, თმა უალუწე დაგიდგება, როდესაც ამგვარ წრეგადასულ უსამართლობას წააწყდები.

კაცი დავბერდი, მთელი ჩემი დღე და მოსწრება ქართული სოფლის ცხოვრების შუაგულში ვტრიალებდი, და ჭერ ასეთი საარაკო ამბავი არ გამიგონია. პათოსანი მშრომელი კაცი ციხეში გამომწყვდიეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან სადღაც ნაპარტახალ სოფელში ერთი ჩარქვა მიწა მოხნა და სიმინდი დათესა“¹.

ამ გრძელ ამონაწერს განმარტება არ სჭირდება. დღესავით ნათლად არის დახატული — რა დღეში ჩაადგო გლეხი საბჭოთა ხელისუფლებამ.

დემაგოგები აყვირდებიან: „კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება რა უნდა გააკეთოს ული პირების შეცდომათ.

ამის პასუხად უნდა ვთქვა — ჭერ ერთი, თვალწვდენელ ქვეყანაში ადამიანი სამართალს რომ ვერ იპოვნის, ეს მხოლოდ ცალკეული პირების შეცდომაა?

მეორეც, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ამ ცალკეული პირების შეცდომას საშველი არ დაადგა, რის გამოც უდანაშაულოდ დასჯილთა რიცხვმა ათეულ მილიონებს გადაჭარბა. მაღლობა ღმერთს, ეს თვით სკკპ აღიარა მე-20, 21-ე და 22-ე ურილობებზე. მომავალში კიდევ რამდენს აღიარებენ, ეს ალამა უწყის.

მესამეც, როგორ ხდება, რომ ცალკეულ პირთა შეცდომებს მთელი პარტია ათეული წლების მანძილზე ვერ ახწორებს?


მეოთხეც, მს-იანი წლების დასაწყისში სკკპ საწიგომ ფიცით დაშპირდა საბჭოთა ხალხს — „პარტია საქვეყნოდ აცხადებს: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნისმის დროს“! მაშინ მთელ სსრკ-ში ბუკი და ნაღარა ქუხდა, დაუდაფებს ბაგა-ბუკი ვაჭკონდა. პრესა გადაჭრელებული იყო — კომუნისმის კარიბჭესთან ვდგავართო. ახლა უველა და უველაფერი დუმს, კრინტს აღარავინ ძრავს, გატრუნული არიან, თითქოს ეს დაპირება სკკპ პროგრამაში არ ეწეროს. მეტი რა გზა დარჩათ. უნდა გაჩუმიდნენ, რადგან ეკონომიკური სიღუბნის განმე ჰქვეყანა თავზე ეტყევათ. დაპირების შესრულება კი არა, ელქმა-პური უქირთ და მს-იან წლებში 20-ე ურილობა მოიწვიეს სურსათ-სანოვავის პრობლემის მოსაგვარებლად. იმას, რაც მს წელიწადში ვერ მოავგვარეს, ხუთ წელიწადში უნდათ უშველონ.

მეხუთეც, ამდენი ტყუილის შემდეგ, სად არის გარანტია, რომ სკკპ ისევ არ შეცდება? მილიონობით მსხვერპლის მერე ისევ და ისევ არ დაიწყება თავისმართლება — შეცდომა მავანი და მავანი „ბეზალის“ ბრალიაო?

ამის გარანტია, ცხადია, არხად არის და არც იქნება. არ იქნება სსრკ-ში გაბატონებული ერთი ჩვეულების გამო: ანდაზა ამბობს — ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. სსრკ-ში ის კაცი, ვინც ურემის გადაბრუნებამდე მიხვდება, ამ გზაზე ხიფათია მოსალოდნელი და არ უნდა წავიდეთო, მტრად არის გამოცხადებული და პირში ბურთი აქვს ჩაჩრილი (რა თქმა უნდა, თუ თავის წაწყვეტას გადაჩა), ხოლო იგი, ვინც ურემის გადაბრუნების მერე თვალთმაქცურად აყვირდება, გზა უვარგისი იყო, გმირად და ჰქვეყნის მხსენლად არის აღიარებული. საქმიანობისა და პათოსების კრი-

1 გაზ. „კომუნისტი“, 1980 წ., 16 სექტემბერი.

1 სკკპ პროგრამა, მიღებული XXII ურილობის მიერ, 1961 წ., გვ. 157.



ტერიუმის ასე თავდაყირა დაუენებამ სსრკ-ში მოსალო უკველგვარი იმედი მდგომარეობის მოწესრიგებისა.

კომუნისტებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ამა თუ იმ დაუსაბუთებელი იდეის ამოჩემება-აკვიტება. ერთ მშვენიერ დღეს ნათელი გახდება, რომ აკვიტებული იდეის განხორციელება შეუძლებელია ან ხელსაყრელი არ არის. იმის მაგიერ, რომ უარყუნ ამგვარი იდეა, იწუებენ მის „განხორციელებას“ ძალით, დაკერა-გადასახლებით, ტოტალური შიშის დანერგვით. არ აკრთობთ არც ტანჯვა, არც სიხსნლი, არც მხხვერპლი, ოღონდ, აკვიტებული იდეა „საქმედ აქციონ“. მიუხედავად ამისა, ბოლოს და ბოლოს, მაინც არაფერი გამოდის, რამეთუ უკველივე ანტიბუნებრივი უღღერო და მკვდრადშობილია, როცა სიხსნლიანი და მხხვერპლიანი აკვიტებული იდეა ჩაფლავდება, იძულებული არიან, უარი თქვან მასზე და, თავისმართლების მიზნით, უკველივერს ამა თუ იმ პარტიულ „ბელადს“ აბრალდებენ. ნამუსის გასაწმენდად „დამხაზავე ბელადს“ მხხვერპლად სწირავენ ჩაშლილ აკვიტებულ იდეას. მერე ახალი „ბელადის“ წინამძღოლობით იწუებენ ახალი აკვიტებული იდეის ძველი ძალადური მეთოდით განხორციელებას. არც ამ ახალი აკვიტებული იდეიდან გამოდის რამე. ისიც ფლავდება. ისევ მხხვერპლად ეწირება „ბელადი“. ისევ ახალი „ბელადი“ დაჩდება. ისევ ახალი აკვიტებული იდეა გაჩნდება... და ასე დაუსრულებლად.

ასე ჩამოყალიბდა სსრკ-ში პოლიტიკური მოღვაწის ახალი სახეობა — ბელადი-ზვარაკი. ეს პოლიტიკოსი, სანამ პარტიული ლიდერის სკამზე ზის, ბელადია, როცა მოკვდება ან მოხსნიან, ზვარაკი სანამ სკამზე ზის, უცდომელი ბელადია, როცა მოკვდება ან მოხსნიან, უკველა ბოროტმოქმედება მას ბრალდება და მხხვერპლად შესწირი განტეგების ვაცი ხდება.

სანიმუშოდ ვაჯიხსნოთ ზოგიერთი ფაქტი. 20-იან წლებში საქართველოში ბრძოლა გამოუტხადეს სიმინდს, როგორც ჩამორჩენილ სასოფლო-სამეურნეო კულტურას. დაიწვეს ვითომ უფრო პროგრესულის რამისა და ჩაის პროპაგანდა. იწერებოდა ლექსები და რომანები, რომლებშიც დასციხონდნენ სიმინდს. მოიგონეთ კ. ლორთქიფანიძის რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“, ანდა კ. ხობოზიძის ლექსი — „შემოდგომა“.

„თითქმე დაიწყო გაზაფხული — ვვავის გერანი, მხოლოდ სიმინდი ყვითლდება და ეატყობ დაბდი აქვს,

1. ვერ. „ბოროტკარული მწერლობა“, 1931 წ. № 2, გვ. 146.

სიმინდის ყანაც, შემოდგომით —
საქართველოში
სიმინდის
უქანასკნელად ფერმიხდილი უმზურ
განთიადს.

პლანტაციებო ჩაი გიმზერს, მაღალ ვაკიდახ;
კულტურა რამის და გერანის რადავან
მშვენდება,
ალბათ სიმინდმა დღეს სიცოცხლე ბეწვევ
დაჰკიდა —
გაზაფხულივით შემოდგომა ჩაის
ამწვენებს,
როცა გამხმარ ჩალის ღეროს ქარი
აწვალებს...“

გავიდა დრო. მიხვდნენ, რომ სიმინდი გადასაგდები არ უოფილა. აკვიტებული იდეა დაგმეს და მხხვერპლად შესწირეს საქართველოს კპ ცკ მაშინდელი მდივნები.


მისიან წლებში ბრუშჩოვმა აშშ-ში იმოგზაურა. ნახა, რომ მარცვლეულის პრობლემას ამერიკელები სიმინდის საშუალებით აგვარებენ. გადაირია სიხარულით — თუ გვიშველის, სიმინდი გვიშველისო. იმდროინდელ საბჭოთა პრესას თუ გადაათვალიერებთ, უკველან ბრუშჩოვის სურათს ნახავთ: „ბელადს“ სიმინდის ტარო აქვს პირში გაჩრილი. აქაო და ბრუშჩოვს სიმინდი მოეწონაო და დაიწყო ყველგან განუკითხვად სიმინდის თესვა. ბალტიისპირკლებს ავალებდნენ, კარტოფილის მაგიერ, სიმინდი ეთესათ, ბოლო ქართველებს უჩრებდნენ, კახეთში ვენახი აჩებეთ და სიმინდი მოაშენეთო. სიხარულით გაოგნებული ქართული პრესა შეხმატკბილებული ჭალობდა — კაცობრიობას ამგვარი სიბრძნე ჭერ არ სმენიაო.

ჩაფლავდა ბრუშჩოვის აკვიტებული იდეა და მას „ბელადი“ მხხვერპლად შესწირეს.

თუ მისიან წლებში დაწერილ ლექსებს გადაიკითხავთ, ამგვარ სტრიქონებს წააწყდებით:

„მოვიდა მასსა. კოლო გასრისა
და დლიდა:
ბამბა,
ბამბა,
ბამბა,
ბამბა.
ბამბავენ ეელს...
ბიქებო დასცხეთ
გზა პორდაპირი —
მინდორზე ბამბა იმედებს ლამბავს,
უძახის ბანით დობირს დობირი:
ბამბა,
ბამბა,
ბამბა...“

1 ს. ჩიქოვანი — ლექსები (წიგნი პირველი). 1933 წ. გვ. 250-258. ლექსი — „ალაზნის ბამბა“.



რატომ დაიწერა ეს ლექსი? იყო დრო, როცა კომპარტია საქართველოს ბაზმის რესპუბლიკად გადაქცევის უპირებდა. იყო გაჩაღებული ბაზმი-ადა პრესაში, მწერლობაში, იწერებოდა რაგინ-დარა უანრის ნაწარმოებნი ბაზმის სადიდებლად. მერე აღმოჩნდა, რომ საქართველოში არ არის კომპატური პირობები, რომელიც მებამბეობის განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპარტიის აკვირებული იდეა ჩაფლავდა. განუხორციელებელ ოცნებას გადაუყენე „ფანტაზიორი“ პარტ-მუშაკებიც და ბამბიადას პოეზიაც.

მშ-იანი წლების ბოლოს და 40-იან წლებში ახალი აკვირებული იდეა აწამებდა კომუნისტებს — საქართველომ თავად უნდა უზარუნ-ველდეს თავისთავი საკუთარი პურით. „საქართველოს მტკიცედ აქვს აღებული კურსი იმისაკენ, რომ 1940 წლისათვის ძირითადად დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი საკუთარი პურით“.¹ რისი 1940 წელი „საკუთარი პურისათვის“ ბრძოლა ბერიას დახვრეტამდე გრძელდებოდა. საშინელი ამბავი დაატრიალეს. პურეულის დასათესად ყველაფერი გადახნეს — საძოვრები, სათიბები, ბაღ-ბოსტნები, ვენახები. ხორბლეული ვერ მოიყვანეს. სამაგიეროდ გაწყდა უსამძვროდ დარჩენილი ცხვარი, დაიხოცა უთივოდ საქონელი, გაჩანავდა ბაღ-ვენახი. როცა ქვეყანა ეკონომიკურად დაიქცა და ლავრენტი ბერიაც გაანადგურეს, მერე გადაიღეს შეცდომების „მამხილებელი“ ფილმი — „ჩრდილი გზაზე“.

მე-19 პარტურობაზე, 1952 წლის ოქტომბერში, სკკპ-მ, მალენკოვის პირით. გამოაცხადა, რომ „მარცვლელის პრობლემა, რომელიც წინათ ყველაზე უფრო მწვევე და სერიოზულ პრობლემად ითვლებოდა, გადაჭრილია წარმატებით, გადაჭრილია საბოლოოდ და სამუდამოდ“².

თუ მარცვლელის პრობლემა 1952 წლისათვის იყო „გადაჭრილი საბოლოოდ და სამუდამოდ“, რატომღა ყიდულობს სსრკ დღეს მილიონობით ტონა ხორბლეულს უცხოეთში? რატომღა იმტერვენ ცხვირ-პირს დღეს ამ საკითხის მოსაგვარებლად? არაფერი არ იყო გადაჭრილი 1952 წელს და არც ახლა — 80-იან წლებშია — მოგვარებული ეს პრობლემა. მალენკოვის განცხადება იყო მორიგი, ჩვეული ტყუილი, რითაც სკკპ უმსახინძლდება საბჭოთა მოქალაქეებს.

გამოხდა ხანი და „ბელადი“ მალენკოვიც სა-

ნაკვე უთუში გადაისროლეს. შეცდომები მას დაბრალდა.

დღეს 26-ე ყრილობის იმედით სულდგმო-ლობენ. იგი გადაწყვეტსო სასურსათო პრობლემას. ანდაზაში ნათქვამია — აღდგომა და ხვა-ლეო.

დასკვნის სახით უნდა ვთქვა ორი რამ: პირველი ის, რომ სისხლიანი და მსხვერპლი-ანი აკვირებული იდეა არასოდეს გამოხატავს ხალხის სურვილსა და მისწრაფებას. პირიქით, ყველა იდეა-ფიქსი ხალხის მტერია.

მეორე ის, რომ კომპარტიის ყრილობების თვინიერ არის მოწესრიგებული სურსათ-სანოვა-გის პრობლემა ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ახე იყო ჩვენშიც: ყოველმა გლეხმა ჩინე-ბულად იცოდა, როდის, სად და როგორ დე-თესა ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ჩაყარა ვენახი, მოეშენებია ბაღჩა-ბაღი. არც ცხვარ-ძროხის გამრავლებას სჭირდებოდა კომპარტიის ცქ დადგენილებანი.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს, 1904 წელს, ქართველმა გლეხმა ძიკი კვარაცხელიამ რუსე-თის იმპერატორს ნიკოლოზ მეორეს აჩუქა ახი დარჩეული ხარი; ერთი ასაკის, ერთნაირი წო-ნის, ერთი ფერის (ოქროსფერი), ერთნაირად თეთრქიანი.¹ ახლა მთელი სსრკ რომ დაიარო კიდით კიდემდე ას ამნაირ ხარს ვერაფრით ვერ მოაგროვებ, თუმცა დადგენილებებს ტომობით ნახავ. მაშინ კი ამის გაკეთება ერთ მშრომელ გლეხაკაცს შეეძლო (ოღონდ სოციალისტური შრომის გმირს — არა).

ახე გაჩნდა უფსკრული ხალხის ინტერესხა და კომპარტიის საქმიანობას შორის, როგორც სო-ციალური, ისე ეროვნული თვალსაზრისით.

ამგვარ სიტუაციაში ქართველი ხალხის პატ-რონად და ქომაგად ისევ მწერლობა უნდა და-რჩეს. სხვა გამოსავალი არ არის. მაგრამ თუ ქართული მწერლობა გაიზიარებს ლიტერატუ-რის კომუნისტური პარტიულობის პრინციპს, იქნება მისი ერთგული, მაშინ იგი ჩვე-ნი ხალხის მეთაურად არ გამოდგება. როგორც ცნობილია, ლიტერატურის პარტიულობის პრი-ნციპის ძირითადი ამოცანაა, მწერლობისა და ხელოვნების საშუალებით, პროპაგანდა გაეწიოს მოსკოვში შემუშავებულ დირექტივებს. მაშას-დამე, დანერგოს კრემლიში, ანუ რუსული სო-ციალიზმი, კრემლიზმი კი, როგორც უკვე ითქვა გამორიცხავს სხვა ხალხთა სურვილსა და მის-წრაფებას და მხოლოდ რუსეთისას ემსახურება.

ავიღოთ უბრალო მაგალითი: დღეს შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარეობს **Б.А.М.**-ის მშენე-ბლობა. ბავშვმაც კი იცის, რომ ეს ხდება არა შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკური ათვი-სების მიზნით, არამედ სამხედრო თავდაცვის მშ.

1 კულტ. „მშათობი“, 1937 წ., № 5, გვ. VIII; ლ. ბერია — „მკათე ყრილობის შედეგები“. ეს წერილი „პრავდაშიც“ იყო დაბეჭდილი (1937 წლის 5 ივნისის ნომერი).

2 გ. მალენკოვი — საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ. 1952 წ.; გვ. 58.

1 ლიტერატურული კრებული „ლოწა“, 1977 წ., მოსე ვესალია — ლეო ქიჩელი, გვ. 137.

ცანით. იქ ჩინეთის სახით, რუსეთის დაუძინებელი მტერი ჰყავს. ჰარბად დასახლებულ ჩინეთს სულს მოხატომელად ტერიტორია სჭირდება. ეს ტერიტორია არის ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ჩინეთიც ეშალება წაართვას იგი რუსეთს. რუსეთმა ამ ტერიტორიის დასაყრობად სისხლი დაღვარა. ცხადია, მისი დათმობა აღარ უნდა. არც დათმობს, ხანამ ძალ-ღონე ეყოფა. ამიტომ მომავალი, გარდაუვალი რუსეთ-ჩინეთის ომისათვის აუცილებელია ამ ტერიტორიის სამხედრო გამაგრება-ათვისება. ბალი-ის რკინიგზის მშენებლობაც ამ ამოცანას ემსახურება, მასხადამე BAM რუსეთის ეროვნული თავდაცვის კედელია შორეულ აღმოსავლეთში.

თუ ქართველი თავს რუსად არ თვლის, მაშინ მას BAM-ის მშენებლობაზე არაფერი ესაქმება. ტუილად ღვრის იქ სისხლსა და ოფლს. ჩინეთი საქართველოს არ ეშუქრება. ერთი ციქ-ქნა ქართული ტერიტორია მას არაფრად სჭირდება.

ეს ერთი. მეორეც: თუ ქართველი ეროვნულად თავისუფალი არ იქნება. ვანა სულერთი არ არის, ვინ იქნება მისი ბატონი — რუსი თუ ჩინელი? ანდაზა ამბობს: გინდ მგელს შევუკამივარ, გინდ — მგლისფერ ძაღლსო. თუ იმდენად დაგვიჩლუნგდა გონება, რომ რუსის სტამპზე უკეთესი ვერაფერი წარმოგვიდგინა?

მესამეც ისტორიული პერსპექტივაც ხომ უნდა დავინახოთ. რუსეთი კაცობრიობის ისტორიაში უკანასკნელი იმპერიაა. როგორც სხვა იმპერიებს, მასაც უტყველი დაშლა მოვლის. ეს შორეული ამბავი არ არის, ეს მე-20 საუკუნის ბოლომდე მოხდება. ტუილად ჰგონია კისმეს, რომ დღევანდელი რუსეთის სამხედრო სიძლიერე რაიმე უპირატესობის ნიშანია. ატომისა თუ წყალბადის ბომბების დამზადება ახლა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. უახლოეს წლებში ჩინეთი თანამედროვე იარაღით ისევე იქნება თავით ფეხამდე შეიარაღებული, როგორც რუსეთია. ასეც რომ არ მოხდეს, თითქმის მილიარდი მოსახლეობა ისეთი ძალაა, რომელსაც ვერავითარი იარაღი ვერ დაუდგება წინ. ბოლოს და ბოლოს ანგედოტური შემთხვევა შეიძლება მოხდეს. სამასი მილიონი ჩინელი რუსეთს თუვედ დანებდეს. 200-მილიონიან სსკ ეს ტუვეები ისე შეკამენ, რომ ჩინეთში ვერც გაიგებენ. დაკლდათ თუ არა მოსახლეობა. ასეთი ფანტასტიკური საშრობების წინაშე დგას რუსეთი. ამიტომ რუსი პოლიტიკოსები. თუ მთლად არ გამოუეჩიებულან, იმ ხალხების ეროვნულ თავისუფლებაზე უნდა ფიქრობდნენ, რომელნიც იმპერიის ფარგლებში ცხოვრობენ. რა ურჩევნია რუსეთს — ჩინეთი მოვიდეს სსკ-ში, როგორც დაპურობილი ერების გამანთავისუფლებელი, თუ პირიქით, ახალი დამპურობელი იმ ხალხებისა. რომელთაც

რუსეთმა ნებაყოფლობით მისცა ეროვნული თავისუფლება. გონიერი კაცისათვის ამისთვის პასუხი ნათელია.

ეს სიტუაცია, რუს პოლიტიკოსებთან ერთად, BAM-იადის მაგლობელმა ქართველმა მწერლებმაც უნდა გაითვალისწინონ. BAM-იადა ანტი ქართული საქმიანობაა. ეს თვალნათლივ დაადსტურა ვინმე რიბაკოვსკის წერილმა „კრავდაში“. ამ წერილით „კრავდამ“ მკაფიოდ გვითხრა: ამიერკავკასიელები და შუააზიელები ძალას ნუ გამოგვაუენებნებთ. თქვენი სურვილით აიკარით გუდა-ნაბადი და ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში გადასახლდითო. დრო აღარ ითმენს და ეს საქმე ჩი-იან წლებში უნდა მოვათავოთო.

როგორც ჩანს, ამ საშინელი მუქარის არსი ვერ ამოვიცანით, რაკი ახე თავგამეტებით შრომობს BAM-ზე ქართველი და ქართული პრესა, რადიო-ტელევიზია ასეთ საგულდაგულო პროპაგანდას უწევს მას.

ამის წაკითხვისას შეიძლება ზოგიერთი გაცხარდეს: ჩვენი რა ბრალია, რუსები გვაძალებენ და იძულებით ვართო BAM-ზე სამუშაოდაც წავიდეთ; ვუმღეროთ კიდევ და პროპაგანდაც გავუწოთო. ვინც ამას იტყვის, იგი ხომ დადასტურებს ამით, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესი სხვაა და რუსეთისა — სხვა.

მე-19 საუკუნეშიაც აშენებდნენ რუსები შორეულ აღმოსავლეთს, იბრძოდნენ მის ასათვისებლად, მაგრამ ქართველი მწერლისათვის არავის დაუვალდება იმ მშენებლობაზე წერე და პროპაგანდა გაუწიეო. რატომ? იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ცარიში ვერ ბედავდა აშკარად ეთქვა — რუსისა და ქართველის მისია ერთია და ქართული მწერლობა რუსეთის იმპერიის ურბოქრდილი მსახური უნდა გახდესო. ცარიში ჩუმად, მიპარვით ცდილობდა რუსი-ფიკაციის აქტის ჩატარებას. რუს კომუნისტებს კი არაფრის ეშინიათ. მათ რუსულ შოვინიზმს ინტერნაციონალიზმის ნიღბი ააფარეს და, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის მომარჩვებით, უველა არარუსი ხალხის მწერლობა რუსეთის სამსახურში ჩააყენეს. იმდენად არის უველა დამფრთხალი და თავზარდაცემული, რომ საწინააღმდეგოდ კრინტის დამქრას ვერავენ ბედავს.

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა არა მარტო თანამედროვე პრობლემებზე მსჯელობისას შეუკრა კრიკა ქართულ მწერლობას, არამედ წარსულისაც. მაგალითად, იგი ხმას ვერ იღებს იმ ქართველი მოღვაწეების საქმიანობაზე, რომელთაც არ უნდოდათ საქართველოს რუსეთთან შეერთება ან შემდგომ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ემსახურებოდნენ.



მე-18 საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის სოლომონ ლიონიძის სახელი და საქმიანობა მიჩქმალულია, რაკი იგი, სოლომონ მერანისთან ერთად, რუსეთის ებრაძოდა და არ შეეგუა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას. თუ გაიხსენებენ მხოლოდ იმითომ, რომ დიდებული ხიტუვა წარმოთქვა ერეკლე მეორის დასაფლავებაზე, სოლომონ ლიონიძის რეაბილიტაციისათვის აუცილებელი გახდა იმის მტკიცება, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი მისი ხელით არისო დაწერილი. შეიძლება სოლომონ ლიონიძე ტრაქტატის დაწერაში მართლაც მონაწილეობდა, მაგრამ იმ ფაქტს რა ვუყოთ, რომ რუსეთმა ეს ხელშეკრულება ფეხქვეშ გათელა, მისი არც ერთი მუხლი არ შეასრულა და რუსეთის მფარველობაზე მეოცნებე ბაგრატიონთა დინასტია ურცხვად მოაბუხა და გააცუტურაკა?

ალექსანდრე ბატონიშვილი ხომ პირდაპირ ჩაქოლვას იხსახურებს, რაკი საქართველოში რუსეთის გაბატონების წინააღმდეგი იყო.

არც სოლომონ მეორე სარგებლობს ჩვენი სიყვარულით. ესეც იმიტომ, რომ არც იგი შეგებებია ხელგაშლილი და აღტაცებული რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას. სანამ შეიძლო, თავგამოდებულ ებრაძოდა მტერს.

სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული ალექსანდრე ამილახვარი, ავტორი ტრაქტატისა „ბრძენი აღმოსავლეთისა“. ეს მოაზროვნე განდევნილი გუავს ქართული აზროვნების ისტორიიდან მხოლოდ იმითომ, რომ ერეკლე მეორე არ უყვარდა და ებრაძოდა მას. დღევანდელ საქართველოში ერეკლე მეორისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ისევეა აკრძალული, როგორც მარქსისა და ლენინისადმი. რაკი ერეკლე რუსეთის ტრფალიად არის ჩათვლილი, ქართველ კომუნისტებს მონარქი იდეალად ჰყავთ მიჩნეული. რუსეთის ხათრით იდეოლოგიური ნიღაბიც კი ჩამოიხსნეს.

ამ მდგომარეობაში არ არიან მარტო მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეები. მე-18 თუ მე-20 ასწლულების მოღვაწეებაც იგივე დღე ადგაო.

არჩილ გორჯაძის წიგნების გამოცემა არ შეიძლება. ისინი ქართველს ეროვნულ ღირსებას ახსენებენ. ამიტომ მე-18 საუკუნის დასასრულისა და მეოცის დასაწყისის ყველაზე გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეს არც ახალგაზრდობა იცნობს და არც ფართო საზოგადოება. ამის მიზეზი კი ის გახალღო, რომ რუსული მოდელის მიხედვით არ აზროვნებდა ამიტომ ეშინოათ მისი ხსენება ისტორიკოსებსა და ლიტერატურისმცოდნეებს. თუ ახსენეს, აუცილებლად უნდა დაგმონ.

მენშევიკი გიორგი პლენხანოვი მოკრძალებით და პატრივისციებით სარგებლობდა, სოლომონ ლიონიძის სახელობის პროსპექტიც არის). მენშევიკი ნოე ეორდანია კი ლანძღვა-გინების წუშავეთა ამოსვრილი საქართველოში მარქსიზმის ერთ-ერთმა პირველმა პროპაგანდისტმა და რუსეთის იმპერიის მახშაბით. უგანათლებულესმა სოციალ-დემოკრატმა ეს რისხვა დღევანდელ საქართველოში იმით კი არ დაიმსახურა, რომ მენშევიკური მიმართულების პოლიტიკური მოღვაწე იყო (ახე რომ უოფილიყო, მაშინ პლენხანოვიც უნდა დაეგმოთ, მაგრამ მისი წიგნები დიდი ტირაჟით იცემა სსრკ-ში), არამედ იმით, რომ მისი სახელი ქართველს პირველ დამოუკიდებელ რესპუბლიკას ახსენებს, პირველ ქართველ პრეზიდენტს და 26 მისის იდეალებს. ეს კი ქართველს აკრძალული აქვს. თუ ვინიცობაა ახსენა, უთუოდ ლაფი უნდა დაახხას. ასე სურთ მოსკოვში და იმითომ.

პავლიკ მოროზოვს, რომელმაც მამა გაყიდა, ქართული პოეზია უმღერის! მაგრამ არავის ახსოვს 1921 წლის 28 თებერვალს უოფილი სამხედრო ტაძრის (ამ ადგილას ახლა მთავრობის სახლი დგას) გაღვანში, საძმო საფლავში ჩასვენებული ახალგაზრდა ქართველი ოფიცრები და სტუდენტები — არჩევან ანანიაშვილი, ალექსანდრე ახვლედიანი, ირაკლი თოიძე. პავლე იაკობაშვილი, ნიკოლოზ სტურუა, ნიკოლოზ ზანდუკელი, მიხეილ თუმანიშვილი, ნიკოლოზ კალანდარიშვილი და სხვანი.

ემიგრანტი პოეტი ვანო ზაქრადე გოდებს:


„დღეს 24 თებერვალია, ტაზანიშვილისა ვიგონებ გმირებს. ვეიქრობ, რომ იქაც საქართველოში მხო საფლავებზე მოვანენ ვარდებს და ჭუმად ვინმე ააწკარუნებს სიონის ტაძრის დამტკრეულ ზარბებს“.²

არავინ იცნობს და არც არვის ახსოვს მათთან ერთად დაკრძალული მარიამ კოტეს ასული მათაშვილი, ჩვიდმეტი წლის მოწყალეების დაი. ისინი დაიღუპნენ კოკორთან, საქართველოს დასაპყრობად მოსულ რუსთა XI არმიასთან ბრძოლაში. ისინი ხომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ღირსების დაცვას შეეწირენ! მაგრამ ქართულ მწერლობას აკრძალული აქვს მათზე წერა, რამეთუ ტუული უნდა დაინერგოს, თითქოს, ქართველმა ხალხმა ნებაყოფლობით თქვა უარი თავისუფლებაზე და ხელგაშლილი შეეგება ბოლშევიკურ რუსეთს.

აწინდელმა ქართველმა მკითხველმა არ იცის,

1. ვახ. „კომუნისტი“, 1981 წ., 27 სექტემბერი. თ. ენუქიძე — „მე ვიყავ მოქმედი...“

1 „ქართული საბავშვო ლიტერატურის ანთოლოგია“, 1971 წ., გვ. 194.
2 ეურ. „კავკასიონი“, № 15.



თორემ ქართულმა პოეზიამ უმღერა მარო მაყაშვილის გმირობას. მაგალითად, რაუდენ გვეტამემ ლექსით — „ტირლი პროსპექტზე მთვარიან ღამეში“ (მარო მაყაშვილს):¹

„მე არ გიცნობდი ამორძალო,
სწორად თამარის,
მაქვს სანახებლად თქვენი სახის უნარველობა
მაგრამ ამბობენ: რაფაელის უნდა ხელობა
თქვენს ნანდილ პროტრეტს, დღეს რომ
ვარდი ფარავს სამარის“.

მამამ, კოტე მაყაშვილმაც მიუძღვნა შვილს ლექსი — „ჩემს მაროს“:²

„არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა
მაქვს ზალისა:
თებურვალმა დამიზამთრა სამუდამოდ
მისი
გულზე სევდა შემომაწვა თავის მძიმე
ლოდებით:
საქართველო გაიფინთა მაყაშვილთა
გოდებით...
დავიღალე... დავიჩაგრე... და შენი ვარ
მხმობელი,
ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე
მშობელი!
სამშობლო თუ შენ — რომელი, ახ,
ვიტირო რომელი?!
დავდნი ცრემლად ორივესთვის სხვათა
კრემლის მშობელი!“

როცა ხალხი ეროვნული თავისუფლებისათვის წამებულთ არ ახსენებს, ეს ეროვნული სინდისის დაკნინება-დაქვეითებას ნიშნავს. მწერლობა კი უპირველესად ეროვნული სინდის-ნამუსის გამოვლენა-გამომჟღავნებაა. ამის უფლება ჩამოართვა სწორედ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა ქართულ მწერლობას. ამით ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა დღეში ჩავარდა ჩვენი სიტუაციაშემული ლიტერატურა.

ქართული საბჭოური ლიტერატურისმცოდნეობა იძულებულია, ბევრი ქართველი მწერალი, რომელთაც ცხოვრება 25 მაისისა და 25 თებერვლის მიჯნაზე მოუწიათ, ცალმხრივად განიხილოს და წარმოადგინოს.

აღარ იბეჭდება და აღარ ლაპარაკობენ გერონტი კიკოძის წიგნზე — „ეროვნული ენერჯია“, ანდა სხვა წერილებზე, რომლებიც დასტამბულია 1921 წლამდე. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების თვალსაზრისით, ქართველი ხალხის ეროვნული ენერჯიის განხილვა დღეს არასასურველია. ხომ შეიძლება საკუთარი ძალის რწმენა აღდგეს ჩვენს ერში!

ახლანდელმა მკითხველმა არ იცის, რამდენ სებ გრიშაშვილი ასეთ ლექსებსაც შექმნიდა:

„დღეს კი ქართველი გულში მუდამ
წუველას აჩალებს,
და სწყევლის იმას, ვინც ჩრდილოეთის
ველურ ყაჩაღებს
გაულო კარი თერგდალეულ დარიალისა“!

ცდილობენ ი. გრიშაშვილი წარმოადგინონ მხოლოდ როგორც საბჭოთა ხელისუფლების მომღერალი. მისი ასე ცალმხრივად დახატვა აიოლებს ლიტერატურისმცოდნეობის საქმიანობას. აადვილებს იმიტომ, რომ, თუ ვაჩვენებთ როგორი მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა გადალახა პოეტმა, მაშინ ისიც უნდა აიხსნას — როგორ გახდა ი. გრიშაშვილი ეროვნული თავისუფლების ქადაგიდან საბჭოთა ხელისუფლების მეზობტი. ეს არ მომხდარა ნებაყოფლობით, მსოფლმხედველობის ბუნებრივი განვითარებით. იგი მოხდა შიშით, ძალდატანებით, მართახით. თუ უველაფერი აშკარად ითქმის, მაშინ საზოგადოება მკაფიოდ დაინახავს, როგორი ჯოჯოხეთური წამების დარჯაქში გაიარა ყოველმა ქართველმა მწერალმა, რომ ცოცხალი გადარჩენილიყო.

დღეს არავინ იცის, როგორ მოუწოდებდა აკაკი შანიძე — „აბა, ფრთხილად, ქართველებო!.. ნუ, ნუ ვაღებთ დარიალსა!“²

არც ალექსანდრე აბაშელის ამგვარ ლექსებს იცნობს ქართველი საზოგადოება:

„დაპქრავს საათი კერპთა დასეტყვის,
მიწას მოივლის ცეცხლის მოდება
და ძველ ქვეყანას რეკვემს ეტყვის
ჩემი ნაღვლიან სულის გოდება.
ოხ, ჩემთვის ძნელი მისაღებია
შურისძიება ახალ მეტოქის.
ცეცხლის ეკრანზე ისახებიან
ძვირფასი ჩრდილნი წაბსულ ეპოქის.
ცეცხლში უეტრად გადასხვაფერდა
ძველი ფიქრები და იმედები
და ილექწება ბორკილთან ერთად
წარსულ დიდების თეთრი სვეტები.
და ერის ტანჯვის

გამომსახველი,
იზრდება გულში ორი
მწვერვალი,
ერთი ნაღველის ორი სახელი.
კრწანისის ველი და
თებერვალის (ხაზი ჩემია — ა. ბ.).
და ჩემს ფიქრებში ცრემლი გროვდება,

1 ქურ. „ცისარტყელა“, 1920 წ., № 4:
ი. გრიშაშვილი — „ავლაბარი“.
2 ქურ. „პრომეთე“, 1918 წ., № 1: აკ. შანიძე — „ქართული ეროვნული ჰიმნი“.

1 რ. გვეტამე — ღამეები (ლექსები), 1921 წ.
2 გაზ. „პოეზიის დღე“, 1922 წ. 7 მაისი, № 3, გვ. 2.

ვილაც ჩურჩულებს არ არის მეკლარი!..
დროთა მიჯნაზე საღამოვდება,
საღლაც ჰქვიითინებს მწუხარე თარი...“

მიფურჩეხულია და ნაცარწყარილი ეროვნული ტკივილი, რაც არსებითი პრობლემა იყო ქართული მწერლობისა. გაცემულია დირექტივა: ეროვნული საკითხი სამუდამოდ მოგვარებულია და მასზე ლაპარაკი საქირო აღარ არის. ამიტომ ისიც უნდა დაივიწყო, რასაც წარსულში ამბობდნენ. მართალია, ჭრილობა ისევ ზტკივა და გეწვის, მაგრამ ენას კბილი უნდა დააჭირო და კვნესა გულში ჩაიხშო.

სხვანაირად ფუფურებს რუსი თავის წარსულს. რუსეთში არა თუ ივანე ბუნინია დაფასებული და პატივცემული, არამედ მონარქისტი, საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერი, პირწავარდნილი რეაქციონერი შულგინიც. ფილმიც კი გადაიღეს მასზე და მისი მონაწილეობით.

ბუნებრივად არის ეს. იგი რუსეთის ისტორია და ისტორიას პატივისცემა უნდა. საქართველოში კი არც ვიქტორ ნოვაძის ხსენება შეიძლება, არც მიხეილ წერეთლის, არც ზურაბ ავალიშვილის, არც გრიგოლ რობაქიძის და არც სხვა ქართველი მოღვაწეებისა, რომელნიც ბედის უკუღმართობამ უცხოეთში გააძევა.

ანგდოტური მდგომარეობაც კი შეიქმნა: გრიგოლ რობაქიძის „ლაშარას“ თეატრმცოდნეები ვაჟა ფშაველას მიაწერენ. ამავე დროს ეს პიესა ვაჟას თხზულებათა არც ერთ გამოცემაში არ შეაქვთ. არც თეატრებში დგამენ. თუ ვაჟასია, რატომ არ ბეჭდავენ და არ დგამენ? თუ ვაჟასი არ არის, მაშინ რა ნამუსით ვაკუთვინებთ „ლაშარას“ დიდ ქართველ მოკვებ? რატომ გვინდა, ვაჟაც დღევანდელი უსინდისობის მონაწილე ვავხადოთ? მაგრამ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი უოვედგვარ სისაძაგლეს დასაშვებად მიიჩნევენ.

რუსი უფროთხილდება, სათუთად ექცევა თავის კულტურას, თავის ლიტერატურას. არა მარტო ყოფილი ემიგრანტების რეაბილიტაცია მოხდა, არამედ იმათაც ლმობიერად მოექცენენ, ვინც დღეს დგას ანტისაბჭოურ პოზიციაზე. ყველაზე შეუპოვარი ანტისაბჭოელი, ალექსანდრე სოლჟენიცინი უცხოეთში გააძევეს და იქ მისცეს შემოქმედების საშუალება. ასევე მოექცნენ სხვებაც. რატომ? იმიტომ რომ რუსმა კარგად იცის, რომ რუსული ლიტერატურა, რუსული კულტურა სოლჟენიცინია, რასტრპაპოვიჩია, შაქსიმოვიჩა და სხვანი, ვინც ამჟამად ემიგრაციაშია. გავა მსხიარ დრო და ისინი ისეთივე ტრიუმფით დაბრუნდებიან რუსეთში, რაგორც ბუნინი, რასხანინოვი, შალიაპინი და

სხვები. კულტურა არასდროს უფრო იყო განზომილებიანი, ერთსახოვანი, რეაქციონერის მრავალგანზომილებიანი, მრავალსახოვანი და მრავალფეროვანი იყო და იქნება. ამიტომ არ სურს რუსს მოსპოს რუსული კულტურის მრავალფეროვანება, ცდილობს დაუნდობელი იდეოლოგიური ბრძოლის პრობლემაც კი მისი შენარჩუნების შესაძლებლობა გამოძებნოს.

აბა, ქართველ მწერალს გაეხედა ის, რაც სოლჟენიცინმა გააკეთა! მას კაჭმაცში ამოხდიდნენ წამებით სულს. გაანადგურებდნენ მის საგვარეულოს, ყველაფერს მის შექმნილს. რუსი კომუნისტების მიზანია ქართული კულტურა (ყველა არარუსი ხალხის კულტურა) იყოს პრიმიტიული, უსახო, უფერო, ერთგანზომილებიანი, მოსაწყენი და არამომწიდეველი. ქართული კულტურაში არ უნდა არსებობდეს არავითარი აზრთა ქილილი, შეხედულებათა სხვადასხვაობა, მრავალფეროვანება. თუ ქართული ლიტერატურა (ყველა არარუსი ხალხის ლიტერატურა) იქნება სანტერესო, მიმწიდეველი, საყურადღებო, აზრითა და ფორმით მდიდარი, მაშინ შეუძლებელი იქნება ამგვარი განკარგულების გაცემა: „გეზის აღება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე რუსული ლიტერატურისაკენ — ეს იყო და იგივე უნდა დარჩეს ქართული საბჭოური ლიტერატურის ტრადიცია“. მართალია, ეს 1947 წელს ითქვა, მაგრამ მის განხორციელებას დღეს გაცილებით უფრო მკაცრად მოითხოვენ, ვიდრე მაშინ.

ამ დირექტივის ამოცანა ქართული ლიტერატურა გადააქციოს რუსული ლიტერატურის ჩრდილად. ლანდად. ეს რომ ასეა, ამის საბუთად გამოდგება ერთი ფაქტი. 1984 წლის მარტში მწერალთა კავშირში მოუწყვიათ „ლორთქიფანიძის რომანის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ (ახლანდელი „კოლხეთის ცისკარი“) განხილვა. 1984 წლის 11 მარტის „სალიტერატურო გაზეთში“ ამ განხილვის შესახებ დაიბეჭდა ინფორმაცია, სადაც ნათქვამია:

„დისკუსიის დროს ერთ-ერთი ორატორის მიერ ამხ. რ. კალაძის მიერ დაშვებული იქნა უბეში პოლიტიკური შეცდომა (თითქოს ჩვენებური კულაკის სოციალური ბუნება განსხვავდებოდეს რუსეთის კულაკის სოციალური ბუნებისაგან), რაც სასტიკად გაკრიტიკებული იქნა მთელი რიგი ორატორების მიერ (კ. შელამე, რ. ლისაშვილი, ნ. მათიაშვილი). ეს შეცდომა აღიარებული იქნა თვით მისი ავტორის — ამხ. რ. კალაძის მიერაც“.

საკითხავია, ქართველი კულაკის სოციალური ბუნება რატომ არ უნდა განსხვავდებოდეს რუსი კულაკის სოციალური ბუნებისაგან? იმი-

1 ქურ. „ხომალდი“, 1921 წ., დეკემბერი, წიგნი 1, აღ. აბაშელი — „მორეული საპირი“.

1 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947 წ., 19 თებერვალი. მოწინავე — „ქართული საბჭოთა ლიტერატურის წინსვლისათვის“.



ტომ, რომ ქართულ მწერლობას, ქართულ კულტურას უნდა წაერთვას დამოუკიდებელი ღირებულება, დამოუკიდებელი ფუნქცია.

ვინც ოდნავ მაინც იცნობს მწერლობის ისტორიას, კარგად იცის, რომ უოველი ერის სიტუაციაში ლიტერატურას არა მარტო ეროვნული ფორმა აქვს, არამედ ეროვნული შინაარსიც. თუ რომელიმე ხალხის ლიტერატურას არ ძალუძს ეროვნული შინაარსი და ფორმა აიუვანოს ზოგადკაცობრიული ფორმისა და შინაარსის დონემდე, იგი ვერაფერს შესძენს მსოფლიო კულტურას. თუ ჩვენს მწერლობას ჩამოერთმევა ეროვნული შინაარსი, მაშინ ქართული ლიტერატურა გადაიქცევა ორღობის მწერლობად, რომელიც აღარავის დაინტერესებს. უოველგვარი ნიაში გაქრება მის მიმართ, რამეთუ ვერაფერს ეტუვის ახალსა და თავისებურს საკაცობრიო კულტურას. ეს მარტივი ჭეშმარიტება უველამ იცის. ამიტომ რუსული შოვინიზმი მიზნად ისახავს წართვას დამოუკიდებელი ღირებულება ქართულ (უველა არარუსი ხალხის) ლიტერატურას. გადააქციოს ისინი რუსული ლიტერატურის პაწია ნაკადელი. ამ პოლიტიკის თანახმად არა მარტო საბჭოური პერიოდის ლიტერატურა ცხადდება რუსული მწერლობის ლანდად, არამედ მე-18 საუკუნისაც. საბჭოურ პერიოდში დაწერილ ვერც ერთ ნარკვევს ვერ ნახავთ, სადაც ილია, აკაკი, ვაჟა და სხვანი მიჩნეული არ იყვნენ რუსი მწერლების შეგირდებად. რუსის მოწაფეობა ჩათვლილი მათ უველაზე დიდ დამსახურებად. რუსი ლიტერატურისმცოდნეები კი პირიქით იქცევიან. ამტკიცებენ: რუსული ლიტერატურა არავის გავლენას არ განიცდიდა. იგი ისრულიად დამოუკიდებელია. სანიმუშოდ შეგიძლიათ წაიკითხოთ 1981 წლის „ინოსტრანაია ლიტერატურას“ პირველ წიგნში დასტამებული მასალა „ფ. მ. დოსტოვესკი და მსოფლიო ლიტერატურა“, რომელშიც რუსი მწერალი საკაცობრიო მწერლობის მასწავლებლად არის გამოყვანილი. ანდა რუსი ლიტერატურისმცოდნეების თავგადადებული ცდა, პუშკინი დანტესა და გოეთეს ბადალ პოეტად გაასაღონ, ზოგერთი იმასაც ამტკიცებს, რუსი პოეტი იტალიელსაც და გერმანელსაც სჭობს.

ისმის კითხვა: თუ რუსი მწერლისათვის სამარცხვინოა, განიცდიდეს ვისიმე გავლენას, იუს ვისმეს მიმდევარი ქართველი მწერლისათვის რატომ არის სასახელო რუსის მოწაფეობა? პასუხი უბრალოა: რუსული მწერლობა დამოუკიდებელი ღირებულების ლიტერატურაა. ქართულს კი იგი არ გააჩნია. ქართული ლიტერატურა რუსულის პროვინციული ნაწილია. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ქართული ლიტერატურა ქართულ ენაზე იქმნება. ქართული ენა აქ მხოლოდ საშუალებაა რუსული

იდეოლოგიის საქადაგებლად, კრედიტის საცრელებლად.

რუსული შოვინიზმის დანერგვის თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის (საერთოდ კულტურის) პოლიტიკის სასახურში ჩაუენებას. ლიტერატურის პარტიულლობის პრინციში კი ამის საუკეთესო იარაღია. სკკპ არაფრად აგდება იმას, რომ პარტიულობის პრინციში დანიშნულება და შინაარსი წართვა კულტურას, როგორც დამოუკიდებელ ფენომენს.

სკკპ დიდი ხანია დაივიწყა მარქსისა და ენგელსის ცნობილი დებულება — „თუ არ იქნა აღდგენილი უოველი ცლკეული ერის დამოუკიდებლობა და ერთიანობა, ისე არც პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანება შესაძლებელი და არც ამ ერების მშვიდობიანი და შეგნებული თანამშრომლობა საერთო მიწინების მისაღწევად!“. ამ დებულების განხორციელებას სკკპ ამგობინა რუსული ცარიზმის ეროვნული პოლიტიკის ერთგული გამგრძელებელი გამხდარიყო. სხვანაირად შეუძლებელიც იყო. ამ ერთგულებას ითხოვდა რუსული კულტურა, რომელზეც აღზრდილია რუსი კომუნისტები. თითქმის სამასი წელიწადია, რაც რუსს ჩასჩინებებს რუსული კულტურა, კაცობრიობის მესია ხარო. ჭერ რუსული მართლმადიდებლობით ქადაგებდნენ კაცობრიობის გადარჩენას, ახლა — რუსული სოციალიზმით. ამან ისე დააჩლუნგა უბრალო რუსი მოქალაქის გონება, რომ როცა ვისმეს დასამონებლად და დასაჩაგრავედ გზავნიან, ჭგონია, მის გადახარენად და დასახმარებლად მივდივარო. რუსეთმა კეკასიის, ბალტიისპირეთის, შუააზის ხალხები ისე დაიპყრო, რომ რუსეთის კულტურის მოღვაწეთა შორის ერთი კაციც კი არ აღმოჩენილა ისეთი, ვინც პირუთვნელად ამხელდა რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას. პირიქით, ზოტბადიდებებს უმღერდნენ. ამით გაბრუებულ რუსს, სადაც მივა, უველაფერი მისი ჭგონია. გენერალ პავლე ციციანოვს ზუსტად გაუგია რუსის ბუნებათვისება და ქართველებისათვის უთქვამს — ნუ იცნებობთ ტყუილად, ვითომ რუსები საქართველოში დროებით არიან და მალე წავლენო. რუსები რაკი რომელსამე ქვეყანას თავის გუბერნიად დასახვენ, ფებს თავის დღეში აღარ მოიცივლიან იქადავნი.² ამ თვისების აღზრდა რუსში დანაშაულებია რუსული კულტურისა. დანაშაულია არა მარტო დაპყრობილი და დაჩაგრული ხალხების მიმართ, არამედ თვითონ რუსეთისა და რუსი ხალხის მიმართ. ამგვარმა

1 მარქსი და ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1954 წ. გვ. 34.
1896 წ., გვ. 29.
2 ალ. ფრონელი — „მთიულეთი“, 1804 წ., 1896 წ., გვ. 29.

უფუნურებამ რუსი ბოროტების იარაღი გახა-
და, ხოლო რუსული კულტურა ბოროტების
მკადაგებელი. ამას ნათლად დავინახავთ, ერთ-
მანეთს თუ შევადარებთ ევროპული და რუსუ-
ლი კულტურის შედეგებს.

ევროპულმა კულტურამ აღწარა პიროვნული
და ეროვნული თავისუფლების იდეალი აფრი-
კისა და აზიის დაპყრობილ ხალხებში. გააღვი-
ძა ისინი, ეს გამოფხიზლება მათი განთავისუფ-
ლებით დამთავრდა. ევროპული კულტურა ყო-
ველთვის ემიგრნობდა ევროპის სახელმწიფოე-
ბის მთავრობათა პოლიტიკას, მთავრობას არ
აძლევდა კოლონიური ქვეყნების მოტყუების
საშუალებას. ამის წყალობაა, რომ აფრიკისა და
აზიის დაპყრობილი ხალხების უმრავლესობამ
დამოუკიდებლობა და თავისუფლება მშვიდო-
ბიანი გზით, უხისხლოდ მიიღო. ისინი დღეს
მსოფლიოს სრულუფლებიან და თავისუფალ
ნაწილს წარმოადგენენ. ეს არის ევროპული კულ-
ტურის შექმნილი იდეალის გამარჯვება.

რუსულმა კულტურამ კი თავისუფლების იდე-
ალის მაგიერ გამოიმუშავა პიროვნებისა და
ერის დამონების ახალი ფორმა და გარუხების
ახალ გზას მიაგნო, რუსული სოციალიზმის სა-
ხით. ეს მოხდა იმიტომ, რომ რუსული კულ-
ტურა ყოველთვის ხელისუფლებას მორჩილებ-
და და დღესაც ასეა. თუმცა სამართლიანობა
მოითხოვს ითქვას, რომ რუსეთის უკეთესი
შვილები მიხვდნენ რუსული კულტურის საბე-
დისწერო შეცდომას და ყოველ ღონეს ხმარო-
ბენ მის გამოხასწორებლად. ამის მაგალითია,
აღექსანდრე სოლჟენიცინის, ლილია ჩუკოვსკა-
იას, ანდრეი სახაროვის და სხვათა თავგანწი-
რული მოღვაწეობა, მათი საქმიანობა უკვალოდ
არ ჩაივლის. რუსული კულტურის ავტორიტე-
ტიც აღდგება და რუსული კომუნისტური იმპე-
რიის დამონებული ხალხებიც განთავისუფლ-
დებიან.

უშედეგო და უნაყოფო დარჩება ქართველი
კომუნისტების დადადისი:

„რუსი ხალხისათვის ორგანულად დამახასია-
თებელი სოციალური და ეროვნული სამართ-
ლიანობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პრო-
ლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობა
დღეს ის წარუვალა ღირებულებაა, რომელსაც,
სხვა ფაქტორებთან ერთად, ხალხთა ლენინური
მეგობრობა ემყარება.

მსოფლიოში არ არის სხვა ხალხი, რომელსაც
ესოდენ ბევრი რამ გაეკეთებინოს სხვა ხალ-
ხების ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის,
ახე გულწრფელად და ახე უანგაროდ, ხშირად
დიდი მსხვერპლისა და გაჭირვების ფასად,
როგორც ამას რუსი ხალხი აკეთებდა და აკე-
თებენ“¹

განა ეს რუსის განსაკუთრებულობის, არა-

ჩვეულებრიგობის, ყველაზე უკეთესობას ვერ
პაგანდა არ არის? და შოვინისტური კრიტიკა
რია, თუ არა რომელიმე ერის განსაკუთრებუ-
ლობისა და გამოჩენილობის ქადაგება. ზემო-
რეციტირებული სტრიქონებიც პირწავარდნილი
რუსული შოვინიზმია, მაგრამ ეს ახალი ამბავი
არ არის. ძველთა ძველია. საბჭოთა ხელისუფ-
ლების დროს ამ აზრს გამუდმებით ჩაგვიჩი-
ნებენ და ჩაქუჩით გვიტყედავენ თავში, ხან
„პოეზიის“ საშუალებით და ხან პოლიტიკური
სადღეგრძელოებით განსაკუთრებული აქტიუ-
რობით რუსული შოვინიზმის ქადაგებას მას მე-
რე მოვიკიდნენ, რაც სტალინმა 1945 წლის 24
მაისს საგანგებოდ დალია რუსების სადღეგრძე-
ლო.¹ რუსი ყველა სხვა ხალხზე მაღლა დაა-
ყენა და საფუძველი ჩაუყარა ნეოსლავიანოფი-
ლობას. ამით წაქეზებული საბჭოთა პოეტები
და პოლიტიკოსები ერთმანეთს ეჭიბრებიან რუ-
სის ზოტბა-დიდებაში.

„დიდება რუსის უებრო ძმობას.
არ დამარცხდება, ვინც იმას ენღო...“²
მართალია, აკაკი წერეთელი სხვა აზრის იყო
და ქართველ ხალხს აურთიხლებდა:

„მერე სკვითებსაც შეხედა:
„ამას ხომ ზედავთ თქვენაო?
არ მიჰყეუთ შაგის გზას და კვალს,
არ გაირისხთ ზენაო“³

მაგრამ აკაკის ვინა უგდებს ყურს.

„...ჩვენი ზეშარიტი მზე აღმოსავლეთიდან კი
არა, ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან ამობრწყინ-
და“⁴

რუსული შოვინიზმის ქადაგებაში თავშეკა-
ვებულობა იქამდე მიდის, რომ რუსული ენა მე-
ორე დედაენად გამოაცხადეს.

საერთოდ ენების ცოდნას რა სჯობს. რამდე-
ნი ენა იცი, იმდენი კაცი ხარო, ნათქვამია. იცო-
დეს ქართველმა კაცმა რუსულიც, ფრანგულიც,
ინგლისურიც, გერმანულიც, სომხურიც და აწე-
რბაიჩანულიც, თუკი ამის ნიჭი და უნარი შეს-
წევს. მაგრამ ნურავინ შეეცდება თვალში ნა-
ცარი შეგვყაროს, მოგვატყუოს და რუსული
მეორე მშობლიურ ენად შემოგვაპაროს. რო-
გორც ორი დედა არ შეიძლება ჰყავდეს ადა-

1 გაზ „ლიტერატურული საქართველო“,
1945 წ., 27 მაისი.

2 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950
წ., 18 ივნისი.

3. აკ. წერეთელი — თხზულებათა სრული
კრებული „შვიდ ტომად, 1940 წ., ლექსი —
„სხვადასხვა ერი“. გვ. 223. კარგად არის ცნო-
ბილი, რომ აკაკის პოეზიაში ეთნონიმი „სკვი-
თი“ აღნიშნავს რუსს.

4 გაზ. „კომუნისტი“, 1976 წ., 27 თებერვალი.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1976 წ., 4 დეკემბერი.



მიანს, ასევე არ შეიძლება ორი დედაენა ჰქონდეს.

...არის ენა — ოქტომბრის ენა, ლენინის ენა, დიდალ რუსული ენა, ხალხთა ძმობის და მეგობრობის ენა, რომელსაც უკელა ჩვენთაგანი სიუვარულით უწოდებს მეორე დედაენას¹. ეს პარტიული მუშაკის ამონაკვნისია.

ქართველი პოეტი კი მშვენიერ ბულგარულ ქალიშვილს შეხვედრია. დიდ გასაჭირში ჩავარდნილა. მან ბულგარული არ იცის, ქალიშვილმა კი — ქართული. ამ სასოწარკვეთილებაში მყოფთ მშველელად რუსული ენა მოვლენიათ, რაკი ორივეს სცოდნია იგი.

„მაშინ ორივემ შევხედეთ პუშკინს და მისი ენა დავლოცეთ გულში“²

ქართველი პარტიმუშაკი და პოეტი თანაბრად არიან დარწმუნებული, რომ ვერც გოეთეს ენა, ვერც შექსპირის ენა, ვერც ბალზაკის ენა იმ ფუნქციის შესრულებას ვერ შესძლებს, რასაც ლენინისა და პუშკინის ენა. ინგლისური, ფრანგული ან გერმანული თუ იცი. თურმე ვერავის დაელაპარაკები. ეს უნარი, თქვენ წარმოიდგინეთ, მართო რუსულს ჰქონია.

თუ ამგვარი გონებრივი სიღუბეების წინააღმდეგ გაილაშქრე, მაშინვე ნაციონალისტს დაგიძახებენ და მგონიათ, დიდი შეურაცხყოფა მო-

გაუენეს ამით. უცნაურია, მაგრამ სწორედ კომუნისტებმა დაივიწყეს ინტერნაციონალისტური ტყვეები — „ნამდვილი ეროვნული იდეები ამავე დროს უოველთვის წარმოადგენს ნამდვილ ინტერნაციონალურ იდეებსაც“³. ასეა იმიტომ, რომ დამონებული ერის ინტერნაციონალიზმი მტკნარი სიცრუეა. უოველი ერი მაშინ გახდება ინტერნაციონალისტი, როცა მას არავინ დაჩაგრავს არც უფროსი ძმის და არც უმცროსი ძმის სახელით. ცრუ ინტერნაციონალიზმის ქადაგებით არავინ მოტყუვდება. ამის ნათელი ნიმუშია სსრკ-ში გავრცელებული ანეგდოტი.

როცა ებრაელი ლაპარაკობს ეროვნულ ინტერესზე. ეს სიონიზმია, როცა ჩინელი — ეს მუგემონიზმი, როცა ქართველი — ეს ნაციონალიზმი, ხოლო, როცა რუსი — ეს ინტერნაციონალიზმი.

ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ უოველ ქვეყანაში, სადაც აწროვდება აკრძალულია, ხალხის აზრსა და განწყობილებას გამოხატავს ანეგდოტი. ასეა სსრკ-შიც. ჩვენში ანეგდოტს დიდი და სერიოზული მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა მოქალაქის უოფის ნამდვილ სურათს მხოლოდ ანეგდოტი იძლევა.

ახლა კი უოველივე წემოთ თქმულის საფუძველზე, დასკვნის სახით, უნდა გითხრათ — ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა ქართულ მწერლობას უფლება ჩამოართვა, ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესს ემსახუროს. იგი რუსული შოვინიზმის სამსახურში ჩააყენა ეროვნული ტრადიცია დაკარგა და სხვისი იარაღი გახდა.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1979 წ., 16 იანვარი.
2 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950 წ., 29 იანვარი.

თხზივს ჩხანიძე

ჩაუკლავი სული

ქეშმარიტად: დრონი მეფობენ, არა მეფენი. ვინ იფიქრებდა სულ რაღაც ოთხი-ხუთი წლის წინათ, იმ ბედნიერ დღეს თუ მოვესწრებოდით, როცა აღდგებოდა გრიგოლ რობაქიძის სახელი, კვლავ იხილავდა მზის სინათლეს მისი ქმნილებები, ხელმისაწვდომი შეიქნებოდა გერმანიაში გამოცემული მისი წიგნები (საქართველოში გამოქვეყნებული ნაწერები, აგრეთვე თურნალ „ბედი ქართლისა“-ში დაბეჭდილი, მეტ-ნაკლებად მანამდეც ხელმისაწვდომი იყო). და აი, ხელთ გვაქვს „ჩაკლული სულის“ თარგმანი, რომანისა, რომელიც 1988 წელს გამოვიდა გერმანიაში („მნათობი“, №№ 8-10, 1988 წ., მთარგმნელი — ალექსანდრე კარტოზია). დიახ, რა გინდ უნდა გვეაფსუსებოდეს, თარგმანს უნდა დავსჭერდეთ, სანამ მწერლის პირადი არქივი არ მოგვიპოვებია და დედნისთვის არ მიგვიკვლევია. როგორც ცნობილია, გრ. რობაქიძის მხატვრული ქმნილებები, გერმანიაში გამოქვეყნებული მწერლის იქ ცხოვრებისას („კავკასიური ნოველების“ ციკლი, რომანები: „მეგი“, „ჩაკლული სული“, „დადი“, „მცველნი გარლისა“) ქართულ ენაზე იწერებოდა და შემდეგ გერმანულად ითარგმნებოდა. სხვა საბუთთან ერთად, ამას ადასტურებს თვით გრ. რობაქიძის პირადი ბარათიც, 1987 წელს ბერლინიდან გავზავნილი ზეხი მეცნიერისადმი — იარომირ იედლიჩკასადმი (იხ. გაზ. „თბილისი“, მ. 11, 88). გამოჩაკლისია წიგნი-ესე — „დემონი და მითოსი“ (1985 წ.), იგი უშუალოდ გერმანულ ენაზეა დაწერილი.

აქ არ ვპირებ საკუთრივ თარგმანის ღირსება-ნაკლოვანების განხილვას: მიი უმეტეს, რომ არ შემძლია რაიმეს თქმა გერმანული ტექსტისადმი ადეკვატურობის თაობაზე. არც ზოგიერთ ენობრივ უზუსტობასა თუ მცირედ შეცოდებას გამოვეკიდები. ვიტყვი მხოლოდ, რომ თავისთავად თარგმანი ქართულის მხრივ, აგრეთვე გრიგოლ რობაქიძის სტილის შექმნისდაგვარად გაოქავლისწინებისა და დაცვის თვალსა-

ზრისით, არ ახდენს ურიგო შთაბეჭდილებას. ამგვარი აზრი ზოგმა შეიძლება გულტუნულობის გამომჟღავნებოდ ჩათვალს. არადა, ქებას უფრო ნიშნავს. რაგინდ ღრმა აზრს უნდა აქსოვდეს გრ. რობაქიძე თავის ქმნილებებში, რაგინდ ღრმა გრძნობასაც უნდა გამოხატავდეს, იგი უწინარესად სიტყვის ჩადოსანია. მისი პოეტური სამყაროს შეუდარებელი სილამაზე განუყოფელია სწორედ უხილავი სიტყვიერი ჩადოსაგან. და თქმა იმისა, ამგვარი მწერლის თარგმანი ასე თუ ისე რიგიან შთაბეჭდილებას ახდენსო, ქათინაურად უნდა მივიჩნიოთ. ასე რომ, მთარგმნელისა და თურნალის რედაქციის მიმართაც მადლობის მეტი ამჯერად არაფერი უნდა გვეთქმოდეს.

გერმანელი მწერალი, რუდოლფ კარმანი მშვენიერ წერით, „გრიგოლ რობაქიძე და მითოსის აღორძინება“, ასე განმარტავს „ჩაკლული სულის“ დედააზრს: ავტორმა ამ რომანით ევროპულ მითიხველს გადაუშალა ბოლშევიზმის არსი და დახატა „მითოსური სახე“ თავისი ანტიპოდის — ჭელაშვილი-სტალინისა (თურნ. „ბედი ქართლისა“, № 47). ეს ასეა. ოღონდ ეს მხოლოდ ზედა შრეა რომანის. ამ მხრივ, პოეტურისა და შინაარსის ამ დონეზე „ჩაკლული სული“ პოლიტიკური პაფფეტია (ისევე, როგორც დოსტოევსკის „ეშმაკნი“, „Бесы“ — ქართულად უფრო შეესატყვისება „აღქაქანი“). რომანს აქვს ძირა შრეც: მითოსურ-მისტერიული ნაკადი მოავარა გმირები — ნატა და თამაზი — მოაწრებულნი არიან როგორც ასურულ-ბაბილონურ ღვთაებათა, იშთარისა და თამუზის, რეალური განსხეულებანი კონკრეტულ ისტორიულ დროში. ნატა ეწირება თამაზს (ეწირება მორალური თვალსაზრისით, სწირავს თავის ქალობას, ღირსებას, რათა მიქნური გადაარჩინოს). შეურაცხყოფას, უპატიურ მოპყრობას იშთარიც იტანს, როცა ქვესკნულს ჩასული, სამკაულგებ და სამოსელშემოძარცული, გაშიშვლებული წარუდგება-



სულითის მბრძანებელს. თამაზის ტანჯვა იგივე თამუზის ტანჯვაა (რომანის პერსონაჟისა და მითოსური პირველსახის იდენტიფიკაციის სახელთა ერთგვარობითაც გაესმის ხაზი). ხოლო „თამუზი (ლუმუზი) ყველაზე ტრაგიული არსებია შუამდინარულ მითოლოგიაში“ (წ. კიკნაძე). ზემომითითებულ ორ შრეს შუა მოქცეულია მთავარი გმირის, თამაზ ენგურის, თავგადასავალი, მისი სულიერი დრამა, ტრაგიკომი. არსებული სინამდვილე (იდეოლოგიურ-პოლიტიკური სისტემა) რთულ ხილულსა თუ უხილავ ზეგავლენას ახდენს გმირის ფსიქიკასა და პირად ცხოვრებაზე. შინაგანი რღვევისა და კრახის საშიშროებას უქმნის, გმირის სულიერი წამება, მისი ტრაგიული პიროვნულის საზღვარს სცილდება და ზოგად-კოსმიურ მოვლენად, თავად ღმერთის ტყვილად განიცდება.

რკინიან წლების კართულმა მწერლობამ გვიჩვენა, რა ბედით ეწიათ ახალ ისტორიულ სინამდვილეში უოფლი „წარჩინებული კლასის ბანაკში მყოფი“ (მ. ჯავახიშვილის გამოთქმამა), როგორ გათელა „წითელმა ბორბალმა“ ნათავადარნი თუ ნააზნაურალნი. ზოგი სულიერად და ფიზიკურადაც გაანადგურა, ზოგი ნაკაცარად აქცია. გაბატონებულმა ახალმა წოდებამ ყოველგვარი კომპრომისული გზა უარყო და უღმობლად გაუსწორა ანგარიში წინანდელ პრივილეგირებულ წოდებებს. მიხეილ ჯავახიშვილმა და კონსტანტინე გამსახურდიამ გამოიყვანეს გმირები, რომლებიც უკვე თავიანთი სოციალური წარმოშობით ძალაუვნებურად დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ ახალ სინამდვილესთან. გრიგოლ რობაქიძეს გამოჰყავს გმირი, რომელსაც ამ ნიადაგზე როდი უღვივდება კოლიზია. თამაზ ენგური (ეს მისი ლიტერატურული ფსევდონიმიცაა), ტომით სვანი. არაფრით ამჟღავნებს, ძველი წარჩინებული გვარის ჩამომავალი იყოს: უბრალო ხალხის შვილი ჩანს — ჩანხალი, წინაპართა ცოდვებით დაუბშიებელი ფსიქიკის მქონე. ეგ კია: განათლებული, ევროპაში განსწავლული და სულიერად გამორჩეული ინტელიგენტი გახლავთ. მისი შინაგანი კონფლიქტი ახალ სინამდვილესთან, მისი სულიერი ტრაგიკომი არანაკლებ მძაფრია, ვიდრე ბედერი „წარმავალი“ კლასის წარმომადგენელთა.

მართალია. უკვე მიხ. ჯავახიშვილმა შეიტანა გივი შადურის მხატვრული სახის შექმნით გარკვეული დისონანსი იმ საყოველთაო პარამონიაში. რაიც იმხანად სუფევდა უბრალო ადამიანის ბედობლის ახლებური გაგების თვალსაზრისით გივი შადური ერთი უბრალო მუშაკაცია, მაგრამ „წითელი ბორბალი“ მასაც ისევე ბრმად და უმოწყალოდ თელავს, ისევე აუბედურებს, როგორც ახალ ცხოვრებაში წილდაკარგულ რომელიმე ძველ თავადიშვილს. მიზეზები, ცხადია, სხვადასხვაა (გივი შადური იღუპება უპატიოსნო გამოძიებებისგან, იმ ოფიციალური პირი-

საგან, რომელიც ახალ ხელისუფლებას წინააღმდეგობას უწევს), შედეგი კი არსებითად ერთი და იგივეა. ნათავადარსაც ნაკაცარის ხვედრი ხვედრება წილად და უბრალო მშრომელ ადამიანსაც. და მაინც მიდგომა ამ საკითხისადმი მიხეილ ჯავახიშვილის და გრიგოლ რობაქიძისა დიდად განსხვავებულია. მ. ჯავახიშვილის ბასრი მწერაცხოვრების ერთ ბნელ მხარეს ჩამოვლენს ფარდას. მანკიერ მოვლენას აშიშვლებს, მაგრამ ეს მაინც ერთი გარკვეული მხარეა ცხოვრებისა. ზენწამხდარი გამოძიებელი რომ არ შეზედროდა ვინც ბორბლად იყენებს თავის თანამდებობას, გივი შადური კვლავინდებურად სიცოცხლით ხავეც კაცი იქნებოდა, ბედნიერად გალევდა წუთისოფელს საყვარელ ცოდ-შივლთან სიამტკბილობაში და არაფერი ექნებოდა სადავო ამ ცხოვრებასთან. გრ. რობაქიძე გაცილებით უფრო ღრმად სვამს პრობლემას. მისი თავისებურად უნიკალური, საოცრად ძლიერი მხატვრულ-კრიტიკული ანალიზი, რადაც წამოვკვიდგება რომანი „ჩაკლული სული“, მრავალმხრივი, თითქმის ყოვლისმომცველი, უნივერსალური ანალიზია. თამაზ ენგურის კოლიზია თუ კონფლიქტი, გარემო სინამდვილის კრიტიკული ბედვა, ამ სინამდვილის ინტენსიურ-დამაბული შემეცნება ეს არის რომანის ფორმით გამოხატული მხატვრულ-ფილოსოფიური კრიტიკა არა მხოლოდ პოლიტიკური სტრუქტურის, არც მხოლოდ გაბატონებული მოხალისის, არც მართლად გაბატონებული იდეოლოგიისა და კულტურის (უფრო ზუსტად, პროლეტარული იდეოლოგიისა და კულტურის): ყოველივე ამასთან ერთად ეს არის მხატვრულ-ფილოსოფიური ანალიზი კიდევ უფრო ღრმად დონეზე, სახელდობრ — ონტოლოგიის დონეზე, ყოფიერების არსის გაგების დონეზე.

რა არის მთავარი, წინა მხარეს წამოწეული ამ რომანში: პიროვნების ხვედრი, მისი სულიერი დრამა და ტრაგიკომი, თუ არსებული სისტემის მხატვრულ-კრიტიკული ანალიზი. მისი შინაგანი რაობის ჩვენება? (ამ სისტემას ახლა ზოგადად „ავტოკრატიული“ ან „ტოტალიტარულ რეჟიმს“ უწოდებენ. თუმცა უფრო სწორი იქნება, დავიცვათ პოლიტიკური ტერმინოლოგიის სიზუსტე, ისტორიული სიმართლე და ბოლშევიკურ, ანუ მემარცხენე დიქტატურად მოვიხსენიებდეთ). ამრიგად, რა არის პირველადი მნიშვნელობისა „ჩაკლულ სულში“, როგორც თრგუნავენ, თუ ის, რას თრგუნავენ? მთავარი გმირის სახე მხოლოდ საბაბია. საშუალება გარკვეული პოლიტიკური რეჟიმის არსის გამოხა-აშკარავებლად, თუ თვით ამ სახეს აქვს თავის-თავადი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება, ამოსავალი მნიშვნელობა?

„ჩაკლული სულის“ გამოქვეყნებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ აღექსანდრე სო-




ლენინი დაწერს მოთხრობას — „ივან ღენი-სოვიჩის ერთი დღე“. ამ მოთხრობაში აქცენტი-რებულია, რა რიგ დამცირებულ-დამდაბლებული და დათრგუნულია ადამიანი (მოხვედრილი ე. წ. „შრომა-გასწორების ბანაკში“). მთავარი გმირის ივან ღენისოვიჩის პიროვნება მხოლოდ იმ დონეზეა ნაჩვენები, რომ ზენ სიმპათიისა და მორალური თანადგომის გრძნობა აღგვეძრას მის მიმართ, როგორც შინაგანი ღირსებით და-ჭილდოებული, უწყველი, თვინიერი და გარ-ჯისმოყვარე ადამიანისადმი, რომლისთვისაც პა-ტიმრის ხვედრის რგუნება თავისთავად გამოი-ყურება უსამართლობად. „გულაგის“ არქიპელა-გი“ უკვე ფუნდამენტური მხატვრულ-ესეის-ტურ-სამართლებრივი გამოკვლევაა ტოტალიტა-რული დათრგუნვის სისტემისა, უზარმაზარი პა-ნორამაა ციხისა. ნაჩვენებია ჯოჯობეთის ცხრა წრის საშინელებანი, უამრავი ადამიანის ბედზე და ათასნაირი ვარიაციით. გამოუყენებუ-ლია დიდძალი დოკუმენტური მასალა. მოყვანი-ლია მრავალი ფაქტი (ავტორი ხომ უკვე გან-ვლილ ამბებზე წერდა). ოღონდ თვით ადამიან-ები აქ უმეტესწილ სილუეტებად გაკრთებიან ხოლმე. „გულაგში“ უპირატესად მოცემულია სინამდვილის პორიზონტალური კრილი, და ეს პორიზონტალური კრილი უკიდევანო სივრცის შთაბეჭდილებას ახდენს. გრ. რობაქიძე თავის რომანში მკაცრ ვერტიკალურ, სიღრმისეულ კრილს იძლევა. იგი მიჰყვება მაგისტრალურ სი-უფეტურ ხაზს, თავგადასავალს მთავარი გმირი-რისას, ქმნის მხოლოდ ერთ დამხმარე პარა-ლელურ ხაზს (ბერზინისას), რომ უფრო სრუ-ლად გამოხატოს საანალიზო მოვლენის არსი. გმირის თავგადასავალი, მისი სულიერი ბიოგ-რაფია და საანალიზო იდეოლოგიურ-პოლიტი-კური სტრუქტურა მჭიდროდ დაკავშირებულია ერთიმეორესთან, ერთიმეორეში გადახლართუ-ლია. „გულაგის“ არქიპელაგის“ კითხვისას ხში-რად იმგვარი შთაბეჭდილება გექმნება, თით-ქოს არავინ მოწინააღმდეგე არ ჰყოლია არსე-ბულ წყობას, ყველა ერთგული იყო მისი და ვინც ისჯებოდა, თითქმის სუყველა უდანაშაუ-ლოდ ან უმნიშვნელო რამ მიზეზის გამო ის-ჯებოდა. ხოლო გიგანტური დამსჯელი სახელ-მწიფოებრივი მანქანა უფრორე თვითმიზნურად მოქმედებდა. თანაც: მოქმედებდა საზოგადოე-ბისაგან იზოლირებულად.

გრ. რობაქიძე ამ მხრივ უფრო ღრმა მიდგო-მას ამჟღავნებს საანალიზო მოვლენისადმი. ჭერ ერთი, სწვდება მოვლენის ისტორიულ ფესვებს (თამაზ ენგურის შენიშვნები, გაკეთებული დო-სტოვესკის „ეშმაკი“-ს გამო. დიდად საგუ-ლისხმო ანალიგია რომანისეულ რეალობასა და ენგურისდროინდელ ცოცხალ სინამდვილეს შო-რის). ამავე დროს ხედავს, რა ათასი უხილავი ძაფით არის დაკავშირებული ერთმანეთთან „გე-პიუ“ და საზოგადოება („გეპიუ“ გარდამავალი

საფეხური იყო აღრინდელ შინაგან შიშინილ შინაგან შიშინილ კომისარიატს შორის). თითქმის ყველა მტერ-მოყვრის გამიჯვნის ისტორიულ ტონს შეუპყრია; ერთმანეთის თვალთვალის, ურთიერთის სულში ხელის ფათურის ავბედით სენს ფართოდ გა-უდგამს ფეხი. მთელი საზოგადოებრივი ატმო-სფერო მოწამლულია. გრ. რობაქიძე კი არ ჩქმა-ლავს წინააღმდეგობის არსს. პირდაპირ და პა-ტიოსნად გვეუბნება (თავისი გმირის პოზიციის გამოხატვით), რომ საქმე ეხება ორ სხვადა-სხვაგვარ მიდგომას ცხოვრების აზრის გაგები-სადმი, ორ სხვადასხვაგვარ წესს ცხოვრებისას. მისი კრიტიკულ-მამხილებელი პათოსის მიზანი ის კი არ არის, იმ აზრის ჩაგონება სცადოს, ვინც ისჯება, არაფერი აქვს საწინააღმდეგო არსებული რეჟიმისა და უდანაშაულოაო: არამედ ის, რომ დაგვანახოს: განსასჯელი უფრო მაღალ სულიერ ღირებულებათა მატარებელია; ვიდრე განსჯელი. იორგუნება, უწინარეს ყოვ-ლისა, სიტყვისა და აზრის თავისუფლება, ურო-მლისადაც წარმოდგენილია პიროვნების, „ამ უზეთიერის მოვლენის“ (გრ. რობაქიძე), არსე-ბობა.

განსხვავებულია ამ ორი ავტორის ისტორი-ული თვალსაზრისიც. სოლენინის საშიზენ უპირატესად ისტორიული პიროვნება, მისი პე-რსონალური პასუხისმგებლობაა (აქ ცნაურდება პრინციპი: მოვლენებს განსაზღვრავს პიროვნე-ბა. მისი პირადი ნება). გრ. რობაქიძეს უფრო ღრმა ხედვა და უფრო სწორი გაგება აქვს სა-ზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა, ისეც ამბვილებს ყურადღებას პერსონალური პასუ-ხისმგებლობის საკითხზე, ოღონდ მისი თვალ-თახედვის თანახმად, პირველადია მოვლენა, ხოლო ცალკეულ პიროვნებას, რაგინდ განუსა-ზღვრელი უფლებებითაც აღჭურვილი ჩანდეს; მეორადი, დაქვემდებარებული მნიშვნელობა მიეწევს.

პირველადი მნიშვნელობისა „ჩაკლულ სულ-ში“, ისევე როგორც საერთოდ გრიგოლ რობა-ქიძის შემოქმედებაში, პიროვნებაა — ძლი-ერი, მთლიანი, მარმონიული პიროვნება. თამაზ ენგურისც ამგვარი სულიერი წყობით გამოჩე-ული ლიტერატურული გმირია. იგი არსებითად განსხვავდება მე-11 საუკუნის კრიტიკული რე-ალიზმისა და ნაწილობრივ მე-20 საუკუნის მწე-როლობის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური ტი-პისაგან, რომლის შექმნასაც საფუძვლად უდევს ხასიათის განვითარება, სულის დიალექტიკა და სულიერ-ზნეობრივი ძიებანი. გრ. რობაქიძის გმირს ხასიათი უკვე ჩამოყალიბებული და მტკი-ცედ დადგენილი აქვს, რაც მოსაძიებელია. მო-პოვებული აქვს, და პრობლემის არსი ისაა, და-იცვას ეს მონაპოვარი, უნიკალური შინაგანი სამყარო. ხელუფლისაგან, გარეშე ძალისაგან, უღმობელი ძალმობრებისაგან, თამაზი პოეტია



და საიმიხოდ არის მოწოდებული, თავის სულიერ მონაპოვარს სხვებიც აწიაროს. თავდაცვა იმ ძალისაგან, რაიც განადგურებით ემუქრება მისეულ ღირებულებებს, მისთვის ყოფნა-არყოფნის ტოლფასია.

რა ღირებულებებია ეს ღირებულებანი? ამ კითხვის პასუხს ძირითადად იძლევა პირველივე თავი — „ჩადოს ახსნა“. აქ გამჟღავნებულია ორი, ურთიერთდაპირისპირებული თვალსაზრისი ოფიციალური მხარის და თამაზ ენგურისა. განიხილავენ ზევსურთა ცხოვრების ამსახველ კინოსცენარს (თამაზი „სახინმრეწვის“ სასცენარო განყოფილებაში მუშაობს). სცენარი ათეიზმისა და საბუნებისმეტყველო მატერიალიზმის პროპაგანდაა. თამაზ ენგურისთვის კი ადამიანის უმთავრესი სულიერ-წინეობრივი საყრდენი ღმერთია (ღმერთი — ვით მამა უწყნავეს). სცენარი სხვა მხრივაც მიუღებელია. იქ ბევრბერი გამოყვანილია მატყუარა და ხალხის გამყველფ ადამიანად. დამახინჩებული და გაუალებულია ისტორია: უძველესი ტომის წინ-ჩვეულება, თემის წმინდა ტრადიცია დანახული და შეფასებულია კლასობრივი ბრძოლის, ვულგარული მატერიალიზმის თვალთახედვით. ხოლო თამაზ ენგურისთვის წინაპართა ტრადიცია, მათი რწმენა და შინაგანი ერთიანობის გამობატულება წმინდა რამ ეროვნულ-კულტურული ფასეულობაა. თამაზ ენგური ცდილობს, შეძლებისდაგვარად წინააღმდეგობა გაუწიოს სცენარის არსებული სახით დამტკიცებას. აშკარა წინააღმდეგობის გაწევაზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც წედმტება. ოფიციალური იდეოლოგიის საპირისპირო თვალსაზრისის გამოთქმა ღამის მტრულ გამოხდომად ითვლება. და აქ თანდათან ვლერას იწყებს ექვის, უნდობლობისა და შიშის მოტივი, უპიროვნო, უსახო შიშისა. ადამიანს დაუფლებია გრძნობა, რომ გამუდმებით ვრდაც უთვალთვალდებს, შიგ სულში უტრიალებს მჭერას, უჩხრებს ყოველ კუთხე-კუთხულს; ყოველ შენს სიტყვას, ყოველ ნახიჯს ვიდაც აფიქსირებს. უველაფერი აღინუსხება და ინახება. და ეს ხდება უკვე განყოფილების, დაწესებულების დონეზე. ეს მოთვალთვალე უხილავი „გეკეტუს“ თვალთა.

ხელშეუხებლად ვერ დაგიცავს ინტიმური გრძნობის სფეროც კი. შესვენებისას თამაზი კინოსტუდიის ეზოში გამოდის და კედლის გაზეთში ხახულობს იმ ლაპარაკის შინაარსს, რამდენიმე დღის წინ ერთ ნაცნობთან რამ ჰქონდაჟ ის პირადი საუბარი სიუჟარტლის თემას შეეებგადა. იმ ნაცნობს თამაზის შეხედულება სიუჟარტლზე გაზეთის ფურცლებზე საცნლად აუგდია (რად დროს რომანტიკული სიუჟარული და ამდაგვარი სისულელეაო. პროლეტარიატს არ სპირდება მეოცნებე ადამიანებო). სიუჟარტლის გაგების საკიობშიაც ვერ გამოამჟღავნებს ადა-

მიანი თავისუფლებას. ეს სფეროც კი დაფიქრებულია:

ექვი, გაურკვეველი შიში საყოველთაო მოვლენად ქცეულა. თამაზი მოსკოური გაზეთის ცნობას კითხულობს: ერთი ცნობილი მოსკოველი პოეტი დაგვიანებით უგზავნის სამძიმრის დეპეშას ერთ პარტიულ ბოლოას. კოლექტიური დეპეშის ტექსტში მისი გვარი გამორჩენილათ. მას არავინ აიძულებდა იმ დეპეშის გაგზავნას, არც ვინმე მოჰკითხავდა რამეს, არც ვინმე დახედა. მაგრამ ხომ შეიძლებოდა ეს ფაქტი თვალში მოხვედროდათ? აქაც სიფრთხილე, ქვეცნობიერი შიში.

რომანის დასაწყისშივე ერთი საგულისხმო პატარა სცენაა აღწერილი. თამაზი ხელში იღებს პურს, რომელიც ნაცნობ გლეხს სოფლიდან ჩამოუტანია. „მახოვლა“, სიხარულით წამოიძახა თამაზმა. მას უუვარდა ეს მოლურჯო პური, მისი მკვეთრი სუნი. ერთი კვერი გატეხა, დაუნდა და იგრძნო, რომ მიწის მადლით აივსო. გულაჩუყებული იდგა, თითქო შინაგანი ხილვით ჭვრეტდა მომლოდინე ბელტების ბნელ წიაღს, მთესველის მარჯვენას, ცოცხალი თესლების კვდომასა და კვლავ დაბადებას, მათს ჩასახვას, ღვივილს, მწიფობას. იხილა თიბვა (უნდა იყო „მკა“, პურს მკიან და არა თიბვენ. — თ. ჩ.), კალოობა, დოლაბის ბრუნვა, ბოლოს დაბრაწული. აბოლებული პური. ეს პურის ნატეხი ახლა დემეტრეს ცოცხალი მითი იყო მისთვის“. აქ მინიშნებულია კიდევ ერთი სათავე ცხოვრების ახალ წესთან წარმოქმნილი კონფლიქტისა. თამაზ ენგურისთვის მიწა სულიერია, ცოცხალი არსებაა. მისი პიროვნული მსოფლგანცდა ინახავს ხსოვნას იმ დამოკიდებულებისას, რაიც გლეხს ოდითვე ჰქონდა მიწისადმი. ძველთა წარმოდგენით, ეს გახლდათ მოსიყვარულე ცოლქმრის ურთიერთდამოკიდებულება; მხვენელ-მთესველი ანაყოფიერებდა მიწის საშობს. ამას გვიმოწმებს შუამდინარული მითოლოგია (თამაზის ურთიერთობა იზოართან, მათი ინტიმური კავშირი იმავე დროს საკრალური აქტიცაა, მთესველის მიერ მიწის განაყოფიერება). მკვიდრდება ცხოვრების ახალი წესი და თამაზის თვალწინ იცვლება მიწასთან ოდინდელი დამოკიდებულების შინაარსიც. მიწას აწ მხოლოდ მომხმარებლის თვალთ უყურებენ. ხდება მისი გაუპატურება. მისგან გლეხის გაუცხოება. ეს პროცესი, გამოხატული კოლექტივიზაციის კურსით, შინაგანი ტკივილად განიცდება თამაზის გულში.

ამრიგად, იკვეთება ოთხი ძირითადი ღირებულება, წარმოჩნდება დამოკიდებულება ოთხ ძირითად სულიერ-წინეობრივ კატეგორიასთან: დამოკიდებულება ღმერთთან, ერის ისტორიასთან, მიწასთან, ქალთან. ამას შემდგომ ემატება კიდევ ერთი ღირებულება — მიმართება მგვობართან, სულიერ მშასთან.

პირველ თავში, სადაც ავტორისეულ თხრობას ერწყმის ძლიერი ენისტურ-განხილვით ნაკადი, რაიც რომანის გმირის, იმავე ავტორის ორეულის, დაკვირვებათა თუ ნაფიქრ-ნაგრძნობის გამჟღავნებაა და მოშველიებულია საზოგადოებრივი ატმოსფეროს დასახასიათებლად. ჯერ მხოლოდ მინიშნებულია, ჩანასახურ ვითარებაში ნაჩვენებია ის შინაგანი წინააღმდეგობა, ის შინაგანი კონფლიქტი, შემდგომ რომ განვითარდება და გაღრმავდება, ბოლოს კი კულმინაციურ წერტილს მიაღწევს. აქ, ამ თავისებურ შესავალში თითქოსდა მუსიკალური კმნილებისა, თავისებური სიმფონიისა, გმირის დრამატულ-ტრაგიკული ბედის მანიშნებელ ნოტებთან და უსახო შიშის მოტივთან ერთად გაისმის ბედისადმი დაუმორჩილებლობის მოტივიც. აღწერილია სცენა: თამაშ ენგური იმორჩილებს ლაგამაფუყვეტილ ცენეს, რომელიც კინოსტუდიის ეზოში დაქრის და რომელსაც ვერავინ მიჰკარებია. ეს სცენა მხატვრული პარაბოლაა — თავაწყვეტილი ცენის დაურევება ეს იგივე ჰიდილია გმირისა ბედთან; ამ ჰიდილისას მუდავდნდება გმირის მტკიცე ნება, მისი სულიერი და ფიზიკური ძალმობილება, ხასიათის უდრეკობა. ბედისადმი დაუმორჩილებლობის, ბედთან ჰიდილის ეს მოტივი თანდათან ძლიერდება, გმირის ტკივილი უკიდურესად მძაფრდება, და ფინალურ სცენაში მისი უხმო, გულისგამგმირავი კვნესა, ღაღადისი, ეული ხმა ადამიანისა, ხმა დაუმორჩილებელი და გამყვიარო, თითქოსდა გარემო ბუნების გამოძახილს, აგუგუნებული ორკესტრის ხმიანობას ერთვის.

რომანის მეორე თავი, რომელსაც „მარად ქალღურ“ ეწოდება, ერთი შეხედვით, მხოლოდ გარეგნულად უკავშირდება პირველ თავს — სიუჟეტური ხაზი ისევ მთავარ გმირს მიჰყვება, თამაში რამდენიმე დღით კოკორს მიემგზავრება ნატას სანახავად. სინამდვილეში ამ ორ თავს შორის მკიდრი კავშირია, დამყარებული შინაგან კონტრასტულ შუპირისპირებაზე. პირველ თავში ავტორის მზერა უმთავრესად გარეთ. გარესამყაროსკენ იყო მიპყრობილი. უმთავრესად აღწერილი გახლდათ ემპირიული სინამდვილე. კაცი დილას ადგება, წვერს გაიპარავს, ისაუფშებს, სამხახურში წავა, იქ სცენარის პროექტის განხილვაში მიიღებს მონაწილეობას, გაზეთს წაიკითხავს. ჩვეული ყოველდღიური ყოფის სურათია. ცხოვრების შედაპირის ანარეკლია. აქ, მეორე თავში, მზერა ადამიანის შიგნით, შინაგანი სამყაროსკენ არის მიმართული. დანახული და გამომჟღავნებულია იმ სამყაროს ხილრმენი, მისი უხილავი სიმდიდრე. პირველ თავში გამხელილ საწუისს ცხოვრების ზერეულე ჭაგებისას უპირისპირდება სიცოცხლის, როგორც ილუშალებისა და ღვთაებრივი მადლის გავება. შინაგან სცენა ფრიალ მარტივია. შუაღღე. თაკარა შუე. კაკლის ჩეროში გაშლილ ერთ ზალიჩაზე

ნატა წამოწოლილა, მეორე მხარეზე მჯდომი მანია. იგი კითხულობს. ეს, შინაგან სცენა უცვლელია ბოლომდე. სამაგუროდ, აქ, გავსულილია საოცარი ანალიზი ქალისა და ვაჟის შინაგან სამყაროთა, სქესთა დასახამიერი ურთიერთობის და ურთიერთტოლვისა. ავტორი აქ აღწევს იმ თითქმის მოუხელთებელ-უწველო მელის წვდომას და მოხელთებას, რასაც შიგნაძნობის ქალი, როცა მცხუნვარე შუაღღის ტაშს ღია ცის ქვეშ გასუდრული, ნახევრად შთვლემარე, ბუნდოვან ოცნებებში ჩაძირულა. ალბათ, მსოფლიო ლიტერატურაში ცოტა მოიძებნება ამის ბადალი ანალიზი ქალის ქვეცნობიერი სამყაროსი. უმაღლ ტოლსტოის გულთამხილაობის ძალა გაავახსენდება. ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმე ყმაწვილქალ მარია ბოლონსკაიას სულიერი მდგომარეობისა „ოშსა და მშვიდობაში“ გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს. გრ. რომაქიძის ნათელმხილველი მზერა — მისი ანალიზი უფრორე ფილოსოფიურ-ესთეტიკურია. ვიდრე საკუთრივ ფსიქოლოგიური, განსხვავებით ტოლსტოისაგან — სწვდება იმ უხილავ ფსევულ კავშირს, რაიც არსებობს ქალსა და დედა-მიწას, დედა-ბუნებას შორის, რაიც მითოსურ ცნობიერებაში ცოცხლობს და რა ცნობიერებასაც კი არ უარყოფს, პირიქით, განამტკიცებს უოფიერების არსის წვდომისკენ მიმართული თანამედროვე განსწავლული ადამიანის ინტუიცია. ნატასა და თამაზის ინტიმური სიახლოვეს ხსენებული თავის დასასრულს იმავე დროს საკრალური აქტიცაა. იმ საკრალური ქორწინების რეალური განხორციელებაა, რითაც ერთიმეორეს ეუღლებიან ამათი მითოსური წინასახენი — დუმუში და ინანა (იშთარი და თამუში უფრო ადრინდელ, შემერულ ღვთაებებს — დუმუშსა და ინანას — შეესატყვისებთან). ადგილი (კაკლის ხის ქვეშ), სადაც ეს საკრალური ქორწინება სრულდება, წმინდა ადგილია, იგივე „გიპარ“, შუმერული სახელდებით (იხ. ზ. კიკნაძე, „შუამდინარული მითოლოგია“). მართალია, „გიპარ“ გულისხმობს რიტუალური წესისთვის განკუთვნილ საგანგებო შენობას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ფორმალური მხარე როდია მთავარი. ღია ცის ქვეშ რომ სრულდება საკრალური ქორწინების აქტი, ამით ხაზი გაცემის ამ აქტის უშუალო კავშირს ბუნებასთან, ბუნების ძალებთან. ეს ხომ იგივე შესაქმის აქტია, იგივე ცისა და მიწის კავშირია, რაც იშთარისა და თამუშის (ინანასა და დუმუშის) შეუღლებით ხორციელდება. (მართლაც: ნატა ფეხმძიმდება. ნაყოფს ატარებს. დასახამი ეძლევა ახალ სიცოცხლეს).

ეს თავი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძნელი სათარგმნელი თავია. აქ საკიროა უზუსტესი გრძნობა სიტუცისა, ფრაზისა, რიტმისა, მელრძისისა. საქიროა აბსოლუტური სმენა, როცა მოვიპოვებთ გრ. რომაქიძის არქივს და დე-

დანს (ქართულ ხელნაწერს) მოვიძიებთ, მაშინ ამ თავის მხატვრულ სიძლიერეს კიდევ უფრო მეტად ვიგრძნობთ.

რომანოს ბევრი თავი (სულ მათი რიცხვი თვრამეტი) დასრულებული ქმნილება. დამოუკიდებელი ნოველაა და იმავე დროს მთელის ღვიძლი ნაწილია — ყოველი მათგანი ემსახურება მთავარი გმირის სულიერი დრამის თანდათანობით გაძლიერების, რომანის დედაწარის გაღრმავება-გაფართოების მიზანს, ხოლო უმეტესწილად სიუჟეტის განვითარების, პერსონაჟთა პოზიციისა და მათი ურთიერთმიმართების ჩვენების მიზანსაც. „მთელი“ აქ ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ცალკეული, თუნდაც განსაკუთრებით გამორჩეული ნაწილი. ან კიდევ უკეთა თავის უბრალო მექანიკური ჩამოწმანში ოსტატურად არის გამოყენებული სხვადასხვა ლიტერატურული ზერხი თუ საშუალება: პოლიტიკური ანეკდოტი, საგაზეთო ცნობების მონტაჟი, მთავარი გმირის მიერ გაკეთებული კომენტარები მხატვრული ნაწარმოებისა, სიზმარი, პერსონაჟის ლიტერატურული ჩანაწერები; მეტადრე გამორჩევა დიალოგი. დახვეწილი, ძუნწი, ქვემოტექსტზე დამყარებული, აზრობრივად და ემოციურად ღრმა და მდიდარი, გრ. რობაქიძის შემოქმედება საერთოდ გამორჩევა დიალოგის დიდი კულტურით.

ზემოთ ვთქვი, ბევრი თავი დასრულებული ნოველაა და იმავე დროს ორგანული კავშირი აქვს მეთქი რომანის დანარჩენ ნაწილთან. ვნახოთ ამ თვალსაზრისით მომდევნო, რიგით მესამე თავი, რომელსაც „გატყავებული ცხენი“ ჰქვია.

ამ თავის გულში ერთი ცხენის ამბავი, რასაც თამაზ უნაგური უუკება თანამეინახეთ. ეს ამბავი სიბოლოური მნიშვნელობის მქონეა — ააშკარავებს რევოლუციის ნამდვილ სახეს, კერძოდ, პროლეტარული რევოლუციისას. რევოლუციის რაობის თემა გამჭოლი აზრია მთელი რომანის. ხსენებული ამბავი თავისებური ინდიკატორის ფუნქციასაც ასრულებს — ავლენს პერსონაჟთა პოზიციასა და მათს მიმართებას ერთმეორესთან. აქ შემდგომ ვითარდება ის თემა, პირველ თავში რომ იყო აღძრული. ცხენის ამბავი თავისთავად მაღალმხატვრული მოკლე ნოველაა. ვისაც ახსოვს ბებერი ცხენის უწყალო ცემისა და მხეცური მოკვლის გულისშემძვრელი ეპიზოდი „დანაშაული და სასჯელიდან“, ეპიზოდი, რასაც რასკოლნიკოვი სიზმარში ხედავს (თუმცა შთაბეჭდილება იხე თია ბავშვობაში ნანახი სურათი გასცოცხლებიაო). მე მგონი, დამეთანხმება, რომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი: გრ. რობაქიძის მიერ აღწერილი ეპიზოდი არანაკლებ მძაფრ შთაბეჭდილებას ახდენს. ორივე ეპიზოდის სტილი და მანერა სრულიად განსხვავებულია. დოსტოვესკი პირუტყვის ცემისა და სიკვდილის მთელ პროცესს თავიდან ბოლომდე დაწვრილებ

ბით, ფსიქოლოგიური დეტალებით, ექსპრესივით, ცემს, და აქ ნატურალიზმისა და სადღესასწაულის კარა საფრთხე განდებოდა, მთელი ეს ეპიზოდი ბიჭის თვლით რომ არ იყოს დანახული, ბრბოს არაადამიანურ სისასტიკეს ბიჭის ქვითი ნი, ბიჭის ცრემლები რომ არ აღბობდეს და ანელებდეს. გრ. რობაქიძე გულისშემძვრელ სურათს ისე ქმნის, რომ ცხენს ხელით ჭერ არც კი შეპხებია ვინმე, გახელებული ბრბო ჭერ მხოლოდ დასდევს ცხენს. დასდევს საშინელი ყუინით, დაფეთებული პირუტყვი კი საცოდავად აქეთ-იქით აწუდება. დოსტოვესკის მიერ გამოყვანილი მთვრალი, აღგზნებული ხალხი ცემით კლავს დაძაბუნებულ, ძვალტყავა ცხენს, კლავს, თავისებურად ჭავრს იურის სწორედ მისი სიძაბუნის გამო. გრ. რობაქიძის მიერ აღწერილი გაცოფებული ბრბო კი, დანებით, კეტებითა და ნამგლებით შეიარაღებული, დასაქერად დასდევს ცხენს, წაძარული მერანოვით ლაღსა და მოხდენილს, რა არის ცოცხლად გაატყავს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჭიშინია, გამორჩეულია. როცა რასკოლნიკოვი მოკლავს მოხუც მევახზე ქალს, სულის სიღრმეში განიახლებს ტრაგიკულ გრძობას, რადგან სწორედ იმ ბრბოს მხეცური საქციელის თანამონაწილე ხდება, რომელმაც მის თვალწინ ბავშვობისას ცემით ამოხადა სული ბებერ, საბრალო ცხენს. ხოლო როდესაც გრ. რობაქიძის რომანის მთავარი გმირი შემდგომ სიტყვას წარმოთქვამს საქართვლოს გასახლებასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო სხდომაზე (თავი V, „უკეთა საზღვრის წაშლა“) და ნებისთ თუ უნებლიეთ ტერორის მეთოდს გაამართლებს (გამოსაშვები სისხლი უნდა გამოიშვასო, ამბობს). იგი ისევე, როგორც რასკოლნიკოვი, იმ ბრბოს თანამოწიარეა, რომელიც ცოცხლად გატყავებას უპირებს უსოდველ ზვარაკს და რომლის საქციელიც თავადვე ზარავს.


პირველ თავში აღძრული თემის განვითარების თვალსაზრისით ისიც უნდა ითქვას, რომ აქ, მესამე თავში, ნაჩვენებია, როგორ იბღალბება ორი წმინდა რამ. ქართულ სუფრას შემოგოსწრებიან პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები — ნიკო ბრეგაძე და ლატვიელი ბერზინი. მათი შემოსწრება წამლავს ატმოსფეროს, ისინი ხომ უწყუნარებელნი არიან იმათ მიმართ, ვინც მათებურად არ აზროვნებს. იღახება ქართული სუფრის ტრადიცია, აქი ქართული ლხინის არსია გულითადობა, ერთმანეთისათვის გულის გადახსნა და გახარება. საგულისხმობა კიდევ ერთი რამ. სუფრა ვაშლილია იმ კაკლის ხესთან სწორედ იმ ადგილას, სადაც წინა დღეს ნატახა და თამაზის საკრალური ქორწინება აღსრულდა. სუფრასთან ბერზინი ყურადღებას აქცევს ნატახს. ბერზინის „ბახილისკური მწერა“ კალის არსებაში რაღაც ბნელ, არაჩანსად ინსტიქტს აღვიძებს. ეს არ გამოეპარება თამაზის თვალს.

მინიშნებულია, რომ იზღალდება „გაპარ“, წმინდა ალაგი, სადაც ქალი და ვაჟი საქრალური აქტით დაკავშირებიან ერთმანეთს (ამ მესამე თავში გაპარულია ქრონოლოგიური ლაფსუსი. აქ მოქმედების დროა შუა ივლისი. პირველ თავში კი — მაისის თვე. ხოლო შუალედი მათ შორის, რომანის მიხედვით, ერთ კვირას არ აღემატება. გასარკვევია, ესაშუარა შეუსაბამობა მთარგმნელის ბრალია თუ ავტორისა. გინდაც ავტორის შეცდომა იყოს, შემდგომ უნდა გასწორდეს).

ზემოხსენებული სიტყვა; წარმოთქმული რომანის შთაბარი გმირის მიერ საქართველოს გასაბჭოებისთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო სხდომაზე ოპერის თეატრში; მრავალმხრივ საყურადღებოა. თუ აქამდე გარეგანი კოლიზია მქადვდებოდა უპირატესად, კოლიზია გმირსა და გარემო სინამდვილეს შორის, ხოლო გმირის შინაგანი უქმყოფილება თავისი თავის გამო, იმის გამო, რომ უფრო აქტიურად და გაბედულად არ იცავდა თავის პოზიციას, ოდენ მინიშნებული იყო, ახლა, ამ სიტყვის შედეგად, უკვე თავს იჩენს შინაგანი კონფლიქტი, კონფლიქტი საკუთარ თავთან, საკუთარ სინდისთან, თამაზ ენგური მორალურ დანაშაულსა გრძნობს, რაკი რეპრესიების გამართლება სცადა, დანაშაულს გრძნობს უსამართლოდ დასჯილი ნაცობ-მეზობლების წინაშე, მათი ობლად, უპატრონოდ დარჩენილი შვილების წინაშე. მართალია, ეს იყო წუთიერი გადაცდომა, წუთიერი გამოხატულება სოლიდარობისა დარბაზში მსხლმ ხალხთან, მაგრამ ფაქტი ისაა, პოზიცია საჭაროდ გაცხადდა, საჭაროდ გამოითქვა მხარდაჭერა სისხლიანი პოლიტიკისადმი. თანაც წარმოთქმული სიტყვა მეორე დღესვე გამოქვეყნდა პრესაში. რომანის გმირის ეს შინაგანი კონფლიქტი საკმაოდ რთული ბუნებისა გახლავთ. აქ თავს იყრის ნაირგვარი წინააღმდეგობა, თავს იყრის მიმართობანი ისეთ კატეგორიებთან, როგორცაა რევოლუცია — ტერორი — მასა — ხალხი. გმირის ხასიათს რომ ჩაეწვდეთ, უნდა გავანალიზოთ, შეძლებისამებრ შემადგენელ ელემენტებად დავშალოთ ის რთული გრძნობა, რამაც შინაგანი კონფლიქტი წარმოშვა.

რა თქმა უნდა, ადვილია ყველაფერი მარტივად ავხსნათ. ავხსნათ სიფრთხილით, უსახო შიშით. რითაც მთელი საზოგადოებრივი ატმოსფერო მოწამლულა. მაგრამ მიზეზი უფრო ღრმაა, შინაგანი წინააღმდეგობის სათავე უფრო ღრმად ძევს. ამის ნათელსაყოფად უნდა დავხვათ კითხვა: როგორია თამაზ ენგურის მიმართება იმ აუდიტორიასთან, რომელსაც სიტყვით მიმართავს? ეს რომ გავარკვიოთ, პასუხი უნდა გავცეთ მეორე კითხვას: ვინ ზის დარბაზში, ვინ აჩილოებს თამაზ ენგურს მქუხარე ტაშით წარმოთქმული სიტყვისათვის? დარბაზში უმთავრესად ზის მასა, სწორედ ის უპი-

როვნო მასა, რომელიც ეგზომ სახტოკ ნებოი ამკვიდრებს გარშემო თავის ქმნეჭულმებებს, გემოვნებას, ერთობ ცხოვრების ტანს, ქმნეჭულმებზე აქ უნდა გავიგოთ იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც ენიჭება მას ესპანელი ფილოსოფოსის ნოსე ორტეგა ი. გასეტის გამოკვლევაში „მასების აჯანყება“, სადაც გარკვეულია მასის, მიხი ფსიქოლოგიის ძირითადი ნიშან-თვისებები, დახასიათებულია მასის ბუნება. საგულისხმოა, რომ ესპანელი ფილოსოფოსის ხსენებული ნაშრომი დაახლოებით იმავე დროს შექმნა (1980 წ.), როცა იწერებოდა გრ. რომაქიძის „ჩაკლული სული“ (1982 წ.). თამაზ ენგური, როგორც საკუთარი მეობით გამორჩეული, თვითმყოფი პიროვნება, ბუნებრივია, უპირისპირდება ჯოგური ინსტინქტით შეკავშირებულ უპიროვნო ინდივიდათა კრებულს. უდევს თუ არა ამ დაპირისპირებას საფუძვლად იმანენტური ზიზღი და სიუღვილი, ქედმაღლური დამოკიდებულება ელიტარული გმირისა მდაბალბრბოსთან? ცნობილია ნიცშეს ზეგავლენა გრ. რომაქიძის შემოქმედებაზე; ცნობილია ისიც რომ გრ. რომაქიძეს „სულისმიერ არისტიოკრატს“ უწოდებდნენ. როგორ უნდა გავიგოთ ამ თვალსაზრისით თამაზ ენგურის პოზიცია, რაიც იმავ დროს ავტორის პოზიციის გამოხატულებაა? გრ. რომაქიძემ თავადვე განგვიმარტა („ჩემი ცხოვრება“, გავ. „თბილისი“, მ. II, 89), რა მხრივ მოახდინა მასზე გავლენა ნიცშემ. ეს არის ძირითადად ორი რამ: დიონისური საწყისის ესთეტიკური გაგება და მარადი დაბრუნების იდეა. თანაც მარადი დაბრუნების იდეის ნიცშესეულ გაგებაში გრ. რომაქიძემ თავისი, განსხვავებული თვალსაზრისი შეიტანა. მაგრამ გრ. რომაქიძის შემოქმედებისთვის ნიშნულია ძლიერი პიროვნების კულტიც. თავად თამაზ ენგურიც ერთი ამგვარი პიროვნებათაგანია. რა მიმართებაა რომაქიძისეულ ძლიერ პიროვნებასა და ნიცშესეულ „ზეკაცს“ შორის? თუ ნიცშეს მოძღვრების ტრადიციულ ინტერპრეტაციას გავითვალისწინებთ, არსებითი განსხვავებაა. გ. რომაქიძის შემოქმედების გმირი უტეხი ნებისყოფის მქონეა, მიხე ნებისყოფა საკუთარი თავის გადალახვით არის ნაწრთობი. საკუთარი თავის გადალახვა, საკუთარი ეგოიზმის დაძლევა გვა დახიდა მეორე აღმობთან შინაგანი ერთიანობის მოსაღწევად: სიყვარულის გრძნობა თავგანწირვისთვის აღძრავს აღმობანს (ნიმუში: მინდია „ლამარადან“). ნიცშესეული ზეკაცაც გადალახავს საკუთარ თავს, მაგრამ გადალახავს იმისათვის, რათა გიფართოს სასიცოცხლო არე, თავისი ნება გააბატონოს სხვათა ნებაზე (თუმცა ნიცშეს ფილოსოფიის ამგვარ გაგებას ზოგიერთი მკვლევარი ახლა არცთუ მთლად მართებულად თვლის: ის კი არა, ლამის ფელსიფიკაციად მიიჩნეონ ნაშრომი „ძალაუფლების ნება“, რომელიც ფილო-




სოფლის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. იმ ამის თაობაზე უკრნალი „ვოპროსი ფილო-სოფიი“ (ს. 111)

გარ. რეპუბლიკის თვალთახედვის მიხედვით, უნდა განვსწავლოთ მასა და ხალხი. მასა უპიროვნო ერთეულთა გროვაა, იგი წარმოადგენს მალაღობი უმეტესობის ერთიანობა, ერთიანობა — დაფუძნებული საკუთარი მიწაწყველის, ისტორიის, ტრადიციების, კულტურის სრულყოფილად უწინარესად — სარწმუნოებაზე. „ხალხი არაა ამა თუ იმ დროს სტატისტიკით აღრიცხული გროვა ცალკეულთა — იგი ცოცხალი არსია ზეპირსიტყვილი ბუნებისა“. ინტერესი კ. სალიასი გრ. რობაქიძისთან, საიდანაც ეს ციტატა მოვიხიბეთ. ნათელყოფს, როგორც ღრმად ესმოდა „ჩაკლული სულის“ ავტორს ხალხის ცნება (თვით ინტერესი იმ. გაზეთ „სახალხო განათლებაში“, მ. 11 11). მასა შეიძლება გახდეს ხალხი, ე. ი. დემოკრატიული. იგი ამ იდეის პოტენციური მატარებელია. რამდენადაც მას პოტენციური ხალხია, ამდენად თანაგრძნობას, პატრივისტებას, სოლიდარობის გრძნობას იმსახურებს. აქ არის მის მიმართ გაორებული და მოკიდებულიების, შინაგანი უყოფანის სათავე. მაგრამ შეიძლება ამითაც არ ამოიწურება. იმ რთულ გრძნობაში, რაიც დაუფლებია თამაზ ენგურს, როცა ის უნებურ სოლიდარობას უშედავებენ მასს. კიდევ რჩება რაღაც ბნელი, იღუმალი რამ, წმინდა რაციონალისტური ვითომ რომ ამ აიხსნება. რა არის ეს უარული ძალი? ეს დაახლოებით იმდენად იმეორებს მანუადასახსნელი ირაციონალური ძალია, რითაც ნათეს იზიდავს ბერ-ზიანი. როგორც ნათესზე ზემოქმედებს ბერ-ზიანი, უპიროვნო მასის ნების ეს რეალურ-სიმბოლოურ განხსნეულება, დაახლოებით იმგვარადვე მოქმედებს თამაზ ენგურზე მასის ბნელი მიზიდულობის ძალი. ამ ბნელი ძალის ხატოვან ანალიზს გრ. რობაქიძე იძლევა მოკლედ. ღრმავარაუდეს ესევე — „სულის დაშლა“. გაუპატორებულე ქალწული, რა არის რაღაც გამოსავალი ნახში აუტანელი წამებისაგან, ღამის რაიმე დადებითი ნიშან-თვისება იპოვოს მოძალადეში, ამით ხქნებ როგორმე დაუახლოვდეს, შეესაფოსო მას. მამინ ძალადობის გრძნობა განედლება, ისე გაუსაძლისი აღარ იქნება. გაუპატორებულე ღმა, შესაძლოა, მოახერხოს კიდევ და შეეგუოს მოძალადეს. თუმცა გულის სიღრმეში მაინც მუდამ იგრძნობს თავისი მდგომარეობის სიუალებს, არახუნებრიობას. ამგვარი რთული ფსიქოლოგიური კომპლექსით ხსნის გრ. რობაქიძე ქართველ მწერალთა დიდი ნაწილის შეროვებასა თუ შეგუებას არსებული რეჟიმისადმი მემარცხენე დიქტატურის პირობებში. ეს, სხვათა შორის, ის ფსიქოლოგიური კომპლექსია. რაიც გერ კიდევ მიხ. ჯავახიშვილმა წარმოაჩინა მარტო ხევისთავისა და ჯაუო ჭივაშვილის ურთიერთდამოკიდებულების ჩვენებით „ჯაუოს ხიზ

ნებში“. ახე რომ, თამაზ ენგურიც კარგად იცნობს პიროვნება. დაზღვეული არაა იმის მიმართ, რომ ძალის ზეგავლენის ერთგვარი საფრთხისაგან. წუთიერი შინაგანი მერყეობისაგან.

თამაზ ენგურისა და მასის ურთიერთმიმართება რომ ბოლომდე ნათელი იყოს, ესეც უნდა ითქვას: თამაზ ენგურს მასა, როგორც მტრული ძალია პიროვნებისა, მარტო თავის სამშობლოში კი არა, დასავლეთშიაც ეგულება. იქაც, დასავლეთშიაც, უტევს მასა პიროვნებას, ესე რაფვის თავისი ცხოვრების ნიშნისა და ფსიქოლოგიის გაბატონებას: „მასობრივი კულტურა“ უპირისპირდება ნამდვილ სულიერ ღირებულეებს. მაგრამ დასავლეთში პიროვნებას საშუალება აქვს, თავი დაიცვას ამ უნებში ძალის შემოტყვისაგან, მეტიც, იქით გაუწიოს წინააღმდეგობა, რადგან დასავლურ ცივილიზაციას შეუწარმუნებია მთავარი სულიერ-ზნობრივი ფასეულობა — პიროვნების თავისუფლება. თამაზ ენგური კი თავის სამშობლოში ამგვარ საშუალებას მოკლებულია — აქ პიროვნული თავისუფლება ძირშივე აღკვეთილია. ამისდა კვალობაზე, თამაზ ენგურის დამოკიდებულება რევოლუციისადმი ერთნისნადი როდია. იგი რევოლუციის მომხრე არ არის, მაგრამ არც პრინციპული წინააღმდეგია. რევოლუცია, რომელიც ვწახს უხსნის პარლამენტურ-დემოკრატიულ წყობას, უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას, მისთვის მისაღება (ასეთი იყო თვით გრ. რობაქიძისთვის, მაგალითად, თებერვლის რევოლუცია, რომელმაც ცარიზმი დაამხო). თუ პიროვნების თავისუფლებას სპობს, ცხადია, რევოლუცია მიუღებელია.

თამაზ ენგურის სულიერი დამაბულობა, სულიერი დრამა ტრაგიზმის გრძნობაში გადაიზრდება მას შემდეგ, რაც ის უნებლიე მიზეზი ხდება თავისი მეგობრის, ლევანის, დალუპვისა. ტყვილი შინაგან ყვირილად იქცევა. არადა, მექანიზმი დამსჯელი სახელმწიფოებრივი მანქანის მოქმედებისა იმგვარია, შეიძლება არც კი იცოდეს, ისე შეიქნე ბოროტების ხელისშემწყობი და თანამონაწილე. თვალახვეულ და სასწორიან თემიდას უკან უდგას ურინარი ნემგვი-და მახვილით ხელში. ხომ უოველი საექვო და არაკეთილსაიმედო ადამიანის თავზე ჰქილია დამოკლეს მახვილი, ხომ იმთავითვე განწირულია უოველი მათგანი. და მაინც ამ მკაცრი აუცილებლობის ვითარებაში ბელი კაცისა დამოკიდებულია ათასგვარ შემთხვევითობაზე. ზოგჯერ სულ უბრალო წვრილმანზე. ალბათობის ხარის-მომკლეს მახვილი, ხომ იმთავითვე განწირულია თვალს და მისი კლანჭებისაგან დახსლტომა მოახერხოს, თითქმის ნულზეა დასული. მიუხედავად ამისა, მტკიცე ზღვარი იღბალსა და უიღბლობას შორის არ არის, ადამიანის ბედი მართლაც ბეწვზე ჰქილია, არც აქეთაა ადამიანი, არც — იქით, ან. აქეთაც არის და იქითაც,



რამეთუ შემთხვევითობამ შეიძლება დადლოს, შეიძლება გადაარჩინოს. თამაზ ენგურს რომ შემთხვევითი სანთებელა არ დარჩენოდა ეტლში, როცა ის საიდუმლო შეხვედრის შემდეგ სასტუმროში ბრუნდებოდა, მისი მეგობარი ლევანი, ალბათ, დავრტას გადაურჩებოდა; უოველ შემთხვევაში. თვითონ ენგური არ შეიქნებოდა მეგობრის დადუსვის მუნებლიე მიზეზი. სანთებელას ეტლში დარჩენა, ასე ვთქვათ, „წმინდა“ შემთხვევითობაა, ხოლო ამ წმინდა შემთხვევითობის მიღმა უკვე გარკვეული კანონზომიერება იმალება. ამ შემთხვევის წყალობით „გეტეუ“-ს მუშაკს საშუალება ეძლევა, პირადი ანგარიში გაუსწოროს ლევანს, შური იძიოს მასზე. ანდა ავიღოთ თვით თამაზ ენგურის განთავისუფლების ამბავი. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს აყურებდნენ ციხეში ან რა ბრალდებას „დაუმტკიცებდნენ“ საბოლოოდ, ბერზინის მიერ გამოხმობისთვის ნათქვამი ერთი უბრალო, ნეიტრალური ფრაზა რომ არა: ორმა ადამიანმა, რომლებიც არ იცნობენ ერთმანეთს და არ არიან ერთმეორესთან დაკავშირებულნი, შეიძლება, ერთნაირი შენიშვნები გაუკეთონ ერთსა და იმავე წიგნს (ლაპარაკია დონტოევსკის რომანზე — „ეშქანი“). თავის მხრივ, ბერზინი თავს არ შეიწყუბებდა იმ ნეიტრალური ფრაზის წარმოსათქმელად, ნატას ხათრით თამაზისთვის დახმარების გაწევა რომ არ ნდომებოდა. ფართო მასისა და თვით ზღვამდევანელი პარტიული მუშაკების თვალში „გეტეუ“ ის ხატემწიფოებრივი ორგანოა, კანონიერებისა და წესრიგის სადარაჯოზე რომ დგას. გაიხსენეთ, რა თავდაჭრებული ამბობს ბერზინი, როცა ნატასთან თამაზ ენგურის დაპატიმრების ამბავს შეტყობს: „გეტეუ“ არ ცდებოა. მასის ჩვეულებრივი წარმოდგენა ესაა: ხატემწიფო არ ცდებდა, უდანაშაულოდ არავის სჯიან (მხედველობაში მაქვს იმ პერიოდის საზოგადოებრივი ცნობიერება, როცა რომანი იწერებოდა). გრ. რომაქიძე ჭერ კიდევ როდის, საფუძველს აცლის ამ მითს. თამაზ ენგურისა და მეთადრე ლევანის ბედის მაგალითზე იგი გვიჩვენებს, რადიდ როლს ასრულებს კანონიერების დაცვისა თუ დაუცველობის მხრივ „ორგანოს“ მუშაკის პირადი მოტივი, პირადი ინტერესი. მართალია, ამ პირად მოტივს, პირად ინტერესს ჭერ ის მასშტაბი და ის საზარელი სახე არ მიუღია, რასაც მოგვიანებით, ოცდაჩვიდმეტ წელს, მიიღებს. მაგრამ აქ უკვე აშკარადება არსი: კანონიერების დასაცავად მოწოდებულნი თავად სხადიან უკანონობას. ბოროტად იყენებენ თავიანთ მდგომარეობას, და შეუძლებელიცაა, ასე არ იყოს. რაკილა განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობენ, რაკი მათი მოქმედება კონტროლს არ ემორჩილება.

სერთოდ, გრ. რომაქიძე არ ცდილობს, ფაქტებით „დახუნძლოს“ სხრობა: მეტიც, უფრო

იმას ესწრაფვის, ნაკლები ფაქტის მოშველებით მეთი სიმძაფრე მიანიჭოს. გენგაცდვივნოს იგი უშუალოდ, წმინდა სახით. ზოგმა შემოქმედმა უამრავი ფაქტის მაგალითზე გვიჩვენა „წითელი ტერორის“ საშინელება, ადამიანის ათასნაირი დამცირება, აბუჩად აგდება, უღმერთო წამება, ამგვარი წარმოების ავტორს თითქოს მიზნად დაუსახავს, მთლიანად მოიცვას ასასახავი მოვლენა, მოიცვას ის, რისი სისრულით გამოსახატავდაც უძლურია ადამიანის ენა. გრ. რომაქიძე საპირისპირო გზით მიდის. იგი ირჩევს მრავალ კი არა, უმეტესწილად ერთ, ნიშანდობლივ ფაქტს მოვლენის ამ თუ იმ მხარის წარმოსახენად. სამაგიეროდ, ამ საგანგებოდ შერჩეულ ფაქტს თავდაპირველი სიზიშვლით წარმოგიდგენს და მისგან მაქსიმალურ შთაბეჭდილებას აღგიძრავს. ეს გრ. რომაქიძის მხატვრული აზროვნების სტილის თავისებურებაა. ბოლოს და ბოლოს, რა ხდება თითქოს ისეთი „გეტეუში“, სადაც თამაზ ენგური მოხვედრილია? აქ არ არის წამების სცენები (მხოლოდ ერთხელ ქალის შევიწყლება მოესმის საკანში მყოფ თამაზს), საკანში არ შემოპყავთ დასისხლიანებული, ცემით სიკვდილის პირას მიყვანილი პატიმრები. თამაზ ენგურის დაკითხვის მთელი პროცესი საკმაოდ დელიკატური ფორმით მიმდინარეობს. საკანში სულ სამნი სხედან. აქედან თამაზ ენგურსა და მეორე ბრალდებულს რამდენიმე ხნის შემდეგ გაათავისუფლებენ. მესამე ბრალდებული დასაზვრეტად გაჰყავთ. შთაბეჭდილება მძაფრია: მამა სამუდამოდ შორდება ერთადერთ, მცირეწლოვან ვაჟიშვილს. რა უნდა იყოს თამაზ უფრო ტრაგიკული? რა ფაქტებით შეიძლება ამ ტრაგიდიის გაღრმავება, თუკი მამაშვილურ გრძნობას პირვანდელი სიხალისე, პირვანდელი უშუალობის ძალა ენიჭება? ბრალდებულს აიძულებენ, მეგობარი გასცეს. რა ხერხს მიმართავენ? სიკვდილით დასაჯელად მიჰყავთ სხვებთან ერთად. ესვრია. სხვები იხრებოდნენ. თვითონაც დაეცემა. ოღონდ ტყვია არ მოხვედრია (უახილად ესროლეს). კაცმა სიკვდილი გამოსცადა. ამაზე შაკვრული წამება რაღა უნდა იყოს? მერე უშვებენ, თუმცა კაცად აღარ ვარა. ათავისუფლებენ თამაზ ენგურსაც; მაგრამ ვაი ამგვარ გათავისუფლებას! „ჩაკლული სული“ მკითხველი ძალაუნებურად ფიქრობს: თუ ეს უოველმევე პრეტულია, ნამდვილი საშინელება რაღა უნდა იყოს? თუ აქ დახატული ვითარება შედარებით მსუბუქ ვითარებად ითქმის. გაცილებით უფრო შავნელი ვითარება რაღა იქნება? გრ. რომაქიძე საკმაოდ მუნწი, მაგრამ ერთობ მეტუველი. ზუსტად განზომილი საშუალებებით ქმნის „გეტეუ“-ს იღუმალ-ხაზარ ატმოსფეროს. იგი აქ გასაქანს აძლევს მკითხველის წარმოსახვას; მწერლის სიტყვა ჩვენზე შემოქმედებას ახდენს



არამართო იმით, რაც ითქვა. არამედ ართქმულითაც, ნაგულისხმევითაც.

რომანის ერთ-ერთი მთავარი ნაკადი — თავშევე ვიქვი — პოლიტიკური სატირაა. ეს ნაკადი თითქმის თავიდან ბოლომდე შეჭყუება რომანს, ხოლო მისი აღმავალი ხაზი, აღმავალი პათოსი კულმინაციას აღწევს ორ, ერთიმეორის მომდევნო, თავში. ესენია: „აკაშას ქრონიკა“ და „სტალინის მოროსკოპი“ (თავები: VI-XII).

„აკაშას ქრონიკაში“ გრ. რომაქიძე შეკუმშული სახით იძლევა მშ-იანი წლების დამდეგს ჩვენში გამეფებული საზოგადოებრივი ატმოსფეროს; პოლიტიკური ვითარების ღრმა ანალიზს, ღრმა დახასიათებას. გაცემთ ავტორის დაკვირვების, სინამდვილის წვდომის უნარი, მისი გამჭვირვაბობა, იმ ავბედითი ამბების წინათგონობა თუ წინასწარტყრეტა, რაც შემდგომ, დიდი ტერორის ეპოსს, დატრიალდება. თითქმის ყველაფერი, რაც დღეს ჩვენში იწერება გარდასული ხანის კრიტიკული გაჩხრეკის შედეგად. კვინტესენციის სახით უკვე ამ თავშია გაცხადებული. ეს თავი თითქმის მთლიანად მედიტაციურია. მაგრამ იმას, რაც აქ არის ნათქვამი, რაიმე განუყნებულ მსჭელობად კი არ მიიჩნევთ. აღიქვამთ ცოცხალ სინამდვილედ, შეიცვალა ვიღაცამთ ცოცხალ განცდას; გმირის თავისებურ შინაგან მონოლოგში გამეღავენებულს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ანალიზს, დახასიათებას ბუნებრივად მოსდევს იმ ადამიანის ფენომენის ანალიზი და დახასიათება. ვინც ამ ვითარებასა და მის შესატყვის სისტემას განახსივრებს. ვინც, ასე ვთქვათ, მისი პერსონიფიკაცია. მისი სიმბოლოა. გრ. რომაქიძე ღრმად და თავისებურად ხსნის სტალინის ხასიათს, როგორც პიროვნებისას და პოლიტიკური მოღვაწისას. აქ ზღვნი. ალბათ, იტყვიან, პროტოტიპი და მხატვრული ხატი ერთმანეთისაგან გასხვავდებიანო. ალბათ, ასეც არის. ერთია სტალინი, დანახული თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა თვალით, და სულ სხვანაირა, როცა მას იდეური მოწინააღმდეგენი აგვიწერენ. გრ. რომაქიძე სტალინის მხატვრულ ფსიქოლოგიურ სახეს კმნის როგორც მწერალი და მისი ანტიპოდი. ანტიპოდი იმ თვალსაზრისით კი არა, თითქმის უბრალო ხალხის ბედი და სოციალური სამართლიანობის პრობლემა არად უღირდეს. ანტიპოდი იმ მხრივ, რომ სულ სხვაგვარად ესმის ჭუმანიშის საკითხი, ცხოვრებისადმი მიდგომის პრინციპი, სხვაგვარად ესმის, საერთოდ. სიცოცხლის არსი. დაპირისპირება მათ შორის — ეს არის დაპირისპირება სულიერ სიმაღლეებს წვდომილ ინტელიგენტ-პიროვნებასა და პროლეტარული იდეოლოგიის დამამკვიდრებელ ადამიანს შორის. გრ. რომაქიძე არ ცდილობს, სტალინის ზუსტი ასლი შექმნას. ისევე როგორც, მაგალითად, დოსტოევსკი არ ცდილობდა, პეტრე ვერხოვენსკის სახით. ჩეჩაევის ზუ-

სტი და უტუყარი ასლი შექმნა. დასტოევსკის დაგვიხატა რუსული ნიპოლიზმის, ვოლუტური მოძრაობის პერსონიფიკირებული სახე ისე, როგორც თავად ესმოდა და აფასებდა ამ მოძრაობას. გრ. რომაქიძე ძერწავს პერსონიფიკირებულ სახეს გარკვეულწილად იმისას, რაც ნაწინასწარმეტყველები იყო რომან „შმაკი“-ში და რამაც შემდგომ, ბოლშევიკური დიქტატურის რეჟიმის პირობებში, ხორცი შეიხსნა. სტალინის წინამორბედად „ჩაკლული სულის ავტორს“, გარკვეული აზრით, პეტრე ვერხოვენსკი გამოჰყავს. გაივლის მრავალი წელი „ჩაკლული სული“ გამოქვეყნებიდან და აღმერკამიუ 1951 წელს დაწერილ ტრაქტატში „შეამბოხე ადამიანი“ ლენინის წინამორბედად დასახავს ნეჩაევს, ვერხოვენსკის პროტოტიპს.

გრ. რომაქიძის აზროვნების სიღრმე ისტორიული მოვლენების გაგებისადმი მიდგომაშიც ჩანს, ჩანს ისტორიაში პიროვნების როლის შეფასების საკითხში. დღევანდელი ისტორიკოსები, მწერლები თუ პუბლიცისტები, ვინც ცენტრალურ პრესაში საბჭოთა კავშირის წარსულზე წერს, უმრავლეს შემთხვევაში მეტისმეტად, თითქმის ფანტასტიკურად აზვიადებენ პიროვნების როლს. ეს რიცხვმრავალი კორო თითქმის ერთხმად ჩავვადანს, პიროვნებას შეუძლია თავის ნებაზე ატრიალოს ისტორიის ბორბალი. თავის დუღუკზე ატეკვოს მილიონობით ადამიანი, თავის გემოზე განავოს და გადაწყვიტოსო ხალხის ბედი. და ამას გვეუბნებიან ისინი, ვინც დღემდე სულ მუდამ გვიმეორებდა, ისტორიის შემოქმედი ხალხია, ის არის მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა. მაგრამ დასჭირდით და ერთ მშვენიერ დღეს თავდაუირა დააუენეს ისტორიის მეცნიერული გაგება, სულ სხვა მანგზე იწუეს სიმღერა (რად დასჭირდით სხვა მანგზე აქიკიკება, ეს თავისთავად საინტერესო საკითხია, მაგრამ აქ არ არის ამის გამოსარკვევი ადგილი). ერთი რამ კი უნდა ითქვას: უზომოდ რომ გაბერეს პიროვნების როლი, და, ამრიგად, უზომოდ გააფართოვეს თავისუფლების ცნების შინაარსიც, ამა-სობაში ხელიდან გაექცათ. ლამის სულ დაუკარგათ აუცილებლობის კატეგორია. თავი ვეღარ მოუყრიათ ამ ორი ცნებისთვის, თავგზა აბნევიათ, ვერაფრით მოუბერებნებიათ მათი ერთმანეთთან დაკავშირება, მათ შორის სწორი ურთიერთმიმართების დამყარება. და ეს დაემართა იმ ხალხს, ვისაც ჩერ კიდევ გუშინ თავი მოჰქონდა მარქსისტობითა და დიალექტიკის ფასის ცოდნით.

გრ. რომაქიძე არასდროს მარქსისტი არ ყოფილა, მაგრამ „ჩაკლულ სულში“ გამოშლავებული მიხეული გაგება ისტორიული პროცესებისა, უფრო ზუსტად, თავისუფლებისა და აუცილებლობის სფეროთა უჭვითერთმიმართებისა, მათი ერთიანობისა, დიალექტიკური აზროვნების

ნიშნულად შეიძლება ჩაითვალოს, თანაც აქ განუენებული ფილოსოფიური კატეგორიებით ოპერირებასთან კი არ გვაქვს საქმე, შევიცნობთ მმართველობის კონკრეტულ სისტემას, საკმაოდ რთულ და თავისებურ რეალობას. ნათქვამის ცხადსაყოფად მოვიტან ციტატას თავიდან „აკაშას ქრონიკა“. ციტატას, სადაც ღრმად გააზრებულია თავისუფლების არსის გაგება ბოლშევიკური დიქტატურის პირობებში, აი. ეს აღვადგინო: „ხელშესახები წინამძღოლი არავინ იყო. ადგილობრივი კომიტეტი რაიონული კომიტეტისაგან ელოდა გენერალურ ხაზს, რაიკომი — საოლქო კომიტეტისაგან, ის, თავის მხრივ, — სამხარეო კომიტეტისაგან, ხოლო უკანასკნელი — მოსკოვიდან. საბოლოოდ ცენტრალური კომიტეტიღა რჩებოდა, მაგრამ აქაც იგივე მეორედებოდა: ერთი მეორეს უყურებდა, მეორე — მესამეს, მესამე — მეოთხეს და ასე უმაღლეს თანამდებობამდე. რაივი გენერალურ მდივანთან თავდებოდა. საბოლოოდ, ის მარტო უძღვებოდა გენერალურ ხაზს. ამავე დროს ჩვეულებრივი ავტოკრატი როდი იყო ეს ადამიანი: მასში მხოლოდ მანების ძალთა ნაკადები იყრიდა თავს სხვებთან შედარებით ერთადერთი უპირატესობა ჰქონდა: უნარი ამ გროვის საკუთარ თავში დატევისა თუ ეს უნარი მიატოვებდა და შეცდომას დაუშვებდა, ძაბვა, პირველ რიგში, თვით მას მოსაძობდა. სინამდვილეში იგიც არ იყო გენერალური ხაზის შემოქმედი, რაღაც უცხო და უპიროვნო მართავდა ამ ხაზს. არავინ იყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. ცალ-ცალკე გენერალური მდივანი არავისზე იყო დამოკიდებული, მთლიანობაში — უველაზე. იმ მთლიანობის მაქისცემას უგდებდა ყურს და თუმცა უველაზე მალდა იღბა, უველაზე ნაკლებ იყო თავისუფალი უპიროვნო მთელის წინაშე. ერთი მცდარი ნაბიჯი და გათავდებოდა მისი საქმე, ასე აღმოჩნდა, რომ არსებითად არავინ იყო თავისუფალი. აშკარა შეიქნა: რევოლუციამ გაზოიწვია ძალები, რომლებსაც თვითონ ვეღარ ერეოდა. იმ გაურკვეველ რაღაცას უყავ ისტორია იქმონდა — აღარც ცალკე ადამიანი, აღარც რომელიმე ჯგუფი“.

საგულისხმოა, რომ გრ. რობაქიძე, ვინც ასე ჩახედულია ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში და ასე ღრმად ჩასწვდა ბოლშევიზმის არსს სტალინს უწოდებს „ბოლშევიკად დაბადებულს“ მეტიც, იგი წერს: უწინ უყვარდათ თქმა, მავანი და მავანი წინაპრისტიანული ქრისტიანი იყო. სტალინისათვის შეიძლება ბოლშევიზმამდელი ბოლშევიკი გვეწოდებინაო. მართალია, ეს აქსიომური ქეშმარიტებაა. მაგრამ ამიხაზავასმა საქიროა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად მთელი ლაშქარი კალმოსხანთა (უწინარესად — მოსკოველთა, თუმცა მათ ბანს ამღევს ზოგიერთი ჩვენებური ჰეუსიკოლოფი ინტელიგენტიც) „სტალინიზმად“ და „სტალინ-

შინად“ ნათლავს ლენინურ დიქტატურას და დიქტატურის ხანას, ნათლავს, კიდევ და დიქტატურის ნებით, რა არის, გარკვეული პირობების ხანას, ხანას სინონიმად, კიდევ მეტიც, ცნებადაც კი აქცოს ეს ორი სიტყვა. უოველნაირად ცდილობენ, სტალინი როგორმე მოკლინონ ლენინს, როგორმე აშკარონ ბოლშევიკობის პატივი. ხან ტროცკისტიც, იარლიკს მიაწებებენ (მწერალი ვ. ბელოვიც, აბსურდი და მეტი ამისთანა?!), ხან რაღაც ანონიმური, არარსებული სექტანტურ-დოგმატური ურთის წარმომადგენლად გამოაცხადებენ (პროფ. ვ. სოგინი). პირდაპირ ტყუაში ძვრებიან. ოღონდ, უოველთვე ეს იგივეა, რომის პაპს კათოლიკობის ჩამორთმევა მოუწდომო (რა მიზნით იქნა წამოწებული ეს დემაგოგიურ-შარლატანური კამპანია, ეს უზადრუი და სასაცილო ცდა. უოვლად უდევს რამ სადავო გახადლო, მას საგანგებო განხილვა სჭირდება).

იმ დროს, როცა „ჩაკლული სული“ იქმნებოდა, დასავლეთევროპელი თეორეტიკოსები საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესების შეფასებასა და პროგნოზირებას ცდილობდნენ. მეორე ინტერნაციონალის ბელადი კ. კაუსკი და მენშევიკური პარტიის ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი ფ. დანი ბროშურებს აქვეყნებენ. ვარაუდს გამოთქვამენ: განკულაქება და მთლიანი კოლექტივიზაციის კურსის გატარება გლეზობას აუჩანყებს ხელისუფლებას და სტალინური რეჟიმი დაემზობაო. ან სამხედრო დიქტატურა გაიმარჯვებს (გამარჯვების სასწორი „წითელ ნაპოლეონად“ წოდებულ ტუხაჩევსკისკენ იბრება), ანდა შეიძლება რუსეთი დემოკრატიული განვითარების გზას დაადგესო. პროგნოზი არ გამართლდა. მალე უველამ თვისდა გასაკვირად დაინახა, კოლექტივიზაციის შედეგად სტალინური რეჟიმი კიდევ უფრო განმტკიცდაო.

როგორია ამ მხრივ „ჩაკლული სულის“ ავტორის წინასწარხედვა?

ამაზე პასუხს იძლევა ბერზინის მრავალმნიშვნელოვანი, სიმბოლური აზრის გამომხატველი სიზმარი (თავი — „ეშმაკეული“). ბერზინი უშიშარი, იშვიათი სიმტკიცის შქონე რევოლუციონერია (ტროცკის ორიენტაციისა). იგი რევოლუციის იდენს ფანატური ერთგულია. „ცეკა“-ს გენერალურ ხაზს კოლექტივიზაციის კურსის საკითხში არ ეთანხმება და გულში ფარულ ზრახვას ატარებს, რამენაირად ბოლო მოუღოს სტალინს. მიეცემა კიდევ ხელსაყრელი შემთხვევა. ერთ-ერთ პარტიულ სხდომაზე ერთიმეორის შორიახლო აღმოჩნდებიან. ბერზინს ჯიბეში რევოლუერი აქვს მომზადებული, მომენტი უნდა შეურჩიოს და ესროლოს გენერალურ მდივანს (მოქმედება სიზმარში ხდება, მაგრამ უველაფერი ისეა აღწერილი, მკვეთრი მიჯნა სიზმარსა და ცხადს შორის არ არის გავლებული). გადაწყვეტ წუთს ბერზინის მზერა სტალინისას შეეფუტება. მათ შორის ხანმოკლე



ფსიქოლოგიური ორთაბრძოლა გაიმართება. ბერონი სასტიკად მარცხდება ამ ორთაბრძოლაში. მისი უღრეკო ნება სტალინის დამცინავ-დემონური შემოხედვისაგან იმხსნევა. იგი ძლიერად საბოლოოდ განიარაღებულია. აქ სტალინის სახე სცილდება რეალური განზომილების ფარგლებს და „მიოთოსურ სახედ“ იქცევა, მიოთოსურ არეში გადადის.

რაკი სტალინის მომრევი არავინ ჩანს, რაკი მისი ძლიერის ცლა იმთავითვე განწირულია, ეს სიმბოლურად იმ აზრსაც მიანიშნებს, რომ ბოლშევიკური ციტადელი, რომელსაც სტალინი განასახიერებს, გარედან აუღებელია. ციხე ისევ შიგნიდან თუ გატყდება, რღვევა ისევ შიგნიდან თუ დაიწყება.

გრ. რობაქიძის ისტორიული პერსპექტივა, მისი ოპტიმიზმი ამ მკაცრი გამოცდის ეამს იმის რწმენას ემყარება. რომ ხალხი უღმერთოდ უფუნას ვერ გაუძლებს, ადრე თუ გვიან ისევ ღმერთისაკენ იბრუნებს პირს. ეს აზრი რომანის პირველსავე თავში, განსაკუთრებით კი შემდგომ — „გვერდ“-ს გამოძიებელთან გამართულ დიალოგში, პირდაპირ არის გაცხადებული. ეს წინასწარტყვეთა მართლდება. მწერლის ინტუიცია უცდომელი გამოდგა. რაკ დღესდღეობით ჩვენს გარშემო ხდება, ამის დასტურია. ოღონდ მწერლისთვის, რომელიც თავის რომანს ოცდაათიანი წლების დამდეგს ქმნიდა, ჩვენი დღევანდელი დღე შორეული პერსპექტივა გახლდათ. მისი რომანის გმირს მკაცრი გამოცდა ელოდა. თამაზ ენგურმა უნდა შექალოს. მწებედობის ეამს შეინარჩუნოს საკუთარი პოზიცია, დაიცვას თავისი მეობა, თავისუსულიერი ავტონომია.

რომანის დასასრული, ბოლო თავის ფინალური ეპიზოდი დიდ სულიერ განსაჯირში ჩავარდნილი, მარტოდ შეთენილი ადამიანის მდგომარეობას გვიჩვენებს, ადამიანისა, რომელსაც მინც შერჩევა შესაშური ძალისხმევის უნარი, უნუფეშობიდან და ტრაგიული მარტოობიდან სულიერი განახლებისაკენ, რწმენის შენარჩუნება-ადრძინებისაკენ მიიტვოდეს. მისტიკური ხილვა, უზენაესთან ზიარების ექსტაზური აქტი თამაზ ენგურს, თბილისიდან მოშორებით ბუნების პირისპირ განმარტოებულს, გულში უსახავს სიცოცხლის გაძლების, სიცოცხლისაკენ შემობრუნების იმედს.

ფინალური ეპიზოდის მხატვრული გააზრებისა და შეფასებისას საჭიროა უკუვადლო ჩვენს დამკვიდრებული ერთი იდეოლოგიური სტერეოტიპი. ეს გახლავთ მისტიკასთან დამოკიდებულება ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მისტიკასთან დამოკიდებულება ჩვენში, ყოველ შემთხვევაში, ამ ბოლო დრომდე — მუდამ ერთნისხადა იყო: უარყოფითი, რომელიმე მწერალზე რომ იტუოდნენ, მისტიციზმში ჩაეფლოო, გინდაც სამარცხვინო რამ დალი დაეკარ

მისთვის. განათლებული და კულტურული მინისათვის შეუფერებელი რაღაც კრურწმენა დაებრალბინოთ. არადა, მისტიკა ქრისტიანული მწერლობის, საერთოდ, ქრისტიანული კულტურის ერთი ორგანული ნაკადაა. მსოფლიო მწერლობის მასშტაბით საქმარისია თუნდაც დანტესა და გერმანელი რომანტიკოსების დასახელება. მისტიკა შეიძლება აქტიურიც იყოს და პასიურიც: ცხოვრებისაგან განდგომისკენა უბიძგებდეს ხელოვანს და მიწიერ ყოფასთან კავშირსაც უწყობდეს ხელს. იმავე გერმანელ რომანტიკოსთაგან, მაგალითად, მოლდერლინი ცხოვრებისაგან განრიდებას მიეღვტოდა, მისთვის ეს იყო საკუთარი ზინაგანი სამყაროს გადარჩენისა და დაცვის გზა და საშუალება. ბოლო, ვთქვათ, ნოვალისს პრაქტიკული საქმიანობის მიუღლა სამყაროს უკეთ შეცნობისა და მასთან ერთიანობის გაცდის სტიმულსაც ანიჭებდა.

გრ. რობაქიძის მისტიკა აქტიურია და თანაც მწიგნობრული, შუალობითი კი არა — უშუალო, პირველმხილავისა. „ჩაკლული სულის“ ავტორი მუდამ აქტიურად მონაწილეობდა ერის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, მუდამ აქტიური პოზიციის მატარებელი გახლდათ. მისი რომანის გმირიც კულტურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა, რამდენადაც ამის საშუალებას არსებული ვიოარება აძლევს.

გერმანელმა ფილოსოფოსმა ლეოპოლდ ციგლერმა თავისებურ ტრილოგიად მიიჩნია გრ. რობაქიძის სამი რომანი: „გველის პერანგი“, „ჩაკლული სული“ და „მცველნი გრალისა“. მისივე თქმით, ეს ტრილოგია მეოცე საუკუნის ქართული ხალხის ეპოსია, მეოცე საუკუნის ქართული სულის ისტორიაა.

მართლაც, „ჩაკლული სული“ უკეთ რომ გავიგოთ, „გველის პერანგთან“ და განსაკუთრებით „მცველნი გრალისა“-სთან ერთიანობაში უნდა განვიხილოთ. „გველის პერანგის“ მხატვრულ სამყაროში ზინაგანი ტანჯვის გზით მოპოვებულ პარმონიას შემდგომ არღვევს უნეში გარეგანი ძალა. ბატონდება დისპარმონია, თამაზ ენგური, მხახიერებელი თვისი ერის ნამდვილი რაობისა, გამოშხატველი მისი საუკეთესო სულიერ-ზნეობრივი თვისებებისა, მარტოდ-მარტო პირისპირ უდვას უნეშ ძალას. მან დიდი სიმტიკიც, დიდი ნებისყოფა უნდა გამოიჩინოს, რათა არ გატყდეს, საკუთარი მეობა, საკუთარი მრწამსი არ დაეკარგოს. „მცველნი გრალისა“-ში უკვე რაინდთა მშობა უპირისპირდება ერის მტრულ ძალებს. ბრძოლა წმინდა გრაალის თასის დასაცავად ბრძოლაა ერის თავისუფლებისა და თვითმყოფობისათვის, მაღალი იდეალისათვის. ეთილშობილება, ამაღლებული სული, რაინდული შემართება, ტრაგიკული თავგანწირვა — დიდი ეპოპის გმირებად წარმოგვიტვებს გრაალის მცველთ, გრ



რობაქიძისთვის გამარჯვების ცნება უწინარესად გულიხსმობს სულიერ-ზნეობრივ ძლევას და არა ბიჭით, ზოცვა-ულტით მიღწეულ მოჩვენებით უპირატესობას. ნამდვილი უპირატესობა მისთვის მუშტის ძალაზე კი არა, სულიერ ზეობაზეა დამყარებული. მართლაცადა, რომელ ცეზარს მოუხერხებია ისტორიად დაემორჩილებინა მახვილითა და მხედართმთავრული ნიჭით ათასი ტომის ხალხი, როგორც ეს შეძლო სრულიად უიარაღო მესიამ, რომელმაც მილიონობით ადამიანის გული და გონება დაიპყრო? გრ. რობაქიძის იარაღი მხატვრული სიტყვაა, ამ იარაღით ახდენს იგი ზეგავლენას, მშვენიერების სამყაროს აწიარებს და აღამაღლებს ადამიანს, როგორც ეს შეეფერება ერის სულიერ მოძღვარსა და წინამძღოლს.

რადღენ დიდი ეროვნულ-კულტურული საქმეა გრიგოლ რობაქიძის უმიდრეხი და უნიკალური ლირებულების მქონე ლიტერატურული მემკვიდრეობის თავმოყრა. შესწავლა და დროულად გამოცემა, იმ პირობით კი, რომ უფაქიზეის დამოკიდებულება გამოვიჩინოთ ტექსტებისადმი და დავიცვათ მათი აბსოლუტური სიწესტე! ჩვენი უურნალ-გაზეთები მეტ-ნაკლებ აქტიურობას იჩენენ მწერლის ნაწერთა ბეჭდვის მხრივ. სასურველია, ეს პროცესი უფრო ინტენსიური იყოს, უფრო ხშირად ვთავაზობდეთ მკითხველს ახალ-ახალ პუბლიკაციას. არადა, რამდენი რამ არის გამოსაქვეყნებელი (უფრო სწორად, ხელახლა გამოსაშუერებელი)... აქამდე არ დაგვიბეჭდვს რატომღაც, ვთქვათ, ნოველა „იამა შამილ“ („კავკასიური ნოველები“ ციკლიდან), ეს ნამდვილი მარგალიტი, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე თვით ჰემინგუეის „მოზუცი და ზღვა“. ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ „გველის პერანგი“ და დაუმთავრებელი რომანი „ფალესტრა“ გამოვეცით ცალკე წიგნად. რუსეთში კი უკვე შეუდგნენ მერევეკოვსკის, ნაბოკოვის, სოლჟენიცინის თხზულებათა კრებულების მომზადებასა და გამოცემას. უნდა ითარგმნოს გერმანულ ენაზე დაწერილი თხზულებანი მწერლისა. უწინარეს ყოვლისა — წიგნი-ესსე „დემონი და მითოსი“, რომელიც 1938 წელს გამოვიდა გერმანიაში (იგი ენება დრად მნიშვნელოვან საკითხს — სიცოცხლის აზრის განსხვავებულ გაგებას დასავლეთსა და აღმოსავლეთში). მოსაძიებელია ქართული დედნები გერმანიაში დასტამებული რომანებისა, აგრეთვე — გერმანული ხელნაწერები, ასევე — პირადი მიწერ-მოწერა. მოსაპოვებელია არქივი.

დგება მწერლის ნაწარმოებთა რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დიდმნიშვნელოვანი საკითხი (ცხადია, სხვა ენებზე თარგმნა-გამოცემისაც) რა სახით წარუდგება გრ. რო-

ბაქიძე მკითხველს კავშირის ქვეყნებში მის ფარგლებს გარეთაც, ვაშს განსაუფრებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. აუცილებელია, რუსული თარგმანი მაქსიმალურად მაღალმხატვრულ დონეზე იყოს შესრულებული. ჩვენი რუსულენოვანი პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი რამდენიმე ნაწყვეტი მწერლის ქმნილებებიდან, მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, „მცველი გარლისა“-ს ნაწყვეტთა თარგმანი, აშკარად არადაამაყყოფილებელია. თარგმნო გრ. რობაქიძე, სიტყვის ახლადშობილი და სტილის ვირტუოზი, ჩვეულებრივი საგაზეთო ენითა და სტილით, გაუმართლებელია. თუ მწერალთა კავშირი თავის ხელში არ აიღებს გრ. რობაქიძის ნაწარმოებთა რუსული თარგმანების წინასწარი საკარო განხილვისა და შეფასების საქმეს, თუ ამ ამბავს წაუყრუებს საზოგადოება, კვლავინდებურად ეროვნული კულტურის საწიანო ქართულ ბედოვლათობას გამოვიჩინებ და ის იქნება.

ძალზე დასანანია, რომ გრ. რობაქიძის ტექსტთა ბეჭდვისას, აგრეთვე მისდამი მიძღვნილ წერილებში ციტატების მოხმობისას, ხშირად გვეპარება ხოლმე კორექტურული შეცდომები. თითქმის ვერც ერთ პუბლიკაციას ვერ აღვებ ხელში ისე, რომ ამის გამო გუნება არ წავიხდეს. ზიანდება უფაქიზეის ენობრივი ქსოვილი, სიტყვას ელფერი ებღაღება, აზრი მახინჯდება: სტილი, რომელსაც ნაქედის სიმტკიცე და ნაქსოვის სილბო აქვს, ირუკება და უგემურდება. მიუტყვებელ დაუდევრობას ვიჩინო. მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა მოეთხოვება ზოგ იმათგანსაც, ვინც პუბლიკაციას ამზადებს. შეუწყნარებელია, როცა თავის ნებაზე კვეცენ და ცვლიან ტექსტს. აღსაკვეთია უუმცირესი თვითნებობაც კი ამ მხრივ. სასურველია მივუთითებდეთ, ვინ მოამზადა ესა თუ ის პუბლიკაცია.

ისევე როგორც ქართული ლირიკული ლექსი ვერ განვითარდებოდა ბუნებრივად და ნორმალურად გლაკტიონ ტაბიძის პოეზიის გარეშე, ჩვენი ეროვნული მწერლობაც, მხატვრული და ფილოსოფიურ-ესთეტიკური აზროვნება, ვერ განვითარდება შეუფერებლად, თუ შემოქმედებითად არ აითვისებს, შემოქმედებითად არ „გადალბავს“ დიდი მწერლის ფასდაუდებელ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ყოველი ჰემარიტი მწერალი თავისი ხალხის მოცქეულია, თავისი ხალხის სულის გამოამაშუერებელი. ქართული სული მუცე საუენეში, პირველ ყოვლისა, გრიგოლ რობაქიძემ აამაშურა. როგორია „ქართული ფენომენი“, ამას კულტურული კაცობრიობა უკვლავ უკეთ მისი შემოქმედების წყალობით გაიგებს.

რეკვიემი მიხეილ ჯავახიშვილისა

2.

მაშ ასე, დამთავრდა ბავშვობისა და სიკვამლე-
ის თუმცა მკვეთრად შთაბეჭედავი მოუსვენრო-
ბითა და ნაადრევი ფიქრებით აღსავსე, მაგრამ
მაინც უმაწვილური სილალე-ანცობისა და უდა-
რდელობის წლები. მათ თან წარიტანეს უმაწ-
ვილური ოცნებანი ბედნიერ, მიშწიდეველ მომ-
ავალზე. ახლა საჭირო იყო უოველივე ამის უშო-
წყალოდ უარისმყოფელი სინამდვილის არა მ-
ართო შეცნობა და აღიარება, არამედ მის პი-
რისპირ დგომაც, რეალური კონტრაპოზიციის მი-
გნება და მისი იდეის აქტიური რეალიზება.

პირადი უბედურება ძნელად დასაძლევია იყო.
მაგრამ იგი საერთო-ეროვნულ, საერთო-სოცია-
ლურ ტიპიულებთან შედარებით მაინც მსუბუ-
ქი ჩანდა.

ამ ორ ტრაგედიაზე დაფიქრებას თუ მათი
დაძლევის გზების ძიებას ახალგაზრდა კაცის
ხასიათი (შევითაც მოგახსენებდით) გარკვეულ
კალაპოტში უნდა ჩაესვა და მისი თანდათ-
ნობითი წრთობა უნდა უზრუნველყო. ეს მით
უფრო წარმატებით განხორციელდებოდა, რაც
უფრო მალე დაიძლეოდა პირადი უბედურებით
მიუენებული სტრესი; რაც უფრო მალე დაიშო-
რჩილებდა მას საერთო-სახალხო, საერთო-ერო-
ვნული საზრუნავი.

ამიტომ არც ის არის შემთხვევითი, რომ მშო-
ბლების ექრას საბოლოოდ განზორბებული მიხე-
ილ ჯავახიშვილი იმ ატმოსფეროში აღმოჩნდე-
ბა, სადაც უველზე რელიეფურია ცხოვრების
ეროვნული და სოციალური ასპექტები. ალავ-
რდის ქარხანაში ერთი წლით მუშაობა სრული-
ად საკმარისი ჩანს ეროვნული და სოციალური
კონცეფციების გამოსამუშავებლად: უოველ შე-
მთხვევაში, აქ იგი დაინახავს უფრო ცხადად
საკუთარ მიზანს — რას და როგორ ემსახუროს
(ეს არის ირგვლივ ვითარების გაცნობიერები-


სა და პირადი მიზნის მიგნების ბედნიერი შე-
თანწყობა, რომელმაც შემდგომ უნდა შევს მისი
სისხლმფონავი ეროვნული კრილოებით გაწამე-
ბული მხატვრული სამყარო).

ამასთან, ალავრდის პერიოდის შთაბეჭდილ-
ხანი, გარკვეულწილად, უნდა მივიჩნიოთ თუმ-
ცა ძლიერ, მაგრამ მაინც ლოკალური ძალის
ბიძგად. უკვე დიდი ომისათვის ამოძრავებულ
ახალგაზრდა კაცს განსაკუთრებით ესაჭიროე-
ბოდა საკუთარი ეროვნული გარემო, ფართო
საზოგადოებრივი ფონი, ვრცელი თვალსაწიერი,
რათა მოვლენებისა და ფაქტების მისეულ ან-
ლიზს კეშმარტი ხარისხი შეეძინა.

ასეთ გარემოდ გამოდგა მისთვის თბილისი,
სადაც 1908 წელს ჩამოვიდა.

ისტორიულად ცნობილია საქართველოს დე-
დაქალაქის ამ პერიოდის რთული სოციალურ-
პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ეროვნული
ცხოვრება; მოსხალდენი ქართველის წინ შე-
შფოთებული დიდი ადმინისტრაციული ცენტრი
მეფის ჩინოვნიკთა ისედაც აუტანელი რეჟიმის
გამძვინვარებით; სხვადასხვა პოლიტიკური პარ-
ტიების ურთიერთბრძოლა; ილია ჭავჭავაძის ნა-
ციონალური კონცეფციის უკუგდების პათოსი,
რამაც სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პრა-
ქტიკაში ანტიეროვნული მხუთრის თვისება მი-
იღო; ნაციონალურად კრელი მოსახლეობის
ზრდა — ეს ეროვნული გადაგვარების რეალურ-
ი საფრთხე; დაჩქარებული ურბანიზაციის
პროცესი, რასაც გარკვეული დონის დინამიკი შე-
ქონდა უოფა-ჩვევაში და ხედურულთა რიგებს
ზრდიდა; მიგრაციული ელემენტის მოძალდება,
ასე საგრძნობლად რომ ცვლის ქალაქის მოსახ-
ლეობის სოციალურ სტრუქტურას.

მიხეილი პოლიტიკურ-პარტიულ ბრძოლაშიც
ეგშება (ფედერალისტთა პარტიაში შესვლა), მხა-
ტვრულ შემოქმედებაშიც დგამს პირველ ნაბი-
ჯებს („ჩანჩურა“, „მეჩქმე გაბო“ და სხვ.), პუ-
ბლიცისტურ-ურსნალისტურ მოღვაწეობასაც იწ-
ყებს („ივერიაში“ მუშაობა, „გლეხის“ რედაქ-



ტორობა, წერილები „ცნობის ფურცელსა“ და სხვა გაზეთებში). ერთი სიტუციით, გზა არჩეულია, თუმცა მოღვაწეობის სფერო ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დაზუსტებული (ესეც ძიების პროცესია, იმდროინდელი მოღვაწისათვის საერთოდ ნიშნული. ეს ძიება საკმაო ხანს გასტანს, რადგან დროით ნაკარნახევია: ბევრი პრობლემა ითრევს თავის ორბიტაში იმდროინდელ მოღვაწეს — ბევრ რამეს უნდა მოხმარდეს ქართველი მოღვაწის ნიჭი და ენერჯია, რადგან საქართველო ისტორიული არჩევანის ახალ გზაჭვადინზე დგას).

1910-იანი წლებიდან მიხეილ ქავახიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში თავისებური პერიოდი იწყება. პირველი მოთხრობების შემდეგ იგი მთლიანად გადაერთვება პუბლიცისტურ ფუნქციებზე, ნებით თუ უნებლიეთ საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებს მიივლის, მრავალი ახალი შთაბეჭდილებით აღივსება, პოლიტიკური ბრძოლაწრთობის მრავალ გაკვეთილს მიიღებს, საკმაოდ „დაბრტყნდება“ (დროის მთელი ეს მონაკვეთი თამამად შეიძლება ჩავთვალოთ საბოლოოდ გამოვლენილ ახალ უნარმწინად პიროვნების ორგანიზების აუცილებელ მოსამზადებელ პერიოდად, რომელსაც მეოცე საუკუნის ქავახიშვილისეული კლასიკა უნდა ეწვა).

მაინც, რა იქცევს უფრადღებას აღნიშნული პერიოდის მისი ცხოვრებიდან?

ეს არის მუდმივ მოძრაობაში უოცნა, მოუხვეწრობა, ერთი მდგომარეობიდან მეორეში უწყარი გადასვლები, ერთი სასაკეთოდ თავისი ცოდნისა და უნარის უფრო ეფექტიანი გამოყენებისაკენ სწრაფვა, რაც შეიძლება მეტი ცხოვრებისეული მასალის ათვისება-გაცნობიერება. ბუნებრივია, ქავახიშვილის ტიპის ადამიანს უოველივე ეს ისეთ წყურვილად ექცევა, რომელსაც, როგორცაა უნდა ეცადოს, ვერ მოიქლავს.

ეს უნდა, პლუს პოლიტიკური დევნა, პირველად 1907 წელს გაიყვანს მას ევროპაში (გვიან გაიხსენებს: უფრანალი „გლები“ მეცხრე ნომერზე დამიკეტეს. სასამართლოში მიმცეს, გავიქციე“). სამშობლოში მალულად დაბრუნებული, შემდეგ იგი კვლავ ორჯერ მოინახულებს ევროპას — იტალიას, ავსტრიას, გერმანიას, საფრანგეთს... 1910 წელს სხვისი გვართი, ისევ სამშობლოში ბრუნდება, მაგრამ უიღბლოდ — მალე ციხესა და გადასახლებაში აღმოჩნდება. ამის შემდეგაც ერთმანეთს ენაცვლება თვალთვალში, დევნა, ციხე, გადასახლება. (ისევ მოგონება: „1918 წელს დავბრუნდი სამშობლოში. 1915 წელს გაზეთ „საქართველოს“ ერთი რედაქტორთაგანი ვიყავი. წლის ბოლოს ისევ გადამასახლეს. წავიდი ფრანგულ წითელ ჯარში, მოვიარე სპარსეთი, ოსმალეთის ზოგიერთი ვილაეთი“).

ახე დაატარებს მას სამშობლოსათვის წამე-

ბულის ბედი ერთი უცხო, ქვეყნიდან მეორე უცხო ქვეყანაში, ერთი უცხო საზოგადოებაში მეორე უცხო მხარეში. და, სადაც უნდა იყოს, სამშობლოზე ფიჭრი და წუბილი, საქართველოს შველისა და ხსნის იმედი მისი მუდმივი, განუშორებელი თანამდევია.


მხოლოდ 1917 წლის თებერვალი მიანიჭებს მხოლოდ მიწაზე მუარად დადგომის ნაწარმ ბედნიერებას. რევოლუციამ არა მარტო სამშობლო დაუბრუნა, არამედ მისი ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის რეალობად ქცევის შესაძლებლობაც მისცა.

როგორი იყო ეს მრწამსი, გავკრით უკვე აღვნიშნე ზემოთ. მაგრამ აქ კიდევ ერთხელ უნდა გაიხაზოს იგი ახლა უკვე მისი ყველაზე მეტად შცოდნე ბიოგრაფის სიტყვებით: „თავისი მრწამსი მან სამწერლო და საზოგადო ასპარეზე გამოსვლისთანავე შეკეთრად განსაზღვრა... იმთავითვე, მისთვის ყველაზე მთავარი და მტკივნეული ეროვნული საკითხი იყო. ეროვნული საკითხის მიმართ მას გამძაფრებული პატრიოტული გრძობა ჰქონდა. ტკივილამდე მისული... სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად, ილიასა და აკაკის გვერდით მოუხდა მოღვაწეობა და ძირითადად ამან განაპირობა მისი პიროვნების ჩამოუკლებელი, გადამწყვეტი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში... თავისი მძაფრი პუბლიცისტური ხასიათის წერილებით და გამოსვლებით ის ქადაგებდა ადამიანის პიროვნების უფლებების თავისუფლებას, ხალხის თავისუფლებას. ჩაგვრის მოსპობას და ეროვნულ დამოუკიდებლობას“ (ქეთევან ქავახიშვილი).

ეს ხაზგასმა მით უფრო არის საჭირო, რადგან უფრო გვიან, ახალ პოლიტიკურ ვითარებაში, სწორედ მისი ეს მრწამსი გახდება მისივე წამების უპირველესი საბაზი. იგი მას ჯერ პარტიტულ კომიტეტთან, ხოლო უფრო გვიან — წამების ჯვართან მიიყვანს. ამ მხრივ იგი გაიზიარებს თავისი დიდი წინაპრის ზვედრს: მანაც მრწამსის ფასად საკუთარი სისხლი უნდა გაიღოს (მაგრამ ბულის უკუღმართობა ის არის, რომ მრწამსს სიცოცხლე უნდა შესწიროს სხვა ვითარებაში, როდესაც თითქოსდა ამისი საჭიროება, მოჩვენებითაც მაინც, მოხსნილი უნდა იყოს).

მაგრამ მე მოვლენებს გავუსწარი: საჭიროა, კვლავ უკან დავბრუნდეთ და თანმიმდევრულობით მივყვეთ პატრიოტისა და მხატვრის რთულ გზას. ტრაგიკულ აღსასრულზე საუბარი ჯერ კიდევ წინაა.

ჩვენ უკვე ვიცით, 1908 წელს მიხეილ ქავახიშვილი გაზეთ „გლებს“ აარსებს. ამ დროს იგი საუკვეთითად მოწონებული მოთხრობების ავტორია, ეს მოთხრობები, როგორც იტყვიან ხოლმე, ერთი ამოსუნთქვით დაიწერა. მაგალითად, „ჩანჩურა“ ერთ ღამეში შეუთხზავს (ენერჯის ზღვრული მოზილიწება, მისი ისეთი



ინტენსიურობით ხარჯვა, რომ იფიქრებ. ამ კაცის ძალა საცაა სულ მთლიანად დაიშრება. საერთოდ დამახინჯებული იყო მიხილ ქავახი-შვილისათვის: გაიხსნეთ 1924 წელი. როცა იგი მიჩაიო წერს და აქვეყნებს „ქაუოს ხიზნებს“, „კვაპო კვაპანტირებს“, „შურის მადიებელს“ ან მომდევნო წელი. დაწერის თარიღად რომ უზის „ლაშხალი და უაშას“, „ოქროს კბილს“, „მართალ აბდულას“, „უბაჩას“, „ორ განაჩენს“, „მუსუსს“).

ერთი შეხედვით, ბელეტრისტიკა უკვე დალოცვილია (ლაპარაკია პირველი მოთხრობების გამოქვეყნებაზე). მაგრამ ამ გზას აღარ ატყუებ. ეურნალისტკაცს იჩივებს და საკუთარ გაზეთებსაც აარსებს. საკმაოდ მოგვიანებით, ამ ნაბიჯს რომ გაიხსენებს, დანაებით იტყვის, „პირდაპირ დავიღუპე... ეურნალისტად გადავიქცევი და სრული ოცი წელი დავაგრეო“.

მისი ხინანული გამოთქმულია ჩვენს დროში (1924 წ.). რომელმაც მიხილის პოლიტიკურ მისწრაფებებს ფრთები შეაკვეთა და მათი კრახის ილუზია შექმნა. იხე ე დროის ის მონაკვეთი არც „დაკარგულ“ დროდ შეიძლება ჩაითვალოს (აქი მოგახსენეთ, ეს იყო მისი, როგორც პირველების, მოღვაწის საბოლოო ფორმირებისა და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვების ხანა, ვინ იცის, ამ გამოცდილებიან და მწარე გაცვეთილების გარეშე იქნებოდა კი ესოდენ ეროვნული, მუშაინსტრუქტიული და მაღალი რანგის მთელი მისი მხატვრული მემკვიდრეობა?!

ჩემი აზრით, ობიექტური შედეგის თვალსაზრისით, ამ ეგრეთწოდებულ „ინტერვალს“ დასაწერი არაფერი სჭირს. ამდენად, სრულიად უსაფუძვლო ჩანს ლიტერატურის ზოგიერთი ისტორიკოსისა თუ მწერლის ბიოგრაფიის ერთგვარი წუბილი მვირფავი დროის, პირდაპირ რომ ვთქვათ, ფუჭად გაფლანგვის თაობაზე (ეს სხვათა შორის!).

ახლა შევხედოთ ამ პერიოდს მისი საპირობებისა თუ აუცილებლობის პოზიციიდან.

პირველი პუბლიცისტური წერილები დამუხტულია სოციალურ-ეროვნული თვალთახედვით: რაზეც უნდა წერდეს იგი, სამიწენზე მუდამ თავისი ერის, თავისი კულტურისა და ყოფის, ქართული ცხოვრების მტკივნეული პრობლემები უზის... მაგალითად, 1909 წელს თეატრის საკითხზე „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი დიდი სტატია პრობლემათა ვრცელ წრეს — თვით სოციალურსაც — სწორედ ეროვნული კრილით განიხილავს; მისი ამოსავალი დებულება ეროვნულ დრამატურგიაზე დაშვადრებული, ქეშმარტად ეროვნული, ქართული თეატრის აუცილებლობაა, რაც ნაკარნახევია კონკრეტული დროის ვითარებით და ეროვნული სულიერი ცხოვრების მოთხოვნილებებით. აქ აქცენტია ყველგან

— თვით ხელოვნების საერთო არსზე, მხატვრობის დროსაც კი — ეროვნულ ფენომენზე კეთდება (ამიტომაც იყო მისი რეზონანსი ესოდენ ფართო და მის გამო ატენილი პოლემიკა კარგა ხანს არ დაშობალა!).

ეროვნული პრობლემების ესოდენ დაფინებით წინ წამოწევა მიხილ ქავახიშვილს ქართული ყოფის, ცხოვრების, სოციალური თუ ნაციონალური მდგომარეობისადმი მისმა პრინციპულმა დამოკიდებულებამ, ამ ცხოვრების გააქტიურებისა და მისი ეროვნული კლასიკური წარმართვის აუცილებლობამ უკარნახა. აქი შეუფოთებული წერდა იგი 1906 წელს „ივერიაში“: „ჩვენებურ გაზეთებში ცხრა მეთედი ადგილი უჭირავს პოლიტიკას და რუსეთის ქრონიკას, ხოლო ერთი მეთედი ჩვენებურ პარტიულ კინკლაობას... საქართველოს ცხოვრების ქრონიკა ნაკლებად აშუქებს საკითხებს, რომლებიც აწუხებს ქართველ ხალხს... თავისი შინაური საქმეების დაფიქრებით ჩვენ, ქართველებმა, წინ გავუსწარით რუსეთის უკეთეს კუთხებს“.

ეს ხარვეზი მან თვითონვე უნდა შეავსოს. ამ მიწნით იწერება: „ავტონომია და მოქობრივი თვითმმართველობა“ თუ „გონიერი ზომიერება“, „სად არის სამართალი“ თუ „მითიტარიაში“, „რეაქციის საქმეში სამირონი“ თუ „ერთი ათას-თაგანი“, „რას იტყვიან ჩვენი დეპუტატები“ თუ „პატარა კაცის პატარა ფიქრები“...

მთელი ეს პერიოდი 1906-08 წლების პუბლიცისტური მოღვაწეობისა თავისებური შემზადებაც იყო იმ აქტისა, რომ მიხილ ქავახიშვილს საკუთარი გაზეთი შეექმნა. ამ გაზეთის ინტერესები ფრთად ფართო იყო, პოზიცია — საკმაოდ რადიკალური, რევოლუციური. ამდენად, გაზეთი არ იყო მხოლოდ საგლეზო ორგანო, მასში დაბეჭდილი წერილები ეროვნული და სოციალური პრობლემების საკმაოდ ვრცელ წრეს მოიცავს. გაზეთის ეროვნული პოზიცია ემკვიდრება ანტიცარიზტულ, ანტიკოლონიურ განწყობილებებს. ამ განწყობილებებს ავრცელებს და ნერგავს იგი თავისი ინიციატივით გამოცემულ, ფართო წრეებისათვის განკუთვნილ პოპულარულ ბროშურებში. ასეთი იყო მისი არჩევანი მოღვაწის გზისა ამ პერიოდში.

შე კვლავ ვუბრუნდები სამოღვაწეო გზის არჩევის საკითხს. იხმის კითხვა — შეეძლო თუ არა მიხილ ქავახიშვილს სხვა არჩევანის გაკეთება და რით არის ეს არჩევანი ყოველ სხვა შეხადლო არჩევანზე ნაკლებლოვანი? თუ პირიქით?

ჩასაკვირველია, ცხოვრებაში ყველაფერი ხდებოდა. მაგრამ მიხილ ქავახიშვილის მიერ არჩეული გზა დროით ნაკარნახევი და ხანხებით ბუნებრივი გზაა, იგი ამ მხრივ არც გამოწკობის ყოფილა. ჩვენი უახლესი ისტორიიდან ვიცით, ასეთი ნაბიჯი ტიპური იყო აღმოსმინების მადიებელი საქართველოს ინტელიგენციისთვის.

ქვეყნის
საქართველოს
საგარეო ურთიერთ-
ობის მინისტრის
ადგილსამსახურის
სამსახურის უფროსი

რამდენმა მისმა საუკეთესო წარმომადგენელმა ირჩია უშიშარი მებრძოლის გზა, გადაიტანა კატორღის უმძიმესი წლები თუ ციმბირის შორეულ მიწაში ჩასტოვა ძვლები; რამდენს მძაფრ პოლემიკასა თუ პრაქტიკულ მოღვაწეობაში დაუცავს თავისი ხალხის ინტერესები და აუმაღლებია მისი თვითშეგნება, შორეულ ქვეყნებში გადახვეწილს გადაუტანია მატერიალური გაჭირვებაც და დაუძლევია ნოსტალგიის მწველი განცდები...!

ყოველივე ეს ეპოქის ნიშნად და მოქმედების ნორმად აძევს მეოცე საუკუნის დამდევის ყველა ჭეშმარიტ ქართველ პატრიოტს და მომართავს მის შეამბოხე სულს. ეს ის სიტუაციაა; ასეთი ზემოქმედი ძალით ისტორიაში იშვიათად რომ იფეთქებს ხოლმე, მაგრამ, თუ იფეთქა, უღმობილად იმორჩილებს ადამიანთა ფიქრსა და გონებას. ასეთ ვითარებაში პროგრესული ადამიანის მიხედვით განიკურდება არც ხერხდება, რადგან თვით ფიქრიც კი განზე განდგომისა ერისადმი ღალატის ტოლფასია.

მიხეილ ჭავჭავაძის ამ აფეთქების მხოლოდ მოწმე ვერ იქნებოდა; როგორც მონაწილეს, მას თავისი წილი უნდა გაეღო. ასეთი იყო:

მისი მოწოდება;

მის მიერ გაგებული პატრიოტიზმი,

თავისი მიწის შვილის უპირველესი მოვალეობა.

(ამიტომ უნდა მივიჩნიოთ რაღაც მომენტური სუბიექტური განწყობილების დროს უფრო ხუმრობით წამოსროლილი ფრაზა „დეარგულ დროზე“!).

დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენაში მისმა ნაწილობრივ დემოკრატიულმა საზოგადოებრივმა წყობამ, რომლის დამყარებისათვის ბრძოლაში მისიელ ჭავჭავაძის ბევრი სასტიკი გამოცდა მოუწყო და მრავალი განსაცდელი გადაიტანა, გააორმაგა მისი ისედაც მოუსვენარი ენერჯია. მაგრამ მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მისი თანამშრომლობა გამორიცხებული იყო. იგი ადრიატიკურ დაუპირისპირდა იმასთნ იდებდა და პრაქტიკას, ვინც „ჭეშმარიტ რუსებს, დაშნაკებს და საქართველოს ყველა მოსიხსნელ მტერს ნატვრა შეუხრატლეს — დიდი ილია ჭავჭავაძე მოგვიკლეს“ (ეს შედარებით გვიან ნათქვამი სიტყვები მის ადრინდელ რწმუნას გამომხატავენ!).

მართალია, 1917 წლის თებერვალი მისი დიდი ხნის წალკლითავეტი ოცნების აღსრულებაა, მაგრამ იგი საშუალოდ აღსრულების გზად სოციალ-დემოკრატიულ სოციალიზმის ვერ მიიჩნევს. აქი ადრე დაწერილ თავის ბიოგრაფიაში საკუთარ ამოცანად „საქართველოს თავისუფლების, ავტონომიის“ მიღწევისათვის ბრძოლას რომ აღიარებს, ის რომ სწამს — „ერის ძალა და მომავალი მის ქონებრივ-გონებრივ სიმდიდრეშია“ — და იმას რომ ამბობს, 1914-1917 წლებში

უკიდურესი რადიკალი ვიყავი. იქვე დასმენს: „სოციალიზმის მოძღვრება ვერ შეიძლება...“ სოციალიზმის იდეამ განუზომელი ზარალი მოუტანა საქართველოს და შემდეგშიც უკიდურეს სიფათს უქადის...“.

ამიტომ შედის იგი 1917 წელს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში. თუმცა მისი ამ პერიოდის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა არც თუ იმდენად შესატყვისია საკუთარი პოტენციისა (საერთოდ, ამ პერიოდის მის მოღვაწეობაზე ცოტა ჩამ თუ ვიცით. პირადი მოგონების თანახმად, 1918 წელს რწმუნებულად ყოფილა ბათუმში, ხოლო 1918-21 წლებში სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთ-ერთი დამმარსებელი).

ჩვეული მოუსვენრობა მას ახალი ძალით უბრუნდება დემოკრატიული საქართველოს დაშობის შემდეგ. ქართველი ნაციონალ-დემოკრატიზმის სხვა პარტიებთან ერთად, აქტიურ მუშაობას აჩაღებენ საქართველოს „კვლავ განთავისუფლებისათვის“. ხშირი ფარული შეხვედრები, პარტიტული კომიტეტის შექმნა და მასში მიხეილის შესვლა... ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაცია და მიხეილის დამატირება წინ უსწრებს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებასა და მის დამარცხებას. მიხეილის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის ბედი, ძირითადად, ამ აჯანყებამდე გადაწყდება. 1928 წელს დაპატიმრებულს, მას, სხვა თანამოაზრეებთან ერთად, სიკვდილით დასჯის განაჩენს გამოუტანენ. მაგრამ მოხდება სასწაული — ამჯერად სერგო ორჯონიკიძე შეისმენს პავლე ინგოროვას, ნიკოლოზ ყიფშიძისა და სხვათა თხოვნას და, მათი თავდებობით, მიხეილ ჭავჭავაძის სიკვდილით დასასჯელთა საკინიდან გამოსასვლელ კარს გაუღებს.

ამ დღიდან იწყება ახალი ეტაპი მიხეილ ჭავჭავაძის ცხოვრებაში. მისმა უჭიმო ენერჯიამ კვლავ მოაგნო თითქმის მივიწყებულ სათავეს და ისეთი ძალით დადინდა, რომლის შესავსი იშვიათად თუ მოხერხდება ქართული ლიტერატურის ისტორიას. თუმცა საქართველოს დემოკრატიული დამოუკიდებლობით აღძრული ტრივილით მას არასოდეს განუღებია (აი, რა ჩანაწერს აკეთებს იგი უბის წიგნაკში 1924 წელს: „ღმერთს და სატანას ჩემი გული აურჩევით ბრძოლის ვეღად. ნეტა გაათავებდნენ ოდესმე თავნიან საზინულ ჭიდილს ნეტა ერთმა სძლიოს მეორეს, მე მოვისვენებ. მაგრამ გონი ეს ბლლარძუნი და გაშმაგებული ჩხუბი მაშინაც არ გათავდება, როცა სული ამომძვრება. ჭრჭრბობით კი იბრძვიან დიდიადე ხალამომდე და სადამოდან დიდიმდე, ძილშიც კი აღარ მასვენებენ“. ეს განცდა უთუოდ შობილია აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ!).

ეროვნული გმრობა რომ უოველთვის საოცარი კონცენტრაციის ძალით ვლინდებოდა მის



ფიქრებსა და საქმეებში, ამის ნათელი დასტურია ისიცაა, რომ თავისი ასულისათვის მიცემული ათი მცნებიდან პირველი ოთხი საქართველოსათვის თავდადების ქადაგებაა. აი ისინი:

1. შენ ხარ მარადიული განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი;

2. შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ბოლო მისი შეგობარი შენი პირადი შეგობარია;

3. უველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეს კი, შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი;

4. მიეცი მას წრფელი გულით უოველივე და ისიც მოგცემს უოველივეს... (ქალბატონი ქეთევანი უოველთვის სიამაყის გრძნობით იგონებდა მამის ათ მცნებას და სტოიკოსის ერთგულებით იცავდა მათ).

ამ შეგონებებს კომენტარი არ სჭირდება. ერთი რამ კი მაინც უნდა ვთქვა: მიხეილმა ჩინებულად უწუოდა, რომ ქრისტიანული რელიგიის მიერ წინგობრივ კოდექსად შერაცხილმა ათმა მცნებამ იხსნა ადამიანი ბოროტებისა, შურისა, ცდუნებისა, გაუკუდმართებისა და გადაჭრებისაგან, ადამიანის ხელში იგი იყო სიკეთის, სიუვარულისა და სათნობის წამალიც, გადარჩენისა და მუდმივი არსებობის გარანტიც. ამიტომაც თავისი მრწამსი ადამიანობისა მასაც ათი მცნების სახით უნდა ჩამოეკალიბებინა და, მათ შორის, პირველი ოთხი ადგილი საკუთარი ხალხისა და სამშობლოსადმი სამსახურს მისცა.

3.

ბელეტრისტიკაში განახლებული მუშაობის ათიოდე წელი მიხეილ ჭავჭავაძისათვის საკმარისი აღმოჩნდა ოცდაათამდე რომანის, მოთხრობის, ნოველის შექმნისათვის. ზოგიერთი მათგანი უკვე დავასახელე ზემოთ, როცა იშვიათ შემოქმედებით ინტენსივობაზე ვლაპარაკობდი, ახლა სხვებიც უნდა მოვიხსენიო: „ტუის კაცი“, „თეთრი საუელი“, „ხუთის ამბავი“, „მდედარი“, „პაპა დიმი“, „მესამე“, „პატარა დედაკაცი“, „ორი შვილი“, „კურდღელი“, „იგივი შადურის“, „დამპატიუე“, „მიწის უფილი“, „ქურდი“, „ფინჯანი“, „არსენა მარადელი“, „ცხრა ქალწული“, „ქალის ტვირთი“, „დამდნარი ჭაჭვი“... (ძირითადად, ეს არის შედევრთა კრება, ურომლისოდაც ძნელი წარმოსადგენია მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა).

შთამბეჭდავია არა?!

თუმცა, ჭერ ხადა ვართ! უველაფერი ეს ზონ ფიციკურად სუსტ მხრებს აკიდებული უმძიმესი ტვირთის ნახევარი თუა. მას ბევრი სხვა რამეც

უნდა მივუმატოთ, რომ ჩვენი საუკუნის უველაფერი ეროვნული მხატვრისა და მოღვაწის კოლოსალურ თვითდატვირთვაზე ერთგვარი რეალური წარმოდგენა შეევიქმნათ.


ამ ბევრ „სხვათაგან“ მხოლოდ რამდენიმე პანაიტ ისტრატის გახმაურებული რომანის „ნარენძულას“ (ქართულად „კოჩორა თურინჯი, 1929 წ.) და ვი დე მოპასანის პოპულარული რომანის „ლაშაში შეგობრის“ თარგმნა (1981 წ.); აგრეთვე ინტენსიური პუბლიცისტური მოღვაწეობა, გაუნდებელი ინტერესი საქართველოს წარსულისადმი, კლასიკური მემკვიდრეობისადმი, მშობლიური ენისა და კულტურისადმი, საკუთარი შემოქმედებითი ლაბორატორიის საილუმოთა გახსნისადმი, ნარკვევის ეანრისადმი...

ამ ინტერესმა შვა ეროვნული პუბლიცისტიკისა თუ ფილოლოგიური კვლევის, პოლემიკისა და ნარკვევის ეანრთა თანამედროვე კლასიკური ნიმუშები: „ლიტერატურული განცხადება“ (1926 წ.), „მასალები ლექციისათვის“ (1927 წ.), „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ (1928 წ.), „როგორ ვმუშაობ“ (1988 წ.), „ჩემი პასუხი“ (1988 წ.), ორი თვე ჩრდილოეთში“ (1984 წ.), „ხალხურობა და სისხავე“ (1986 წ.), „წიწამურა“ (1986 წ.)...

და მაინც, ამითაც უველაფერი როდია ნათქვამი. არის კიდევ ერთი ფაქტორი, უოვლად აუტანელს რომ ხდის მიხეილ ჭავჭავაძის ისედაც უმძიმეს ხვედრსა და ბედს. ესაა მწერლის პირადი სიმშვიდის პერმანენტულად მომშლელი დევნა, მისი პიროვნული ღირსებისა და ესთეტიკური მრწამსის წასაღეკად მიშვებული ცილისწამებისა თუ დამცირების შეუკავებელი ნიაღვარი (ხელოვანი კმნის შედევრს და უკვე მის დაცვაზე; მის გამო „თავის მართლებაზე“ უნდა ფიქრობდეს, სანამ იგი შვის სინათლეზე გამოუტანია), მას თავს ესხმთან, ვთქვათ, „იგივი შადურისა“ თუ „დამპატიეისათვის“ არა მხოლოდ „კლასობრივად ფხიზელი“ ადამიანები, არამედ „ჩაყოს ხიწნებისა“ და „კვაპისათვისა“ შეუტევენ „ეროვნულად შეურაცხუფილი“, არაშორსმეკრეტელი „პატრიოტები“, და ასე, ორ ცეცხლს შუა მოხვედრილმა, ორმაგი წამებით უნდა შვას თავისი უოველი ახალი შედევრი!

დამეთანხმებით, უოველივე ეს არც თუ ისე ცოტა დროს, ნერვების წუვეტას და მოუსვენარი დღეებისა თუ დღეების სამსხვერპლოზე მიტანას ითხოვს (ჩვენს საუკუნეში ბევრს უწიდავს წამების ჭვარი, მაგრამ არა მგონია ვინმესათვის იგი ესოდენ მძიმე უოფილიყო). ვინ უწუის, შესაძლოა, ამასაც მქონდეს თავისი კანონზომიერება: რაც უფრო მძიმე და გარდუვალია წამების პროცესი, მით უფრო მაღალი და ფასეულია მასში შობილი ღირებულება).

მიხეილ ჭავჭავაძის მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან მისი ბოლო პერიოდის



ერთ მნიშვნელოვან პუბლიცისტურ-მემუარისტულ ჩანახატზე („ილია ჭავჭავაძე“, 1987 წ.) აუცილებლად უნდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

რატომ მაინცა და მაინც მასზე?

ვფიქრობ, უფლება მაქვს, ასეთი კითხვა დავსვა: ხომ არ მოძრაობს მისი შექმნის ფაქტში იმანენტური ელემენტი? დრომ გაუცნობიერებლად ხომ არ მიახებდა ჩვენი დროის გამოჩენილი მხატვარი (და გულთმისანი) თავისი დიდი წინაპრისაკენ სწორედ იმ მომენტში, როცა წინამურის ტრაგედიიდან ოცდაათი წლის შემდეგ თოფში მისთვისაც გამოჩნული ტყვია ჩაიღო?

ახე თუ ისე, ნარკვევი-მოგონება „ილია ჭავჭავაძე“ ახალი სიტყვაა ილიამცოდნეობაში. ამ ორიგინალური სტილის ნაშრომით მიხვილ ქავახიშვილმა ეროვნული მემუარისტის ფრიად ლარომ ხალაროს ფასდაუღები წვლილი შესძინა. ეს არის მოგონება სიკაბუკის წლებში დიდ პიროვნებასთან შეხვედრებზე. ილიას პორტრეტის მოხატვის გახედული ცდაც, ეპოქის ტრაგედიის მომმართველ ძალებზე მინიშნებაც (ერთი წლით ადრე „წინამურას“ შეხსენება), ილიას მისიისა და გავლენის ფაქტის ახლებური ამოხსნაც, ეროვნულ-სოციალური საერთო ფონის მონახაზიც და აღსარებაც.

ილია თოთხმეტი წლის კაბუკი მოსწავლის შემეცნებაში „უველაზე დიდ მწერლად. მოღვაწედ და ქართველთა მეურვედ“ ცნაურდება. ასეთ აღაშიანს უნდა შეხვდეს კაბუკი ილიაობა-დღეს. ბავშვური გულწრფელობისა და უშუალობის ელფერი დაპყრავს ამ შეხვედრით მიღებულ შთაბეჭდილებას. და თუმცა მოგონება ამ შეხვედრიდან ოთხი ათეული წლის შემდეგ დაიწერება, მაგრამ პირველი შთაბეჭდილებანი მასში თავიანთი უმანკო სახით ცოცხლდებიან:

„ილიას გაცეხული შეცვეროდი. მეგონა ახოვანი, ჩოხოსანი ან ქულაქოსანი იქნებოდა. ნამდვილად კი ჩვენს წინაშე შუა ტანის 57 წლის კაცი იღგა — სრული, პირხავსე, კალარაშერეული“ (ამ სტატიკურ ხატს მოპყვება მოძრაობაში, სხვებზე წრუფნავსა და იმედიანობაში აღქმული საოცნებო პიროვნების ხილვა): წინამდგრიანთკარის სკოლის მოსწავლეებს „ილია გვიღიმოდა, გვეაღურსებოდა, ვინაობას გვეკითხებოდა. მერე წინ გაგვიღღვა და ხალხით ხავსე ეწოში შეგვიყვანა. ჩვენი გამოკითხვა დიდხანს გაგრძელდა. რიგი ჩემზე მოვიდა. იმ სკოლაში ბორჩალოელი ჩემს მეტი ჭერ არავინ ყოფილიყო. ეს ილიას გაუკვირდა და გაეზარდა“.

აქ მიხვილი გულახდლილად იხსენებს საკმაოდ საჩოთირო ამბავს. იგი ხომ რუსულ სკოლებში იზრდებოდა; სალიტერატურო ქართულს დაბეჭითებით ახლა სწავლობდა და წარმატებითაც, მაგრამ სრულყოფამდე ბევრი რამ აკლდა. ამ ნაკლს მის მიერ წაკითხული ბარათაშვილის

„მორბის არავკის“ პირველკვე-ტექნიკურ გამეღვანებებს, რომელთაც მიხვილი რუსულ სახვილებით უხვად ამარაგებს. ამით გამოწვეული სიცილი შეაცბუნებს და კითხვას გააწვეტიწენებს, ილია ტაქტს იხმარს: „თავზე ხელი გადამისვა და დამაწუნარაო“. — იგონებს მიხვილი.

ეს მომენტი უფრო იმით არის საინტერესო, რომ მასზე რალაც წინანწარმეტყველურიც ილაღდება: როცა ვილაც დამსწრე ნაცნობს „ენა უუვიღებს“. „მწერლობას ისე ბეჭითად სწავლობს და ისე სწერს თხზულებებს რომ მწერალი უნდა გამოვიდესო“. ილია იმედიანად ეტყვის: „აბა შენ იცი, ვინძლო არ შეგვარცხვიწოვო“ (ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს სიტყვები ჩაქდნენ მომაქადობებელ ძალად ემაწვილის შემეცნებაში).

კიდევ რამდენიმე მონახაზი ამ მოგონებისა, ძლიერი შთამბეჭდაობით რომ ხატავენ ილიას პორტრეტს:

გარემოცვა, რომელშიც ილია ტრიალებს: პეტრე უშიკაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, გიგა უიფშიძე, დავით მიქელაძე, ლაისტი, უორდროკები, კიტა აბაშიძე, რაფიელ ერისთავი, გრიგოლ ვოლსკი, გრიგოლ აბაშიძე, ნატო გაბუნია, ვაღერიან გუნია... ამ ხალხს საგურამოში რომ ხედავდა, „ჩემი თავი ოლიმპზე მეგონა, მას მხოლოდ აკაცი და ვაჟა აკლდაო, — ამბობს მიხვილი.

ილია და ხალხი: ილიამ ილიაობა სახალხო შეიმაღ აქცია. „გლებები გუნდ-გუნდად მოდიან. მებაღურებს არავკიდან ორაგული მოაქვთ. მებაღეთა ჭგუფმა ნობათად ილიას უამრავი ხილი მოართვა. მონადირეს მშველი ჩამოუტანია. ორმა მეცხვარემ ბატონები მორეკა... სუფრის ბოლოს მოსწავლენი დავსხედით. იმავე მწკრივში და ქვემოთ შორს, საბძალამდის ლურჯ სუფრებს გლებობა შემოუსხდა“; მხოლოდ ხალხურ სიმღერებს („მრავალთამიერი“, „გუშინ შვიდნი გურჯანელი“, „ბერი კაცი ვარ...“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „თამარის დროშა გაშალეს“, „აღსდექ, გმირთ-გმირო“) ისმენს გატაცებით.

უბრალოებაც, სინადავე: „ილიას უბრალო სახლმა გამაოცა, ბორჩალოელი დიდი თავადების სახლები მქონდა ნახული და შეგონა, ილიას სახლი ეველას უნდა სჯობდეს-მეთქი“.

ილია — ორატორი, ილია — პოლემისტი: „ილია ჭავჭავაძის საჯარო ლაპარაკი რამდენიმეჯერ მოვისმინე. საოცარი ორატორი იყო. არ აღელდებოდა, კილოს არ აუწევდა. თავი რკინის ძველსავით ეჭირა, მოპირდაპირს იშვიოთად შეაწვეტიწინებდა, და თუ რამდენიმე სიტყვას მიაწოდებდა, მისი რეპლიკა მუდამ მომაკვდინებელი იყო. ხმა ძლიერი მქონდა, ლოგის ძალა — უნაკლო. დაუღობარო, რკინისებური. ლაპარაკის მანერა — ბოლომდის დინჯი, მაგრამ შეუბრალებელი. მკვეთრი განმგმირავი. ზოგჯერ ზომიერად ირონიული, მაგრამ მუდამ წრდი.

ლობანი, დარბაზის მფლობელი, მოპირდაპირის სუსტ
აღაგებს ფოლადის მარწუხივით დასწვდებოდა
და ჰგლეჯდა, ათრევდა, მანამდის სთელავდა,
სანამ საბოლოოდ არ მოხსობოდა... არა თუ ილი-
ას ტოლი, მისი ტიპის ორატორიულ აღარ მომის-
მენია“ (თხზ., ტ. 8, გვ. 384).

რატომ შეტერდით ასე დაწვრილებით ილიას
გამრ დაწერილ ამ მოგონებაზე? აი რატომ:

ა) როგორც უკვე ვთქვით, უთუოდ საყურად-
ღებოა, რომ პირველი ბიძგი მომავალი ხატოვან-
ის აზროვნებისა უმეფილი ქავახიშვილის გონ-
მა აღრეული შეხვედრის დროს მიიღო და ილი-
ას იმედინი, გამაზნვებელი სიტუა, „ვიწმლო
არ შეგვარცხვინოვო“, იყო ის თესლი, უფრო
გვიან რომ უნდა გაღვიბულიყო და აღმო-
ცენებულყო:

ბ) მიხეილის შემოქმედებისა და მოღვაწეო-
ბის მთავარი მოტივები, მისი კრედი და ინტე-
რესები ორგანულად თანამთხვევა თავისი წი-
ნაპრის ისტორიულ მისიასა და საწადელს; იგი-
ვე ეროვნული თუ სოციალური ხატოვანი, თი-
თქმის იგივე მრწამსი და დამოკიდებულება სა-
ზოგადოებრივ-პოლიტიკური მართვის იდეისა-
დმი უკვე ამ პერიოდში, როცა ეს იდეა მატე-
რიალურ ძალად იქცა:

გ) ცხოვრების რთული გზის ფინალი, ბედის-
წერა საოცრად თანამთხვევა მისი წინაპრის
ბედს; ერთის ტრაგედიის არსი და ფაქტი ძლი-
ერ ჰგავს მეორისას.

ამდენად, ილიასთან შეხვედრები, მის იდეა-
სა და საქმესთან მიხლოება, ერის ისტორიაში
მისი ადგილის ადრინდელი თუ გვიანდელი გა-
ზარება და უსოველივე ამის შედეგად გამოშუ-
შავებული ერისათვის თავდადების რწმენა მი-
ხეილ ქავახიშვილის ბიოგრაფიის ორგანულ ნა-
წილად იქცა (მას ბედმა ისიც უყარნახა, რომ
სიკვდილამდე ხუთ ცოცხა ხნით ადრე საამისო
აღსარება თვითონვე წარმოეთქვა).

მას შემდეგ, რაც 1928 წლის სიკვდილით და-
სჯის პირველ ვანაჩენს თავი დააღწია, იგი თი-
თქმის უარს ამბობს უშუალო პოლიტიკურ მო-
ღვაწეობაზე, სულ ერთიანად ლიტერატურულ
ცხოვრებაზე გადაიბრუნება. მაგრამ ფაქტობრივად,
ეს არც პოლიტიკისაგან განდგომაა და, მით
უმეტეს, არც საკუთარი ეროვნული მრწამსის
უკუგდება. მიხეილი ამ მრწამსის ბოლომდე
ერთგული რჩება, ხოლო მისი გამოხატვის ფორ-
მას იცვლის.

ნახეთ, როგორი მძაფრი ეროვნული განცდით
აწერება ქართლისა და ქართველი ინტელიგენ-
ციის ტრაგედია — „ჩაუბს ხიზნები“, რომე-
ლიც, უპირველესად, გაფრთხილების ზარია,
მშობელ მიწას მოუარებო, სხვა ძალამ არ წაგ-
გლიჯოთო;

რა დიდი ტკივილი იმალება ნიჭიერი, მაგრამ
საკუთარი ერის სამხატვრო დიდ გზას აცდენილი

კაცის სარკაზმის პლანით გამუდვებულ და
დასავალში („კვაჭი კვაპანტირაძე“).

რა ძალის ტრაგიკული განცდა ძევს დროის
მიერ გასრეხილი ეროვნული ინდივიდუალის —
გივი შადურის ისტორიაში, ვისაც თანაგრძნო-
ბა უფრო სჭირდება, ვიდრე გაიცივება ან დაცი-
ვება;

როგორ შემადრწუნებლად ცნაურდება მშობ-
ლიურ მიწასა და ენას მოწყვეტის ამბავი ანდ-
რო კაიშაურის ბედისწერაში, ვინც უცხო მხა-
რეში უნდა ჩაფლას ხოლოს იმ „მიწის უცი-
ლისაგან“ აქტივობებული გული და სამშობლო-
საკენ მაცქერალი ცრემლიანი თვალები;


რამდენად მოუთოკავად უნავს დროის მი-
ერ წაშლილი ეროვნული სიწმინდის, სიმართ-
ლის, სულიერი წონანწორებისა და უშუალოდ
აღდგენისაკენ სწრაფვა „თეთრი საყულო“ გმი-
რის მაგალითში, ვინც ქართული მთის უბიწო
სამყაროსთან ზიარებით ცდილობს ურბანისა-
ციის ქუჩუყისაგან საკუთარი სულიისა და საზო-
გადოების განწმენდას;

როგორი რეალისტური აღლოთი ცნაურდება
ქართველი ინტელიგენციის რიგების კლასობრი-
ვი წინააღმდეგობებითა და ბრძოლით განპირო-
ბებული, უკუაპსპექტივით გამუდვებული რღვევა
(„ქალის ტვირთი“);

ან კიდევ — როგორი დაუნდობლობით იგმო-
ბა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერ-
ობების მწვავე შედეგი — ქართველი კაცის
პარაზიტად გადაზრდის თუ მისი დამცველი ძა-
ლის ფორმირების რეალია („დამპატივე“);

დაბოლოს, როგორ მიხარუნებს მას ისტო-
რიისაკენ, სოციალურთან ერთად, სწორედ ერო-
ვნული პრობლემა. არსენას თემა მისთვის იმ
სამიწნედ ჩანს, რომელზეც ძევს ერისა და პი-
როვნების თავისუფლების, საკუთარ მხრებს
„დაუუდგნებელი“ სამშობლოს აღდგენის იდეა-
ლი; რომლისადმი დაღატიც უკიდურესი ბორო-
ტებაა. აქეთკენ სწრაფვა „არსენა მარაბდელ-
ში“ საყოველთაო-სახალხო იდეალად არის და-
სახული. არსენას ფრიალ პოპულარულ ამბავს
რომანში ეს ფუნქცია ენიჭება და იგი ეროვნ-
ულობის ფეროშენის განზოგადების საოცარ
ძალას იძენს (ამ თვალსაზრისით, არც ის ფა-
ქტი უნდა ჩავთვალოთ შემთხვევითად, რომ მწე-
რალს განზარებული ქონია რომანების დაწერა
საქართველოში 1882 წლის შეთქმულებაზე და
შოთა რუსთაველზე. ეს ხომ იგივე პრობლე-
მებია, რომლებიც პოლიტიკური მოღვაწის —
მიხეილ ქავახიშვილის აზრსა და ენერჯიას უს-
ველთვის მომართავდნენ).

„არსენა მარაბდელზე“ მუშაობა მიხეილ ქა-
ვახიშვილმა რომ ჭერ კიდევ ოციან წლებში
დაიწყო, ეს ფაქტიც შეტყუველებს მხატვრის
ორთოდოქსულ ერთგულებას ერისადმი, მის
ტკივილთა მწვევ განცდას. როცა ამ განცდის
აშკარა გამუდვებებს დაუნდობელი თავდასხმით



პასუხობენ, ბუნებრივია. შემოქმედმა მათი გა-
ააშკარავების ერთგვარად შეფარული საშუალება
მოიხვედროს, ხათქმელი უფრო „მიხალღები“
ფორმით გამოხატოს (უქვევოდ ვთვლი, 20-იან-
80-იან წლებში მიხეილ ჭავჭავიძე, კონსტან-
ტინე გამსახურდია თუ შალვა დადიანი ისტო-
რიულ ანალებს რომ მიუბრუნდებიან ან გრი-
გოლ რომაქიძე მითს რომ მოიმარჯვებს, უფრო
ამ გარემოებით არის ნაქარნახევო ვიდრე ახა-
ლ თემატიკის თუ ირიგინალური სტილის ძიე-
ბით!).

აღბათ, ეს ოციანი წლების ოფიციალურ
კრიტიკასაც კარგად ესმოდა. ამიტომ მიხეილის
თითქმის ყოველი ახალი ნაწარმოების გამოჩე-
ნას იგი შერისხვით ხვდებოდა; მიაჩნდა, რომ
მის მიღმა შენიღბული „კლასობრივი მტერი“
იღბა.

ამ აკვიატებულმა აწრმა და ეგრეთწოდებულ-
მა პროლეტარულმა მხატვრულმა იდეოლოგიამ
შეამაჯად ნიადაგი მოვლენათა შემდგომი გან-
ვითარებისათვის. და თუმცა დადგა ისეთი მო-
მენტიც, როცა მიხეილ ჭავჭავიძე საბჭოთა მწე-
რლდაც აღიარეს, არსებითი ხახელმწიფო
ჭილდოც მისცეს, სხვა ენებზეც თარგმნეს, მწე-
რალთა კავშირის ბელმდვანელობაშიც აიჩიეს
და მაღალი ტრიბუნაც დაუთმეს, მაგრამ „ფხი-
ზელ“ თვალს იგი მარტო არასოდეს მიუტოვე-
ბია: მის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალდებდა, ზო-
მად და წონიდა.

ოციანი წლების დასაწყისს მიხეილ ჭავჭავი-
ძეი ქართული მწერლობის აკადემიური დაქ-
ვუფების წევრია. ცნობილია, რომ ეს კორპო-
რაცია აერთიანებდა მხატვრული ინტელიგენ-
ციის იმ ნაწილს, ვისაც განსხვავებული შეხე-
დულება ჰქონდა ახალ ვითარებაში მოხვედრი-
ლი ქართველი ერის ზედზე, მის ინტერესებსა
და მომავალზე. ეს აცოციათა უკვე ცნობილი
მწერლების საკმაოდ დიდ ნაწილს აერთიანებ-
და. მიხეილის გარდა აქ იყვნენ: კონსტანტინე
გამსახურდია, პავლე ინგოროვა, ვახტანგ კო-
ტეტიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე
აბაშელი, ლეო ქიაჩელი, კოტე მავაშვილი, გე-
რონტი ქიქოძე, შალვა დადიანი... ეს ის სახე-
ლებია, უახლოესი ქართული ლიტერატურის ის-
ტორიაში კლასიკოსებად რომ დამკვიდრდნენ.
გახედული იყო „აკადემიკოსთა“ სიტუვაც (დეკ-
ლარაცია) და საქმეც (შემოქმედება). თამამად
შეიძლება ითქვას, მშირად თავდავიწყებამდე მი-
სული ეროვნული განცდილია და წუხილით ესო-
დნენ დამუხტული არც ერთი სხვა კორპორაცია
თუ ჭგუფი უახლესი ქართული ლიტერატურის
ისტორიამ არ იცის. გალაკტიონ ტაბიძისა და
ნიკო ლორთქიფანიძის გვერდით, უპირველესად,
სწორედ „აკადემიკოსთა“ კორპორაცია ეწევა
ეროვნულ უღელს კულტურასა და ხელოვნება-
ში (და თუ რომელიმე „მმადნაფიცო“ ხანდახან
თავაზიანად მოუხდის ხოლმე ქუდს და მოკრ-

ძალეზულ საღამს ეტუვის ახალ დროს, კუჩუ-
ურად აღიქვამს მის გავლენას, ამ შეხონტეც-
შიც ეროვნული განცდა მიინც პირველ კლანტე
რჩება!).

მუდმივი თავდასხმები ბზარად დაედება „აკ-
დემიკოსთა“ კავშირს და იგი თანდათან იშლე-
ბა, მიხეილმა 1928-28 წლებში ხელახლა უნდა
შექრას იგი, ახლა უკვე „არიფიონად“ მონათ-
ლული, და შეავსოს ახალი სახელებითაც „გა-
ნთესილთა“ ნაცვლად (ადვილად არ ეთმობა არ-
ჩეული გზა).

ახალ კორპორაციაში, მიხეილთან ერთად, შე-
დიან: გალაკტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, გე-
რონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, კონს-
ტანტინე კვიციანიძე, ილო მოსაშვილი, დავით
სულიაშვილი, შალვა დადიანი, კონსტანტინე
კაპანელი, ვასო გორგაძე, ლევან მეტრეველი,
იოსებ ტატიშვილი, პეტრე ქავთარაძე.

ეს არის ერთი რწმენის, იდეალისა და მიზნის
თანამოსაგრეთა წრე, რომელსაც სწამს, რომ
„ქირსა და ვარამში ამოგანგლული ქართული
სული არიფიონის ისტორიულ წამოწყებაში გა-
ნასახიერებს იმ შინაგან სიმართლეს, რომლის-
თვის იბრძოდა თავგანწირვით ჩვენი წარსული
და რომელსაც ელის ჩვენი მომავალი“ (ამას
იტყვის კონსტანტინე კაპანელი) და რომელ-
საც სჭერა, მისი საქმენი ერის მარადიულობას
სიკეთედ წაადგება. ამიტომ „ისე ნუ წავალოთ
ამ ქვეყნიდან, რომ წარუშლელი კვალი არ და-
ვტოვოთ — ერთგულებით, პატიოსნებით, სიუ-
ვარულით, იმედით, რწმენით, შრომითა და შე-
უპოვრობით“ (ეს კი, როგორც ჭ. ჭავჭავიძე-
ლი გვიდასტურებს, მიხეილის სიტყვებია).

მაგრამ ვერც „არიფიონი“ გაუძლებს „რე-
ვოლუციური სიფიზლის“ სუსსს; და თუმცა
თავისი აღმანახის მხოლოდ ერთი ნომრის გა-
მოცემას მოასწრებს, მაგრამ ქართული ლიტე-
რატურის ისტორიაში მიინც დარჩება ერთერთ
მნიშვნელოვან საფეხურად. ჩვენს მხატვრულ
სამყაროს იგი შემატებს ლეო ქიაჩელის „თა-
ვადის ქალ მაიას“, მიხეილ ჭავჭავიძელის „დამ-
პატიეს“, კონსტანტინე კაპანელის „ვეფხის-
ტყაოსნის ვახტანგისეულ რედაქციას“, სანდრო
შანშიაშვილის „ორ ბაღადას“, შალვა დადიანის
„ათეს“...

მიხეილის ნაწარმოებებისა და პიროვნების გა-
ნქიქება ჩვეულებრივ გრძელდება „არიფიონის“
დაშლის შემდეგაც (ამ საშინელი ანათემის ერ-
თი უშუალო მოწმე მეც ვახლავართ და აქამდე
ვერ ამიხსნია, როგორი შინაგანი ძალის პატრო-
ნი უნდა ყოფილიყო კაცი, რომ არა მარტო გა-
ედლო მუდმივი უმოწყალო გვემისათვის, არა-
მედ აგრეთვე შეენარჩუნებინა როგორც მასწე
რეაგირების, ასევე ინტენსიური შემოქმედები-
თი მოუზაობის უნარი).

ოცდაათიანი წლების დასაწყისში მას თით-
ქის რდნავი შეება მიეცა: პარტიის კურსი კლა-



სიყუარული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებების შეცვლაზე, რაპის ვულგაროზებისა და აღვირახსნილობის გადაჭრით დაგობა, ლიტერატურულ დაწვრთვებათა ნაკვალად ერთიანი საშუალო კავშირის შექმნა უკვე ხახვად ნორმალური მუშაობის შესაძლებლობას.

ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა მოიპოვა მწერალთა პირველმა საკავშირო ურთიერთობებმა, რომლის ერთერთი აქტიური მონაწილე მიხეილ ქავთაძის შვილიც იყო. მან იცოდა, რომ ამ ურთიერთობის მთელი სიხრულით უნდა წარმოეჩინა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა და ეს სიამავეს გრძობით აღავსებდა. ურთიერთობის პრინციპში მიხეილიც აირჩიეს და, ბედნიერი დამთხვევის წყალობით, სწორედ მას ზედაწილად იმ ხნობის თავმჯდომარეობა, რომელზეც მაქაია ტროსტოვიცის ვრცელი მოხსენება მოხსნიეს. ეს იყო ურთიერთობის მესამე დღე, ხოლო მეოთხე დღეს მიხეილს ორატორის ტრინუდაც დაეთმო. ურთიერთობამ მიხეილი მწერალთა კავშირის გამგებობაშიც და, მ. ტროსტოვიცისთან ერთად, გამგებობის პრინციპშიც აირჩია. ურთიერთობის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის მაქსიმ გორკისათვის მიხეილი ქართველ მწერალთაგან თითქმის უკველაზე მეტად ნაცნობი იყო („არსენა მარაბდელი“ რუსულად ზომ გორკის რედაქციით გამოვიდა).

ურთიერთობა, მისი კურსი, საერთო აღმოსვლური დიდი იმედების მოცემით ჩანდა. მიხეილმა თითქმის ახალი სამუარო აღმოაჩინა, რომელიც თავის წიაღში სრულყოფილებიან წევრად იწვევდა. როგორც ქ. ქავთაძის შვილი იგონებს, მოსკოვიდან იგი „...შთაბეჭდილებებით დატვირთული და მომავლის იმედით აღსავსე დაბრუნდა. თითქმის ენერჯიკ მოემატა; აღფრთოვანებული იყო ურთიერთობის აღმოსვლური და ჩამოსვლითა და კიდევ დიდხანს იმ აღმოსვლურში ტრიალებდა. უკველ წვრილმანს იხსენებდა. გვიანობობდა რამდენი ახალი შეგობარი მწერალი გაჩინდა, რამდენი რა ახალი ნახა და მოისმინა“. ამას ის გამაზნეებელი ცნობაც მიემატა, რომ სტალინს მის „არსენა მარაბდელზე“ ეთქვა — „ეს ჩემი სამაგიდო წიგნია. ისწავლონ ქართველმა მწერლებმა. როგორ უნდა წერა, მიხეილ ქავთაძის შვილი ილია ქავთაძის ქართული სწერის, იმის გზის აკრძალვებს და მომწონს“.

ასეთი განწყობილებით შეუდგა მიხეილი ახალ რომან „ქალის ტვირთზე“ მუშაობას. იგი წერს ჩვეული ინტენსივობითა და მალე ამთავრებს თავის ამ ფართო კლანის უკანასკნელ ნაწარმოებს. მართალია, იგი ეძლევა მანძობელ რეკლამურ წარხულს, მაგრამ მისი მთავარი სათქმელი ისევ და ისევ ერთგული პრობლემაა, ამოძრავებელი ერის სწრაფვა ერთგული და სპეციალური თავისუფლებისაკენ: ამ თემისადმი დამოკიდებულებაში ვლინდება ერთგული საზოგადოებრივი ძალების დაპირისპირება.

„დათობის“ პერიოდში მიხეილს უკვე უნდა ეხსენებოდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდში. ბევრი ირჩევს რესპუბლიკის პარლამენტში; ბევრი მოგზაურობს და ვულგაროზით ეცნობა რესპუბლიკას; აქტიურად მონაწილეობს სსრკ მწერალთა კავშირის მუშაობაში; ხელმძღვანელობს საქართველოს მწერალთა კავშირის პროზის სექციას; ხშირდება მისი საქმიანი უიტივები მოკავშირე რესპუბლიკებში; 1948 წელს მოსკოვში ჩასული ქართული დელეგაციის ერთერთი თვალსაჩინო, აქტიური მონაწილეა (აქ მას შრომის წითელი დროშის ორდენით აჯილდოებენ); ხშირად ხვდება მკითხველებს, რომელთა რეაქტივაც მისი შემოქმედებისადმი კვლავ და კვლავ ამოწმებს თავისი კრდოს სისწორებს; კითხულობს ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწარმოებებს და საუბრადღებო მითითებებს აძლევს მათ...

ქართველ მწერლებთან ოცდაათიანი წლების მისი ურთიერთობიდან ცალკე უნდა გამოვყო დამოკიდებულება გრიგოლ რობაქიძის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი. (მართალია ისინი თვალსაჩინოდ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან შემოქმედებითი შეთოდით, სტილით, პრობლემატით. მატივის მანერით, მაგრამ უკველიც ეს ზღვს არ უშლიდა მათს მეგობრობასა და ურთიერთობისათვისცემას. რადგან ორვე გრძობდა, რომ ერთ ერთგულს საქმეს ემსახურებოდნენ). ის ფაქტი, რომ გრიგოლი თითქმის უკველ საღამოს მიხეილის სტუმარი იყო, რომ „ბეველის კერაზე“ ერთი პირველი ეგზემპლარი საჩუქრად „ქართული პროზის გამომცემლობაში“ (რობაქიძისეული ეპიოტოა) — მიხეილმა მიიღო. ამ მეგობრობისა და ერთგულების უტუარო დასტურია. ამასვე ნათელმყოფს გრიგოლ რობაქიძის გერმანიიდან მიხეილისადმი მოწერილი წერილებიც, რომლებიც სათუთ გრძობობთან ერთად ისეთ თხოვნა-დავლებებსაც შეიცავდნენ, მხოლოდ უახლოეს შემოგობარს რომ შეიძლება მიმართო. უკველა ბარათს თავში რომ უზის მიმართვა — „ძმაო მიხეილ“, ასევე მათი მეგობრობის სიწინდისა და ბულწრფედობის დასტურია (აღნიშნული ბარათები ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავენ, როგორც გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე, და საერთოდ, ქართულ ლიტერატურაზე, ასევე მიხეილის ნაწარმოებთა საზღვარგარეთულ რეზონანსზეც).

გრიგოლ რობაქიძის გერმანიაში დარჩენა იქ მეორედ გამგზავრების (1948 წ.) შემდეგ, მისი ოფიციალური განცხადება — სამშობლოდან წასვლის მიხეილი აღიარება (1948 წ.) მიხეილს განსაკუთრებით მტკივნეულად უნდა განეცადა. ამასთან, მიხეილ ქავთაძის შვილი იმასაც არგად გრძობდა, რომ იდეური ბრძოლა ახალ ძალას იკრებდა და რაპული კრიტიკის რეკლამებიც არც თუ იშვიათად შეახსენებდნენ ხოლმე თავს



(ეს „ქალის ტვირთის“ გამო მოწყობილმა დის-პუტმაც ნათქვამი).

ყოველივე ამის გაცნობიერება კვლავ მშფო-თვარებითა და მოუსვენრობით აღავსებდა მის სულს.

„მე, მწერალი დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ. ირგვლივ ვაება და კაეშანია. მეუბნებიან, გმი-რული რამ დასწერო, თუ სხვებთან ერთად ვი-გლოვე, თავში ჩამირაბუნებენ, თუ ავტლიკინ-დი — სირცხვილით დავიწვიბო... დღევანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და, რაცა სჯერა, ვერა სწერს. როცა სა-ტირალი აქვს, იკინის და სადაც ეცილება, სტი-რის. ამიტომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩა-ტე. მოპვლიჩეთ პირიდან ბოკლოში და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი და-დნება. და ისეთ ლოცვას იტყვის, რომ ღვთის-მშობელსაც გააცოცხლებს“.

შემიძლია დაბეჭდვით ვთქვა, მნიშვნელობა არა აქვს ზუსტად რომელ დროს გაჩნდა უბის წიგნაკში ეს ჩანაწერი. იგი მიხეილ ჭავჭავაძის ფიზიკური გონებისა და განსჯისათვის და-მანახიანებელია ოცი-ოცდაათიანი წლების მთელს პერიოდში, რომელიც მის ნებას მუდამ თავდა-ცვისა და გამძლეობის ინსტინქტს უმორჩილე-ბდა („როცა ქვის სეტყვა მოდის, თავს ნუ შე-უშვებ. სადმე მღვიმეში გამოდარებას მოუცა-დე და შემდეგ ისევ შენი გზით წადიო“, ამასაც იტყვის).

განახლებული მშფოთვარება უკიდურესად და-ძაბავს მის სულს. დგება მომენტი, როდესაც უნდა გათამაშდეს ადრე დაწყებული ტრაგიდი-ის ფინალი.

იგი ორგანული ნაწილია ოცდაჩვიდმეტის სი-სხლიანი დროისა. განუკითხავად მოქნეული ცე-ლი მასაც მოჰყვება ოჯახს, საყვარელ საქმეს, ხალხს და მის სახელს ქართული ლიტერატუ-რის ისტორიიდან დიდი ხნით ამოჰკეტოს.

მაინც, როგორ იყო გათამაშებული „მოლა-ლატისა“ და „მტრისადმი“ ნიღბის „ჩამოსხნის“ სენსაციური პროცესი?

პირველად მას „რეაქციონერ მწერლად“ გა-მოაცხადებენ; შემდეგ „ხალხის მტრებთან“ კო-ნტაქტს დასწამებენ, რასაც კონკრეტული მისა-მართი ეძლევა (მე ვესწრებოდი ეგრეთ წო-დებულ „აჭარის პროცესს“; სადაც ვეპილმა ლი-ლიძემ, თვითონ ბრალდებულმა, თანამწარხველ-თა შორის მიხეილიც დაასახელა); სოფელში მყოფი მშის დაპატიმრებით მიანაშენებენ, შენც ეს ბედი მოგელის; საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე, 1937 წელს, მის მიმართ ბორო-ტად განწყობილი ბერია მიხეილს ფრიად, „არა-სასურველ“ კონტექსტში მოიხსენიებს: „ფზი-ჭილ“ კოლექტისა მტეი რა უნდათ — თავიანთ კავშირში მგლებივით მიესვენან. მკაცრად დამ-კითხავენ და დაუნდობლად სჭიკნიან (შეიძ-

ლებოდა გვეთქვა, ისინიც ხომ განუკითხველ-მსხვერპლი იყვნენ, თავიანთ ბელადებს ადვი-ლად ენდობოდნენ და მათი ყოველი სიტყვა აწონილ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ. მაგრამ ის როგორღა ავხსნათ, რომ გადამეტებული მონ-დომებით, გაორკეცებული ენერჯით სცემდნენ თანამოკალმის და „შესაშური“ ძალით აქტივობ-დნენ — აქ ზომ ზშირად საკუთარი ინიციატი-ვისა და თავის გამოჩენის უინი თუ თავდაზ-ვევის მოპარბებული ინსტინქტიც ბობოქრობ-და).

მიხეილი თავს იმართლებდა. მაგრამ მისი ხმა არავის ესმოდა; ბრბოს გადაწვევითა რჩეულის სამხვევრპლოზე მიტანა და ამ სტიქიის შეჩერება უკვე შეუძლებელი ჩანდა. ამას სხვებზე უკეთ თვით მიხეილიც გრძნობდა (მან ხომ ჩინებუ-ლად უწყუდა თავისი უკუღმართი ბედის ამბა-ვი; ხიფათს ყოველთვის ელოდა და სჯეროდა ამჭერად იგი უკან აღარ დაიხვედა!). ამიტომ, ქრისტეს შეგონებათა ერთგულმა, თითქოს უკა-რნახა კიდევ მის „განმსჯელად“ მოსულთ „თქვენ ზვარაკი გინდათო“ (მწამს, ეს იმდენად საყვედურს არა ჰგავდა, რამდენადაც ჩაგონე-ბას).

მაგრამ ესეც ვიკითხოთ, შეიძლებოდა თუ არა, ჰქონოდა მას ამ მძიმე წუთებში ხსნის რაიმე იმედი? (რადციმედს ხომ ყოველი სასი-კვდილოდ განწირული ეჭიდება და რატომ არ უნდა ჰქონოდა იგი საზოგადოებაში თავისი ნიჭით, შემოქმედებითი წარჩინებით თუ საყო-ველთაო აღიარებით გამორჩეული მდგომარე-ობის ადამიანი?). მაგრამ, როგორც ჩანს, ამჭე-რად უღალატა მისმა ღრმა, მრავალმხრივმა ფსიქოლოგიურმა აღლომ; ვერ განსჯობდა ბე-რიას შურისძიების ძალა; ვერ გაითვალისწინა, რომ ეს უზომოდ პატივმოყვარე და სისხლიანი ბიოგრაფიის კაცი არც მის მიერ შეტეხის ეკ-ლეხიის დანგრევის განკარგულების წინააღმდეგ ხმის ამაღლებას, არც ენათმეცნიერთა კამათში უხეში აღმინისტრაციული ჩარევის მიხეილის მცდელობით გამოწვეულ კრახს და არც სხვა რამეში მის წინაშე ქედმოუხრელობას აპატიებ-და. როგორც ეტყობა, მან სტალინის მხრივ ში-სადმი კეთილგანწყობის (ფრიად დადებითი აზ-რი „არსენა მარბდელზე“). პირად საუბარში „ქალის ტვირთის“ იღვის მოწონება, მეტეხის ეკ-ლეხიის შენარჩუნებისა და ქართული ენის გა-მომიწერილ პირად წერილებში გამოთქმული მისეული პოზიციისადმი მხარდაჭერა) იმედი იქონია, ადგილობრივ ტირანს ზოგიერთივით კუ-დის ქიკინი არ დაუწყუ და დიდების აღვლე-ნისგანაც თავი შეიკავა.

ბერკამ სწორად გაიანგარიშა — მიხეილის ბიოგრაფიის კაცის ახალ „დაწაშულს“ ხალხი ადვილად დაიჭერებდა და ერის წინაშე მის და-მსახურებას იმდენად ანგარიშში აღარ ჩავდებ-და (თუმცა, ვინ რას ეკითხებოდა ხალხს, მაგ-



ჩამ ეს მომენტი მაინც ერთგვარად ანგარიშგა-
საწევრი იყო).

1887 წლის 14 აგვისტოს ქვიშბეთში დასას-
ვენებლად მყოფი მიხეილის დაპატიმრებას
მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა სავსე-
ბით „მომზადებული“ შეხვდა. სასწრაფოდ გა-
იშარათა პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც არა
მხოლოდ დაგმო მიხეილის „ქაშუშობა“,
„მტრობა“, „დივერსანტობა“ და ამისათვის მო-
იკეთა იგი. არამედ მისი უთუო ფიზიკური გა-
ნადგურებაც მოითხოვა (აინუშხაიკ კი არავინ
ჩააგდო, დამტყიდებოდა თუ არა უოველივე ეს
სავარაუდო კვლევებით).

ქეთევან ჯავახიშვილს თავის უკანასკნელ ნა-
შრომში მოაქვს ამონაწერი მწერალთა კავშირის
პრეზიდიუმის 1887 წლის 17 აგვისტოს სხდო-
მის ოქმიდან. ეს ისეთი შემადარწუნებელი დო-
კუმენტი, რომ მომავალში ბევრ თაობას იმის
მწარე გაკეთილად გამოადგება. თუ როგორი
არ უნდა იყოს მისი მორალი, მოქალაქეობრივი
წნეობა (სწორედ ამ რწმენით ეს ამონაწერი მეც
უნდა დავიმოწმო!):

„მოსმინეს — იფორმაცია გამომდევნებულ
ხალხის მტრის მიხედვით ჯავახიშვილის შესახებ
(აშხ. დ. დემეტრაძე). იგი აღნიშნავს, რომ მიხ.
ჯავახიშვილი ქართველი ხალხის მოღალატეთა
ბანდის, ქაშუშებისა და დივერსანტების ბროვის
აქტიური მონაწილე აღმოჩნდა. ეს ურუვეი ფა-
ქტებით იქნა დადასტურებული. მიხ. ჯავახიშვი-
ლის მთელი მოქალაქეობრივი, სამწერლო ბო-
გრადია მკაფიოდ ახასიათებს მას. რო-
გორც მუხანათურად შენიღბულ და უაღ-
რესი თვალთმაქცობით შეიარაღებულ კლასო-
ბრივ მტრის. სიტუციებით გამოვიდნენ მწერლები:
აშხ. აშხ. კ. კორსიკიანიძე, პ. საყვარელიძე,
ი. მოსაშვილი, კ. ბობოხიძე. ილიაპარაკეს ჯავა-
ხიშვილის მოღალატურ. გამცემლურ მუშაობა-
ზე. გარეწარ მიხედვით ჯავახიშვილს ხალხის მტრე-
ბი მ. ტოროშელიძე და სხვები მუდმივ მფარ-
ველობდნენ. ჯავახიშვილის ანგარება უველასათ-
ვის ცნობილი იყო. შენიღბულ ქაშუშებს და
ხალხის მტრებს ბოლომდე არ ჰყოფნიდათ
ქუა, დაფარათ თავისი ბნელი წარახვები —
ის იცავდა ფაშისტურ სისხლის თეროიას. წინა-
აღმდეგი იყო საბჭოთა მეურნეობებისა და დი-
დი ფაბრიკა-ქარხნების ორგანიზაციის. კულუა-
რბში იმეორებდა ანდრე თიდის ცილისწამებას
საბჭოთა ხალხზე. მიხედვით ჯავახიშვილის ლიტე-
რატურული ჩავარდნები შემთხვევითი ხასიათის
არ უოფილა. ეს იყო მისი მუშაობის სისტემა.
ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ქაშუში
და დივერსანტი, გარიცხულ უნდა იქნას მწერა-
ლთა კავშირის რიგებიდან.

დაადგინეს — მიხედვით ჯავახიშვილი, როგორც
ხალხის მტერი, ქაშუში და დივერსანტი გარი-
ცხულ იქნას მწერალთა კავშირიდან“ (ეს იმ-
როინდელი ტიპიური გადაწყვეტილებაა; და კრე-

ბის მონაწილენი რომ დაეინებოთ მუხილმწერ
„ბრალეულის“ ფიზიკურ განადგურებას. ესეც
ტიპიურია იმ დროისათვის).

ძნელია ამ ფაქტის ცივი გონებით განსჯა
კლასობრივი მტრობის რა ფანატურება გრძო-
ბამ უნდა გიკარანახოს ასეთი მსჯავრის გამოტა-
ნა შენივე მრევლის წევრისადმი? როგორ უნდა
დაიბზო უველა ადამიანური გრძობა ისე, რომ
ოდნავ მაინც არ გაკარას ეტყმა — განა ეს შეი-
ძლება სიმართლე იყოს?!

ეს ფაქტი ფრიად ნიშნულია იმ ტრაგიკული
დროისათვის, ჩემმა და ჩემზე უფროსმა თაობე-
ბმა რომ გამოიარეს. ნუ ვიტყვით, რომ მისე-
ული სისასტიკე ციდან ჩამოვარდა — ფაშის-
მის იდეოლოგიამ და პრაქტიკამ, ესპანეთისა და
ახისინიის კავებითებმა, სისტემა ქვეულმა
მებუთე კოლონიის რეალობამ, ორი ბანაკის
მტრულმა პირისპირ დგომამ ბევრად განაპირო-
ბეს რცდაჩვიდმეტის გაუგონარი სისასტიკე (ამ
ფაქტის ისტორია ვერასა წაუვა). მაგრამ უოვე-
ლივე ამანაც კი არ შეიძლება გაამართლოს გა-
ნუსაზღვრელი ტერორი შენივე პარტიის; ხალ-
ხის მიმართ და მილიონობით უდანაშაულოთა
განუკითხავი სისხლისნთხევა, რასაც თან ახლ-
და შურისგების, მანუღრობისა და გაუტანლო-
ბის, ანტიწნეობით ნაკარანახევი პირადულ დი-
ნტერესებების; უდანაშაულო ბავშვებისადმი გა-
უგონარი სისასტიკის გამოვლენის უწომო მას-
შტაბები.

არც ის მომბდარა შემთხვევით, რომ მწერალ-
თა კავშირის პრეზიდიუმის წებოთნახსენებმა
კრებამ უოველგვარი ეჭვის გარეშე მიიღო მი-
ხეილის მტრობის ამბავი; თუ დაპატიმრებულია
— მაშასადამე, უმეტოდ მტერია; მისეული აღი-
არება წინდაწინვე განადგებულია და განაჩე-
ნის ქერ კიდევ რეპრესიამდე გამოტანილი
(ესეც დროის ნორმა იყო და იგი გამორიცხავდა
ოდნავ დაუქვებასაც კი; დაუქვება თანაგრძო-
ბა-თანამონაწილეობად განიხილებოდა და ასევე
მკაცრად ისჯებოდა).

უველას კარგად გვახსოვს იმ დროს მიხეილის
— ამ ერთდროულად „თერმეტიკ სახელმწიფოს
აგენტის“ — „ჩვენება-აღიარება“, რომელიც
ბერიამ მწერალთა ჩაუფეს გააცნო. ამ დროს მას
თავისი მსხვერპლი უქვე მოსთობილი ჰყავდა
(ვარაუდობენ; რომ მიხეილ ჯავახიშვილს და-
პატიმრებიდან სულ რაღაც სამ დღეში ცემით
ამოხადეს სული), ამ „ჩვენებით“ მიხეილი
„აღიარებდა“, რომ უცხო დაწერვათა აგენტი
იყო და მათგან რეგულარულად ფულად განა-
მრგელოს იღებდა (ამბობენ, ბერიას თვალთმა-
ქტურად მწერლები „ნაშუსტეც შეგდო“. ეთ-
ქვა, „ისე რა გაგიჭირდათ. სახელმწიფოს და
ხალხს იუდას ფულზე უდიდო. ჩვენთან მოსუ-
ლიყავით, ჩვენ დაგებმარებოდით“!). ბერიას
ეს აქცია არა მხოლოდ მის მიერ ჩადენილი

ბოროტების გასამართლებლად. სხვების დახაშვ-
ნებლადაც კირდებოდა.

ახე დასრულდა გზა ადამიანის წამებისა.

და ახლა, როდესაც თვალს აკლებ ამ გზას, ანაალიზებ მწერლის ბიოგრაფიის უველა მნიშ-
ვნელოვან მომენტს. ლამისა ბედის ფატალური
გარდუვალობა იწამო (ამ ნაშრომის შესავალში
ვამბობდი ჩავახიზვილების ოჯახის რაღაც ფატა-
ლური ბურუსით მოცული უბედობის შესახებ,
რომელსაც ვერც პაპა ასცდა, ვერც დედა-მამა
თუ და-ძმა, ვერც მიხილმა გაარღვია ბედის-
წერის მოქაღებელი ბადე. ესეც განსაჩეთ —
მიხილის ქალიშვილს აქედან შორს. ლენინგ-
რადში ბოშა-მკობიანი სწორედ მაშის უბედუ-
რების წინ უწინასწარმეტყველებს, სულ მალე
დაობლდებიო. უველამ ვიცით, ცხოვრება რთუ-
ლი და წინააღმდეგობრივია: ხალხს ისიც უთ-
ქვამს, უბედურება მართო არ დადისო. მაგ-
რამ შეიძლება კი ერთი კერის პირას ამდენმა
უბედურებამ შემთხვევით თავი მოიყაროს, ამ-
დენი უცაბედი დათხვევა მოხდეს? ვინ იცის, იმ
ბევრ იდუმალებათა შორის, რომლებზეც შიხ-
ლოებითი წარმოდგენაც კი არ გავაჩნია, ეს
საიდუმლოც იყო ჩავლული!). ეს კია, მხო-
ლოდ ისკვდილისშემდგომი შეცდრებითი აღდგო-
მის აუცილებლობა ვერ დაიმორჩილა ბედის-
წერამ!

4.

დიდი მწერლების ცხოვრების ისტორიამ ბე-
ვრი უცნაურობანიც იცის. შემოქმედი ადამიან-
ი, რომლის ცნობიერებას, ფანტაზიას (ურრომლი-
სოდაც, ალბათ, არ არსებობს კეთილგანწყო-
ბა!), თუ მთლიანად არა, უშთაბრებად მიიწე
თხზვის პროცესი ნთქავს, ჩუთული სულიერი
მდგომარეობის ინდივიდუალიზაცია. გენიალობის ფე-
ნომენი მას ბზირად ამოგადებს ჩვეულებრივ
ადამიანზე ჩვენი წარმოდგენების კოდექსიდან
(ამიტომ იყო, რომ რუსოს „დიდ კობროდს“ უწო-
დებდნენ. გალაკტიონი გაიხსენეთ მისი „ახირე-
ბებით“, ჩვენ რომ აუხსნელ უცნაურობებად მი-
გვაჩნდა. ცნობილია დოსტოვესკის აუტანელი
ხასიათი ოჯახში ანდა მოიგონეთ ცოლის, შვე-
ლების და მახლობლებისათვის გაუგებარი „კ-
ვიატებიანი“ ტრადიციისა, რომელთაც იგი ოჯა-
ხიდან გააქციეს...)

მიხილ ჩავახიზვილი ამ თვალსაზრისითაც:
გამონაკლისია, მის მიერ ოჯახში დანერგული
ცხოვრების ნორმა უველასთვის არა თუ ახატა-
ნი, იდეალურიც იყო. მისი უურადლება არახო-
დეს — თვით მისთვის მძიმე პერიოდებშიც კი
— არ მოქმედებია მეუღლეს, შვილებს. მახლო-
ბლებსა და მეგობრებს. ბედმა შეახვედრა ნა-
ნატრი თანამეტყუდრე — ლუბა ჩაჭვადე. ვინც
განსაკუთრებული ერთგულებითა და რწმენით

ემსახურა თავის მეგობარს და მან არ წავიდა, სანამ სათესველნი [სხვები] არ მოესწრო.

როგორი ტანჯვა უნდა განეცადა და გადაე-
ტანა მას მიხილის უბედურების ეპოს. მაგრამ
არ გატყდა: მებდაკრული და უოველმზრივ შე-
ვიწროვებულ შვილებს საოცარი გამძლეობის
მაგალითი აჩვენა და მამობაც გაუწია. ცოლ
ქმრის ცხოვრებამ თანმობისა და ურთიერთგა-
ბების აღმოსფეროში განვლო. ოჯახის უღელს
ორივე თანაბრად ეწეოდა. რაც მათ უოველო-
ვის მძიმე ცხოვრებას უადვილებდა.

ოჯახში მეუბრება მაღალი წენი და წესრიგი.
ამას განსაკუთრებული სითბოთი და მადლიერე-
ბით, თანაც გასაგები სიამაყის გრძობით იგო-
ნებს ქალბატონი ქეთევან ჩავახიზვილი: „მიხე-
ილი მეუღლის მიმართ თბილი და გულისხმიე-
რი იყო. ის დიდ პატივსაც სცემდა მას და ანგა-
რიშს უწევდა. მისგან არ ახსოვდა უბეში ან
უდიერი სიტუაცია... მე ვიწარდებოდი ისეთ ოჯა-
ხში, სადაც პატიოსნებისა და წენობის მაგალ-
თები უხვად იყო, სადაც უფროს-უმცროსობა
ურთიერთის პატივისცემა და მორიდება სუფე-
ვდა. არსებობდა ნორმები, რომლის გადალახვა
არ შეიძლებოდა. მე არ ვიცოდი, რა იყო თა-
ლთობა, ვინმეს მოტუება... ტონს მამა გვა-
ძლევდა. მთელი ჩვენი ყურადღება მისკენ იყრ-
მპყრობილი და მისი ბუნება და ხასიათი ოჯა-
ხში ამინდს საწდრავდა... მიუხედავად იმისა,
რომ მამა ბუნებით თბილი და აღერსიანი ადა-
მიანი იყო, სითამამე არ მოსწონდა და ალგა-
მულ და თავზიან დამოკიდებულებას მოითხო-
ვდა. ბავშვობიდანვე მიწერგავდა იმას, რაც თვი-
თონ სწამდა, ნერგავდა ჩემში პატრიოტულ
გრძობებს, განსაკუთრებით მიქადაგებდა შრო-
მისადმი სიყვარულს, თავისთავისადმი მომთხო-
ვნელობას მაჩვენებდა...”

ასეთი იყო იგი ოჯახში და ასეთივე — ხაზო-
გადღებაში, მეგობართა წრეშიც, ნაცნობებთან-
დაც, უცნობებთანაც: უურადლებიანი, თავაზი-
ანი, მომხმენი, კეთილად მოუბარი, ერთგული,
სხვათა პირის გამწარებელი, მწარუნველი: უკ-
მებობა, გულღრმობა, ენატანობა, შურისძიე-
ბა, ზურგს უკან ქირქილი, მახეზღრობა, გაუ-
ტანლობა, დაცივება, ცინიზმი მისთვის უცხო რამ
იყო (დარწმუნებული ვარ, წამების დროს „მი-
ცემული“ ჩვენებებში მის მიერ ვისიმე გვარი
მინიშნებითაც არ იქნება დასახელებული!).

ამგვარი რომ იყო თვითონ, ამგვარსავე დამო-
კიდებულებას მოითხოვდა სხვებისაგანაც. მასზე
უკეთ ვის უნდა სკოდნოდა, რა შედეგი მოაქვს
უველა ამ თვისებას — დადებითსაც და უარ-
ყოფითსაც: მის მიერ შექმნილი უწარმავარი
მხატვრული სამყარო ხომ აღსავენა ამ თვისე-
ბათა მატარებელი მცირებით, პერსონაჟებით
თუ ხახებით. სიტუაციებითა და პასაჟებით.



რომელთა მიღმაც დგას გარკვეული მორალი და კონცეფცია.

აკაკი გაწერლია იგონებს: „მიხეილ ჯავახიშვილი დიდად თავმოყვარე იყო. მაგრამ არა პატივმოყვარე და ეს თვისება სხვის შესაწუხებლად არ გამოუყენებია. იგი ქვეშაირი ტოლერანტი იყო და ბევრის მიტევება შეეძლო“.

გერონტი ქიქოძე წერს: „პირველად მიხეილ ჯავახიშვილი 1811 წლის შემოდგომაზე შევხვდი მეთების ციხეში. როგორღაც შინაურულად, მუღეროდ იყო მოწურობილი თავისი საქნის ეუთხეში და უოველთვის აუჩქარებლად საშინაო ფლოსტებით გამოდიოდა შუადღის სეირნობაზე... ძალიან საინტერესო მოსაუბრე იყო: განცდილ ამბებს გადმოსცემდა. როგორც დაკვირვებული ადამიანი, რომელიც დიდი შემოქმედებითი ნიჭითაა დაჯილდოებული... თანამედროვე რუს და ქართველ მწერლებს შორის არავის ჩამოუვარდებოდა განათლებით. სიუჟეტის განვითარება, ტიპიური მოვლენების დანახვა და ახანვა ისე ეხერხებოდა, როგორც ხიტუვის უკულაზე გამოჩენილ ოსტატებს... ლიტერატურულ ასოციაცია „არიფონში“. რომელიც 1827 წელს დაარსდა, მიხეილ ჯავახიშვილთან ერთად მეც შევდიოდით. ამ ასოციაციის კრებულში, სხვათა შორის, დაიბეჭდა მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „დამატივე“. ჩვენმა კრებულმა დიდი შემოქმედა გამოიწვია. როგორც პარტიულ პრესაში, ისე კრებებზე. განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევდა ჯავახიშვილის მოთხრობა და ჩემი დიალოგი „არიფონის პერეში“. მწერალთა კავშირში არამდენიმე საგანგებო სხდომა გაიმართა. კომუნისტმა და უპარტიო მწერლებმა ჩვენს წინააღმდეგ იერიში მოიტანეს ფილიპე მხარაძის მეთაურობით, რომელმაც მთელ ჩვენს იდეოლოგიას წარმართული მიხტიციზმი უწოდა. ბრძოლა „არიფონის“ წინააღმდეგ კარგა ხანს გაგრძელდა; ზოგიერთი ჩვენი თანამებრძოლი შედრკა და დაშინდა, და ჩვენ იძულებული გავხდით თვითლიკვიდაცა მოგვებღინა“. [ამობენ, გერონტი ქიქოძე ესწრებოდა პრეზიდენტი იმ სხდომას. სადაც კავშირიდან მიხეილ ჯავახიშვილის გარიცხვას და ფიზიკურად მოხსობას მოითხოვნენ. და, როდესაც საქმე ექნის ურაზე მიდგა, მან მდუმარედ დასტოვა სხდომა, რომ კოლტეგების ეს დაცემა საკუთარ თავალით არ ენახა. ეს იმ დროისათვის გამირობას უდრიდა].

იოსებ მეგრელიძე იხსენებს, როგორი იყო მიხეილი მახზე გამაფრებული თავდასხმების მომენტში: დინჯი, აუჩქარებელი, კორექტული. მაგრამ თავისი კმნილებების აქტიურად დამცველი. თავისთავადი. ამგვარი თავდასხმების დროს „მიხეილი არავის წინაშე ქედს არ იხრიადაო, — აღნიშნავს იგი. — ...ურადღებებს იპყრობდა ინტელიგენტური, დაბვეწილი მანერებითა და დინჯი. მკაფიო მეთველებით“.

პირადად მეც, მიხეილი ასეთი მხარეებზე დენიმე დისკუსიას დასწვრებივარ. სადაც საოცარი სიღინჯით, არგუმენტირებით, ლიბერალთა იცავდა თავს პლატონ ქიქოძის, ბენიტო ბუაჩიძის, გრიგოლ მუშიშვილის, კარლო მელაძისა და სხვა ვულგარიატორთა თავდასხმებისაგან. უნდა მოგესმინათ, მათს გამოხვლებს როგორ მახვილ რეპლიკებს ჩაურთავდა ხლმე რომლებზე რეაგირება უოველთვის როდი იყო ორატორთათვის მომგებიანი!

წაიკითხეთ მისი გამოხვლა 1982 წელს გამართულ ერთერთ დისკუსიაზე, სადაც, სხვებთან ერთად, მასაც დაუნდობლად „ცემეს“. ძველი და ახალი „ცოდებები“ გაუხსენეს: „ჩაუოს“, „კვაქის“, „არსენას“ ავტორი, სხვა ეპითეტებთან ერთად, „დროს ჩამორჩენილი კაცის“ ტიტულითაც შეამკეს; მანამ არ მოეშვენ, მანამ არ „აღიარებინეს“. „დროს საკმაოდ ჩამოვრჩიო“. მაგრამ იყო კი ეს აღიარება? „უნდა გამოვტუდე — თქვა მან. — რომ მე საცაა, ნაწილსა შევსრულდები: გარდა ამისა, მე დატვირთული ვარ ძველი კულტურით, რომელიც ხუნდებივით მადევს და მისი სრული დამსხვრევა არც იმდენად ადვილი საქმეა და, შესაძლებელია, არც იმდენად სახარებლოა ჩემთვის (ხმები — რატომ?), იმიტომ, რომ შესაძლებელია მე ერთი ახირებული კაცის ანბავი დამემართოს; რომელმაც თავისი ძველი ტანისამოსი ბუხარში შეაგდო და ახალიც ვეღარ იწოვა. ნამდვილად კი მე ვცდლობ ძველი მასალა და ახალი იდეოლოგია შევითავსო“ (ეს ხომ იდეალური მიზანია, მით უმეტეს, უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის მწერლისათვის მაგრამ როგორ გინდა ეს შეასმინო მემამბოხე ადვტს, რომლისთვისაც უოველგვარი ძველი კონტრეკოლუციურია და, ამდენად, მოსასპობი? უთუოდ, მის „დასაშოშინებლად“ უფრო იყო ძველი კულტურის ტრადიციები მიხეილის მიერ „ხუნდებდა“ მონათლული: მიხეილმა კარგად იცოდა, ვისთანაც ქმონდა საქმე, მაგრამ ზომ იკით. როგორია გულმართალი კაცის ეშმაკობა, სადაც მინც გასცემს თავს, ძველის უკუგდება ჩემთვის არც ისე სახარებლოა, რომ დააუკლებს. ამას ბრბოს ახალი აფეთქება უნდა მოაქვეს, რომელიც ფრიად უხეში ფორმით მოითხოვს პასუხს კითხვაზე — „რატომ?“. ეს კითხვა კი იმ აქცენტითაა დასმული, რომ „ცოდვილის“ აღსარება მოაქვეს!).

არა ერთხელ მინახავს მიხეილი რუსთაველის პროსპექტზე თავის „კადემიოს“ მეგობრებთან ერთად. აქვლევებულნი რომ მსგელობდნენ პერიოდული გამოცემების, განსაკუთრებით „კომუნისტის“ ზოგიერთ იმდროინდელ პუბლიკაციაზე, რომელთა ავტორები (განსაკუთრებით აქტივობდა მუშიშვილი) გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას თუ მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებთა განქიქებას არ სცერდ:

ბოდნენ, მათს პიროვნულ შეურაცხყოფასაც არ თაკილობდნენ. მხოლოდ მიხეილს ვერ შეატყობდით წრეგადასულ აღლევებას (ეს შინაგანი ორგანიზმებზე ლაბა, ემოციების მოსოკვის უნარი, ზომიერების ფარგლებში ყოფნა მისი იარაღი იყო).

მიხეილის უველა კეთილი თვისება, როგორც მის დადებითს გამიერბსაც გადასდებოდა და, ასეთად (მრავალწილად რომანტიკულად!) წარმოსახულნი, საოცარ გავლენას ახდენდნენ უველა რანგის მკითხველზე (სწორედ აქ ერთი შემთხვევა უნდა გავიხსენო: 1944 წელს მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში ჩამრიცხეს, ჩემს მეცნიერ-ხელმძღვანელად პროფესორი ვლადიმერ ჩიჩეროვი დაამტკიცეს. მაგრამ, რადგანაც იგი ძირითადად ფოლკლორისტიკაში მუშაობდა, ხოლო ჩემი დისერტაცია ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ეძღვნებოდა, ხელმძღვანელობას კათედრის გამგე, საბჭოთა ლიტერატურის სპეციალისტი, პროფესორი ალექსანდრე მიანსიკოვიც მიწვევა. ბუნებრივია, მუშაობის პროცესში ისინი ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ხაფუძვლიანად უნდა გასცნობოდნენ. ამ მიზნით მათ დავუსახველე ქართველ მწერალთა რუსულად თარგმნილი ნაწარმოებები, მათ შორის, „არსენა მარაბდელი“. ცოტა ხნის შემდეგ პოფესორმა მიანსიკოვიმ და ნაწილებით შიობრა, ლაბორანტმა უველა წიგნი მოშვანა, „არსენა მარაბდელი“ კი ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა. ამის მიზეზი ჩემთვის ხომ ვასაგები იყო, მაგრამ მისთვის არაფერი შითქვამს; მე თვით გავიხსენი-მეთქი, დავპირდი, 1947 წელს მე, ყოფილი მენშევიკის შვილს, ერთი ბრმა შემთხვევის გამო, გარკვეული სირთულე შემექმნა და იძულებული გავხდი ბევრი წიგნი თავიდან მომეშორებინა, მაგრამ მიხეილ ქავახიშვილისა და გრიგოლ რომაძეობის წიგნები ვერ გავწირე: მიხეილის ოთხი ტომი აგრეთვე რუსულად გამოცემული „არსენა“ და გრიგოლის „გველის პერანგი“ საიმედო ადგილას გადავმალე, და აი, 1944 წელს სატიტულე ფურცელზე მოხეული „მარაბდელი“ მეცნიერ-ხელმძღვანელებს წავაკითხე. ორივენი აღფრთოვანებულნი იყვნენ რომანის მადალი ოსტატობით; ისინი განსაკუთრებით მოხიბლა ნაწარმოების რომანტიზმის პლანმა, რომლის დიდი დეფიციტი იგრძნობოდა იმ დროს საბჭოთა ლიტერატურაში, კერძოდ, იმდროინდელ საბჭოთა ისტორიულ რომანში, რომელთა ავტორებიც რომანტიზმის სათოფეზე არ ეკარებოდნენ. მალე გადავწყვიტე ჩემი „საიდუმლო“ გამეხილა, მით უმეტეს, რომ მიხეილის ქებით, რაც მიანსიკოვის მალე ამხანაგების წრეში წამოცდა, მისთვის გარკვეული უბერხულობა არ შემექმნა. როცა ერთერთ კონსულტაციაზე შეხვედრისას ქავახიშვილის ხვედრი ვუაშბე, ეს

თავისი არსით ორთოდოქსი პარტიული საზოგადოების შირო ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მუშაკი, ეურნალ „ბოლშევიკის“ საარტყელო კლდეების წევრი, შეწუხდა, სიფრთხილედ დაავიწყდა და ალაღად თქვა, „რა დასანაია ასეთი ტალანტის დაღუპვაო!“ და იქვე დააყოლა: „იმედია, ეს საუბარი ჩვენს შორის დარჩებაო“).

ქეშმარიტად რომ უზომო გავლენა ჰქონდა მიხეილს მკითხველზე, რადგან მის გამიერბს მბადებდა ხალხის სიმართლე, მაღალი პირადი ზნეობა, სულის საოცარი ძალით მუშანისტური მომართულობა, გადამრავლებული მაღალი რანგის მხატვრის ტალანტზე.

მიხეილ ქავახიშვილის ბიოგრაფია ტიპიურიც არის ჩვენი გართულბული ცხოვრებისათვის და უჩვეულოც (თავისი სისახტიით). იგი აირეკლავს ეპოქის იმ თვისებებს, რომლებითაც ნიშანდებულია, ერთი მხრივ, ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თვითშეგნების მანამდე არნახული გაღვივება, მას დაყრდნობილი სულიერი აქტივიზაცია, გამობატულებას რომ პოულობს პოლიტიკური აქციების რეგოლუციური განხორციელებით და, მეორე მხრივ, კლა სობრივი ძალადობის ახალი ფორმების გამოყენება, რამაც ერის, განსაკუთრებით მისი ინტელექტუალური ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიწირა და ამით მოუშუშებელი ქრილობა მიაყენა ისედაც საუკუნეებში გამოტანჯულ ნაციონალურ სულს.

მიხეილ ქავახიშვილი იყო ის პიროვნება, ვისაც უნდა განეცადა მთელი თაობის, პირადად მისი მრავალწლიანი მოუღლედი მოღვაწეობის შედეგად მოპოვებული ეროვნულ-სოციალური თავისთავადობით მონიჭებული სიხარული, ხოლო შემდეგ საკუთარი სისხლიც გაეღო, ვითარცა შერისხული და წამებულს. ეს იყო როგორც პირადული, ასევე მისი სათაყვანებელი ერის ტრაგედია, სისხლიანი სტრიკონებით რომ შევიდა მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიაში.

და, რადგანაც იგი ამ სამსხვერპლოზე მარტო არ ასულა, ამდენად ტიპიურია მისი ცხოვრების საბედისწერო ფინალიც. ეს კია — წამებით გატარებულ წლებში დიდი იმედებით ამომრავებულმა მისმა ტალანტმა, სამოქმედოდ საოცარი ძალით მომართულმა სულმა მაინც მოასწრო საკუთარი ხალაროდან გამოეღო და ხალხისათვის მიეცა ერთადერთი განძი, რასაც ფლობდა — მყარი სიტყვით ნაგები, ალაღ გრძნობას ნაწიარები, უზფერებიანი, მშობელ ერზე, ქვეყანაზე, ენაზე, მათს მომავალზე ფიქრით გამოტანჯული მხატვრული სამყარო.

ეს ფიზიკურად დამარცხებული კაცის დიდი მორალური გამარჯვებაა!

ისტორიულ ფყაროებს მითი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ

ურნალ „მნათობის“ 1988 წლის მეათე ნომერში მოთავსებული იყო. ი. ახუაშვილის საკმაოდ ვრცელი წერილი „ქვემო ქართლის ეთნოსი ისტორიულ ასპექტში“. თავისთავად საკითხი დიდ ინტერესს აღძრავს და უოველი პუბლიკაცია ამ მხრივ ყურადსაღებია; ამჯერად მთლიანი წერილის განხილვას არ შევუდგები, თუმცა, ერთი ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ციტატებითა და სხვათა აზრებით არის იგი გადატვირთული. ბოლო ზოგი მათგანი სრულიადაც არ ეხება მოცემულ რეგიონს. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ წერილის წინა ნაწილზე, სადაც ტოპონიმთა ასპექტებია განხილული.

საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის ცხოვრებაში მომხდარი ამბები ხშირად იწვევდა გეოგრაფიული სახელწოდებების ნაწილის აღგვას ხალხური მეთვლეებიდან და მეხსიერებიდან. გაუქმებულ სახელებს წერილობითი ძეგლები ინახავდნენ — მათიანები, გეოგრაფიული აღწერილობანი, რუკები, სახუთები თუ ტაძრის კედელში ამოჭრილი წარწერები. ტოპონიმთა ქვეყნის ბუნებრივი ხასიათის, ხალხის უოფისა და ისტორიის სარკეა. საქართველოს ნაირგვარი ლანდშაფტი, მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახის თავისებურება, მის მიწა-წყალზე გადავლილი ქართველები საუკუნეების მანძილზე აუალიბებდა ჩვენს ტოპონიმებს. ტოპონიმები ჩნდება, ცოცხლობს, იცვლება და ქრება, მაგრამ მათი ცვალებადობის პროცესი ერთობლივად განვითარება-გართულებისავენ არის მიმართული. ამიტომ ტოპონიმთა ლოკალიზება საკმაოდ რთული პროცესია და საჭიროა კომპლექსური მეთოდების გამოყენება. ტოპონიმების ცვლევისას აუცილებელია ძველი ტოპონიმების ყოველმხრივი გათვალისწინება. უამისოდ შეიძლება მცდარი დასკვნები გამოვტანოთ. ამთავითვე უნდა ითქ-

ვას, რომ ი. ახუაშვილის შემოაღნიშნულ წერილში ქვემო ქართლის ტოპონიმების ლოკალიზაციაზე, ქრონოლოგიურ ზღვრებსა და არეალზე ისეთი არეულობაა, რომ ტოპონიმთა პირვანდელი სახის დასაბრუნებლად და დასაღაგებლად საკმაოდ „კვლევია“ ჩასატარებელი. ეს კი ავტორს იმისთვის დასჭირდა, რომ დაემტკიცებინა დღევანდელი ქ. თეთრი წყაროს სახელის უძველესი დროიდან არსებობა.

მოვუსმინოთ თვით ავტორს: „ამ ბოლო ხანებში საჯაროობა და გარდაქმნა ჩვენი ქვეყნის ეთნოსსა და ტოპონიმებსაც შეეხო. დაისვა სოფლების, რაიონებისა და ქალაქების ისტორიული სახელების აღდგენის საკითხიც, ნაწილი განხორციელდა კიდევ (სენაკი, ოზურგეთი, ხონი, ხარაგაული და სხვ.). ზოგიერთებმა უმართებულო აზრიც კი წამოაყენეს, მაგალითად: ეკვი გამოითქვა თეთრი წყაროს არსებობაზე“. ცოტა ქვემოთ გვაცნობს თეთრი წყაროს პარტიის რაიონული კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის ვ. გონგაძის აზრს თეთრი წყაროსათვის სახელის გადარქმევის შესახებ. ვერ გეტყვით, „ამ ბოლო ხანებში საჯაროობისა და გარდაქმნის“ რა პერიოდს გულისხმობს ავტორი, მაგრამ ის კი ვიცო, რომ ვ. გონგაძე პარტიის თეთრი წყაროს რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად მის შემდეგ ნი-იანი წლების დასაწყისამდე მუშაობდა და 1958 წელს ურნალ „დროში“ გამოაქვეყნა წერილი „თეთრი წყაროს წარსულიდან“. ამიტომ საკვირველია ი. ახუაშვილისეული ქრონოლოგია. ამასთან, ვ. გონგაძე, ისტორიული წყაროების მიხედვით, იმას წერს, რაც მახლდა და, ამდენად, სასაუვედურო ბევრი არაფერი გვაქვს: ბოლო ისტორიული სინამდვილის წარმოჩენა არავის უნდა ეუადრისებოდეს. მაგრამ ი. ახუაშვილი ტოპონიმების საკითხებში უნდობლობას უცხადებს არა მარტო ძველ ლიტერატურულ და ისტორიულ



წყაროებს, არამედ ჩვენს გამოჩენილ მეცნიერებსაც: ე. თაყაიშვილს, ნ. ბერძენიშვილს, ს. უაუხიშვილს, ს. კაკაბაძეს, ი. ლორთქიფანიძეს, ლ. მელიქიძე-ბეგს და სხვებს; თუმცა ბევრი მათგანის სახელი წერილში მოხსენიებულიც არ არის.

ი. ახუაშვილი სკოლაში შენიშნავს: „1. თეთრი წყარო ისტორიაში ცნობილია „დედოფლის წყაროს“ სახელწოდებითაც, იყო დარქვან დედოფლის სამეფვიდრეო, საგამგეო. ერქვა აგრეთვე აიაზმაც — „წმინდა წყალი“. აქედან ნათლად ჩანს, რომ ეველაფერი თავდაყირა არის დაყენებული ეს არც უნებლიე უჭუსტობაა და არც შემთხვევითობა. ვეტორი ვერ ერკვევა ტოპონიმის საკითხებს. „დედოფლის წყარო“ ერქვა არა თეთრი წყაროს, არამედ წითელ წყაროს. ისიც უნებრულია, როცა თეთრი წყაროსა და წითელწყაროს ერთმანეთში კერძო საუბარში ურევენ, ხოლო როცა ამას მეცნიერი წერილობით აკეთებს, მით უფრო სამწუხაროა. „დედოფლის წყარო“ კახეთის ტერიტორიაზე დადასტურებულია იმან ბერბულიძის, იოანე ბატონიშვილის, დავით ბატონიშვილის და სხვათა შრომებში და დატანილია XIX საუკუნის ათეულობით რუსეთს. ამდენად, კვემო ქართლის თეთრიწყაროსა და კახეთის წითელწყაროს შორის საკმაოდ განსხვავებაა, როგორც ტერიტორიულად, ისევე სახელწოდებით. კიდევ მეტიც, თეთრი წყაროს „აიაზმაც“ მიაწერა, რაც „წმინდა წყალს“ ნიშნავს. აიაზმა ნამდვილად წმინდა წყალს ნიშნავს, მაგრამ ამ სახელწოდებასაც რომ არაფერი აქვს საერთო დღევანდელ თეთრ წყაროსთან? აიაზმა XIX საუკუნიდან ჰქვია დღევანდელ წალკის რაიონში მდებარე დასახლებულ პუნქტს. რომლის უძველესი სახელი „თეთრი წყარო“ იყო.

ი. ახუაშვილი ჩივის, რომ „მოიოხხოვეს, ამ უძველეს რეგიონს, რომელსაც ათასწლოვანი ისტორია აქვს, „ბელი კლიუჩი“ ეწოდოს, იმ მოტივით, რომ მე-18 საუკუნის 80-იანი წლებიდან ამ მიდამოებში დამკვიდრდნენ რუსი ჯარისკაცები და სახელიც — „ბელი-კლიუჩი“ მათ შეარქვეს“. შემდეგ წერს, „ეს მოსაზრება გაიზიარა ზოგიერთმა სხვადასხვა და შეეცადნენ დავერწმუნებინეთ, რომ დღევანდელი თეთრი წყარო იგივე გარისი და ორთაშუაა“. ამ ორი პატარა ამონაწერადან ურთიერთ სარწმუნოდმეგობარაა გამოხატული. პირველ შემთხვევაში — ძველი სახელი — „ბელი-კლიუჩის“ აღდგენას ითხოვენ და მეორე შემთხვევაში თურმე დღევანდელ თეთრი წყაროს გარისად და ორთაშუადად ნათლავენ. ი. ახუაშვილი ვ. გონგაძის გარდა ამ საკითხთან დაკავშირებით არაფის ასახელებს და ვერ გეტყვით ვის გულსიმბობს. მაგრამ არც ვ. გონგაძისთან და არც ამ ათეულობით ნაშრომში, რომელიც თეთრი წყაროს ეხება, არსად შემხვედრია მისთვის სახელწოდების გადარი-

ქმევის პრობლემა. ყველა მათგანს სინამდვილეს წარმოაჩენს.

დღევანდელ ქ. თეთრი წყაროს ადგილზე ამავე სახელწოდების პუნქტი იყო ძველადაცო, ამტკიცებს ი. ახუაშვილი და ამისათვის არ იცავს ტოპონიმის ანბანურ კეშპირიტებას არც ქრონოლოგიურს და არც სივრცითს, მით უმეტეს ომონიმურ ანუ განმეორებადი ტოპონიმების პრინციპს. აი, სწორედ ასეთი განმეორებადი ტოპონიმების აღრევით ცდილობს, წინასწარ აკვიტებული აზრით, თავი მოუყაროს ერთნაირ სახელწოდებებს იქ, სადაც თვითონ სწავლია: შემდეგ კი თავის ჩარბს მოარგოს ყოველი მათგანი. იმას აღარ უფიქრდება, თუ როგორ განლაგდება ისინი მოცემულ რეგიონში. ასე აურ-დაურია არა მარტო ტოპონიმები, არამედ ისტორიული მოვლენებიც. მართალია, გვეუბნება: „მათ საუურაადლებოც, ვინც შიშობს, შემთხვევით დღევანდელი წალკის რაიონის თეთრ წყაროსთან ხომ არა გვაქვს საქმეო...“ მაგრამ ეს ვერაფერი შელავთია, რადგან ამას კიდევ უფრო უაზრობა მოსდევს: „...უნდა ვთქვათ, რომ იმავე თრიალეთში თეთრი წყაროს (რაიონული ცენტრის) გვერდით გვხვდება სამადლო, ლიპი (სამი სოფელი — I, II, III), ახოტი, მოხისი, სამებრეო (წინწყარო და კვირაცხოველი. ი. ა.)“. პირდაპირ გასაოცარია ი. ახუაშვილის მსჯელობა, რადგან იგი ზერელე და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ დასკვნას ექვემდებარება. მას დღევანდელი თეთრი წყარო ძველ თრიალეთში ჰგონია (ამას გვაფიქრებინებს ზემოთ ჩამოთვლილი სახელწოდებების თეთრი წყაროს რაიონული ცენტრის გვერდით ჩამოთვლა), ან დღევანდელ თეთრი წყაროს რაიონის ტერიტორიაზე ჩამოთვლილის პარადელური სახელწოდებები ეგულება. ორივე შემთხვევაში დიდი შეცდომაა. თრიალეთი დახლოებით დღევანდელ წალკის რაიონის ტერიტორიას მოიცავდა, სადაც ერთი მეორის მიყოფებით, მცირე რადიუსში, განლაგებული იყო ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პუნქტი: სამადლო, ლიპი (რამდენიმე სოფელი), ახოტი, მოხისი, სამებრეო. ხოლო დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონის ტერიტორიაზე ამ სახელწოდების პარადელური სახელწოდებები არ ყოფილა, თანაც ლიპები ირაგის ზონაშია, მოხისი — მანგლისხა ხოლო — სამადლო კიკეთის ზონაში, რაც შეუძლება სამებრეოს. მას თეთრი წყაროს წინწყაროსთან აიგივებს და ჰგონია მისი ძველი სახელი იმას კი არაფრად აგდება, რომ თეთრი წყაროს სახელით ძველად მხოლოდ თრიალეთში იყო პუნქტი. ისიც ხომ არის გასათვალისწინებელი, რომ წინწყარო დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონის ტერიტორიაზე ძველიდანვე არსებობდა: აქ, 1828 წლის სექტემბერში ჩამოსული (ანატოლიის მხარეიდან ვადმოსახლებული) ბერძენები დაბინავებულიარ და 1835 წლამდე და



რჩენილან. ამის შემდეგ ისინი სხვადასხვა მხარეში, მათ შორის, თრიალეთშიც დასახლებულან, იმხანად დაცარილებულ ადგილებში (ნასოფლარებში), სადაც ერთ-ერთ ნასოფლარს, რომელსაც ძველად სამებრეო (იყო ორი სოფელი ამ სახელწოდებით) ერქვა, წინწყაროდან გადასვლის შემდეგ წინწყარო უწოდეს. ან დასახლებულ პუნქტს წალკის რაიონში ახლაც ეს სახელი ჰქვია. აი ასეთია წყაროების სინამდვილე.

კიდევ მტკ გაკვირვებას იწვევს ი, ახუაშვილის მტკიცება. რომ ძველ წყაროებში მოხსენიებული თეთრი წყარო არის არა დღევანდელი წალკის რაიონის ძველი სოფლის სახელწოდება, არამედ ჰივკავში არსებული დასახლებული პუნქტი, კერძოდ, დღევანდელი რაიონული ცენტრი თეთრი წყარო. ტოპონიმთა ამ სახით დოკალიზაცია ჯერ არსად შემხვედრია. დავიწყოთ იქიდან, რომ თრიალეთში არსებული რამდენიმე ძველი დასახლებული პუნქტები ავტორის მიერ იგნორირებულია: „კარწაფს. ქვემო და ზემო ანტრაფს, ხამებრეოს (იგივე წინწყაროს), საბატესა და სხვა სამორაჯვო სოფლებს შორის „დასტურლამალში“ ვახტანგ მეექვსე ახახელებს თეთრ წყაროსაც; რომლის მებატონედ ზურაბ თარხნიშვილი მოიხსენიება“. ჩავთვალოთ ზოგი დასახლებული პუნქტის სახელწოდება (კარწაფი) კორექტურულ შეცდომად: ყველა ჩამოთვლილი პუნქტი ერთი რეგიონის მცირე რაიონში თავსდება და ახუაშვილი როგორ ათავსებს მათ თრიალეთსა და ქციის ზრამის ტერიტორიაზე, გაუგებარია. ზემოთ ჩამოთვლილი სახელწოდებების დასახლებული პუნქტები რომ ძველ თრიალეთში (დღევანდელი წალკის რაიონის ტერიტორიაზე) არსებობდა, ამის შესახებ არავითარი ექვსი გამოთქმაც არ შეიძლება.

ი. ახუაშვილმა კი დამტკიცებული სადავოდ გახადა. საერთოდ, ძველ თრიალეთში არის რამდენიმე პუნქტი, რომელთა დოკალიზაცია არასოდეს ხდებოდა არ გამბედავს. დაბეჭდვითი შეიძლება ითქვას, რომ მათ რიცხვს მიეკუთვნება ყველა ზემოჩამოთვლილი სახელწოდება. ისინი არა მარტო ისტორიულ წყაროებშია ნაჩვენები თრიალეთის ტერიტორიაზე, არამედ ზუსტად არის აღნიშნული კარტოგრაფიულ წყაროებშიც.

ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში დასახლებული პუნქტი თეთრი წყაროს სახელით XIX საუკუნემდე თრიალეთის გარდა საქართველოს არც ერთ რეგიონში არ არის ცნობილი. თრიალეთის თეთრი წყარო დადასტურებულია ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალში“. ვახუშტი ბაგრატიონის წერილობით და კარტოგრაფიულ შრომებში, 1721 წლის აღწერაში და სხვა მასალებში. თრიალეთის გეოგრაფიული სახელწოდებები მოცემულია აგრეთვე ამავე საუკუნის სხვა კარტოგრაფიულ წყაროებშიც. ამის უარყოფა კი სხვაგან არსად შემხვედრია. არ

შემხვედრია იმიტომ, რომ ტოპონიმების წარმოშობისა და განვითარების შესახებ და მათი კვლევა აბსურდულად მიგვიყვანს.

ქვემო ქართლი საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული რეგიონია. აქ, XVIII საუკუნეში მოსახლეობა ძლიერ შეთხველდა, რაც თვით ვახუშტი ბაგრატიონისა და გივი თუმანიშვილის მიერ მოსახლეობის აღწერის მასალებიდანაც ჩანს. შემდეგ კიდევ უფრო დაცარიელდა ეს მხარე, რაც კარგად აისახა სხვადასხვა საისტორიო წყაროებში. მათში ხშირად გვხვდება სიტყვები: აურილი, ამოვარდნილი, ამოწყვეტილი, ობოლი, ნასოფლარი და სხვა. XIX საუკუნიდან კი ხდება გაბიწვული (გადარჩენილი) მოსახლეობის დაბრუნება მამაპაპურ ადგილებში და დიდი რაოდენობით სხვა ეროვნებათა (სომეხთა, რუსთა, გერმანელთა, ბერძენთა და სხვათა) გადამოსახლება საქართველოს გარე ტერიტორიებიდან. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოს თითქმის არც ერთ მხარეში არ გვხვავს ისეთი ქრელი მოსახლეობა, როგორც ქვემო ქართლშია. ჩასახლების ეს პროცესი შემდეგაც, თვით პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდეც არ შეწყვეტილა. თავისთავად, მოსახლეობის ასეთი მიგრაციული პროცესის შედეგად გარდაიქმნა ქვემო ქართლის გეოგრაფიული სახელწოდებებიც. თრიალეთში XIX საუკუნის დასაწყისში თითქმის არც ერთი დასახლებული პუნქტი აღარ იყო, რაც 1805 წლის ტოპოგრაფიული რუკიდანაც ჩანს. თვით მაშინდელი ცენტრი წალკა, რომელიც დღევანდელი სოფელ გუნია კლას ადგილას (ძირითადი ნაწილი ახლა წალკას წყალსაცავის ქვეშა მოქცეული) მდებარეობდა, რუკის მიხედვით დანგრეული ჩანს. დანგრეული უოფილა რეხაც-რუკაზე უკვე აღარაა ისეთი ცნობილი პუნქტები, როგორცაა — ბეშქენაშენი, აბანო, ცრიცი, ხამებრეო და სხვა. ტოპოგრაფიულ რუკაზე, რომელიც საქმომ სოფუსტითაა შესრულებული და დატანილია ძირითადი გეოგრაფიული ობიექტები, მხოლოდ 12 პუნქტია აღნიშნული. მათ შორის დანგრეული სოფლები. მსხვილმასშტაბიანი რუკა კი გაცილებით მეტის დატანის შესაძლებლობას იძლეოდა. თრიალეთის გეოგრაფიული სახელწოდებები ჩამოთვლილია აგრეთვე 1882 წლის საბუთში, სადაც, სხვათა შორის, თრიალეთის რამდენიმე ძველი ქართული გეოგრაფიული სახელწოდების გვერდით მიწერილია თანამედროვე სახელებიც, მათ შორის სამებრეოს წინწყარო. ეს ტოპონიმები ასევე ამავე პერიოდის ბევრ ტოპოგრაფიულ რუკაზეც არის აღნიშნული. სწორედ თრიალეთის ამ პუნქტებთან ერთად უოველწვივის სარსებობდა დასახლებული პუნქტი თეთრი წყარო, სადაც იქ არსებული ვოკლუშების (დიდდებიტიანი წყაროების) მიხედვით „წმინდა წყარო“ — „აი-



აშმა“ უწოდეს, და ეს სახელი დღესაც ჰქვია ამ დასახლებულ პუნქტს. ი. ახუაშვილი კი ამ „აიაშმას“ — „წმინდა წყალს“ და „დედოფლის წყაროს“ თანამედროვე რაიონული ცენტრის „თეთრი წყაროს“ სახელთან აიკავებს, ამას კი ვახუშტის დაუდევრობად მიიჩნევს, „რადგან სოფლების აღნიშვნა, ვახუშტისეული ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად, თითქმის დაკარგულია შემდეგი მცირე გამონაკლისის გარდა...“ სინამდვილეში, 1721 წლის აღწერაში ქვემო ქართლის დასახლებული პუნქტების მოსახლეობა (კომლები) განაწილებულია მფლობელობის მიხედვით: ამ გზით, ერთი და იგივე სოფლის მოსახლეობა სხვადასხვა მფლობელს მიეწერება: ასე, მაგალითად, სხვადასხვა მებატონის სახელი ერთი და იგივე სოფელი აღწერაში რამდენჯერმე მეორდება, იმის მიხედვით, თუ რამდენ მებატონეს ჰყავდა მასში კომლი, აღწერის მასალების ადმინისტრაციული პრინციპით დალაგება არც ისე აწილი საქმეა. ხოლო რაც შეეხება ვახუშტი ზეგრატიონის შრომებს, მას შესანიშნავად აქვს ადმინისტრაციული დაყოფით მოცემული დასახლებული პუნქტები, როგორც ტექსტში, ისე რუკებსა და სოფლების სიაში. ამდენად, უსაფუძვლოა ი. ახუაშვილის საყვედური ვახუშტისადმი: „თეთრი წყაროც ჭიჭიჭის ხეობაში უნდა ყოფილიყო მოქცეული და არა თრიალეთში“.

ერთ ადგილას წერს: „ეს საგულისხმოდ მასალა აღსატურებს, რომ გარისი და ორთაშუა ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სოფლებია...“ საინტერესოა, ვინ თქვა ან დაწერა, რომ ძველი გარისი და ორთაშუა ერთი სოფელია? ამასთან, თუ სადმე ნახსენებია ორთაშუა, უველა გარისთან მდებარე ორთაშუასთან გაიგვია (ყარაბულახის, ფოლადაურის ხეობების). ამდენად, განმეორებად სახელებს იგი სრულებით არ აქცევს უწარადებას.


ერთგან დასკვნის: „ამრგვად, სარწმუნოა, რომ დღევანდელი თეთრი წყაროს, (საქალაქო ცენტრის) ტერიტორიაზე, რომელიც 1174,4 კვ კილომეტრს შეადგენს (უწინდელი 850 000 კვ. კმ. ნაცვლად), იყო სოფლები — გარისი, გარისის ვარხუნა (ვერხვნალა), თეთრი წყარო, თნივალა და ორთაშუა“. არ ვიცი, ეს რა მიკროსოფლები იყო, მაგრამ ნ დასახლებული პუნქტი დაახლოებით ერთ კვადრატულ კილომეტრში როგორ ჩაეთია? ამასთან, ვერხვნალას აიგვივებს ვარხუნასთან: სინამდვილეში ისინი დამოუკიდებელი პუნქტები იყო: ვარხუნა ისტორიულ წყაროებში ცნობილია ვარხოვნასა და ვარხონას სახელით. ესენი დღევანდელი ვარხუნას სახელწოდების განსხვავებული ფორმებია: ხოლო ვერხვნალა (ვერხენილი) კი ნადარბაზევის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა. შემოჩამოთვლილი დასახლებული პუნქტების უმრავ-

ვლესობა XIX საუკუნის დასაწყისში თითქმის აღარ ფუნქციონირებდა.

ახლა მივუბრუნდეთ დღევანდელი თეთრი წყაროს სახელწოდებას.

XIX საუკუნის დასაწყისში დღევანდელი თეთრიწყაროს ადგილზე იყო სამი ნასოფლარი — ორთაშუა, მძვრეთი და გარისი (რა თქმა უნდა, არა ერთი კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე, არამედ მოიცავდა თეთრი წყაროს ცენტრის გარე სანახებსაც). ორთაშუა მდებარეობდა ახლანდელი სამხედრო დასახლების ქვემოთ და მოიცავდა თეთრი წყაროს რუსული ეკლესიის მიდამოს. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ეკლესიის გვერდით, ზედ დასავლეთის კედელთან ახლაცაა შემორჩენილი ძველი ქართული ეკლესიის ნაშთი. მძვრეთი თეთრი წყაროს საკონსერვო ქარხნის სანახებში მდებარეობდა. ქარხნის ეზოში ახლაცაა შემორჩენილი აგრეთვე ძველი ქართული ეკლესიის ნაშთი (შენარჩუნებულია კედლები). გარისის ზუსტ ადგილმდებარეობაზე კი სამეცნიერო ლიტერატურაში დავაა, მაგრამ იგი თეთრი წყაროს სანახებს არ სცილდება და ვარხუნასა და სამშვილდეს შორის თავსდება. გ. მისურაძე წერს: „ქვეაქვარად გადაკეთებულ საკულტო-მეგალითურ ძეგლად უნდა ჩაითვალოს გარისის (გარისის — კ. ხ.) ქვასვეტიც. თეთრმა წყაროელმა მოხუცებმა გვიამბეს, რომ ეს სვეტი აღმართული იყო გორაზე XX საუკუნის პირველ ნახევრამდე. აქვე იდგა პატარა ეკლესიაც. კოლექტივიზაციის გარიჟრაჟზე თეთრი წყაროს სასოფლო-სამეურნეო კომუნის წევრებმა აქლესია დაშალეს და ფერმის მშენებლობისათვის გამოიყენეს, ხოლო ქვასვეტი ბორცვის ფერდობზე არსებულ ქვის სამტებლოში გადაჩვენეს...“

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამეფოში, ისე როგორც სხვაგან, რუკები და გეგმები სამხედრო მიზნით დგებოდა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ამსახველი მასალებით დასტურდება, რომ მეფის რუსეთი დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს გეოგრაფიული აღწერებისა და ტოპოგრაფიული მასალებისადმი. რუსეთის იმპერატორები თავიანთი მომართვებით ქართველ მეფეთაგან პირველ რიგში ითხოვდნენ სწორედ ამგვარი შინაარსის მასალებს. ხშირად იყო შემთხვევა, როცა რუსეთიდან გზავნიდნენ სპეციალურად მომზადებულ პირებს ასეთი მასალის შედგენისა და რუსეთში ჩატანისათვის. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ, ამიერკავკასიაში დამკვიდრება-გაბატონების მოსურნე რუსეთის თვითმპყრობელობას, ცხადია, უნდა სცოდნოდა ასათვისებელ-დასაპყრობი ტერიტორიის რაობა, თუნდაც სამხედრო ოპერაციების ჩატარებისათვის. სწორედ ამიტომ დაიწყო კავკასიის ტოპოგრაფიული აგეგმვა, რომელსაც რუსეთის გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინერო უწყება



ატარებდა. ამის საფუძველზე შედგა მთელი რიგი სამხედრო-ტოპოგრაფიული რუკები და გეგმები. თვით თეთრი წყაროს მიღამობა XIX საუკუნის დასაწყისშივე აითვისეს სამხედრო დასახლებისათვის, რის გამოც ეს ადგილი იმ დროის ყველა ტოპოგრაფიულ რუკაზეა დატანილი და შედგენილია დაწვრილებითი გეგმები 1801 წლის საქართველოს რუკაზე, რომელიც კაპიტან ჩუიკოს (სხვათა შორის მის მიერ არის საქართველოს რამდენიმე რუკა, თბილისისა და სხვა ქალაქების გეგმები შედგენილი) მიერ არის შესრულებული, აღნიშნულია წინწყარო, რომელიც ამ დროს დანერგული ყოფილა, ე. ი. ნასოფლარი, ხოლო აღევანდელი თეთრი წყაროს მიდამოებში არაფერია აღნიშნული. მაგრამ 1804-1818 წლების რუკაზე უკვე გაჩნდა წარწერა „ბელია როდნი“. ასევეა 1817, 1818, 1828 წლების რუკებზე, თუმცა ზოგ მათგანზე მის გვერდით ქართული ტრანსკრიფციით აღნიშნულია „თეთრიწყარო“. 1820 წლის რუკაზე ჩნდება ორი სახის წარწერა: „ბელია როდნი ანუ ბელია კლიუჩი“. 1824 წელს შედგენილ გეგმას სათაურად აწერია: „ბელია კლიუჩის მიდამოების გეგმა“. მასზე დატანილია „პოლკის მეთაურების სახლი, ლაზარეთი, ყაზარმები, ბოსტნის ადგილი, ნავიობა ცოლიანებისათვის, ეკლესია“ და სხვ. ამდენად, XIX საუკუნის დასაწყისიდან თეთრი წყაროს ადგილზე ჩნდება ერთი და იგივე შინაარსის რამდენიმე სახელწოდება. თურქულად მოლაპარაკე ბერძნების აქ ჩასახლებამ ამ დასახლებას იგივე შინაარსის კიდევ ერთი სახელი „აღბულაზი“ დაუმკვიდრა, რაც ოფიციალურად საბჭოთა წლებშიც შემოკცდა. 1948 წლის „საქართველოს ადმინისტრაციულ ტერიტორიულ დაყოფაში“ აღნიშნულია: „აღბულაზის (თეთრი წყაროს) რაიონი, ცენტრი აღბულაზი“, „აღბულაზის (თეთრი წყაროს) სასოფლო საბჭო“; რუსულ ვარიანტში კი „აღბულაზის რაიონი, ცენტრი სოფ. აღბულაზი“, „აღბულაზის სასოფლო საბჭო“. „აღბულაზი (ბელია კლიუჩი)“, 1948 წლის ბრძანებულებით კი ოფიციალურად თეთრი წყაროს რაიონი ეწოდა, ცენტრი თეთრი წყარო.

ერთგან ი. ახუაშვილი წერს: „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ შეტანილია „ნასოფლარი თეთრი წყარო, აღნიშნულია, რომ ნასოფლარი მიეკუთვნება ენოლოთის ბოლნისა და ადრინდელი ბრინჯაოს ხანის დასაწყისს...“ სინამდვილეში, „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ „ნასოფლარი თეთრი წყარო“ კი არ წერია, არამედ „თეთრი წყაროს ნასოფლარი“. ვფიქრობთ, ამ ორ დასახლებას შორის საქმალ განსხვავებაა; პირველ შემთხვევაში მართლაც ნასოფლარი თეთრი წყარო იგულისხმება, ხოლო მეორე მათგანი უკვე თეთრი წყაროს, იგივე რაიონის ნასოფლარს შეეხება. ამიტომ, ი. ახუაშვილი მკითხველს იმასაც უმაღავს, რომ

ენციკლოპედიაში აღნიშნულია, ამ ნასოფლარის (ნასოხალარის) თეთრი წყაროდასაშვრებელი ტრე დაშორება. ამდენად, 7 კილომეტრით დაშორებული ნამოსახლარი ქ. თეთრი წყაროს ტერიტორიად არ ჩაითვლება. სხვათა შორის, გ. გობეჯიშვილს არ დასცალდა წიგნის გამოცემა ამ საკითხზე და მხოლოდ მისი ვარაუდვალეების შემდეგ იქნა შეკრებილი ეს მასალა და გამოვიდა ამ სათაურით (1978). თვით ტექსტში, დასაწყისშივე აღნიშნულია: „საქართველოს, კავასისისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, თუ სად დაიჭრა აქვანი ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურისა და რა მიმართულებით წარიმართა მისი განვითარების ხაზი, გარკვეულ შუქს ჰყენს მასალები, რომლებიც აღმოჩენილია თეთრი წყაროსთან, ძველი ნასოფლარის (ნაზგასმა ჩვენია, ქ. ხ.) გათხრების შედეგად“. შემდეგ აგრძელებს: „ეს ნასოფლარი მდებარეობს ტყიან მასივში რაიონული ცენტრიდან 5,5 კმ-ის დაშორებით. დასავლეთით ბედენისაკენ მიმავალი გზის ხელმარცხნივ“. ამ ნასოფლარს პირობითად ავტორი „სოფიოსტელს“ უწოდებდა. ვფიქრობ, უკვე გასაგებია, რომ ავტორი არსად არ წერს იმაზე, ნასოფლარი თეთრი წყაროშიაო. სხვათა შორის, სხვა შემთხვევაში უფრო შესაფერისი სათაური მისცა ი. გრძელიშვილმა ნაშრომს: „თეთრიწყაროს რაიონის ნასოფლარები“, სადაც აშკარად არის გაცხადებული რაიონის ნასოფლარების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ი. ახუაშვილს ეს გარემოება არავითარ საფუძველს არ აძლევდა აღნიშნა, რომ ნასოფლარი თეთრი წყაროშიაო.

ი. ახუაშვილი აღნიშნავს: „ცოტა როდი გვაქვს ამავე რეგიონში მავალითები, მტრულად თუ მოყვრულად მოსული უცხო ელემენტები როგორ ძალადობდნენ და ქართულის ნაცვლად თავიანთ სახელწოდებებს ამკვიდრებდნენ. თეთრი წყაროს მიწაზე გერმანელებისა და რუსების შემდეგ, მოსულ თათრებსა და ურუმ ბერძნებსაც არ მოეწონათ ეს სახელი და აღბულალი დაარქვეს (1848)“. ჩერ ერთი, კი არ დაარქვეს, არამედ თარგმნეს; დაარქვეს ახალ სახელს ნიშნავს. შემდეგ ჩამოთვლის სახელწოდებებს, მავალითად, „ასურეთს გერმანელებმა — ელიზაბეტფელდი, ბოლნისს — ლიუქსემბურგი...“ უწოდესო. სინამდვილეში გერმანელმა კოლონისტებმა ასურეთს ელიზაბეტტალი (ელისაბეტტალი) შეარქვეს, რაც ნიშნავს ელისაბედის ხეობას. ლიუქსემბურგი კი ბოლნისისათვის არ უწოდებიათ: ეს შემდეგ ჩვენ ვუწოდეთ ლიუქსემბურგს ბოლნისი. საქმე ისაა, რომ ამ ადგილას თავდაპირველად იყო სოფელი და ციხე უორანთა (ახლანდელი რაიონული ცენტრი — ბოლნისის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი) და ველკეთილი (რაიონული ცენტრის აღმოსავლეთი ნაწილი).

თაოგათა ურთიერთობისა და ლიტერატურული ეთიკის საკითხები ი. ჭავჭავაძის კუბლიცისტიკაში

ილია ჭავჭავაძის გაზეთმა — „ივერიაში“ შექმნა მტკიცე იდეურ-ეროვნული და მხატვრულ-ლიტერატურული ფუნდამენტი ახალი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლისათვის. ამ გამოცემამ გვიჩვენა ძირითადი ზაზი საუკუნის ლიტერატურულ მიმართულებათა შესაფასებლად, წარმოაჩინა ისეთი მწერლები, მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ ს. დოდაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი, ივ. კერესელიძე, ა. წერეთელი, ა. უაზბეგი, ვაუა-ფშაველა...

„ივერიაში“ გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის ფუძემდებლური მნიშვნელობის XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ნარკვევები, რომელშიც მოცემულია ქართველ რომანტიკოსთა და რეალისტთა პირველი თაობის შემკვიდრების შეფასება: გამოიკვეთა მისი განვითარების ტენდენციები, ქართული ლიტერატურული სტილის ისტორია, სპეციფიკა და ნიმუშები.

„ივერიაში“ ნათელყო, რომ მხატვრული ნაწარმოების გარჩევა უაღრესად რთული, საძახუნისმგებლო მოვლენაა, რომ მრავალფეროვან ცოდნას, სრულყოფილ გემოვნებას, ერის სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებას ითხოვს, რომ კრიტიკა არა მარტო განიხილავს და აფასებს, არამედ იბრძვის არჩეული პრინციპების დამკვიდრებისათვის.

„ივერიაში“ გააგრძელა ბრძოლა ნიშლიწმის, ლიტერატურული დიქტატის, მიკერძობის წინააღმდეგ. დაგმო მწერალთა უსამართლო დევნა, სუბიექტური კრიტიკა. 1887 წელს ილია მკერდით გადაეფარა აკაკი წერეთელს, დაიცვარსულ პრესაში დაბეჭდილი ცილისწამებისაგან.

„სოსლანმაო“ — ამბობს ავტორი, — დახწერაო რეცენზია „თამარ ცხიერზეო“. აქამომ.

დე რაც იყო თქმული „ნოვოე ობოზრენიეზედ“. ასე თუ ისე ცოტაოდნად მაინც მიხატევენებლია, რადგანაც ეგ გაზეთი ქართულს ლიტერატურას თუ იცნობს, სხვის სიტყვით იცნობს, და შესაძლებელია, ამ შემთხვევაში შეცდომაში შეეყვანოს ვისმე, ხოლო არ მიეტყვება ამის თქმა, რომ „თამარ ცხიერზედ“ დაწერილია რაღაც ცარიელი ფრაზები „რეცენზია“ იუოვო. რა უბედვანდა „რეცენზიას“? „რეცენზია“ თითქმის იგივე კრიტიკაა, ჩვენის ფიქრით. რეცენზიაში, როგორც კრიტიკაში, გარჩევა თხზულებისა, მისი დაფასება, მისი კარგი და ავი სახუთებით აღნიშნული უნდა იყოს. ცარიელი სიტყვებო, მაგალითებო, კარგია, ანუ ცუდია, ვერ შორევი ავტორი მასალას, თუ შორევი, მოძრაობა არ არის პიესაში, ანუ არის, და სხვანი ამისთანები ხომ უსახულო ფრაზებია და არა რეცენზია. რეცენზიას ბევრი რამ მოეთხოვება და იგი ბევრი რამ აკლდა იმ წერილსა, რომელსაც გაზეთი რეცენზიას ეძახის. ჩვენ ამას იმისთვის — კი არ ვამბობთ, რომ სარჩლი გავუწიოთ ბ-ნს აკაკის, არამედ იმისათვის, რომ „ობოზრენიე“ სწამებს ქართულს ლიტერატურას, რომელიც, როგორც მიმდევარი „აღმოსავლეთის ეტრეტისა“ ვითომც არ იწუნარებს მცირეოდენს კრიტიკასაც. ჩვენ ეს კი არ გვიკვირს, ის გვიკვირს, რომ „ობოზრენიეს“ „თამარ ცხიერზედ“ დაწერილი ორიოდე უსახულო სიტყვა კრიტიკად, ანუ რეცენზიად შეუწუნარებია, და ვინაც ამისთანა კრიტიკა არა სჯერა, იმას ეუბნება, რომ ეგ მარტო „აღმოსავლეთის ეტრეტის“ გამო მოგდისო. ეს კი დავიწყებისათვის მიუციათ, რომ არამთუ უსახულო ძაგება, უსახულო ქება-კი საწუნენია მართებულის კაცისათვის და ვურჩევთ ქართულს ლიტერატურას თავის-დღეში არც ერთი და არც მეორე არ შეიწუნაროს,

რაც უნდა პტუელი სახელი კრიტიკისა, თუ რეცენზიისა დაარქვენ უსაბუთო კტევისა. კიდეც ამგვარი „აღმოსავლეთის ეტიკეტი“ სჯობია იმ უწყსო და უკადრისს ეტიკეტს, რომლის კანონებითაც კაცს თუ არ თავის-თავი, სხვა ადამიანად არ მიაჩნია... იპარავენ პათოსების სახელითა და არავინ პკითხულობს: სად პათოსნება და სად მპარაობა?

აბეზღებენ და ცილსა სწამებენ გულმტკივნეულობის სახელითა და არავინ პკითხულობს: სად ცილი და სად გულმტკივნეულობა?

შლატატობენ საქმეს, შლატატობენ ერთმანეთსა და ერთგულების სახელითა და არავინ პკითხულობს: სად ღალატი და სად ერთგულება?

სხვის ნაკლს, სხვის უბედურებას თვის ღირსებად, თვის ბედნიერებად. თვის სიხარულად სთვლიან კაცთმოყვარეობის სახელითა და არავის პკითხულობს: სად სხვის ნაკლის და უბედურების გამო სიხარული და ცეკვა და სად კაცთმოყვარეობა?

სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა და არავინ პკითხულობს: სად ტყუილი და სად სიმართლე?

ამ წერილის პათოსი („ყალბი და ნამდვილი“), ნათლად გამოხატავს „ივერიის“ პოზიციას ა. წერეთლის მიმართ.

ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობა ყოველთვის ჰეროვნად არ ითვალისწინებს ი. ჭავჭავაძის 80-90-იანი წლების წერილებს 80-იანი წლების „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის შესახებ, ძირითადად „ციხკრისა“ და „საქართველოს მოამბის“ მასალით მყოფილდებმა, რაც აბრკოლებს პრობლემის მათებურ გადაწყვეტას. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ილიამ შემოქმედებითი ევოლუციის პროცესში არსებითად შეიცვალა აზრი ცალკეულ საკითებზე.

„ივერია“ სხვაგვარად გააშუქა ქართულ ლიტერატურაში თაობათა ბრძოლის პრობლემა. უფრო ეროვნული, მეცნიერული ხასიათი მისცა მას, გადააფხა უკიდურესობები.

„არა ერთხელ ატეხილა ჩვენს ფეხმოკლე ლიტერატურაში საუბარი ახალ და ძველ თაობაზე, ზოგი მწერალი საყვედურს აძლევს ახალს თაობას, — რატომ არას აკეთებო, ზოგი ძველს თაობას, — რატომ არა გააკეთებ-რაო. იქნება ერთიც მართალი იყოს და მეორეც, ხოლო დღემდე კი არავის გამოურკვევია-რა არის და ვინ არის ან ახალი, ან ძველი თაობა, არავინ იცის — ვისზე ლაპარაკობენ, როცა ან ერთს, ან მეორეს ახსენებენ.

მართლა-და, რა არის და ვინ არის ახალი, ან ძველი თაობა? ამ სახელებ-ქვეშ ვინ და რა უნდა ვიგულისხმობო? აშკარაა, ვინც ამ სახელებს რაიმე ფასსა სდებს და თუთყუშივით გაგონილს არ იმეორებს, ახალს თუ ძველს თაობას იმაში ეძებს, რომელნიც საზოგადო სარბიელ-

ზე გამოსულან სამოქმედოდ. ხელები უნდა ეკუთვნოდეს ამ ჰერის ხალხსა, იმიტომ. რომ სხვა ყველა. თავის ცალკე ბუდეში კარჩაკეტილი, ამისთანა სახელების წინაშე არაფერს შუაშია, თუ ასეა-და, ვგონებთ უამისობა არც შეიძლება, — მას სიახლეს და სიძველეს ერთისა და მეორის თაობისას აქ უნდა მოვევანხოთ საბუთი და საფუძველი.

ხოლო საკითხი ეს არის: რა საწყაო ვიზმართო, რომ ან ერთს მივეწყუთ ახლობა, ან მეორეს ძველობა? მასაკი და წლოვანება? ეგ ხომ მტენარი ბევრობა იქნება! ან კიდეც ის, ერთი გუშინ მოვიდა და მეორე დღეს მოდის? არც ხომ ეს იქნება საკადრისი ჭკვათმოყვრელის მკვლევარისათვის! მას სხვა რა ვიხერხობთ, რომ ერთის ჰერის საზოგადო სარბიელზე მომქმედი კაცი გავარჩიოთ მეორისაგან?

აი. როცა ამ საკითხს მივაწყუდებით ხოლმე ძალაუბნებურად, მართო მაშინ ვხედავთ, რომ სხენებული სიტყვები ჩვენში ცარიელი სახელებია უსაგნო, ნაჭუქია უგულო, ფრაზა უსაქმო. საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი უსათუოდ ან აზრის კაცია, ან საქმისა, ან ორსვე ერთად. თუ ისე ბედნიერად მიმადლებულია ბუნებისაგან, რომ შემძლებელია ერთისაც, მეორისაც“.

80-იანი წლებიდან თაობათა შესახებ განახლებულმა პოლემიკამ ორგვარი მიმართულება მიიღო. ჰერ იგი სოციალურად გაამწვავეს „იმედის“ თანამშრომლებმა (ხალხოსნებმა — სტ. ჰრელაშვილმა, დ. აბდულაშვილმა, მ. ასათიანმა და სხვ.), რომლებმაც ზეღაღებით უარყვეს თერგდალეულთა ღვაწლი, ისინი თავადაზნაურობის დამცველებად გამოაცხადეს და მათი ეროვნული მოღვაწეობა სასაცილოდ აიგდეს.

მოწინავე ქართული პრესა წინ აღუდგა ეროვნულ ნიმილიზმს, სოციალურ დილტანტიზმს. ა. წერეთელი, ივ. მაჩაბელი, ი. გოგებაშვილი დაუპირისპირდნენ ერის, ეროვნების გამაბიბრებლებს. („ივერია“, 1881, № 8). არ პატის მათ ქართული სალიტერატურო ენის უპატოვიცემულობა.

„იმედმა“ და მისი გარშემო შემოკრებილმა ლიტერატორებმა უნდობლობა გამოუცხადეს ი. ჭავჭავაძის მხატვრულ სიახლეებსაც. „რა ვევექიქი-პუშკინ-პოეზიებოა“? („იმედი“, 1882, № 7).

ილიას დანაშაულად მიაჩნდა „იმედისა“ და მის თანამშრომელთა ნიმილიზმისა და დილტანტიზმის უპასუხოდ დატოვება: „ნუთუ ამგვარი უთანხმოება აზრისა, ერთმანეთის გაუგებლობა შესაძლებელი იქნებოდა... ჩვენში რომ კრიტიკული აზრი მუშაობდეს? რომ ჩვენ შეჩვეულნი ვიყუეთ სამართლიანს მსჯელობას... ყოველი საქმის რიგაინად დაფასებას... და აწონ-დაწონას? (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 11, გვ. 258).

„ივერიამ“ არა ერთი და ორი პოლემიკური და პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა თაობათა შორის ურთიერთობაზე. „ჩვენში იმისთანა სიტუაცია, როგორც ძველი და ახალი თაობა, ცალიერი და ფუჟე სახელებია და დროა თავის პატრონს შაშხარდენ და სი-დამაც მოსულან, იქ წავიდნენ... მართო ენაშა-სულებიელ კაცს შემფერის ხმარება ამისთანა სი-ტუაციისა“.

ბრწყინვალე ნაშრომში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ (1892) ილიამ საერთოდ ეპიკვეშ დააყენა 180-იან წლებში თაობათა შორის ბრძოლის პრობლემა საქართველოში და უკიდურესობათა გადაფასება მოითხოვა. გ. წერეთელს ბრალად დასდო 180-იან წლებში პრობლე-მის გამწვავება და ბუნდოვანი ტენდენციური მოსაზრებები „დასებთან“ დაკავშირებით. ჩვენი ამოცანაა, გავარკვიოთ: „რას ითხოვდა წინა-დე და რა პასუხი ვასცა დღევანდელმა“. (იქვე, გვ. 189-200).

ილიას არ მოეწონა „დასების“ თეორიის აღო-რძინება და „მესამე დასის“ პრეტენზიები. „კვა-ლის“ ძალმოპრეტობითი ღონისძიებები. „აი, ახ-ლაკ გვიარდება გ. წერეთელი „კვალზე“ ხელი მომიწერეთო და ჩემს ახალ ნაწერ „გულქანს“ შეუქთად მოგართმევო“.

ილია იმ აზრისაა, რომ ყოველ ეპოქაში, ერ-თმანეთის გვერდით მოქმედებენ ახალნიცა და ძველნიც. მას ხელოვნურად, ეგოისტურად მიაჩ-ნია ამგვარი დაუფა და სახარგებლოს ვერას ხედავს მასში. არაერთგან წინაწარმეტყველებს „კვალ“ და „მესამე დასის“ კეთილს არ დააყრის ჩვენს ქვეყანასო“.

180-იანი წლების მოვლენებსაც ახლებურად უყურებს: „ცისკარი“, გრ. ორბელიანი, ი. კე-რცხელიძე, ბ. ჭორჭაძე საფრთხობელები არ არიან მისთვის.

შედლების დაგვარად, დროს შესაფერისად ემ-სახურებოდნენ ერსა და მწერლობას. ილიასა და მისი გაზეთის მახვილი მათ წინააღმდეგაა მიმართული. ვინც წყალს ამღვრევს, უთანხოე-ბას, ეროვნულ დაპირისპირებას იწვევს.

180-იანი წლების პუბლიცისტიკაში 180-იანი წლების „მამათა და შვილთა“ დამოკიდებულე-ბის ახლებურ გაგებას აქტიური ეროვნული მნი-შვნელობა მქონდა და პასუხობდა ი. ჭავჭავაძის ეროვნული ერთიანობის კონცეფციას.

1881 წელს დაიბეჭდა ილიას პუბლიცისტურ-ლიტერატურული, გამაფრთხილებელი სტატია „უარყოფლობა ჩვენში“, რომელიც გამოხდა „ხე-ლბოსნურ კლასობრიობას“, ერის გათიშვის ცდებს. ეს არგუმენტები უდევს საფუძვლად პამფლეტს „ბულვარის აკადემია“ (1887 წ.), ხადაც ილია გადაჭრით უარყოფს თაობათა ბე-

ლოვნურ დაპირისპირებას. ეს იყო მისი გრძნობა, იმ ვითარების აღრეული შეცნობა. რომელიც ათი-თორმეტი წლის შემდეგ ჩამოყა-ლიბდა საქართველოს იდეურ-სულიერ ცხოვრი-ბაში და დიდი ილიაც გადაიტანა.

ღრმა მეცნიერულ-პუმანურ საფუძვლებს ემ-ყარება 180-იანი წლების დასაწყისში შექმნილი გამოკვლევა „თერგდალეულნი და ახალი თაო-ბა“, ხადაც პრინციპულად ახალი შეხედულებე-ბია გამოთქმული და ჩანს შიში, ერის ბედ-ილბლისათვის, „კვალის“. „მესამე დასის“ გამო-მართო კეჟელის აგრესიულმა ეგოიზმმა, უმე-ცრებამ და პრეტენციოზულობამ ისეთი პანიკა გამოიწვია ჩვენს მწერლობაში, რომ ნიქიერ ავ-ტორებს (ილია, აკაი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზ-ბეგი, და სხვ.) ხელში კალმის აღება ერიდე-ბოდათ, რათა უმიწეო ლანძღვა-გინების ობიე-ქტი არ გამხდარიყვნენ.


ილიას ფელეტონმა — „მითომ და „ახლის რაზმის კაცი“, ცეპილოვანი სატირით, ბრძნული არგუმენტებითა და ქეშმარიტების პათოსით ავტორთა უხამართლო დენის ხალისი დაუ-კარგა მას და იძულებული ვახდა, რუსულ ეუ-რნალ-გაზეთებში გადაბარებულიყო.

ასრებობენ ასეთი კალმონები: „რას იზამ? ვის შესჩვილებ? გინდათ თუ არა, მიცანით, რომ გენიოსი ვარო. თავი მოხარეთ, მაქეთ და მადიდეთო!“ (ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. 11, 195წ, გვ. 248-249).

ილია და მისი პრესა ჭერ კიდეც იმ დროს აფრთხილებდა მკითხველს მწერლობაში „ექს-ტრემისტული საშიშროების“ შესახებ, უპასუ-ხისმგებლო კრიტიკოსებისა და შურნალისტების საეჭვო, ეროვნულად დამაფიქრებელ საქმიანო-ბაზე. რეაგირების ვარეშე არ ტოვებდა კეჟე-ლის, უთურგაულის, ზონელისა და სხვათა ცრულიტერატურულ გამოხდომებს, რამაც წიან მიაყენა ერის სულიერ ცხოვრებას.

ეს, ი. ჭავჭავაძემ სერიოზულ საფრთხედ ჩა-თვალა, რის დადასტურებაცაა მისი ღრმად არ-გუმენტირებული, ლიტერატურულ-პუბლიცის-ტური ფელეტონების ციკლი: „სხარტულა“ (თუმანიშვილზე), „პრესა და პირადობა“, „და-საქლეთის ეტაკეტი“, „საზოგადო საქმის მსა-ხურთა დაცვისათვის“, „უალბი და ნამდვილი“, „ჩვენი ახლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ და სხვ.

ამ დიდებულ ნაწარმოებებში ილია აცამტვე-რებდა მედროვე, უპრინციპო, ეროვნულად უგ-რძნობ, კარიერისტ კალმონებს, რომლებიც თავიანთი ნაცოდვილარით სახელს უტებდნენ სამშობლოს სახელგანთ შვილებს (ა. წერეთე-ლი, ა. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.). ამხე-ლდა მათ არაკომპენტენტურობაში, ტენდენცი-ურობაში, ანარქიზმში, წინააღმდეგობებში. ან



წერილებმა ბევრ „კრიტიკოსს“ გააგდებინა ხელიდან კალამი. გზა გაუკაფა ლიტერატურულ სიახლებს, დაიცვა მონაპოვრები, ხელი შეუწყო შემოქმედებითი პროცესის გაჯანსაღებას.

პუბლიცისტური ამოცანებისა და ლიტერატურული მასალის ბუნებრივი განუყოფლობის საგანგებო ინტერესს იწვევს ი. ჭავჭავაძის თეატრალური რეცენზიები და წერილები. 80-იან წლებში ეს უანრი ავტორს საშუალებას აძლევს საექტაკლის განხილვაში გააანალიზოს დრამატული ნაწარმოების პრობლემატიკა, იმსჯელოს მიმდინარე ცხოვრების მოვლენებზე, მოიწონოს დადებითი და დაგმოს, რაც წეგატიურია, უჩვენოს საზოგადოებას მოვლენათა ტენდენციები, გამოარჩიოს რეაქციული ნოვაციებისაგან პარალელურად. ერთიანობაში შეაფასოს თხზულების ღირსება-ნაკლოვანებანი. წამოაყენოს ახალი ხელოვნებისა და ლიტერატურის მომწიფებული საკითხები, დაასაბუთოს სადღეისო რეკომენდაციები. ეროვნული და სოციალური იდეალების შესახებ ხაზს უსვამს, საშუალება ეძლევა

არამარტო ილაპარაკოს, არამედ დასაბუთოს და დაახასიათოს შესაბამისი სატენი, ტენიანი მხატვრული ხასიათები, მათი ნიუანსური და არსებითი თვისებები, თვალსაჩინო შეგავლენა მოახდინოს საზოგადოების პოლიტიკურ და წესობრივ აღზრდა-განვითარებაზე. თუ რა ზემოქმედება იქონია ი. ჭავჭავაძის მღელვარე მოღვაწეობამ ქართველი ერის სულიერ, ნაციონალურ ჩამოყალიბებაზე, ხალხის ცხოვრების მომავალზე, რომელსაც საქართველო დიდი მადლიერებით უბრუნდება, დღეს ყველასათვის ნათელია. მაგრამ, შესაძლებელია, ასე აშკარად არ ჩანდეს. რაოდენ დიდი როლი შეასრულა ამ მხრივ გაზეთმა „ივერიაში“, იმ პერიოდის ქართულმა თეატრმა, ილიას წინამძღოლობით და არსებულმა ეროვნულმა დაწესებულებებმა, შეუპოვარმა, პრინციპულმა პოლემიკამ. კონსოლიდაციისათვის გამიზნული ღონისძიებების მთელმა სისტემამ და, მათ შორის, ი. ჭავჭავაძის თეატრალურმა პუბლიცისტურ-ლიტერატურულმა წერილებმა, რომლებიც რეცენზიების ფორმით იბეჭდებოდა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.
ტელეფონები: შთ. რედაქტორის—93-55-11,
შთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, 3/შვ
შლივის — 93-55-13 და განყოფილებების —
93-55-16; 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 5.04 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.04. 90 წ. ასაწყობის ზომა 7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108, ფრ-ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-სავამომცემლო თაბახი 16,58.
უე 07926. ტირაჟი 30.700. შეკვ. 812. საქოთველოს კვ ცკ-ის ვამომცემლობის სტამბა.

6/52/53

ფანო 80 კპპ.



ქართული
ლიბრარიონი

თბილისი

76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ